


780  
1985/09

ISSN 0134-9848

1985/4

# საგზაო

საგზაო  
საგზაო





საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

ნიკოლაი რერიხი, პანბელეიშოჲს მკურნალი

# საუნჯე

1985/4  
 ივლისი  
 თბილისი  
 (67)



18734

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

მარიო ვარგას ლიოსა, ხულია დეიდა და მოკალბე, რომანი, დასაწყისი. თარგმნი აშირან გაბესკირიამ	8
ალეხანდრო კასონა, დილის ფერია, პიესა, თარგმნი ჭუმბერ თითმერიაშვილმა	95
იან კროსი, ზეცოური ქვა, მოთხრობა, დასაწყისი, თარგმნი ნოდარ ხუნდაძემ	129
ედგარ კო, მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნი ზაურ კილაძემ	170
ფრანს ვრილკარცერი, ოპროს საფრისი, არგონავტები, ტრაგედია, დასასრული, გერმანიულიდან თარგმნი ვიქტორ კახნიაშვილმა	198
ვადიმ გოიკო, სიტყვა სიკვდილით დასჯის შემდეგ, გაგრძელება, უკრაინულიდან თარგმნი რაულ ჩილაჩავამ	229

### წერილები

აკაკი გაწერალია, ერთი თარგმანის გამო,	261
ჯარჯი ფხვველი, მარადი დღე,	277
ჯონ უ. ბიუოკი, „სინანული თოვას ვულფის გამო“, ინგლისურიდან თარგმნი შავა მაისურაძემ	285
თამარ ურატაძე, ღუი ფიქრნაბი — კომედი-ლირიკოსი	293
ელეფთარ ანდრონიკაშვილი, შეხვედრები, თარგმნი თამაზ ებანოძემ	301
სემიონ ფრანკი, მორალის რაობის საკითხისათვის, თარგმნი ავთანდილ ჯოხაძემ	307
ავთანდილ ვარტაგავა, ნიკოლაი რერიხი	310
მცირე ინფორმაციები	319

თბილისის  
 საბჭოთაო  
 მწერთა კავშირი

საქართველოს მშენებლის კავშირი  
მსოფლიო ლიბერატორის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიბერატორულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეჯია

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:

**მუსრან მაჭავარიანი**

პ. მგ. მდივანი:

**ნანა დარჩია**

სარედაქციო კოლეჯია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშენიანი

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკია

რუსუდან ქაბულაძე

იორაჟ ქაშვარტალიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე

დავით წარედინი

ნუგზარ წარეთელი

თამაზ წივწივაძე

რაფო ჭიჭიშვილი

გარეკანზე: ნ. რპრიზი, ზღვისგაღმეული სტუმრები

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური რ. იმნაიშვილი  
გამომშვები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 22. 5.85 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 14.8.85 წ., ქაღალდის ზომა 70 × 108<sup>1</sup>/<sub>32</sub>  
სააღრ. თ. 23,95. სასტ. თ. 28, საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10.000, შეკვ. № 1245.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქ. კა. ცკ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი ხტამბა, თბილისი, ლენინის 14



რომანი

თარგმნა ამირან ბაბუნსკირიამ

მე ვწერ. ვწერ, რომ ვწერ. ცხადლივ ვგრძნობ, ვით ვწერ იმას, რასაც ვწერ და კიდევაც ვხედავ, რომ ვხედავ, ვით ვწერ. მახსოვს — მუდამ ვწერდი და ჩემს თავს მუდამ წერის დროს ვხედავდი. ვხედავ ჩემს თავს, ვით ვიხსენებ, თავს რომ მუდამ წერის დროს ვხედავდი და მახსოვს ჩემი თავი, ვით ვხედავ ჩემს მოგონებებს იმაზე, რომ ვწერდი და ვწერ, ვხედავ რა, რომ ვწერ იმაზე, თავი რომ მუდამ წერისას მახსოვდა და მუდამ ვწერდი იმაზე, რომ მუდამ მახსოვდა, რომ ვწერდი იმაზე, ვით ვწერდი და რაზე ვწერდი და მუდამ ვწერ ისე, როგორც ვწერდი. მე ძალშიძს კიდევ ჩემი თავი წარმოვიდგინო იმაზე წერისას, რაც უკვე დავწერე, რომ წარმოდგენილი მაქვს ის, ვით ვწერდი იმაზე, რაც უკვე დავწერე, ვით ვხედავდი თავს იმაზე წერისას, რომ ვხედავ, ვით ვწერ იმაზე, რომ ვწერ.

სალვადორ ელისონდო „გრაფობრაფი“.

I

ჩემი ყმაწვილკაცობის იმ შორეულ ხანაში ბებია-ბაბუას თეთრ-კედლება სახლში ვცხოვრობდი ოჩარანის ქუჩაზე, მირაფლორესის რაიონში, და სან-მარკოსის უნივერსიტეტში სამართალს ვსწავლობდი, უკვე შეგუებული იმ აზრს, ამ ცხოვრებაში თავს მოსამართლეობით გავიტანდი, თუმცა გულში მწერლობაზე ვოცნებობდი. მქონდა სახელად დიდი თანამდებობა, სახსრად პატარა ხელფასი, არამი შემოსავალი და მოქნილი ცხრილი. მებარა „რადიო პანამერიკანის“ საინფორმაციო განყოფილება, ანუ ვჭრიდი გაზეთებიდან საინტერესო ამბებს და ცოტაოდენი შელაპაჯების შემდგ რადიოცნობებში შემქონდა. რედაქციას, რომელსაც ვგამგებლობდი, ერთადერთი თანამშრომელი ჰყავდა, სახელად პასკუალი, პომადით თმაგადაგლესილი ყმაწვილი, ვისაც

<sup>1</sup> თანამედროვე მექსიკელი მწერალი.

მეტისმეტი ტრფიალი სჭირდა განსაცვიფრებელი და რეტდამსხმელი ამბებისა. რადიოცნობებს ყოველ ერთ საათში თითო-თითო წუთი ეთმობოდა, შუადღისას და საღამოს ცხრა საათზე კი თხუთმეტ-თხუთმეტი, მაგრამ რამდენიმე ცნობას მუდამ ერთბაშად ვამზადებდით ხოლმე, ისე რომ, შემეძლო დიდხანს მეხეტიალა ქუჩებში, ხან ლა კოლმენის ავენიდაზე ყავა დასმულმა, ხან ლექციებს დავსწრებოდი, ხანაც „რადიო სენტრალის“ სტუდიებში მებოროიალა, სადაც უფრო მეტი სიცოცხლე ჩქეფდა, ვინემ ჩემს განყოფილებაში.

ორივე რადიოსადგური ერთ მეპატრონეს ეკუთვნოდა და მეზობლადაც სან-მარტინის მოედნის ახლოს ბელინის ქუჩაზე მდებარეობდა. მაგრამ ერთმანეთს ისე არ ჰგავდნენ, როგორც ცნობილი ზღაპრის ორი და, სადაც ერთს ცივ ნიავს არ აკარებენ, მეორე კი მიგდებულნი ჰყავთ. „რადიო პანამერიკანს“ ერთი დიდებული შენობის მეორე სართული ეკავა, მისი რედაქტორები გულ-ზვაჭი ხალხი იყო, გადაცემები — ქედმაღლური, კოსმოპოლიტური სულით გამსჭვალული და მოდერნისტული ყაიდისა, მოარისტოკრატო-მოესთეტო ახალგაზრდა მსმენელებისთვის განკუთვნილი. და თუმცა ამ რადიოსადგურის დიქტორები არგენტინელები არ ბრძანდებოდნენ (როგორც პედრო კამაჩო იტყოდა), დიახაც ღირსნი იყვნენ არგენტინელები რქმეოდათ. აქ გადმოსცემდნენ ბლომა მუსიკას, მეტწილად ჯაზურს, როკ-ნ-როლს, იშვიათად კლასიკას; მისი ტალღები მთელ ლიმას ჰფენდა ნიუ-იორკისა თუ ევროპული მუსიკის უკანასკნელ სიახლეთ, არ თაკილობდნენ ლათინურ-ამერიკულ პანგებსაც, თუკი გარკვეული დახვეწილობა გააჩნდათ; ეროვნული მუსიკა ვალსების გარდა აქ არცთუ დიდ პატივში იყო. ჰქონდათ ინტელექტუალური განხრის გადაცემებიც, როგორც, მაგალითად, „წარსულის სურათები“, „საერთაშორისო კომენტარიები“, აგრეთვე ფუქსავატური ხასიათისაც, ანუ „კითხვების კონკურსი“, „დიდების ტრამპლინი“, სადაც მაინც იგრძნობოდა მისწრაფება აშკარა სისულელეებსა თუ ბანალობას გაქცეოდნენ. სწორედ ამ ძიების დადასტურება გახლდათ კულტურის სარბიელზე სხვენის ფიცრულ ჭიხურში შეკუჭული ჩვენი საინფორმაციო განყოფილებაც, სადაც მე და პასკუალი ვილვწოდით და საიდანაც ნაგვის გორები და ლიმას განაპირა სახლების უბადრუკი სახურავები ჩანდა. სხვენზე ამწეს ავყავდით მუდამ, რომლის კარს ფრიად უსიამო და ახირებული ჩვევა ჰქონდა, — დროზე ადრე გაღებულყო.

ჩვენგან განსხვავებით „რადიო სენტრალი“ ძველ შენობაში მოეთავსებინათ, სადაც იმდენი გადასასვლელ-გადმოსასვლელი და კუნჭული იყო, ვერ დაითვლიდი: მისი დიქტორების ქარგონული გამოთქმებით სავსე ლაპარაკზე მყის მიხვდებოდი, რომ ამ რადიოსადგურის მსმენელები — ხალხი, პლებსი იყო და გულისხმადაც მათი ეროვნული, კრიოლური გრძნობები მიელოთ. ცნობებს აქ ნაკლებად გადმოსცემდნენ, სამაგიეროდ პერუული მუსიკა და კორდელიერების პანგები იფრქვეოდა. ხშირად ინდიელი მომღერლებიც გამოჰყავდათ საჯარო კონცერტების დროს, რომელთა დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ბლომა ხალხი გროვდებოდა რადიოსადგურის შენობის წინ. რადიოდან კი იღვრებოდა და იღვრებოდა ტროპიკების მუსიკა, მექსიკური თუ არგენტინული პანგები, პროგრამები უბრალოდ დგებოდა, ყოველგვარი ტვინის ჭყლეტის გარეშე, სამაგიეროდ გარკვეული მიზანსწრაფულობის დალიც ესვა. ასეთი გახლდათ, მაგალითად: „შეკვეთები ტელეფონით“, „სერენადები დღეობებისათვის“, „ჭორები კულისების სამყაროდან“, „კინოლენტა და ეკრანი“. მაგრამ ყველაზე დიდი ნუგ-

ბარი, რითაც ასე ხშირად და ასე გულუხვად მასპინძლობდა იგი მსმენელებსა და რაც, კითხვებისა და ანკეტების თანახმად, უზარმაზარ აუდიტორიას უზვეჭდა — რადიოდადგმები გახლდათ.

ამ რადიოდადგმებს დღეში ექვსჯერ მაინც გადმოსცემდნენ. დღე მთელი მასობრივად მიმდინარეობდა მკაცრად მიკროფონის წინ წარმოდგენის წესით. მსმენელებს შეეძლოთ შეესრულებულთა ჰვრეტა: ამ გულამშიერი, ჩამოძენძილი, უკვე შებერებული ხალხის ახალგაზრდულად მოწკრიალე და ტკბილი ხმა საოცრად ეწინააღმდეგებოდა მათ მოტეხილ სახეებს, ტუჩ-პირის ირგვლივ მოყრილ მწარე ნაოჭებსა და დაღლილ თვალებს. „იმ დღეს, როცა პერუში ტელევიზია გაჩნდება, ამ ხალხმა თავი უნდა მოიკლას, სხვა გზა აღარ დარჩებათ“, წინასწარმეტყველებდა ხენაროს ვაჟი და ხმის ჩამწერი სტუდიის შუშებიდან მსახიობებზე მითითებდა, როგორც უზარმაზარ აქვარიუმში, მიკროფონის წინ რომ შეჯგუფებულიყვნენ, სცენარის ფურცლებით ხელში „ალვეარათა ოჯახის“ ოცდამეოთხე თავის წასაკითხად. მართლაც რარიგ დასწყდებოდა გული ლუსიანო პანდოს ხმით გულაჩუყებულ ყველა დიასახლისს, ეს მოკრუნჩხული ელამი კაცი რომ დაენახა: რა პირკატა ეცემოდათ პენსიონერებს, ვისაც ხოსეფინა სანჩესის მელოდიური ხმა ნაზ მოგონებებს უღვიძებდა, ამ ქალის ვეება ორკეცი ლაბაბი, შავი ულვაში, გაპარტყნილი ყურები და ძიძიბოები რომ ეხილათ. მაგრამ ტელევიზიის გამოჩენას პერუში ჯერ კიდევ კარგა ხანი უკლდა და იმ დროის რადიოთეატრალურ ფაუნასაც თუ უხვი არა, მცირე სარჩოლ მაინც გააჩნდა.

სულმუდამ მინდოდა გამეგო, ნეტა ვისი კალამი ჰქმნის იმ რადიოსერიებს, საღამოობით ბებიაჩემს რომ ასე ართობდა, ან ვინ წერს იმ ამბებს, ძალუა ლაურას, ოლვას, გაბისა თუ ჩემი უთვალავი ბიძაშვილების ოჯახებში ყურთასმენას რომ მჭრიდა (ჩვენი ოჯახი, მირაფლორესის სხვა ოჯახების დარად, ბიბლიურად მრავალრიცხოვანი და შეხმატკბილებული გახლდათ). მეგონა, ეს რადიოდადგმები უცხოეთიდან შემოჰქონდათ ჩვენში, მაგრამ რარიგ გაოცებული დავრჩი, როცა შევიტყვე, ჩემი პატრონები — მამა-შვილი ხენაროები მექსიკასა და არგენტინაში კი არადა, თურმე კუბაზე ყიდულობდნენ მათ. ამ პროდუქციას სმო! უშვებდა, — ერთ-ერთი ნაირსახეობა რადიო-სატელევიზიო იმპერიისა, რომელსაც გოარ მესტრე, თმაჭალარა ჟენტლმენი განაგებდა. ერთხელ კიდევაც ვიხილე იგი „რადიო პანამერიკანის“ პატარა დერეფანში, მისი ლიმაში მორიგი ჩამობრძანების ჟამს. მან ამაყად ჩაგვიარა მოწიწებით მაცქერალ მთელ თანამშრომლებს, ჩვენი პატრონები კი გვერდით პირმოთნედ მოსდევდნენ. იმდენი რამ მსმენოდა ამ კუბელ კომპანიაზე ჩვენი რადიოსადგურის დიქტორების, წამყვანებისა თუ ოპერატორებისაგან — მათთვის სმო! ისეთივე მითიურ რასმე წარმოადგენდა, როგორც პოლივუდი იმ დროის კინომატოგრაფებისათვის — მე და ხავეირს „ბრანსის“ კაფეში ყავის სმისას ხშირად დაგვიხატავს ოცნებაში მწერალთა ეს ძმობა, რომელიც სადღაც იქ, შორეულ პავანაში, პალმის ჭალების, სამოთხის პლაჟების, ყაჩაღებისა და ტურისტების ამ ქალაქში გოარ მესტრეს ციხე-კოშკში მოწყობილ კონდიციონირებულ კაბინეტებში დღეღამეში რვა საათი აკაკუნებდა საბეჭდ მანქანებზე და რადიოდადგმათა ამ ნიაღ-

<sup>1</sup> ერთ-ერთი მსხვილი რადიო-სატელევიზიო კომპანია კუბაში რევოლუციის გამარჯვებამდე.

ვარს ქმნიდნენ, აღსავსეს მოტყუება-შეცდენებით, თვითმკვლელობებით, ვნება-თა ლელვით, პაემნებით, მემკვიდრეობაზე დავა-ჩხუბით, ბოროტმოქმედებებითა თუ მოულოდნელი შემთხვევებით, რომ მერე ლუსიანო პანდოებისა და ხოსეფინა სანჩესების ნაზად მელერ ხმებს ბებიები, მამიდა-დეიდა-ძაღოები, ბიძა-შვილები და პენსიონერები გაერთოთ.

ხენაროს ვაჟი ამ რადიოდრამებს თურმე წონით ყრდულბდა ტელეგრაფის მეოხებით (უკეთ — სმო ყიდდა ასე). ეს ამბავი ერთ საღამოს თვითონვე მამცნო, როცა ვკითხე, ეთერში გაშვებამდე შენ, შენი ძმები და მამა თუ კითხულობთ-მეთქი ამ სცენარებს. „შენ კი წაიკითხავ სამოცდაათ კილო ხელნაწერს? — მკითხა მოწყალე თანაგრძნობით. ერთხელ ჩემი მოთხრობა წაუკითხავს გაზეთ „კომერსიოს“ საკვირაო დამატებაში და მას აქეთ ინტელექტუალურ ყმაწვილად მრაცხდა. — ან რამდენ ხანს მოუხდები?! ერთ, ორ თვეს? ვინ დაკარგავს ორ თვეს რადიოდრამების სცენარის წასაკითხად?! ჩვენც ბედის წყალობასა ვართ მინდობილნი და ღმერთი აქამდე კიდევაც გვიფარავდა“. დიდი-დიდი, ხენაროს ვაჟს სარეკლამო სააგენტოების, კოლეგებისა და მეგობრების მეოხებით შეეტყო, რამდენ ქვეყანას შეესყიდა უკვე მისთვის შეთავაზებული რადიოდრამები და როგორ შეეფასებინათ ისინი რადიომსმენელებს; ან არადა, სათაურების მიხედვით თუ ფულის აღჩუხე აგდებით გადაეწყვიტა საქმე. რადიოდრამების წონით შეძენა უფრო ნაკლებად ვერაგული საშუალება ყოფილა, ვინემ ფურცლებისა თუ სიტყვების რაოდენობით შესყიდვა. წონა ხომ ერთადერთი რამ გახლავთ, რისი შემოწმებაც შეიძლება. „აბა არა, — ამბობდა ხავიერი, — ხელნაწერის წაკითხვაზე კაცს დრო არ ჰყოფნის, ყველა სიტყვის დათვლაზე სად ეყოფა“. ჩემს მეგობარს დიდად აფორიაქებდა იმაზე ფიქრი, რომ სამოცდარვა კილო და ოცდაათი გრამი დრამის ფასი, როგორც ხორცის, კარაქისა და ვერცხლის, წონას უნდა გადაეწყვიტა.

მაგრამ ასეთი სისტემაც ბევრჯერ დიდ გასაჭირში აგდებდა ჩვენს პატრონებს. ტექსტები დანაგვიანებული იყო წმიდაწყლის კუბური გამოთქმებით, რომელსაც გადაცემიდან ერთი წუთით ადრე თვით ლუსიანო, ხოსეფინა და მათი კოლეგები თარგმნიდნენ პერუელთა სალაპარაკო ენაზე, როგორც შეეძლოთ (და მუდამ უხეიროდაც). მეორე მხრივ, ჰავანადან ლიმაში ჩამოტანამდე გემებისა თუ თვითმფრინავთა წიაღში დაბეჭდილი ფურცლებით დატენილი საქალაქდებები ხშირად დაზიანებულა, ზოგჯერ მთელი თავებიც გამჭრალა; დანესტიანებული, შეწებილი გვერდები აღარ იკითხებოდა. დაბოლოს „რადიო სენტრალის“ საწყობებშიც ვირთხები ღრღნიდნენ და ჭამდნენ.

ვინაიდან ეს ყველაფერი მხოლოდ ბოლო წუთებში მელავნდებოდა, როცა ხენარო მამა სცენარს უკვე შემსრულებლებს ურიგებდა, დასტურ ტრაგიკული ვითარებებიც იქმნებოდა ხოლმე, საიდანაც გამოსავალი დაკარგული თავების უგულვებელყოფა იყო, ეს კი ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. ყველაზე დიდი გასაჭირისას ლუსიანო პანდო ან ხოსეფინა სანჩესი უეტროვ ერთი დღით გახდებოდნენ ავად, რათა დარჩენილ ოცდაოთხ საათში გრამობით თუ კილოგრამობით გამჭრალი ნაწერები აღედგინათ ან მოესპოთ დიდი ზარალის გარეშე. ხმოს ისეთი დიდი ფასები ჰქონდა დადგენილი, რა გასაკვირია, რომ ხენაროს ვაჟმა ბედნიერ კაცად ჩათვალა თავი, როცა პედრო კამაჩოს არსებობასა და გრძნეულ ნიჭს მიაკვლია.

მშვენივრად მახსოვს ის დღე, როცა მან ამ რადიოფენომენის ამბავი მა-



უწყა, ვინაიდან სწორედ იმ დღეს პირველად ვიხილე ხულია დეიდა, ძია ლუჩოს ცოლისდა, ბოლივიიდან წინა საღამოს რომ ჩამოსულიყო. ქმარს ახლახან გაყროდა და მატრიმონიალური მარცხის შემდეგ პერუს თურმე დასასვენებლად და ძალების აღსადგენად მოაშურა. „სინამდვილეში კი ახალი ქმრის მოძებნა უნდა“, — დაასკვნა ერთ საოჯახო საღამოზე მთელ ჩემს ნათესარებაში ყველაზე ენამწარე ორტენსიამ. ხუთშაბათობით მუდამ ძია ლუჩოსა და ოლგა ძალოსთან ვსადილობდი. იმ დღეს ოჯახის წევრები ჯერაც პიყამებში დამიხვდნენ: ციფლუდსა და დამუყუყებულ ლოკოკინებს შეექცეოდნენ „მოსაშუშებლად“, ვინაიდან მთელი ღამე ახლად ჩამოსულ სტუმართან ლაპარაკში გაეთენებიათ, სამივეს ერთი ბოთლი ვისკი გამოეცალა და ახლა თავი სტკიოდათ. ძია ლუჩოს იმაზე ფიქრი აწუხებდა, კანტორაში, ვინ იცის, ყველაფერი ყირაზე დადგაო; ოლგა ძალო ამტკიცებდა, სირცხვილი არაა, კაცმა მთელი ღამე გაათენოო შაბათის გარდა. სტუმარი ქალი კი, ხალათმოსხმული, ფეხშიშველი, ბიგუდებზე დახვეული თმით ჩემოდნიდან ტანსაცმელს იღებდა. წარბიც არ შეუხრია, ასე შილიფად ჩაცმულს რომ წავასწარი, როცა ყველაზე ნაკლებ ჰგავდა სილამაზის დედოფალს.

— მაშ შენ დორიტას შვილი ხარ, — მითხრა და ლოყაზე მაკოცა. — თუ არ ვცდები, კოლეჯი უკვე დაამთავრე?

იმავე წუთს ჭირივით შემძულდა იგი. მთელი ჩემი უკმაყოფილების და ჩხუბის მიზეზი ოჯახში ჩვეულებრივ ის ამბავი იყო, რომ ყველა ღლაპად მთვლიდა და არა თვრამეტი წლის ვაჟკაცად. ისე არაფერი მამბრაზებდა, როგორც „მარიტოს“ რომ დამიძახებდნენ; ასე მეგონა, ეს მოფერებითი სახელი მოკლე შარვლის ასაკს მამბრუნებდა.

— ეგ უკვე სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია და თან ეურნალისტადაც მუშაობს, — აუხსნა ძია ლუჩომ და ლუდის ჭიქა გამომიწოდა.

— აბა უყურე! არადა, ისევ ძუძუმწოვარს ჰგავხარ, მარიტო, — გამკრა კბილი ხულია დეიდამ.

სადილზე — ისეთივე დათაფლული ხმით, როგორც უფროსები იდიოტებსა და ბავშვებს ელაპარაკებიან ხოლმე — მკითხა, შეყვარებული თუ ხარო, გასართობად თუ დადიხარო, რა სპორტი გიტაცებსო და (არ ვიცი, ქვეშეცნეულად, არ ვიცი, განზრახ, თუმცა მე მაინც გულზე მომხვდა) ვერაგულად მირჩია, ულვაში მოიზარდეო, შეგვგრემნებს ულვაში ამშვენებსო, ასე თქვა, ულვაშით გოგოებს უფრო მოეწონებიო.

— ეგ არც კაბიანებზე ფიქრობს და არც ცეკვებზე, — ისევ ჩაერია ძია ლუჩო. — ეგ ინტელექტუალური ბიჭია, მოთხრობაც კი დაბეჭდა „კომერსიოს“ საკვირაო დამატებაში.

— აბა უყურე! რა გვეშველება, დორიტას ბიჭი ყველასგან განსხვავებული რომ დაგვიჩეს! — გადაიკისკისა ხულია დეიდამ და მეც უმალ მისი ყოფილი ქმრის საოცარი სიყვარულით განვიმსჭვალე, თუმცა გავიღიმე და შევეცადე მისი კილოსთვის მხარი ამება.

სადილის დროს გაუთავებლივ გაცვეთილ ბოლივიურ ოხუნჯობებს იმეორებდა და წარამარა მე მკბენდა, გამოთხოვებისას კი, როგორც მეჩვენა, თავის საქციელის გამოსასწორებლად მითხრა, სიამოვნებით წამოგყვები კინოში, კინო ძალიან მიყვარსო.

„რადიო პანამერიკანში“ სწორედ სულზე მივასწარ, რომ პასკუალს სამი საათის რადიოცნობაში პაკისტანის ქალაქ რავალპლინდის ეგზოტიკურ ქუჩებში მესაფლავეებსა და კეთროვნებს შორის მომხდარი შეტაკების ამბავი არ შეეტანა, რომელიც გაზეთ „ულტიმა ორას“ გამოქვეყნებინა, მერე მოვამზადე ოთხი და ხუთი საათის გადაცემებიც და გარეთ გამოვედი ყავის დედასთან. „რადიო სენტრალის“ კარებში ხენაროს ვაჟს შევეფეთე, რომელიც ძალზე აღელვებული მეჩვენა. სახელოში ჩამაფრინდა და „ბრანსის“ ბარისკენ წამათრია, რაღაც საოცრება უნდა გიამბოო. ხენაროს ვაჟი საქმეებზე რამდენიმე დღით ლა-პასში<sup>1</sup> იყო, სადაც ფენომენალური პიროვნება — პედრო კამაჩო ენახა.

— ეს კაცი კი არა, ინდუსტრიაა! — აღტაცებით იძახდა იგი. — კამაჩო წერს ყველა დრამას, რაც კი ბოლივიის თეატრებში მიდის, და თვითონვე თამაშობს. მის კალამს ეკუთვნის ყველა რადიოდანგმის სცენარი, რომელთაც თვითონ დგამს და მამაკაცის მთავარ როლსაც თვითონ ასრულებს.

მაგრამ პედრო კამაჩოს ნაყოფიერ და მრავალმხრივ ნიჭზე მეტად იგი თურმე მისმა პოპულარობამ განაცვიფრა. პედრო კამაჩო რომ ლა-პასში „სხავედრას“ თეატრის სცენაზე ენახა, ხენაროს ვაჟს გადამყიდველებიდან ორმაგ ფასად უყიდია ბილეთი.

— გეგონებოდა, ხარების ბრძოლა იყო! — აღტაცებით მიამბობდა იგი. — აბა ლიმაში ვინ შესძლებს იმდენი ხალხი მიიზიდოს, თეატრში ტევა არ იყოს?

მერმე მიამბო, ზედიზედ ორი დღე მოწმე ვიყავი, როგორ ესეოდა გაუთხოვარი თუ გათხოვილი. ახალგაზრდა თუ ბებერი ქალების ბრბო „რადიო ილიმანის“ კარს, პედრო კამაჩო როდის გამოვა, ავტოგრაფი წაგვიწეროსო. კომპანია „მაკანი ერიქსონის“ წარმომადგენელსაც ლა-პასში თავის მხრივ დაურწმუნებია, ბოლივიურ გადაცემებიდან პედრო კამაჩოს რადიოდრამებს ყველაზე მეტი წარმატება აქვსო.

ხენაროს ვაჟი იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, ვისაც იმ ხანში „პროგრესისტ იმპრესარიოს“ უწოდებდნენ, დიდებასა და პატივზე მეტ სიამოვნებას თვით საქმე ანიჭებდა. იგი არც ეროვნული კლუბის წევრი იყო და არც დიდად ილტვოდა ამისკენ; ყველას მეგობრობდა და თავისი დაუცხრომელი ენერგიით ყველას ქანცს აცლიდა. ხენაროს ვაჟმა საქმის გადაწყვეტა ხელდახელ იცოდა; ამიტომ „რადიო ილიმანს“ რომ ეწვია, კამაჩო დაარწმუნა პერუსში გადმოსულიყო და მარტოდენ „რადიო სენტრალისთვის“ ემუშავნა.

— მისი დაყოლიება არ გამძნელებია, შიმშილით კვდებოდა თურმე, — ამბხსნა ხენაროს ვაჟმა. — აქ რადიოდანგმებს გააკეთებს და სმოს ვეშაპები მერე თუნდაც ჯანდაბაში წასულან.

შევეცადე ცივი წყალი გადამესხა მისი აღტაცებისთვის. ვარწმუნებდი, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რა ხუმტურიანი ხალხია ბოლივიელები, აი, ნახავ, პედრო კამაჩო „რადიო სენტრალის“ ყველა თანამშრომელს თუ არ წაეკიდა-მეთქი. თანაც მისი გამოთქმა ჩვენს რადიომსმენელებს არ მოეწონებოდა, იგი პერუსს სულ არ იცნობს და იაღლიში იაღლიშზე მოუვა-მეთქი. მაგრამ ხენაროს ვაჟმა ჩემს ამ უიმედო წინასწარმეტყველებას ყურიც არ ათხოვა. ღიმილით მითხრა, პედრო კამაჩო, მართალია. ჩვენში არ ყოფილა, მაგრამ ლიმის მცხოვრებთა სულისკვეთებანი ისე დამიხასიათა, თითქოს ნახევარი ცხოვ-

<sup>1</sup> ბოლივიის მთავარი ქალაქი.

რება აქაურ უბადრუკ უბნებში გაეტარებინოსო. გამოთქმა კი უნაკლო აქვს: არც ს-ზე სისინებს და არც „რ“-ზე გრგვინავს, ღმერთს ხავერდით ხმა მიუციაო.

— ოღონდაც ლუსიანო პანდომ თუ სხვა მსახიობებმა ცოცხლად არ შექა-  
მონ ეგ თქვენი საწყალი უცხოელი, ან ტურფა ხოსეფინა სანჩესმა, არ გააუტა-  
ტიუროს, — შიში გამოთქვა ხავერმა, როცა ორივენი ჩემთან, სხვენზე ვისხე-  
დით და ვსაუბრობდით, ვინემ თორმეტი საათის რადიომიმობილვისათვის „კო-  
მერსიოსა“ და „პრენსადან“ ცნობებს ამოვბეჭდავდი და გზადაგზა ზმნისართებსა  
და ზედსართავებს შევცვლიდი. ხავერი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, დღე  
ისე არ გავიდოდა, თუნდაც წამით არ შევხვედროდით და ერთმანეთის არსებობა  
ერთხელ კიდევ არ გვერწმუნა. ხავერს სულ ერთიშეორის საწინააღმდეგო რა-  
ღაც იტაცებდა, მაგრამ გულწრფელი კი ყოველთვის იყო; იგი კათოლიკური  
უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის ამომავალ ვარსკვლავად ითვ-  
ლებოდა, სადაც მისთანა ნიჭიერი სტუდენტი, პოეზიის მისთანა მგზნებარე  
მოტრფიალე და ურთულესი ტექსტების მისთანა გონებამახვილი კომენტა-  
ტორი თვალთ აქამდე არავის ენახა- ყველას ღრმად სწამდა, ეს ყმაწვილი  
ბრწყინვალედ დაიცავდა დიპლომს, ბრწყინვალე მასწავლებელი და არანაკ-  
ლებ ბრწყინვალე კრიტიკოსი და პოეტი დადგებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ  
დღეს ხავერმა ყველა სახტად დატოვა: თავი ანება დიპლომზე მუშაობას, ზურ-  
გი აქცია ლიტერატურასა და კათოლიკურ უნივერსიტეტს და სან-მარკოსის  
უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტად ჩაეწერა. თუ ვინმე  
ჰკითხავდა უნივერსიტეტიდან გამოქცევის მიზეზს, პასუხად ეს ჰქონდა (ან იქ-  
ნებ ხუმრობდა ბიჭი თავის დასაძვრენად), დიპლომმა, რომელზეც ვმუშაობდი,  
თვალი ამიხილაო. ერქვა მის შრომას „ანდაზები და თქმები რიკარდო პალმას'  
შემოქმედებაში“. ამ ანდაზებისა და თქმების ძიებებში ხავერს ლამის გამადი-  
ლებელი შუშით უხდებოდა „პერუელი ადათების“ შესწავლა. ხოლო რაკი  
ყველაფრის ჩამძიებელი კაცი იყო, უამრავი მეცნიერული ამონაწერით გა-  
ავსო მთელი ყუთი, რომელიც ერთ მშვენიერ დილას უშენზე დასწვა — ჩვენ  
ერთად ვროკავდით ინდიელი ველურებივით ფილოლოგიური კოცონის გარშე-  
მო — და გადაწყვიტა, ლიტერატურა მძულს და ეკონომიკაც კი სჯობია იმას,  
რასაც ამდენი დრო ტყუილუბრალოდ შევალეო. პრაქტიკა ხავერს ცენტრა-  
ლურ იპოთეკურ ბანკში ჰქონდა და მუდამ რაღაც მიზეზს პოულობდა იქიდან  
დილაობით „რადიო პანამერიკანში“ გამოძურწულიყო. იმ ფილოლოგიურ კომ-  
მარიდან, ძველ კოლექციონრობასთან რომ იყო დაკავშირებული. ჩვევად დარ-  
ჩა სული ამოებდა ჩემთვის ანდაზებით, როგორც იტყვიან, ყოველად უნამუსოდ  
და უსინდისოდ.

ფრიად გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ხულია დეიდას — ბოლივიელსა და  
ლა-პასის მცხოვრებს, პედრო კამაჩოზე აქამდე არაფერი სმენოდა. ეს კია,  
თქვა, მას აქეთ, რაც „საათთა ცეკვაში“ „ბინდბუდი“ ვითამაშე კოლეჯის დამ-  
თავრების წელს, სადაც ზედამხედველებად ირლანდიელ მონაზვნები იყვნენ  
(„ოღონდ არ მკითხო, რომელ წელსო, მარტო!“), არც ერთი რადიოდადგმა  
არ მომისმენია და ფეხი არ შემიდგამს თეატრშიო.

ჩვენ ძია ლუჩოს სახლიდან, რომელიც არმენდარისის ავენიდას ბოლოში

<sup>1</sup> გამოჩენილი პერუელი მწერალი (1833-1919).

იდგა, „ბარანკოს“ კინოთეატრისკენ მივდიოდით. ხულია დეიდამ ყოველად უსირ-  
ცხვილოდ მაიძულა დამეპატიებინა იგი კინოში. ეს იყო მისი ჩამოსვლის  
დღიდან პირველი ხუთშაბათი. მართალია, სულაც არ მეჭაშნიკებოდა ამ ქალს  
კვლავაც ჩემზე ესინჯა თავისი ბოლივიური ენამახვილებული მხედრობა. ძიასთან  
ტრადიციული „ხუთშაბათური“ სადილის გაცდენას დღიდანვე ვეჭვობდი.  
იმედი მქონდა, შინ არ დამხვდება-მეთქი, რამდენადაც წუხელ, ოთხშაბათ სა-  
ღამოს ყველანი ძალუა გაბის სტუმრები ვიყავით და ჩემი ყურით გავიგონე,  
ორტენსიამ რომ გამოაცხადა:

— ლიმაში ჩამოსვლის პირველივე კვირას ხულია ოთხჯერ იყო უკვე და-  
პატიებულნი და ოთხჯერვე სულ სხვადასხვა მამაკაცები ახლდა! ერთ-ერთი  
ყოლიანიც კია! აბა უყურე, როგორ ეწებებიან ქმარგაშვებულ ქალს! — თა-  
ნაც ისეთი კილოთი გამოაცხადა, თითქოს ღმერთებს გაენდოთ ეს საიდუმლო.

„პანამერიკანის“ ბიულეტენის გადაცემა დამთავრდა თუ არა, ნაშუადღევ-  
ზე უკვე ძია ლუჩოსთან დავერჭვე, სადაც ხულია დეიდას ერთ-ერთი თაყვანისმ-  
ცემელი დამხვდა. დარბაზში რომ შევედი და მის გვერდით ძია პანკრასიო და-  
ვინახე, ბებიაჩემის ბიძაშვილი, გამარჯვებული აშვიკით რომ მიჩერებოდა  
ბოლივიელ ქალს, შურისძიების ნეტარმა გრძობამ ამივსო გული. ძია პანკრა-  
სიოს ძველი მოდის კოსტიუმი ეცვა, ყელზე ბაფთა-პალსტუხი, სადილეში კი  
მიხაკი ეკეთა და ფრიად სასაცილოდ გამოიყურებოდა. ძია პანკრასიო უკვე  
რამდენიმე საუკუნის ქვრივი იყო; ისე გაფარჩხული დადიოდა, თითქოს ფეხე-  
ბის ნაცვლად ციფერბლატის ისრები ჰქონდა, ათ საათსა და ათ წუთს რომ  
აჩვენებდნენ. ოჯახში მის სტუმრობას მუდამ უსიამო კომენტარიები სდევდა:  
ვერა და ვერ შეეკავებინა თავი ყველას თვალწინ მოახლე არ დაეჩქმიტა. ძია  
პანკრასიო თმას იღებავდა, მოვერცხლილ ძეწკვიან ჯიბის საათს ატარებდა;  
მისი ნახვა ყოველდღე შეგეძლო საღამოს ექვს საათზე, ტელეგრაფის კუთხეში  
იდგა ხოლმე და სამსახურიდან დაბრუნებულ ყმაწვილ ქალებს ქათინაურებით  
აცილებდა. ხულია დეიდას საკოცნელად რომ დავიხარე, გესლიანად წავჩურჩუ-  
ლე: „მომილოცნია ეს ბრწყინვალე გამარჯვება!“ ხულია დეიდამ თვალი ჩა-  
მიკრა და დასტურის ნიშნად თავი დამიქნია. სადილის დროს ძია პანკრასიომ  
ერთხანს კრიოლურ მუსიკაზე გაახურა, რისიც დიდ მცოდნედ ითვლებოდა —  
საოჯახო დღესასწაულებზე უთუოდ სოლო უნდა შეესრულებინა გადმობრუნე-  
ბულ ცარიელ ყუთზე — მერე ბოლივიელ ქალს მიუბრუნდა და კატასავით ტუ-  
ჩების ლოკვით უთხრა: „ჰო, ბარემ, ხუთშაბათობით ყოველ საღამოს „ვიქტო-  
რიას“ სარდაფში — კრიოლიზმის გულისგულში — ფელიპე პინგლოს ანსამ-  
ბლი გროვდება. არ გინდა წმინდა პერუული პანგები მოისმინო?“ ხულია დე-  
იდამ მაშინვე სახე შეიწუხა, რამაც სიცრუე კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი  
გახადა, და ჩემზე ანიშნა თავით: როგორ მწყინს! მარტომ უკვე დამპატიეა კი-  
ნოშიო. „ახალგაზრდებისთვის დამითმია გზა!“ — თავი დახარა ძია პანკრასიომ  
სპორტსმენის წარბშეუხრელობით. მოგვიანებით, მისი წასვლის შემდეგ, როცა  
უკვე იმედი მომეცა, კინოში წასვლას გადავრჩი-მეთქი, ანაზღად ძალუა ოლ-  
გამ იკითხა: „კინოს ამბავი ხომ იმიტომ მოიგონე, ეს ბებერი მუსუსი მოგეცი-  
ლებინა თავიდან?“ ხულია დეიდამ კი ფიცხად მიუგო: „სულაც არა, დაიკო,  
ძალიანაც მინდა „ბარანკოს“ კინოთეატრში წასვლა, მეტადრე, რომ ქალიშვი-  
ლებისთვის ამ ფილმის ნახვა აკრძალულია“. შემდეგ მე მომიბრუნდა, ამ საღამოს  
ჩემი ბედის გადაწყვეტის ამბავს გულის ფანცქალით რომ ვუსმენდი, და დასამ-

შვიდებლად თავისი ენამზეობის თაიგულს კიდევ ერთი დიდებული ყვავილი მიამატა: „ფულზე არ შეწუხდე, მარიტო! მე დაგპატიებ“.

ჰოდა, ახლა მე და ხულია დეიდა არმენდარისის დაჩრდილულ ავენიდას მივეყვებოდით, შემდეგ გრაუს ავენიდას განიერ ფილაქნებზე გავედით ამ კინოფილმის სანახავად, რომელიც ყველაფრის გარდა მექსიკური იყო და მდგომარეობდა „საყვარელი“ ერქვა.

— ყველაზე მეტად ის კი არ მახარებებს, კაცებს რომ თავის მოვალეობად მიაჩნიათ ქმარგაყრილ ქალს მაშინვე აეკიდონ, — მამცნო დეიდა ხულიამ, — საშინელი ისაა, რომ ქმარგაყრილ ქალთან ყოველგვარი რომანტიკა ზედმეტი ჰგონიათ. თავსაც არ იწუხებენ სამაგიერო გრძნობები გაგიღვიძონ, დახვეწილი ქათინაურებით შეგამკონ. არა, ლამის პირველ ნახვიდანვე მოგცენ წინადადება, თანაც ყოვლად უსირცხვილო. მაგრამ მე ვერაფერს მომატყუებს, იმიტომაც სადღაც ვილაცასთან ცეკვას ისევ შენთან კინოში წამოსვლა ვარჩიე.

მადლობელი გახლავართ ამ არჩევანისთვის-მეთქი, მოვახსენე.

— კაცები ისეთი ბრიყვები არიან, ყოველი ქმარგაყრილი ქალი ქუჩის კახა ჰგონიათ, — განაგრძო ხულიამ, არც დაიმჩნია, გადაკრულს მიგიხვდიო. — ყველას ერთ სურვილი ჰკლავთ... არადა, ყველაზე სასიამოვნო განა ესაა... ყველაზე მშვენიერი ხომ სიყვარულია?

მე აფუხსენი, სიყვარული საერთოდ არ არსებობს-მეთქი, სიყვარული ვინმე იტალიელმა, სახელად პეტრარკამ და კიდევ პროვანსელმა ტრუბადურებმა მოიგონეს-მეთქი. ის, რასაც აღამიანები ვნებათა ღელვის ანკარა წყაროდ მიიჩნევენ, მშვენიერ გრძნობათა აფეთქებად — სხვა არა არის რა, თუ არ ინსტინქტი, კატებს რომ მოსდგამს, ინსტინქტი, რომელიც მხოლოდ ამალღებულ სიტყვებისა და ლიტერატურის სამოსელშია-მეთქი გახვეული. ჩემი სიტყვების თვითონ არ მჯეროდა, მაგრამ მინდოდა კია საოცრად ორიგინალურად მეჩვენებინა თავი. ჩემმა ეროტიულ-ბიოლოგიურმა თეორიამ ხულია დეიდა დიდად გააოცა: ნეტა თუ მართლა გჯერა ასეთი აბდაუბდისო?

— მე ქორწინება არა მწამს, — განვაცხადე ისე მტკიცედ, როგორც შემეძლო. — მე ეგროტოლოდებული თავისუფალი სიყვარულის მომხრე გახლავარ. ჩვენ რომ პატიოსანი ხალხი ვიყოთ, ამას უბრალოდ თავისუფალ შეწყვილებას დავუძახებდით.

— მაშ „შეწყვილება“ ახლა „სიყვარულობის“ ნიშნავს? — გაცინა მას, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სახეზე იმედგაცრუება გამოეხატა: — ჩემს დროს ქაბუკები ქალიშვილებს აკროსტიხებს უძღვნიდნენ, ყვავილებს უგზავნიდნენ, კვირები გავიდოდა, ვინემ კოცნას გაუბედავდნენ. რა საზიზღრობად აქციეთ ახლანდელმა ლაწირაკებმა სიყვარული, მარიტო!

სალაროების წინ ბევრი ვიდავეთ, ვინ იყიდდა ბილეთებს. მერე საათნახევარი მოთმინებით ვუცქირეთ დოლორეს დელ რიოს<sup>1</sup> ეიშსა და ოხვრას ეკრანზე, კოცნა-ხვევნას, ქვითინს, მის თმაგაშლილ ქრიალს სელვაში და ისევ ფეხით გამოვბრუნდით ძია ლუჩოს სახლისკენ. წვიმა დაიწყო, უხმაუროდ გვაშხუმფლავდა თმასა და სამოსზე. ისევ პედრო<sup>1</sup> კამაჩოზე გავაბით საუბარი. ნუთუ მართლა არ გაუგია მისი სახელი? ხენაროს ვაყის მოწმობით მისი სახელი მთელ ბოლივიაში ჰქუხდა. არა, დეიდა ხულიას არაფერი სმენია მასზე, არც მისი

<sup>1</sup> ცნობილი მექსიკელი კინომსახიობი ქალი 40-50 წლებში.

გვარი გაუგია ოდესმე. გულში ვიფიქრე, ან ხენარო ზორბად გააცურეს, ან ბოლივიის ეგრეთწოდებული რადიოთეატრალური ინდუსტრია საკუთარი მონაგონია, რათა ეს უცხოელი მეღაბნელი უფრო მოგვაწონოს-მეთქი. მაგრამ არ გასულა სამი დღე, რომ პედრო კამაჩოს პიროვნება საკუთარი თვალით ვიხილე.

იმ დღეს დიდი უსიამოვნება მომიხდა ხენარო მამასთან იმის თაობაზე, რომ სტიქიურ უბედურებათა სიყვარულით შეპყრობილმა პასკუალმა თერთმეტი საათისთვის გამზადებული მთელი რადიოცნობები ისპაპანში მომხდარ მიწისძვრას მიუძღვნა. ხენარო მამა იმან კი არ გააცეცხლა, პასკუალმა იმის დაწვრილებით საამბობლად, კატასტროფის მერე დანგრეულ ბუდეებიდან გამომძვრალი მოსისინე გველები როგორ დაესხნენ თავს სპარსელებს, სხვა ყველა ახალი ამბავი რომ უგულვებელპყო, არამედ იმან, რომ ეს მიწისძვრა ერთი კვირის წინ იყო მომხდარი. იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ ხენარო მამა ბოლოს და ბოლოს მართალი იყო და პასკუალი ისე გავლანძღე, კაცს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხმაც კი ჩამეხლიჩა, არა, მაინც საიდან გამოატყვირინა ასეთი ცინცხალი ამბავი? რომელ არგენტინულ ჟურნალიდან? ან რამ მოაფიქრებინა ამ სისულელის ჩადენა? თურმე იმან, რომ სხვა მნიშვნელოვანი არაფერი იყო, ეს ცნობა კი, ასე თუ ისე, კაცს გაიტაცებდა. როცა პასკუალს ავუხსენი, ფულს მსმენელთა გართობისთვის კი არა, დღის მანძილზე მომხდარ ამბავთა მიმოხილვაში გვადღევენ-მეთქი, მან შემწყნარედ გადააქნია თავი და უდავო საბუთი მომახალა: „საქმე ისაა, დონ მარიო, რომ ჩვენ სხვადასხვა თვალთ ვუყურებთ ჟურნალისტიკას“. ის იყო უნდა მეთქვა, თუ შენსას დაიყინებ და ჩემ ზურგს უკან „მსმენელთა დაფრთხობის“ პრინციპებს გამოიყენებ ჟურნალისტიკაში, ძალიან მალე — და თანაც ორივე ერთად — ქუჩაში ამოვჩნდებით-მეთქი, რომ უცებ ჩვენ ჯიხურის კართან ვილაცის ლანდი დავინახე. ეს იყო პატარა, გამჭლეული არსება, თითქმის ქონდრისკაცი, ვეება ცხვირისა და საოცრად ცოცხალი თვალების პატრონი. ეცვა საკმაოდ შელანძღული შავი კოსტიუმი, დალაქული პერანგი და ეკეთა ასევე დალაქული ბაფთა-ჰალსტუხი, თუმცა მის ჩაცმულობას რაღაც კეთილშობილება, საკუთარი ღირსების გრძნობა და სიღარბაისლე დაჰკრავდა იმ კაბალიეროების დარად, ძველი ფოტოსურათებიდან რომ შემგვცქეროიან ხოლმე თავიანთ უზადო სერთუკებსა და ცილინდრებში გამოწყობილნი. ერთი შეხედვით ვერც გაარკვევდი, რამდენი წლისა იყო, შეიძლება ოცდაათიც მიგეცა და ორმოცდაათიც. შავი გაპოხილი თმანხრებამდე ჩამოზრდოდა. სიარული, მიმოხვრა, გამომეტყველება — ყველაფერი არაბუნებრივი, შებოჭილი ჰქონდა და უნებურად მექანიკურ თოჯინასა თუ მარიონეტს მოგაგონებდათ, ძაფებით რომ ამოძრავებენ. ამ არსებამ ფრიად ზრდილად დაგვიკრა თავი და ისეთივე უჩვეულო მედიდურობით, როგორც გარეგნობა ჰქონდა, ასე მოგემართა:

— შე მინდა საბუტდი მანქანა წაგართვათ, სენიორებო. ფრიად მადლიერი დაგრჩებით, თუ დამეხმარებით და მეტყვით, რომელი მანქანა სჯობია? — და საჩვენებელი თითი ჯერ ჩემს მანქანას მოაშვირა, მერე პასკუალისას. თუმცა კი ვიყავ მიჩვეული, რომ შეიძლება ადამიანის ხმა და გარეგნობა ერთმანეთის არეთანხმიერებოდეს „რადიო სენტრალის“ სტუდიაში ჩემი ხშირი სტუმრობის წყალობით, მაგრამ მაინც განმაცვიფრა, ამ პაწია უმწეო სხეულიდან როგორ შეიძლება ამოსულიყო ეგზომ ბოხი, ეგზომ მეღერი ხმა, ისიც ასეთი გასაოც-

რად დიდებული გამოთქმით. გეგონებოდა, ხმა არა მარტო მკაფიოდ გამოთქვამდა ყოველ ბგერას, იგი ბგერის ყოველ ნაწილს გამოაცალკევებდა, ბგერის ყოველ ატომს სხვადასხვა ელფერს აძლევდა, ხაზს უსვამდა ყოველნაირ ედერადობას. ყურადღებაც არ მიუქცევია, რაოდენ გაგვაკვირვა მისმა ყველაფერმა მამემ და ხმამ, ფრიად მოუთმენლად დაუწყო სინჯვა და ღამის ყნოსვაც კი ჩვენს საბეჭდ მანქანებს და ბოლოს ჩემს ძველთაძველ, კატაფალკასავით უშველებელ „რემინგტონს“ დაადგა თვალი, რომლისთვისაც წლებს არა კვალი არ დაუტყვია. პასკუალმა პირველმა იფეთქა.

— თქვენ რა, ყაჩაღი ხართ? ვინ ბრძანდებით მართლა და მართლა? — და ისე ეძგერა შემოსულს, მივხვდი, ისპაპანის კატასტროფისთვის პატიების გამოთხოვა უხდოდა ჩემგან. — ან იქნებ გგონიათ, ასე უბრალოდ შეგიძლიათ წაიღოთ საინფორმაციო სამსახურის მანქანა?

— ხელოვნება უფრო მაღლა დგას მაგ შენს საინფორმაციო სამსახურზე, საფრთხობელავ, — მიაგება პასუხი უცნობმა და პასკუალს ისე გადახედა, როგორც გასრესილ მწერს, მერე დაბნეული პასკუალის თვალწინ, რომელიც ჩემსავით ცდილობდა მოესაზრებინა, „საფრთხობელა“ რატომ უწოდეს, გაჭირვებით ააგლიჯა საბეჭდი მანქანა მაგიდას. კაცუნას კისერზე ძარღვები დაებერა, თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა. სახე ნელ-ნელა მწიფე ბროწეულივით გაუწითლდა, ვიწრო შუბლი ოფლმა დაუცვარა, პირმოკუმულმა ბარბაც-ბარბაცით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი კარისკენ, მაგრამ იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა: კიდევ წამი და მანქანიანად იატაკზე მოადენდა ზღართანს. მაშინ „რემინგტონი“ მან პასკუალის მაგიდაზე დადგა და, სული რომ მოითქვა, საყვედურით გვითხრა — არაფრად ჩაუგდია, მე და პასკუალს რომ ამ წარმოდგენამ ღიმი მოგვგვარა (პასკუალმა შუბლზეც კი მიიღო თითი იმის ნიშნად, გიჟთან გვაქვს საქმეო):

— ასეთი უგულობა არ გეკადრებათ, სენიორებო, სულ ცოტათი მაინც შეიცოდეთ ადამიანი და მომეშველეთ!

სამწუხაროა, მაგრამ „რემინგტონის“ აქედან გატანას მხოლოდ პასკუალის და უკიდურეს შემთხვევაში ჩემი გვამის გადაბიჯების შემდეგ შეძლებთ-მეთქი, ვუთხარი. კაცუნა იმ წუთს გვერდზე მოქცეულ პალსტუხს ისწორებდა. ჩემდა გასაკვირად, წყენით დამანჭა სახე და მედიდურად, იუმორის ნატამალის გარეშე მომიგო:

— კეთილშობილი წარმოშობის კაცი ბრძოლაზე უარს არასოდეს იტყვის. სად და როდის ინებებთ, კაბალიერო?

კიდევ კარგი, ხენაროს ვაჟის მოსვლამ ჩაშალა ის მოლაპარაკება, დუელის წინ უკანასკნელ შეთანხმებას რომ ჰგავდა. იგი იმ დროს შემოვიდა, როცა ეს უჯიათი კაცუნა, მთლად გალილისფერებული, ხელახლა ჩაებლაუჭა ჩემს „რემინგტონს“.

— გაუშვით, პედრო, მე მოგეხმარებით, — უთხრა ხენაროს ვაჟმა და ასანთის კოლოფივით აიტაცა მანქანა. მაგრამ ჩვენ რომ შემოგვხედა, მიხვდა, მომხდარი ამბის ახსნა იყო საჭირო, და ღიმილით გვანუგეშა: — ნუ გეშინიათ, არ დაიღუპებით! მამა ამ დღეებში აგინაზლაურებთ მანქანას.

— როგორც ყოველთვის, ყველაზე დაბალი ღობე ისევ ჩვენ გვნახეს, — ვცადი აღშფოთება, იხტიბარი რომ არ გამეტება: — ის არ კმარა, ამ ჭუჭყიან ჯიხურში შეგვრეკეთ სახურავზე! ის არ კმარა, საწერი მაგიდა წამართვით და

ბულალტერს მიეცით! ახლა ჩემი „რემინგტონი“ არ გინდათ შემარჩინოთ. გაგეფრთხილებინეთ მაინც!

— ჩვენ ეს სენიორი ყაჩალი გვეგონა, — მხარი ამიბა პასკუალმაც. — შემოგვივარდა, გაგვლანძლა, გვეგონება, ამის უფლება აქვს!

— კოლეგებს შორის ჩხუბი ვის გაუგია, — განაცხადა ბენაროს ვაჟმა სოლომონ ბრძენივით და ჩემი საბეჭდი მანქანა მხარზე შეიგდო — შევამჩნიე, კაცუნა ჩვენს პატრონს ილლიამდე სწვდებოდა. — განა მამაჩემმა ერთმანეთს არ გაგაცნოთ? თუ ასეა, მე გაგაცნობთ თქვენდა სასიამოვნოდ.

იმავ წუთს კაცუნა მომეახლა, დასაქოქ მანქანასავით ხელი ასწია, ბავშვივით პატარა ხელისგული გამომიწოდა, დიდი ამბით თავი დამიკრა და უმშვენიერესი ტენორით მაუწყა:

— თქვენი მეგობარი და მონა მოჩრჩილი პედრო კამაჩო. ბოლივიელი და მსახიობი.

მერე პასკუალს მიუბრუნდა იგივე სიტყვებითა და ისევე დაუკრა თავი. პასკუალი ისე წახდა და დაიბნა, ვერაფრით ვერ მიხვდა — დასცინოდა ეს ქონდრისკაცი თუ მართლა ასეთი იყო ბუნებით. პედრო კამაჩომ დახვეწილი თავაზიანობით ჩამოგვართვა რიგრიგობით ხელი. იგი შუა ოთახში იდგა და ბენაროს ვაჟი მის გვერდით მართლა დევად მოჩანდა ამ ჩვენს სხვენზე. მერე კი ზედა ტუჩი ასწია, სახე დაპრანჭა, რამდენიმე ყვითელი კბილი გამოაჩინა — ეს ალბათ ღიმილს ნიშნავდა, თუმცა უფრო საცოდავ მანქვას ჰგავდა — და წამიერი ღუმილის მერმე შემდეგი მუსიკალური ფრაზით მადლობა გადაგვიტადა:

— თქვენზე არ ვბრაზობ, უკვე მიჩვეული ვარ, ადამიანებს რომ ჩემი არ ესმით. მშვიდობით, ბატონებო, და სამუდამოდ! — ხელი ისე აიქნია, ილუზიონისტი რომ აიქნევს საზოგადოებასთან დამშვიდებისას და ქინკასავით ხტუნვა-ხტუნვით გასდია ჩვენს იმპრესარიოს, პროგრესის ქომავს, რომელიც მხარზე შეგდებული „რემინგტონით“ დინჯად მიალაჭებდა ამწესაკენ.

II

გაზაფხულის ერთ მზიან დღიას, როცა ნემსიწვერა უფრო ხასხასა, ვარდები უფრო სურნელოვანი, ბუგენვილევები უფრო ხვიარა ჩანს ღიმაში, ექიმ ალბერტო დე კინტეროსს — ლამპარს მედიცინისას — შუბლგაშლილს, არწივისცხვირას, თვალგამჭრიახს, სულით მტკიცეს — თვისი ხალვათი ბინა-სამყოფლის საძინებელში გაედვიდა სან-ისიდროს უბანში. უაღუზებიდან დაინახა მზისგან ოქროსფრად აელვარებული ბაღახი, ცოცხალი ღობით შემორტყმული მოვლილი ბაღი, მოკრიალებული ცა, ტურფა ყვავილები, და ისეთ მშვენიერ გუმბაზე დადგა, რვა საათი გემრიელი ძილი და უმწიკვლო ხინდისი რომ მიანიჭებს ადამიანს.

ამ შაბათ დღეს შეეძლო აღარ წასულიყო კლინიკაში, თუკი რაიმე არ გაურთულდებოდა იმ ხინიორას, სამტყუპი რომ დაებადა. დილა ვარჯიშისთვის შეეწირა და საუნაშიც ოფლი ედინა ელიანიტას ჭვრისწერაზე წასვლამდე. მისი ცოლი და ასული ევროპაში ბრძანდებოდნენ ერუდიციის გასამდიდრებლად და შესამოსლის განსაახლებლად, ისე რომ, ამ თვის ბოლომდე არც ჩამოვიდოდნენ. სხვა მის ადგილზე, მისი ქონების და გარეგნობის პატრონი — თმა აქა-იქ



თუ შეჭირბლოდა, ტანს მოქნილობა არ დაჰკარგოდა, მიმოხვრას — სიკობტავე და სინატიფე (ყოფლად უკარება ბანოვნებიც კი შურიან თვალს ვერ აცილებდნენ) — სხვა მის ადგილას-მეთქი, ვიმეორებ, დიახაც ისარგებლებდა დროებითი თავისუფლებით და ძველებურად გაჰკრავდა. მაგრამ ექიმ ალბერტო დე კინტეროსი იმ კაცთაგანი არ გახლდათ, ვისაც ბანქო, ქაღებოქი და სხვა იმაზე მეტად ხიბლავდა, ვინემ ღმერთს დაედგინა, ისე ტრე, „შინს მსკუნობთა შორის — მათი რიცხვი კი ღეგიონი იყო — ეს აფორიზმი პირიდან პირში გადადიოდა: მისი ცოდვანი — მეცნიერება, ოჯახი და ვარჯიშიაო.

ვიდრე ექიმის ბრძანებით საუზმეს მოამზადებდნენ, კლინიკაში დარეკა. როცა მორიგე ექიმმა მოახსენა, სამტყუპის დედას ღამით მშვიდად ეძინა, ხოლო იმ ქალს, ვისაც ფიბრომის ოპერაცია გაუკეთდა, სისხლისდენა შეუწყდაო, დე კინტეროსმა ჯეროვანი დარიგებანი მისცა, შეახსენა, აუცილებლობის შემთხვევაში „რემიხიუსის“ სავარჯიშო დარბაზში დამირეკეთ, ან — სადილობის უამს — ჩემი ძმის რობერტოს სახლშიო, და ისიც დასძინა, საღამოს საავადმყოფოში შემოვივლიო. მაჟორდომმა რომ პაპიას წვენი, შავი ყავა და თაფლიანი შებრაწული პურის ნაჭერი მოართვა, ალბერტო დე კინტეროსი უკვე გაპარსული და ჩაცმული დახვდა. ემოსა რუხი ველვეტის შარვალი, უქუსლო მოკახინები და მაღალსაყელოიანი მწვანე ქურთუკი. საუზმობისას უბედურ შემთხვევებსა და ინტრიგებს ჩაჰკრა თვალი დილის გაზეთებში, მერე თავისი პატარა სპორტული ჩემოდანი აიღო და შინიდან გავიდა. ბაღში წამით შეყოვნდა, წმიდა სისხლის ფოქსტერიერ პუკს მიეაღერსა, მხიარული ყეფით რომ შემოეგება.

„რემიხიუსის“ სავარჯიშო დარბაზი მიგელ დასოს ქურჩაზე იყო, მისი სახლიდან რამდენიმე უბნის მოშორებით. ექიმს დიახაც ეამა ფეხით გავლა. ნელა მიაბიჭებდა, თავის უბნელებს ესალმებოდა და ბაღებში იჭვრიტებოდა, სადაც ნებადენი უკვე რწყვასა და ბურჩების კრეჭას შედგომოდნენ. კასტრო სოტოს წიგნების დუქანთან, როგორც ყოველთვის, შეჩერდა რომელიმე ბესტსელერის შესარჩევად. ჯერ კარგა ადრე იყო, მაგრამ დევორის კაფესთან უკვე თავი მოეყარათ ხალათებჩახსნილ თმაფაფარა ყმაწვილების ჯგროს. მოტოციკლეტებსა თუ ბამპერებიდან ჩამოუსვლელად მიირთმევდნენ ნაყინს, ლაზლანდარობდნენ და ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, ამ ღამით სად მოვილხინოთო. ყმაწვილები რიდით მიესალმნენ ექიმს, მაგრამ ჩაიარა თუ არა, ერთმა თავხედმა ზურგში მიაყოლა: „შვილიშვილები შეიცოდეთ, ექიმო, თავს ნუ მოიკლავთ!“ — რაიც არაერთხელ მოუსმენია თავისი ასაკისა და გატაცების გამო სავარჯიშო დარბაზშიაც და რასაც გმირულად უღაპავდა მუდამ. არც ახლა გაუბარტყუნებია ყური ამ ქილიკობაზე. იმ წამს თვალწინ ელიანიტა ედგა საქორწინო კაბაში, „კრისტინ დიორის“ პარიზულ მოდელების სახლმა რომ შეუკერა დაკვეთით. ჰოი, რა ლამაზი იქნება!

იმ დილას დარბაზში ხალხი ბევრი არ იყო: მხოლოდ კოკო მწვრთნელი და კიდევ ძალოსნობის ორი გიფი — ზანგო უმილია და პერიკო სარშიენტო. ეს სამი კაცი რომ შეგეერთებინა, სამი იმისთანა კუნთების მთა დადგებოდა, ათ ჩვეულებრივ კაცს ეყოფოდა. ეტყობა, ისინიც ახლახან მოსულიყვნენ, ჯერ კიდევ არ შეხურებულყვნენ.

— აგერ ჩვენი უარყატიც მობრძანდა ახალშობილთა გარეშე. — მაგრად ჩამოართვა ხელი ექიმს კოკომ.

— რამდენი საუკუნე უნდა გასძლოს კაცმა, — ხელი დაუქნა ზანგო უმილიამ.

პერიკომ კი მარტო ენა გააწყლაპუნა და ორი თითი — შუა და ხარვენე-ბელი ასწია, ეს მისაღმება ტეხასიდან ჩამოეტანა. ეამა ექიმს, მისთვის შინაურული კილო, ამ სავარჯიშო დარბაზში თავის თანამებრძოლებს — ეს ჩვეულება, თითქოსდა ოფლის ერთად ღვრამ და სიშიშველემ ერთი ძმობის წევრები გახადა უველა, სადაც არც ასაკში განსხვავება არსებობს და არც საზოგადოებრივ მდგომარეობაში. ექიმმა პასუხად მიუგო, რომ მუდამ მზადაა გაჭირვებისას დაეხმაროს უველას, თუკი თავბრუ დაეხვა რომელიმეს ან გულნაკცევად შეიქნა, თავის კაბინეტში საგანგებოდ ინახავს მათთვის კაუჩუკის რბილ თათმანს.

— გადაიცვი და მიდი warm up-ს<sup>1</sup> შეუდექ, — მიუბრუნდა კოკო ექიმს და ისევ განაგრძო ხტუნვა.

— ინფარქტიც რომ დაგემართოს, ვეტერანო, მოკვდები, ხხვა არაფერი, — გაამხნევა პერიკომ და კოკოს აბყვა ხტუნვაში.

— მანდ უკვე სერფისტი გეღის, — მოეხმა გასახვლეღისკენ გაშურებულ ექიმს ზანგო უმილიას ხმა.

იქ მართლაც რიჩარდი დახვდა, მისი ძმისწული. ლურჯი სვიტრი უკვე ჩაეცვა და ახლა სპორტულ ჩუხტებს იცვამდა, მაგრამ ისე ზანტად კი, თითქოს ნაჭრის ხელები შქონოდეს. თავ-პირი ჩამოხტიროდა. გამოცარიელებული ცისფერი თვალებით ბიძას ისე გულგრილად მისჩერებოდა, ექიმი კინტეროსი კიდევ შეშფოთდა — უჩინმაჩინი ხომ არ გავხდომ?

— მარტო მიჯნური თუა ასე უგულისყურო, — მიუახლოვდა ექიმი ჭაბუკს და თმა აუჩეჩა, — მიწაზე ჩამოხტი, ძმისწულო.

— უკაცრავად, ბიძაჩემო, — გამოერკვა რიჩარდი და წინაქასავით გაწითლდა, თითქოსდა დანაშაულზე წაასწრეს. — ფიქრმა წამიღო.

— ნეტა მაცოდინა, რა ოინებზე ფიქრმა, — გაეცინა ექიმს, ჩემოდანი გახსნა და, ვინემ გაიხდიდა, თავის სამოსისათვის უჭრა შეარჩია, — თქვენთან აღბათ უველაფერი უირაზე დგას, არა? ეღიანიტა ძალიან ღელავს?

ანაზღად ბიჭმა ისეთი სიძულვილით შეხედა, ბიძამ კიდევ გაიფიქრა, ხომ არაფერი ვაწყენინეო? მაგრამ ძმისწულმა თავს ძალა დაატანა და ვითომ ბუნებრივად გაიღიმა.

— ჰო, მართლაც უველაფერი უირაზეა. მიტომაც მოვედი აქ ქონის ჩამოსაყრელად, ვიდრე...

„...ეშაფოტზე არ წამიყვანესო“, ეგონა ექიმს დაამატებდა ძმისწული, ისეთი გაბზარული ხმა შქონდა და ისეთი ნაღველი ეწერა სახეზე. თუ აქამდე ზონრების შესაკრავად ძლივას ანძრევდა თითებს, ახლა მისი გაშმაგებული მოძრაობანი შფოტს, შინაგან ჭიდილს და, ასე გახინჯეთ, სასოწარკვეთილებასაც ამხელდა. თვალები შიშით ავსებოდა. ხან აქეთ-იქით აცოცებდა, ხან ერთ წერტილზე გაუშტერდებოდა, ხან ისევ აქეთ-იქით გაექცეოდა, თითქოს რაღაცის ეძებსო. ლამაზი ბიჭი იყო რიჩარდი, მზისა და ზღვისაგან ბრინჯაოსფრად გარუჭულ ყრმა ღმერთს ჰგავდა მართლა. ზამთრის ავდრიან დღეებშიაც კი თავის ფიცრით — სერფათი დაშქროდა ტალღებზე, უყვარდა კალათბურთი, ტენისი, ცურვა, ფეხბურთი — ერთი სიტყვით, ერთი იმ ბიჭთაგანი იყო, ვისი ტანიც უველა-

<sup>1</sup> გასახურებელი ვარჯიში (ინგლ.).

ნაირი სახის სპორტს ჩამოეჭნა და ვისაც ზანგო უშილია „პედერასტების რის-ხვას“ ეძახდა: ქონის ნასახიც არსად ეტყობოდა მის ვანიერ მხრებს, გამობურ-ცულ მკერდს, წვრილ წელს, ხოლო გრძელი, დაკუნთული მარდი ფეხები მოყ-რივესაც კი შურით გაამწვანებდა. ბევრჯერ გაუგონია აღმშენებლის კონტე-როსს, მისი ასული ჩარო თავის დაჭაღებთან ერთად ჩარლსტონში წავიდა რომ ადარებდა ჭაბუკს და ამტკიცებდა, რიჩარდი კიდევ უფრო ლამაზიაო. ამ სიტყ-ვებზე ყაყაჩოსავით წითლდებოდა ხოლმე ბიჭი. საარქიტექტურო ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდა რიჩარდი. მისი მშობლების, რობერტოსა და მარგა-რიტას თქმით, რიჩარდი მუდამ სამაგალითო ყმაწვილი იყო, მეცადინი, დამ-ჯერი, დედ-მამისა და დის მოყვარული, კენტეხით მაგარი და უველასთვის საყ-ვარელი. ელიანიტა და რიჩარდი უსაუვარლესი ძმისწულები იყვნენ ექიმის.

ამიტომაც ვინემ სვიტრს, ჩუსტებს ჩაიცივამდა და ქამარს შეიკრავდა, ხო-ლო შხაპთან მდგარი რიჩარდი მის ცდაში შორენკეცვებზე თითებს აკაკუნებდა, ცოტა არ იყოს შეშფოთებული გაბყურებდა ბიჭს.

— რამე უსიამოვნება ხომ არ შეგემთბვა, ძმისწულაო? — ვითომ სხვათა შორის ჰკითხა გულთბილი დიმილით. — იქნებ ბიძაშენი დაგებმაროს რამეში?

— რა უნდა შემთბვეოდა, რამ გაფიქრებინა? — საჩქაროდ მიაგება რი-ჩარდმა და ისევ წამოპილპილდა. — თავს ღმერთივით ვგრძნობ და სული მიმ-დის, ვინემ ძალას დავხარჯავდე.

— შენს დაიკოს თუ მიაჩვენეს ჩემი საჩუქარი? — ანაზღად მოაგონდა ექიმს. — მურგიეს მალაზიის დაპირებით გუშინვე უნდა მიეტანათ.

— გადასარევი სამაჭურია! — რიჩარდი უკვე ხტუნავდა გასახდელის ფილებზე. — ციციქნას ძალიან მოეწონა.

— მაგისთანა საქმეებს ძალუაშენი აბაშს თავს, მაგრამ რაკილა კვლავაც ევროპაში დახეირნობს, თავად მომიხდა არჩევა. — გრძობამორეულმა ექიმმა ხელები გაშალა. — ელიანიტა საქორწინო კაბაში მართლაც საოცრება რამ იქ-ნება!

მისი ძმისშვილი ელიანიტა ისეთივე უბადლო იყო თავის ტოლ ყმაწვილ-ქალებში, როგორც რიჩარდი ჭაბუკთა შორის. ასეთი მზეთუნახავები იყვნენ მუ-დამაც კაცობრიობის სიამაყე და ნათელპყოფდნენ, თუ რა ხაცოდავად ისმის ისეთი შედარებები, როგორცაა მარგალიტივით კბილებიო, ვარსკვლავივით თვალებიო, მწიფე თავთუნის ფერი ნაწნავებიო, ატმისფერი დაწვებიო.

ღერწამივით წვრილი, საოცრად მოქნილი ტანი, ურწყვი შავი თმა, ბრო-ლივით პირისკანი ჰქონდა ელიანიტას, სუნთქვაც კი ნაწზე უნაწესი. ეს კლასი-კური ნაკვთები თითქოს აღმოსავლური მინიატიურების მხატვრის კალამს გა-მოეყვანა. რიჩარდზე ერთი წლით უმცროსმა კოლეჯი ესაა დაამთავრა. ერთად-ერთი მისი ნაკლი საოცარი სიმორცხვე იყო. მისმა სიმორცხვემ ლამის სასო-წარკვეთილებამდე მიიყვანა „მის პერუს“ სახელზე გამართული კონკურსის ორგანიზატორები, როდესაც ვერამც და ვერამც ვერ დაიყოლიეს კონკურსში გამოსულიყო. ვერავის აეხსნა, მათ შორის ექიმს კინტიროსსაც, ასე რად იჩქარა გათხოვება ელიანიტამ და თანაც ვისზე... არა, წითურა ანტუნებს, ცხადია, ვარ-კვეული ღირსებანიც ჰქონდა. დამყოლი ბიჭი იყო, მენეჯერის დიპლონი ჰქონ-და ჩიკაგოს უნივერსიტეტში მიღებული, მემკვიდრეობით სახუჭის წარმოების

18734

1 ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი.

საქ. ხს. კ. მარტენი  
სახ. სახ. ნიქოზა  
ბმ. ლ. ი. თევზა

კომპანია ერგო, თანაც ველოსტოლებზეც რამდენიმე საპრიზო თასი მოიხვეჭა. მირაფლორესისა და სან-ისიდროს ჭაბუკებს შორის, ელიანატას რომ ირგვლივ ეხვეოდნენ და მისი ქმრობა გულისთვის არა სიაცვაცეს არ დაერიდებოდნენ, წითურა უთუოდ ყველაზე ცუდი არჩევანი გახლდათ, თანაც (ექიმს კიდევაც შერცხვა, ასე რომ სჯიდა იმ უმაწვილს, ვინც ერთი-ორი საათის შემდეგ მისი ნათესავი გახდებოდა) ყველაზე უნიჭო, ჩლუნგი და დოყლაპია.

— დედაჩემზე უფრო დიდხანს ეწყობი, ბიძაჩემო, — დაიჩივლა რიჩარდმა, თუმცა ხტუნვა არ შეუწყვეტია.

სავარჯიშო დარბაზში კოკო, ვის პედაგოგიური ნიჭს პროფესიონალური მოვალეობა დაეძლია, ზანგო უმილიას მუცელზე უთითებდა და ასე არიგებდა:

— ჭამ, მუშაობ, კინოში ზიხარ, გოგოსთან ერთობი თუ სვამ, — შენი ცხოვრების ყოველ წუთს, კუბოშიაც კი არ დაივიწყო: მუცელი შეიგდე!

— ათი წუთი warm up, ძვლები რომ შეგინჯდრიოს, მათუისალო! — ბრძანა მწვრთნელმა.

სახტუნავ თოკზე რომ ხტოდა რიჩარდის გვერდით და სხეულში ნელ-ნელა დაუარა საამურმა სითბომ, ექიმმა გაიფიქრა: მიუხედავად ყველაფრისა, არც ისეთი დიდი უბედურებაა კაცმა უკან ორმოცდაათი წელი მოიტოვო, თუკი ძალას არ უღალატნია. მისი ტოლებიდან აბა რომელი ერთი დაიკვებებს, ღიბი არ დამდებია, კუნთები კვლავაც მითამაშებსო? თუმცა რაღა ასე შორს მიდის: რობერტო, მისი დვიძლი ძმა — მასზე სამი წლით უმცროსი — ათი წლით უფროსი გეგონება, ისე ჩამრგვალდა, გაფიჟინდა და მოიხარა. საწყალი რობერტო, ალბათ ისიც დააღონა ამ ქორწინებამ, ელიანატა ხომ მისი თვალისჩინი იყო. რაც უნდა თქვა, და გათხოვება შვილს გაკარგვინებს. აგერ მისი საკუთარი ასული ჩარო ყოველ წუთს შეიძლება გათხოვდეს; მიიღებს მისი სატრფო ტატო სოლდევიალია ინჟინრის დიპლომს და ექიმსაც ასევე ჩაწყდება გული, თავს ბებრად იგრძნობს. მჩატედ იქნევდა ექიმში სახტუნელას, ნავარჯიშევი იყო და იმიტომ, ერთხელაც არ არევია ფეხი, არ დაურღვევია რიტმი, ფეხებს ისე ანაცვლდებდა, ხელებს ისე აჯვარედინებდა და შლიდა, როგორც გამოწვრთნილი სპორტსმენი. სარკეში ხედავდა თავის ძმისწულს, რომელიც გიჟივით ხტოდა, თუმცა ფეხიც ერეოდა და რიტმსაც არღვევდა. უბები მაგრად მოეკუმა ბიჭს, შუბლზე ოფლის წვეთები ასხდა, თვალები დაეხუჭა, თითქოს გულისყურის მოკრეფა უნდაო. ნეტა რა აწუხებს? ვინმე ლამაზმანის ბრალი ხომ არაა?

— გეყოფათ ხტუნვა, მუქთახორებო, — თუმცაღა კოკო პერიკოსა და ზანგო უმილიასთან ერთად სიმძიმეებს სწევდა, ექიმსა და მის ძმისწულს თვალს არ აშორებდა, ელოდა, ვინემ კარგად შეხურდებოდნენ. — აბა ახლა მჯდომელა სავარჯიშოებს შეუდევით, დაუყოვნებლივ, სამ-სამქერ, სამარხის ძვლებო!

მუცლის კუნთების სავარჯიშოები ექიმისათვის ძალის გამოცდა იყო, გასაოცარი სისწრაფით გადაწვებოდა ზურგზე, კისერზე ხელებშეგოჭდობილი. ოღონდ ისე, იატაკს არ შეხებოდა, მერე მუხლები ლამის შუბლთან მიჰქონდა. სავარჯიშოთა ყოველ წყებას — სავარჯიშო კი ოცდაათი იყო — წუთიერი შესვენება მოსდევდა, როდესაც იატაკზე გაიშხვართებოდა აქლოშინებულნი. ოთხმოცდაათი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ ექიმში წამოქდა და კმაყოფილებით შეამჩნია, რიჩარდი რომ კარგა უკან მოეტოვებინა, თუმცა თავით ფეხამდე ოფლი სდიოდა და გულიც გამალებით უცემდა.

— ვერაფრით ვერ გამიგია, ამ წითურა ანტუნებს რამ გააყოლა ელიანიატა? — ანაზღად თავისი ხმა მოესმა ექიმს. — ნეტა რა ნახა ამ ბიჭში? — ეს რამ მათქმევინაო, მაშინვე ენაზე იკბინა ექიმმა, რაღა აზრი აქვსო, მაგრამ რიჩარდს არ გაძვირვებია ეს კითხვა.

— ამბობენ, სიყვარულმა დანდობა არ იცისო, ბიძაჩემო <sup>ერონესული</sup> ~~მეტი~~ მან ქოშინ-ქოშინით, რადგან ის წუთია სავარჯიშოებს შორჩა.

— ჩინებული უმაწვილია, მჭერა, გოგონას გააბედნიერებს, — შეეცადა საქმის გამოსწორებას ცოტა არ იყოს ნირწამხდარი ექიმში. — იმის თქმა მინდოდა მხოლოდ, რომ შენს დას ღიმის საუკეთესო ჭაბუკები შესტრფოდნენ. არადა, უველას უარი სტკიცა წითურას კი დათანხმდა — კი, კი, კარგი ბიჭია, ოღონდ ისეთი, ისეთი...

— შენ გინდა თქვა, დოყლაპააო? — მიეშველა რიჩარდი.

— არც ასე მკვახედ ვიტყოდი, — ექიმი ხან ჩაისუნთქავდა, ხან ამოისუნთქავდა, ხელეხსაც ხან შლიდა, ხან აჯვარედინებდა. — მაგრამ, მართალი გითხრა, ბუდიდან გადმოვარდნილ ბაბალასა ჰგავს. სხვების შესაფერისი იქნებ კი იყოს, მაგრამ ელიანიატა... ელიანიატა ხომ ისეთი ლამაზია, ისეთი ჭკვიანი. საწყალი, ბევრჯერ გამწარდება ალბათ მაგის ხელში — ექიმს შერცხვა თავისი გულახდილობის. — თუმცა შენ გულთან ახლოს არ მიიტანო, ძმისწულო.

— არხეინად იყავ, ბიძაჩემო, — გაელიმა უმაწვილს. — წითურა კაი ბიჭია და, თუ ჩვენმა ციცქნამ ის შეარჩია, მაშახადამე, ღირსიც უოფილა.

— სამჭერ გააკეთეთ ოცდაათ-ოცდაათი side bonds<sup>1</sup>, ხეიბრებო! — დაიდმუვლა კოკომ და ბაყაყივით გაბერილმა ოთხმოცი კილოგრამი ძელი თავზევით შეისროლა. — ღიბები შეიგდეთ!

ექიმს ეგონა, ვარჯიში დაავიწყებდა ბიჭს მის საწუხარს, მაგრამ აქეთ-იქით ქანაობისას თვალი რომ ჰკრა, კვლავ შეამჩნია, მისი ძმისწული რაღაც მეტი-მეტი გააფთრებით ასრულებდა სავარჯიშოებს: პირსახე ხელახლა დამანჭოდა და ისევ დასტუბოდა ზედ წუხილი და სასოწარკვეთილება. ექიმს გაახსენდა, კინტეროხების გვარს ნევრასთენიკები საკმაოდ მოგვდგამსო, და იფიქრა: რობერტოს უფროს ბიჭსაც ბედად ალბათ შემდეგ თაობაში ამ ტრადიციის გაგრძელება უწერიან. მერე სხვას გადასწვდა მისი ფიქრი: არა, უველაზე გონივრული იქნებოდა ვარჯიშამდე კლინიკაში შეეველო და სამტუპის დედა და ის ხენიორა ენახა, ფიბრომის ოპერაცია რომ გაუკეთა. ერთი წუთის შემდეგ კი ვარჯიშმა ისე გაიტაცა, უკვე აღარაფერზე ფიქრობდა. ფეხებს ზემოთ-ქვემოთ ისროდა, („ეს ორმოცდაათჯერ!“), წელში იგრიხებოდა და („სამჭერ ისე მოიგრიხეთ, ფილტვები დაგისკდეთ!“) ზურგს, მკერდს, კისერს ავარჯიშებდა კოკოს ბრძანების მიხედვით („უფრო მეტი ძალით, პეპერავი ცოტა მხიარულად, ლეშო!“). მთელი სხეული ცარიელ ფილტვებად ექცა, ჰერს რომ ჩაისუნთქ-ამოისუნთქავდა; ცარიელ კანად — ოფლი რომ წურწურით სდიოდა; ცარიელ კუნთებად, ქანცმილეული, გამწარებული რომ იჭიმებოდა. ხოლო კოკომ რომ იჭექა: „აბა სამჭერ თხუთმეტ-თხუთმეტჯერ აისროლეთ სიმძიმე!“ — ექიმი მიხვდა, რომ უკვე საზღვარს მიაღწია. მართალია, თავმოყვარეობამ აიძულა ერთი წყება სავარჯიშოები მაინც შეესრულებინა თორმეტკილონიანი გირით, მაგრამ ძალია აღარ ეყო, ღიმონივით გამოეწურა ვარჯიშს. მესამე ასროლაზე

<sup>1</sup> გვერდზე გადახრა (ინგლ.).

გირი ხელიდან გაუვარდა და კიდევ ბევრი დაცინვა ირგუნა მძიმეწონოსნებისგან („მუშიების ადგილი საფლავშია, უარუატებისა — ზოოპარკში! დროა დამკრძალავ ბიუროს გამოუძახო! Requiescat in pae, amin!“). უსიტყვო შურით შეაწყვერდა რიჩარდს, ისევე სწრაფად, გახელდებითა და ლაღად <sup>კრემ ვარჯიშობდა.</sup> თურმე არ კმარა მარტო წესებისა და დიეტის გონივრულნი <sup>დაფერქი</sup> ცხუვრების განზომილი უაიდა, თავში გაბკრა ექიმს, ეს მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე გშველის, მაგრამ ამ საზღვარს თუ გადააბიჭე, თვითონ ასაკი დაგიდგენს ისეთ მანძილსა და დაბრკოლებებს, თავიც რომ მოიკლა, ვერ გადალახავ. შემდეგ საუნაში, ოფლით ლამის დაბრმავებულმა, ჭმუნვით გაიმეორა რომელიღაც წიგნიდან ამოკითხული სიტყვები: „ვაჰ, სიყმაწვილევე, სიყმაწვილევე! შენი მოგონება ყველაზე მეტად უკლავს გულს ადამიანს“. იქიდან გამოსულმა დაინახა, რიჩარდი მძიმეწონოსნებს შეერთებოდა და გაჭიბრებოდა კიდევაც.

— ამ დახატულმა ბიჭმა გადაწყვიტა თავი მოიკლას, ექიმო! — დაცინვით ესროლა კოკომ რეპლიკა.

რიჩარდს არც გაუღიმიო. გირი მალთა აეწია და ისე იდგა, გაოფლილ, გაწითლებულ, ძარღვებდაბერილ სახეზე კი ისეთი გამწარება და გაბოროტება ეწერა, გეგონებოდა, ხადაცაა აქ მყოფთ დაერევო ანაზღად თვალწინ დაუდგა ექიმს, გირით როგორ გაუბობდა მისი ძმისწული ოთხივეს თავს. მან ხელი დაუქნია იქ მყოფთ, რიჩარდს კი წაუბურტყუნა: ეკლესიაში გნახავო!

შინ დაბრუნებისას რომ შეიტყო, სამტყუპის დედამ იქვე, პალატაში მონდომა ბრიჯის თამაში სანახავად მოსულ მეგობარ ქალებთან, ზოლო ნაოპერაციებმა სენიორამ იკითხა, თუ შეიძლება თაფლმოსხმული იაღლოები ვჭამო, გუნება დაუმშვიდდა. ექიმმა ბრიჯის თამაშის ნებაც დართო და იაღლოების ჭამისაც და, კმაყოფილი, შემოსვას შეუდგა. ჩაიცვა უილეთიანი მუქი ლურჯი კოსტუმი, თეთრი აბრეშუმის პერანგი, გაიკეთა მოვერცხლისფერო შალსტუხი, ზედ მარგალიტის ქინძისთავი დაიბნია, ის იყო ცხვირხახოცს ხუნამო დააპკურა, რომ ცოლის წერილი შემოუტანეს. წერილზე ჩარიტოსაც მიეწერა რამდენიმე სტრიქონი. ვენეციიდან გამოეგზავნათ, ეს მეთოთხმეტე ქალაქი გახლდათ, სადაც იმოგზაურეს. „ვინემ ამ ჩვენს წერილს მიიღებდო, უკვე შვიდი ქალაქი გვექნება მოვლილი — ჰოი, რა ლამაზი ქალაქებია“. ორივენი ბედნიერები იყვნენ. ჩარიტო იტალიელებს მოეხიბლათ: „ყველა კინომსახიობია, მამიკო, ვერც წარმოიდგენ, რა ოსტატები არიან ქათინაურებისა, ოღონდაც ტატოს ნუ ეტყვი. გკოცნი ათასჯერ, ჩაო!“

ფეხით გაუყვა ექიმი გზას წმიდა მარიას ეკლესიისკენ ოვალო გუტიერესის მოედანზე. ჭერ ადრე იყო, მოპატიუბულთ ახლახან დაეწყოთ შეყრა. იგი წინა რიგებში დადგა, შროშნებითა და თეთრი ვარდებით მორთული საკურთხეველი შეათვალიერა, ვიტრაჟებსაც შეავლო თვალი, ეპისკოპოსთა მიტრებს რომ მოგავდა. ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ სულაც არ მოსწონს თაბაშირის, აგურისა და ნახევართალების ეს შეხამება, თვალს რომ აღიზიანებს. დროდადრო ღიმილით ესაღმებოდა ნაცნობებს. აბა როგორ! მთელ საზოგადოებას აქ მოეყარა თავი, შორეულ ნათესავებს, მეგობრებს, მთელი საუკუნე რომ არსად ჩანდნენ. ცხადია, აქ ბრძანდებოდნენ ქალაქის რჩეული გვამნი: ბანკირები, ელჩები, მწარმოებელნი, პოლიტიკოსნი. „ეჰ, რობერტო, აჰ, მარგარიტა, რა ქა-

<sup>1</sup> და განუსვენოს მშვიდობითა, ამინ! (ლათ.).

რაფშუტები ხართ!“ — ფიქრობდა ექიმი, თუმცა იმდენად გაკიცხვით არა, რამდენადაც შემწყნარებელ თავისი ძმისა და რძლის ამ სუსტი მხარის გამო. ცოტა არ იყოს აღელდა, როცა საქორწინო ჰიმნის ხმაზე ხაყდარში სადღეღოფლო შემოვიდა. მართლაც ტურფა სანახავი იყო მისი ძმისწულთა მამროვან სამოსში; თეთრი მარმაშიდან ოდნავ გამოსჭვითდა ზეშთაგონებული, საოცრად ლამაზი სახე; თვალებდაბრილი უახლოვდებოდა იგი საკურთხეველს — მამას მიჰყავდა ხელგაყრილი. ექიმის ძმა დინჯად იყურებოდა, ქვეყნიერების გამგებლის იერი მიეღო განცდების დახამალავად. აღარც წითურა ანტუნესი ჩანდა ისე უშნო: ახალთახალ ფრაკში გამოწყობილიყო, ბედნიერებით უბრწყინავდა სახე; მისი შეუხედავი ინგლისელი დედაც კი მოგეწონებოდა — ქალმა ოცდახუთი წელი პერუსი გაატარა და ესპანური თანდებულები დღესაც ეშლებოდა — გრძელი თაღხი კაბა ეცვა, თმა კი ორი ხართულის სიმაღლეზე აეფოფრა. ვინც არ დაიხვეს, მოგებულებს ისაა, გაიფიქრა ექიმმა. საწყალი წითურა ანტუნესი ხომ პატარაობიდანვე დასდევდა ელიანიტას, ლამის ფეხქვეშ გაგებოდა, ელიანიტა კი ოლიმპიური სიმშვიდით ექცეოდა. მაგრამ ბიჭი ყველაფერს ითმენდა, ელიანიტას მწარე-მწარე სიტყვებსა თუ მეზობელი ბიჭების შეუბრალებელ დაცინვას მისი მორჩილებისა და მოთმინების გამო. „კერპი ბიჭი ყოფილა“, — ფიქრობდა ექიმი კინტეროსი. აგერ, დარცხვენისგან ფერმიხდილმა ანტუნესმა ბეჭედი წამოაცვა უსახელო თითზე ღიმის ულამაზეს ასულს და ჭვრისწერაც დამთავრდა. ეკლესიის გვერდითა ნეფისაკენ გაემართა ექიმი, აფრიამულეებულ ხალხში მარცხნივ-მარჯვნივ ესაღმებოდა ნაცნობებს. ანაზდად ერთერთ სვეტთან რიჩარდს ჰკრა თვალი, რომელიც ზურგშექცევით იდგა, თითქოს ყველა ისე შეჭავრებოდა, თვალით დანახვა არავისი უნდოდა.

ვინემ მილოცვის მოსურნეთა რიგში იდგა, ექიმმა მთავრობის საწინააღმდეგო ერთი დასტა ანეკდოტები მოიხმინა ძმები ფებრეებისაგან. ეს ტყუპები ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, ხმა დადიოდა, საკუთარ ცოლებსაც ეშლებათო. საკვირველია, ამდენ ხალხს როგორ უძლებდა სამრევლო დარბაზი. ბევრი ბაღში იცდიდა ჭერაც. ოფიციალტებს შამპანური მიმოშქონდათ. ისმოდა სიცილი, ხუმრობა, სადღეგრძელოები; ყველა ერთხმად გაიძახოდა, ვიშ, რა ტურფა დედოფალიაო. როგორც იყო, ახალჭვარდაწერილთ მიაღწია ექიმმა. ამ ხუთვასა და ჭეჭყვაში ელიანიტა, როგორც ყოველთვის, ტურფად გამოიყურებოდა. „ათახი წელი ბედნიერი იყავ, ჩემო ციციქნავ“, — გადაეხვია ექიმი, ელიანიტამ კი უურში ჩასჩურჩულა: „ამ დილას ჩარიტომ დამირეკა რომიდან და მომილოცა, შერსედეს ძალოაც მეღაპარაკა! რა კარგები არიან, რომ დამირეკეს!“ გაოფლილი ანტუნესი მოხარულ კიბოსავით გაწითლებულიყო, ბედნიერებისაგან ბრწყინავდა ბიჭი: „მეც ხომ შემიძლია ამიერიდან ბიძია დაგიძახოთ, დონ ალბერტო?“ „აბა როგორ, ძმისწულო, — მხარზე დაჭკრა ხელი ექიმმა. — შენობითაც მეღაპარაკე“.

სიცხეს ვერ გაუძლო ექიმმა და ამაღლებულიდან ჩამოვიდა, სადაც ჭვარდაწერილები იდგნენ, ფოტოკამერათა ჩხაკუნსა და მილოცვების ნიაღვარში ძლივს გააღწია ხალხს და ბაღში გავიდა. იქ ხალხი ცოტა იყო, სულის მოთქმა შეიძლებოდა. ერთი ჭიქა ღვინო შესმული არ ჰქონდა, უმალ მეგობარი ექიმები შემოესივნენ, ხუმრობა დაუწყეს მისი ცოლის თაობაზე: აი, ნახე, მოგზაურობიდან თუ დაგიბრუნდესო, ვინმე ფრანგი მოგტაცებს, შუბლზე უკვე რქები ამოგზარდიაო. ექიმს არ სწყენია ხუმრობა, იცოდა — როგორც სავარჯიშო

დარბაზში — აქაც ენის ლესვის საგანი იქნებოდა. პირდაპირ, ბალის კუთხეში უამრავი თავი ჩანდა, დროდადრო რიჩარდსაც ხედავდა ახარხარებულ ახალგაზრდებში. წარბებზეყრილი მისი ძმისწული ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, თითქოს შამპანური კი არა, წყალი ყოფილიყოს.

ერეკნული

„ალბათ სწყინს, ელიანიტა რომ ანტუნესს მიჰყვება, ზნეობა ექიმმა. — დისთვის უფრო ბრწყინვალე ბედი უნდოდა. ან იქნებ გარდატეხის ასაკის ბრალია ყველაფერი. უფრო სწორი ეს უნდა იყოს!“ ექიმს არ დავიწყებია, ამ ასაკმა რა შავ დღეში ჩააგდო ისიც. აღარ იცოდა, რა აერჩია — მედიცინა თუ აერონავტიკა. მამამ კი უდავო საბუთებით ფარხმალი დააყრევინა: პერუსი ავიაციონერს სხვა საქმე არ ექნება გარდა იმისა, ავიომოდელები თუ საჰაერო ფრანები აკეთოსო. როგორც ჩანს, რობერტო მეტისმეტად გაიტაცა საქმეებმა, ველარ მოიცალა ჰკვიანური რჩევა მიეცა ვაჟისთვის. გულმა უკარნახა ექიმს, უახლოეს დღეებში ძმისწული მოეწვია და შეპარვით გამოეტყუებინა მისთვის, ბიძას ხომ არ შეეძლო რითიმე დახმარებოდა.

დონ რობერტოსა და მარგარიტას სახლი, წმინდა მარიას ეკლესიიდან რამდენიმე უბნის იქით, სანტა-კრუსის ავენიდაზე იდგა. ჯვრისწერის დასრულების შემდეგ სადილზე წვეულნი სან-ისიდროს მზიან თუ ჩრდილიან ქუჩებს გაუყვნენ. ხით დახურული წითელი აგურის ეს ძველებური სახლი, ცოცხალი ღობეებით გარშემორტყმული, საზეიმოდ მორთული ჩანდა. იქ მისვლისას მიხვდა ექიმი, რა დიდებული ნადიმი მოეწყო მის ძმას, თვითონაც არ ელოდა ასეთს. მაღალი წრის ქრონიკის რეპორტიორები ალბათ „საოცრებად“ მონათლავენ.

ბაღში ქოლგები ჩრდილავდა ყველა პატარა მაგიდას. ეზოს სიღრმეში, საძაღლესთან უზარმაზარი სეფა გადაეჭიმათ ქათქათა სუფრის თავზე, მთელ კედელს რომ მისდევდა და ნაირ-ნაირი საუზმეულით იყო აჭრელებული. ბარი აუზის გვერდით მოეწყოთ, სადაც იაპონური კუდმარმაშა თევზები დასრიალებდნენ. მთელი ჯარის ხამყოფი ხასმისები, ბაკალები, ფუჟერები, კოქტეილის ჭიქები და გასაგრილებელი სასმელებით სავსე გრაფინები იდგა. თეთრქურთუკიანი ოფიციანტები და მოახლეები, გახამებული წინსაფრებითა და მაქმანის თავსამკაულებით, კარებშივე ეგებებოდნენ სტუმრებს და უმაღლესადაც მათ პისკოს, ალგარობის ჩიჩას<sup>1</sup>, არაყს მარაკუიას წვენთან ერთად, ვისკის, ჭინსა თუ შამპანურს, ხოლო მისაყოლებლად — ყველის ჩხირებს, ნივრით შემწვარ კართოფილს, ქლიავით დატენილ ლორს, ცომში გამომცხვარ გარნელებს, ვოლკანებს თუ ნაირსა და ნაირ საუზმეს, რაიც კი ლიმელთა ფანტაზიას მოეგონებინა მადის აღსაძვრელად. სახლის სიღრმეში ვარდების, ტუბეროზების, გლადიოლუსების, შროშნების, მიხაკების ვეებრთელა კალათები დაედგათ კედლებთან, კიბეებზე, კარებთან, მაგიდებსა თუ სხვა დგამებზე და ჰაერი სურნელებით გაევსოთ. პარკეტი სარკესავით პრიალებდა, ფარდები ახლახან გარეცხილი ჩანდა, ფაიფურსა და ვერცხლს ბზინვა გაუდიოდა. ექიმს კიდევაც გაეღიმა: შუშებს შიგნით ჩაწყობილი ინდური თიხის ფუფალებიც კი დაეკრიალებინათ. ზოლში მეორე სუფრა იყო გაშლილი საუზმისათვის, სასადილოში კი ტკბილეულის მაგიდა იდგა, ზედ ნაირ-ნაირი ფუნთუშები, ხაჭოს ნაყინი, ბეზეს ნამცხვარი, სიროფიანი ნუში, ათქვეფილი ცილა, პალმის კაკლები, თაფ-

<sup>1</sup> პისკო — ყურძნის ალკოჰოლიანი სასმელი. ჩიჩა — სიმინდისა თუ სხვადასხვა ნაყოფის წვენის ალკოჰოლიანი სასმელი.



ლიანი თხილისგული ჩანდა, შუაში კი ვეებერთელა საქორწინო ტორტი ჩაედგათ, კრემის სვეტებითა და გრებილებით ისე მოკაწმული, ქალები აღტაცების შეძახილებს ვერ იკავებდნენ. მაგრამ მანდილოსანთა უველაზე დიდი ცნობისწადილი მეორე სართულზე გამოფენილ საჩუქრებს აღეძრათ. მაგრამ აქ ნახვის მსურველთა ისეთი რიგი იდგა, ექიმმა კინტეროსმა უკან დახიზნა, თუმცა კი ძალიან უნდოდა ენახა, მისი სამაჭური როგორ გამოიყურებოდა ამ ზღვა საჩუქრებში.

ექიმმა ცნობისმოყვარეობით მოათვალიერა იქაურობა, ნაცნობებს ხელი ჩამოართვა, მოლოცვები მოისმინა და მერე ბაღში მოიკალათა ქოლგის ქვეშ, რომ მეორე ჭიქა ნება-ნება შეესვა. უველაფერი დიდებულად მიდიოდა, მარგარიტასა და რობერტოს განა ვინ აჯობებდა მასპინძლობაში თუმცა მისთვის რომ ეკითხათ, ორკესტრს არ მოიწვევდა ამისთანა ზეიმზე — აგერ აკეცეს ხალიჩები, პატარა მაგიდა და კუთხის ქარადა, სპილოს ძვლის სამშვენივრებით, გაიტანეს, საცეკვაო ადგილი გაათავისუფლეს — ახალი თაობის ხათრით თუ დაარღვიეს მთელი სინატიფე. ახალგაზრდებს ხომ ზეიმი ზეიმად არ მიაჩნიათ ცეკვის გარეშე. როცა უკვე ინდაურის ხორცი და ღვინო ჩამოატარეს, ელიანიტა დარბაზის კიბის თავზე გადმოდგა, ხელებგაწვდილ კოლეჯელ დაქალებისა და მეზობელი გოგოებისთვის დედოფლის თაიგული რომ ესროლა. სახლის ერთ კუთხეში ექიმმა ბებერ ვენანსიას მოჰკრა თვალი, ელიანიტას აკვნიდან გამწვრდელს; გულაჩუყებული მოხუცი ქალი წინსაფრის კალთით იმშრალებდა ცრემლებს.

ექიმმა ღვინო შესვა; ერთბაშად ვერც გაარჩია, აღბათ უცხოური იყო, ესპანური ან ჩილიური, ანდა სულაც ფრანგული მისთანა ზეიმის ხათრით. ინდაურის ხორცი ისე ნაზი იყო, პიურეც პირში ისე დნებოდა, კომბოსტოს ქიშკიშიანი სალათიც ისე ეგემრიელა, ექიმმა ცთუნებას ველარ გაუძლო და მეორე ულუფაც გეახლათ, თუმცაღა ზომაზე მეტ ჭამას დიდად ერიდებოდა. იჭდა, ნელ-ნელა ულუბავდა მეორე ბაკალს, და უკვე საამო თვლემაც მოერია, როცა ანაზღად რიჩარდი დაინახა, მისკენ მოდიოდა ვისკიანი ჭიქით ხელში. თვალები გაუინოდა, ხმა ჩაწყდომოდა.

— ქორწილზე სულელური თუ არის რამე, ბიძაჩემო? — წაილულულა რიჩარდმა, ზიზღით ჩაიქნია ხელი უველასა და უველაფრის მიმართ ირგვლივ და მაშინვე მოწყვეტით დაეხეთქა სავარძელში. შალხტუნი გვერდზე მოქცეოდა, რუხი პიჯაკის გულისპირზე ახალი ლაქა უშნოდ გადღლაზნოდა, ხოლო ღვინისგან ჩასისხლიანებული თვალები თავშეუკავებელი ბოღმით უელავდა.

— მართალი გითხრა, არც მე მიყვარს ნადიმები, — დინჯად მიუგო ექიმმა. — მაგრამ შენს ასაკს, ძმისწულო, ამის თქმა არ ეგების.

— ჰოი, როგორ მძულს ეს ზეიმები! — წაიჩურჩულა რიჩარდმა და ისე რიგად მიმოიხედა, თითქოს ირგვლივ უველაფრის გაცამტვერება უნდაო. — ნეტა რა ეშმაკი მინდა აქ?

— აბა იფიქრე, რას იტყოდა შენი დაიკო, მის ქორწილზე რომ არ მოსულიყავ? — რას არ წამოროშავს სიმთვრალეში კაცი, გაიფიქრა ექიმმა და გაახსენდა, ასეთ ზეიმებზე როგორ იღხენდა მუდამ რიჩარდი. დიახ, დიახ, უველაზე მეტად მზიარულობდა განა საუკეთესო მოცეკვავის სახელი არ მქონდა? რამდენჯერ უნახავს ექიმს ჩარიტოს ოთახში საცეკვაოდ თავშეურილი ახალგაზრდები რიჩარდის მეთაურობით. მაგრამ ეს აღარ მოაგონა ძმისწულს. ბიჭ-

მა ხაჩქაროდ დასცალა ვისკიანი ჭიქა და ოფიციანტს მეორის მიტანა სთხოვა. — ისე კი უნდა მოემზადო, — წაილაპარაკა ექიმმა, — შენ რომ ცოლს მოიყვან, შენი მშობლები ამაზე უფრო დიდ ნაღიმს გაგიმართავენ.

რიჩარდმა პირთან მიიტანა ჭიქა და თვალდაბუჭულმა წელს მოსწვა. მერე თავი არ აუწევია, თითქმის უხმოდ წაიდუღუნა:

— მე ცოლს თავის დღეში არ მოვიყვან, ბიძაჩემო, ღმერთსა ვფიცავარ.

პახუნი ველარ მოასწრო ექიმმა, რომ მათ წინ უმაწვილი ქერათმიანი ასული გაჩნდა, ცისფერი მოდური კაბა ეცვა. თამამად ჩაავლო რიჩარდს ხელი და, გონს მოსვლა არ აცალა, ისე წამოახტუნა:

— არა გრცხვენია, ბებრებთან რომ ზიზარ? წამო, ვიცეკვოთ, სულელო! ვინემ ჰოლში არ მიიმალნენ, ექიმს თვალი არ მოუცილებია. ერთბაშად იგრძნო, აქ არავისთვის არ იყო საჭირო. სადღაც, ყურის ნიჟარაში კვლავ გესლიან ნახმევად უზრიალებდა „ბებერიო“, ასე თამამად და იოლად რომ წამოისროლა არქიტექტორ არამბურუს უმცროსმა ასულმა თავისი ნაწი ხმით. მან ყავა დალია და, დარბაზში რა ხდებაო, იმის სანახავად წავიდა.

იქ ლხინი დუღდა და გადმოდუღდა. ბუხრიდან დაწყებული, სადაც ორკესტრი იჭდა, მთელი დარბაზი და მეზობელი ოთახებიც მოცეკვავეთ გაეჭედა. თან მღეროდნენ და თან ჩა-ჩა-ჩას, მერენგეს, კუმბიას, ვალსებს ცეკვავდნენ. მხიარულების ტალღა, მუსიკით, მზითა და ღვინით გამოწვეული, შუახნის ხალხსაც გადადებოდა და ბებრებიც გაეტაცა. გაკვირვებით უყურებდა ექიმი კინტეროსი, მისი ოთხმოცი წლის ნათესავი დონ მარსელინო უაპაია, თავის ცოლისდა მარგარიტას მოჭიდებული, რა თავგამოდებით ცდილობდა „ლეგა ღრუბლის“ სწრაფი რიტმისთვის აეყოლებინა ფეხი და თავის აჭახჭახებულ ძვლებს არ ინდობდა. კვამლმა, ხმაურმა, ჭედვამ, სინათლის ციმციმმა ექიმს ცოტა არ იყოს თავბრუ დაახვია, კიბის მოაჭირს დაეყრდნო და თვალები დახუჭა. მერე მხიარულ და ბედნიერ ელიანიტას მიაჩერდა, რომელსაც ისევ საჭორწინო კაბა ეცვა, ოღონდაც ფატა აღარ ეკეთა და წუთით არ ჩერდებოდა, ლხინს სულს იგი უდგამდა. ერთი ცეკვა რომ მოთავდებოდა, მყის ოციოდე ჭაბუკი დაეხვეოდა, შემდეგი ჩემთან იცეკვეო. თვალებგაბრწყინებული, ლოყებატკეცილი ელიანიტა ყოველ ჭერზე ახალ კავალერს ირჩევდა და ისევ მოცეკვავეთა ორომტრიალს უბრუნდებოდა.

ექიმს მისი ძმა ამოუდა გვერდით. ფრაკის ნაცვლად ყავისფერი თხელი კოსტუმი ეცვა, ის წუთია ცეკვა მოეთავებინა და მთლად ოფლად გაღვრილიყო.

— ვერ დამიჭერებია, ალბერტო, ჩემი გოგო რომ გათხოვდა, — თქვა და ელიანიტაზე მიათითა.

— რა წარმტაცი და მშვენიერია, — გაეღიმა ექიმს, — ვინ იცის, რამდენი დაგიჭდა ეს ნაღიმი?

— ჩემი შვილისთვის რას დავინანებ! — შესძახა რობერტომ, თუმცა ხმაში კი სევდა დაეტყო.

— თაფლობის თვეს სად გაატარებენ?

— ბრაზილიაში, მერე კი ევროპაში. წითურას მშობლებმა გაუკეთეს ეს ხაჩუქარი. — მერე ჩაიცინა. და ბარისკენ გააქნია თავი: — ხვალ უნდა გამგზავრონ დილაადრთან, მაგრამ თუ ჩემმა სიძემ ამდენი დალია, არა მგონია, ხვალ წასვლა შეძლოს.

წითურა ანტუნესს ახალგაზრდები შემოხვეოდნენ, ყველა სათითაოდ ცდილობდა ჭიქა მიეჭახუნებინა მისთვის. გაწითლებული სახიძო, მის წყალობითაც კიდევ უფრო წითურა ჩანდა, ცოტა არ იყოს ისტერიული ხარხარით მეგობრების მოტყუებას ღამობდა და ჭიქას ოდნავ აკარებდა პირს. მაგრამ აღშფოთებული მეგობრები ხმამაღლა უკიუინებდნენ, ბოლომდე დასაძინებლად ექიმმა რიჩარდი მოიძია თვალთ, მაგრამ ვერც ბართან და ვერც მოცეკვავეებში ვერ აღმოაჩინა. არც ბალის იმ კუნჭულში იყო, ფანჯრიდან რომ ჩანდა.

ყველაფერი იმ წუთას მოხდა. ის იყო ვალსის ხმა შეწყდა და მოცეკვავენი მუსიკოსებისთვის ტაშის დასაკრავად შეჩერდნენ, ის იყო გიტარის სიმებს ხელი უშვეს მუსიკოსებმა, ის იყო წითურამ მეოცე სადღეგრძელოზე უარი განაცხადა, რომ უეცრად ელიანიტამ მარჯვენა ხელი თვალებთან მიიტანა, თითქოს უხილავი ბუზი უნდა მოიშოროსო, წაბარბაცდა და, ვინემ მისი კავალერი ხელს შეაშველებდა, გულწასული დაეცა. მამასა და ექიმს ჭერ ეგონათ, ფეხი დაუცდა და ახლავე წამოდგებაო, ამიტომაც არ დაძრულან ადგილიდან, მაგრამ როცა დარბაზში ხმაური ატყდა და დედის კვილი გაისმა: „ელიანა, ელიანიტა შვილო!“ — ორივენი მყის პატარძლის მისაშველებლად გაიქცნენ.

პირველი წითურა ანტუნესი მივარდა, ხელში აიტაცა უმაწვილი ქალი და მეგობრებისა და დაქალების თანხლებით კიბისკენ გააქანა. წინ ხენიორა მარგარიტა მიუძლოდა და გაუჩერებლივ გაიძახოდა: „აქეთ, აქეთ, მის ოთახში წავიყვანოთ, ფრთხილად, თუ შეიძლება! ექიმს, ჩქარა ექიმს დაუძახეთ!“ რამდენიმე ნათესავი — ძია ფერნანდო, ბიძაშვილი ჩაბუკა, დონ მარსელინო — სტუმრების დაშოშმინებას ცდილობდნენ და მუსიკოსებს კიდევაც უბრძანეს, ხელახლა დაუკარითო. ექიმმა დაინახა, მისი ძმა რობერტო, კიბის თავში იდგა და რალაცას ხელებით ანიშნებდა. ღმერთო ჩემო, რა სულელია: ის ხომ ექიმია, რალას უცდის? ექიმმა კიბე ჩაირბინა, რამდენიმე საფეხურს ზედიზედ გადაახტა და სტუმრებს შუა სირბილით გავიჭრა.

ელიანიტა მის ვარდისფერ საძინებელში შეეყვანათ, ბაღში რომ გადიოდა. უმაწვილი ქალი ნელ-ნელა მოდიოდა გონს — წამწამები აახამხამა, თუმცა ფერი ჭერ არ მოხვლოდა. საწოლის ირგვლივ რობერტო, წითურა, გამდელი ვენანსია იდგნენ. გვერდით დედა იჯდა და შვილს სპირტში დასველებულ ცხვირსახოცით უზელდა შუბლს. წითურას პატარძლის ხელი ეჭირა და თვალმოუშორებლივ დასცქეროდა.

— ახლა კი ყველა დაუყოვნებლივ გადით ოთახიდან და პატარძალთან მარტო დამტოვეთ, — ბრძანა ექიმმა და ყველანი გარეთ გაისტუმრა. — ნუ დეღავთ, საშიში არაფერია. ხელს ნუ მიშლით, უნდა გავსინჯო.

მარტო ბებერ ვენანსიას ვერ მოაცვლევინეს ფეხი და მარგარიტამ ღამის ძალით გააგდო ოთახიდან. ექიმი გვერდით დაუჯდა ელიანიტას, რომელიც შიშით და დარცხვენით გამოსცქეროდა გრძელი წამწამებიდან, მან შუბლზე აკოცა ძმისწულს, მერე სიცხე გაუწომა და, თვალმოუცილებლივ, ღიმილით უთხრა: ნუ გეშინია, არაფერიც არ მოხდაო. მაჯა არათანაბრად უძგერდა გოგოს, სუნთქვაც უჭირდა. ექიმმა იფიქრა, ალბათ კაბა უჭერსო, და გახდაში მიეშველა.

— სულერთია, მაინც უნდა გაიძრო, ისე რომ საქმეს წინ წაიგდებ, ძმისწულს.

იმავ წუთს მაგრად შემოჭერილი კორსეტი შეამჩნია და მაშინვე მიხვდა ყველაფერს, მაგრამ არც არაფერი დაიმჩნია, არც რამე უკითხავს. ხან გაწით-

ლებულმა, ხან გაყვითლებულმა ელიანიტამ ტანთ გაიძრო და ახლა დაბნეული, თვალმდახრილი პირმოკუმული იდგა ბიძის წინაშე. ექიმმა უთხრა, ქვედა საცვალი არა, მაგრამ კორსეტი მაინც უნდა მოიშორო, სუნთქვას დაგიშლისო. ღიმილითა და უზრუნველად გაიძახოდა: ეს ყველაფერი ბუნებრივია, ამ აურჯაურმა, მღელვარებამ და მეტადრე ამდენმა ციკვამ — შენ ხომ რამდენიმე საათი შეუხვეწებლივ ციკვავდი! — რა გასაკვირია, პატარძალი გულის წასვლამდე მიიყვანოსო. ამასობაში კი მკერდი და მუცელი გაუსინჯა (ელიანიტას მაგრად შემოჭერილი კორსეტიდან გამოთავისუფლებული მუცელი მყის დოღივით გამოებერა). გასინჯვის შემდეგ ექიმმა დაასკვნა — მის ხელში ხომ ათასობით ორსულ ქალს გაეგდო — ყმაწვილი ქალი ოთხი თვის ფეხმძიმე იყო. მერე თვალეში ჩახედა ძმისწულს, რაღაც წვრილმანები ჰკითხა გზა-კვალის ასაბნევად და ურჩია, ცოტა ხანს დაიხვენე დარბაზში გამოსვლამდე, ოღონდაც, — უთხრა მტკიცედ, — არამც და არამც არ იციკვო.

— ხომ ხედავ, როგორ დაიღალე. ყოველ შემთხვევისათვის დასამშვიდებელს მოგცემ. დღეს ბევრი განიცადე...

მერე თავზე ხელი გადაუსვა ყმაწვილ ქალს და, ვინემ მშობლები შემოვიდოდნენ, საქორწინო მოგზაურობაზე ჩამოუგდო ხიტყვა, ამასობაში დამშვიდებო. ელიანიტა მისუსტებული ხმით პასუხობდა. მოგზაურობაზე უკეთესს კაცი მართლა ვერაფერს მოიფიქრებს, ვაი რომ თვითონ ვერა დე ვერ გამონახა დრო დიდი ხნით სამოგზაუროდ წასვლისთვის. აგერ უკვე სამი წელია თავის საყვარელ ღონდონში არ ყოფილა. ვინემ ექიმი ლაპარაკობდა, ელიანიტამ გულდაგულ შეინახა კორსეტი, ხალათი მოიცვა, საქორწინო კაბა სკამზე დაკეცა, მის ნაცვლად მალალსაყელოიანი, მაჭებნაქარგი ბლუზა ამოიღო, სხვა ფეხსაცმელი გამოაძვრინა, მერე ლოგინში შესრიალდა და საბანი გადაიფარა. იქნებ სჯობს გულახდილად მოელაპარაკოს თავის ძმისწულს და დაარიგოს? თუმცა არა, საწყალი იხედაც ცუდ დღეშია, გარდა ამისა, ამ ხანში აღბათ მალულად იყო რომელიმე ექიმთან და მშვენივრად იცის, როგორ მოიქცეს, და მაინც ასეთი ვიწრო კორსეტის ტარება ძალზე საშიშია, ყოველ შემთხვევაში, მომავალ ბავშვს შეიძლება რაღაც ავნოს. რა საშინელებაა, მისი ძმისწული ელიანიტა, კდემამოსილი, უმანკო ელიანიტა... ფეხმძიმედი ექიმმა კარი გამოაღო და პატარძლისა თუ მთელი ოჯახის გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა:

— ჩვენზე ჭანმრთელადაა, ოღონდაც ძალზე დაიქანცა. ვისმე დასამშვიდებელი მოატანინეთ და ცოტა მოასვენეთ.

ვენანსია საძინებელში შემოვარდა — ექიმმა დაინახა, როგორ ეალერხებოდა იგი ელიანიტას. დედ-მამის კვალდაკვალ წითურა ანტუნესმაც დააპირა შემოსვლა, მაგრამ ექიმმა უჩუმრად გაუყარა ხელი, ტუალეტში წაიყვანა და კარი ჩაკეტა.

— ვერაა ჭკვიანური საქციელი, წითურავ, მთელი საღამო არ უნდა ეციკვა, თანაც ასეთი გატაცებით, — ვითომც სხვათა შორის წაილაპარაკა ექიმმა და ონკანთან ხელები გაისაპნა. — ხომ შეიძლება მუცელი მოწყვეტოდა: ურჩიე, კორსეტს ნუღარ ჩაიცვამს, ისიც ასე ვიწროს. რამდენი თვის იქნება? სამი, ოთხის?

იმავე წუთს გველნაკბენივით შეკრთა ექიმი. საშინელმა აზრმა გაჭკრა თავში. იგრძნო, ტუალეტში გამეფებული სიჩუმე რაღაც საშინელებას მოასწავებდა. თავწარდაცემულმა სარკეს შეხედა. წითურას თვალები ღამის ბუდიდან

გადმოცვენოდა, ტუჩები მოღრეცოდა, გამოთაყვანებულ სახეზე მკვდრისფერი დადებოდა.

— საში-ოთხი თვისაო?! — მოესმა ექიმს ანტუნესის მოგუდული ხროტინი, — მუცელი მოწყდებოა?

ლაშის მიწა გაუსკდა ფეხქვეშ ექიმს. ღმერთო, ეს რა ბრწყინვალე ბერულად მოიქცა! მყის გასაოცარი სიცხადით გაახსენდა, რომ ელიანიტას ნიშნობა და ქორწილი სულ რამდენიმე კვირაში მოხდა. მან თვალი მოაშორა ანტუნესს და, ვინემ ხელებს გაიმშრალებდა, გაფაციცებით საზრისობდა, რა ეცრაუა ან რა მოეგონებინა ისეთი, უმაწვილი რომ იმ ჯოჯობეთიდან გამოეთრია, სადაც ეს წუთია თვითონ ჩააგდო. ერთადერთი, რაც მოიფიქრა და რაც თავადვე სისულელედ ეჩვენა, ეს სიტყვები იყო:

— ელიანიტამ არ უნდა გაიგოს, მე თუ უველაფერი ვიცი. დავარწმუნე, თითქოს ვერაფერს მივხვდი. ისე კი, ნუ გეშინია, თავს კარგად გრძნობს.

ექიმმა აღმაცერი მზერა ესროლა წითურას და სწრაფად გამოვიდა. ბიჭი ისევ იმ ადგილზე იდგა თვალგაშტერებული და პირდაღებული, სახეზე ოფლის წვეთები ასხდა. ექიმმა გაიგონა, კარი რომ შიგნიდან ჩაიკეტა. ახლა ალბათ იბღავლებს და იღრიალებს, თავს კედელს მიახლის, თმას დაიგლეჯს, დასწყევლის და შეიძულეებს ექიმს ელიანიტაზე და იმაზე მეტად... მაინც ვისზე მეტად? იგი ნელა დაეშვა კიბეზე დანაშაულის გრძნობითა და ეჭვებით დამძიმებული, თუმცა უველა შემხვედრს ამშვიდებდა. ელიანიტას არა უშავს, მალე კარგად იქნებაო. მერე ბაღში გავიდა, სუფთა ჰაერმა ცოტა გამოაცოცხლა. ბარს მიადგა, უინულისა და წყლის გარეშე ერთბაშად გადაჰკრა ჭიქა ვისკი და გადაწყვიტა შინ წასულიყო, აღარ დალოდებოდა, თუ რით დასრულდებოდა მისი გულუბრყვილობით დატრიალებული ეს ტრაგედია, თუმცა სიკეთე კი სურდა. ნეტა როდის შევა თავის კაბინეტში, ჩაეფლნობა თავის შავი ტყავით გადაკრულ სავარძელში და მოცარტის მუსიკას მინებდებო.

ქუჩაში რიჩარდს შეეფეთა, ბალახზე იჭდა სახეგაუბედურებული, ფეხები ბუდასავით მოერთბა და ბაღის მესერს მისწოლოდა. დაჭმუჭნილ, მტვერში ამოგანგლულ სამოსზე ბალახები მისწებებოდა; მისმა სახემ მყის დაავიწყა ექიმს წითურასა და ელიანიტას ამბავი და შეჩერდა: ბიჭის გაგანიერებული თვალეები რისხვას აევსო, პირის კუთხეებში ღუჭი ძაფებად დაკიდებოდა; საცოდავი და თან სასაცილო სანახავი იყო.

— ასე არ შეიძლება, რიჩარდ, — დაიხარა ბიჭის წამოსაყენებლად ექიმი. — დედ-მამამ ასე არ უნდა გნახოს. წამო, ჩემთან დარჩი, ვინემ გონზე მოხვალ. უველა-უველა და შენ თუ ამ დღეში გნახავდი, ჩემო კარგო, ამას ვერ ვიფიქრებდი.

ბიჭი შეჭყურებდა ექიმს და ვერ ხედავდა, თავი ჩამოუვარდა, არც ფეხები დაემორჩილა, როცა ბიჭის სიტყვებზე წამოდგომა დააპირა. ექიმმა ორივე ხელი ჩაავლო და ძლივს წამოაყენა ფეხზე. მერე მხრებზე მოხვია ხელი და წაიყვანა. ნაჭრის ტიკინასავით ქანაობდა ბიჭი, სადაცაა დაეცემოდა. „იქნებ ტაქსმა ჩამოიაროს, — წაიბუტბუტა ექიმმა და სანტა-კრუსის ავენიდის ტროტუარის კიდეზე შეჩერდა, რიჩარდისთვის ხელი არ გაუშვია. — შენი ფეხით კუთხემდეც ვერ მიხვალ, ძმაო“. ტაქსებმა ჩამოიქროლეს, უველა დაკავებული იყო. ექიმი ხელაწეული იდგა. მოლოდინმა, ელიანიტასა და ანტუნესის ამბავმა, ძმისწულის ასეთმა უოფამ — მეტისმეტად ააფორიაქა და ააღელვა ექიმი,

ვისთვისაც მხნეობას არახოდეს უღალატნია. იმავე წუთს ძმისწულის ჩუმ ბურტყუნში სიტყვა რევოლვერიო, გაარჩია და ისე გაიღიმა, წაგებულნი კაცნი რომ გაიღიმებს, ოღონდაც კი იხტიბარი არ გაიტეხოს.

— რევოლვერი რაში გჭირდება, ძმისწულო? — ჩაიღიმა პარკეტის თავისთვის, არ ეგონა, რიჩარდი თუ გაიგონებდა.

— წითურა რომ მოვკლა, — საშინელი სიძულვილით წაიხრიწინა ნელა, მაგრამ მკაფიოდ და დამარცვლით ბიჭმა და კაცისმკვლელობით დააცეცა თვალები. მერე იყუჩა და მოგუდული ხმით დააყოლა: — ან თავი მოვიკლა.

აქ კი ისევ ენამ უმტყუნა რიჩარდს და ექიმმა ველარ გაარჩია, რაებს ლაპარაკობდა. იმავე წუთს ტაქსიც გაჩერდა. ექიმმა შიგ შეაგდო ბიჭი, მძლოლს მისამართი უთხრა და თვითონაც ჩაჯდა. მანქანა დაიძრა თუ არა, რიჩარდს ქვითინი აუტყდა და მისკენ მიბრუნებულ ექიმს მკერდზე მიელუშა, მთელი ტანი უცახცახებდა. ბიჭამ მხრებზე მოხვია ხელი, თმა აუჩეჩა, როგორც წელან მის დას ოთახში, და მძლოლი, რომელიც სარკიდან უთვალთვალებდა, ხელის აქნევით დაამშვიდა: ბიჭმა ზომაზე მეტი ულურწაო. ასე განაგრძეს გზა, ბიჭი ბიძას ეხუტებოდა, ლურჯ პიჯაკსა და მოვერცხლისფრო შალსტუხს ცრემლითა და წვინტლით უსველებდა, ის კი გაუუჩული იჯდა. უფრო მეტიც: არც მაშინ შემკრთალა, როცა რიჩარდის გაურკვეველ ბურტყუნსა და ზღუქუნში ორჯერ თუ სამჯერ გამეორებული სიტყვები გაარჩია, ადამიანს რომ თავზარს დასცემდა და მაინც უსპეტაკესად ისმოდა: „იმიტომ რომ მიყვარს, ძია, მიყვარს, როგორც მამაკაცს, ყველაფრისთვის მიმიფურთხებია, ყველაფრისთვის!“ მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ექიმის ბაღში ბიჭმა იმდენი არწყია — ფოქსტერიერი შეაშინა და მსახურების ყვედრებით სავსე მწერაც დაიმსახურა. ექიმმა ხელმკლავით შეიყვანა ძმისწული სტუმრების ოთახში, პირი გამოარეცხინა, გახადა, ლოგინში ჩააწვინა, ძლიერი დასაძინებელი წამალი შეასვა, მერე ერთხანს გვერდით უჯდა და დაუვავებით ამშვიდებდა, ვინემ ბიჭს ღრმად არ ჩაეძინა, თუმცა იცოდა, ბიჭი ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი გაეგებოდა.

შემდეგ დარეკა კლინიკაში, მორიგე ექიმს უთხრა, ხვალამდე საავადმყოფოში ვერ მოვალ, თუ რამე არაჩვეულებრივი არ მოხდომ, მაჟორდომი გააფრთხილა, ვინც არ უნდა მიკითხოს და დამირეკოს, შინ არავისთვის არა ვარო, ორმაგი ვისკი დაისხა და თავის კაბინეტში ჩაიკეტა მუსიკის მოსახმენად. ამოარჩია ალბინონის, ვივალდისა და სკარლათის ფირფიტები. ვენეციური ბაროკოს ნატიფი მუსიკა, მისი ფიქრით, ყველაზე უფრო დაუმშვიდებდა აფორიაქებულ სულს. რბილ სავარძელში ჩაფლული, შოტლანდიური ჩიბუხით პირში, თვალეხმილული ელოდა, როდის იმოქმედებდა მუსიკის ჯადო და იმაზე ფიქრობდა, რომ ახლა დიდებული შემთხვევა მიეცა გამოსცადოს ის წნეობრივი წესები, რომელთაც ხიურმიდანვე მისდევდა და რომლებიც უკარნახებდნენ, ადამიანს უნდა გაუგო და არა გაკაცხო. არ გრძნობდა არც შიშს, არც აღშფოთებას და არც გაკვირვებას, ამას მსუბუქი ღელვა, თანაგრძნობა, სინაზე და სიბრაღული უფრო ეთქმოდა, ახლალა გახდა მისთვის ცხადი, რად გადაწყვიტა ასეთმა ლამაზმა გოგომ ბრიყვის ცოლობა ან „ტალღათა მომთვინიერებელს“, ჰავაური ხერფის მეფეს რად არ ჩაელოდა არასოდეს სატრფო და შესაშური ერთგულებით გუვერნანტი ქალივით თავის უმცროს დაიკოს დასდევდა კუდში. თამბაქოს ამო სურნელითა და სასმელის გამაცოცხლებელი ძალით დამტკბარი

ექიმი ფიქრობდა, რომ რიჩარდის ამბავზე დიდად შეწუხება არა ღირს, იგი შეძლებს დაარწმუნოს რობერტო, ვაჟიშვილი საზღვარგარეთ გაეზავნოს სასწავლებლად, მაგალითად, ლონდონში, სადაც ბევრ ახალსა და საინტერესო რასმე ნახავს და წარსულს გადავიწყებს. გაცილებით მეტად ამინებდა ამ ამბის ორი სხვა მონაწილის ბედი. მაგრამ მუსიკის ნანინაში უფროს დუნედ და დუნედ უტრიალებდა თავში ერთმანეთს გადანასკვული კითხვები: ამ საღამოსვე მიატოვებს თუ უკვე კიდევაც მიატოვა თავისი უგუნური ცოლი წითურამ? ან ენით უთქმელ კეთილშობილებასა და სიბრიყვეს გამოიჩენს, კრინტს არ დასძრავს და იმასთან იცხოვრებს, ვის ცოლობაზეც ასე დიდხანს ესწრაფოდა და ვისგანაც ასე მოტყუებული დარჩა? ან თუ ეს ამბავი გახმაურდა, შეურაცხყოფილი ხიამაყე, წესიერების დაცვის სურვილი სამუდამოდ ჩამოაფარებს სირცხვილის რიდეს და სამუდამოდ თვალს მიაფარებს სან-ისიდროს უბანში მომხდარ ამ ტრაგედიას?

## III

საბეჭდ მანქანის თაობაზე მომხდარი ამბიდან პედრო კამაჩო რამდენიმე დღის შემდეგ ვიხილე. დილის შვიდის ნახევარზე პირველი რადიოცნობები გავამზადე და რძიანი ყავის დასალევად „ბრანსში“ გავეშურე. „რადიო სენტრალის“ მეკარის ჯიხურს რომ ჩავუარე, სარკმელში ჩემს „რემინგტონს“ მოვკარი თვალი. ვილაც აკაკუნებდა მანქანის მძიმე კლავიშებზე, მაგრამ ვინ, ვერ დავინახე, და თავი შევეყავი. მანქანასთან პედრო კამაჩო იჯდა. სამუშაო კაბინეტი თურმე მეკარის ამ პაწაწინა, ჭერდაბალ ჯიხურში მიეჩინათ მისთვის, სადაც ნესტიან კედლებს ბზარები, ნაირ-ნაირი წარწერები თუ ნახატები ამშვენებდა და სადაც ახლა ვეება საწერი მაგიდა შეეთრიათ, სიძველისაგან ისევე დაფეხვილი, მაგრამ ისეთივე დიდებული, როგორც მის ზედაპირზე მოჭრიალე „რემინგტონი“. პედრო კამაჩო აღარც კი ჩანდა ამ უზარმაზარ მაგიდასა და საბეჭდო მანქანის წინ. მართალია, სკამზე ორი ბალიში ედო, მაგრამ თავი მაინც მხოლოდ კლავიშებამდე აწვდიდა, ისე რომ, როცა ბეჭდვისას ხელებს მაჯულა, თვალის სიმაღლეზე აწვდიდა, იფიქრებდი, ვილაცას ეკრივებო. იგი ისე შთაენთქა საქმეს, ვერც ვიხილავს, გვერდით რომ ვედექი. გადმოკარკლული თვალები ქალღმერთის ტერებინა, გულმოდგინებისაგან ენა გამოეყო და ორივე ხელით აკაკუნებდა ვილაცის შავი ფილეტეიანი კოსტიუმში ეცვა, როგორც პირველ დღეს, ახლა კი გაეზავდა და არც ბაფთა-ქალსტუხი მოეხსნა. მისი აჩეჩილი თმა და მეტროპოლიტენ საუკუნის პოეტის ჩაცმულობა რომ შევათვალთ, და ისიც ვნახე, საქმით გატაცებული რა გოროზად და დინჯად უჯდა მისთვის უსაშველოდ დიდ საწერ მაგიდასა და საბეჭდო მანქანას სამივესთვის დიანაც ვიწრო პატარა სენაკში, ცალკერძ სიბრალოული და ცალკერძ ზიზლი ვიგრძენი.

— რა ადრინად მობრძანებულხართ, სენიორ კამაჩო! — მივესალმე მას შემდეგ, როცა ძლივძლივობით შევეკვებე ოთახში.

ქალღმერთის თვალმოუცილებლივ, ისე ბრძანებლურად გადმოაქნია ჩემკენ თავი, თითქოს მეუბნებოდა, ან გაჩუმდი, ან მოიცადე, ანდა ორივე ერთად ჰქენიო. მე მოცლა ვარჩიე. ვინემ იგი წინადადებას ჩაამთავრებდა, მიმოვიხედე და დავინახე, მთელი მაგიდა საბეჭდო ფურცლებს დაეფარა. დაჭმუჭნილი

ქალაქები იატაკზედაც ეყარა, რადგან ნაგვის კალათი არ ჰქონდა. ერთი წუთის შემდეგ თითები მოსწყვიტა კლავიშებს, შემომხედა, წამოდგა, დიდი ამბით გამოძიწოდა მარჯვენა ხელი და მისალმებაზე ასეთი შეგონებით გამიმასპინძლდა:

— ხელოვნებისათვის ცხრილი არ არსებობს. გაგიმარჯოთ, ჩემო მეგობარო.

ალარც მიკითხავს, აქ ცოტა ვიწროდ ხომ არ ბრძანდებიან მწიქარ, ვინაიდან ვიცოდი, ხელოვნება კეთილმოწყობას არ საჭიროებსო, პანუსად ამას მეტყუოდა. ამიტომაც ავდექი და დავბატიყე, ყავა ერთად დავლიოთ-მეთქი. კამაჩომ დახედა თავის ადამიანინდელ საათს, გამხდარ მაჯაზე რომ უქანქარებდა, და წაიღუდუნა: „საათნახევარი მუშაობის შემდეგ დიახაც მაქვს უფლება პირი გავისველო“. გზაში რომ ვკითხე, მუდამ ასე ადრიახად მუშაობთ-მეთქი, მითხრა, სხვა „შემოქმედებით მოღვაწეთაგან“ განსხვავებით ჩემი შთაგონება მუდამ პროპორციული განლაგვთ მზის სინათლის ძალისაო.

— ეს გრძნობა მზის ამოსვლასთან ერთად მქლვიძება და მნათობთან ერთად თანდათან მეტი და მეტი ძალით მიღვივდება, — მაუწყა თავისი საამო მეღერო ხმით, ვინემ ნამძინარევი ბიჭი ჩვენი მაგიდის შორიახლოს ლამის მუშტრებისგან ნაგვითა და ნამწევებით მოფინთიხებულ ნახერხს გახვეტდა. — წერას მზის პირველი სხივების ამოსვლის უმაღლეს ვიწყებ. შუადღისას ჩემი ტვინი ჩირაღდანით გიზგიზებს. მერე ცეცხლი თანდათან ნელდება, ბინდისას კი სულაც ვწყვეტ მუშაობას, რამეთუ თავის ქალაში მარტოოდენ ღველფი მრჩება. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან მიმწუხრიდან ჩემს არსებაში გასაოცარი ძალით მოქმედი მსახიობი იღვიძებს. მე ჩინებული სისტემა შევიმუშავე. — მისმა გულდინჯმა ლაპარაკმა მიმახვედრა, რომ ეს კაცი, მგონი, ვერც კი მამჩნევდა, ვინაიდან იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, რომელნიც მოსაუბრეზე მეტად მსმენელს საჭიროებენ. იმდღევანდელივით ახლაც გამიკვირდა, იუმორის ნიშანწყალი რომ არ გააჩნდა, თუმცაღა ამ თავისი მონოლოგის დროს ნაძალადევად ღლიმებოდა — ხან ტუჩებს წელავდა და კბილებს აჩენდა, ხან შუბლს ჭმუხნიდა. ეს ბრტყელ-ბრტყელი, ღვლარჭნილი სიტყვები, ეს დიდებული გამოთქმა, უცნაური გარეგნობა და ჩაცმულობა სრულიად უჩვეულო იერს ანიჭებდა, ვგრძნობდი, რომ რასაც ამბობდა, ყველაფერი სწამდა. ამავე დროს ისიც ეტყობოდა, რომ ყველაზე პატივსადები და გულწრფელი კაცი იყო ამ ქვეყანაზე, როცა ვცადე ხელოვნების მწვერვალებიდან ძიარს, მიწაზე ჩამომეყვანა, და ვკითხე, მოეწყვეთ თუ არა სადმე ბინად, გყავთ თუ არა აქ მეგობრები, როგორ გრძნობთ-მეთქი თავს ლიმაში, ეს მიწიური კათხვები ყოვლად უგულისყუროდ მოისმინა, ხელი მოუთმენლად ჩაიჭნია და მაცნობა, რომ კილკას ქუჩაზე „რადიო სენტრალის“ ახლოს დაიჭირავა „სტუდია“, რომ თავს ყველგან დიდებულად გრძნობს: განა მთელი ქვეყნიერება მსახიობის სამშობლო არაა? ყავის ნაცვლად მან იერბალუისისა<sup>1</sup> და პიტნის ნახარში მოატანინა. როგორც თვითონ განმანათლა, ეს ნახარში „არა მარტო საამური დასალევი, არამედ გონების განმწმენდიც“ ყოფილა, ამ სასმელს ყლუპ-ყლუპად, განზომილად შეექცეოდა, თითქოსდა წუთებს ითვლიდა. როგორც კი დაცალა, მაშინვე წამოდგა, თავი მოიკლა, ვინემ ნახევარი თვითონ არ გადაიხადა, და მერე მთხოვა, თუ შეიძლება ლიმის რუკა მაყიდინეთ, სადაც არამარტო ქალაქის ქუჩები.

<sup>1</sup> ვერბენის ჭიშის მცენარე, რომელსაც სურნელოვანი ფოთლები აქვს და პერუში ხარობს.



უბნებიც იქნება აღნიშნულიო. ეს რუკა მოხეტიალე გამყიდველის დახლზე აღ-  
მოვაჩინეთ უნიონის ქუჩაზე. კამაჩომ ქუჩაშივე გაშალა რუკა, დაკვირვებით  
ჩაათვალიერა და ფრიად კმაყოფილი დარჩა, როცა ფერადი ხაზებით გამოყო-  
ფილი უბნები დაინახა. მერე გამყიდველს რუკის საღირსალი ოცი სოლის ან-  
გარიში მოსთხოვა.

— ეს სამუშაო იარაღია და ფასიც სამუშაოს დამკვეთმა უნდა გადაიხა-  
დოს, — ბრძანა მან, უკან რომ წამოვედით. სიარულიც უჩვეულო ჰქონდა.  
ისე რიგად მოცუხცუხებდა, თითქოს მატარებელზე აგვიანდებოდა. „რადიო  
სენტრალის“ კართან დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

— კაცმა რომ თქვას, კაბინეტი ქუჩაში მიდგას, — ისე გაიშვირა ხელი  
თავის სამყოფისაკენ, თითქოს დიდებულ სრასასახლეს მიჩვენებდა. საკუთარი  
თავითა და საერთოდ ყველაფრით ფრიად კმაყოფილი ჩანდა. — ეს იგივეა,  
გინდათ გარეთ, ტროტუარზე მიმუშავნია.

— მერედა, ხმაური ხელს არ გიშლით? ამდენი ხალხი და მანქანა დადის, —  
შევკადრე მე.

— პირიქით, — მითხრა ძალზე გახარებულმა, კიდევ ერთი შეგონების გა-  
შანშალება რომ შეეძლო. — მე ხომ ცხოვრებაზე ვწერ, ჩემს ქმნილებებს კი  
სინამდვილის უშუალო შთაბეჭდილებანი სჭირდება.

ის იყო უნდა დავეშორებოდი, რომ პედრო კამაჩომ იდუმალი იერით თი-  
თით მომიხზო, ქალაქის რუკა მაჩვენა და მთხოვა — დღეს ან სხვა რომელიმე  
დღეს ლიმაზე რაიმე მიაამბეთო. სიამოვნებით გიამბობთ-მეთქი, აღვუთქვი მე.

„რადიო პანამერიკანის“ სხვენზე პასკუალს უკვე გაემზადებინა დილის  
ცხრაზე გადასაცემი ცნობები, რომლებიც, მას რომ უყვარდა, ისეთი ახალი ამ-  
ბით იწყებოდა. იგი „კრონიკას“ გაზეთის ფურცლებიდან ამოეღო და საკუთარი  
ეპითეტებით შეემკო: „ანტილიის აბობოქრებულ ზღვაში გუშინ პანამის სატ-  
ვირთო გემი „ზვიგენი“ დაიღუპა. ეკიპაჟის რვა კაციდან ერთიც არ გადაარჩე-  
ნილა. ერთნი ზღვაში დაიხრჩვენ, სხვები ზვიგენებმა შესანსლეს, რომლებიც  
ზემოხსენებულ ზღვაში ბუზებივით ირეოდნენ“. ვინემ მასალაზე ვიზას წავა-  
წერდე, „აბობოქრებული“ და „ზემოხსენებული“ წავშალე, „შესანსლე“ კი  
„დაგლიჯეთი“ შევცვალე. პასკუალი არ გაბრაზებულა — გაბრაზება არ სჩვეო-  
და, მაგრამ უკმაყოფილება კი გამოთქვა:

— ასე იცით ხოლმე, დონ მარიო, სტილი უთუოდ უნდა გააფუჭოთ!

მთელი ეს კვირა იმ მოთხრობის წერაზე ვწვალობდი, საფუძვლად რომ  
ძია პედროს ნაამბობი ედო. იგი ანკაშის<sup>1</sup> ერთ-ერთ მამულში ექიმად მუშა-  
ობდა. ერთ ღამეს რომელიღაც გლეხი პიშტაკოსავით მორთულა — ასე ეძა-  
ხიან აქ ეშმას — შაქრის ლერწმის რაყაში ჩამალულა და ისე შეუშინებია თა-  
ვისი მეზობელი, გაოგნებულს ოხუნჯისათვის მაჩეტეთი თავი გაუხეთქავს და  
სიცოცხლისთვის გამოუსალმებია. მკვლელი მთებში გაიქცა. რამდენიმე ხნის  
შემდეგ დღესასწაულიდან დაბრუნებულ ხალხს კიდევ ერთი პიშტაკო დაუ-  
ნახავს, სოფელში რომ მალულად მიიპარებოდა, და კეტებით მოუკლავთ. ის კი  
თურმე პირველი პიშტაკოს მკვლელი ყოფილა, რომელიც ამ მასკარადის წყა-  
ლობით თავის ოჯახს ნახულობდა ღამღამობით. მკვლელი გლეხებიც თავის  
მხრივ მთებში გაიხიზნენ და, პიშტაკოდ გადაცმულნი, ღამღამობით სტუმრობ-

<sup>1</sup> პურუს რესპუბლიკის ერთ-ერთი დეპერტამენტი.

დნენ სოფელს, სადაც ორნი მაჩეტეთი დაჩეხეს შეშინებულმა მცხოვრებლებმა, რომლებიც თავის მხრივ ისევ მთებს შეეფარნენ და ა. შ... მაგრამ ამ ამბავზე მეტად დასასრულმა გამიტაცა ჩემმა ფანტაზიამ რომ დამიხატა უცბად. ანაზ-დად უამრავ ცრუ ეშმათა შორის მოულოდნელად ნამდვილი ეშმა გამოჩნდება კუდის ქნევა-ქნევით.

განზრახული მქონდა ჩემი ნაწარმოებებისთვის „თვისებრივი ნახტომი“ დამერქმია. იგი უნდა ყოფილიყო განყენებული, ინტელექტუალური და სარდონიკული, ბორხესის მოთხრობების მსგავსად, რომელიც ამ დღეებში აღმოვაჩინე.

ამ მოთხრობას ვანდომებდი, რაც თავისუფალი დრო მრჩებოდა „რადიო პანამერიკანის“ მიმოხილვის, უნივერსიტეტისა და „ბრანსის“ კაფეს შემდეგ, ვწერდი ყველგან და ყოველთვის — ბეზიასა და ბაბუასთან, შუადღისას თუ ღამით.

იმ კვირას არც ერთ ჩემს ძიასა და ძალუასთან არ მივსულვარ სადილად, არ ვწვევივარ არც ერთ ჩემს ბიძაშვილ გოგოს, არ ვყოფილვარ კინოშიც კი. ვწერდი და ვხევდი — უფრო სწორად, როგორც კი წინადადებას მოვათავებდი, მაშინვე ისეთ საშინელებად მეჩვენებოდა, ყველაფერს თავიდან ვიწყებდი. მწამდა, რომ ორთოგრაფიული თუ კალიგრაფიული შეცდომა შემთხვევითი არაა, რომ ქვეცნობიერება, ღმერთი თუ ვიღაცა მაფრთხილებს, წინადადება კაპიკად არ ვარგა და უნდა გადააკეთო. პასკაული კბილებს აკრაქუნებდა: „ეშმაკმა წაიღო! მამაშვილმა ხენაროებმა რომ დაინახონ, ამდენ ჭალალდს აჩანაგებთ, ფულს ჩვენ დაგვაყაჭინებენ საკუთარი ჯიბიდან!“ ბოლოს და ბოლოს, ერთ ხუთშაბათს დღეს მოთხრობა დასრულებულად ჩავთვალე. ამ ხუთგვერდიანი მონოლოგის დასასრულ აშკარა ხდებოდა, რომ ჭეშმარიტი ეშმა თვით მოამბე იყო. როცა თორმეტი საათის რადიომიმოხილვა გავამზადე, ჩემი „თვისებრივი ნახტომი“ ხავეერს წავუკითხე ჩვენს სხვენზე.

— დიდებულია, ძმაო! — მომიწონა და ტაშიც შემოჰკრა. — მაგრამ ვითომ შეიძლება ჩვენს დროში კაცმა ეშმაზე წეროს? ამას არ სჯობია რეალური მოთხრობა დაწერო, სულაც ამოაგდო ნამდვილი ეშმა და მოქმედება ცრუ ეშმათ შორის თავისთავად განვითარდეს? არადა, ფანტასტიკური ამბავი შექმნა ყველანაირ მოჩვენებათა მონაწილეობით, რომლებიც კი მოგწონს, მაგრამ ეშმაკების გარეშე! დიახ, დიახ, ეშმაკების გარეშე, ვინაიდან ამას ფარისევლობის სუნი დაჰკრავს, ეს კი მოდაში აღარაა.

როგორც კი პასკუალი წავიდა, ნაკუწ-ნაკუწ დავხიე ჩემი „თვისებრივი ნახტომი“ და ნაგვის კალათში ჩავუძახე. გადავწყვიტე, დავიწყებისთვის მიმეცა „პიშტაკოები“ და ძია ლუჩოსთან გავსწიე სადილად. იქ შევიტყვე, რომ ბოლივიელ დეიდასა და ჩემთვის ყურმოკვრით ნაცნობ არეკიბელ<sup>1</sup> მემამულე სენატორ დონ ადოლფო სალსედოს შორის რბაც რომანტიული ამბავი გაბმულიყო. დონ ადოლფო ჩვენს ოჯახებს ემოყვრებოდა.

— ყველაზე კარგი ისაა, რომ სენატორს ფული აქვს, ნაცნობობაც ჰყავს და ხულია მართლა მოსწონს, — იძახდა ოლგა ძალუა. — თხოვს კიდევ, ცოლად გამომყვევიო.

<sup>1</sup> თანამედროვე არგენტინელი მწერალი, რეაქციონური პოზიციის მქონე.

<sup>1</sup> არეკიპა პერუს დიდი ქალაქია, იმავე სახელობის დეპარტამენტის ცენტრი.

— ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ დონ ადოლფომ უკვე ორმოცდაათს გადააბიჯა და დღემდე ვერ გააბათილა ის უგვანო ხმები, მასზე რომ დადის, — შეესიტყვა ძია ლუჩო. — შენი დაია თუ მაგას მისთხოვდა, მისი სრცოცხლე ან ქალწულად უნდა დაბერდეს ან ქმარს უღალატოს.

— კარლოტას ამბავი არეკიპელ ჭორიკნების მონაჩმახია, — თქვა ისევ ოლგა ძალუამ, — შეხედულად ადოლფი ჭეშმარიტი ვაჟიკნისაა.

სენატორისა და დონია კარლოტას ამბავი მე კარგად ვიცნობ. თავის დროზე ამაზე დავწერე ჩემი მეორე მიწთხრობა, თუმცა ხავიერის კომენტარების შემდეგ იმანაც ნაგვის კალათში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ამ ქორწინებას მთელი სამხრეთი შესძრა, რამეთუ დონ ადოლფოსა და დონია კარლოტას პუნოში<sup>1</sup> ჰქონდათ ადგილ-მამულები და მათმა შეუღლებამ იქაურ მემამულეთა დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ქორწილი დიდებული გადაიხადეს, სტუმრები პერუს ყოველ კუთხიდან ჩამობრძანდნენ. ისეთი ნადიმი გაიმართა, პანტაგრუელიც არ დაიწუნებდა. მაგრამ თაფლობის თვიდან ორი კვირის შემდეგ ყმაწვილმა ცოლმა დაპკრა ფეხი, დედამიწის რომელიღაც კუთხეში მიაგდო ქმარი, არეკიპაში მარტო დაბრუნდა და საჯაროდ გამოაცხადა, რომის პაპს უნდა ვთხოვო, ქმართან გამყაროსო. ამ ამბავმა საყოველთაო გაოცება გამოიწვია. დონ ადოლფო სალსედოს დედამ, რომელიც დილის მესიდან გამოსვლისას, კარლოტას ეკლესიის კარიბჭეზე შეეფეთა, დაუფარავი სიძულვილით ჰკითხა:

— რატომ მიაგდე ჩემი საწყალი ბიჭი, შე აშარო, შენა, ისიც ასეთნაირად?

— იმიტომ, რომ თქვენს ბიჭს, სენიორა, — უპასუხა პუნოელმა ქალბატონმა ყველას გასაგონად და ფრიად მეტყველი მოძრაობა გააკეთა ხელით, — ის, რაც ყოველ კაბალიეროს აბადია, მარტო „ფისი-ფისისთვის“ უვარგა.

კარლოტამ კიდევაც გაიტანა თავისი და ეკლესიის მესვეურთ ქორწინება დაარღვევინა. მას აქეთ ყველა საოჯახო საკრებულოზე დონ ადოლფო საქმილიკო საგნად იქცა. გაცნობის შემდეგ იგი ხულია დეიდას საშველს აღარ აძლევდა, ხან „ბოლივარის“ ღამის რესტორანში პატივებდა, ხან „91“-ე რესტორანში, სუნამოებს ჩუქნიდა და ვარდების კალათებს უგზავნიდა. სიხარულით ცას დავეწიე ამ რომანის ამბის გაგებაზე და ხულია დეიდას მოსვლას ველოდი, რომ ამ ახალი თაყვანისმცემლით გამემწარებინა. მაგრამ ხულიამ ყველაფერი ჩამიფუშა. სასადილოში შემოვიდა თუ არა საყიდლებით დატვირთული — სადაც ჩვენ უკვე ყავას გიახლებოდით, ხმამაღალი კისკისით გვაუწყა:

— თურმე ხმები ტყუილი არ ყოფილა! სენატორ სალსედოს „პობოი“ მართლაც აღარ უკრავს...

— ხულია, დვთის გულისათვის, როგორ იქცევი? — აღშფოთდა ოლგა ძალუა. — ვისმე მართლა აფიქრებინებ, რომ...

— თავისი პირით მითხრა ამ დილას, — გულიანი კისკისით უპასუხა ხულია დეიდას.

თურმე ოცდახუთ წლამდე ადოლფო ყოვლად ჩვეულებრივი კაცი იყო. საუბედუროდ, შეერთებულ შტატებში დასასვენებლად წასულს საშინელი ამბავი შემთხვევია. ჩიკაგოსა, სან-ფრანცისკოსა თუ მაიამაში — ხულია დეიდას კარგად არ ახსოვდა, კერძოდ სად, — ყმაწვილ ადოლფოს ერთ კაბარეში ვილაც

<sup>1</sup> პერუს სამხრეთ დეპარტამენტი.

ბანოვნის გული მოუნადირებია (თვითონ ასე ეგონა) და იმ ბანოვანს ოტელში წაუყვანია. პაემანმა ის იყო ნეტარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, რომ უცებ ადოლფომ ზურგში დანის წვერი იგრძნო. რომ მობრუნდა, დაინახა, ორი მეტრის სიმაღლის ვილაც ცალთვალა ტიპი წამოსდგომოდა თუგბეცეცრუაჯრც დაუჭრიათ და არც უცემიათ, მხოლოდ დოლარები, საათი ფაგულტხეჩქამტკიდებული ხატი წაურთმევიათ. ასე დაიწყო და... დამთავრდა ყველაფერი... სამუდამოდ. მას აქეთ, როგორც კი ქალთან დარჩება და ვნებათა ღელვას მიეცემა, დონ ადოლფო ხერხემალზე რკინის სიცივეს გრძნობს, თვალწინ ცალთვალას მხეცური სახე ამოუტივტივდება, ოფლი დაასხამს და სიყვარულის ცეცხლი უმაღუჭრება. ვის არ მიმართა რჩევისთვის სენატორმა, ექიმებს, ფსიქიატრებს, ეწვია არეკიპელ ექიმბაშსაც, რომლის რჩევით ვულკანების ძირში მთვარიან ლამეს ცოცხლად იმარხებოდა თურმე მიწაში.

— რა გულქვა ხარ! რა გაკისკისებს! საწყალი დონ ადოლფო! — ოლგა ძალუას სიცილისაგან მთელი ტანი უთახთახებდა.

— რომ ვიცოდე, ასე დარჩება ბოლომდე, იქნებ მართლა გავყოლოდი ცოლად... ფულების ხათრით, — უყოყმანოდ მიუგო ხულია დეიდამ. — მაგრამ რომ მორჩეს და ამ ბებერმა ჩემთან მოინდომოს მთელი გაცდენილი სიამოვნების ანაზღაურება, რაღა ვქნა მაშინ!

გულში ვიფიქრე, რარიგ გაახარებდა პასკუალს არეკიპელ სენატორის ეს თავგადასავალი, რა სიხარულით შეადგენდა რადიომიმოხილვას და მთლიანად ამ ამბავს მიუძღვნინდა. თუ ასეთი წუნინანობა დაიწყე, გააფრთხილა ძია ლუჩომ, პერუში საქმროს ვერც იშოვიო, დეიდა ხულიამ კი შესჩივლა, ბოლივიასავით აქაც ყველა ლამაზი ბიჭი უფულოა, ყველა მდიდარი გულის ამრევი, ხოლო ახალგაზრდა და თან მდიდარი უთუოდ ვილაცის ქმარიო. ანაზღად მე მომიტრიალდა და მკითხა: მთელი ეს კვირა სად დაიკარგე, ხომ არ დაფრთხი, ისევ კინოში არ წამათრიოსო? არა-მეთქი, ვუპასუხე, გამოცდებს გადავაბრალე ყველაფერი და იმავ საღამოს კინოში დავპატიე.

— ძალიან კარგი, „ლეუროს“ კინოთეატრში წავიდეთ, — მყის შესძახა ხულია დეიდამ, — ამბობენ, მაგ სურათზე ყველა ცხარე ცრემლებს ღვრისო.

რადიოსადგურისკენ მიმავალ ავტობუსში კვლავაც იმ ფიქრს დავუბრუნდი, ადოლფო სალსედოს ამბავი ან მსუბუქ, ირონიულ ყაიდაზე დამეწერა, სომერსეტ მოემის დარად, ან მოპასანივით მზაკვრულ-ეროტიული ელფერი მიმეცა.

ხენაროს ვაჟის კაბინეტში მისი მდივანი გოგო დამხვდა. მარტო იჯდა და სიცილით იფხრიწებოდა, რა იყო-მეთქი?

— პედრო კამაჩომ და ხენაროს მამამ იჩხუბეს „რადიო სენტრალში“, — მიაშბო ნელიმ. — ბოლივიელმა განუცხადა, არგენტინელი მსახიობები სულაც არაფრად მესაჭიროება რადიოდანგმებში, ან ისინი გაუშვით ან მე წავალო. ლუსიანო პანდო და ხოსეფინა სანჩესი მიიმხრო და იმდენი ქნა, არგენტინელებთან ხელშეკრულება გააუქმებინა. მაშ-მაშ!

უნდა მოგახსენოთ, რომ არგენტინიდან მოწვეულთა და ადგილობრივ დიქტორებსა თუ მსახიობ-წამკითხველთა შორის დიდი ქიშპი და მტრობა სუფევდა. არგენტინელები დას-დასად ჩამოდიოდნენ პერუში, ბევრი — პოლიტიკური მიზეზის გამოც. ჯერ მეგონა, ბოლივიელი მწერალი ალბათ აქაური თანამშრომლების გულის მოსაგებად მოიქცა-მეთქი ასე. მაგრამ მიზეზი სულ სხვა

გამოდგა. მალე მივხვდი, პედრო კამაჩო რომ ანგარიშის კაცი არ იყო და არც ანგარებით მტრობდა არგენტინელ მსახიობ ქალებსა და კაცებს.

სალამოს შვიდი საათის რადიომიმობილვის შემდეგ ვეწვიე პედრო კამაჩოს. ვუთხარი, თავისუფალი წუთები მაქვს და შემიძლია გიამბოთ, რისი გაგებაც გნებავთ-მეთქი ჩვენი ქალაქის თაობაზე. პედრო კამაჩომ თავის გასაგებად შემიყვანა და ხელის მეფური მოძრაობით მანიშნა, დაბრძანდითო. თუმცა დაჯდომა კი (მისი საკუთარი სკამის გარდა) მარტო იმ დანჯღრეული მაგიდის კიდზე შეიძლებოდა, სადაც თავად მუშაობდა. კამაჩოს ისევ ის პიჯაკი ეცვა, ისევ ის ბაფთა-პალსტუხი ეკეთა: ოლონდაც ნაბეჭდი ფურცლები „რემინგტონის“ გვერდით ამჯერად კობტად დაეწყო. კედლის ნაწილი ჭიკარტებით მიკრულ და ფერადი ნიშნებით აჭრელებულ ქალაქის გეგმას დაეფარა: წითელი ფანქრით რაღაც უცნაური გამოსახულებანი ეხატა, სხვადასხვა უბნებზე კი ასომთავრული ასოები ეწერა. რომ ვკითხე, ეს ნიშნები და ასოები რას ნიშნავს-მეთქი, როგორც ყოველთვის, საოცარი თვითკმაყოფილებითა და ამასთან კეთილგანწყობით ჩაიღიმა, სავარძელში მოიკალათა და მაუწყა:

— მე ცხოვრებაზე ვწერ, ჩემი ნაწარმოებები კი ისეა ჩაწნული სინამდვილეს, ვით ყურძნის მტევანი ვაზს. სწორედ ამიტომ დამჭირდა ლიმის ჯეგმა, მინდა გავიგო, ასეთი თუა ეს სამყარო, — მიმითითა რუკაზე და მეც რუკას მივაშტერდი, თუმცა რისი თქმა უნდოდა, მაინც ვერ გავიგე, ასომთავრულმა ასოებმა არც ერთი ჩემი ნაცნობი დაწესებულება და კერძო პირი არ გამახსენა. მხოლოდ და მხოლოდ ის გავარკვიე, რომ წითელი ფანქრით მირაფლორესის, ლა ვიქტორიასა და კალიაოს რაიონების სხვადასხვა უბნები იყო შემოხაზული. ვუთხარი, ვერაფერი გამიგია და ამიხსენით-მეთქი.

— რა დიდი გაგება ამას უნდა, — მოუთმენლად ჩაილაპარაკა პედრო კამაჩომ. — უმთავრესი და უდიდესი ჭეშმარიტება გახლავთ, რამეთუ ხელოვნება ჭეშმარიტებაშია. სადაც სიცრუეა, იქ ხელოვნება ან არ ჭაჭანებს, ან თითქმის არ გაუჭაჭანებია. მე მსურს ვიცოდე, ეთანადება თუ არ ეთანადება ჩემ მიერ მონიშნულ გეგმაზე ეს ქალაქი ჭეშმარიტ ლიმას. ან მიესადაგება თუ არა სან-ისიდროს რაიონს ჩემ მიერ მიწერილი ეს ორი ასომთავრული „ა“. ესე რგი, არის თუ არა ეს რაიონი „აბსოლუტური არისტოკრატიის“ საცხოვრებელი უბანი? — ეს ორი „ა“ ისე ხაზგასმით ბრძანა, თითქოს გულისხმობდა, „მზეს მარტო ბრმა ვერ ხედავს“. ახლავ ჩავხვდი, რომ ქალაქის ყველა რაიონი მათი სოციალური ხასიათის შესაბამისად მოენიშნა პედრო კამაჩოს. ყველაზე საგულისხმო აქ მისი შემოღებული „ნომენკლატურის“ განსაზღვრა და არსი იყო. ზოგ შემთხვევაში მართალი გამოდგა, ზოგან დასკვნები თვითნებურად გამოეტანა. მე, მაგალითად, დავეთანხმე, რომ შემოკლებულის სბხდ (ანუ საშუალო ბურჟუაზია, ხელოსნები, დიასახლისები) შესაძლოა ხესუს მარიას რაიონს მართლა შეესაბამებოდეს, მაგრამ ლა ვიქტორიისა და პორვენირის რაიონებს დაუნდობელი აბრევიატურა „მპჯრ“ (მაწანწალები, პომოსექსუალისტები, ჯიბგირები, როსკიპები) მიაკერო, დიახაც უსამართლო იქნებოდა, ხოლო კალიაოს მთელი რაიონი „მმმ“ (მეზღვაურების, მეთევზეების, მულატების), სერკადო და ელ ავუსტინო კი „მმმი“ (მოსამსახურეების, მუშების, მოხელეების, ინდიელების) უბნებად შერაცხო, სადავო იყო.

— საქმე მეცნიერული კი არა, ასე ვთქვათ, მხატვრული კლასიფიკაცია გახლავთ, — მეუბნებოდა პედრო კამაჩო და თავის პატარა ხელებს ილუზიონის-

ტივით აქნევდა. — მე მაინტერესებს ამა თუ იმ რაიონში მცხოვრები არა მთელი ხალხი, არამედ მისი დამახასიათებელი წარმომადგენლები, ვინც ამ კუთხეს თავისებურ სურნელს და ფეროვნებას ანიჭებს. როცა ჩემი გმირი გინეკოლოგია, მან იქ უნდა იცხოვროს, სადაც შეეფერება და ეკადრება, იგივე ითქმის პოლიციის სერჟანტზეც.

ისეთივე დამწუხრებულმა წვრილ-წვრილად გამოჰკითხა ქალაქის ადამიანურ ტოპოგრაფიაზე. მას მხოლოდ უკიდურესობანი აინტერესებდა, ანუ მილიონერები და მათხოვრები, თეთრები და შავკანიანები, წმინდანები და ბოროტმოქმედნი. ჩემი პასუხების და მიხედვით ისე მტკიცე ხელით ცვლიდა რუკაზე თავისივე მონიშნულს, უმაღლესი, კლასიფიკაციის ამ სისტემას კარგა ხანია მისდევდა უკვე. მაშინ რაღად მონიშნეთ-მეთქი მხოლოდ მირაფლორესის, სან-ისიდროს, ლა ვიქტორიისა თუ კალიაოს რაიონები?

— რამეთუ იმათ გავხდი ალბათ ძირითად სამოქმედო სარბიელად, — ბრძანა და ამ რაიონებს გადმოკარკლული თვალებით ომში გამარჯვებული ნაპოლეონივით მიაჩერდა, — მძულს ჩაბაცებული ფერები, ამღვრეული წყალი და წყალწყალა ყავა. მომწონს ან კი ან არა, კაცური კაცები და ქალური ქალები, დღე ან ღამე. ჩემი გმირები ან არისტოკრატები არიან ან პლებეები, ან როსკიზები ან წმინდანები. საშუალონი არც მე, არც ჩემს მსმენელებს არ გვიტაცებს.

— მაშ, რომანტიკოს მწერლებს ჰგვანებიხართ, — წამომცდა ჩემდა საუბედუროდ.

— მე კი არა, ისინი მგვანან! — შეხტა და შებზრივდა სკამზე პედრო კამაჩო და დიდად ნაწყენმა განაგრძო: — პლაგიატობა არასოდეს მიკადრებია. ყველა-ყველა და ამ ცოდვას კაცი ვერ შემწამებს. მე კი ხშირად გავუქურდივართ ყოვლად უნამუსოდ და უსირცხვილოდ!

ბევრი ვუფიცე, რომანტიკოსს რომ შეგადარეთ, შეურაცხყოფა სულაც არ მიფიქრია, მხოლოდ გავიხუმრე-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა! ანზადად ისე გააფთრდა, ისე გაცოფებით აიქნია ხელი და ენამზეობის ისეთი ჩანჩქერები გადმოაფრქვია, თითქოს მე კი არა, ხალხით გაჭედილი დარბაზი უსმენდა.

— მთელი არგენტინა ჩემი ნაწარმოებებითაა გავსებული, ლა პლატის ნაპირებზე რომ დაამახინჯეს. თუ შეხვედრიხართ როდესმე არგენტინელებს? თუ შეგხვდათ, გიჯობთ გზიდან გადაუხვიოთ.

კაცი გადაფითრდა, ნესტოები აუცახცახდა, პირი ზიზლით მოკუმა. დამაბნია კიდევ მისი ბუნების ამ მოულოდნელმა გამოვლინებამ. უნდოდა წავილულულულე ყოვლად გაცვეთილი სიტყვები — სამწუხაროა, ლათინურ ამერიკაში კანონი რომ არ იცავს საავტორო უფლებებს-მეთქი, ინტელექტუალური შრომა რომ ყოველგვარ გარანტიასა და დაცვასაა მოკლებული-მეთქი — დ კვლავ იაღლიში მომივიდა.

— მაგას როდი ვგულისხმობ! სულაც არ მანადვლებს, ჩემს ნაწარმოებებს რომ იპარავენ და ასხვაფერებენ... — უარესად გაანჩხლდა პედრო კამაჩო. — ხელოვან ხალხს დიდების წყურვილი კი არა, ადამიანის სიყვარული გვა მოძრავებს. მეტი რა გინდათ? კი ბატონო, მთელ ქვეყანას მოსდე ჩემი ნაწარმოებები, კი ბატონო, სათაური შეუცვალე. მაგრამ ჩემი სცენარების და ნაწერების დამახინჯებას მაგ ლაპლატელ მჯღაბნელებს ვერამც და ვერამც ვერ

ვაპატიებს იცით, რას სჩადიან? ის არ იკმარეს, ჩემს დრამებსა და, ასე გასინჯეთ, გმირებსაც რომ სახელი შეუცვალეს, თავიანთი...

— მედიდურობითა და ქარაფშუტობით გამსჭვალეს, — ~~დარწმუნებული~~ ვიყავ, ახლა მაინც მოვარტყი-მეთქი მიზანში.

პედრო კამაჩომ ზიზლით გადააქნია თავი და, თითქოს აბრუნდა სწორედ იმორებსო, მწუხარედ გადაისვა თვალებზე ხელი. შემდეგ დაღრმებით მიხურა თავისი პაწაწკინტელა სენაკის სარკმლები, ყელზე ბაფთა-პალსტუხი შეისწორა, მაგიდის უჯრიდან სქელტანიანი წიგნი ამოიღო, ილლიაში ამოიჩარა და კარზე მიმითითა. მერე სინათლე ჩააქრო და კარი გამოკეტა. ვკითხე, ეგ რა წიგნია-მეთქი. კამაჩომ ნაზი მოწიწებით გადაუსვა ყუას ხელი, თითქოს კატუნის ეფერებო.

— ჩემი ყარიბობის ძველთაძველი ერთგული მეგობარი გახლავთ! — წაიჩურჩულა მღელვარედ და წიგნი გამომიწოდა. — მუშაობაში დიდებული მწე და დამხმარე.

ესპანური გამომცემლობა „ესპასა კალპეს“ მიერ უხსოვარ დროს დასტამბული ეს წიგნი — სქელი ყდა დალაქულ-დაფხაჭნილი და ფურცლებიც გაყვითლებული უჩნდა — უცნობი, თუმცა საკმაოდ წარჩინებული წოდების ავტორის კალამს ეკუთვნოდა (ადალბერტო კასტეხონ დე ლა რეგერას, მურსიის უნივერსიტეტის კლასიკური ლიტერატურის გრამატიკისა და რიტორიკის ლიცენციანტი) და გრძლად გაშანშალეული სათაური ჰქონდა. „ათი ათასი ციტატა მსოფლიოს ასი საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებთაგან“. თვალი ჩავკარ ასეთ ქვესათაურსაც: „რას გვაუწყებენ სერვანტესი, შექსპირი, მოლიერი თუ სხვანი ღმერთის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, ტანჯვისა თუ სხვათა თაობაზე“.

ჩვენ უკვე ბელენის ქუჩას მივყვებოდით. გამომშვიდობებისას ხელი რომ გავუწოდე და საათს დავხედე, თავში დამცეცხლა: უკვე საღამოს ათი საათი იყო. მეგონა, ნახევარი საათი დავყავი მხოლოდ მასთან, თურმე კი ქალაქის სოციალურ გარჩევა-ჭორვასა და პლაგიატორთა წყველა-კრულვას მთელი სამი საათი მოვწოდებოვართ! გიყვარდეს, რადიოსადგურისკენ თავქუდმოგლეჯით მოვკურცხლე, ეჭვი არ მეპარებოდა, პასკუალმა საღამოს ცხრა საათის რადიომიმობილვა უთუოდ რომელიმე თურქ ცეცხლწამკიდებელსა თუ პორვენირის რადიონიდან ბავშვის მკვლელს მიუძღვნა-მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე ცუდად იყო საქმე, ვინაიდან ლიფტში მამამშვილ ხენაროებს შევეყარე და უკმაყოფილების ნიშანწყალი ვერ შევამჩნიე. ასე მითხრეს, ამ საღამოს ლუჩიო გატიკას დავუდეთ ხელშეკრულება, რომელიც „რადიო პანამერიკანში“ მოვიწვიეთ ერთი კვირითო. სხვენზე რომ შევამოწმე რადიოცნობები, არც ისე ურიგო აღმოჩნდა. მერე აუჩქარებლად გავეშურე სან-მარტინის მოედანზე ავტობუსის გაჩერებისკენ მირაფლორესში დასაბრუნებლად. საღამოს თერთმეტზე უკვე შინ ვიყავ. ჩემს მოხუც ბებია-ბაბუას უკვე ეძინათ. როგორც ყოველთვის, ქურაზე ვახშამი დამხვდა. ფლავისა და ცივი ერბო-კვერცხის გვერდით — ეს იყო ჩემი ყოველდღიური ვახშამი — აკანკალებული ხელით დაწერილი უსტარი იღო: „ბიძაშენმა ლუჩომ დაგირეკა, ხულიტა რად მოატყუე და პირობის მიხედვით კინოში არ წაიყვანეო. დიდი ველური ვიღაც ბრძანდები. დაურეკე და ბოდიში მოუხადე. ბაბუა“.

თქმა რად უნდა, ბოლივიელი მოკალმის გულისთვის რადიოცნობებისა და

ქალთან პაემნის დავიწყება ყოვლად მიუტევებელი რამ იყო! ჩემმა უნებლიე უზრდელობამ გუნება წამიხდინა და ამაფორიაქა. ვერა და ვერ დაგიძინე, ლოგინში შამფურივით ვტრიალებდი, თავს ვირწმუნებდი, ყველაფერი თვითონ ხულიტას ბრალია, კინოში სიარული ასე მზაკვრულად რომ თავს მომახვია-მეთქი. ტვინს ვიქყლეტდი, ხვალ რომ დავურეკავ, გასამართლებდნენ. მისწრაფებით ვუთხრა-მეთქი, მაგრამ ჭკვიანური ვერაფერი მოვიფიქრე, სიმართლის თქმისა კი მრცხვენოდა, თუმცა ბოლოს ფრიად გაბედული რამ გადავწყვიტე. დილის რვა საათის ცნობები რომ ჩავამთავრე, ქალაქის შუაგულში წავედი, საყვავილე მაღაზიიდან ვარდების თაიგული გავუგზავნე — ასი სოლი დამიჯდა — და ზედ სადარბაზო ბარათი მივაკარ, რაზედაც კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მივაწერე, დიდზე დიდ ბოდის გიხდით-მეთქი, რაიც მოკლე და მოხდენილი თქმის ნიმუშად შევრაცხე.

სალამოს, რადიომიმობილვების მომზადების შუალედებში, ჩემი ეროტიკულ-სახუმარო მოთხრობის ჩანაწერებიც გავაკეთე არეკიპელი სენატორის ტრაგედიაზე, რაზედაც იმ სალამოს ვაპირებდი მუშაობას. მაგრამ მთავარი გადაცემის შემდეგ უეცრივ ხავიერი დამადგა თავზე და ბარიოს ალტოსის რაიონში სპირიტულ სეანსზე წამათრია ვილაც კანცელარიის მოხელესთან. ხავიერი მას იპოთეკურ ბანკში გაცნობოდა და მასზე ლაპარაკით ყურები გამომიჭედა. თურმე „სულეები“ ამ მოხელეს არათუ საგანგებო სეანსებზე, ყოვლად მოულოდნელ ვითარებაშიც ეცხადებოდნენ, უსიამოვნებებს არ ულევდნენ და მასხარადაც კი იგდებდნენ, მაგალითად, როცა დილაუთენია ტელეფონით დაურეკავდნენ, ყურმილში ორმოცდაათი წლის წინათ გარდაცვლილი ბებიის დედის განუმეორებელი ქირქილი ესმოდა, მას აქეთ რომ სალხინებელში იმყოფებოდა (თვითონ აუწყა თურმე ასე). არ ასვენებდნენ ისინი ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებში, ქუჩა-ქუჩა დასდევდნენ, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ. ის კი დუმდა და არაფერს იმჩნევდა — ანუ, მისი თქმით, სულეებს „იგნორირებას“ უკეთებდა — ირგვლივ მყოფთ რომ გიჟად არ შეერაცხათ. ამ ამბებმა ისე გამოაცა, ხავიერს ვთხოვე, ამ მედიუმ კანცელარისტს მოელაპარაკე და სეანსზე შეუთანხმდი-მეთქი. თანხმობით კი დაეთანხმა, მაგრამ აგერ ერთი კვირაა არა და არ გვადირსა სეანსი, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიზეზით. აუცილებელია მთვარის გარკვეულ ნაკვეთს დაველოდო, მოქცევა-მიქცევის შეცვლასა თუ სხვა უფრო მნიშვნელოვან მოვლენებსო. როგორც ეტყობა, „სულეები“ დიდად მგრძნობიერნი ყოფილან სინესტის, ქარის, ვარსკვლავებისა თუ სხვათა მიმართ. მაგრამ, როგორც იყო, ეს დღეც დადგა.

პირველ ყოვლისა, დიდი გმირობა ყოფილა საჭირო მედიუმ მოხელის ბინისთვის მიგვეკვლია. მისი ჩაქამებული პაწაწკინტელა სამყოფელი კანგალიოს ქუჩის სიღრმეში მდგარ სახლში აღმოჩნდა სხვა ბინათა შორის ჩატუჭყული. მედიუმში სამოცი წლის კაცი იყო, უცოლო და მელოტი. უმაღლესი შესაზელი მაღალმოს სურნელი შემოგვაფრქვია, თვალებს ხარვიით აბრიალებდა. ისეთი უბირი საუბარი ჰქონდა, ვერაფრით ვერ იფიქრებდი, ამ კაცს „სულეებთან“ თუ რამე კავშირი ჰქონდა. ერთ ჭუჭყიან, ჩამოცრცნილ ოთახში შეგვიყვანა, უმაროლო გალეტები, ყველის პაწია ნაჭრები და პისკო მოგვართვა ერთი ციციქნა სასმისებით. თავდაჭერებით გვიამბობდა იმქვეყნიურ სამყაროსთან თავისი ურთიერთობის ამბებს. ეს ამბები თორმეტოდე წლის წინ დაწყებია დაქვრივე-



ბის შემდეგ. ცოლის სიკვდილმა თურმე უნუგეშოდ დაამწუხრა, მაგრამ ერთმა მეგობარმა სპირიტუზმს აზიარა და სასოწარკვეთისაგან იხსნა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ყოფილა მის ცხოვრებაში.

— განა მართო იმიტომ, რომ კვლავაც ხედავ შენთვის ძვირფას ადამიანებს, — გვაუწყებდა მოხელე ისეთი კილოთი, ნათლობის <sup>დაწესების</sup> ~~დაწესების~~ რომ მოისმენ ეკლესიაში, — არამედ იმიტომაც, რომ უკეთეს <sup>განსახიზმის</sup> ~~განსახიზმის~~ გერც მოიფიქრებ კაცი. დრო ისე გარბის, ველარ ამჩნევ.

მისი თქმით გარდაცვლილებთან საუბარი იგივე იყო, რაც კინოსა თუ ფეხბურთის შეჯიბრის ცქერა (თუმცა, ცხადია, ისე მიმზიდველი არა). მედიუმის აღწერით იმპვეყნიური ცხოვრება ყოვლად ჩვეულებრივი, აღმაფრენას მოკლებული ყოფილა. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც მას „სულეზმა“ ამცნეს, აქაურ თუ იქაურ ცხოვრებას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა: „სულეზი“ ისევე ავადმყოფობდნენ, სიყვარული ისევე იტაცებდათ, ისევე ქორწინდებოდნენ, შვილებს ისევე აჩენდნენ და მოგზაურობდნენ, როგორც ცოცხლები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არასოდეს კვდებოდნენ. მე უკვე ლამის თვალებით ვქამდი ხავიერს. როცა საათმა შუალამე დაჰკრა, მოხელემ მაგიდის გარშემო ჩამოგვსვა (მაგიდა მრგვალი კი არა, ოთხკუთხა იყო). სინათლე ჩააქრო და გვიბრძანა, ხელები შეაერთეთო. რამდენიმე წუთი სიჩუმე იდგა. მოლოდინით გაბეზრებულს იმედი მომეცა, ძლივს რაღაც საინტერესო რამ დაიწყება-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! გამოცხადებისთანავე მოხელემ ისეთივე ჩვეულებრივი ხმით ყოვლად მოსაწყენი კითხვები მიაყარა „სულეზს“: როგორაა საქმე, ზოილიტა? ბედნიერი ვარ, შენი ხმა რომ მესმის, აქ სწორედ ჩემი მეგობრები სხედან, ძალიან კარგი ხალხია, მაგათაც უნდათ შენს სამყაროს ეზიარონ. ზოილიტა, რა თქვი? როგორ? მოვიკითხო? რა თქმა უნდა, მოვიკითხავ, ზოილიტა, შენ მაგივრად. ის ამბობს (ახლა უკვე ჩვენ მოგვმართა), ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეციო და გთხოვათ, ხანდახან ჩემთვისაც ილოცეთ, სალხინებელი რომ მალე დავტოვოო“.

ზოილიტას შერე სხვა ნათესავებიც გამოეცხადნენ მოხელეს და იმათაც ასევე ელაპარაკა. ყველანი სალხინებელში იყვნენ თურმე, ყველა მოკითხვას გვითვლიდა და ეველა, ჩემზე ილოცეთო, გვთხოვდა. ხავიერი ჩააცივდა მოხელეს. ვინდა თუ არა, ჯოჯოხეთიდან გამომიძახე ვინმე, ექვები გაგვიქარწყლოსო, მაგრამ მედიუმმა უყოყმანოდ გვაუწყა, ეს შეუძლებელია, ჯოჯოხეთიდან მხოლოდ კენტი თვეების პირველ სამ დღეს შეიძლება გამოიძახო ვინმე და ისიც ხმა ძლივძლივობით ისმისო. მაშინ ხავიერმა სთხოვა, ჩემი ძიძა გამოიძახე, რომელმაც დედა, მე და ჩემი ძმები გაგვზარდაო. გამოცხადებულმა დონია გუმერსინდომაც მოკითხვა შემოგვითვალა და გვამცნო, რომ ხავიერს დიდი სინაზით იგონებს, რომ უკვე ფუთა აქვს შეკრული, რათა სალხინებელი დატოვოს და უფალი ღმერთის შესახვედრად გაეშუროს. მოხელეს ვთხოვე, აბა ახლა ჩემი ძმა ხუანი გამოიძახე-მეთქი. ჩემდა გასაკვირად (ძმა თავის დღეში არ მყოლია). ისიც გამოგვეცხადა და მედიუმის უემური ხმით მაუწყა, ჩემზე ნუ იწუხებ, სამოთხეში ვარ და მუდამ შენზე ვლოცულობო. ამ ამბით დაარხეინებული სეანსს აღარც ვუგდებდი ყურს და ისევ ჩემს მოთხოვნაზე დავიწყე ფიქრი. თავში აზრად გამკრა, უცნაური სათაური „არასრულყოფილი არსება“ დამერქმია. ვინემ ხავიერი ჩვენს მედიუმს საშველს არ აძლევდა, რომელიმე ანგელოზი ან, უკიდურეს შემთხვევაში ისტორიული პიროვნება

მანკო კაპაკის<sup>1</sup> მსგავსი, მაინც გამოეძახა, მე დავასკვენი, რომ სენატორს თავისი პრობლემის გადაწყვეტა ფროიდისეული გზით შეეძლო: საჭირო წუთს ცოლისთვის თვალეზზე მეკობრის სახვევი გადაეფერებინა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე დამთავრდა სეანსი. ვინემ ბარიოს ალტოსის ქუჩებზე ტაქსს დავიჭერდით სან-მარტინის მოედანზე, გასულწელად, სადაც მიკროავტობუსზე გადავსხდებოდით, ხავიერი ლამის გასულწელად, შენი წყალობით იმქვეყნიურმა სამყარომ ჩემს თვალში ყოველგვარი პოეტურობა და მომხიბლაობა დაკარგა, ვინაიდან ახლა ჩემთვის ნათელია, გარდაცვალების შემდეგ ყველა ჩერჩეტდება-მეთქი, შენი წყალობით ვერც აგნოსტიკოსად დავრჩები, ამიერიდან მთელი სიცოცხლე ეჭვი გამაწამებს, ვაითუ იმქვეყნად მეც მოწყენა და გამოტვინება მელის-მეთქი. როცა ტაქსი დავიჭირეთ, დასასჯელად ტაქსის ფული ხავიერს დავაყაჭინე.

შინ ისევ ლავაში, ტაფამწვარი და ბრინჯი დამხვდა, გვერდით კი ბარათი იდო: „ხულიტამ დაგირეკა, შენი ვარდები მომიტანეს, ძალზე ღამაზები იყო და ძალზეც მომეწონაო, ოღონდაც ვარდები ვერ გიხსნის, ამ დღეებში კინოში უნდა წამიყვანოო. ბაბუა“.

მეორე დღეს ძია ლუჩოს დაბადების დღე იყო. საჩუქრად პალსტუხი ვუყიდე. ის იყო ნაშუადღევს იქ დავაპირე წასვლა, რომ მოულოდნელად სხვენზე ხენაროს ვაჟი მომეკვლინა და „რაიმონდის“ რესტორანში წამათრია სადილად, აქაოდა, სარეკლამო განცხადებების გასწორებაში უნდა მიშველოო. ეს განცხადებები საკვირაო გაზეთებში ქვეყნდებოდა იმის საუწყებლად, რომ მომავალი ორშაბათიდან პედრო კამაჩოს რადიოდანგმები დაიწყებოდა. კი მაგრამ, ხომ უფრო გონივრული იქნება თვითონ კამაჩომ გადახედოს-მეთქი ამ განცხადებებს?

— საქმეც ისაა, რომ უარი მტკიცა, — მითხრა ხენაროს ვაჟმა და სიგარეტის კვამლი საკვამურით გამოათრქვია. — ჩემი სცენარები იმ გამყიდველ რეკლამას არ საჭიროებენო, თვითონ მიიზადავენო მსმენელებს და ასე ამგვარი! ერთი სიტყვით, დიდი უბედური ვიღაც ყოფილა, ყველანაირი მანიით შეპყრობილი! ალბათ უკვე იცი, არგენტინელებთან რომ ხელშეკრულება გაგვაუქმებინა. მისი წყალობით ჯარიმა უნდა გადავიხადოთ ახლა პირობის დარღვევისათვის, ნეტა მისმა შემოთავაზებულმა პროგრამამ მაინც გაამართლოს ეს ქედმაღლობა.

შევასწორეთ განცხადებები, გეახელით თითო-თითო შემწვარი თევზი, დავაყოლეთ ცივი ლუდი და თან რუხ თავგებს ვუყურებდით, დროდადრო რომ გაირბენდნენ ხოლმე რესტორნის ჭერის კოჭებზე, თითქოსდა იმის დასამტკიცებლად, რა ძველთაძველი რესტორანი იყო. შემდეგ ხენაროს ვაჟმა კიდევ ერთი უსიამო შეტაკების ამბავი მაუწყა პედრო კამაჩოსთან. მიზეზი თურმე ოთხი სადებიუტო რადიოდანგმის ორმოცდაათ-ორმოცდაათი წლის „ჭარმაგი“ გმირები ყოფილან.

— რამდენი არ ვეჩიჩინეთ, ჩვენი გამოცდილებით რადიომსმნელებს ოცდაათ-ოცდაათხუთმეტობდე წლის გმირები უფრო მოსწონთ-მეთქი, ვერაფერი შევასმინეთ, ჯორივით გაჭიუტდა, — ჩიოდა ხენაროს ვაჟი და კვამლს ნესტო-

<sup>1</sup> ინკების სახელმწიფოს მეთაური, ახლანდელი პერუს მიწაზე რომ არსებობდა XIII საუკუნეში.

ებიდან აბოლებდა. — ვაითუ შევცდი და ამ ბოლივიელმა ყველაფერი ჩამიფლავოს?

მომავონდა, გუშინ რომ „რადიო სენტრალის“ გალიაში კამანო შთაგონებით ირწმუნებოდა, თუ რას ნიშნავს ორმოცდაათი წელი მეგობრობისა! ეს ასაკი მამაკაცის გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობებისა! მისეული გამოცდილების მწვერვალია, ამ ასაკში ყველაზე უფრო სასურველია იგი დიაცთათვის და საშიში სხვა კაცთათვისო. ისე დაყინებით გაიძახოდა, სიბერე „ყოველივეს ნებასა და უფლებას“ იძლევაო, ჩემთვის ცხადი შეიქნა, ბოლივიელისთვის უკვე ორმოცდაათ წელს მიეკატუნებინა და სალი კლდესავით ურყევი მისი სული, სხვა ცოდვილთა მსგავსად, სიბერეს შეეშინებინა.

რეკლამაზე მუშაობის გამო მირაფლორესში გამგზავრება შემავიანდა და ძია ლუჩოს დავურეკე, მხოლოდ საღამოს გეახლები-მეთქი. მეგონა, მომლოცველთა მთელი ჯგრო დამხვდებოდა, მაგრამ ოღვა ძალოსნ და ხულია დეიდას მეტი არავინ დამხვედრია — ნათესავეების ალღუმი თურმე დღისით შემდგარა. ჩემი ძია და ქალები ვისკის სვამდნენ, მეც დამისხეს. ხულია დეიდამ კიდევ ერთელ მითხრა მადლობა ვარდებისათვის — ჩემი თაიგული დარბაზში სერვანტის თავზე იდგა და ვარდები თვალში ფრიად მეცოტავა, მერე კი კვლავ დაცინვა დამიწყო, აბა გამოტყდი, იმ საღამოს რა მიზეზით მომატყუე — სტუდენტისა თუ რადიოში მომუშავე ჩიტირეკია გოგოს გამქ? ხულიას ცისფერი კაბა ეცვა, თეთრი ფეხსაცმელი, ფერუშარილი წაეცხო და თმაზე ეტყობოდა, საპარიკმახეროდან ახლახან დაბრუნებულიყო. ხმამალლა, დაუფარავად კისკისებდა, ოდნავ ჩახრინწული ხმით, და თვალებს არშიყულად მიეუფუნებდა. ახლალა შევამჩნიე, რა მომხიბვლელი ქალი ყოფილა. ძია ლუჩოც ეშხზე მოვიდა და გვაუწყა: კაცს ორმოცდაათი წელი სიცოცხლეში ერთხელ უსრულდება, ამიტომ ყველას გეპატიეებით „ბოლივარის“ რესტორანშიო. გულში ვიფიქრე, ეს უკვე მეორე დღეა ვეღარ და ვეღარ მოვიცალე იმ ბედუკულმართ ცვედან სენატორზე მოთხრობის დასაწერად-მეთქი (იქნებ ასე დამერქვა მოთხრობისათვის?), მაგრამ მერე გადავწყვიტე აღარ მენანა ამაზე და გემოზე წამეჭეიფა. ოღვა ძალომ ჩემი გაქეჟილი, დაჭმუჭნილი კოსტიუმი რომ შეათვალიერა, ასეთი რესტორნისთვის სამარცხვინოდ ჩათვალა და ლუჩოს უთხრა, შენი სუფთა პერანგი და ჭრელჭრულა პალსტუხი ათხოვეო. პერანგი, ცხადია დიდი მომივიდა, საყელოც ერთობ განიერი და თავი ისე უხერხულად ვიგრძენ, ხულია დეიდამ მასხარად ამიგდო, რალა შენ და რალა პოპეიეო!

ბოლივარის რესტორანში თავის დღეში არ ვყოფილვარ. ამიტომ ყველაზე დიდებულ ადგილად მეჩვენა და საჭმელიც ისე მეგემრიელა, როგორც არსად და არასდროს. ორკესტრი ბოლეროს, პასოდობლს, ბლიუზებს უკრავდა. პირთეთრა ფრანგი ქალი ისე ვნებიანად კრუტუნებდა სიმღერებს, გეგონებოდა, მიკროფონი უნდა გააუპატიუროსო. თანდათან შეხურებული ძია ლუჩოც სულ „ბრავო! ბრავო! მამზელ შერი!“ ყვიროდა, მისი ჭკუით, ფრანგულ ენაზე. საცეკვაოდ, ჩემდა გასაკვირად, პირველი მე გავიჭერი და ოღვა ძალოც გავიტაცე, თუმცა ცეკვა სულაც არ მეხერხებოდა. იმხანად მტკიცედ მწამდა, ლიტერატორს არც ცეკვა და არც სპორტი არ შეფერის-მეთქი. ჩემი ბედი, რომ ხალხი ბლომად იყო და ამ კეჭყვასა და ნახევრად სიბნელეში კაცმა ვერ

<sup>1</sup> ამერიკული კომიქსების გმირი — უილბლო ზებერი მეზღვაური.

შეამჩნია, რა უვიციც ვბრძანდებოდი ქორეოგრაფიაში. ხულია დეიდამ თავის მხრივ ძია ლუჩოს დააყენა შავი დღე, როცა ხელმოუხვევლად ცეკვა და ტლინკაობა აიძულა. თვითონ კი ისე მშვენივრად ცეკვავდა, ბევრი მამაკაცი თვალმოუშორებლივ უჭვრეტდა.

ერქვენული

შემდეგ ხულია დეიდა გავიწვიე საცეკვაოდ, თუმცა უკმაყოფილო ვიყავი. ცეკვა არ ვიცი-მეთქი. იღბალზე მუსიკოსებმა ძალზე ნელი ბლიუზი დაუკრეს, ისე რომ, ღირსეულად მოვიხადე ვალი და თავი არ შევირცხვინე.

ჩვენ კიდევ ორჯერ ვიცეკვეთ და ძია ლუჩოსა და ოლგა ძალოს მაგიდასთან დავშორდით. როცა მუსიკა შეწყდა და ხულია დეიდამ ჩემგან თავის დახსნა დააპირა, შევაჩერე და ტუჩების ახლოს ლოყაზე ვაკოცე. ქალი ისე განცვიფრდა, თითქოს მის თვალწინ სასწაული რაღაც მომხდარიყო. მუსიკოსები შეიცვალნენ და ჩვენ ისევ სუფრას დავუბრუნდით. ხულია დეიდამ დაცინვა დაუწყო ძია ლუჩოს — ორმოცდაათი წლის მერე ყველა კაცი უკვე ბებრეწიაო. შიგადაშიგ კი მე მესროდა მზერას, თითქოს უნდა დარწმუნდეს, იქ ვზივარ თუ არა. მივხვდი, ჩემმა საქციელმა დიდ საგონებელში ჩააგდო. ოლგა ძალო დაიღალა და უკვე იხვეწებოდა, შინ წავიდეთო. მაგრამ მე ავიხირე, ერთხელ კიდევ უნდა ვიცეკვო-მეთქი. „გაირყვნა ჩვენი ინტელიგენტი“, — დაასკვნა ძია ლუჩომ და ოლგა ძალო გაიტაცა საცეკვაოდ. მე კი ხულია დეიდა გავიწვიე. პირველად იყო, კრინტი არ გაუღია. როგორც კი ლუჩოსა და ოლგა ძალოს მოცეკვავენი ჩამოეფარენ, ხულია დეიდა გულში ჩავიკარ და ლოყა ლოყაზე მივახუტე. „გამიგონე, მარიტო“, — წაიჩურჩულა დაბნეულმა, მაგრამ მაშინვე შევაწყვეტინე და ყურში ჩავუღებარაკე: „არ გაბედო და ამიერიდან მარიტო აღარ დამიძახო!“ მან მაშინვე უკან გადააგდო თავი, ჩემთვის რომ შემოეხედა, და გაღიმება სცადა. მაშინ კი, თითქმის ანგარიშმიუცემლად, დავიხარე და ტუჩებში ვაკოცე ისე სწრაფად და მოჭლოდნელად, გაკვირვებისგან თვალეზგაფართოებული და პირდაღებული შედგა. მუსიკა შეწყდა. ძია ლუჩომ ფული გადაიხადა და მირაფლორესისკენ წამოვედით. გზაში მე და ხულია დეიდა უკან ვისხედით მანქანაში — ნაზად დავიჭირე მისი ხელი და მერე აღარც გამიშვია. ის კი ხმაგაკმენდილი იჯდა, კვლავ საოცრად დაბნეული, და ხელი არ გამოუგლეჯია. ბებია-ბაბუას სახლთან რომ გადმოვედი, ჩემს თავს ვკითხე, ნეტა რამდენი წლითაა-მეთქი ჩემზე უფროსი?

IV

მგლის ხახხავით ბნელი და ნოტიო ღამე იცის კალიაოში<sup>1</sup>. ლაბადის საყელო აიწია, ხელები მოიფშენილა ხერყანტმა ლიტუმამ, მოვალეობის აღსასრულებლად მოემზადა. ორმოცდაათს წელს მიატანა უკვე კაცმა, სიმწიფის ახაკს პოლიციაში დიდად აფახებდნენ: რა ხახიფათო ადგილებშიც არ უნდა გაეგზავნათ, ხმას არ გაიდებდა, კანონის დამრღვევთ ვაუკაცურად უხწორდებოდა, რისი დახტურიც მისი ნაჭრილობევი და ნაიარევი სხეული იყო. პერუს ციხეებში ბლომად ისხდნენ მის მიერ ხელდაბორკილი დამნაშავენი. მისი საქმეები მოჰყავდათ მაგალითად ბრძანებებში, მას იხსენიებდნენ ოფიციალურ გამოსვლებში, ორჯერ დააჯილდოვეს კიდევაც, მაგრამ დამსახურებამ და დიდებამ

<sup>1</sup> პერუს მთავარი ნავსადგური ლიმის ახლოს.

როდი გაფუჟა და გააამაჟა, თავმდაბლობა ისევე ჭარბად მოსდგამდა, როგორც ვაჟკაცობა და პატიოსნება. აგერ უკვე ერთი წელია მსახურობს კალიაოს მეოთხე საპოლიციო კომისარიატში, აგერ უკვე სამი თვეა ისეთი ძნელი საქმე აბარია, რაც შეიძლება ბედმა არგუნოს ნავსადგურში გამწესებულ სერჟანტს: ლამის მორიგეობა.


შორს შუალამის უამი ჩამორეკა კარმენ დე ლა ლეგუან ტამარის წარებმა. თავის გზას დაადგა მუღამ და მარად სიზუსტის ერთგული სერჟანტი ლიტუმა — შუბლგანიერი, არწივისცხვირა, თვალბასრი, მოვალეობის პირნათლად მობდისა და წინდახედული სიფრთხილის მაგალითი. ბნელში მოპარპალე ალივით დარჩა უკან მეოთხე საპოლიციო კომისარიატის ძველი ხის შენობა. აღბათ იქ ახლა ლეიტენანტი ხაიმე კონჩა იხვის ჭუჭულ დონადლის კომიქსებს ფურცლავს. წვინტლა კამაჩო და ვაშლა არევალო პოლიციელები ეს-ესაა მოდულეებულ ტკბილ უავას შეექცევიან, ხოლო ერთადერთ პატიმარს — ჩუკუიტო — ლა პარადას გზაზე ავტობუსში დანაშაულის ადგილზე იმ დღეს დაჭერილ ჭიბვირს, ცემით რომ დაასივა ექვსიოდე გაცეცხლებულმა მგზავრმა — ვინძლო ხაკანის იატაკზე მოკრუნჩხულს სძინავს.

ახალი ნავსადგურის უბნიდან დაიწყო შემოვლა სერჟანტმა. აქ იყო განწესებული მორიგე პოლიციელად წარმაცზე წარმაცი, თუმცა კი ტონდეროსის<sup>1</sup> გიჟი მოცეკვავე პაჭუა სოლდევილია. კალიაოს ყველა პოლიციელსა და დეტექტივს თავწარს სცემდა ახალი ნავსადგური. ფიცრებით, კონსერვის ქილებით, მოთუთიებული რკინითა და გამხმარი ნებვით შეეკოწიწებინათ მისი ლაბირინთების მკვიდრთ თავიანთი ხუხულები. აქაურ ბინადართა მხოლოდ მცირედი ნაწილი შოულობდა ლუკმას თევზაობითა თუ გემების გადმოტვირთვით. მეტი წილი კი მაწანწალები, ქურდები, ლოთები, ჭიბვირები და პედერასტები იყვნენ (რომ არაფერი ვთქვათ უთვალავ როსკიპზე), რომელთათვის სულ პატარა საბაბი კმაროდა დანა გაეყარათ ან ტყვია დაეხალათ ერთმანეთისთვის. არაერთხელ მორწყულა კანონის დამცველთა სისხლით ამ უბნის ქვეები. აქ არც წყალი იყო გაყვანილი, არც კანალიზაცია, არც სინათლე, ვერც ფილაქნიან ქურჩებს ნახავდი სადმე. მაგრამ ამ ღამით გასაოცრად მშვიდი ჩანდა უბანი. შარდით აქოთებულ კუთხე-კუნჭულებში დაეძებდა ლიტუმა პაჭუას. სიბნელეში კოლბოხებზე უცდებოდა ფეხი, ლამის დაახრჩო განავლისა და საჭმლის ნარჩენების სიმყრალემ. „ცივა და მაწანწალებიც ადრიანად შებუდრულან“, ფიქრობდა იგი. შუა აგვისტო იდგა, გახურებული ზამთრის ხანი. ბლანტე ჭანლში გადღლაბნილი ჩანდა ყველაფერი, უიუმატი წვიმა ცრიდა და ცრიდა, ჰაერს სინესტით აუივთივებდა, ღამეს მწუხარესა და უჟმურს ხდიდა. ნეტა სად ჭანდაბაში დაიკარგა პაჭუა სოლდევილია? ვინძლო ეს წარმაცელა სიცივემ და ყაჩაღების შიშმა უახკარის ავენიდაზე გაავდო და ახლა გასათბობად პისკოს ყლუპავს რომელიმე ტავერნაში. „თუმცა არა მგონია გაბედოს, — გაიფიქრა ლიტუმამ. — იცის, შემოვლაზე ვარ და, თუ ადგილზე არ დამხვდა, შავ დღეს დავაყრი...“

პაჭუა სასაღაბოსა და საწყობების ახლოს კუთხეში აღმოაჩინა, როგორც იყო, ფანრის ბოძთან აყუდებული. გამწარებით იწელდა ხელებს, რალაც საოცარი ყელსახვევით აეხვია თავ-პირი, მარტო თვალებიღა უჩანდა. კაცის და-

<sup>1</sup> პერუელი ხალხური ცეკვა, შაირებთან ერთად სრულდება.

ნახვაზე პაჭუამ რევოლუციის ბუდეზე იკრა ხელი, მაგრამ უფროსი რომ იცნო, ქუსლი ქულს შემოჰკრა.

— კინალამ გული გამიხეთქეთ, ჩემო სერჟანტო,  — სიბნელეში მოჩვენება მეგონეთ.

— რა მოჩვენება... რაებს ბოდავ, — ხელი გაუწოდებოდა — ჯიბგირი გეგონე აღბათ.

— ღვთის მადლით, ჯიბგირები ამ სიცივეში არ დაძრწიან, — ისევ მოიფშვნიტა ხელები პაჭუამ. — მარტო მე და თქვენისთანა გიჟები დაბორიანობენ ამ წუნწუხში ქუჩა-ქუჩა. კიდევ აი, ისინი, — შიათითა მან ხასალახოზე და ლიტუმამაც, მზერა რომ დაძაბა, ხახურავის კიდეზე ექვსიოდე ორბი გაარჩია, ერთმანეთის გვერდზე დასკუბებულნი და ფრთის ქვეშ თავშერგულნი. „დამშეულები არიან, — გაურბინა თავში, — რომც გაიყინონ, ლეში თუ იყნოსეს, ფეხს არ მოიცივლიან“. ფარნის მბუტავ შუქზე შემოვლის აქტს ხელი მოაწერა პაჭუამ, დაღრღნილი ფანქარი ლამის ჩაემალა ხელისგულში. ახალი არაფერი მომხდარიყო: არც ავაზაკობა, არც უბედური შემთხვევა, არც ღოთბაზრობა.

— მშვიდი ღამეა, ჩემო სერჟანტო, — გამოაცილა პაჭუამ ლიტუმა, რამდენიმე უბანი ერთად გაიარეს მანკო კაპაკის ავენიდის მიმართულებით. — იმედია, ასეც გაგრძელდეს, ვინემ არ შეგვცვლიან. მერე კი თუნდაც ჯანდაბაში წასულა ყველა, — თქვა და გაიცინა, თითქოს ფრიად ენამოსწრებულად იოხუნჯაო. „აი, თურმე როგორ ფიქრობს ზოგ-ზოგი პოლიციელი“, — გაიფიქრა გულში ლიტუმამ და არც შემცდარა. პაჭუა სოლდევილიამ მაშინვე დინჯად დააყოლა:

— მე თქვენ არ გგავართ, ჩემო სერჟანტო. დიდად არ მეპიტნავება ეს ხამსახური. ეს ფორმა იმიტომ ჩავიცვი, ლუკმაპური ვიშოვო.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, ვერც ჩაიცვამდი, — წაიღუდუნა სერჟანტმა. — მარტო იმათ დავტოვებდი, ვისაც ჩვენი საქმისა სწამს.

— ბევრი არ შერჩებოდა მაშინ პოლიციას... — წაილაპარაკა პაჭუამ.

— სჯობს ერთი იყო, ვინემ უხეირო ხალხი გეხვიოს, — ჩაიცინა ლიტუმამ.

ახლა უშენზე მიდიოდნენ, გუადალუპეს ფაქტორიას რომ ერთჟა ირგვლივ ძალღზე მონადირეებს სულ ქვებით ჩაელეწათ ფარნის ნათურები. შორიდან ზღვის გუგუნის, დროდადრო ტაქსების თუხთუხი ისმოდა არგენტინის ავენიდიდან.

— ჩვენ ყველას გმირობა გვინდა, ტყავში ვძვრებით ამ ნაგვის დასაცავად, — თქვა ანაზღად პოლიციელმა და ირგვლივ მოავლო ხელი, კალიაოხა და ლიმის ჩათვლით. — მერე ვინ გეუბნება მადლობას? ვინ გიფასებს? არ გაგივონიათ, რას გვეძახის ზურგს უკან ხალხი? ჩირად არ გვაგდებენ, ჩემო სერჟანტო.

— აქ დავშორდეთ ერთმანეთს, — მანკო კაპაკის ავენიდასთან თქვა ლიტუმამ. — შენს ზონას ნუ მოშორდები. ნურც ბრაზობ. ვიცი, ერთი სული გაქვს გაიქცე, მაგრამ რომ გაგაგდონ, ძალღივით აყმუვლდები. ასე დაემართა ბუთხუზა ანტენსანასაც. მერე სულ კომისარიატში მოდიოდა, ლამის ტიროდა კაცი: რა ოჯახი მქონდა და დავკარგეო...

— ის რა ოჯახია, სადაც ქალი არაა, — ჩაიბუტბუტა პაჭუამ.

იქნებ არც სტყუის პაჭუა, ფიქრობდა ლიტუმა, უკაცრიელ ავენიდაზე რომ მიაბიჯებდა. ხალხს მართლაც არ უყვარს პოლიციელები, მაშინ გაახსენდებათ, როცა დაფრთხებიან. მერედა რა განა იმითომ ბეჭითობს ასე, ხალხს დააფასოს და შეიყვაროს! „ხალხი რა ბედენაა, კაპიკია ხალხის ფასი“, — ფიქრობდა იგი. მაშ, სხვებივით რად არ იქცევა, სხვები ხომ მახავით არ აქვთ ფიქრები საქმეს, რას არ აკეთებენ, ოღონდაც თავი დაიძვრინონ ან ბინძურად უნდა რამდენიმე სოლი იშოვნონ, როგორც კი უფროსი ზურგს შეაქცევთ? რატომ, მა, ლიტუმა? „იმითომ, რომ გიყვარს შენი საქმე, სხვებს ფეხბურთის ან დოღობ ღინი კლავთ, შენ კი შენი საქმისა“. აი, რატომაც არის ასე ვინმე ფეხბურთის გულშემატკივარმა რომ ჰკითხოს: შენ ვის მხარეზე ხარ, ლიტუმა, „ხპორტ ბონისა“ თუ „ჩაღაკოსიო“? — ასე ეტყვის: მე ეროვნული პოლიციის მხარეს ვახლავარო! და კმაყოფილების სიცილი მოერია თავის ოზუნჯობაზე ამ წვიმახა, ნისლსა და ღამეში მიმავალს. უცბად ხმაური მოესმა. პირველად რევოლვრის ბუდეს სწვდა და გაქცევა დააპირა, მერე კი გაქვავდა. ხმაური ისე მოულოდნელი იყო, ღამის შეშინდა. „ღიანაც ღამის, — უთხრა თავის თავს ლიტუმამ. — შენ ხომ არასოდეს გიგრძვნია და ვერც იგრძნობ შეშისისიცი კი არ იცი, რა გემო აქვს“. მის მარცხნივ უშენი გადაჭიმულიყო, მარჯვნივ — საზღვაო სადგურის პირველი საწყობის ვეება შენობა. იქიდან მოესმა სწორედ ჩამოცვენილი უუთებისა და კასრების რახრახი, მერე ისევ მიჩუმდა უველაფერი, მარტო შორიდან ისმოდა ზღვის გუგუნი და კიდევ ქარის ზუზუნი სახურავებსა და მავთულებში. „კატა გამოეკიდა აღბათ ვირთხას, უღთი, ორი უუთი ჩამოაგდო და სხვებიც ჩამოანგრია“, — გაივლო გუნებაში სერუანტმა და თვალწინ დაუდგა ტომრებსა და კასრებქვეშ ვირთხებშუა განრთხმული საცოდავი კატა. ახლა იმ უბანში იყო, სადაც კოტა რომანი მორიგეობდა. რა თქმა უნდა, კოტა ადგილზე არ დახვდა. მშვენივრად იცოდა ლიტუმამ, რომ პოლიციელი თავისი უბნის მეორე ბოლოში იქნებოდა, „Happy Land“-ში, „Blue star“-ში თუ მეზღვაურთა რომელიმე დუქანსა ან საროხკიპოში შემძვრალი იმ ვიწრო ქუჩის ბოლოს, რომელსაც ენამწარე მცხოვრებლები „ათაშანგიანთა ქუჩას“ ეძახდნენ. კი, კი, უთუოდ იქ იქნება და ხის დახლთან ლუდს წრუპავს. იქითკენ მიმავალ ლიტუმას ცოცხლად წარმოუდგა, რა შიშის წარიდაეცემა რომანს, როცა ზურგს უკან ლიტუმა დაუდგება და ეტყვის: მაშ, მორიგეობის დროს სპირტიან სასმელებს ულურწავ?! მოგეხაზა, კოტავ!... მაგრამ ორასიოდე ნაბიჯის შემდეგ ისევ გაჩერდა და თავი მიაბრუნა. იქ, სიბნელეში, ძაღლების მღევართა ქვას სასწაულით გადარჩენილი ნათურით სუსტად განათებული საწყობის კედელი უნდა ყოფილიყო. „არა, ეს არც კატაა, — გაიფიქრა სერუანტმა. — და არც ვირთხა. ეს ქურდია“. გული აუძგერდა სერუანტს, შუბლი და ხელები გაუოფლიანდა. კი, კი, ქურდია! რამდენიმე წამს უძრავად იდგა და მერე უკან გაბრუნება დააპირა. ლიტუმამ იცოდა თავისი ამბავი, ასეთ გრძნობას არაერთხელ აუტანია. რევოლვერი ჩახმახზე შეაყენა და ფარანი მარცხენა ხელში გადაიტანა. მერე ფეხაკრეფით გაბრუნდა უკან, გული ღამის საგულეღან ამოვარდნოდა. კი, ასეცაა: ეს ქურდი იყო. საწყობთან გაჩერდა და გაირინდა. იქნებ პაჭუა ან კოტა მოძებნოს და დაიხმარიოს? თუმცა არა, არავინაც არ სჭირდება, თვითონაც საკმარისზე მეტი იქნება. თუ ქურდი მარტო არაა, მით უარესი მათთვის და მით უკეთესი ლიტუმასათვის. სახე მიაკრა ხის კედელს, მიაყურა — სრული სიჩუმე იყო. შორს მხოლოდ ზღვის

ხმაური და აქა-იქ მანქანების რახრახი ისმოდა. — რა ქურდი, რის ქურდი, ერთი მაგისი... — გაიფიქრა სერუანტმა. — მომეღანდა აღბათ, კბტა ან ვირთხა იქნებოდა. ურუანტელი აღარ უვლიდა ტანში, გათბა და დაღლილობა იგრძნო. საწყობს შემოუარა, კარი მონახა და ფარანი მიანათა: ბოქლოში გულდაგულ დაკეტილი აღმოჩნდა. ის იყო ბუზლუნ-ბუზლუნით უნდა გამოხრუნებულ იყო: „სულ გამოტვინდი, ლიტუმა, ძველებურად აღარ გიჭირის უნდა“, რომ ანგარიშმიუცემლად კედელს მიანათა ფარანი და მის ყვითელ შუქზე ხვრელი დაინახა. კარიდან რამდენიმე მეტრზე ნაჯახითა თუ ფეხით საკმაო დიდზე ჩაემტვრიათ ფიცრები, ისე რომ, ოთხზე დამდგარი მოზრდილი კაცი თავისუფლად გაეტეოდა.

გული გაშმაგებით აუძგერდა ლიტუმას, ფარანი ჩააქრო, რევოლვერი ერთხელ კიდევ შეამოწმა და მიმოიხედა. ირგვლივ უკუნი სიბნელე იდგა, მხოლოდ სადღაც შორს ასანთის ალივით ბრკიანებდა უასკარის ავენიდაზე სინათლე, შაერი ღრმად ჩაისუნთქა სერუანტმა და მთელი ხმით დასტეკა: — საწყობს ალყა დაარტყი, კაპრალო! — შემდეგ ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს გაიქცა ბრაგაბრუგით, უფრო დამაჯერებლად რომ გამოსვლოდა. ბოლოს ტიხარს აეკრა და შეშლრიალა: — ჰეი, ვინცა ხარ მანდ, დაგვნებდი! ირგვლივ ხალხია! თითო-თითოდ გამოდით ხვრელიდან! ოცდაათი წამი მომიცია. გირჩევნიათ თქვენი ნებით ჩაგვბარდეთ!

ჯერ თავისივე ღრიალის ნახმევი მოესმა, ღამის სიბნელეში მიმწყდარი, მერე ისევ ზღვის გუგუნი და ძაღლების ყეფა. ოცდაათი კი არადა, სამოცი წამიც დაითვალა. „გაპამპულეებენ, ლიტუმა, მასხრად გიგდებენ!“ — გაიფიქრა და იგრძნო, როგორ წაეკიდა ბრაზის ცეცხლი.

— აბა მარჯვედ, ბიჭებო! — იბღავლა ისევ, — პირველსავე ნიშანზე ახალე ტყვია, კაპრალო!

თუმცა წლებსა და მერე პოლიციელის სამოსსაც კარგა დაეშძიმებინა სერუანტი, ოთხზე დამდგარი მაინც მარჯვედ შეძვრა ხვრელში, სწრაფად გაიმართა, განზე გაიქცა უხმაუროდ და კედელს ზურგით აეკრა. ფარანი არ აუნთია, თუმცა კი ვერაფერს ხედავდა. ჩამიჩუმე არსაით ისმოდა და მაინც უფრო და უფრო რწმუნდებოდა: იქ ვიღაც ზის, მასავით სიბნელეში მოკრუნჩხული, დაყურადებული და მწერადაძაბული. ანაზღად თითქოს ვიღაცის მძიმე სუნთქვა მოესმა: სერუანტს ჩახმახზე ედო თითი, რევოლვერი მკერდზე მიეკრა. სამამდე რომ დაითვალა, ფარანი აანთო. სახტად დარჩა კიდევაც, ყვირილი რომ მოესმა; მოულოდნელობისგან ფარანი გაავლო. იატაკზე ძირს გაგორებულმა ფარნის შუქმა ყუთები, ტომრები (აღბათ ბამბის ტომრები), კასრები, ფიცრების მერქანი გაანათა და უცბად (წამიერად, დაუჯერებლად) ზანგი აჩინა, შიშველი და მოკრუნჩხული, ხელები სახეზე აეფარებინა და უზარმაზარი შეშინებული თვალებით თითებიდან ფარანს უჭვრეტდა, თითქოს ერთადერთ საფრთხეს მისთვის სწორედ ფარნის შუქი წარმოადგენდა.

— არ გაინძრე, თორემ გესვრი და სულს გაგაფრთხობინებ, შავდრუნჩავ! — ისე შეშლრიალა ლიტუმამ, ღამის ყრონტი გაუხკდა. თან ხელებს აფათურებდა ჩაცუცქული ფარნის მისაწვდომად, მერე უდიდესი კმაყოფილებით დააყოლა: — ჩავარდი, გამოგიჭირე, შავდრუნჩავ!

საკუთარმა ხმამ თვითონვე დააურუა სერუანტი. აგერ უკვე ფარანსაც მისწვდა. სინათლის შუქი ზანგის საძებრად გასხლტა. მაგრამ იმას გაქცევა არც



უფიქრია: ისევ იქ იქდა, იმ ადგილზე. ლიტუმამ თვალებს არ დაუჭერა განცვიფრებისაგან. არა, ეს არც მოჩვენება იყო და არც სიზმარი. ზანგს დედაშობილა იქდა, არ ეცვა არც ფეხსაცმელი, არც ტრუსები, არც მაისურა. თითქოს რცხვენოდა კი არადა, ვერც გრძნობდა თავის სიშიშვლეს, სახირცხვოზე ხელიც არ მიუფარებია. მოხრილ-მოკუწულს, ნახევარი სახე გაფარსხვლულ ზედაწილში ჩაემალა და ერთ ადგილს მიუინვოდა, გეგონებოდა, ფარნის ჩანჩაყმს მსგავსლმა თვალმა მონუსხაო.

— აბა ხელები კეფაზე დაიწყვე, შავდრუნჩავ! — უბრძანა სერჟანტმა ფეხმოუნაცვლებლივ. — ჭკუით იყავ, თუ არ გინდა ტყვია გაირტყა. სხვის სამფლობელოში შესვლისა და დედაქალაქში ტიტლიკანა წანწალიხათვის დაპატომრებული ბრძანდები, — თან სმენა დაძაბა, სადმე აქ სიბნელეში თანამწრახველი ხომ არ ჰყავს მიმალულიო. „არა, ეს ქურდს არა ჰგავს, ლენჩია ვილაც“, — გაჰკრა თავში. განა იმიტომ, ამ შუა ზამთარში ტიტლიკანა რომ იქდა ზანგი, მისმა შეყვირებამ აფიქრებინა, როცა შავჯანიანის აქ უოფნა გაამუღაფნა. „ჭკვათამყოფელი ასე არ დაიყვირებს“, — ფიქრობდა სერჟანტი. მეტისმეტად უცნაური ხმა იყო, უმუილს, ზმუილს, ხორხოცსა თუ ყეფას ჰგავდა ერთად, სადაც შიგნიდან, მკერდსა და სულის სიღრმიდან ამომსკდარს.

— ხომ გითხრეს, ხელები კეფაზეო, ძადლისშვილო! — დაუღრიალა ლიტუმამ და ნაბიჯი მისკენ გადადგა.

მაგრამ ზანგს არც ბრძანება შეუსრულებია და არც განძრეულა. შავზე შავი, გაჩხიკული იყო. ამ სიბნელეშიაც კი ჩანდა მისი გაძვალტყავებული ნეკნები, ჩხირივით წვრილი ფეხები და მუხლებზე ჩამოკიდებული ვეება მუცელი. ლატაკთა უბნების გოგობიჭობას აქვს ხოლმე პარაზიტებისგან ასე გამობერილი მუცელი. იქდა გაუნძრევლად, სახე ხელებში დაემალა. ლიტუმამ კიდევ ორი ნაბიჯი წარსდგა მისკენ, დარწმუნებული იყო, აი, ახლა წამოხტება და გაიქცევაო. „გიჟებს დამბაჩისა არ ეშინიათ“, — გაიფიქრა სერჟანტმა და ისევ გადადგა ნაბიჯი. რამდენიმე მეტრილა აშორებდათ ერთმანეთისაგან. ახლალა გაარჩია ლიტუმამ ზანგის ნაიარვეებით დაფარული ბეჭები, მკლავები და ზურგი. „აღბათ ვაუკაცად კურთხევისა თუ მათი ქაჯ-ეშმაკების საპატოოდ დაამშვენეს ასე“, — გაივლო გუნებაში სერჟანტმა. ან იქნებ რაიმე სენმა დაუტოვა დალი? ან იარებისა თუ დამწვრის კვალია?

— მშვიდად, ზანგო, — წაულაპარაკა ხმადაბლად, რომ არ დაეფრთხო, — ხელები კეფაზე აიწყვე და იმავე ხვრელისკენ დაიძარ, საიდანაც შემოძვერი. ჭკვიანად თუ იქნები, საპოლიციო უბანში უავას დაგალევინებ. ალბათ შიმშილისგან სული გძვრება, ტიტლიკანასაც ამ ამინდში შეგცივდებოდა.

ის იყო უნდა მიახლოებოდა, რომ ზანგმა ხელები ჩამოუშვა და... ლიტუმაც თავზარდაცემული გაშეშდა ადგილზე. ნაბადივით მოთელილ თმიდან ლამის ბუდიდან გადმოცვენილი შეშინებული თვალები და საშინელი ნაიარვეებით დაფარული სახე შემოსცქეროდა, უზარმაზარი პირის ხვრელიდან კი ერთადერთი — გრძელი და წვეტიანი — კბილი გამოსჩროდა. მერე ისევ გაურკვეველი, არაადამიანური ღრიალი გაისმა. ზანგი თვალებს ისე აცეცებდა და ისე ძიგძიგებდა, თითქოს ნადირია, მდევანს რომ ემალებათ. ბოლოს და ბოლოს მაინც მიაგნო გასაქცევ გზას, თუმცა ამ გზაზე სერჟანტი ლიტუმა გაბოვირებულიყო. არა, ლიტუმას კი არ ეძგერა, უბრალოდ, მის გამჭოლ მოინდომა გაქცევა. მოულოდნელობისგან ლიტუმამ ვერც მოასწრო მისი შეჩერება, იგრძნო მხოლოდ.

როგორ ეტაკა ზანგი მკერდზე, მაგრამ თავი შეიმაგრა და არ ისროლა. დიან, ეტაკა და ახიხინდა. ლიტუმამ წიხლი ჩაპკრა და ისიც ნაჭრის ტრანსპარენტით ჩაიკაცა. მერე კიდევ ჩასცა წიხლი, ჭკუაზე რომ მოეყვანა.

— ადე! — უბრძანა სერჟანტმა. — გიჟის გარდა უმკაცროდ ვერ უნდა იქნებარ. ფუშ, როგორ ჰყარხარ!

ზურგზე გადმობრუნებული ზანგი დაზაფრული შესცქეროდა ლიტუმას. შარდის, გოგირდის, კატების ხუნი ახდოდა.

— საიდან გამოტყვრი ნეტა? — წაიბურღლუნა ლიტუმამ, ფარანი ახლოს მიუტანა და დაბნეული დააკვირდა თავპირზე. ზანგის ლოყები, ცხვირი, შუბლი, ნიკაბი წვრილ-წვრილ ნაიარევებს დაექსელა და სადღაც კისერთან წყდებოდა. შეიძლება კი კალიაოს ქუჩებში ამისთანა საფრთხობელამ იხეიროს, ისიც სარცხვინელგაშიშვლებულმა, და ლიტუმას არავინ აცნობოს ეს ამბავი?

— ადე, თორემ ისევ მოგადებ, — დაექადნა ლიტუმამ, — გიჟი ხარ თუ არა ხარ, თავი კი მომაბეზრე.

ეს უცნაური კაცი არც ახლა განძრეულა. ისევ რაღაც ბგერები ამოხდოდა პირიდან, უურყურის, უიპყიპისა თუ სტვენის მსგავსი, უფრო ჩიტების, მწერებისა ან ცნოველების ენას რომ ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას, და ისევ უსაზომო ძრწოლით შეშუპრებდა ფარანს.

— ადე, ნუ გეშინია, — უთხრა სერჟანტმა და ზანგს მხარში სწვდა. იგი არ გასძალიანებია, მაგრამ არც წამოდგომა მოუნდომებია. „ეს რა გაჩხიკული ვიღაც ყოფილა, — გაიფიქრა ლიტუმამ და ლამის გაამხიარულა ამ თავისი ტყვის გაუთავებელმა კნავილმა, გურგურმა თუ სტვენამ. — და რა ძალიან ეშინია ჩემი!“ ზანგი რომ ფეხზე წამოაყენა, გაუკვირდა კიდევ, ადამიანი რომ შეიძლება ასე მჩატე ყოფილიყო. ხელი უბიძგა. ზანგი თითქოს გაფრინდა და ისევ დაეცა. მაგრამ თვითონვე წამოდგა დიდი გაჭირვებით და ერბოს კასრს დაეყრდნო.

— ავად ხომ არ ხარ, შავდრუნჩავ? — ჰკითხა სერჟანტმა. — სიარულიც არ შეგიძლია. ნეტა საიდან გამოტყვრი ამისთანა საფრთხობელა, ჭირმა კი წავიღოს?

ზანგი ხვრელთან მიათრია, თავდალუნული გააძვრინა და მერე წინ დაიყენა ისევ. იგი კი შეუსვენებლივ ისევ ისე ლულლულეებდა, თითქოს პირში რკინის ნაჭერი ედო და უნდა გადმოაფურთხოხო. „კი, კი, — გაიფიქრა სერჟანტმა, — მართლა შერეკილი უნდა იყოს“. აღარ წვიმდა, სამაგიეროდ ქარი ხვეტდა ქუჩებს, სტვენა-სტვენით დაღმუოდა ირგვლივ მეტი და მეტი ძალით. ლიტუმამ წინ გაიგდო ზანგი და საპოლიციო უბნისკენ გაემართა. სიცვიე ლაბადაშიაც ატანდა.

— სულ მთლად გათოშილხარ, შვილოსა, — წაილაპარაკა მან. — თუმცა რა, ამ ზამთარს ღამეში ტიტველი დატანტალე! სასწაული იქნება, ფილტვების ანთებას თუ გადაურჩი.

კბილებს აკაპკაპებდა ზანგი, გრძელი ძვალტყავა ხელები გულზე დაეჭდო, დროდადრო მხოლოდ გვერდებს იწეულდა, ეტყობა, უველაზე მეტად თეძოებზე სცოოდა. ახლა უკვე თავისთვის გურგურებ-უიპყიპებდა, ზმუოდა და ჩხაოდა, საითაც სერჟანტი მიაბრუნებდა, იქითკენ მიდოდა. ქუჩაში არც მანქანები შემოხვედრიათ, არც ძაღლები და არც მთვრალეები. კომისარიატს რომ მიუახლოვდნენ (ლიტუმამ ისე გაახარა ფანჯარაში საამოდ მოციმციმე შუქმა, როგორც

ზღვაში დასახრჩობად განწირულს ახარებს ხოლმე ნაპირის დანახვა). კარშენ დე ლა ლეგუას ღვთისმშობლის ტაძრის წარებშია ურულ ჩამოშკრეს ღმრის ორი საათი.

ხერყანტისა და ტიტლიქანა ზანგის დანახვაზე ახალგაზრდა, კობტა ლეიტენანტ ხაიმე კონჩას ხელიდან გაუცვივდა იხვის ჭუჭულ კომპლექსები (ეს მეოთხე წიგნი იყო, ამ დამეს რომ წაიკითხა ჭუჭულზე, თუ კიდევ სამ წიგნს ხუპერმენზე და ორს მანდრეიქზე არ ჩავთვლით), გაკვირვებისგან იხე დაალო პირი, ლამის ღრანჭი მოექცა. თვალები ჭეუიტეს პოლიციელებმა კამაჩომ და არევალომაც, შაშის თამაში რომ გაეხურებინათ.

— ეს ბოსტნის საფრთხობელა საიდან მოათრიე? — ამოღერლა ბოლოს ლეიტენანტმა.

— ადამიანია, ცხოველი თუ უსულო საგანი? — წამოდგა ვაშლა არევალოც და ზანგი დაუნოსა. ეს უკანასკნელი კი კომისარიატის ზღურბლზე გადმობიჭებისთანავე ისეთი შიშით ატრიალებდა აქეთ-იქით თავს, გეგონებოდა, თავის სიცოცხლეში პირველად იხილაო ელექტროშუქი, საბეჭდი მანქანები და პოლიციელები. მაგრამ რომ დაინახა, ვაშლა მისკენ წამოვიდა, გულშემზარავად იბღავლა (ლეიტენანტი კონჩა შიშისგან ლამის სკამიდან გადმოვარდა, ხოლო წვინტლამ იმავე წუთს დაფაზე შაშები არია) და ქურჩაში გავარდნა დააპირა. ხერყანტმა მხარზე სტაცა ხელი და შეანჯღრია: „წყნარად, წყნარად, შავდრუნჩავ, ნუ გეშინია“.

— საჭდვამ სადგურის ახალ ხაწყობში ვნახე, ჩემო ლეიტენანტო, — მოახსენა ლიტუმამ, — ფიცრები გამოეტება და ისე გამძვრალიყო. როგორ მიბრძანებთ, რა ჩავუწერო ოქმში, გაძარცვა, კერძო საკუთრების კანონის დარღვევა თუ ანტისაზოგადოებრივი საქციელი, ან იქნებ სამივე ერთად?

ზანგი მოკაკული იდგა, ლეიტენანტი, კამაჩო და არევალო კი თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ.

— ეს ნაიარევები უვავილისა არ გახლავთ, ჩემო ლეიტენანტო, — მიათითა ვაშლამ პატიმრის დახერილ თავ-პირსა და ტანზე. — გინდ დამიჭერეთ და გინდ არა, დანით ნახელავია.

— ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს არც ამისთანა გაჩხიკული, — თქვა წვინტლამ და ტიტლიქანა ზანგის ნეკნებს შეხედა. — არც ამისთანა მახინჯი. ღმერთო, რა ფაფარი აქვს, ან რა თათები!

— დაგვიკმაყოფილე ცნობისწადილი, ზანგის ბიჭო, გვიამბე შენი ამბავი, — თქვა ლეიტენანტმა.

ლიტუმას კეპი მოეხადა, ლაბადა შეეხსნა და უკვე საბეჭდ მანქანას მიქდომოდა ოქმის შესადგენად.

— მაგან ლაპარაკი არ იცის, ჩემო ლეიტენანტო, — გამოსძახა იქიდან, — გაუგებრად უვითყვიტებს მხოლოდ.

— თავს ხომ არ გვახადებ გიჟად? — ჰკითხა ლეიტენანტმა, — იცოდე, კბილები უკვე მოვიცვალეთ, ვერ მოგვატყუებ. აბა გადმოყაჭე, ვინა ხარ, საიდან, ვინაა დედაშენი?

— არადა, ერთ-ორს ისე მოვადებთ, ენას მყის ამოიდგამ, შავდრუნჩავ, — დაამატა ვაშლამ. — იადონივით აჭიკჭიკლები.

— თუ დანისაა ეს ზოლები, ათახქერ მაინც დაუხვამთ დანა,, — იძახდა

გაკვირვებული წვინტლა და ნაიარვეებით გადაჭრელებულ ზანგის კანს თვალს არ აშორებდა. — ასე როგორ იქნება ადამიანის მოხატვა?

— გაყინულა ეს უბედური, — თქვა ვაშლამ, — კბილებს ისე აკაწაწებს, როგორც მუსიკოსი მარაკებს.

— საძირე კბილებს, — დააზუსტა წვინტლამ, რომელიც მხედველობდა ზანგს, თითქოს ჭიანჭველა ყოფილიყო. — ვერა ხედავთ, წინა კბილებიდან ერთილა შერჩენია სპილოს ეშვივით. ეშმაკმა დალახვროს! ეს რა ტიპია სიწმარში თუ ნახავ ასეთ საშინელებას!

— მე მგონი, შერეკილია, — თქვა ლიტუმამ თავაუღებლივ, წერა არ შეუწყვეტია. — ჭკვათამყოფელი ამ სიცივეში დედაშობილა არ იტანტალებს, ხომ მართალია, ჩემო ლეიტენანტო?

იმავე წუთს რაღაც ბრახაბრუხი მოესმა და თავი ასწია: თითქოს დენმა დაპკრაო, ზანგმა ლეიტენანტს ხელი ჰკრა, კამაჩოსა და არევალოს შუა ისარივით ჩაიჭროლა, მაგრამ ქუჩაში კი არ გავარდნილა, მაგიდას ეცა, სადაც შაში იდგა, ჩაკბეჩილ ბუტერბროდს დააცხრა და ნადირივით ერთბაშად გადასანსლა, კინალამ არ დაიხრჩო. არევალო და კამაჩო რომ მიცვივდნენ და ყბაში ერთი-ორჯერ გაულაწუნეს, იგი უკვე მეორე ბუტერბროდის ნარჩენებს ნთქავდა.

— ნუ სცემთ, ბიჭებო, ამას სჯობს ყავა დაალევინოთ, — თქვა ლიტუმამ.

— ეს საქველმოქმედო სახლი კი არაა. დალახვროს ეშმაკმა, აღარც ვიცი, რა ვქნა, — წაილაპარაკა ლეიტენანტმა და ისევ ზანგს მიაჩერდა, რომელიც ბუტერბროდების გადასანსვლის შემდეგ მშვიდად იწვა იატაკზე, წყნარად სუნთქავდა და წვინტლასა და ვაშლას მუჭლუგუნებზე ხმას არ იღებდა. ბოლო-ბოლო ლეიტენანტსაც შეეცოდა და წაიდუღუნა:

— ჯანდაბას, დაუხხით ცოტა ყავა და ხარდაფში ჩააგდეთ.

წვინტლამ თერმოსიდან ყავა ჩამოასხა. ზანგმა ყლუბ-ყლუპით თვალდახუჭულმა გამოსცალა და მერე ტოლჩას ენაც გამოუსვა, წვეთი რომ არ ჩარჩენილიყო. შემდეგ კი უხმოდ გაძევა სარდაფში.

ლიტუმამ ოქმი გადაიკითხა: გაძარცვის ცდა, კერძო საკუთრებაზე თავდასხმა, უზნეო საქციელი. ლეიტენანტი ხაიმე კონჩა კი ისევ მაგიდას მიუჭდა და თვალით რაღაცას დაუწყო ძებნა.

— ვიცი, ვისაც ჰგავს, — სიხარულით წამოიძახა მან და ლიტუმას პატარა ფერად-ფერად ჟურნალებზე ანიშნა, — ტარჯანის თავგადასავლებში რომაა, იმ ზანგებს ჰგავს, აფრიკელ შავკანიანებს.

კამაჩომ და არევალომ ისევ შაშის თამაში გაახურეს. ლიტუმამ ქული ჩამოიფხატა და ლაბადა შეიკრა. შენობიდან გამოსვლისას სარდაფიდან ჭიბჭირის ღრიალი გაიგონა, რომელსაც გამოღვიძებოდა და ახალ შეზობელს იგერიებდა:

— მიშველეთ! მიშველეთ, დასამასახიჩრა!

— ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ჩვენვე დაგასახიჩრებთ, — დაამშვიდა ლეიტენანტმა. — მაცალე, წიგნი ჩავიკითხო.

ქუჩიდან დაინახა ლიტუმამ, ზანგი რომ იატაკზე იწვა და ყურსაც არ აბარტყუნებდა კნაჭა ჭიბჭირის ღრიალზე, რომელიც ვერა და ვერ მოსულიყო გონს. „ჰო, გაიდვიძო და ასეთი საფრთხობელა დაინახო, ძნელი ასატანია!“ — ჩაეცინა ლიტუმას, ჭიბეებში ხელები ჩაიწყო, ლაბადას საყულო აიწია, თავი დაღუნა და დინჯად განაგრძო ისევ შემოვლა ამ ჯანლსა, ქარსა და სიბნელებში. ჭერ „ათა-შანგიანთა“ ქუჩაზე შეიარა, სადაც კოტა რომანი „Happy Land“-ის დაბლთან

მოკალათებულები და წუწუნა გვრიტოს ემახზარებოდა — ეს თმაშეღებილი ხელოვნური კბილების პატრონი ბებერი პედერასტი ბარშენის მაგისტრად იდგა. სერჟანტმა ოქმში კიდევაც ჩაწერა: პოლიციელი რომანი „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სპირტიან ხასმელს სვამდა“. თუმცა მსგავსად იცოდა, რომ ლეიტენანტი კონჩა ამ მის შენიშვნას უურსაც არ ათხოვებდა, რამეთუ საკუთარსა თუ სხვის შეცოდებებს ფრთხილ შემწუნარე თვალთ უცქერდა. მერე ზღვას შეაქცია ზურგი სერჟანტმა და საენს პენიას ავენიდისკენ გასწია. იქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მართლა სახწაული იქნებოდა, აქ ხაღმე უმბერტო კისპე ენახა, რომელსაფ ბაზრის მეთვალყურეობა ებარა. დუქნები უკვე დაეკეტათ, მაწანწალებიც ჩვეულებრივზე ცოტანი ჩანდნენ. იმათაც ზოგს ტომრებისა თუ გაზეთების დასტაზე ეძინა, ზოგი კი კიბეებისა თუ საბარგულების ქვეშ შებუდრულიყო. რამდენიმე წრე რომ დაარტყა ამოდ და სასტვენშიც ბევრჯერ ჩასტვინა, კისპე, როგორც იყო, კოლონისა და კოჩრანეს ქუჩების კუთხეში აღმოაჩინა, სადაც ტაქსის მძღოლს მიშველებოდა. ვისთვისაც ორ ბორცმომქმედს თავში ჩაერთყათ გაძარცვის მიზნით. ორივემ სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში წაიყვანეს მძღოლი გონზე მოსაყვანად. მერე თითო მათლაფა თევზის თავების წვნიანი მიირთვეს პირველსავე შეხვედრილ დახლზე, რომლის პატრონი თევზით მოვაჭრე ქალი დონია გუალბერტა გახლდათ. საპატრულო მანქანამ საენს პენიადან მეფე ფილიპეს ფორტამდე მიიყვანა ლიტუმა, რომლის კედლებთან თათუნა როდრიგესი მორიგეობდა. მთელი კომისარიატის საყვარელი ბიჭი და მისი ხელქვეითი, კლასობანას თამაშობდა მართოდმართ ამ სიბნელეში, ერთი უჯრიდან მეორეში დინჯად ხტებოდა ხან ცალი, ხან ორივე ფეხით. სერჟანტის დანახვაზე მუის გაიჭიმა და ცარციით დახაზულ უჯრებზე მიათითა:

— ეს კი ვარჯიშია გასახურებლად. თქვენ არ ვითამაშით კლასობანა პატარაობაში, ჩემო სერჟანტო?

— არა, მე ჩიკორას ვაბზრიალებდი ან ფრანებს ვუშვებდი.

თათუნა როდრიგესმა უამბო, რა სერიც შეემთხვა მორიგეობისას. შუადამეზე პას სალდანის ქუჩას უვლიდა თურმე, როცა ანაზღად კედელზე ვილაც კაცს მოჰკრა თვალი, ფანჯრისკენ მიძვრებოდა. პოლიციელმა, გაჩერდიო, უბრძანა და დამბაჩაც იძრო, მაგრამ ის კაცი უცებ აღრიალდა და ფიცხლს მოხუცა, ქურდი არ გეგონოთ, ჩემმა ცოლმა მიბრძანა, სიბნელეში შინ ფანჯრიდან შემოძვერიო. „ვითომ ადათურად რატომ კარდიან არა?“ „იმიტომ, რომ ჩემი ცოლი ცოტა არ იყოს აფრენს, — იწირპლებოდა ქმარი, — თუ ქურდით შევიპარე, თაფლივითაა, ხოლო თუ ნაბრძანები არ შევუსრულე, ერთ კოცნასაც არ გაიმეტებს, ბატონო პოლიციელი!“

— აღბათ შეგატყო, ლაწირაკიანო, და გაგაპამპულა, — გაეღიმა ლიტუმას.

— არა, არა! მართალი ყოფილა! — დაბეჭითებით თქვა თათუნამ, — კარზე დავაკაკუნე და ორივე შევედი. ზანგი სენიორა დაგვხვდა, დიდი კახა ვინმე ჩანდა. ასე მითხრა, მართალიაო, ვისი რა საქმეა, თუ მე და ჩემს ქმარს ქურდობანა გვინდა ვითამაშოთ, ვისა აქვს ნება დაგვიშალოსო. რა საოცრებას არ გაიგებ კაცი ამ ჩვენს სამსახურში, არა, ჩემო სერჟანტო?

— ეგ კი მართალი თქვი, უმაწვილო, — დაეთანხმა ლიტუმა და ის ზანგი მოაგონდა.

— მაგისტრანა დედაკაცი არ მოვაწყენს, ჩემო სერჟანტო, — ტურები მოი-

ლოკა თათუნამ, ლიტუმა ბუენოს-აირესის ავენიდამდე მიაცილა და იქ გამოეტხოვა. ვინემ სერუანტის ბელიავისტის რაიონის მოსაზღვრე ვინდის ქუჩას გაივლიდა, მერე კალიაოს გვარდიის მოედანს გადაჭრიდა — დაღლილობა და ძილი მუდამ აქ მოერეოდა ხოლმე — სულ იმ ზანგზე ფიქრში იყო იქნება საგიჟეთიდან გამოიქცა? მაგრამ საგიჟეთი შორსაა, რომელიმე პოლიციელს ვუთხრა შავი როგორ ვერ დაინახავდა? ნუთუ ის ნაიარევები უველა დანითაა ნასერი? რა მხეცობაა, კედელზე აძვრები ალბათ, იმისთანა მტკიცეული იქნება, ნელ ცეცხლზე რომ გხრაკავენ, ისეთი უხვეს და უხვეს ალბათ დანა, ვინემ მთელი სახე ნაიარევით არ დაეფარა. დალაზვროს ეშმაკმა! ან იქნებ ასეთი დაიბადა?

უკვე იგრძნობოდა ალიონის მოახლოება: აქა-იქ გამოჩნდნენ მანქანები, ზედიზედ გამორახრახდნენ სატვირთოები, მიიჩქაროდნენ მელამური ლოთიბაშები. „ვის არ შევხვედრივარ ამ ჩემს წუთისოფელში, — ფიქრის ძაფს მიჭყვებოდა სერუანტი, — ეს გავაშიშველი კი ნეტა რად არ მშორდება თავიდან?“ და მაშინვე მხრები აიჩეჩა: „ცნობისმოყვარეობის ბრალია ალბათ. ვინემ შემოვლას დავამთავრებდე, რაღაცაზე ხომ უნდა ვიფიქრო“. მალე სარატეც შემოსვდა, ლიტუმა და ის ერთად მუშაობდნენ აიაკუჩოში.<sup>1</sup> პოლიციელმა უკვე ხელმოწერილი ოქმი ჩააბარა: ერთი ჩხუბი მომხდარა მხოლოდ, დაჭრით არავინ დაუჭრიათ, ესაა და ეს, სხვა არაფერი. ლიტუმამაც უამბო ზანგის ამბავი, მაგრამ სარატეს უურადღებდა მარტო ბუტერბროდების ამბავმა მიიქცია. იგი თავგადაკლული ფილატელისტი იყო. ლიტუმა რომ გააცილა — რამდენიმე უბანზე გაბჟვა — უამბო, ამ დილას აბისინიის სამკუთხა მარკები ვიგდე ხელთ, ზედ ლომები და გველები ახატია, წითელ, მწვანე, ლურჯ ფერებშიო. ეს მარკები დიდი იშვიათობაა, ხუთ არგენტინურ მარკაში გადავცვლი, რომლებიც კაპიკები ღირსო.

— შენც ადექი და უფრო ძვირიანად გაასაღე, — გააწყვეტინა ლიტუმამ, რომელსაც სხვა დროს სარატეს ამ გატაცებაზე გაეცინებოდა, დღეს კი რატომღაც ბრაზი მოუვიდა და კიდევაც გაეხარდა, სარატე რომ დაემშვიდობა.

ცას სილურჯე შეშპარვოდა, ღიმღამში ბუნდად ჩანდა ჭარბად დასახლებულ კალიაოს სახლები. ლიტუმამ ნაბიჯი აჩქარა, უკვე ითვლიდა, რამდენი უბანი დარჩენოდა კომისარიატამდე. ახლა კი გამოუტყდა თავს, ღამის შემოსვლამ კი არ დალალა, ზანგის ნახვა ეჩქარება. „თითქოს სიზმარში ნახე ეს ხვლიკი. ლიტუმავ, და თავადაც არ გჯერა, რომ მართლა არსებობს“.

მაგრამ ზანგი მართლა არსებობდა, იატაკზე მოკუნტულს ეძინა. ჭიბის ქურდი მეორე კუთხეში იწვა და ძილშიაც შეშინებული სახე ჰქონდა. ეძინათ სხვებსაც; ლეიტენანტ კონჩას თავის კომიქსებში ჩაერგო თავი, კამაჩო და არევალო ერთმანეთს მხრებით მიხუტებოდნენ ერთ სკამზე. ლიტუმა დიდხანს დაჩერებოდა ზანგის გამოჩრილ ძვლებს, დაბურდულ თმას, უზარმაზარ ლაშებს, ეშვივით გამოჩრილ კბილს, ნაიარევებით დახერილ სახეს. დროდადრო შეაძიგძიგებდა ხოლმე მძინარეს. „ნეტა საიდან გამოტყვრი, შავკანიანო?“ — ფიქრობდა იგი. ბოლოს თავისი ანგარიში გაუწოდა ლეიტენანტს, რომელმაც დაწითლებული თვალები გამოაჭყიტა და ნამძინარევი ხმით უთხრა:

<sup>1</sup> ამავე სახელწოდების დეპარტამენტის მთავარი ქალაქი პერუში.

— დღევანდელი დღის დავიდარაბას მორჩი უკვე, ლიტუმავ კრდეც ერთი დღე გამოაკლდა შენი სამსახურის დღეებს.

„სიცოცხლესაც“, — გაიფიქრა სერჟანტმა და დამშვიდობებინას ქუსლი ქუსლს შემოჭკრა. დილის ექვსი საათი იყო. მორიგეობას უკვე მტკიცე როგორც ყოველთვის, დონია გუალბერტას შეუარა დუქანში, ცხელი მუხლები, კარტოფილის ორი ღვეზელი, ბრინჯიანი ლობიო მიირთვა და რძის კისელიც დააყოლა, მერე კოლონის ქუჩაზე, შინისკენ გასწია. დიდხანს არა და არ დაეძინა თავის პაწია სენაკში. როგორც კი ძილმა წაიღო, მაშინვე ზანგი ესიჰმრა, წითელ-მწვანე-ლურჯი გველები და ლომები — შუაგული აბისინია იყო. ზანგს ცილინდრი ეხურა, მაღალი ჩექმები ეცვა, მომთვინიერებლის შოლტს იქნევდა და მხეცებს აცეკვებდა. ტოტებსა და ლიანებზე, სადაც ჩიტები მხიარულად დასტვენდნენ და მაიმუნები გაჰკიოდნენ, ხალხი შემომსხდარიყო და მომთვინიერებელს მჭუხარე ტაშს უკრავდნენ. მაგრამ იმის ნაცვლად, მაყურებლებისთვის მადლობის ნიშნად თავი დაეკრა, ზანგი მუხლებზე დაეცა და ვედრებით გაიწოდა ხელები. თვალები ცრემლით ავსებოდა, უშველებელი ხახიდან გააფთრებული, არეულ-დარეული, გამწარებული ხმები ამოდიოდა, ვით თავსატეხი ამოცანა, ვით უყველასათვის გაუგებარი მუსიკა.

სამ საათზე გაეღვიძა ლიტუმას, გაეღვიძა დაღლილ-დაქანცულს, უგუნებოდ, თუმცაღა შვიდი საათი ეძინა. „აღბათ უკვე ციხეში გადაიყვანეს“, — გაიფიქრა მან. ვინემ წყალს შეიშხუმფლავდა თავბირზე, ვინემ ჩაიცვამდა, თვალწინ ზანგის წაყვანის სურათი ედგა: აღბათ გუშაგმა წააჩიქჩიქა დილის ცხრა საათზე, ვინძლო ძონძები ჩამოაცვეს სწიშვლის დასაფარავად და პრეფექტურაში მიიყვანეს; იქ საქმე შეუდგინეს და წინასწარი პატიმრობის სარდაფში ჩაგზავნეს. ახლა აღბათ იქა ზის — იმ ბნელ სოროში, მაწანწალების, ჭიბგირებისა და ჩხუბისთავეების გვერდით, ამ ოცდაოთხი საათის მანძილზე რომ მოყარეს. იქა ზის, სიცვიით კანკალებს და ტილებს იჭერს მშიერ-მწყურვალი.

ღრუბლიანი ნოტიო დღე იდგა. ადამიანები ისე დაბორიალებდნენ ნისლში, როგორც თევზები ამღვრეულ წყალში. ლიტუმა ჩაფიქრებული მიაბიჯებდა, დონია გუალბერტასთან უნდა ესადილა — ორი ფუნთუშა ეჭამა სოფლურ ყველთან ერთად და უავა დაელია.

— დღეს რაღაც უცნაურად გამოიყურები, ლიტუმა, — უთხრა სენიორა გუალბერტამ. ამ დედაბერს ვერაფერს გამოაპარებდი. — ჭიბემ გილალატა თუ საყვარელმა?

— სულ იმ ტიპზე ვფიქრობ, გუშინ რომ დავიჭირე, — მიუგო სერჟანტმა და ენის წვერით გაუსინჯა გემო უავას. — ნავსადგურის საწყობში შემძვრალიყო.

— რაა აქ გასაკვირი? — ჰკითხა დონია გუალბერტამ.

— სულ ტიტლიკანა იყო, დედიშობილა, მთელი სხეული დანით აქვს წვრილად ნასერი, თმა ეკალბარდებს მიუგავს. არც ლაპარაკი იცის, — აუხსნა ლიტუმამ. — საიდან შეიძლება აქ მოხვედრილიყო?

— ჭოჭოხეთიდან აღბათ, — ჩაიქირქილა დედაბერმა და ფული გამოართვა.

ლიტუმამ გრაუს მოედნისკენ გასწია, სადაც პედრალებს უნდა შეხვედროდა. რამდენი ხანია ერთმანეთს იცნობენ, მაშინ ლიტუმა ერთი უბრალო პოლიციელი იყო, პედრალებისც უბრალო მეზღვაური პისკოში. მერე ბედმა ორივე ათი წლით გაჰყარა, ამ ორიოდ წლის წინათ კი ისევ შეხვდნენ, თავისუ-

ფალ დროს ერთად ატარებდნენ, პედრალბესის ოჯახში ლიტუმა თავს შინაურად გრძნობდა, მეგობრები ლა პუნტში გაეშურნენ, მამასახლისთა და მეზღვაურთა კლუბში, ლუდს დავლევთ და ბილიარდზე ვითამაშებთ.

პირველ ყოვლისა ზანგის ამბავი ჩაუკაკლა მეგობარს ლიტუმამ, პედრალბესმა მაშინვე მოუძებნა ამბავს ახსნა.

— ეგ აფრიკელი ველური იქნება, უბილეთოდ გამოძვებოდა გემს. მთელი გზა აღბათ იმალებოდა, ხოლო კალიაოს რომ მოადგნენ, ღამით წყალში ჩახტა და უნებართვოდ შემოძვრა პერუს მიწაზე.

თითქოს მზემ გაუნათა გონება ლიტუმას, უველაფერი ნათელი გახდა.

— მართალია, ეგრე იქნებოდა, — ენა გააწყლაპუნა მან და ხელი ხელს შემოჰკრა. — კი, კი, ნაღდად მასე იქნება! აფრიკიდან ჩამოვიდა. ამას წყალი არ გაუვა! აქ კი, კალიაოში გემიდან ჩამოსვებს, ეტყობა, ამუშავეს და მერე ნამუშევრის მიცემა არ ინდომებს, ან იქნებ ტრიუმში აღმოჩინეს დამალული და თავიდან მოშორება მოინდომეს...

— იცოდნენ, მთავრობა მაგას არ ჩაიბარებდა, იმიტომაც არ ჩააბარეს, — თავისას განაგრძობდა პედრალბესი, — ძალით გადმოსვებს, როგორც გინდა, ისე უშველე თავსაო.

— ამ ტიტლიკანამ კი არც იცის, სად იმყოფება, — თქვა ლიტუმამ. — თუ მისი უვირილი გიჟის არაა, მაშასადამე, ველურებს სცოდნიათ ასე ლაპარაკი.

— მოკლედ, იგივე ამბავია, ძმაო, შენ რომ თვითმფრინავში ჩაგსვან და მარსზე ჩამოგაბრძანონ, — გაეცინა პედრალბესს.

— რა ჭკუის კოლოფები ვართ, — ჩაურთო ლიტუმამ, — ამ ნადირის მთელი ცხოვრება დავასურათეთ.

— ჭკუის კოლოფი მე გახლავარ, — შეესიტყვა პედრალბესი. — კი მაგრამ, რას უპირებთ მაგ ზანგს?

„ვინ იცის!“ — გაიფიქრა ლიტუმამ.

ბილიარდზე ექვსი ხელი ითამაშეს, აქედან ოთხი სერჟანტმა მოიგო, ისე რომ, ლუდის ფული პედრალბესმა გადაიხადა. მერე ჩანჩამაიოს ქუჩისკენ გაემართნენ. იქ, უაღუშებიან სახლში პედრალბესი ცხოვრობდა. დომიტილას, პედრალბესის ცოლს უკვე ევახშმებინა სამივე შვილი. კაცები რომ დაინახა, უველაზე პატარა ლოგინში შეაგდო, დანარჩენ ორს უბრძანა, გარეთ ცხვირის გაყოფა არ გაბედოთო, თმა შაიშარად გაისწორა, ორივეს ხელმკლავი გამოსდო და ერთად წავიდნენ.

საენს პენიას ავენიდაზე იტალიური ფილმი ნახეს „პორტენიოს“ კინოთეატრში. ლიტუმასა და პედრალბესს ის სურათი არ მოეწონათ, დომიტილამ კი განაცხადა, მე კიდევ ერთხელ ვნახავო. მერე ფეხით გაეშურნენ ჩანჩამაიოს ქუჩაზე. ბავშვებს უკვე ეძინათ. დომიტილა მეგობრებს გაცხელებული აპოხტი-თა და ოლიუკიტოსით<sup>1</sup> გაუმასპინძლდა. თერთმეტის ნახევარი იყო, ლიტუმა რომ დაემშვიდობა ცოლ-ქმარს და მეოთხე კომისარიატისკენ გასწია. მორიგეობა თერთმეტზე ეწყებოდა.

ღეიტენანტმა ხაიმე კონჩამ სულის მოთქმა არ აცალა, განზე გაიყვანა და

<sup>1</sup> კართოფილის მონათესავე ბოსტნეული.



სხაპასხუპით აუწყა მიღებული ბრძანება. მისმა სპარტულად მოკლე ფრაზებმა ლიტუმას თავბრუ დაახვია, ყურებმა შეხუილი უწყო.

— უფროსობამ იცის, რასაც იქმს, — გასამხნევებლად მხარზე/დაპკრა ბელი ლეიტენანტმა ლიტუმას, — საფუძველიც აქვს საამისოც კიდეც უფროსობის მად უნდა იღო. უფროსობა არასოდეს სცდება, ხომ კიბედავდა?

— რა თქმა უნდა, — წაიდუღუნა სერჟანტმა.

ვაშლახა და წვინტლას ისეთი იერი მიეღოთ, თითქოს წუთით მოცულა არა აქვთო. ცალი თვალით ხედავდა ლიტუმას: ერთი ქუჩაში მოძრაობის დამრღვევთა ქვითრებს ისე ჩაპკირკიტებდა, თითქოს ტიტველი გოგოების სურათები იყო, მეორე კი ხან კეტავდა და ხან ისევ აღებდა თავისი მაგიდის უჭრას.

— ერთი შეკითხვა თუ შეიძლება, ჩემო ლეიტენანტო? — წაილაპარაკა ლიტუმამ.

— შეიძლება, — მიუგო ლეიტენანტმა, — ოღონდ არ ვიცი, შევძლებ კი პასუხს.

— უფროსობამ რაღა შე შემარჩია ამ საქმისათვის?

— ამაზე კი ვიპასუხებ, — თქვა კონჩამ. — მიზეზი ორია. ერთი, რომ შენ დაიჭირე, ამიტომ, საცა სამართალია, შენვე უნდა დაამთავრო საქმე. მეორეც ამ კომისარიატში და იქნებ მთელ კალიაოში შენზე უკეთესი პოლიციელი არ მოიძებნება.

— რა პატივია, — წაიბუზღუნა ლიტუმამ, სულაც არ გახარებია ამის მოხმენა.

— უფროსობამ მშვენივრად იცის, რა სამძიმო დავალებაა და იმიტომაც განდობს, — განაგრძო ლეიტენანტმა. — კიდევაც უნდა გიხაროდეს, ასობით ლიმელ პოლიციელში შენ რომ აგარჩიეს.

— თურმე მადლობელიც უნდა ვიყო! — გოცვებით გააქნია თავი ლიტუმამ და მცირეოდენი დუმილის შემდეგ ხმადაბლა დაატანა, — ეს სასწრაფოა, ჩემო ლეიტენანტო?

— დიდად სასწრაფო! — მიუგო მან ნაძალადევი სიყოჩაღით, — ხომ იცი, სახვალიოდ არ უნდა გადადო, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია.

„აი, თურმე რად არ მშორდებოდა თავიდან იმ ზანგის სიფათი“, — გაიფიქრა ლიტუმამ.

— თუ შელავათს რამეში მოგცემს, გინდა რომელიმე ამათგანს გაგატან? — მოესმა ლეიტენანტის ხმა.

არ გაუხედავს, ისე იგრძნო ლიტუმამ, როგორ გაქვავდნენ ადგილზე კამაჩო და არევალო. გამყინავი სიჩუმე მეფობდა კომისარიატის შენობაში. ვინემ სერჟანტი განგებ აუჩქარებლად შეათვალიერებდა ორივე პოლიციელს, დაე გაეწამონო. ვაშლას ქალაღდის დასტები უკანკალებდა ხელში, წვინტლა კი მაგიდაზე დახრილიყო.

— ეს იყო, — თავი ვაიქნია არევალოსკენ ლიტუმამ და გაიგონა, კამაჩომ რომ შვეებით მოითქვა სული. ვაშლას თვალებში კი ისეთი სიძულვილი გაკრთა, მაშინვე მიხვდა, გულში ალბათ დედას მაგინებსო.

— ცოტა შეცივებული ვარ, ჩემო ლეიტენანტო, სწორედ დღეს მინდოდა ნება მეთხოვა, ამაღამ ქუჩაში არ გავალ-მეთქი, — ამოიღულღულა არევალომ და ჭკუანაკლულივით დაჭყანა სახე.

— თავს ნუ იძვრენ, გოგო არა ხარ, ლაბადა ჩაიცვი, — შეაწყვეტინა

ლიტუმამ და არც შეუხედავს, ისე ჩაუარა გვერდით, — წავკედიო.

კიბე ჩაიარა და სარდაფის კარი გამოაღო. გუშინდელს აქეთ დღეს პირველად ნახა ზანგი. დაგლეჯილი შარვალი ჩაეცვიათ, მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა, მკერდსა და ზურგს ტომარა უფარავდა, თავზე ჩამოსხმულია ჩაფბრეწილი. იატაკზე არხენინად იჯდა, რალაცას იდექებოდა: ლიტუმას დანახვაზე არც სიხარული გამოუხატავს და არც შიში. ბორკილების მაგივრად გრძელი თოკი უკონწიალებდა, თავის მოფხანა რომ შეძლებოდა. სერჟანტმა რომ ანიშნა, ადექო, ეტუობა, ვერ მიხვდა. ლიტუმა მივიდა, ხელი მოჰკიდა, ისიც მორჩილად წამოდგა და გულრილად გაჰყვა. ვაშლა არევალოს უკვე ლაბადა ეცვა, უელზე შარფი ეხვია. ლეიტენანტი კონჩა პირშექცევით იჯდა, არც გამოუხედავს მათკენ, დონალდ იხვის ჭუჭულის კომიქსში ჩაერგო ცხვირი („უურნალი კი თავდაყირა უჭირავს“, — ინიშნა ლიტუმამ), კამაჩომ, პირიქით, თანაგრძნობით შეჭლიმა ორივეს.

ქუჩაში ტროტუარის კიდეს ლიტუმა გაჰყვა, კედელს — არევალო, მათ შუა დეჭვა-დეჭვით უნდილად და გულგრილად მიაბიჯებდა ველური.

— აგერ ორი საათია ამ პურს ლორწკავს, — თქვა არევალომ. — ლიმილან რომ უკანვე გამოაბრუნეს ამ საღამოს, რაც გამხმარი პური გვექონდა, მან შეჭამა. წისქვილივით დაფქვა. მგელივით თუ შიოდა, მან?

„ჭერ ვალი უნდა მოიხადო, განცდები მერე იყო“, გაიფიქრა ლიტუმამ. გუნებაში გამოთვალა: „კონტრადმირალ მორას ავენიდამდე კარლოს კონჩას ქუჩას გავყვებით, მერე მდინარე რიმაკამდე დაღმართით ჩავალთ, მერე მდინარის ნაპირს გავყვებით ზღვამდე“. მო, დიდი-დიდი ორმოცდახუთი წუთი, უფრო სწორედ, ერთი საათი მოუნდებინან.

— ყველაფერი თქვენი ბრალია, ჩემო სერჟანტო, — დუდლუნებდა არევალო. — ვინ შეგებვეწათ, დაიჭირეო? რომ მიხვდით, ქურდი არ იყო, უნდა გაგეშვათ. ხომ ხედავთ, რა დაფიდარაბაში გავვანხიეთ ყველანი, ერთი ეს მითხარით: ჩვენი უფროსებივით თქვენც გგონიათ, რომ ეს ტიპი ჩვენთან მალულად ჩამოჰყვა გემს?

— სწორედ ასე თქვა პედრალბესმაც, — ჩაილაპარაკა ლიტუმამ, — იქნებ ასეც იყო. ვინაიდან თუ ასე არაა, ეშმაკმა დალაზვროს, და ეს დახატულ-მოხატული, გავაშიშველი თმაფაფარა, კაცმა არ იცის, რა ენაზე მობურტყუნე, ერთ მშვენიერ დღეს კალიაოს ნავსადგურში საიდან აღმოჩნდა? ალბათ მართალი თქვა პედრალბესმა.

ბნელ ქუჩაზე ორი წყვილი ჩექმის ბრახაბრუხი ისმოდა, ფეხშიშველი ზანგი უხმაუროდ მიაბიჯებდა.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, ციხეში დავტოვებდი, — ისევ დაიწყო არევალომ. — მისი რა ბრალია, აფრიკელი ველური რომაა, ჩემო სერჟანტო?

— აი იმიტომაც არ შეიძლება ციხეში დატოვება, — ჩაიბუზღუნა ლიტუმამ. — არ გაიგონე, ლეიტენანტმა რა თქვა: ციხე ქურდების, მკვლელებისა და მოძალადეთათვის არისო. სახელმწიფომ ვისი ჯიბიდან უნდა არჩინოს ეს ტიპი ციხეში?

— მაშინ უკან მის ქვეყანაში გაებრუნებინათ, — წაიღრინა არევალომ.

— კი მაგრამ, როგორ უნდა გაიგო. სადაა მაგისი ქვეყანა, შე მამაძალლო, — ხმას აუმაღლა ლიტუმამ. — არ გაიგონე, ლეიტენანტმა რა თქვა? უფ-

როსებმა ინგლისურად, ფრანგულად და იტალიურადაც კი დაჭკობეს, მაგრამ ვერა ენაზე ვერ გააგებინესო, ველურია და იმიტომ.

— მაშ, სწორად მიგაჩნათ, ველური რომაა, ტყვია იმიტომ უნდა ვესროლოთ? — ისევ წაიღრინა არევალომ.

— მე არ მითქვამს, სწორად მიმაჩნია-მეთქი, — წაიღრინა ლიტუმამ. — ლეიტენანტის ბრძანება გავიმეორე, იმას კი უფროსებმა უბრძანეს. სულელად ნუ მოგაქვს თავი.

კარმენ დე ლა ლეგუას ღვთისშობლის ტაძრის ზარებმა შუალამე ჩამოპკრეს, როცა კონტრადმირალ მორას ავენიდაზე გავიდნენ. ზარების ხმამ ძრწოლა მოჭგვარა ლიტუმას. იგი თავაუღებლივ მიაბიჯებდა, დროდადრო წამით შეატრიალებდა მარცხნივ თავს და ზანგს გადახედავდა ხოლმე, როცა ფარნის შუქით განათებულ წრეს გადაკვეთდნენ. ზანგი კვლავაც ფეხშეწყობით, ღეჭვაღეჭვით მიჰყვებოდა პოლიციელებს, შიში არ ეტყობოდა. „მისთვის თავიდათავი ჭამაა“, — გაიფიქრა ლიტუმამ, მერე: „მისჯილმა არ უწყის, თუ მისჯილია“. და მაშინვე: „ნაღდი ველურია“. იმავე წუთს არევალოს ხმა მოესმა.

— ბოლოს და ბოლოს რატომ არ უნდა გაუშვან, საითაც უნდა: ისე იცხოვროს, როგორც შეიძლება, — ბუზღუნებდა პოლიციელი, — ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ეგ ერთი მაწანწალაც შეემატება ლიმას, — ისედაც ბლომად არიან. ერთით მეტი თუ ნაკლები. რა განსხვავებაა?

— ხომ უსმინე ლეიტენანტს, — მოუჭრა ისევ ლიტუმამ. — პოლიციელები კანონს ვერ დაარღვევენ. ხოლო თუ ველური ქუჩაში უპატრონოდ დააგდე, ან უნდა იქურდოს, ან ძალღივით შიმშილით ამოხდეს სული. ისე რომ, თუ დაუფიქრდები, სიკეთეცაა მისთვის. არ ჯობია ტყვიამ წამში გაათავოს, ვინეშ შიმშილმა, სიცხემ, მარტოობამ და ჯავრმა ნელ-ნელა ამოხადოს სული?

მაგრამ მის ხმას რომ ხიმტკიცე აკლდა, თვითონაც გრძნობდა ლიტუმამ, ასე ეგონა, თითქოს სხვა ვიღაც ლაპარაკობდა.

— ასეა თუ ისე, მე კი ამას ვეტყვით, ჩემო სერუანტო, — ჩასწვდა ვაშლას საბრალოხი ხმა ლიტუმას, — მე ეს საქმე არ მომწონს და ვერც დაგიმადლით, საამისოდ რომ ამირჩიეთ.

— ხომ არ გგონია, მე ძალიან მომწონდეს? — შეუტია ლიტუმამ. — განა მე მიყო მადლი უფროსობამ, ეს საქმე რომ დამავალა?

საზღვაო არსენალს რომ ჩაუარეს, სირენის ხმა გაისმა, ხოლო როცა დამშრალ არხთან მდებარე უშენი გადაჭრეს, სიბნელიდან უცბად ძალღივი გამოვარდა ყეფა-ყეფით. ყველანი ისე ჩუმად მიაბიჯებდნენ, ჩექმების ტყაპატყუპი და სულ ახლოს ზღვის ტყლაშატყელუში ისმოდა. ჭაერი ნოტიო და მარლიანი იყო.

— შარშან აქ ბოშები იდგნენ, — ჩაწყვეტილი ხმით წაილაპარაკა ანაზღად ვაშლამ. — კარვები გაშალეს. ათასნაირ სასწაულებს აჩვენებდნენ. მარჩიელობდნენ. მაგრამ აღკალდმა გაგვაყრევინა ყველა, მუნიციპალიტეტის ნებართვა არა აქვთო.

ლიტუმას ხმა არ გაუღია. უცებ მარტო ეს ველური კი არა, ვაშლაც, ბოშებიც შეეცოდნენ.

— მაშ, აქ ქვიშაზე უნდა დავაგდოთ ზანგი, რომ ძერებმა დაკორტნონ?! — ლამის გოდებდა ვაშლა.

— გვამს სანაგვეზე დავტოვებთ, დილას მენაგვეები მოვლენ სატვირთო

მანქანებით და მორგში წაიღებენ. მერე კი სამედიცინო ფაკულტეტს ჩააბარებენ, სტუდენტებმა რომ ივარჯიშონ, — გაცოფდა ლიტუმამ. — თვითონაც კარგად გაიგონე ინსტრუქცია, არევალო, ნუ მაიძულებ ათქერ გაგიმეოროს!

— კი გავიგონე, მაგრამ არ მესმის... ასე როგორ იქნება? გულისმშვილად როგორ უნდა მოვკლათ ეს ტიპი? — თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ ლიტუმამ. — არც თქვენ გესმით, თუმცა კი ცდილობთ გაიგოთ. ხმაზე გატყობთ, ბრძანებას არ ეთანხმებით.

— ჩვენი ვალთა ბრძანება შევასრულოთ, თანხმობას არავინ გვკითხავს, — კუშტად მიუგო სერჟანტმა და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: — შენ მართალი ხარ, არც მე ვეთანხმები. ვემორჩილები იმიტომ, რომ მორჩილება მმართვეს.

დამთავრდა ასფალტი და მასთან ერთად ფარნებიანი ტროტუარიც. ისინი სიბნელეს შეერივნენ, რბილ მიწას გაუყვნენ. ბლანტი, წებოვანი ღამე იდგა. სანაგვეზე მიაბიჯებდნენ, მდინარე რიმაკის გაყოლებაზე, იმ ნაკვეთზე, რომელიც ზღვის სიღიან სანაპიროს, მდინარის კალაპოტსა და იმ ქუჩას შემოებნა, საიდანაც დილაობით საბარგო მანქანებს ბელიავისტის, პერლის და კალიაოს უბნებიდან ნაგავი ჩამოჰქონდათ. ამ დროისთვის აქ უკვე ბავშვების, კაცების, მოხუცებისა და ქალების ბრბო ნაგავში იქექებოდა, იქნებ საჭმელად ვარგისი რამ ვნახოთო, თოლიებს, ორბებს და მაწანწალა ძაღლებს ეომებოდნენ ტალახადან ამოთრეული საჭმლის ნარჩენების გამო. ისინი სულ ახლოს იყვნენ ამ ამაზრზენ ადგილთან, ვენტანილიასკენ მიმავალ გზაზე რომ იყო. მერე ანკონასკენ გადაუხვიეს, სადაც თევზის ნაფქვის ფაბრიკები იდგა.

— ეს ადგილი გამოდგება, — წაილაპარაკა ლიტუმამ. — ამ გზაზე უნდა გაიარონ ნაგვის მანქანებმა.

ზღვა ძალუმად ეხლებოდა ნაპირს, შედგა ვაშლა და ზანგიც შეჩერდა. პოლიციელებმა ფარნების მოცახცახე შუქი მიანათეს ნაიარავებით სახედასერილ ზანგს, რომელიც კვლავ ისევ უშფოთველად იცოხნებოდა.

— რა საშინელებაა, ჭკუაც არ ჰყოფნის მოიხაზროს, რაზეა ლაპარაკი, — წაიბუტბუტა ლიტუმამ. — სხვა უკვე მიხვდებოდა, გაქცევის შეცდებოდა. ლამის მომკლას კაცი მაგისმა სიმშვიდემ და ნდობამ.

— იცით, რა მომაფიქრდა, ჩემო სერჟანტო. — არევალოს ისე უკაწკაწებდა კბილები, თითქოს გათოშილიყო კაცი, — მოდით და გავუშვათ. დაე, გაიქცეს. ისე ვთქვათ, მოვკალით-თქო, მერე რაღაცას მოვიფიქრებთ, გვამს რომ ვერ ნახავენ...

ლიტუმას უკვე რევოლვერი ამოეძვრინა.

— როგორ მიბედავ და მეუბნები, უფროსების ბრძანება არ შევასრულო? — გაისმა სერჟანტის გაბზარული ხმა. მარჯვენა ხელით უკვე ზანგის საფეთქელზე მიედო რევოლვერი.

გავიდა ორი, სამი, ხუთი წამი, ტყვია არ გავარდნილა. ისვრის თუ არა? დაემორჩილება თუ არა ბრძანებას? იგრძალებს თუ არა დამბაჩა? დაგორდება თუ არა სანაგვეზე ამ გადამთიელის გვამი? თუ სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ ამ უბირ ველურს და ისიც რომელიღაც მიყრუებულ სანაპიროზე მიიმალება, ხოლო სამაგალითო სერჟანტი, დაბნეული და დათრგუნვილი, დავალება ვერ შევასრულებო, ამ აქოთებულ ადგილზე დარჩება, სადაც ტალღების ტყლაშუნი ისმის? რით დასრულდება კალიაოსში მომხდარი ეს ტრაგედია?

„ხელოვნების სამყაროს უდიდეს მოვლენად“ და „ეროვნული რადიოს დიდ დამსახურებად“ შერაცხა ჩვენს ცნობებში პასკუალმა ლუჩო გატიკას ჩამობრძანება ლიმაში. თუმცა მისმა ჩამობრძანებამ ჩემი თითქმის სხალ-სტუხი და პერანგი შეიწირა, მოთხრობის დაწერა ჩამიფლავა და ხულია დეიდას წინაშეც კვლავ მატყუარა და უპირო გამომიყვანა. ბოლეროს ჩილიელი შემსრულებლის ჩამოსვლამდე ბევრჯერ მინახავს გაზეთებში მისი სურათები და ქება-დიდებით აღსავსე წერილები (უფასო რეკლამა ყველაზე ცხოველმყოფელი ძალა გახლავსო, ხშირად უთქვამს ხენაროს ვაჟს), მაგრამ თუ რა სახელი ჰქონდა გავარდნილი მოძღვრალს, ამას მაშინლა ჩავხვდი, როცა რადიოსადგურში მის კონცერტებზე ბილეთების შესაძენად ქალების ისეთი გრძელი რიგი დავინახე ბელენის ქუჩაზე, ჯერ რომ არ მინახავს. იქაური დარბაზი ასიოდე კაცს თუ დაიტევდა და, ცხადია, ბევრი ვერ შესძლებდა დასწრებას.

სალამოს, კონცერტის დაწყებამდე, იმოდენა ხალხმა მოიყარა თავი „პანამერიკანის“ შესასვლის წინ, მე და პასკუალი ჩვენს სხვენზე მეზობელი შენობის სახურავიდან გადავძვერით და ვერც სალამოს შვიდი საათისთვის გამზადებული რადიომიმობილვა ჩავიტანეთ მეორე სართულზე.

— კიბე, კარები და ლიფტი ქალებმა გაჭედეს, — მაუწყა პასკუალმა. — გაძრომა რომ ვცადე, კინალამ მომკლეს, უბილეთოდ მიიპარებიო.

ტელეფონით ხენაროს ვაჟს დავურეკე და იმანაც აღტაცებით მაუწყა — ლუჩოს გამოსვლას ერთი საათი უკლია, ბელენის ქუჩაზე კი ხალხმა მოძრაობა შეაჩერა. მთელი პერუ „პანამერიკანის“ ტალღას უსმენსო.

ვკითხე, მსხვერპლად ხომ არ შევწიროთ-მეთქი შვიდი და რვა საათის რადიომიმობილვები ამ ამბავს, მაგრამ ხენაროს ვაჟმა, როგორც ყოველთვის, გამოსავალი ხელად მოძებნა: მიმობილვა უშუალოდ დიქტორებს უკარნახეთ ტელეფონითო. ასეც მოვიქეციით. გადაცემების შუა ნეტარებით დამდნარი პასკუალი ლუჩო გატიკას უსმენდა რადიოში, მე კი ჩემი მოთხრობის მეოთხე ვარიანტს ვკითხულობდი იმ ცვედან სენატორზე, რომელსაც, როგორც იყო, მოვუძებნე სათაური „საშინელებების ლიტერატურიდან“ და „დამახინჯებული სახე კაცისა“ დავარქვი. ზუსტად ცხრა საათზე, პროგრამის დამთავრებისას რადიოთი მოვისმინეთ, როგორ გამოეთხოვა მარტინეს მოროსინი ლუჩო გატიკას, ხოლო მაყურებელთა მჭუხარე ტაში საკუთარი ყურით გვესმოდა. ათიოდე წუთის შემდეგ ტელეფონმა დარეკა.

— თუ შეგიძლიათ ჩამოდით! — მომესმა ხენაროს ვაჟის შეშფოთებული ხმა, — საქმე ვერაა კარგად!

დიდი გაჭირვებით გავარღვიეთ კარებთან შეჩვეული ქალების კედელი. დარბაზის შესასვლელს ზორბა ტანის მეკარე ხესუსიტო იცავდა. „სასწრაფო დახმარება! სასწრაფო დახმარება! სადაა აქ დაჭრილი?!“ ღრიალებდა პასკუალი, როცა ჯიკავ-ჯიკავ მივიკვლევდით გზას მეტწილად ახალგაზრდა ქალების ბრბოში, უშფოთველი ღიმილით რომ შემოგვეცქეროდნენ. სტუდიაში თავზარდამცემი სურათი დავხვდა: სახელგანთქმული მოძღვრალი საშველად პოლიციას უხმობდა, თავის თაყვანისმცემელ ქალებზე გაბოროტებული კბილებს აკრაჭუნებდა, ადამიანის ფერი დაკარგოდა, ყურად არ იღებდა ჩვენი პროგრესული იმპრესარიოს დასაშოშმინებელ სიტყვებს — პოლიციის მოსვლამ ვაითუ

ყოფი შთაბეჭდილება მოახდინოს, ქალიშვილების გუნდი რომ იმის დასტურია, რაოდენ თაყვანს სცემს ხალხი თქვენს ნიჭსო.

— მაგათი ამბავი მე კარგად ვიცი, — გაიძახოდა დამფრთხალი სახელგანთქმული მომღერალი, — ჯერ ავტოგრაფს მოგთხოვენ, მერე კი დაგჩემტენ და დაგებენ.

ჩვენ სასაცილოდ არ გვეყო მომღერლის ნაწინასწარმეტყველები, მაგრამ ვაი რომ მართალი აღმოჩნდა.

ხენაროს ვაჟმა ნახევარი საათი დაგვაცდევინა, თაყვანისმცემლები დაიღლებიან და წავლენო. თერთმეტის თხუთმეტ წუთზე (სწორედ ამ დროს უნდა შევხვედროდი ხულია დეიდას კინოში) ჩვენვე გადაგვიღია გული ცდამ და გამოსვლა გადავწყვიტეთ. ხენაროს ვაჟმა, პასკუალმა, მარტინეს მოროსინიმ და მე წრე შევკარით და შუაში განთქმული მომღერალი მოვიქციეთ, რომელსაც კარის გაღებისთანავე მიტკლისფერი დაედო. კიბის პირველი საფეხურები შედარებით იოლად ჩავიარეთ, თუმცა თაყვანისმცემელ ქალთა ზღვაში გზას იდაყვებით, მუხლებით, თავებითა და მხრებით მივიკვლევდით. „ზღვა“ ტაშს უკრავდა, მხოლოდ ოხრავდა და თავის გადაფითრებულ კერპს ხელებს უთათუნებდა, რომელიც თან იღიმოდა და თან ჩუმად ლულლულებდა: „გემუდარებით, მეგობრებო, წრე არ გაწყვიტოთ!“ მაგრამ მალე დასტურ ხელჩართული ომი გაიმართა. ვინ ტანსაცმელზე გვეჭიდებოდა, ვინ მუჯლუგუნებს გვთავაზობდა, ვინ ხელებს იწვდიდა წივილ-კივილით, თავისი კერპის პერანგისა ან კოსტიუმისა ნაგლეჯი რომ მოეგდო ხელთ. ათიოდე წუთის შემდეგ ერთი კიდილ-ჭიდილთა და ბრძოლით. როგორც იყო, გასასვლელს მივალწიეთ. სულს ძლივს ვითქვამდით. მეგონა, უკვე გადავრჩით-მეთქი, მაგრამ თურმე ჯერ სად ყოფილხარ! თაყვანისმცემლებმა ბოლეროს უბედური შემსრულებელი ხელიდან გამოგვტაცეს და ლუკმა-ლუკმა დაგლიჯეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა სულ მთლად გაგლეჯა ვერ მოახერხეს. როცა ქალთა კერპი ხენარო მამის მანქანაში შევტენეთ, საათნახევარი საჭესთან მჯდარი რომ გვიცდიდა ქუჩაში, ლუჩო გატიკა და მისი გვარდია კატასტროფას სასწაულით გადარჩენილებს ვგავდით. მე პალსტუხი ჩამომამაგლიჯეს და პერანგი სულმთლად შემომამხიეს, ხესუსიტოს ლივრეა შემოაფხრიწეს, ქუდი წაგლიჯეს, ხენაროს ვაჟისთვის ვიღაც ქალს ჩანთა ედრუზა თავში და ახლა კობი აჯდა შუბლზე. ცოცხლად ვადარჩენილ ბოლეროს ვარსკვლავს კი ტუფლებისა და ტრუსების გარდა არაფერი ემოსა. მეორე დღეს, ბრანსის კაფეში ტრადიციულ ყავას რომ მივუსხედით დილის ათ საათზე და პედრო კამაჩოს ვუამბე გატიკას თაყვანისმცემელ ქალთა ეს გმირული საქმენი, სულაც არ გაკვირვებია.

— ჩემო ნორჩო მეგობარო, — მითხრა ფილოსოფიურად და თითქოს შორიდან შემომაცქერდა, — ბრბოს მუსიკაც აღელვებს.

ვინემ ლუჩო გატიკას ცოცხლად გადარჩენაზე ვიღწვოდი, ჩვენი ხუხულას დალაგების დროს სენიორა აგრადესიდას წაგავთან ერთად სენატორის მოთხოვრების მეოთხე ვარიანტიც გადაუგდია. ამ ამბავმა წყენის ნაცვლად შვება მომგვარა, განგების ნიშნად შევრაცხე და ხავიერს გამოვუცხადე, ამ ჩემს ნაწარმოებზე მუშობას აღარ ვაპირებ-მეთქი. ხავიერმა მომილოცა და არც ურჩევია, ამას ნუ იქმო.

ხულია დეიდამ ბევრი იცინა, როცა ჩემი ვაჟკაცობის ამბები მოისმინა. „ბოლივარის“ რესტორანში იმ წამიერი კოცნის შემდეგ ჩვენ თითქმის ყო-

ველდლე ვხვდებოდით ერთმანეთს. ძია ლუჩოს იუბილეს მეორე დღეს სრულიად მოულოდნელად ვეწვიე ბიძაჩემის სახლს. ჩემდა საბედნიეროდ, ხულია დეიდა მარტო დამხვდა.

— ორტენსიას სანახავად წავიდნენ, — მითხრა სასტუმრო ოთახში შესვლის შემდეგ. — მე აღარ გავყევი. ვიცი, ეგ ენაქართალა მთელი სიცოცხლე ჩემზე ჰკორაობს.

წელზე მოვხვიე ხელი და საკოცნელად მივიზიდე. ხელი არ უკრავს, მაგრამ არც უკოცნია: ტუჩები ცივი ჰქონდა. რომ მოვშორდი, დავინახე, უღიმელოდ მიმზერდა, ოღონდაც წუხანდელი გაკვირვებით კი არა, ცნობისმოყვარედ და ოდნავ დაცინვით.

— იცი რა, მარტო, — მითხრა დინჯად და დაყვავებით, — ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიგიჟე ჩამიდენია, მაგრამ, ღვთის მადლით, უწლოვანები ჯერ არ გამიხრწნია!

დავსხედით და თითქმის ორი საათი ვილაპარაკეთ. ვუამბე ჩემი ყველაფერი — არა, წარსულის კი არა, მომავლის ამბები, როცა პარიზში გადავალ და იქ მწერალი გავხდები. ვუამბე, რომ მწერლობა მაშინ დავაპირე, როცა პირველად ალექსანდრე დიუმა წავიკითხე. მას აქეთ ვოცნებობ საფრანგეთში გავემგზავრო, სადმე მანსარდაში ვიცხოვრო მხატვართა და მსახიობთა უბანში და მთელი ჩემი სიცოცხლე ამქვეყნად უმშვენიერეს საქმეს, ლიტერატურას შევწირო!

არც ის დამიმაღავს, რომ სამართალს მართოდენ ოჯახის ხათრით ვსწავლობ, სინამდვილეში კი ვეჭილობა ყველაზე არარა, სულელურ საქმედ მიმაჩნია და არც არასოდეს მოვეკიდები. უეცრივ ჩემს თავს უჩვეულო გაფიცება შევამჩნიე. კიდევ ვუთხარი, ეს პირველადაა, ჩემი გულისნადები ქალს რომ გავუზიარე და არა მეგობარს-მეთქი.

— დედაშენს გაგონებ და იმიტომ, — ფსიქოანალიტიკოსივით ამიხსნა ხულია დეიდამ. — მაშ, დორიტას ბიჭი ბოჰემის თაყვანისმცემელია? რა გვეშველება! კი მაგრამ, ხომ შიმშილით ამოგხდა სული, შვილიკო, ასე თუ იცხოვრე?

მიაშობო, თურმე მთელი ღამე არ სძინებია, სულ იმაზე ფიქრობდა, „ბოლივარის“ რესტორანში როგორ ვაკოცე. მერე და ვინ! დორიტას პატარა ბიჭმა, რომელიც ლამის გუშინ გააცილა დედასთან ერთად კოჩაბამბას<sup>1</sup> ლა სალის კოლეჯში, იმ ღლაპმა, ვინც ჯერ მოკლე შარვალში ახსოვს, მისმა პაჟმა, ნება რომ დართო კინოში ხლებოდა, რადგან მარტო სიარული არ უნდოდა. ამ ბიჭმა კი ადგა და ვაჟკაცივით ტუჩებში აკოცა! ეს ვერა და ვერ დაეჯერებინა.

— სწორედაც ვაჟკაცი ვარ, — მტკიცედ ვუთხარი და თითები დავუკოცნე. — უკვე თვრამეტი წელი შემისრულდა. უმანკოება კი ხუთი წლის წინათ დავკარგე.

— მე რაღა მეთქმის — ოცდათორმეტი წლის ქალს, რომელმაც ქალწულობა თხუთმეტი წელია დავკარგე! აბა სულ ბებერი ვყოფილვარ! — მხიარულად კისკისებდა ხულია დეიდა ოდნავ ჩახრინწვით, თვალებს აუუუუნებდა. ფუნჩულა ბაგეს ფართოდ აბობდა და დაცინვით, ცბიერად შემომცქეროდა. თუმცა ლაწირაკად უკვე აღარ მთვლიდა. ხულია წამოდგა და ვისკი დამისხა.

— შენი გუშინწინდელი თავხედობის შემდეგ კოკა-კოლას ველარ გაკად-

<sup>1</sup> ბოლივიის ქალაქი.

რებ, — მითხრა დაღონებით, — ახლა იძულებული ვარ შენც ჩემს თაყვანისმცემელთა სიაში ჩავწერო და ისევე მოგექცე.

ვუთხარი, ასაკში სხვაობა არც ისეთი უბედურებაა-მეთქი. რა თქმა უნდა. უბედურება არაა, — მიპასუხა, — მაგრამ სხვაობა მაინც იმდენია, ლამის შეილად მერგები.

ხულიამ მიაშობო თავისი გათხოვების ამბავი. პირველ წლებში ჩვენს ქალაქად იყო თურმე ყველაფერი. მის ქმარს მთიან მხარეში ჰქონდა მამული, მშვენივრად მოწყობილი სახლი. ისე მიეჩვია სოფლურ ცხოვრებას, ლა პასშიაც იშვიითად ჩამოდიოდა. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ეს მშვიდი, სალი, უბრალო ყოფა. ბევრს სეირნობდა ცხენით, ესწრებოდა ინდიელთა დღესასწაულებს. არეულობა მაშინ დაიწყო, როცა ცხადი გახდა, რომ ხულიას შვილი ვეღარ ეყოლებოდა. მის ქმარს კი არ უნდოდა უმემკვიდროდ გადაგება. ჯავრისგან სმას მიპყო ხელი. ცხოვრება თანდათან აერიათ, ჩხუბი ჩხუბს წაეწყო ხან იყრებოდნენ, ხან რიგდებოდნენ, ვინემ საბოლოოდ არ გაიყარნენ, თუმცა ბოლოს მაინც მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს.

— თუ როდისმე ცოლი ვითხოვე. — ვაუწყე ასე, — შვილებს არ ვიყოლიებ. შვილები და ლიტერატურა ერთმანეთს არ ეთავსება.

— მაშასადამე, შემძლია განცხადება შემოვიტანო და შენს თაყვანისმცემელ გოგოების რიგში ჩავეწერო, ჰა? — კეკლუცად მკითხა ხულია დეიდამ.

კვიმატი, თავისუფალი ლაპარაკი იცოდა, ანეკდოტებს თამამად ჰყვებოდა და ლიტერატურისა (როგორც ყველა ქალს, ვისაც კი აქამდე ვიცნობდი) ინჩიბინჩი არ გაეგებოდა. ბოლივიაში ცხოვრებისას მეტწილად არგენტინულ ეურნალებს კითხულობდა, კიდევ ორი-სამი რომანი მიეჩნია დამახსოვრების ღირსად. როცა დამშვიდობებისას ვკითხე, შეიძლება თუ არა ერთად ვიაროთ-მეთქი კინოში, მითხრა, შეიძლებაო. მას შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს კინოში ვყურყუტებდი, უამრავი მექსიკური თუ არგენტინული მელოდრამა ენახე, სამაგიეროდ კოცნაც ბევრი ვიგემე. დავდიოდით „მონტეკარლოს“, „კოლინას“, „მარსანოს“ კინოებში, ვინაიდან კარგს შორის იყო და უფრო მეტხანს ვიქნებოდით ერთად. კინოს შემდეგ დიდხანს დავეხეტებოდით ქუჩებში. ხულიამ მასწავლა „ღვეზელ-ღვეზელ“ სიარული (ასე ეძახდნენ თურმე ხელმკლავით სიარულს ბოლივიაში), დავყიადობდით მირაფლორესის ცარიელ ქუჩებში (ყოველი მანქანისა თუ გამვლელის გამოჩენაზე მსწრაფლ მოვწყდებოდით ხოლმე ერთმანეთს), ვსაუბრობდით ათას რაღაცაზე, ზემოდან კი გვაცრიდა და გვაცრიდა წვიმა (წლის ის საძაგელი დრო იდგა, ღამეში რომ „ზამთარს“ ეძახიან). დღისით ხულია დეიდა ძველებურად დაჰყვებოდა თავის თაყვანისმცემლებს სადილს თუ ჩაიზე რესტორანში, საღამო კი ჩემი იყო. ჩვენ მართლაც მივდიოდით კინოში, მაგრამ ვსხდებოდით პარტერის ყველაზე ბოლო რიგებში, სადაც (მეტადრე თუ ცუდი სურათი იყო) შეგვეძლო ერთმანეთისთვის ისე გვეკოცნა, სხვებისთვის ხელი არ შეგვეშალა, და სადაც ვერავინ გვიცნობდა. ძალიან მალე ჩვენი დამოკიდებულება ფრიად გაურკვეველი გახდა, იგი გაიყინა იმ თვალით უხილავ მონაკვეთზე, რომელიც ჰყოფს მიჯნურებს და საყვარლებს, ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს. სწორედ ეს იყო ჩვენი გამუდმებული საუბრის საგანი. როგორც საყვარლებს, ჩვენც გვქონდა ჩვენი საიდუმლო, სულ გვეშინოდა, ვინმეს არ გაეგო ჩვენი ამბავი, მაგრამ პლატონიური საყვარლები



ვიყავით, ვინაიდან სიახლოვე არ გვქონდა (რარიგ ვაოცებულნი დარჩა შემდეგ ხავერი, როცა გაიგო, ერთმანეთს არც კი მოვხვედევით!). მიჯნურებისა ჩვენ მოგვდგამდა პატივისცემა იმდროინდელ მირაფლორესის ნორჩ შეყვარებულთა კლასიკურ რიტუალებისა (კინოში სიარული, სეანსების დროს კოცნაობა, ქუჩებში ხელგაყრილი სეირნობა) და უცოდველი საქციელი. სიმწიფისტორიულ ხანაში ამ რაიონის ასულები საკურთხეველთან უბიწონი იდგნენ და ხელის დაკარების ნებას მაშინდა აძლევდნენ მიჯნურებს, როცა საქმროებად შეირაცხებოდნენ). თუმცა სადაური მიჯნურები უნდა ვყოფილიყავით ჯერ ასაკის სხვაობისა და მერე მოყვრობის გამო. ამიტომაც ჩვენს უჩვეულო, საექვო ხასიათის რომანს ხუმრობით ხან „ინგლისურ ნიშნობას“, ხან „შვედურ რომანს“ და ხან „თურქულ დრამას“ ვეძახდით.

— პატარა ბიჭისა და ბებრუხანა ქალის ტრფიალის ამბავი, ყველაფრის გარდა, ასე ვთქვათ, ნათესავადაც რომ ერგება, მშვენიერი თემაა პედრო კამაჩოს დადგმისათვის, — მითხრა ერთხელ ხულია დეიდა, ცენტრალური პარკი რომ გადავჭერით.

შევახსენე, ჩემი დეიდა მხოლოდ ოფიციალურად ხარ-მეთქი. ხულიამ კი მითხრა, ნაშუადღევს სამ საათზე რადიოდადგმა მოვისმინე, სადაც სან-ისიდროს უბნელ ერთ ქაბუკს, კალმით ნახატსა და დიდებულ სერფისტს, სიახლოვე ჰქონია საკუთარ დასთან, რომელიც — ჰოი, საშინელება! — მისგან კიდევაც დაორსებულიყო.

— როდის აქეთ უსმენ რადიოდადგმებს? — ვკითხე.

— ჩემი დაიასაგან გადმომედო. ისე კი „რადიო სენტრალის“ რადიოდრამები მართლაც დიდებულთა; დრამა კი არადა, ისეთი საშინელებაა, გული ნაფლეთ-ნაფლეთ გეგლიჯება! — მიპასუხა ხულიამ და გამომიტყდა, მე და ოლგას ბევრჯერ გვიტირია ამ გადაცემებზეო. ეს იყო პირველი ცნობა იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რაც პედრო კამაჩოს კალამს მოეხდინა ლიმელთა ოჯახებში. ძალუა ლაურას რომ ვეწვეოდი და ზღურბლზე დამინახავდა, რადიომიმღებთან მჯდარი თითს ტუჩებზე მიიდებდა, თითქოს მოსმენა კი არადა, შესრუტვა უნდა ბოლივიელი პოეტის ხან მთრთოლვარე. ხან თავშეკავებული, ხან მგზნებარე, ხან ნაზი ხმისაო, ძალო გაბისთან რომ მივიდოდი, ისა და ორტენსია, ხელში შეყინული ძაფის გორგლებით, გაფაციცებით უსმენდნენ ლუსიანო პანდოსა და ხოსეფინა სანჩესის მდიდრულად მკლერ, გერუნდივებით სავსე დიალოგებს.

ჩემს საკუთარ ბებია-ბაბუასაც, რომელთაც, ბებია კარმენის თქმისა არ იყოს, „რომანები მუდამ ხიბლავდათ“, ახლა ჭეშმარიტი გატაცება დაუფლებოდათ რადიოდადგმებისა. დილით, „რადიო სენტრალის“ სიგნალებზე თვალს რომ გამოვატყუებდი, ჩემი ბებრები უკვე მომზადებული მხვდებოდნენ პირველი რადიოდადგმის მოსასმენად, რომელსაც დილის ათ საათზე გადმოსცემდნენ. სადილობისას ორი საათის დადგმას ვისმენდი: რა დროსაც არ უნდა მოვსულიყავ, პატარა დარბაზის სავარძლებში ბებია-ბაბუა და მზარეული ქალი ისხდნენ, მთელ ხმაზე ჩრთულ, კომოდივით ვეება რადიომიმღების წიალიდან გამოსული ხმებით მოჯადოებულნი.

— ასე რად მოგწონს ეს დადგმები? — ვკითხე ერთხელ ბებიაჩემს, — ისეთი რაა, რაც წიგნებში არ ეწეროს?

— ცოცხალს ჰგავს და იმიტომ. უსმენ გმირებს და ნამდვილი გგონია,

— მითხრა მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ. — თანაც ჩემი ასაკის ქალს თვალზე უფრო ყური უჭრის.

ასევე დავკითხე სხვა ნათესაეების ოჯახებიც, მაგრამ გარკვეული დასკვნა მაინც ვერ გამოვიტანე. ვაზი, ორტენსია, ლაურა და ოლგა ძალოებს მხიარული თუ დამალონებელი ეს რადიოდადგმები იმიტომ მოსწონდათ, რამდენადაც ურობას ავიწყებდათ, ოცნების სამყაროს, უჩვეულო განცდებს უზიარებლად და სხვა რაღაცებსაც ასწავლიდათ. ან იქნებ მიზეზი სულაც ის იყო, რომ ჩემს ნათესაე ქალებს ცოტაოდენი რომანტიკა კიდევ მოსდევდათ? როცა ვკითხე, წიგნებზე მეტად რადიოდადგმები რად მოგწონთ-მეთქი, ფრიად იტყვიეს: რა სისულულეა, როგორ ადარებ ერთმანეთს! წიგნი კულტურაა, რადიოდრამა კი — არაფერი, უბრალოდ დროის გაყვანაო! არადა, დღენიადაგ რადიომიმღებზე იყვნენ მიკრულნი, წიგნი მათ ხელში არ დამინახავს. სალამობით სეირნობისას ხულია დეიდა ზოგჯერ მოკლედ მიყვებოდა ხოლმე იმ ეპიზოდებს, ამ დადგმებიდან ყველაზე ძალიან რომ მოსწონებოდა, მე კი ჩემი და ბოლივიელი მწერლის ნაუბარს ვუყვებოდი. ისე რომ, პედრო კამაჩო ბოლოს და ბოლოს ჩვენი რომანის განუყოფელ ნაწილად იქცა.

იმ დღეს, როცა ჩემი აურაცხელი აღშფოთებული განცხადების შედეგად, როგორც იქნა, წართმეული საბეჭდი მანქანა ამინაზლაურეს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რაზომ დიდი წარმატება მოუხვეჭია ახალ რადიოდადგმებს. ხენაროს ვაჟი გადაბადრული გვეწვია საქაღალდეთი ხელში და გვაუწყა:

— შედეგმა ყველაზე ოპტიმისტურ ვარაუდსაც გადააჭარბა. ორ კვირაში ჩვენი რადიოდადგმების მსმენელები ოცი პროცენტით გაიზარდა. აბა, თუ იცი, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ოცი პროცენტით გაიზარდა ის ანგარიშები, რეკლამის დამკვეთთა რომ გაეგზავნება.

— მაშასადამე, ჩვენც ოცი პროცენტით მოგვემატება ხელფასი? — შეხტასკამზე პასუხალი.

— თქვენ ხომ „პანამერიკანში“ მუშაობთ და არა „რადიო სენტრალში“, — შეგვახსენა ხენაროს ვაჟმა, — ჩვენი რადიოსადგური კარგი გემოვნებითაა ცნობილი და რადიოდრამებს არ გადმოსცემს.

გაზეთებმა არ დააყოვნეს გამოხმაურება: საგანგებოდ გამოყოფილ კაბადონებში წაიკითხავდი, რომ ახალმა რადიოდადგმებმა დიდძალი მსმენელი მიიზიდა. აქებდნენ და აღიღებდნენ პედრო კამაჩოს. გილო მონტევერდემ პირველმა აიყვანა ცაში კამაჩო თავის გაზეთ „ულტიმა ორა“-ში, გამოცდილი სცენარისტი უწოდა, ტროპიკული წარმოსახვისა და რომანტიკული სტილის მქონე, გაბედული რეჟისორი და გასათვარი ხმისა და მრავალმხრივი ნიჭის პატრონი მსახიობი. მაგრამ ვისაც ეს ქებათაქება ეკუთვნოდა, აზრადაც არ იყო, აღტაცების რა გრივალი გამოიწვია.

ერთ დილას, როცა ჩვეულებისამებრ შევეუარე, ყავა ერთად დავლიოთ-მეთქი, მისი გალიის ფანჯარაზე ოკრობოკროდ ნაწერი პლაკატი დავინახე: „უჟრნალისტებისთვის კარი დაკეტილია, ავტოგრაფებს არ იძლევიან. პატივი დასდეთ, მწერალი მუშაობს!“

— ეს ხუმრობაა თუ მართლა დაწერეთ? — ვკითხე მე, როცა ნეტარებით გულაპავდი ყავას, ის კი იერბალუისის და პიტნის ნახარშს შეეჭკეოდა.

— მართლა დაწერე, აქაური ფრთოსნები უკვე სიცოცხლეს მიმწარებენ. თუ არ შევაჩერე, რადიომსმენელთა რიგები სულ მალე აჭამდე მოაღწევს, —

ერთობდა უნდოდად მიმითითა ხელით სან-მარტინის მოედანზე. — სურათებსა და ავტოგრაფებს მომთხოვენ. დრო კი ოქროზე ძვირად მიღირს, ტყუილუბრალოდ ვერ გავფანტავ, — მითხრა გულწრფელი შეშფოთებით, მედიდურობის გარეშე. ეცვა ისევ ის შავი კოსტოში, ეკეთა ისე ის ბაფთა-პალსტუხი და „ავიოსნის“ მყრალ სიგარეტებს აბოლებდა. როგორც ყოველთვის უხელოდ დინჯად იყურებოდა. ვიფიქრე, ვასიამოვნებ-მეთქი, და ჩემს მხატვრულ ქაღალდზე ვუამბე, მის ნიჭს რომ ასე ფანატიკურად აღმერთებდნენ. ვუთხარი ხენაროს ვაჟზეც, სიამაყისაგან რომ ლამის შუაზე გაფხრეწილიყო, როცა ახალი რადიოდანდგმების ირგვლივ შემოწმება ჩაატარა. მაგრამ პედრო კამაჩომ ბრაზით შემაწყვეტინა სიტყვა, მაგრძნობინა, რომ გასაკვირი აქ არაფერი იყო, რომ წინასწარ იცოდა, ასედაც იქნებოდა და იქვე მაუწყა, თუ რა აღშფოთებული იყო იმ „ვაჭრუკანების“ უტაქტობით (ასე ეძახდა ახლა ორივე ხენაროს).

— კარგად მაინც ვერ ეწყობა დადგმების საქმე და უნდა ვუშველო, — მითხრა მოლუშვით, — მათი ხელშეწყობა მჭირდება, მაგრამ ყველამ იცის, ჯიბესქელებისთვის ხელოვნებას იგივე ფასი აქვს, რაც ღორებისთვის მარგალიტს.

— ვერ ეწყობაო? — გავოცდი მე. — განა დადგმებმა წარმატება არ მოიხვეჭეს?

— „ვაჭრუკანები“ უარზე არიან პაბლიტო გააგდონ ჩემი მოთხოვნების მიუხედავად, — მითხრა კამაჩომ, — რალაც აბღაუბდას ჩმახავენ, აქაოდა, ეს ტიპი დიდი ხანია რადიოსადგურში მუშაობსო თუ მისთანები. გეგონება, ხელოვნება ქველმოქმედება იყოს. ამ ჩერჩეტის უვიცობა ჩემს შემოქმედებას დიახაც ენებს.

დიდი პაბლიტო იმ ფრიად სახასიათო, არცთუ სავსებით გასაგებ ხალხის რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც რადიოსადგურის გარემო ბადებს და თავისკენ იზიდავს. თუმცა პატარა ბიჭვით ჯერაც პაბლიტოს ეძახდნენ, უკვე ორმოცდაათი წლის მეტისი გახლდათ, ფეხებს ძლივძლივობით დაათრევდა, ისეთი სულისხუთვები ჰქონდა ზოგჯერ, ლამის გაგუდულიყოთ კაცი. დილიდან სატამომდე „სენტრალისა“ და „პანამერიკანის“ სტუდიებში დაბოროილებდა: ხან დამლაგებლებს ეხმარებოდა, ორივე ხენაროსათვის კინოსა თუ ხარების ბრძოლაზე ბილეთებს ყიდულობდა, სტუდიაში შესვლის მსურველთ საშვებს ურიგებდა, პეტწილად კი რადიოდანდგმებში მონაწილეობდა, სადაც საგანგებო ეფექტების საქმე ებარა.

— ამ „ვაჭრუკანებს“ ჰგონიათ, „საგანგებო“ ეფექტები“ სისულელეა და შეიძლება ყველა მაწანწალას ანდო, — ბატონკაცური მედიდურობით მიხსნოდა პედრო კამაჩო. — სინამდვილეში კი ესეც ხელოვნებაა. მაგრამ რა გაეგება ამისა ამ ცოცხალმკვდარ, ჭკუასუსტ პაბლიტოს?

პედრო კამაჩომ დამარწმუნა, რომ თუ საჭირო იქნა, საკუთარი ხელით უყოყმანოდ გაამცამტვერებს ყოველნაირ დაბრკოლებას „თავისი შემოქმედების სრულყოფისათვის“ (დამარწმუნა ისე მტკიცედ, რომ მაშინვე ვიწამე).

მერე კი დადინჯებით დასძინა, რომ შესაძლებლობა არ გააჩნია „საგანგებო ეფექტებისათვის“ მცოდნე კაცი მოამზადოს და ყველა წვრილმანი შეასწავლოს, თუმცა ადგილობრივი დღის გადაცემებს რომ გაეცნო, საჭირო კაცი მაინც შეარჩია.

— ჩვენთვის საჭირო კაცი, — პედრო კამაჩომ ხმას დაუწია, მიიხედ-  
მოიხედა და იღუმლად მითხრა, — „რადიო ვიქტორიასი“ იმყოფება.

მე და ხავიერმა რომ ვიმსჯელებთ, რა შესაძლებლობანი გააჩნია პედრო კა-  
მაჩოს დიდი პაბლიტოს მიმართ თავისი კაცთმოძულე ზრახვანი განახორციელო-  
სო, დავასკვენით, უკანასკნელის ბედს მხოლოდ და მხოლოდ დაქვემდებარებას შე-  
დეგი გადაწყვეტს: თუ რადიოდრამები თანდათან მეტ წარმატებას მოიხვეჭს,  
პაბლიტოს დაუნდობლად გასწირავენ. მართლაც არ გასულა ერთი კვირა, რომ  
სხვენზე ხენაროს ვაჟი გამოგვეცხადა სწორედ იმ დროს, როცა ახალი მოთხ-  
რობის წერით ვიყავი გართული. თუმცა იმდენი თავაზი გამოიჩინა, კრინტიც  
არ დაძრა ამაზე და მე და პასკუალს წყალობის კილოთი გვითხრა:

— სულ რომ წუწუნებთ, ზარმაცებო, საქმეს ვერ ავუდივართო, ახალი  
რედაქტორი გამოგინახეთ. ამიერიდან დიდი პაბლიტო დაგეხმარებათ, თუმცა  
ეს არ ნიშნავს მხარეთმცოდნე იგორაოთ!

საინფორმაციო სამსახურისთვის გაწეულ ამ შემწეობას უფრო „სულიერი  
შემწეობა“ ეთქმოდა. მეორე დილას შვიდ საათზე ჩვენს სხვენზე გამოცხა-  
დებულმა დიდმა პაბლიტომ, დროის ყოვლად ზუსტად დამცველმა, როცა გვკით-  
ხა, რა გავაკეთოთ, და მე შევთავაზე, პარლამენტის სესიის ცნობებს გადახე-  
დეთ-მეთქი, სახეზე ისეთი შიშისზარი გამოეხატა, ისეთი ხველება აუტყდა, კა-  
ცი ლამის ჩალურჯდა, და ბოლოს ძლივს ამოთქვა:

— მე არც კითხვა ვიცი და არც წერა, სენიორ.

მისთანა უწიგნურის ჩვენთან რედაქტორად გამოგზავნა ხენაროს ვაჟის ფრი-  
დ დახვეწილ იუმორის გრძნობას მივაწერე. პასკუალი კი, რომელიც თავდაპი-  
რველად ფრიად შეაშფოთა იმის გაგებამ, ამიერიდან დიდ პაბლიტოსთან ერ-  
თად უნდა ვიმუშაოთ, ამ ახალმა ამბავმა ძალზე გაამხიარულა. თავის გამოჩე-  
ნილ კოლეგას წარამარა სიზარმაცეს უკიყინებდა, წერა-კითხვა რად არ შეის-  
წავლეთ. თვით პასკუალი კარგა მოზრდილი იყო, როცა სალამოს უფასო სკო-  
ლაში წავიდა. ნირწამხდარი დიდი პაბლიტოც ყველაფერზე კვერს უკრავდა და  
დაქოქილივით იმეორებდა: „სწორია... ეს აღარ მიფიქრია... ცამდე მართალი  
ზრძანდებით“, და ისეთი თვალებით მიცქერდა, თითქოს უკვე დამეთხოვოს  
სამსახურიდან. პაბლიტო დავამშვიდვე, შენი საქმე იქნება, დიქტორებს რადიო-  
ნიმობილვა ჩამოურიგო-მეთქი. სულ მალე დიდი პაბლიტო პასკუალის ყურმოჭ-  
რილ მონად იქცა. მთელი დღე წინ და უკან დაარბენინებდა საწყალს — ხან  
სიგარეტები მომიტანეთ, ხან კარაბაიას ქუჩაზე მოვაჭრე ქალიდან დაჩურთული  
კართოფილიო, ხან — წადი და გაიგე, წვიმა მოდის თუ არაო. დიდი პაბლიტო  
ვაუკაცურად იტანდა თავის მონობას და, ასე განსაჯეთ, ჩემზე მეტი სიყვარული-  
თა და პატივით ექცეოდა თავის მტანჯველს. თუ დავალება არაფერი ჰქონდა,  
დიდი პაბლიტო კუთხეში მიიკუჭებოდა, კედელს თავს მიადებდა და ისეთ  
ხვრინვას ამოუშვებდა, დაეანგული ვენტილატორი გეგონებოდა. პაბლიტო  
სულგრძელი კაცი ყოფილა — სულაც არ დაბიძგილა ბოლივიელ მოკალმეზე,  
„რადიო ვიქტორიას“ თანამშრომელში რად გამცვალაო. მუდამ ალტაცებით ლა-  
პარაკობდა კამაჩოზე და გულწრფელ აღფრთოვანებას არ მალავდა. ხშირად  
მთხოვდა, თუ შეიძლება წავალ, სტუდიაში რეპეტიციებს დავესწრებო, და იქი-  
დან კიდევ უფრო ალტაცებული ბრუნდებოდა.

— ეს გენიოსია! — ამტკიცებდა ქლოშინ-ქლოშინით, — რა გასაოცარ  
რადაცებს თხზავს!

დიდი პაბლიტო ხშირად გვართობდა პედრო კამაჩოს მსახიობური გმირობის თავშესაქცევი ამბებით.

— შენ ეს უნდა აგეწერა და არა იმ დოროთეო მარტის ამბავი, — ჩამჩინებდა ხავიერი. — „რადიო სენტრალი“ დიხადა რომ ~~მარტის ამბავი~~ მწერალი კაციისთვის.

ამ მოთხრობას, რომლის დაწერაზეც იმ დღეებში ვჯახირობდი, საფუძვლად ხულია დეიდას ნაამბობი დაედო: თვითონვე ყოფილა მოწმე ლა პასის „საავედრას“ თეატრში ამ შემთხვევისა. დოროთეო მარტი ესპანელი მსხიობი იყო თურმე, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში გასტროლირებდა და ცრემლებს აღვრევინებდა აღფრთოვანებულ მაყურებლებს თავისი ოსტატური თამაშით ისეთ პიესებში, როგორც „აბუებული ქალი“, „ჭეშმარიტი ვაჟკაცი“ თუ სხვა მისთანა აბდაუბდა იყო. ლიმაშიაც კი, სადაც თეატრს, როგორც გასართობს, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში დაესვა ჯვარი, დოროთეო მარტის დასმა მუნიციპალურ თეატრში შეძლო მაყურებლის შეტყუება იმ წარმოდგენაზე, რომელიც მთელი პროგრამის „თვალი“ იყო თურმე. ეს გახლდათ „ცხოვრება, ვნებანი და აღსასრული ქრისტესი“. დოროთეო მარტის შესაშური მოხერხებაც პქონია. ბოროტი ენები ირწმუნებოდნენ, ერთ-ერთი მოქმედების დროს ქრისტემ შესწყვიტა მწუხარე გმინვა გეთსამანიის ბაღში და თავაზიანად აუწყა პატივცემულ საზოგადოებას, ზვალ საგანგებო წარმოდგენას ვმართავთ, სადაც ყოველ კავალერს შეუძლია უფასოდ თითო ბანოვანი შემოიყვანოსო (რის შემდეგაც ქრისტეს კვლავ გაუგრძელებია გმინვა და კვნესა). ხულია დეიდა სწორედ ამ წარმოდგენას დასწრებია „საავედრას“ თეატრში. კულმინაციის იმ წუთებში, როდესაც გოლგოთას მთაზე იესო ქრისტე უკვე სულს დაფავდა, მაყურებლებმა შეამჩნიეს, რომ საკმევლის კვამლში გახვეული ჯვარცმა ზედ გაკრული ქრისტე-მარტით ანაზდად შეტოკდა. ეს შემთხვევითი იყო თუ რეჟისორს ეწადა ამ ხრიკით შთაბეჭდილება მოეხდინა, არავინ იცოდა. ღვთისმშობელმა, მოციქულებმა, ლეგიონერებმა და ხალხმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს და ნელ-ნელა გაეცალენ ჯვარცმას, საიდანაც თავჩამოგდებულმა ქრისტე-დოროთეომ ჯერ ჩუმად, მერე კი პარტერის პირველი რიგების გასაგონად — ვაიმე, ვეცემიო! — დაიჩურჩულა. ამ მკრეხელურმა ამბავმა ისე გააოცა და გაახევა კულისებში მდგარნი, კაციშვილი არ გამოვარდნილა სცენაზე ჯვარცმის შესაკავებლად. ის კი, ფიზიკის ყველა კანონის პირუკუ, მთელი ძალით ქანაობდა. შეშფოთებული ჩურჩული თურმე ლოცვამ შესცვალა. რამდენიმე წამის შემდეგ კი ლა პასის მაყურებელთა თვალწინ წმიდათაწმიდა ძელი გალილეელ მარტისთან ერთად სცენაზე ისეთი საშინელი გრუხუნით დაეხეთქა, მთელი თეატრი შეაზანზარა. ხულია დეიდა იფიცებოდა, დაცემამდე ქრისტემ მოასწრო და გულშემზარავად იბღაველა: დასწყევლოს ღმერთმა, მართლა ვეცემიო!

მე სწორედ ამ დასასრულის აღწერა მსურდა, ანუ მოთხრობა ქრისტეს ბღავილითა და წყევლა-კრულვით დამთავრებულიყო. ეს იქნებოდა ჭეშმარიტი სატირული ქმნილება. ამიტომაც ავტობუსებსა, ტაქსებსა თუ შინ, ვინემ დავიძინებდი, სულ იმ იუმორისტულ მწერლებს ვკითხულობდი, ვისი წიგნების შოვნა შეეძელი — დაწყებული მარკ ტვენითა და ბერნარდ შოუთი, დამთავრებული ხარდიელ პონსელითა და ფერნანდეს ფლორესით. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვერაფერიც ვერ დავწერე. პასკუალმა და დიდმა პაბლიტომ სათვა-

ლავიც კი დაკარგეს, რამდენი ფურცელი ჩავყარე ნაგვის კალათში. ჩემი ბედი, რომ მამაშვილი ხენაროები ჭეშმარიტი სულგრძელობით თვალებს ხუჭავდნენ ქალაქის ასეთნაირ გაჩანაგებაზე.

მხოლოდ ორი თუ სამი კვირის შემდეგ გავიცანი ის კაცი, ვინც დიდი პაბლიტო შეცვალა. თუ ბოლივიელის ჩამოსვლამდე, ვისაც კი მრავალჯერ ხეხდა, ყველას შეეძლო რადიოწარმოდგენების ჩაწერაზე დასწრება, — პედრო კამაჩომ სასტიკად აკრძალა, მსახიობებისა და ტექნიკოსების გარდა სტუდიაში ფეხი არავინ შემოდგასო. ის არ იკმარა, კარი რომ გასაღებით ჩაკეტა, ზორბაზე ზორბა შეკარე ხესუსიტოც ააყუდა კართან მცველის პირობაზე. გამონაკლისი არც ხენაროს ვაჟისთვის დაუშვია.

ერთ საღამოს ხენაროს ვაჟი სხვენზე გვესტუმრა (ასე იყო მუდამ, როცა რაღაც შეაწუხებდა და ჩივილი მოუხდებოდა). სიბრაზისაგან ნესტოები უთრთოდა.

— სტუდიაში რომ შევედი, კამაჩომ გადაცემა შეწყვიტა და გადაჭრით გამომიცხადა, ჩაწერას არ გავაგრძელებ, ვინემ აქედან არ მოშორდებიო, — შემომჩივლა ხმაშეცვლილმა ხენაროს ვაჟმა, — დამეჭადა კიდეც, მეორედ თუ კიდეც შემაწყვეტინე რეპეტიცია, მიკროფონს თავში გხეთქავო. რა ვქნა, რა გზას დავადგე? დავითხოვო ისე, კაპიკი არ მივცე, თუ ეს შეურაცხყოფა გადავწყლაპო?

მეც ავდექი და ის ვურჩიე, რასაც ჩემგან ელოდა: რახან რადიოდანგმებმა ასეთი სახელი მოიხვეჭა („ეროვნული რადიომაუწყებლობის განვითარების ხათრით“ და ა. შ.), ეს წყენა უნდა გადაყლაპო და ბოლივიელის სამფლობელოში ცხვირიც აღარ შეჰყო-მეთქი. ხენაროს ვაჟი ასეც მოიქცა. მე კი მას აქეთ ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მოკალმის ერთ-ერთი დრამის ჩაწერას რომ დავსწრებოდი.

ერთხელ, როცა ჩვეულებრივ დილის ყავას შევექცეოდით, როგორც იყო, პედრო კამაჩოს შეპარვით ვუთხარი, ძალიან მინდა ვნახო „საგანგებო ეფექტების“ ახალი ოსტატი და დავრწმუნდე, მართლა თუ ისე კარგია, როგორც თქვენ ბრძანეთ-მეთქი.

— „კარგია“, არ მითქვამს, მე ვთქვი, „შეიძლება გამოდგეს-მეთქი“, — მყის შემისწორა პედრო კამაჩომ. — მაგრამ შევასწავლი და ალბათ მალე კარგი ტექნიკოსი დადგება. — მერე მოსვა თავისი სასმელი, მოწყურა ამა ქვეყნისადმი ცივი მედიდურობით მზირალი თვალეები და ერთხანს დაშტერებით შემომაცქერდა — შევატყვე, ეჭვი და ყოყმანი ვერ დაედლია. ბოლოს მაინც მოტყდა.

— კარგი, ხვალ მოდით დღის სამ საათზე. სამწუხაროდ, მეორედ ვეღარ დავასწრებთ. არ მიყვარს, უცხოები რომ შემოდინან, მსახიობებს გულისყური ეფანტებათ, ლელავენ და აღარ მემორჩილებიან — მაშინ კი მშვიდობით, კათარზისზე<sup>1</sup> აგებულო საქმევ! ყოველი ეპიზოდის ჩაწერა — იგივე ღვთისმსახურებაა, ჩემო კეთილო!

თუმცაღა მესაზე უფრო საზეიმო ვამოდგა ყოველივე. რაც ეკლესიაში ვყოფილვარ (აგერ უკვე რამდენიმე წელია ფეხი აღარ შემიდგამს), მისთანა

<sup>1</sup> კათარზისი — არისტოტელის მოძღვრება მაყურებლის სულიერი „განწმენდის“ თაობაზე ტრაგედიის ზეგავლენით.

ღრმად მოფიქრებული ცერემონია, მისთანა რთული რიტუალი, მე რომ „ღონ ალბერტო კინტეროსის ცხოვრება და უბედურებანი“-ს მეჩვიდმეტე თავის ჩაწერაზე ვიხილე, არსად მინახავს. ჩაწერა, მგონი, ნახევარ საათზე მეტი არ გაგრძელებულა: ათი წუთი რეპეტიციას მოუწია, ოცი — თვითონ ჩაწერას, მე კი ისე მეჩვენა, წარმოდგენამ რამდენიმე საათს გასტანა-მეუღწიეს მინის გაღიაში ფეხის შედგმისთანავე, სადაც იატაკზე მწვანე, მტვრიანი ხალიჩა ეგო და ფრიად მყვირალა სახელი — „რადიო სენტრალის ჩასაწერი სტუდია“ ერქვა, განმაცვიფრა იქ გამეფებულმა რელიგიური აღმადრენის გარემომ. მაყურებლები მე და პაბლიტო გახლდით მხოლოდ, დანარჩენები მონაწილენი იყვნენ. პაწია ოთახში შესვლის უმაღ პედრო კამაჩოს უდრეკმა მზერამ გვამცნო, გაშეშდით და მარილის ბოძებად იქეცითო. სცენარისტ-რეჟისორი თითქოს შეეცვალათ: უფრო მაღალიცა და უფრო მძლავრიც ჩანდა: ეს იყო გენერალი, თავისი გამოწაფული ქვეშევრდომების დამმოდღვრებელი და დამრიგებელი, თუმცა გამოწაფულების კი არადა, მოჯადოებულებისა და მონუსხულების. სახედაძიძობებული წვერებიანი ხოსეფინა სანჩესი, რომელიც, ვით მოთვლის, რამდენჯერ მინახავს ჩაწერის ღროს ყბაში მოქცეული საღეჭი რეზინით, ხელში საქსოვი ჩხირებით და ყოვლად განდგომილი იერით (ხშირად არც კი ესმოდა, რას ამბობდა), ახლა ველარც კი ვიცანი, ისე დადინჯებული იჭდა, ვითარცა ლოცვანს, ისე ჩასციცინებდა სცენარის ფურცლებს და, თუ თავს ასწევდა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, კრძალვით, მორჩილად და თრთოლვით შეეხედა ბოლივიელისთვის, თითქოსდა საკურთხევლის წინ მდგარი გოგო იყო და პირველად უნდა მიეღო ზიარება. იგივე იყო ლუსიანო პანდოსა და სამი სხვა მსახიობის — ორი ქალისა და ერთი სულ პირტიტველა ბიჭის თავს. ერთმანეთს არც უყურებდნენ და არც ელაპარაკებოდნენ, მათი თვალები სცენარის გარდა მხოლოდ პედრო კამაჩოს მიჩერებოდნენ. კოლუნა ოჩოაც კი, ხმის ტექნიკოსი — მინის კედლის მიღმა ასევე დინჯად ამოწმებდა აპარატურას, თითს აჭერდა ლილაკებს, რთავდა სინათლეს და შეჭმუხნილი თვალს არ აცილებდა, რაც სტუდიაში ხდებოდა.

ხუთივე მსახიობი ნახევარწრედ იდგა პედრო კამაჩოს გვერდით, რომელსაც შავი კოსტიუმში ეცვა, ბაფთა-პალსტუხი ეკეთა, თმა ფაფარივით გაშლოდა და მომავალი ჩანაწერის თაობაზე მითითებებს იძლეოდა. ეს არ იყო მითითება, ამ სიტყვის პროზაული გაგებით. ეს გახლდათ დარიგება და დამოდღვრა, როგორ წაეკითხა თვითეულს თავისი როლი: თავშეკაცებათა თუ გრძნობით, ნელა თუ სწრაფად. როგორც ყოველთვის, პედრო კამაჩო ოლიმპიური ქედმაღლობით ხელოვნების ესთეტიკურ წვრილმანებსა და ფილოსოფიის სიღრმეებზე მსჯელობდა. ბუნებრივია, რომ ამ შთაგონებულ მონოლოგში ყველაზე ხშირად „ხელოვნება“ და „ესთეტიკა“ გაისმოდა, თითქოსდა ეს სიტყვები ჯადოსნური გასაღები ყოფილიყო, ყველაფერს რომ გახსნიდა და ყველაფერს ახსნიდა. მაგრამ ენამზეობაზე მეტად კაცს თვით მქადაგებლის ღრმა რწმენა და მისი სიტყვებით გამოწვეული შთაბეჭდილება გააოცებდა. კამაჩო ხელებს იქნევდა, ცერებზე დგებოდა, ხმა იმ ფანატიკოსივით უქდერდა, მხოლოდ მისთვის მისაწვდომ ჭეშმარიტებას რომ შეეპყრო მთელი არსებით, მოწოდებული იყო სხვათათვისაც შთაენერგა იგი და კიდევაც მიეღწია საწადელისთვის: ხუთივე მსახიობი მონუსხული, სულშეძრული და თვალებგაფართოებული უსმენდა კი არადა, თითქოს ისრუტავდა ამ დამოდღვრებებს, რაიც მათი სამუშაოს (ანუ „მი-

სიის“, ბოლივიელი მოკალმის თქმით) შეეხებოდა. ძალზე დამწყდა გული, ხულია დეიდა რომ არ იყო აქ. ალბათ არც დამიჯერებდა, რაზომ შეცვალა და სულიერად აამაღლა მწერლის რაღაც ნახევარსაათიანმა მგზნებარე ქადაგებებმა ქალაქ ლიმის ყველაზე გაუბედურებული პროფესიის ერთი მუქა წარმოდგენლები.

ერეკენული

მე და დიდი პაბლიტო ჩახუტებულნი ვისხედით კუთხეში კაბაზე. ჩვენ წინ რაღაც უცნაური გაუგებარი საგნებით გარშემორტყმული „რადიო ვიქტორიის“ გამოქცეული თანამშრომელი — პედრო კამაჩოს უახლესი შენაძენი იდგა. რეჟისორის დასადგმას ისიც მისტიურად მოენუსხა. მთელი ჩემი გულისყური სწორედ მან მიიჯაჭვა, როცა წარმოდგენის მომდევნო თავის ჩაწერა დაიწყო.

ამ ჯირკუტანა კაცს, რომელსაც ჯაგარა თმა ბუძვად ადგა და სახე სპილენძისფერი ჰქონდა, მათხოვარივით დაძონძილი კომბინეზონი, დაკერებული ხალათი და უზონრებო ვეებერთელა წაღები ეცვა (მერე შევიტყვე, თურმე მეტსახელად რატომღაც ბატანი ერქვა და ყველა ამ სახელით იცნობდა). მისი სამუშაო იარაღები სქელი ფიცარი, ანჯამებიდან ჩამოხსნილი კარი, წყლით სავსე სარეცხი მანქანა, ვერცხლისფერი ქალაქის გორგალი, ვენტილატორი თუ მსგავსი საოჯახო საგნები იყო. ბატანი მისდათავად თურმე მთელ წარმოდგენას უდრიდა. მუცელმოგვობისა თუ აკრობატული ხრიკების წყალობით იგი ათასნაირ გმირს წარმოადგენდა, ანსახიერებდა ყველაფერს, რაც კი ადამიანის წარმოდგენისთვის მისაწვდომი იყო. რეჟისორის ნიშანზე — თითი მრავლისმეტყველად გაქანდებოდა პაერში, ოხვრა-ხვნეშით, ვახ-ვახითა თუ სიტყვებით დატენილი — ფიცარზე შემდგარი ბატანი გმირის ხან მიმავალ, ხან მომავალ ზუსტად გაანგარიშებულ ფენის ხმას გამოსცემდა. მეორე ნიშანზე — ვენტილატორს ვერცხლისფერ ქალაქს მიაშვერდა და შენც ხან წვიმის შხაპუნი, ხან ქარის ზუზუნი გესმოდა. მესამე ნიშანზე — პირში სამ თითს ჩაიდებდა და სტუდიას ჩიტების რაკრაკი ავსებდა, გაზაფხულის რიერაე დილას რომ გაეღვიძებინა გმირი ქალი თავის ქალაქგარეთა სახლში. მაგრამ ყველაზე უბადლოდ და შეუდარებლად ქუჩის ხმაური გამოსდიოდა. როცა ორ გმირს ლაპარაკ-ლაპარაკით მთავარი მოედანი უნდა გადაეჭრა და კოლუნა ოჩოა მანქანების საყვირებისა და ხმაურის ჩანაწერს ჩართავდა, ქუჩის ყველა სხვა ხმას თვით ბატანი გამოსცემდა ენის წკაპუნით, ყიპყიპითა თუ სტვენით (გეგონებოდა, ყველაფერ ამას ერთდროულად სჩადისო). საკმარისი იყო თვალი დაგეხუჭა, რომ „რადიო სენტრალის“ პატარა სტუდიას ავსებდა გამვლელთა ხმები, ცალკეული სიტყვები, ხუმრობა თუ შეძახილები — რაც ჩვეულებრივ კაცის ყურს სწვდება ხოლმე ხალხით მოზიმშიმე ქუჩებში უმიზნოდ ხეტილისას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ასობით სხვადასხვა ადამიანის ხმის მიბაძვისას ბატანი ხან ფიცარზე დააბიჯებდა თუ დაბტოდა, და შენც გესმოდა გამვლელთა ფენის ფლარტუნი, მოულოდნელი შეჯახებანი ქუჩის ორომტრიალში, ხან ხელებზე „დადიოდა“ (რომლებზეც წაღები წამოეცვა), ხან მაიმუნივით ხელები მოყრილი ჩაცუცქდებოდა. ამას გარდა სულ ადვილად ქმნიდა ხმების მთელ გამას, რომელიმე ლიმელ ბანოვანის მიერ თავის დიდებულ ვილაში ნაცნობ ქალებისთვის გამართული ჩაის სმაზე რომ გაიგონებდი (თქმა რად უნდა, რომ ჩაის ჭურჭელი ჩინური ფაიფურისა იყო). ამ დროს ხან რკინებს აჩხაკუნებდა, ხან შუშას ფხაჭნიდა, ხოლო გაცვეთილ ხალიჩაზე სკამების სრიალისა და ფეხისხმის გამოსაცემად უკანალზე პატარა ფიცრებს იხახუნებდა. ღმუილით, ყეფით, ღრუტუ-



ნითა თუ კნავილით ბარანკოს ზოოლოგიური ბალი ბატანმა ფონეტიკურად კიდევ უფრო მრავალფეროვნად წარმოადგინა. ჩაწერის დამთავრების შემდეგ იგი ოლიმპიელი მართონელივით სულს ძლივს ითქვამდა და, თვალმწიკვინულს, დოდის ცხენივით ოფლის ღვარი სდიოდა.

ყველა თანამშრომელს პედრო კამაჩოს დარად საზეიმო ექვემდებარებოდა ჩაწერაც ამის წყალობით ადრინდელისგან დიდად განსხვავდებოდა მისი ცხოვრებით. მსაკომპანიის რადიონოველები მუდამ ფრიად მზიარულ გარემოში იწერებოდა. მსახიობები თავიანთი როლების წაკითხვისას ერთმანეთს აპამბულებდნენ, ხელებს უხამსად აჭნევდნენ და საკუთარ თავთან ერთად იმასაც ამასხარავედნენ, რასაც მიკროფონში კითხულობდნენ. ახლა კი ასე მეგონა, რომელიმეს რომ გაებედა ამხანაგის საცინრად აგდება, დანარჩენები იქვე მიწასთან გაასწორებდნენ მისთანა მკრეხელობისათვის. ერთი პირობა გავიფიქრე, იმის შიშით, ადგილი არ დავკარგოთო, ალბათ თავს იკატუნებენ, თორემ სულის სფეროში სულაც არ ვრძნობენ-მეთქი თავს „ხელოვნების ქურუმებად“, თავიანთი წინამძღვრისაგან განსხვავებით. თურმე რა ძალიან ვცდებოდი! უკან, ბელენის ქუჩაზე რომ გამოვბრუნდი, ხოსეფინა სანჩესი ცოტაზე გავაცილე (შემდეგი ნაწილის ჩაწერამდე შინ მიდიოდა ჩაის დასალევად) და ვკითხე, ბოლივიელი მწერალი ყოველი ჩაწერისას ასე ქადაგებს თუ დღეს გამონაკლისი იყო-მეთქი უნდა გენახათ, რა დამცინავი ზიზლით შემომხედა ხოსეფინამ, აღშფოთებისგან ჩამოგრძელებული ნიკაპიც კი აუცახცახდა:

— დღეს გუნებაზე ვერ იყო და ბევრი არც ულაპარაკნია. ზოგჯერ რომ გავიფიქრებ, მისი აზრები შთამომავლობას შეიძლება დაუკარგოს, ლამის გული გამისკდეს.

ვკითხე, გამოცდილი ქალი ბრძანდებით და პედრო კამაჩო მართლა დიდად ნიჭიერ კაცად თუ მიგაჩნიათ-მეთქი. ხოსეფინა ერთხანს დადუმდა და, შესაფერი სიტყვები რომ მონახა, ასე მითხრა:

— ამ კაცმა მსახიობობა უკეთილშობილეს საქმედ აქცია.

## VI

ზაფხულის ერთ მზით გაჩახახებულ დილას თავის კაბინეტში შეახიჩა დოქტორ დონ პედრო ბარედა-ი-სალდივარმა, როგორც ყოველთვის, რიგზე ჩაცმულმა და, როგორც ყოველთვის, წუთის დაუგვიანებლად. იგი ქალაქ ლიმის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის მოსამართლე გახლდათ (სიხსლის სამართლის საქმეების), კაცი ორმოცდაათი წლისა, სიმწიფის ასაკში შესული. არწივის ცხვირი, გამჭრიახი მზერა, ღმობიერება, შეუბღალავი ხინდისი და თავისებური თავდაჭერა ირგვლივმყოფთ მყის მოწიწებით აღავსებდა. ეცვა სადად — ვით კანონის დაბალხელფასიან, მაგრამ არა სულმდაბალ მსახურს ეკადრებოდა, ოღონდაც ისე კობტად, მოხდენილადაც კი მიიჩნევდით.

მართლმსაჯულების სახახლე ის იყო იფხიზლებდა ღამის მშვიდი ძილისგან. მის ვეებერთელა შიგანს ნელა-ნელა ავსებდა დიდ-პატარა ვეჭილთა, კარისკაცთა, მოსარჩლეთა, ნოტარიუსთა, ანდერძის აღმსრულებელთა, ბაკალავართა თუ უსაქმურთა მოუსვენრად მოფუსფუსე ბრბო.

ამ სკის შუაგულში მყოფმა დოქტორ დონ პედრო ბარედა-ი-სალდივარმა პორტუგალი გახსნა, მიმდინარე საქმეთა ორი საქადალდე გამოაძვრინა და ხა-

მუშაო დღის დასაწყებად განემზადა. რამდენიმე წამის შემდეგ უცრად და უხ-  
მპუროდ, ხამყაროს ხივრცეში გახრიალებული ასტეროიდის მსგავსად, მისი  
მდივანი დოქტორი ხელაიაც გაჩნდა კაბინეტში — ხათვალისანი კაცუნა, პაწია  
უღვრაში პირის ვალებიხთანავე რომ რიტმულად აუცმაცუნდებოდა ხოლმე.

— დილა მშვიდობისა, ჩემო სენიორ დოქტორო, — მთავალისანი კაცუნა მოსა-  
მარტლეს და წელში ორად მოიკეცა.

— თქვენთვისაც იგივე მისურვებია, ხელაია, — თავაწიანად შეშლიმა დოქ-  
ტორ დონ ბარედა-ი-სალდივარმა. — ამდღევანდელმა დილამ რა მოგვიტანა?

— უწლოვანის გაუპატიურება, წნეობრივი იძულების დამამძიმებელ გა-  
რემოებათა თანდართვით, — მდივანმა მაგიდაზე კარგა სქელი საქალაღდე და-  
უდო მოსამარტლეს. — მოკახუბე ღა ვიქტორიის რაიონის ბინადარი, ლომბრო-  
ზოს მძხედვით დაბადებით ბოროტმოქმედს რომ მიაგავს, თავის დანაშაულს  
უარყოფს. მთავარი მოწმენი დერეფანში იცდიან.

— მათ დაკითხვამდე საპოლოციო ოქმსა და მოხარტლის განცხადებას უნ-  
და გავეცნო, — შეახსენა მოსამარტლემ.

— მოწმენი მოიცდიან, ვინემ საჭირო იქნება, — მიუგო მდივანმა და  
კაბინეტიდან გავიდა.

ბოეტის ხული იმაღლებოდა მარტლმსაჭულების მსახურ დოქტორ დონ ბა-  
რედა-ი-სალდივარის გოროზე ნილაბქვეშ. თვალის გადავლება კმაროდა,  
რომ უმაღლ ჩამოეცაღა უგრძნობელ ხასამარტლო საბუთებისთვის რიტორიკული  
ჩენჩო, ყველანაირი მუხლები, ქვემუხლები თუ ლათინური გამოთქმები და წარ-  
მოსახვის ძალით ჩასწვდომოდა მომხდარი ამბის არსს. ახლაც ღა ვიქტორიას  
რაიონში მომხდარი ამბის კითხვისას ცოცხლად აღადგინა სურათი მისი ყველა  
წვრიღმანით. გონების თვალით წარმოიდგინა, გასულ ორშაბათს ჭარბად და-  
სახლებული რაიონის პოლიციის კომისარიატში როგორ შევიდა ტირიღ-ტირი-  
ღთ ცამეტოღდე წლის გოგო. „მერსედეს კაბელიო დე კარბონერის“ სკოლის  
მონაწე, სახელად სარიტა უანკა სალავერია, რომელსაც პირსახეზე და  
ხელებზე ნაღიღავები აჩნდა... გოგოს თან ახლდნენ მშობლები, მამა—დონ კასი-  
მირო უანკა პადრონი და დედა—დონია კატალინა სალავერია მეღგარი. ეს უწ-  
ლოვანი გოგო ბოროტმოქმედების მსხვერპლი გამხდარა წინაღამეს, ლუნა პისა-  
როს აგენიდაზე (სახლი № 12, „ბ“ ბინა) ვინმე გუმერსინდო ტელიოს მხრიდან,  
რომელიც იმავე სახლის („დ“ ბინის) მცხოვრები გახლდათ. დასძლია რა სირ-  
ცხვილის გრძნობა, სლუკუნ-სლუკუნით მოუყვა სარიტა წესრიგის დამცველთ.  
რომ ეს ბოროტქმედება ტრაგიკული დასასრული იყო დამნაშავის მხრიდან ხან-  
გრძლივი ფარული დევნისა. ეს უკანასკნელი აგერ უკვე რვა თვე იყო — ანუ  
მას აქეო, რაც № 12 სახლის ბინადარი გახდა (ფრიად უცნაური, შეიძლება ით-  
ქვას, ბწელი პიროვნებაც) — გასაქანს არ აძლიევდა სარიტა უანკას (ამასთან  
არც გოგოს მშობლებმა და არც მეზობლებმა არა უწყოდნენ რა ამის თაო-  
ბაზე), სულ საეჭვო ქათინაურებსა და უბამს ნართაულებს ეუბნებოდა. ნართა-  
ულებიდან გუმერსინდო ტელიო საქმეზე გადავიდა. რამდენჯერმე სცადა მოხ-  
ვეოდა და ეკოცნა გოგოსთვის № 12 სახლის ეზოსა თუ ახლომახლო ქუჩებში,  
როცა სკოლიდან ბრუნდებოდა ანდა რაიმის საყიდლად გავიდოდა. დაწარაღე-  
ბულმა ეს ამბავი მშობლებს არ გაუმხიღა, შერცხვა აღბათ და იმიტომ.

კვირის წინაღამეს, როცა მისი მშობლები „მეტროპოლიტანის“ კინოში  
წავიდნენ, არ გასულა ათი წუთი — სარიტა უანკა ამ დროს გაკვეთილებს უჭ-

და — კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. კარი რომ გააღო, გუმერსინდო ტელიო დაინახა. „რა გნებავთ?“ — ჰკითხა წრდილონიანად. დანაშავემ უადრესი თავით უთხრა, პრიმუსში ნავთი გამითავდა, დუქანში წასვლა ნავთის საუბლად გვიანაა, ამიტომ ერთი ქილა ნავთი მასესხეთ, ვაშამი რომ მოვიშვადო (ვალს მეორე დღესვე ჩაგახესხებთო, აღუთქვა). გულკეთილმა, გულუბნობილმა სარიტა სალავერიაშ ეს ტიპი შინ შემოუშვა და აჩვენა, სადაც იდგა ბიდონი, ახუ ქურახა და ვედროს შუა, რაიც დამის ჭურჭლის მაგიერობასაც სწევდა (დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარს ჩაედინა კიდევაც წესრიგის დამცველის მიერ აღნიშნულ ამ წვრილმანზე; ეს ჩანაწერი, ავტორისდა უნებლიეთ, ამხელდა ზოგიერთი უბნის ბინადართა (ამ შემთხვევაში კი უანკა სალავერიაშ ოჯახის) ჩვევას — ბუნებრივი მოთხოვნილებანი იმავე შენობაში მოესაქმებინათ, სადაც ეძინათ და სადაც ჭამდნენ).

ამ სტრატეგიის წყალობით ბინაში შედწეულმა ბრალდებულმა უმაღლ კარი დაკეტა. მერე მუხლებზე დაეცა, ხელები გულზე მიიჭდო და ლულულით გამოუტყდა სიუვარულში სარიტა უანკას, რომელიც ახლავდა მიხვდა, მის თავს რა ამბავიც იყო, და შეშინდა. გუმერსინდო ტელიო არწმუნებდა სარიტას დაწყობილად მის სურვილს ისეთი სიტყვებით, რომლებმაც გოგომ „რომანტიკული“ უწოდა. გონს მოსულმა სარიტა უანკამ ციფი უარი სტკიცა, გაათხზა და დაემუქრა გუმერსინდო ტელიოს, მეზობლებს დავუძახებო. ამის გაგონებაზე ბრალდებულმა ხვეწნა-ვედრებას თავი ანება, დანა იძრო და გოგოს მოუღერა, კრინტი თუ დაგიძრავს, უელს გამოგჭრიო. მერე წამოდგა და სარიტასკენ გაემართა ამ სიტყვებით: „გეყოფა, გეყოფა! აბა ნოდო, მოდო, ჩემო სიხარულო!“ მაგრამ როცა სარიტა მაინც არ დაშორჩილდა, მუშტები და წიხლები დაუშინა და იატაკზე წააქცია. გოგოს შიშისაგან ბნელამ მოუარა (დაზარალებულის თქმით, კბილებს ვაკრაჭუნებდიო), მოძალადემ კი ტანსაცმელი შემოახია და გაძალიანებულ გოგოს ეძგერა. რამდენიმე ხნის შემდეგ გუმერსინდო ტელიომ დატოვა ოთახი, თუმცა წასვლამდე კი ურჩია სარიტა უანკას, თუ გინდა სიბერეს მიადწიო, მომხდარ ამბავზე კრინტი არ დასძრავო (და დანაც დააქნია იმის დასტურად, არ გეგონოს, ვხუმრობდეო). კინოდან დაბრუნებულ მშობლებს ქალიშვილი უცნაურ დღეში, ატირებული დაუხვდათ. როცა ჰკითხეს, რა მოხდაო, ვერაფერი დააცდენინეს. ასე გავიდა ღამე. დილას, აღეფეებამ და ძრწოლამ ცოტათი რომ გაუარა, სარიტამ უველაფერი უამბო მშობლებს, რომლებმაც დაუყოვნებლივ მიაშურეს ლა ვიქტორიის რაიონის ხაბოლიციო კომისარიატს მომხდარი ამბის განსაცხადებლად.

მოსამართლემ წამით მოხუჭა თვალები, შეეცოდა გოგო (თუმცადა უოველ ცისმარე დღე ბოროტებასთან ჰქონდა საქმე, ვული მაინც არ გაქვავებოდა); ჩახედა თუ არა საქმეს, მისთვის ნათელი გახდა, რომ ეს გახლდათ უოველად ტიპიური, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი დანაშაული, რომელიც სიხბლის ხამართლის კოდექსის შესაფერის თავში დაწვრილებით იყო კლასიფიცირებული დამახასიათებელი და დანაშაულის დამამძიმებელი ისეთ გარემოებათა თანდართვით, როგორიც გახლდათ: წინასწარგანზრახვა, იძულება სიტყვითა თუ ქმედებით, სისასტიკე.

შემდეგ მოსდევდა იმ წესრიგის დამცველთა მიერ შედგენილი ოქმი, რომლებმაც გუმერსინდო ტელიო დააკავეს.

თავიანთ უფროს კაპიტან გ. კ. ენრიკე სოტოს ბრძანების თანახმად პო-

ლიციელები ალბერტო კუსიკანი აპესტიგი და უახი ტიტო პარინაკოჩა დაპატიმრების ორდერით ხელში მიაღწენ ლუნა პისაროს ავენიდაზე მდებარე № 12 სახლს, მაგრამ ვისაც ეძებდნენ, შინ არ დაუხვდათ. მეზობლების დახმარებით დადგინდა იქნა, რომ გუმერსინდო მექანიკოსია, მუშაობს „ინტის“ ძრავების შეკეთებისა და ავტოგენური შედუღების სახელოსნოში, რომელიც მეორე ბოლოში, თითქმის ელ პინოს მთის ძირას. პოლიციელები მუის იქითკენ გაეშურნენ. მათდა გასაკვირად სახელოსნოში თქვეს, გუმერსინდო ტელიო ეს წუთია წავიდაო, ხოლო სახელოსნოს პატრონმა, სენიორ კარლოს პრინსიპემ დახძინა, მექანიკოსმა ადრე წასვლის ნება მთხოვა მონათვლასთან დაკავშირებით. როცა პოლიციელებმა ბკითხეს მუშებს, რომელ ეკლესიაში შეიძლება ვნახოთ მექანიკოსიო, მათ უცნაური დიმილით გადახედეს ერთმანეთს, სენიორ პრინსიპემ კი აუხსნა პოლიციელებს, გუმერსინდო ტელიო კათოლიკე არაა, იგი „იაჭვეს მოწმეთა“ სექტას ეკუთვნის, ამ სექტის წევრები კი არც ეკლესიაში ნათლავენ და არც მღვდელს ანათლინებენ, ღია ცის ქვეშ ინათლებიან პირდაპირ მდინარის წყალშიო.

რაკილა ეჭვი აიღეს, რომ ეს სექტა (რაც არაერთხელ მომხდარა) სხვა არაფერია, თუ არ წარუვნილთა კავშირი, კუსიკანი აპესტიგი და ტიტო პარინაკოჩამ მოითხოვეს, იქ წაგვიყვანეთ, სადაც ბრალდებული იმყოფებაო. ბევრი უოყმანისა და მოლაპარაკების შემდეგ „ინტის“ სახელოსნოს პატრონმა თავად წაიყვანა იქ პოლიციელები, სადაც, მისი სიტყვით, გუმერსინდო ტელიო უნდა უოფილიყო: რამდენიმე დღის წინ იმ მიზნით, სახელოსნოს პატრონი და იქაური ამხანაგები თავის რჭულზე მოექცია, მექანიკოსმა იქ მიიწვია ისინი ნათლობაზე (თუმცა ამ რიტუალმა, როგორც შემოხსენებულმა სენიორ პრინსიპემ განაცხადა, იგი ვერაფერშიც ვერ დაარწმუნა).

წესრიგის დამცველნი სენიორ კარლოს პრინსიპემ თავისი მანქანით წაიყვანა მაინასის ქუჩისა და მარტინეტის ბაღის ბოლოში მდებარე ცარიელ მინდორზე, სადაც აქაური მცხოვრებნი ნაგავს სწვავდნენ და სადაც მდინარე რიმაკი პატარა უურეს ქმნიდა. „იაჭვეს მოწმენი“ მართლაც იქ დახვდნენ. თორმეტობდენ სხვადასხვა ასაკისა და სქესის პირი წელამდე შლამიან წყალში ისხდნენ, თანაც საბანაოდ კი არა, ჩვეულებრივად ჩაცმულნი. მამაკაცთაგან ზოგს პალსტუხი ეკეთა, ერთს შლაპაც კი ეხურა. სექტის წევრები აინუნშიაც არ აგდებდნენ არც დაცინვასა და კიჟინას, არც დაშენილ ნაქურჩალ-ნარჩენებსა თუ მისთანა გამოვლენებს ნაპირზე სეირის საცქერლად შეყრილ იქაურ მკვიდრთა ქეშმარიტი კრიოლური იუმორისა და ზარზეიმით ასრულებდნენ თავიანთ წესმსახურებას. წესრიგის დამცველთ თავდაპირველად ეგონათ, ამ ხალხს დაბრჩობის გზით კოლექტიური თვითმკვლელობა გადაუწყვეტიათო. აი, რა ნახეს მათ: რაღაც უცნაურ ფსალმუნთა დუდუნ-დუდუნით „იაჭვეს მოწმეთ“ ერთი პონჩოიანი ბებრეკი ხელ-ფეხით გაექაჩათ და ტალახიან წყალში აბრჩობდნენ— იქნებ ღმერთებს სწირავდნენ მსხვერპლად? როცა დამბაჩებმომარჯვებული პოლიციელები არ დაერიდნენ ფეხსაცმლებისა და საცვეთების დახვრას, ტალახში შეტოპეს და უვლას უბრძანეს, ახლავე შეეწყვიტათ ბოროტმოქმედება, პირველი ეს ბებრეკი აღშფოთდა და მოითხოვა, აქედან წაეთრიეთო, თან რაღაც უცნაური სახელები (მგონი, „რომაელები“ თუ „პაპისტები“) უწოდა. წესრიგის დამცველნი იძულებული გახდნენ მორჩილად დაეცადათ ნათლობის დამთავრებამდე, გუმერსინდო ტელიო რომ დაეპატიმრებინათ, რომლის პიროვნებაც

სენიორ პრინსიპეს მეოხებით დაადგინეს. წესმსახურება კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მისი მონაწილენი კვლავ მხეთვე ღოცვა-დუდუნით აუურყუმალავებდნენ წყალში ახალმოქცეულს, ვინც ღამის გაგუდულმა ბებრეკმა თვალები არ გადაატრიალა. ამის შემდეგ „მოწმეებმა“ საჩქაროდ გამოათრიეს ბერიკაცი ნაპირზე და ამიერიდან ახალმოქცეულების დაწევა მიუღოცეს.

მაშინ კი სტაცეს ხელი პოლიციელებმა გუმერსინდო ტელიოს. შექანიკოსი არც გაძლიანებულა, არც გაკვირვება გამოუთქვამს, არც გაქცევა უცდია. როცა ბორკილი დაადეს ხელებზე, მხოლოდ მაშინლა თქვა: „ძმებო, არასოდეს არ დაგივიწყებთ“. „იაშვეს მოწმეებმა“ მყის ხელახალი გალობა გააბეს, მზერა წეცაში აღაპურეს და თვალები გადაატრიალეს. ასე და ამგვარად გააცილეს სენიორ პრინსიპეს მანქანა, რომელმაც პოლიციელები და დამნაშავე ლა ვიქტორიის კომისარიატში მიიყვანეს, სადაც პოლიციელებმა მადლობა გადაუხადეს „ინტის“ სახელოსნოს პატრონს დახმარებისთვის და დაემშვიდობნენ.

კომისარიატში კაპიტანმა გ. კ. ენრიკე სოტომ ბკითხა ბრალდებულს, ხომ არ ისურვებს ეწოში ფეხსაცმელი და შარვალი გაიშროს, გუმერსინდო ტელიომ პასუხად ასე მიუგო, რომ უკვე მიჩვეული გახლავართ ხველი ტამსაცმლით სიარულს, რამეთუ ამ ბოლო ხანებში დიანაც იმატა ლიმაში ჭეშმარიტ სჭულზე მოქცეულთა რიცხვმაო. კაპიტანი სოტო დაუყოვნებლივ დაკითხვას შეუდგა. დაკითხვის დროს ბრალდებულმა სრული მზადყოფნა გაამუდავნა ჩვენების მიცემაზე. თავის წარმოშობაზე ასე თქვა, რომ მისი გვარი და სახელი — გუმერსინდო ტელიოა, რომ იგი აწ განხვეწებული მოკეგუალები<sup>1</sup> დონია გუმერსინდა ტელიოს ვაჟია, მამას არ იცნობს და არც იცის, ვინაა, რომ თვითონაც აღბათ მოკეგუაში დაიხადა ოცდახუთი თუ ოცდარვა წლის წინათ. ასაკი წუსტად იმითომ არ იცის, რომ დაბადებიდან სულ მალე დედამ იგი ვაჟთა თავშესაფარში მიაბარა, რომელიც ამ ქალაქში პაპისტების ხექტამ დაარსა და რომელთა ცრუ მოძღვრებასაც, საბედნიეროდ, თხუთმეტი-თვრამეტი წლის ასაკში დააღწია თავი, როცა თავშესაფრის შენობა დაიწვა. ცეცხლმა გაანადგურა მთელი არქივი, რაიც გახლავთ მიწეზი იმისა, რომ პატემარს წარმოდგენა არა აქვს თავის ნამდვილ ასაკზე. მან თქვა, რომ ეს განსაცდელი მას განგებაში მოუვლინა, ვინაიდან ხწორედ იმ დღეებში გაეცნო იგი ორ სწავლულ კაცს, ჩილიდან ლიმაში რომ ფეხით მიდიოდნენ. ამ კაცებმა აუხილეს თვალი ჭეშმარიტ მოძღვრებაზე ყველა იმათ, ვინც ადრე ამ მოძღვრებისადმი ბრმა და ურუიყო. გუმერსინდო ტელიომ დააწუსტა, რომ ლიმაში იგი ამ ბრძენკაცთ ჩამოყვავა, თუმცა მათი ვინაობას თქმაზე უარი განაცხადა, ისიც საკმარისია იცოდე, ამ ქვეყანაზე რომ არსებობენ, იარლიყების მიწებება კი მათთვის საჭირო არააო... მან დაამატა, რომ მთელ თავის დროს ამ ქალაქში შექანიკოსად მუშაობასა (ამ ხელობას იგი თავშესაფარში დაეუფლა) და ჭეშმარიტი მოძღვრების ქადაგებას ანდომებდა, ადრე თურმე ბრენიას, ვიტარტის, ბარიოს ალტოსის რაიონებში ცხოვრობდა, ლა ვიქტორიას რაიონში კი ამ რვა თვის წინ გადმოზარგდა, როცა „ინტის“ სახელოსნოში დაიწყო მუშაობა ძრავების შეკეთებასა და ავტოგენურ შედუღებაზე, ვინაიდან ეს სახელოსნო საკმაოდ შორს იყო მისი ადრინდელი საცხოვრებელიდან.

<sup>1</sup> მოკეგუა — დეპარტამენტი პერუს სამხრეთით.

ბრალდებულმა აღიარა, რომ აღნიშნული დროიდან იგი ლუნა მისაროს ავენიდაზე № 12 სახლში ცხოვრობდა მდგმურის პირობაზე. არც ეს დაუმალოვს, რომ უანკა სალავერიას ოჯახს იცნობდა; მისი თქმით, არაერთხელ ჩაუტარებია ოჯახის წევრებისთვის საგანმანათლებლო საუბარი, წაუკითხავს მათ სტულიდან აღგილები, მაგრამ ვერაფერსაც ვერ მიაღწია. ამ ხანებში მისი დარად ეს ოჯახიც რომის კათოლიკურ ეკლესიის ერესს მოეწამლა. როდესაც მისი საგულგებელი მსხვერპლი — სარიტა უანკა სალავერია დაუსახნელეს, ტელიომ თქვა, ვიცნობო, და ისიც დასძინა, სულ იმედი მქონდა როდესმე ჭეშმარიტ გზაზე მოვაქცევდი, რამეთუ ჭერ კიდევ ნორჩ ასაკში იმყოფებო. ხოლო როცა დაწვრილებით ამცნეს, რა ბრალდება ედებოდა, გუმერსინდო ტელიო გულწრფელად განცვიფრდა, უარბყო წაყენებული ბრალდება, მაგრამ ერთი წუთის მერე (ან იქნებ ბრალდებულმა იმთავითვე გაოცება გაითამაშა, რათა ამასობაში მოეფიქრებინა, თავი როგორ დაეცვა?) გადაიხარხარა და თქვა, ეს განსაცდელი აღბათ ღმერთმა მოუფლინა იმის გასარკვევად, რა ზომ მტკიცება მისი რწმენა და მზად თუა თავის გასაწირად. მან დაუმატა, რომ ახლა მისთვის ნათელია, რატომ არ გაიწვიეს ქარში. როგორც გაირკვა, იგი თურმე მოუთმენლად ელოდა ამ გაწვევას, რათა მაგალითი მიეცა და დასტურეყო — სამხედრო ტანსაცმლის ჩაცმასა და დროშისთვის ფიცის მიცემაზე — ტარტაროზის ამ ატრიბუტებზე — უარის განცხადებით, როდენ მტკიცე და ურყევია მისი რწმენა. კაპიტანმა გ. კ. ენრიკე სოტომ პკითხა გუმერსინდო ტელიოს, პერუს რესპუბლიკის წინააღმდეგ როდესმე თუ გაულაშქრია, რაზედაც ბრალდებულმა მიუგო, არამც და არამც, მე გულისხმად მხოლოდ რელიგიური საქმენი მაქვსო. ამის შემდეგ გუმერსინდო ტელიომ ფრიად გატაცებით აუხსნა კაპიტან სოტოსა და პოლიციელებს ის ჭეშმარიტება, რომ ქრისტე არაა ღმერთი, რომ იგი მხოლოდ უფალი ღმერთის მოწმე გახლდათ, ხოლო რომის პაპის მიმდევართა მიერ გავრცელებული ხმა ქრისტეს ჭვარზე ცმისა არს სიცრუე, რამეთუ ის მხოლოდ ხეზე იყო მიკრული, რასაც ბიბლია მოწმობს. ამასთან დაკავშირებით ბრალდებულმა ურჩია მათ წაეკითხა გამოცემა — „ახილე თვალნი შენი!“ რაიც ორი სოლი ღირს და ყოველ ორ კვირაში გამოდის. იგი დაეხმარება მათ თავი დააღწიონ ეჭვებს როგორც რწმენისა და განათლების, ისევე სხვა საკითხებში და თან ფრიად სარგოდ გაატარონ დრო. კაპიტანმა სოტომ ხმა ჩააკმენდინა ბრალდებულს, მიუთითა რა, პოლიციის კომისარიატის კედლებში აკრძალულია კომერციული რეკლამაო. შემდეგ მოსთხოვა ტელიოს ეთქვა, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა გუშინდამ, როცა სარიტა უანკა სალავერიას მტკიცებით ტელიო ჩემთან იყო და მცემაო. გუმერსინდო ტელიომ დაადასტურა, რომ როგორც გუშინ, ასევე წინა დამეებში იგი თავის ოთახში მარტო იმყოფებოდა და ფიქრს მისცემოდა უფლის ხორც-ხორცთაგანზე, აგრეთვე იმაზეც, რომ არ არის მართალი, თითქოსდა განკითხვის დღეს უველა ადამიანი მკვდრეთით აღსდგება — ბევრი ვერც ვერასოდეს აღსდგება მკვდრეთით, ეს კი სულის მოკვდაობას ამტკიცებს. როცა ისევ მოუხმეს წესრიგისაკენ, ბრალდებულმა ბოდიში მოიხადა და განაცხადა, არ შემიძლია თავი შევიკავო და სინათლის თუნდა პატარა სხივი არ მოვფინო ირგვლივმყოფთა სულებს, რამეთუ სასოწარკვეთილებას მგვრის იმის შეგრძნება, რა ზომ დაუფლებია ხალხს უმეცრება. შემდეგ მან განაცხადა, რომ არ ახსოვს, გუშინ თუ იმის წინაღამეს ნახა სარიტა უანკა სალავერია და ითხოვა ოქმში შეეტანათ ის ამბავიც. ამ ცი-

ლისწამების მიუხედავად ნაწყენი კი არადა, სულაც მადლობელია ამ გოგოსი, ვინაიდან ეჭვი აქვს, რომ მისი მეოხებით უფალი სცდის, რაოდენ ძლიერ არს მისი რწმენა. რა დარწმუნდა, რომ გუმერსინდო ტელიოსგან სხვა ჩვენებას ვერ მიიღებდა წაყენებული ბრალდების თაობაზე, კაპიტანმა გ. კ. ენრიკე სოტომ შეწყვიტა დაკითხვა და ბრალდებული მართლმსაჯულების სახანლის ცხნუში გადააგზავნა, რათა პირველი ინსტანციის მოსამართლეს საქმისთვის კანონიერი მსვლელობა მიეცა.

დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარმა საქალაქდუ დახურა და იმ გამაყრუებელ გუგუნსა და დგანდგარში, დილაობით რომ იდგა ხოლმე სასამართლოს შენობაში, ფიქრებს მიეცა. „იაპვეს მოწმენი“? მოსამართლე კარგად იცნობდა მათ. ამ რამდენიმე წლის წინათ მის სახლის კარზე ერთმა ტიპმა დააკაკუნა, ველოსიპედით მობრძანებულმა, და პატარა ჟურნალი „ახილე თვალი შენი!“ შესთავაზა, რომელიც, სულს ცოდვილო და, მოსამართლემ იყიდა. მას აქეთ ციური მნათობის სიზუსტით „იაპვეს მოწმე“ დღისა თუ ღამის სხვადასხვა დროსა და უამს სულის განსანათლებლად მოსამართლეს სხვადასხვა ზომისა და შინაარსის ბროშურებს, წიგნებსა თუ ჟურნალებს აჩერებდა, ვინემ ბოლოს და ბოლოს მოსამართლეს იმედი არ გადაეწურა თავისი ოჯახური კერიის ცივილიზებული საშუალებით ანუ დარწმუნების გზით დაცვისა და პოლიციას დახმარება არ სთხოვა. მაშასადამე, მოძალადე ერთ ამ მგზნებარედ მორწმუნე მქადაგებელთაგანი ყოფილა. დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარის აზრით, ეს ამბავი საქმეს ფრიად ცნობისმოყვარე ელფერს აძლევდა.

ჭერაც დილა იყო, როცა მოსამართლემ, უგულისყუროდ რომ ხელისგულს ასრიალებდა ქალაქდის საჭრელ ტიაუანაკოურ ტარიან ფოლადის გრძელ დაწაზე, რაიც უფროსების, კოლეგებისა და ხელქვეითების მისადმი პატივისცემის დასტური გახლდათ (იგი მოსამართლეს იურიდიული საქმიანობის „ვერცხლის იუბილეზე“ მიართვეს საჩუქრად), მდივანი გამოიძახა და უბრძანა, მოწმეები შემოიყვანეთ.

პირველად პოლიციელები კუსიკანკი აპესტეგი და ტიტო პარინაკოჩა შემოვიდნენ, რომლებმაც მოკრძალებით დაუდასტურეს, რა ვითარებაშიაც დაიჭირეს გუმერსინდო ტელიო, და ისიც განაცხადეს, ეს უკანასკნელი, მართალია, წაყენებულ ბრალდებას უარყოფს, სხვა მხრივ საკმაოდ თვინიერად იქცევა, თუმცა რელიგიურმა ამბებმა, ეტყობა, ისე აარეკინა, საკმაოდ აბეზარა გახლავთო. პოლიციელების ჩვენებას დოქტორ სელაია იწერდა, რომელსაც ცხვირზე სათვალე უხტოდა.

შემდეგ უწლოვანის მშობლები შემოვიდნენ; ამ მიხრწნილი ცოლ-ქმრის ხილვამ სახტად დატოვა მოსამართლე: ნეტა ამ მოხუცებმა ცამეტი წლის წინათ შვილი როგორ გააჩინეს? უკბილო, თვალეზღაწირპლულმა დონ კასიმირო უანკამ მაშინვე დაადასტურა ოქმის ის ნაწილი, მას რომ ეხებოდა, და უმალ ის იკითხა, შეიძლება თუ არა სარიტა სენიორ ტელიოს ცოლად გაჰყვესო? სენიორა სალავერია დე უანკა, დამდნარი, გამჭლეული, ნაოჭებით დაღარული ქალი მოსამართლეს მიეახლა, ხელზე ეამბორა და შეემუდარა, ნუ დაგვლუპავთ, აიძულეთ სენიორ ტელიო სარიტაზე ჭვარი დაიწეროსო. რის ვაივაგლახით გააგებინა

<sup>1</sup> ტიაუანაკო — სოფელი, სადაც შემორჩენილია ძველთაძველი, წინაინკური ცივილიზაციის ნანგრევები (1000-1200 ჩვ. წ. აღ.).

მოხუცებს დოქტორმა დონ ბარედა-ი-სალდივარმა, რომ მასზე დაკისრებულ მრავალრიცხოვან საპატრიო მოვალეობათა შორის მაჭანკლობა არ ირიცხება; უველა ნიშნით აშკარა იყო, რომ მოძალადის დახტაზე უფრო ცოლ-ქმარს ქალიშვილის გათხოვება ეწადა, ვინაიდან ძალადობაზე მხოლოდ ქვეყნის დაპარაკობდნენ, ისიც მაშინ, როცა აიძულებდნენ. სამაგიეროდ, სულ სარიტას ქებაში იყვნენ, თითქოსდა გასაყიდი საქონელი ყოფილიყო.

მოსამართლეს გუნებაში ჩაელიმა, იფიქრა, ესენი უთუოდ ღარიბი გლეხები არიან — ანდების კორდილიერიდან ჩამოსულნი, სადაც კარგა ბლომა წლების მანძილზე მიწის ნაგლეჯს ამუშავებდნენო. ამ მოხუცების შემხედვარემ თავი იმ გულქვა, შეუბრალებელ მამად იგრძნო, დაქორწინებაზე რომ არა და არ თანხმდება. სცადა კიდევაც ჩაეგონებინა: აბა რად გინდათ ისეთ კაცს გაატანოთ შვილი, რომელმაც უმწეო გოგოზე ძალა იხმარაო. მაგრამ ცოლ-ქმარი მაინც თავისას გაიძახოდა, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ: ჩვენი სარიტა ხამაგალითო ცოლი იქნება, ჯერ ხომ ბავშვია, მაგრამ საჭმლის კეთებაც იცის, კერვაც და სხვა უველაფერიც, ჩვენ კი უკვე ბებრები ვართ, არ გვინდა გოგო უბატრონოდ დაგვრჩეს. ხოლო სენიორ ტელიო ჭკუადამჭდარი კაცია, ხელოსანი, შერე რა, რომ გუშინდამ სარიტა შეაცდინა. მთვრალი იგი არავის უნახავს, უველას ზრდილად ექცევა, სამუშაოდ დილაადრიან მიდის იარაღების ჩემოდნითა და გაზეთების დასტით ხელში, კარდაკარ რომ უნდა ჩამოარიგოს, ამისთანა თავდაუზოგავი მშრომელი ბიჭი განა სარიტასთვის ურიგო ქმარი იქნება? მოხუცები ხელებგაწვდილი ემუდარებოდნენ მოსამართლეს: „შეგვიბრალებთ! გვიშველეთ რაზე, ბატონო მოსამართლევ!“

დოქტორ ბარედა-ი-სალდივარს ლეგა ღრუბლის ღარად გაუსრიალდა თავში ეჭვი და წვიმასავით ანაწდად მოხკდა შიშოთეზად: მანზე ხომ არაა, ცოლ-ქმარმა ხომ არ მოიგონა ეს უველაფერი თავიანთი ნაბოლარა შვილის გასათხოვებლად? თუმცა სამედვიციინო ოქმი დაუნდობლად იუწყებოდა, ვოგონა რომ გაუპატიურებული იყო. რის გაჭირვებით გაისტუმრა მოსამართლემ მოწმეები და დაწარალებული გამოიძახა.

მზის სხივივით შემოაშუქა სარიტა უანკა სალავერიამ პირველი ინსტანციის მოსამართლის მოწამულ კაბინეტში. რა არ ენახა თავის ცხოვრებაში მოსამართლეს, რა ჯურისა და ჯიშის ადამიანს არ გაეგლო მის წინ, და მაინც გუნებაში გაურბინა, რომ მისი თვალები ახლა ფრიად თავისებურ არხებას ჭვრეტდნენ. იყო თუ არა სარიტა უანკა სალავერია პატარა გოგო? რა თქმა უნდა, იყო, თუკი მის ასაკს და მის გამხდარ, ზა და ზა, წამოჩიტულ ტანს, ორ კიკინას და მოწაფის ჩაცმულობას შეხედავდი. მაგრამ მისი კატახავით მოქნილი მიმობვრა, ისიც, თუ როგორ დადგა ოდნავ გაჩახული, თქო წინ წამოაგდო, მხრები უკან გადაწნიქა, გამომწვევად შემოირტყა დონიჯი — მეტადრე კი მისი მინაბული თვალების მწერა, თავვივით წვრილი კბილებით ტურის კვნეტა — ეს უველაფერი თითქოს სარიტა უანკა სალავერიას ცხოვრების ფრიად დიდ გამოცდილებაზე, ასე გასინჯეთ, ადამუამინდელ სიბრძნეზეც მეტუველებდა.

დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარს საგანგებო ფაქიში მიდგომა სჩვეოდა ხოლმე უწლოვანთა დაკითხვისას. იცოდა, როგორ მოეხვეჭა მათი ნდობა, როგორ შეემზადებინა ჩვენებებისთვის, ისე რომ, ტკივილი არ მიეუენებებინა ნორჩი მგრძნობიარე გულისთვის და მერე მოთმინებითა და ღმობიერი ქცევით ეთქმევინებინა უველაფერი, თუნდაც უველაზე სათაკილო და ხამარცხვინო.



მაგრამ იმჭერად გამოცდილება ვერ დაეშარა მოსამართლეს. ვერც მთავრობის მოიარებით ეკითხა უწლოვანისთვის, მართალია თუ არა, გუმერსინდო ტელიო დიდი ხანია გახაქანს არ გაძლევს ურცხვი წინადადებებით, რომ ხარტა უანკამ მაშინვე მოხსნა გუდა: დიახ, დიახ, მას აქეთ, რაც და ვიქტორიაში გად- მოსახლდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო და სადაც არ უნდა ენახა ლურმე. ელოდებოდა ავტობუსის გაჩერებაზე, შინ აცილებდა, ეუბნებოდა: თაფლი ხარ და პირი უნდა ჩამიტკბარუნო, დამტანჯა შენმა სიყვარულმაო! — თუ სხვა და სხვა.

მაგრამ თუ მოსამართლეს სირცხვილის აღმურმა აუწვა ღოყები, ხოლო დოქტორ სელაიამ მანქანაზე ბეჭდვაც კი შეწყვიტა, მიწეში ამისა პატარა გოგონის სწორედ რომ უკადრისი ეს გამოთქმები კი არადა, ის მიმოხვრა და მოძრაობანი იყო, როგორც ასურათბატებდა იგი იმ კაცის მოქმედებას, ვისი მსხვერპლიც შეიქნა. მექანიკოსი მუდამ ცდილობდა აი, აქ წაპოტინებოდა — და ორი პატარა ხელი ოდნავ აკოკრილ მკერდს ებებოდა ნაწი ალერსით. კიდევ აი, აქ: ძირს დაშვებული ხელები ანლა მუხლებს უთათუნებდა; მერე წევით და ზევით აიწიეს, ქვედაკაბა აიტაცეს და თეძოებს მისწვდნენ. თვალების ხამხამით, ხველება-ხველებით და მამაშვილური გრძნობით აუწყა დოქტორ ღონ ბარედა-ი-ხალდივარმა გოგონს — მოსამართლემ და მდივანმა ერთმანეთს სწრაფად შეაფლეს თვალი — რომ ასეთი წვრილმანები არაა საჭირო. „და აქაც მჩქმეტ- და“, — გააწყვეტინა სარტამ მოსამართლეს, შეტრიალდა და დუნდულა მიუბ- ზიკა, რომელიც მოსამართლის თვალში გადიდდა, გადიდდა და მერის ბუშ- ტივით გამოიბერა. ანაზდად რაღაც გრძნობამ უკარნახა მოსამართლეს, რომ მისი კაბინეტი ყოველ წუთს შეიძლება სატრიპტიზო სცენად იქცეს. ამიტომ თავს ძალა დაატანა და უწლოვანს დინჯად სთხოვა, მთავარზე ილაპარაკეო, აუბ- სნა, არაა აუცილებელი ცალკეულ წვრილმანებზე შეჩერდე, მიუხედავად მომ- ხდარი ამბის ობიექტურად მოყოლის საჭიროებისაო, და კიდევაც ნება მისცა არ მოეთხრო ის ამბები (აქ დოქტორ ღონ ბარედა-ი-ხალდივარს სიტყვა უელში გაეხირა და და ცოტა არ იყოს თავი უხერხულად იგრძნო), რაიც კდემამოსილე- ბას შეუბლაღავდა, მას უნდოდა დაკითხვა შეძლებისდაგვარად მოკლე ყოფი- ლიყო, წესიერების საზღვრებს არ გასცილებოდა: ეგონა, გოგონს რომ ძალის ხმარების ამბავზე გადავა, დაირცხვენს, — ან კი რა გასაკვირი იყო — ბევრს აღარ ილაპარაკებს, გულს ჩაიხურავს და თავშეკავებული გახდებაო.

მაგრამ მოსამართლის თხოვნის გაგონებაზე სარტა უანკა მოჩხუბარ მამ- ლაყინწასავით კვლავ წამოიფაფრა, გაფიცბდა და ისეთი გატაცებით დაიწყო მოყოლა, ისე ვნებიანი მოძრაობებით წარმოუდგინა მთელი სურათი, დოქტორ ღონ ბარედა-ი-ხალდივარს ხუნთქვა შეეკრა, დოქტორ სელაიას კი სისხლი და ხორცი აემღვრა. მექანიკოსმა აი, ასე დაუკაკუნა კარზე, სარტამაც გაულო, მან აი, ასე შეხედა სარტას; სარტამ რომ ესა და ეს უთხრა, მექანიკოსმა ასე დაუჩოქა, მკერდზე ასე იტაცა ხელები, მერე სიყვარული ასე და ასე აუხსნა და ასე და ასე დაუწყო ფიცხილი. დაბნეული მოსამართლე და მდივანი მონუს- ხულები შეშურებდნენ, ეს დაქალებული პატარა გოგონს ჩიტვიით როგორ ფრი- ნავდა, ბაღერიანასავით ცერებზე დგებოდა, ხან ორად იკეცებოდა, ხან იმართე- ბოდა, იღიმებოდა, ხმას იცვლიდა თავის თავისა თუ გუმერსინდო ტელიოს გან- ხაზიერებისას, ვინემ ბოლოს მუხლებზე არ დაეცა და (გუმერსინდოს მავივ- რად) თავის თავს სიყვარულში არ გამოუტყდა.

დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარი ხელი ასწია და წაიბუბუნა: „კმარა“ მაგრამ დაზარალებული კვლავაც აღვზნებით განაგრძობდა მოყოლას, შექანი-კოსი როგორ დაემუქრა დანით, როგორ ეძგერა, იატაკზე გააგორა, მერე თვითონაც ასე დაეცა... მაგრამ იმავე წუთს მოსამართლე — გაფრთხილებული, აღშფოთებული, ბიბლიური წინასწარმეტყველის დიდებულებით აღვსილი — ზეწამოიჭრა და იღრიალა: „კმარა! გეყოფა, მორჩი!“ თავის სიცოცხლეში მოსამართლემ პირველად ახლა აღიშალა ხმა.

თავის მონაყოლის დასახურათხატებლად იატაკზე გაშხლართული ხარიტა უანკა შეშინებული შემყურებდა მოსამართლის ზეაწეულ საჩვენებელ თითს, რომელიც თითქოს გოგოს ხადაცაა შუაზე გაშკვთდა.

— მე უკვე ყველაფერი ვიცი, — გაიმეორა მოსამართლემ უკვე მომხალი ხმით, — ადექი, კაბა გაისწორე და მშობლებთან გადი.

დაზარალებული წამოდგა. მორჩილად დააქიცინა თავი — ურცხვობა და გარყვნილება ხელდახელ ჩამოერეცხა — ახლა ისევ პატარა გოგო იყო, აშკარად დაბნეულიც კი. მერე მოსამართლეს მოწიწებით დაუკრა თავი, კარისკენ დაინია და გავიდა. მოსამართლე მიტრიალდა და დინჯად, დაცინვის ნატამალის გარეშე, სთხოვა დოქტორ სელაიას მანქანაზე კაკუნი შეეწუვიტა: ნუთუ ვერ ხედავს, ფურცელი რომ დიდი ხანია ძირს გდია და ცარიელ ლილვაკზელა აკაკუნებს? ბროწეულის ყვავილივით გაწითლებულმა მდივანმა წაიბუბუნა, მომხდარმა ამბავმა დამაბნიაო. მოსამართლეს გაეღიმა.

— ჩვენ საოცრების მოწმენი გავხდით — ფილოსოფიურად აღნიშნა მან. — ამ გოგოში ქაჯ-ეშმაკი ჩაბუდებულა. მაგრამ საშინელება ის არის, ეტყობა, თავადაც არ იცის.

— „ლოლიტებს“<sup>1</sup> ამისთანებს ეძახიან ამერიკელები, ბატონო მოსამართლე? — გონების არის გასაფართოებლად ბკითხა მდივანმა.

— წმინდაწულის „ლოლიტა“, — კვერი დაუკრა მოსამართლემ და იხტიბარი რომ არ გაეტეხა, ამ თავისი საქმის დიდობტატმა, ყველაზე უიშედო ვითარებაშიაც იმედიანი დასკვნის გამოტანას რომ ახერხებდა, ესეც დაამატა: — ყოველ შემთხვევაში, უნდა გვიხაროდეს, რომ ჩრდილოამერიკელ კოლოსს ამ მხრივ მაინც არ რჩება მონოპოლია. ეს ველური გოგო რომელ ლოლიტა-გრინგოს არ წაართმევს მამაკაცს.

— ალბათ ისე გააცოფა და გადარია, თავს ველარ სძლია იმ ხელოსანმა, — ხმაშალდა გამოთქვა ფიქრი მდივანმა. — მაგის მსმენელსა და მნახველს დაფიცება შეგიძლია, რომ გოგომ იქით ახადა პატივი უმაწვილს.

— შეწუვიტით, გაქრძალავთ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე აწრის გამოთქმას, — შეაწუვიტინა მოსამართლემ და მდივანსაც ფერი ეცვალა. — არა ეჭვი და ვარაუდი არ გავიგონო. ახლა კი გუმერსინდო ტელიო შემომიყვანეთ.

როდესაც ათი წუთის შემდეგ ორმა მცველმა ბრალდებული შემოიყვანა, დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარი თვალის ერთი დაკვრით მიხვდა, მდივანი რომ მართალი არ იყო. უფრო მეტიც: ამას არ ეთქმოდა დაბადებით ბოროტ-მოქმედი ლომბროზოს მიხედვით, აქ საქმე, ასე ვთქვათ, უფრო რთულ ამბავს — რწმენით შეპყრობილს, შლეგ მორწმუნეს შეეხებოდა. მოგონებებმა ანაზღად

<sup>1</sup> ამერიკელი მწერლის ვ. ნაბოკოვის იმავე სახელწოდების ნატურალისტური რომანია გმირი ქალი.

კეფაზე თმა აუბურძვლა მოსამართლეს, რა წამსაც გუმერსინდო ტელიოს შეხედა და მისი მწერა — ველოსიპედისანი კაცის მწერა დაინახა, პატარა ურნალი „ახილე თვალნი შენი“ რომ დაჰქონდა და მოსამართლე ღამის სახიფათო კვეთამდე მიიყვანა. ეს იყო ფანატოკურად ჭიუტი, ყოფლის მცოდნე კაცის თვალები, ვის სულსაც არა ეჭვი არ ღრღნიდა და ვისაც უველა თავისი პრობლემა გადაეჭრა. მექანიკოსი უმაწვილი კაცი გამოდგა, ალბათ ოცდაათისაც არა, დაბახუნებული, ძვალ-ტყავად ქცეული, რაიც მოწმობდა, თუ რაოდენ არად აგდებდა იგი ჭამასა-სმასა თუ სხვა მიწიურ სიამეთ. თმა მოკლედ შეკრეჭილი, ღამის გადახოტრილი ჰქონდა; შავგვრემანი იყო, ტანით მაღალი კი არადა, დაბალიც. ეცვა ღია ნაცრისფერი კოსტიუმი — დენდო, ვერ იტყოდო, მაგრამ არც მათხოვარს ჰგავდა — ნათლობის დროს წყალში ხშირ-ხშირი უურყუმელაობით დაჭმუჭნილი თეთრი ხალათი და ბალთებიანი ფეხსაცმელი. მოსამართლე ჩინებულად ერკვეოდა. ფიზიოგნომიკის საკითხებში. მისთვის ერთი შეხედვით ნათელი გახდა: გუმერსინდო ტელიო მოკრძალებული, დინჯი, იდეის ერთგული თანამიმდევარი, ხულით მედგარი უმაწვილი იყო. ზღურბლზე გადმობიჭებისას მუის დიდი თავაწით მიესალმა მოსამართლესა და მის მდივანს.

დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარმა მცველებს უბრძანა ბრალდებულისთვის ბორკილები აეხსნათ და გასულიყვნენ. ეს წესი თავიდანვე შეიმუშავა. მოურჯულებულ ბოროტმოქმედებსაც კი პირისპირ, მცველების გარეშე, ართმევდა ჩვენებას, მამაშვილურად ებაახებოდა და ბრალდებულებიც ამ „tête-à-tête“-ს წყალობით, როგორც ცოდვილნი ხულიერ მამას, არაფერს უმაღლავდნენ. მოსამართლეს არც არახოდეს უნანია ეს თავისი წესი. ტელიომ მაჩები დაიწილა და ნდობისთვის მადლობა მოახსენა მოსამართლეს. მერე, მისივე მითითებით, სკამის ძვიდღეზე ისე გაშეშებული ჩამოქდა, თითქოს საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრიც კი ზიზღს ჰგვრიდა. მოსამართლეს თვალწინ დაუდგა ამ „იაშვეს მოწმის“ ცხოვრება: დილას ალბათ საწოლიდან გამოუძინებელი დგება, სუფრიდან მშიერი, კინოთეატრს კი (თუ ოდესმე იქ ფეხი შეუცდა) სენსის დამთავრებამდე ტოვებს.

დოქტორ დონ ბარედა-ი-სალდივარი შეეცადა გონების თვალთ წარმოედგინა ის ვნების ცეცხლი, რაც ლავიქტორიელმა ჭინკამ ამ კაცს წაუკიდა, მაგრამ მუისვე შეწყვიტა გონებრივი ცდები, რაიც დაცვის უფლებებისთვის შესაძლოა საწიანო გამომდგარიყო.

— ჩვენ არ ვემსახურებით არც მთავრობას, — დაიწყო გუმერსინდო ტელიომ, — არც ჭარს, არც სხვა ოფიციალურ დაწესებულებათ — ტარტაროზის ამ გერებს — არც ფიცს არ ვდებთ არც ერთი დროშის — ამ ნაირფერ მჩვრების წინაშე, არ ვიცვამთ მუნდირს, არ გვიტაცებს ოქროს ჭინჭილები თუ სხვა ზიზღიპიბილები. არ გვწამს არც შემხაპუნებანი, არც სისხლის გადასხმა, რამეთუ რაც უფალ ღმერთს შეუქმნია, იმას მეცნიერება ვერ შეცვლის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ჩვენს ვალს არ ვიხდიდეთ. მკითხეთ, რაც ვნებავთ, ბატონო მოსამართლე, და მერწმუნეთ, ჩემს თქვენდამი პატივისცემას ვერაფერი შეარყევს, — ნელა ამბობდა გუმერსინდო ტელიო, თითქოსდა მდივნის საქმის გასაადგილებლად, მის ნალაპარაკევს მანქანაზე რომ ბეჭდავდა. მოსამართლემ მადლობა გადაუხადა მექანიკოსს ამ კეთილი ზრახვებისათვის და უთხრა, რომ თავად პატივსა სცემს უველანაირ რწმენასა და შეხედულებას, მეტადრე რელი-

გიური ხასიათისას, და შეახსენა, რომ იგი დააპატიმრეს არა სარწმუნოების, არამედ უწლოვანის ცემისა და გაუპატიურების გამო.

გაურკვეველმა ღიმილა გადაურბინა პირზე მოკეგულაღელ უმარცხელს.

— მოწმე იმას ჰქვია, ვინც ამოწმებს, ვინც დასტურბყოფს მოწმეობას, — გაამულაუნა მან სემანტიკის ცოდნა და ჯიქურ შეხედა მოსამართლეს. — ვინც უწყის უფალი ღმერთის არსებობა, იგი არს მახარობელად. ვინც უწყის ჭეშმარიტება, იგი არს მაუწყებელი მისი. მე მოწმე გახლავართ, რომ მოგენდომებიანთ, თქვენც ასევე იქნებოდით.

— მადლობას მოგახსენებთ, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, — შეაწყვეტინა მოსამართლემ, რომელმაც გატენილი საქალაქადე ახწია და ისე ხარბად, ისე სულწახულად დააშტერა თვალები, თითქოს სანუკვარი რამ კერძი ყოფილიყო. — დრო არ ითმენს, აი, რა არის თავიდათავი. ამიტომ საქმეს შევუდგეთ. ნება მიბოძეთ, ამთავითვე გირჩიოთ: ყველაზე მთავარი — და თქვენთვის ყველაზე ჭკვიანური — სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ წმინდა სიმართლე გახლავთ.

ბრალდებულმა ღრმად ამოიოხრა, თითქოს რაღაც იღუმალი რამ წამოაგონდა.

— სიმართლე, სიმართლე, — წაიჩურჩულა მან დაღონებით, — სიმართლედ რა მიგჩინიათ, ბატონო მოსამართლე? ცილისწამება, კონტრაბანდა თუ ვატყანის ტყუილები, სიმართლედ რომ გვასაღებენ ხალხის მიამიტობის იმედით? მოკრძალება იქით იყოს და, ვგონებ, მე ვუწყვი სიმართლე. ნუ გეწყინებათ, პირდაპირ გკითხავთ, ბატონო მოსამართლე: თავად თუ იცით, რა არის სიმართლე?

— ვფიქრობ, ვიცო, — მიუგო მოღუშვით მოსამართლემ და საქალაქადეს დაჰკრა ხელი.

— სიმართლე, რაიც ჯვარცმის თაობაზე მოიგონეს, სიმართლე წინასწარმეტყველ პეტრეს ოინებზე, სიმართლე ლოდსა და მიტრებზე? ან იქნებ იმაზე, რასაც გაუთავებლივ დაქლაქებს რომის პაპი სულის უკვდავებაზე? — გესლიანად ჰკითხა ტელიომ.

— სიმართლე იმ დანაშაულზე, რაც თქვენ ჩაიდინეთ, მთაზე, თუ როგორ ახადეთ პატივი უწლოვან სარიტა უანკა სალაფერიას, — თავის მხრივ შეუტია მოსამართლემ. — თუ როგორ დაესხით თავს ცამეტი წლის უმანკო გოგოს, სცემეთ, დაემუქრეთ, დააშინეთ, გააუპატიურეთ და იქნებ ფეხმძიმედაც დატოვეთ.

მოსამართლის ხმა მეტი და მეტი შთაგონებით, მეტი და მეტით კიცხვითა და ძალით უდერდა. გუმერხინდო ტელიომ, იმ სკამის ზურგივით სწორი და უდრეკი, რომელზეც იჯდა, დინჯად შეჭყურებდა მოსამართლეს, დაბნევისა თუ სინანულის ნიშანწყლის გარეშე. ბოლოს შესაწირ ზვარაკივით გააბარტყუნა თავი და გამოაცხადა:

— მზად ვარ ყველა განსაცდელს გავუძლო, რასაც იაბვე მომივლენს.

— ლაპარაკია თქვენზე და არა ღმერთზე, — ციდან მიწაზე ჩამოაბრუნა იგი მოსამართლემ. — ლაპარაკია თქვენს უნამუსო ზრახვებზე, თქვენს გარყვნილებასა და დანაშაულზე.

— ლაპარაკია მუდამ და მარად ღმერთზე, ბატონო მოსამართლე, —

ჭიუტად გაიძახოდა გუმერსინდო ტელიო. — მხოლოდ და მხოლოდ უფალ ღმერთზე და არა თქვენზე, ჩემზე თუ სხვაზე.

— გირჩევთ არაფერი დამალოთ, — აუწყა მოსამართლემ, — ინიპარაკეთ მხოლოდ მომხდარ ამბავზე. აღიარეთ დანაშაული და შესაძლოა მართლმსაჯულებამ იგი კიდევაც გულისხმად იღოს, მოიქეცით, ვითარცა მარტოშენი კაცი, ხომ ილტვით დამარწმუნოთ, ასეთი ვარო.

— მე ვინანიებ ყველა ჩემს შეცდომას და ცოდვას, რომელთა რიცხვი უთვალავია, — ქუშად წარმოთქვა გუმერსინდო ტელიომ. — კარგად ვიცი, რა ცოდვილიც ვარ, ბატონო მოსამართლე.

— ჩინებულია, მაშ თვით ამბავზე გადავიდეთ, — დაჩქარა იგი დოქტორ ბარედა-ი-სალდივარმა, — მიაბზეთ დაწვრილებით, უხამსი წვრილმანებისა და იერემიადების გარეშე, რაც მოხდა და როგორც მოხდა...

მაგრამ „მოწმე“ უკვე მოტყუდა, მოწმემ უკვე თავს ველარ სძლია — პირზე ხელები აიფარა და აქვითინდა. მოსამართლე არ შემკრთადა. იგი შერვეული იყო ბრალდებულთა გუნების უეცარ ცვალებადობას და იცოდა კიდევ, როგორ მოეხმარა ეს ამბავი ფაქტების გამოსარკვევად. რომ დაინახა, გუმერსინდო ტელიომ თავი ჩაკიდა, მთელი ტანით ცახცახებს, ხელები ცრემლებით დასველებიაო — დოქტორ ბარედა-ი-სალდივარმა გამარჯვებული ოსტატის სიამაყით, რომელმაც იცის, თუ რა ყოვლისშემძლეა მისი ხერხი, თავის თავს უთხრა, ბრალდებულმა უკვე აღეღვების იმ წერტილს მიაღწია, როდესაც ტყუილს ველარ იტყვის და აღიარებს კიდევ ეგზომ სასურველსა და უცნობელ სიმართლის ყველა წვრილმანსო.

— ფაქტები, ფაქტები, — გაიძახოდა იგი ჭიუტად, — რა მოხდა, რა ვითარებაში, რა თქვით, რა იმოქმედეთ! აბა ვაჟკაცურად მოჰყევით ყველაფერი!

— საქმე ისაა, ვერ მოვიტყუებ, ბატონო მოსამართლე, — ამოთქვა სლუკუნ-სლუკუნით გუმერსინდო ტელიომ, — ყველაფერს გავუძლებ — შეურაცხყოფას, ციხეს, სირცხვილს, ოღონდ ვერ მოვიტყუებ! ვერა და ვერ მივეჩვიე სიცრუეს! არ შემიძლია ტყუილის თქმა!

— ჩინებულია, ჩინებული, ტყუილი რომ არ შეგიძლიათ! დახაფასებელიც კია! — შესძახა მოსამართლემ და მოწონების ნიშნად ხელი აიქნია. — მაშ, დაამტკიცეთ კიდევაც. აბა მოჰყევით, როგორ და რა გზით...

— საქმეც ეგაა და, — ისევ პულუქუნდა „იაჰვეს მოწმე“ და წვინტილი მთელ სახეზე მოიდლლაბნა, — საქმეც ეგაა, რომ არ...

— იცით, რას გეტყვით, ბატონო ტელიო, — დამარცვლით, ღმობიერად, მაგრამ გესლიანად ბრძანა მოსამართლემ, რაც მის სიტყვებს უფრო დამამცირებელს ხდიდა. — ჭეშმარიტი „იაჰვეს მოწმე“ კი არა, მატყუარა ყოფილხართ.

— არ მივკარებოვარ, არც მარტოს მილაპარაკნია მასთან. გუშინ კი თვალთაც არ მინახავს, — იმეორებდა გუმერსინდო ტელიო და დასაკლავ კრავივით ბლაოდა.

— ცინიკოსი, პირმრუდი, სულით ფარისეველი, აი, რა ყოფილხართ, — ცივად აუწყა მოსამართლემ. — თუ მართლმსაჯულებას, წნეობას არაფრად აგდებთ, უფალ ღმერთს მაინც დასდეთ პატივი, ვისი სახელიც სულ პირზე გაკერიათ, ვინც ალბათ ამ წუთს დაგყურებთ და თქვენს ტყუილებზე გული ერევა.

— არც მწერით, არც ხიტყვით არ შეურაცხმიყვია ის გოგო, — გულ-  
შემწარავი ხმით გაიძახოდა დამნაშავე.

— განა თქვენ არ დაემუქრეთ, თქვენ არ სცემთ და პატრუნი არ ანადეთ?! —  
გაცოფებულ მოსამართლეს ხმაც კი ჩაუწყდა — ო, რა ბინძური, რა უსირცხვი-  
ლო ხართ, სენიორ ტელიოს!

— მე ბინძური, უსირცხვილო... — გაიმეორა „მოწმემ“ ისეთ ხმაზე,  
თითქოს თავში ესაა კეტი ჩასცხესო.

— დიახ, ბინძური და უსირცხვილო, — გაიმეორა მოსამართლემ და მრავ-  
ლისმეტყველი დუმილის შემდეგ დახძინა: — თქვენ და თქვენი ბინძური წრახ-  
ვები...

— ჩემი ბინძური წრახვები... — წაილულულა ხმაჩაწყვეტით გაოგნე-  
ბულმა ბრალდებულმა. — ჩემი ბინძური წრახვებიო, თქვით?

მისი გადმოკარკლული დაელმებული თვალები დაფეთებული კალიბრით  
დახტოდნენ მოსამართლიდან მდივანზე, იატაკიდან ჭერზე, და უცებ საწერ მა-  
გიდას მიაცივდნენ, ფურცლებს, საქაღდეებს, საშრობებს შემოურბინეს, მერე  
ანაზღად ცეცხლივით იკვებეს ტიაუნაკოური დანის დანახვაზე, რომელიც ვით  
ძველიძველი ხელოვნების ქმნილება, გამორჩევით ბზინავდა სხვა საგანთა შო-  
რის. ვერც მოსამართლემ, ვერც მდივანმა თითის განძრევა ვერ მოახწრეს, რომ  
გუმერსინდო ტელიოს ხელი დანას სწვდა. მაგრამ კი არ მოუღერებია, პირი-  
ქით, გულში ჩაიკრა, როგორც დედა შვილს ჩაიხუტებს, და მოულოდნელობისა-  
გან გახვევებულ მოსამართლესა და მდივანს დაღონებულმა შეხედა.

— ძალიან მაწყენინეთ, თუ იფიქრეთ, რამეს დაგიშავებთ, — თქვა გულ-  
ჩაწყვეტილ ხმაზე.

— აქედან ვერც გაიქცევით, — გონს მოეგო მოსამართლე, — მართლმსა-  
ჯულების სასახლე გუშაგებიტაა სავსე, მაშინვე მოგკლავენ.

— მე გავიქცევი? — დაცინვით ჰკითხა მექანიკოსმა, — რა ცუდად გცნო-  
ბივართ, ბატონო მოსამართლე.

— იმას ვერ ხვდებით, თვითვე რომ ამხელთ საკუთარ თავს? — არ ეშ-  
ვებოდა მოსამართლე. — დანა მომეცით.

— მხოლოდ წუთით მჭირდება, ჩემი უბრალოება რომ დაგიმტკიცოთ.

მოსამართლემ და მდივანმა ერთმანეთს გადახედეს. ბრალდებული იესო  
ნაზარიელის იერით წამოიშართა: მარჯვენა ხელში საბედისწეროდ იელვა და-  
ნამ, მარცხენა კი ნელა დაეშვა ხვანჯრისაკენ, სადაც რკინის შესაკრავი იმალი-  
ბოდა.

— წმინდა გახლავართ, ბატონო მოსამართლე, — თქვა მან ნაღვლია-  
ნად. — ქალს არახოდეს გავკარებივარ. რაიც სხვებისთვის ცოდვის იარაღია, მე  
მარტოოდენ „ფისი-ფისისთვის“ მარგია...

— შესდექ! — შეაწყვეტინა დოქტორ დონ ბარედა-ი-საღღივარმა და  
თავში საშინელმა აწრმა გაჰკრა, — რას აპირებთ?

— მოჭრასა და ნაგავში გადაგდებას იმის დასტურად, რარიგ არაფერს  
ნიშნავს იგი ჩემთვის, — უოველგვარი პრანჭვის გარეშე, მშვიდად თქვა ბრალ-  
დებულმა და ნიკაპი ნაგვის კალათისკენ გააქნია. პირდაღებულ მოსამართლე-  
სა და მდივანს უვირილი არც უცდიათ. გუმერსინდო ტელიოს მარცხენა ხელში  
თვისი ბრალდების „ნივთიერი საბუთი“ ეჭირა, მარცხენათი კი დანა ზედ იხე

მოედერა, როგორც ქალათს ნაჯახი სიკვდილმისჯილის კისერზე, რათა უდანაშაულობის დასამტკიცებლად არგაგონილი და არნახული საქმე ჩაედინა.

ჩაიდენს კია ამას? მოიკვეთს კია სამუდამოდ თავის კაცობას? შენწირავს კი თავის ხორცს, ახალგაზრდობასა და ღირსებას უდანაშაულობის აბსტრაქტულ-ეთიკურ დამტკიცებას? იქცევა კი ყველაზე დარბაისეული მოსამართლის კაბინეტი გუმერსინდო ტელიოს სამსხვერპლო საკურთხეველად? რით დახრულდება ეს სახამართლო დრამა?

VII

მე და ხულია დეიდას უკვე გახურებული რომანი გვქონდა, თუმცა მისი გაგრძელება უფრო და უფრო ჭირდა, ვინაიდან ჩვენი სიახლოვის დამალვა არცთუ ადვილი იყო. ნათესაობას ექვი რომ არ აელო, შეთანხმების მიხედვით გვარიანად შევკვეცე ძია ლუჩოსთან დარბაზობის რიცხვი, თუმცა „ხუთშაბათის“ ტრადიციული სადილი ერთხელაც არ გამიცდენია. რა ხრიკებს არ მივმართავდით, საღამომობით კინოსა თუ თეატრში რომ გავპარულიყავით. ხულია დეიდა აღრე გამოდიოდა შინიდან, მერე გზიდან ოღვა ძალოს დაუბრუნებდა, დღეს ამხანაგთან ერთად ვისადილებ და, დანიშნულ ადგილზე მთელი საათობით მიცდიდა, როდის დავამთავრებდი სამუშაოს, ისე რომ, მეტწილად მშიერი რჩებოდა. ზოგჯერ მე შევუვლიდი ტაქსით, ოღონდაც მანქანიდან არ გადმოვდიოდით. ხულია უკვე მზად იყო და გაჩერებული მანქანის დანახვაზე ხელდახელ გამოსხლტებოდა სახლიდან, თუმცა არც ეს გახლდათ მთლად უხიფათო. ვისმე რომ დავენახე, ხომ აშკარა გახდებოდა, ჩვენ შორის რაც იყო. ტაქსში მიმალული მიჯნური ბოლოს და ბოლოს ექვსა თუ ათასნაირ კითხვას აღძრავდა...

ამ მიზეზის გამოისობით უფრო ხშირად დღისით ვცდილობდით შეხვედრას და არა საღამოს, როგორც კი რადიოში თავისუფალი „ფანჯარა“ გამიჩნდებოდა. ხულია დეიდა ქალაქის შუაგულში მიმავალ ავტობუსს მოჰყვებოდა და დილის თერთმეტსა და საღამოს ხუთისთვის კამანას ქუჩის ერთ-ერთ კაფეში ან უნიონის ქუჩაზე კაფე-სანაყინეში მიცდიდა ხოლმე. მე უკვე გამზადებული მქონდა ორი მიმოხილვა, ისე რომ, ერთი-ორი საათი მაინც შეგვეძლო ერთად ყოფნა. მაგრამ „ბრანსში“ არ მივდიოდით, ვინაიდან იქ „რადიო პანამერიკანისა“ თუ „რადიო-სენტრალის“ თანამშრომლები იყრიდნენ თავს. დროდადრო კი (უფრო სწორად, ჯამაგირის აღების დღეს), როცა სადილად ვპატივებდი, მთელი საათი ვიყავით ერთად. მაგრამ ჩემი პატარა ხელუფასი ასეთი ფუფუნების ნებას არ მაძლევდა. მართალია, იმას კი მივალწიე, რომ ხენაროს ვაჟმა — იმ დილას იგი დიდებულ გუნებაზე დამხვდა პედრო კამაჩოს წარმატებების წყალობით — ჩემი საგულდაგულოდ მომზადებული სიტყვა რომ მოისმინა, ჯამაგირი მომიმატა და ხუთი ათას სოლამდე დამიმრგვალა. ორი ათასს ჩემს მოხუცებს ვაძლევდი ოჯახურ ხარჯებზე, დარჩენილი სამი ათასი მშვენივრად მეყოფოდა ჩემს პატარა ცოდვეებზე, ანუ სიგარეტებსა, კინოსა თუ წიგნებზე. მაგრამ მას აქეთ, რაც ხულია დეიდასთან გავაბი რომანი, ფული გასაოცარი სისწრაფით მიჭრებოდა ხელიდან — სულ გაჭირვებაში ვიყავ, ხშირად ვალსაც ვიღებდი და ლომბარდსაც ვაკითხავდი. სისხლში ჯერ მაინც ღრმად მქონდა გამჭდარი წმინდა ესპანური შეხედულება ქალ-ვაჟის ურთიერთობაზე. ამიტომაც ერთხელაც

არ მიმიცია ნება ხულია დეიდას გადაეხადა ფული. ეკონომიურად მართლაც რომ შავ ღლეში ვიყავ და საშველად ისევ იმ ხელობას მივმართე, ხავერდი რომ „კალმის როსკიობას“ ეძახდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, წიგნებზე/რეცენზიებს ვწერდი და ჟურნალებსა თუ გაზეთების საკვირაო დამატებებში რეპორტაჟებს ვბეჭდავდი. თვეში ორასი-სამასი სოლი ჩემს ქისას საგრძნობლად ამდიდრებდა.

ჩვენი შეხვედრები შუაგულ ლიმაში მდებარე კაფეებში თითქმის უცოდველი იყო; ბევრს ვსაუბრობდით და ფრიად რომანტიკულადაც, თვალი თვალში გაყრილნი, თითებგადაწნულნი და მუხლებშეტყუბულნი, თუ შენობის ტოპოგრაფია ამის საშუალებას გვაძლევდა. როცა ვერავინ დაგვინახავდა, მაშინღა ვბედავდით კოცნას, მაგრამ ასეთ შემთხვევას ბედი იშვიათად გვწყალობდა. ამ საათებში კაფეები მუდამ გაჭედილი იყო ტუტრუცანა მოხელეებით. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი სულ იმის ირგვლივ ტრიალებდა, როგორ აგვეცდინა საშიშროება, ნათესაობიდან ვისმე არ გადავყროდით. დაწვრილებით ვუამბობდით ერთმანეთს, ბოლო შეხვედრიდან (ანუ ერთი დღისა ან რამდენიმე საათის წინ) რაც გადაგვხვდა. მაგრამ მომავალზე კი კრინტს არ ვძრავდით, მომავალი, უსიტყვო შეთანხმების მიხედვით, ჩვენ ორის საუბარში არ იხსენიებოდა, რადგან ოჩივეს გვწამდა, ჩვენ სიახლოვეს მომავალი არც ეწერა. მიუხედავად ამისა, ის, რაც თავიდან თამაშს ჰგავდა, ამ უცოდველმა შეხვედრებმა ლიმის გაბოლილ კაფეებში ნელ-ნელა უფრო და უფრო დიდ გრძნობად აქცია. ჩვენც არ ვიცოდით, ისე შეგვიყვარდა აქ ერთმანეთი.

ჩვენ ძალზე ბევრს ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, უფრო სწორად, ხულია დეიდა მისმენდა, მე კი ვუყვებოდი და ვუყვებოდი პარიზის მანსარდებზე (ჩემი ლიტერატურული მომავლის განუყოფელ ნაწილზე), იმ რომანებსა, დრამებსა და ესეებზე, მე რომ დავწერდი, როცა მწერალი გავხდებოდი. იმ საღამოს ხავერმა რომ უნიონის ქუჩის სანაყინეში გამოგვიჭირა, სწორედ ჩემს მოთხოვრებას ვუკითხავდი ხულია დეიდას დოროთეო მარტიზე. მოთხოვრება სულ ხუთი გვერდი იყო და სათაურადაც, შუასაუკუნეების ყაიდაზე — „ჯვრის დამდაბლება“ დავარქვი. პირველად იმ საღამოს ვაცნობდი ჩემს კალმის ნაყოფს და, მისი განაჩენის მოლოდინით აღელვებული, ძალზე ნელა ვკითხულობდი. ეს იყო დიახაც ძნელი გამოცდა, რამეთუ ახალბედა მწერლის გულის დაკოდვაზე ადვილი არაფერია. ხულია დეიდა კი წარამარა მაწყვეტილებდა.

— აბა ასე როდის იყო, ყველაფერი გადაგიბრუნებია, — მეუბნებოდა წყენითა და გაოცებით. — ასე არც უთქვამს, თუმცაღა...

ყოვლად სასოწარკვეთილმა შევწყვიტე კითხვა და შევეცადე ამეხსნა, ეს ამჟინს ზუსტი აღწერა კი არა, მოთხრობაა, დიახ, დიახ, მოთხრობა, ხოლო თუ რამე მივამატე ან გამოვაკლე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, გარკვეული ეფექტისთვის მიმელწია-მეთქი.

— კომიკური ეფექტისათვის, — ვთქვი ხაზგასმით იმის შესამოწმებლად, იქნებ გამიგოს და გულმოწყალებით მაინც გამილიმოს-მეთქი.

— პირიქით, — აღშფოთებით შემომეღავა ხულია დეიდა — ამბის შეცვლით მთელი მარტილი დაუკარგე მოთხრობას. აბა ვინ დაგიჯერებს, შერყეული ჯვარცმა ამდენ ხანს თუ არ წამოიქცეოდა. სადაა აქ მარტილი?

თუმცა უკვე გადაწყვეტილი მქონდა ეს მოთხრობაც სანაგვე ყუთში გადამეძახა, მაინც თავი გამოვირდე და გამწარებით დავუწყე დაცვა მხატვრული



გამონაგონისა და სინამდვილის გადააზრების უფლებას. ამ დროს ვეგრძენი, ვი-  
ლაცა მხარზე შემეხო.

— თუ ხელი შეგიშალეთ, მითხარით და წავალთ. იმაზე მეტილ არაფერი  
მეჯავრება, როცა ზედმეტი ვარ ხოლმე, — თქვა ხავიერმა, სხვა მხარეზე, გვერ-  
დით მოგვიჯდა ოფიციანტს ყავა შეუკვეთა და ხულია დეიდას შეჰქლიბა: — ძა-  
ლიან მიხარია თქვენი გაცნობა. მე ხავიერი გახლავართ, ამ პროზაიკოსის საუ-  
კეთესო მეგობარი. ასე მარჯვედ როგორ დამიმალე, შვილოსა!

— ეს ხულიტაა, ჩემი ოლგა ძალოს და, — ვუთხარი.

— რას ამბობ? ის განთქმული ბოლივიელი ქალი? — ხავიერს სახე ჩა-  
ნოუგრძელდა. ჩვენი გადაწული თითები რომ დაინახა, ცოტა არ იყოს, იბ-  
ტიბარი გაუტყდა, რაც თავის დღეში არ მოსვლია და წაიდუღუნა: — აბა შენ  
ხარ, რაც ხარ, ვარგიტას!

— იმიტომ რომ, როცა ჩამოხვედი, შენმა კვიმატმა ენამ გამაბრაზა, —  
ავუხსენი მე. — ხავიერმა მხოლოდ პირველი ნაწილი იცის.

— ყველაზე კარგი ნაწილი კი დამიმალა ამ უხეირო მწერალმა და კიდევ  
უფრო უხეირო მეგობარმა, — ხავიერმა ხელდახელ დაიბრუნა ძველი რიხი და  
ჩვენს გადაწულ თითებზე მანიშნა თავით: — აბა ჩამოყაჭე ყველაფერი.

ხავიერმა მართლაც მომხიბლავად აჩინა თავი, ანეკდოტები დააფრქვია და  
ლაპარაკით დაგვაყრუა. ხულია დეიდას ძალიან მოეწონა იგი. გამიხარდა, ხა-  
ვიერმა რომ წაგვასწრო. სულაც არ ვაპირებდი ჩვენი ურთიერთობა მისთვის  
გამემხილა (ვინაიდან ჭირივით სძულდა გულის ამაჩუყებელი აღსარებანი),  
მით უმეტეს ასეთ დახლართულ ვითარებისას. მაგრამ რაკი შემთხვევამ ჩვენი  
თანამზრახველი გახადა, საჩქაროდ ვუამბე, რაც იყო და როგორც იყო. იმ  
დღილას დამშვიდობებისას ხულია დეიდას ლოყაზე აკოცა, თავი დაუკრა და  
განაცხადა:

— ჩემზე კარგ მაჭანკალს სანთლით ვერ მოძებნით, ჩემი იმედი გქონდეთ,  
რაც უნდა მოხდეს.

— ბარემ ისიც გეთქვა, საწოლს მოგიმზადებთ-თქო, — გავთათხე იმავე სა-  
ღამოს ხავიერი, როგორც კი „რადიო პანამერიკანის“ თავზე ჩვენს საქათმეში  
გამომეცხადა, სული მისდიოდა, ისე უნდოდა დაწვრილებით გაეგო ყველაფერი.

— თუ არ ვცდები, დეიდად გერგება, მგონი? — მხარზე დამკრა მან ხე-  
ლი. — მართლა გამაკვირვე კია! ბებერი, მდიდარი, ქმარგაყრილი! რა დიდუ-  
ბულია! ოცი ქულა შენია!

— დეიდა კი არა, ძალუაჩემის დაა, — გავუმეორე მისთვის უკვე ცნობი-  
ლი ამბავი და თან გაზეთ „ლა პრენსაში“ დაბეჭდილ ცნობებს ჩავკირკიტებდი  
კორეის ომზე. — არც ჩემი საყვარელია, არც ბებერი და არც მდიდარი! ქმარგაყ-  
რილი კი მართლაა!

— შენზე უფროსი რომაა, „ბებერი“-მეთქი იმიტომ ვთქვი, „მდიდარს“  
რაც შეეხება, სასაყვედუროდ კი არ მითქვამს, მოგილოცე კაცმა. მე იმის მომ-  
ჩრე ვარ, ვაეკაცმა ვაეკაცურად იმოქმედოს, — იცინოდა ხავიერი. — მაშასადა-  
მე, საყვარელი არაა? მაშ ვინაა, სატრფო?

— რაღაც საშუალო, — ვიცოდდი, ასეთი პასუხი რომ გააბრაზებდა.

— გამოცანობიას თამაში თუ გინდა, ასეც გიქნია, ეშმაკებში წასულხარ,  
— გამაფრთხილა მან. — გარდა ამისა ნაძირალაც ხარ. ჭნაკა ნანსიზე მე ყვე-  
ლაფერს გიყვები, შენი რომანი კი დამიმალე.

ავდექი და ყველაფერი თავიდან გადმოვულაგე, ვუამბე, რა სიძნელების გადალახვა გვიხდება, ერთმანეთს რომ შევხვდეთ. ისიც მიხვდა, ამ უკანასკნელ კვირებში ორ-სამჯერ რატომაც დავესესხე ფული. ხავიერი საოცრად გაიტაცა ჩემმა ამბავმა, კითხვები სეტყვასავით დამაყარა და ბოლოს ფიცრ მომცა, ჯადოქარ ჯვრის დედობას გაგიწევო. მაგრამ წასვლისას კი უნდა დავინჯო.

— მე მგონი, ეს ყველაფერი თამაშია, — მითხრა და ისე შემომხედა თვალებში, როგორც გორიზი მამა შეხედავს თავის ძეს, — არ დაგავიწყდეს, მე და შენ ჯერ კიდევ ღლაპები გვქვია.

— თუ დავორსულდი, ღმერთი, რჯული, მუცელს მოვიშლი, — დავამშვიდე ჩემი მეგობარი და ისიც წავიდა.

პასკუალი დიდ პაბლიტოს გერმანიაში მოხდარი კატასტროფის ამბებით ართობდა. იქ თურმე ოცი მანქანა ერთმანეთს შესკდომია ბელგიელი ტურისტის გამო, ვისაც თავისი უგულისყურობის წყალობით შუა გზაზე გაუჩერებია მანქანა, აქაოდა, პატარა ფინია არ გავტყლიტო. მე კი ვიჭექი და ჩემთვის ვფიქრობდი, ნუთუ ეს ამბავი უკვე სახუმრო აღარ იყო? თურმე მართლა აღარ იყო. ეს ყველაზე მომწიფებული, ყველაზე სარისკო გრძნობა გახლდათ, რაც აქამდე განმიცდია, ხოლო ეს ყველაფერი რომ საამო მოგონებად დარჩენილიყო, მისი გაჭიანურება აღარ ღირდა. სწორედ ამ ფიქრებში ვიყავ ჩაფლული, როცა ხენაროს ვაჟი დამადგა თავზე და სადილად „მაგდალენას“ რესტორანში წამათრია, სადაც კრიოლურ კერძებს ამზადებდნენ და სადაც ჩემთვის ბრინჯიანი იხვი, თაფლი და ყველი მოატანინა, ხოლო როცა ყავაც მოგვართვეს, რაღაც ქალაღდი გამომიწოდა.

— შენ კამაჩოს ერთადერთი მეგობარი ხარ და მოელაპარაკე. მისი წყალობით ერთი აურზაური ატყდება! მე ვერაფერს ვეტყვი, უმეცარსა და კულტურის მტერს მეძახის, მამას კი გუშინ ბურჯუა ხარო, მიახალა! არ მინდა დავიდარაბაში გავეხვიო. იქნებ გავაგდო, ჰა?..

ყველაფერი იმ წერილს გამოეწვია, არგენტინის ელჩს რომ „რადიო სენტრალში“ გამოეგზავნა. ამ გესლით სავსე უსტარში დიდი აღშფოთება იყო გამოთქმული იმ ცილისწამებებისა და ქარაგმების თაობაზე სარმიენტოსა და სან-მარტინის<sup>1</sup> სამშობლოს მისამართით, რომლებითაც სავსეა რადიოდადგმები (დიპლომატმა მათ სერთებიანი „დრამატიული ამბები“ უწოდა). ელჩს ჩამოთვლილი ჰქონდა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ამ გადაცემებით „გატაცებულ“ საელჩოს თანამშრომლებს ალაღბებდნენ ამოეკრიფათ. ერთ-ერთ გადაცემაში თურმე მწარედ ამასხარავებდნენ ბუენოს-აირესის მკვიდრთ, მეორეში იუწყებოდნენ, მთელი საქონლის ხორცი არგენტინიდან ექსპორტით გადის, ადგილობრივი მცხოვრებნი კი ცხენის ხორცსაც სიხარულით სჯერდებიანო. იმასაც კი ამბობენ: რაკი ამ ქვეყანაში ფეხბურთი ასეა გავრცელებული და მეტადრე თავურით გააქვთ ხოლმე ბურთი, მემკვიდრეობის გენეტიკურ კოქს მთელ ერში დიდი საშიშროება ელისო და ა. შ. და ა. შ.

— აგერ შენ იცინი და ჩვენც ვბცინით, — მითხრა ხენაროს ვაჟმა ფრჩხილების კვნეტით. — მაგრამ დღეს ვეჭილი მოგვადგა და სიცილი პირზე შეგვა-

<sup>1</sup> დომინგო ფაუსტინო სარმიენტო (1811-1888) — არგენტინის სახელმწიფო მოღვაწე და არგენტინული ლიტერატურის კლასიკოსი. ხოსე დე სან-მარტინი (1778-1850) — ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ყინა. საელჩოში თუ მთავრობას პროტესტით მიმართა, შეიძლება რადიოდადგმები აგვიკრძალონ, ჯარიმა შეგვაწერონ ან სულაც მიგვკეტონ. გინდ შეეხვეწე და გინდ დაემუქრე, ოღონდაც ამას იქით არგენტინელების სახელი არ ახსენოს.

შევპირდი, რაც შემიძლია, ყველაფერს ვილონებ-მეთქი, მაგრამ კამაჩოს უდრეკი ხასიათის ამბავი რომ ვიცოდი, არც მაინცდამაინც დედამ ვეფიქრონდა. მე მართლაც მის მეგობრად ვთვლიდი თავს; ენტომოლოგების ინსტიტუტის გარდა პატივსაც ვცემდი. მაგრამ განა მისი მხრეცაც ასე იყო? პედრო კამაჩოს-თანა ბუნების კაცი. ჩემი აზრით, თავის დროსა და ძალას არც მეგობრობას და არც სხვა რამეს დაახარჯებდა, თუკი ეს „ხელოვნებას“ ანუ მის სამუშაოს, უკეთ ეინსა და გატაცებას მოსწყვეტდა, რომლის გულისთვის ყველაფერს — ადამიანებს, საგნებსა თუ სურვილებს — დაუნდობლად გადააბიჯებდა. მაგრამ სხვაზე უფრო მე მიტანდა. ჩვენ ერთად ვსვამდით ყავას (ის, როგორც ყოველთვის, პიტნისა თუ სხვა ბალახბულახის ნახარშს), მერე მის გალიაში მივყვებოდი — საუბარი ხომ მისთვის სამუშაოსგან სულის მოთქმა იყო. მე რომ დიდზე დიდი გულისყურით ვუსმენდი, ალბათ სიამეს ჰგვრიდა, იქნებ თავის მოწაფედ მთვლიდა, ან იქნებ მისთვის მეც ის ვიყავი, რაც ფინიაა შინაბერასა და კროსვორდი — პენსიონერისთვის.

კამაჩოს სამი გამორჩეული თვისება — მისი საუბარი, სპარტული ყაიდის ცხოვრება, ერთადერთი გატაცებისთვის რომ მსხვერპლად მიეძღვნა, ყველაზე მეტად კი მისი მუშაობის უნარი ალტაცებას იწვევდა ჩემსას. ნაპოლეონის ბიოგრაფიაში, ემილ ლიუდვიგმა რომ დასწერა, მე წავიკითხე ბონაპარტის გამძლეობის ამბავი, როცა მისი მდივნები დაღლილობისგან ლამის წაქცეულიყვნენ, ის თურმე მაინც კარნახობდა და კარნახობდა. ძალიან ხშირად ფრანგი იმპერატორი ბოლივიელი მწერლის გრძელი ცხვირით წარმომიდგებოდა ხოლმე. მე და ხავიერი ერთხანს კიდევაც ინდიელ ნაპოლეონს ვეძახდით (ხან „კრიოლელ ბალზაკს“), ცნობისმოყვარეობით ატანილმა ერთხელ მისი სამუშაოდლე გამოვითვალე და ისეთი შედეგი მივიღე, თვალებს არ დავუჭერე.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში პედრო კამაჩო დღეში ოთხ დადგმას აკეთებდა, მაგრამ ეგზომი წარმატების შემდეგ მათი რიცხვი ათამდე აიყვანა. რადიოთი ისინი ორშაბათიდან შაბათამდე გადმოიცემოდა, ყოველი თავი ნახევარი საათი გრძელდებოდა (სინამდვილეში ოცდასამი წუთი, რადგან რეკლამას შვიდი წუთი ეთმობოდა). თუ გავითვალისწინებთ, რომ პედრო კამაჩო ყოველი დადგმის რეჟისორიც იყო და მსახიობიც, მაშასადამე, სტუდიაში იგი ყოველდღე შვიდ-შვიდ საათს ატარებდა, ვინაიდან რეპეტიციებსა და პროგრამის ჩაწერას ორმოცი წუთი უნდებოდა (აქედან ათი-თხუთმეტი წუთი მის სიტყვებსა და გამეორებებზე იხარჯებოდა). თავის დრამებს იგი ტრანსლირების მიხედვით წერდა. როგორც დავრწმუნდი, ყოველი თავის დაწერაზე მას უფრო მეტი დრო მისდიოდა, ვინემ შესრულებაზე, ესე იგი ერთი საათი. მაშასადამე, საბეჭდ მანქანასთან ყოველდღე ათიოდე საათი მაინც იჯდა. ნაწილობრივ ეს დრო თავისუფალი კვირა დღეების ხარჯზე მცირდებოდა, მაგრამ კვირა დღეებსაც, ცხადია, თავის გალიაში ატარებდა, რათა მთელი კვირის მსალა შეემზადებინა. ისე რომ, მისი სამუშაო დღე ორშაბათიდან მოყოლებული შაბათამდე თხუთმეტი-ჩვიდმეტი საათი, ხოლო კვირაობით რვა-ათი საათი გრძელდებოდა.

„რადიო სენტრალში“ პედრო კამაჩო დილის რვაზე მოდიოდა და შუალა-

მისას ბრუნდებოდა შინ. ქალაქში ჩემთან ერთად გამოდიოდა — „ბრანსის“ ბარში „ტვინის ასამუშავებელი“ სასმელის დასალევად. სადილობდა თავის სენაკში, მთელი მისი ტრაპეზი ბუტერბროდი და ერთი ბოთლი ლიმონათი იყო, მისი ერთგული ხესუსიტო, დიდი პაბლიტო თუ რომელიმე სხვა თანამშრომელი მისთვის რომ ყიდულობდა. დაპატიჟებაზე არავის მიჰყვებოდა, არასოდეს გაშიგონია, კინოს, თეატრს, ფეხბურთსა ან რომელიმე საღამოს წვეულებას დასწრებოდა. არც ის მინახავს, გაზეთი, ჟურნალი ან წიგნი წაეკითხოს, გარდა იმ ცნობილი ციტატების ფოლიანტისა და ქალაქის გეგმისა, — რომლებსაც თავის „იარაღებს“ ეძახდა. თუმცა ვტყუი: ერთხელ „ეროვნული კლუბის“ ბიულეტენი ვუნახე და ვკითხე, ეს რა არის-მეთქი.

— კლუბის მეკარე მოვისყიდე და მომცა, — მიპასუხა კამაჩომ. — აბა საიდან მომეტანა ჩემი არისტოკრატების გვარები? დანარჩენები არ მიჭირს — პლებეების გვარებს ჭერიდან ვბოჭავ.

მუდამ გასაკვირად მრჩებოდა, ან როგორ თხზავს ზედიზედ რადიოდრამებს, ან როგორ ასწრებს და ასე იოლად აცხობს-მეთქი თავის სცენარებს. წერისას არაერთხელ მიდევნებია მისთვის თვალი — სტუდიაში იგი უცხო თვალს გულდაგულ უმაღავდა თავის პროფესიონალურ საიდუმლოს — სხვა დროს კი აინუნშიაც არ აგდებდა, უყურებდა თუ არა ვინმე. როცა თავის (უფრო სწორად, ჩემს) „რემინგტონზე“ აკაკუნებდა, ხოლო მსახიობები, ბატანი თუ ხმის ტექნიკოსი წამით შეაწყვეტინებდნენ საქმეს, კამაჩო ერთი კი ამოიხედავდა, შეკითხვას მოისმენდა, უცნაურზე უცნაური პასუხით და ოდნავი ღიმილით გაისტუმრებდა, არავის ღიმილს რომ არ ჰგავდა, და ისევ განაგრძობდა წერას. მის პატარა სენაკში შეძრომისას მიზეზად ჩვეულებრივ ეს მქონდა, „ჩემს საქათმეში“ მეტიმეტი ხმაურია, სულ ხალხი ირევა და ვერ ვმეცადინეობ-მეთქი. იმხანად სამართლის კურსს გავდიოდი, მაგრამ ჩავაბარებდი თუ არა გამოცდებს, მაშინვე ვივიწყებდი ყველაფერს. მართალია, ერთხელაც არ ჩავჭრილვარ, მაგრამ უნივერსიტეტს კი მუდამ აუგად ვახსენებდი, თუმცა არც ჩემს თავს ვაქებდი დიდად. მოკალმეს, მგონი, კიდევ სიამოვნებდა, გალიაში დაუკითხავად რომ ეყქრებოდი და მოწმე ვიყავ მისი „შემოქმედებითი წვისა“.

მივჯდებოდი ხოლმე ფანჯარასთან კუთხეში და, მორიგ კოდექსში თავჩარგული, თვალს არ ვაშორებდი პედრო კამაჩოს. საკვირველია და, თავის დღეში არ უძებნია არც სიტყვა და არც აზრი, მის გადმოკარკლულ ცეცხლით სავსე თვალებში ეჭვს არასოდეს გაუელვია. გეგონებოდა, უბრალოდ გაზეპირებულ ტექსტს ათეთრებს ან ვიღაცის კარნახით სწერსო. განა შეიძლება რამდენიმე სულ სხვა დრამის დიალოგები, ვითარებანი, ოხუნჯობები მოიფიქროს კაცმა იმ სისწრაფისას, რა სისწრაფითაც მისი თითები დაქროდა საბეჭდ მანქანაზე დღეში ათი თუ ცხრა საათი? და მიუხედავად ამისა, ასე კი იყო. სცენარები ამ ჯიუტი თავიდან, ამ დაუღლე თითებიდან ისე გამოხტოდა, როგორც სოსისები მანქანიდან. რომელიმე თავს რომ დაამთავრებდა, პედრო კამაჩო ასწორებდა კი არადა, არც კითხულობდა, ისე აძლევდა ხოლმე მდივან ქალს ასლის გადასალებად და შემდგომ თავზე შეუსვენებლად გადადიოდა. ერთხელ ვუთხარი, თქვენს მუშაობას რომ ვუყურებ, ფრანგი სურეალისტების თეორია მახსენდება — წერის ავტომატურობა ქვეცნობიერებიდან მოდის, გონების გამგებლობის გარეშეო. პასუხი ფრიად ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მივიღე.

— ჩვენი ინდური ამერიკული თავი და ტვინი ბევრად უკეთ მუშაობს, ყოველგვარი კომპლექსების გარეშე, ვინემ იმ ფრანგუკებისა, ჩემო კეთილო.

ერთხელ ვკითხე, რატომ არ გინდათ ბოლივიაში დაწერილი ამბები/გამოცემით აქაური მოთხრობებისთვის-მეთქი? როგორც ყოველთვის, ახლაც ზოგადი პასუხი გამიშანშალა, საიდანაც კონკრეტულს ვერაფერს გამოიტანდი: დრამებმა რომ მსმენელთა შეგნებამდე მიაღწიოს, ისევე ქორთა და ახალი უნდა იყოს, როგორც ხილი და ბოსტნეულია, ხელოვნება ვერ ითმენს ნამზადს, მეტადრე დროით შელანძლულსო. მეორე მხრივ, დრამები უნდა „თანხმეირებდეს“ მსმენელების სულს. აბა რაში ანადვლებს ღიმელ მსმენელს ლა პასში მომხდარი ამბებიო? ეს საბუთები იმიტომ მოპყვა, ფილოსოფოსობის წყურვილი — ყოველივე განყენებულ სენტენციებად ექცია და აქსიომებად გაესაღებინა — ისევე ძლიერი ჰქონდა, როგორც წერისა. ხოლო ძველი სცენარების უგულველყოფა სულ უბრალოდ აიხსნებოდა: პედრო კამაჩოსთვის შრომის შემსუბუქებას აზრი არ ჰქონდა. სიცოცხლე მისთვის წერას ნიშნავდა. თუ რა ბედი ეწევა შემდგომ მის ნაწერებს, სულაც არ ადარდებდა, გადმოცემის უმაღ ივიწყებდა და მარწმუნებდა, არც მათ ასლს ვინახავო. მისი ფიქრით დრამები მას შემდეგ, რაც მსმენელების ყურს მიაღწევდა, სამუდამოდ უნდა გამქრალიყო. ერთხელ ისიც ვკითხე, როდესმე მაინც თუ გამოაქვეყნებთ-მეთქი?

— ჩემი დაწერილი რადიომსმენელთა ხსოვნაში უკეთ შეინახება, ვინემ წიგნებში, — შთაგონებით მითხრა მან.

მე და ხენაროს ვაყის რესტორანში ერთად სადილის დღესვე მოველაპარაკე პედრო კამაჩოს არგენტინელი ელჩის აღშფოთებული წერილის თაობაზე. ექვსი საათი იქნებოდა, როცა გალიაში შევეუარე და „ბრანსში“ დავპატიე. არ გამიჯავრდეს-მეთქი, შორიდან დავუწყე: ზოგიერთები ძალიან მგრძნობიარენი არიან, ირონიისა არაფერი გაეგებათ-მეთქი, გარდა ამისა პერუში ცილისწამება კანონით ისჯება, სულ უმნიშვნელო მიზეზისათვის რომელ რადიოსადგურსაც გინდა მიაკეტავენ-მეთქი. არგენტინის ელჩი თურმე ფრიად შეურაცხყო ზოგიერთმა ქარაგმამ და იმუქრება, საგარეო საქმეთა სამინისტროში ოფიციალურად გიჩივლებთო...

— ბოლივიაში კი ლამის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე მივიდა საქმე. რომელიღაც პატარა გაზეთმა ხმაც დაარხია, საზღვარზე ჯარები გროვდებაო, — შემაწყვეტინა პედრო კამაჩომ ისე მშვიდად და ჩაფიქრებით, თითქოს უნდა თქვას: მზემ მოვალეა იჩახჩახოს, მისი რა ბრალია, თუ ანაზღად სადმე ცეცხლი გაჩნდაო?

— მამაშვილმა ხენაროებმა გთხოვეს, თუ შეიძლება არგენტინელებს კბილი აღარ გაპკრათ რადიოდანგმებშიო, — ვუთხარი მინდობით და ის საბუთი მოვიყვანე, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო რომ გასჭრიდა: — ერთი სიტყვით, სჯობს თავი გაანებოთ, ნეტა რა ღირსნი არიან?

— რახან შთამაგონებენ, მაშასადამე, ღირსნი არიან, — მიპასუხა მან და მაგრძნობინა, საკითხი ამოწურულიაო.

ხენაროს ვაყს ასეც ვუთხარი, ჩემი შუამავლობის ნიჭის იმედი ტყუილად ნუ გექნება-მეთქი.

ორი-სამი დღის შემდეგ პედრო კამაჩოს სამყოფელსაც გავეცანი. ხულია დეიდას ბოლო მიმოხილვის გადაცემის დროს შევხვდი, „მეტროს“ კინოთეატრში ფილმი უნდოდა ენახა განთქმული რომანტიკული წყვილის — გრიგ გარსო-

ხისა და უოლტერ პიჯენის მონაწილეობით. შუალამისას სან-მარტინის მოედანი რომ გადავჭერიოთ ავტობუსში ჩასაჯდომად, პედრო კამაჩოს მოვეყაროთ თვალი, „რადიო სენტრალიდან“ მოდიოდა. ხულიას რომ დავანახვე, მაშინვე მითხრა, გამაცანიო, და მისკენ წავედით. კამაჩომ რომ გაიგო, ხულია მარტინის მოედანზე, გასაოცარი თავაზიანობა გამოიჩინა.

— მე თქვენი დიდი თავყანისმცემელი ვახლავართ, — უთხრა დეიდა ხულიამ და, თავი რომ უფრო მოეწონებინა, იცრუა, — ბოლივიაშიც კი არ გამოძიოვებია არც ერთი თქვენი რადიოდადგმა.

ვერც შევამჩნიეთ, ისე გავყევით კამაჩოს კილკას ქუჩისკენ. მან და ხულიამ წმიდაწყლის პატრიოტული საუბარი გააბეს ჩემ ჩაურევლად. ილაპარაკეს პოტოსის მაღაროების, ლუდ „ტაკინიას“, სიმინდის წვენიანის „ლაგუას“, ხაჭოს ღვეზლების, კოჩებაშას ჰავასა, სანტაკრუსელ ქალების სიტურფესა თუ სხვა ბოლივიურ ღირშესანიშნაობათა თაობაზე. კამაჩო ფრიად ნასიამოვნები ჩანდა, სამშობლოს საოცრებებზე რომ გვიყვებოდა. ბოლოს ერთი სახლის წინ გაჩერდა, აივნები და ეალუზებით დახურული ფანჯრები რომ ჰქონდა, მაგრამ არ კი დაგვემშვიდობა.

— ზემოთ ავიდეთ და ჩემი ღარიბული ვახშამი გავიზიაროთ, — შემოგთავაზა მან.

„ლა ტაპადის“ პანსიონი ერთი იმ ძველი ორსართულიანი შენობათაგანი ვახლდათ შუაგულ ლიმაში, რომლებიც ოდესღაც ფრიად მოხერხებულ, დიდ და კეთილმოწყობილ საცხოვრებლად ითვლებოდა. მაგრამ როცა მდიდარმა ხალხმა ქალაქის შუაგულიდან გარეუბნებში გადაინაცვლა და ლიმამაც ნელ-ნელა დაჰკარგა თავისი მშვენიერება, სახლები თანდათან დაძველდა და ბინადრებით ისე აივსო, ნამდვილ ფუტკრის სკას დაემსგავსა: ოთახები ორად და ხან ოთხადაც გადაეტიხრათ, დერეფნებსა, სახურავებსა, აივნებსა თუ კიბეებზე ახალი საცხოვრებელი ფართობი მოეწყობოთ, ისე რომ, გეგონებოდათ, სახლი ჰა და ჰა დაინგრევას. პედრო კამაჩოს ოთახში რომ ავდიოდით, კიბის ყველი საფეხური ისე იღუნებოდა და მტკრის ისეთი კორიანტელი დგებოდა, ხულია დეიდა წარამარა აცხინკვებდა. მტვერს დაეფარა ყველაფერი — კედლებიც და ჭერიც. როგორც ჩანს, აქაურობას კაციშვილი არ უვლიდა. პედრო კამაჩოს სამყოფი მონასტრის სენაკს მოგავგონებდათ, ისე პატარა და ცარიელი იყო, უზურგო მატრასს გამოხუნებული საბანი ეფარა, ბალიში უსაპირო იყო, პატარა მაგიდაზე მუშამბა ეფინა, კიდევ ერთი სკამი და ჩემოდანი ჩანდა. ოთახში გაჭიმულ თოკზე წინდები და ტრუსები შრებოდა. მოკალმე რომ თვითონ ირეცხავდა საცვლებს, ამან ისე არ გამაკვირვა, როგორც იმ ამბავმა, რომ საჭმელსაც თურმე თვითონ იმზადებდა, ფანჯრის რაფაზე პრიმუსი, ნავთის ბოთლი, რამდენიმე კალის თეფში, დანა-ჩანგალი და ჭიქა ეწყო. კამაჩომ ხულია დეიდას სკამი შესთავაზა, მე კი ხელის მედიდური გაქნევით საწოლზე მიმითითა:

— თქვენ იქ დაბრძანდით. ბინა თუ პატარაა, სამაგიეროდ გული მაქვს ხალვათი.

ვახშამი ორ წუთში ჩამამზადა. მთელი ხორავი ცელოფანის პარკით ეკიდა ფანჯრის გარეთ. რამდენიმე სოსისი, ერბოკვერცხი, პური, კარაქი, ყველი, თაფლიანი მაწონი — ეს იყო და ეს მთელი ჩვენი ვახშამი. ისე მარჯვედ ტრიალებდა, თითქოადა მუდამდღე ეკეთებინოს ეს საქმეები, ისე რომ, ეჭვიც კი დ მებადა, ალბათ უოველდღე ასე ვახშობს-მეთქი.

ვანშამზე პედრო კამაჩოს ფრიად თავაზიანად და მხიარულად ეჭირა თავი. იქამდეც კი, რომ აღღვებილი კრემის რეცეპტი (ხულია დეიდას თხოვნით) და თეთრეულის გარეცხვის უადვილესი ზერხიც გაგვიზიარა. თავისი წილი ვანშამი არ დაუმთავრებია, თეფში განზე გადგა და კიდევ გაიხუმრა:

— ჰამა მსახიობისთვის დიდი ცოდვაა, ჩემო კარგებო. *მარტო ვარ*

რომ შევატყვე, პედრო კამაჩო კარგ გუნებაზეა-მეთქი, *მარტო ვარ* მის სამუშაოზე შევეკითხე. ვუთხარი, მშურს-მეთქი თქვენი გამძლეობა, დალლას კაცი ვერ შევატყობთ, თუმცა გალერის მონასავით კი შრომობთ-მეთქი.

— მე ჩემი ზერხები მაქვს, დღე რომ მრავალფეროვანი გავხადო, — გვაუწყა ასე. მერე ხმას დაუდაბლა, აქოდა, მოშურნეებმა არ გამიგონონო, და გვითხრა, ერთი და იგივე ამბავზე სამოც წუთზე შეტს არ ვმუშაობ, ერთი ამბიდან მეორეზე გადასვლა კი მუდამ გამაცოცხლებლად მოქმედებს ჩემზე, ვინაიდან ასე მგონია, საქმეს ხელახლა შევუდგეთო.

— თავიდათავი მრავალფეროვნებაა, ბატონებო, — იმეორებდა იგი და თვალებს ისე აგზნებულად ატრიალებდა, ისე იმანჭებოდა, როგორც ეშმაკუნქონდრისკაცი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონია თურმე სცენარების კონტრასტულ შენაცვლებასაც — ანუ სხვა ჰავის, სხვა მოქმედების ადგილის, სხვა ხრიკებისა და გმირების მოგონებას — ვინაიდან ეს ყოველივე სიახლის გრძნობას ბადებს. ფრიად სარგოა თურმე ამ დროს იერბალუისისა და პიტნის ნახარშიც — ტვინის ხვეულების გასაწმენდად და წარმოსახვის აღსაგზნებად. როცა საბეჭდი მანქანიდან სტუდიაში მუშაობაზე გადადის კაცი, სცენარების წერიდან კი რეჟისურასა და მსახიობობაზე — ესეც თურმე გონებას ასვენებს და ფიქრის უნარს აცოცხლებს. გარდა ამისა დროთა მსვლელობაში ისეთ ხერხსაც მიაგნო, რაც უვიცებმა და წარმოსახვადაკარგულმა ხალხმა შეიძლება ბავშვობად ჩათვალოს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ბრბოს აზრსა და ფიქრებს? ამ სიტყვებზე პედრო კამაჩო შეყოყმანდა, დადუმდა, სასაცილო სახეზე დაღონება გამოეხატა:

— სამწუხაროდ, აქ ყოველთვის ვერ ვახერხებ ჩემი აღმოჩენა გამოვიყენო, — თქვა მერე და ხმაში სევდა გაერია, — მხოლოდ კვირაობით შემიძლია, როცა მარტო ვრჩები. ჩვეულებრივ დღეებში კი მეტისმეტად ცნობისმოყვარე ხალხი ირევა, რომელთაც ვერაფერს გააგებინებ.

ნეტა როდის აქვთ შეეპარა ასეთი გულაზიზობა პედრო კამაჩოს, ოლიმპიური სიმაღლიდან რომ დაჰყურებდა მუდამ უბრალო მოკვდავთ? შევატყვი, ხულია დეიდასაც ჩემზე არანაკლებ სწყუროდა ამის გაგება.

— დიდად გაგვაღიზიანეთ, სენიორ კამაჩო, მაინც რა საიდუმლოა ასეთი? — ჰკითხა მან მუდარით.

კამაჩო ჭერ უხმოდ შემოგვაცქერდა ცირკის სასწაულმომქმედივით, კმაყოფილება რომ მოჰგვარა მოხდენილმა შთაბეჭდილებამ, მერე მღვდელმსახურივით დინჯად წამოდგა (მანამდე რაფაზე იჯდა პრიმუსის გვერდით), ჩემოდნისკენ წავიდა და, როგორც ილუზიონისტი ამოაფრენს ხოლმე თავისი ცილინდრიდან მტრედებსა და აღმებს, ისე ამოალაგა მისი წიაღიდან ყოვლად მოულოდნელი საგნები: ინგლისელი მოსამართლის პარიკი, სხვადასხვა ზომის ულვაში, მებანძრის ჩაჩქანი, სამხედრო ორდენი, ლოყებგაბერილი დედაკაცის, მოხუცი კაცისა თუ სულელი ბაღლის ნიღბები, მოძრაობის მომწესრიგებლის კვერთხი, ბებერი ზღვის მგლის ზიუდვესტურა თუ ჩიბუხი, ეჭიმის თეთრი ხალათი, ყალბი ცხვირები და ყურები, ბამბის წვერები... ისეთი სიმარჯვით ამოჰქონდა მისდა ანგარიშმიუცემლად ეს ყოველივე და ისევ უკანვე აწყობდა — ალბათ იმიტომ, უკეთ შეგვეფასებინა, ან შინაგანი გრძნობა თხოვდა ამას — დიდზე დიდი გაწაფვა შევატყვე ამ თავისი კოლექციის ამოღება-ჩალაგებაში. პირდაპირდებულნი ვუცქეროდით, როგორ გარდაიქმნებოდა ხოლმე პედრო კამაჩო ხან ეჭიმად, ხან მეზღვაურად, ხან მოსამართლედ, ხან ბებერ ქალად, ხან მათხოვრად, ფარისევლად თუ კარდინალად...

— ვის შეუძლია ამიკრძალოს ჩემს გმირებს ვემსგავსო, ჩემს ჩმნილებათ შევერწყა? მათებური ცხვირი და თმა მქონდეს, ან მათსაგით სერთუკი მეც-

ვას? — იძახდა იგი და კარდინალის ქუდის ნაცვლად ჩიბუხს იმარჯვებდა, ჩიბუხს ლაბადა ცვლიდა, ლაბადას ყავარჯენი. — ვისი რა საქმეა, თუ ჩემს წარმოსახვას ამ ჭინჭების მეშვეობით აღვიგზნებ ზოლმე, ან რაა სინამდვილე? დიას, დიას, დიას, რა არის? რეალური ნაწარმოებების შექმნისთვის განა რომელი ხერხი სჯობია იმას, თავად რომ შეერწყე სინამდვილეს? და რა ხერხი უფრო ნაყოფიერს, უფრო წარმატებს არ ხდის სამუშაო დღეს? —

მაგრამ ცხადია, — აქ მის ხმას ჯერ აღშფოთებული, მერე უიმედო კილო შეერია — გაუგებრობა და აღამიანთა სიბრიყვე ყოფილივეს ბილწავს. „რადიო სენტრალში“ რომ დაინახონ, მუშაობისას თუ როგორ იცვლის იერს, მაშინვე მითქმა-მოთქმას ატეხენ — ეს რა გარყვნილი ვიღაც ყოფილაო, და მისი კაბინეტი ანდამატივით მიიზიდავს ბინძური ცნობისწადილით ატანილ ბრბოს. მერე შეინახა ნიღბები თუ სხვა მისთანა ატრიბუტები, ჩემოდანი დაკეტა, ფანჯარაზე დაღონებული ჩამოჯდა და თითქმის ჩურჩულით გვაუწყა, ბოლივიაში სადაც საკუთარი „სახელოსნო“ მქონდა, „ამ ჭინჭების“ გამო უსიამოვნება არასოდეს შემხვედრია, აქ კი მხოლოდ კვირაობით შემიძლია ვიმუშაო, როგორც ჩვეული ვარო.

— ამ ნიღბებს მაშინ იკეთებთ, როცა თქვენი გმირები იწყებენ მოქმედებას თუ, პირიქით, ამ ნიღბების მიხედვით იგონებთ გმირებს? — ვკითხე იმიტომ, რაღაც მეკითხა, თორემ გაოცებისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავ.

— რა ახალგაზრდა ხართ ჯერ! — ლმობიერად მისაყვედურა მან და, როგორც უდღეურს, ისე შემომხედა. — განა არ იცით, რომ ყველაფრის ძირი და ფუძე სიტყვაა მხოლოდ?

ჩვენს მასპინძელს გულმხურვალე მადლობა გადავუხადეთ და გარეთ გავედით; აქ ავუხსენი ხულია დეიდას, თუ რა დიდი ნდობა გამოგვიცხადა პედრო კამაჩომ თავისი საიდუმლოს გაზიარებით და როგორ ამიჩუყა გული ამით. ხულია ძალზე კმაყოფილი ჩანდა: თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ ინტელიგენციის წარმომადგენლები ასე სასაცილონი არიანო.

— ყველა როდია ასეთი, — გამეცინა მე, — „ინტელიგენციაო“ — კამაჩოზე ბრჭყალებში შეიძლება ითქვას, თორემ ხომ შეამჩნიე, ერთი წიგნიც არა აქვს? ასე თქვა, ჩემს სტილზე გავლენა რომ არ იქონიონ, წიგნებს იმიტომ არ ვკითხულობო.

ხელჩაკიდებულნი გავყევით ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებს ავტობუსის გაჩერებისაკენ. გზაში ვუთხარი, ერთი უნდა შევიარო კვირა დღეს „რადიო სენტრალში“ და ვნახო, როგორ ერწყმება-მეთქი პედრო კამაჩო თავის გმირებს ნიღბების და ტანსაცმლის მეოხებით.

— ასე მათხოვარივით რატომ ცხოვრობს? — აღშფოთებული იყო ხულია დეიდა. — მე კი მეგონა, უამრავ ფულს ხვეტდა, ისეთი წარმატება აქვს რადიოდადგმებს.

„ლა ტაპადის“ პანსიონში თურმე არც სააბაზანოები შეუმჩნევია და არც შხაპები ხულიას. მარტო ტუალეტი და ობმოკიდებული პირსაბანი დაუნახავს კიბის პირველ ბაქანზე. როგორ გგონია, ტანს თუ იბანს პედრო კამაჩო? მკითხა. მწერალს მისთანა ბანალობანი სულაც არ ანადვლებს-მეთქი, ვუთხარი. მე კი ლამის გული ამერიათ იმ ჭუჭყიან პანსიონში. ძლივს გადავკლაპე სოსისი და კვერცხიო, გამოაცხადა ხულია დეიდამ. ხოლო ჯაბახანა ავტობუსში რომ ჩავსხედით, რომელიც არეკიპას ყოველ კუთხეში ჩერდებოდა, და მალულად ყურსა და კისერზე ვაკოცე, შემფოთებით წამილაპარაკა:

— ყველა მწერალი, როგორც ჩანს, შიმშილით ევდება. ალბათ მთელი სიცოცხლე შენც გუდამშიერი დარჩები, ვარგიტას.

მას აქეთ, რაც ყური მოჰკრა, ხავიერმა ვარგიტას რომ მიწოდა, თვითონაც ასე მეძახდა.

(დასასრული იქნება)



## დილის ფერია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ესპანური ხალხური ლეგენდა ოთხ მოკმედეხად

თარგმნა ჯუშუბარ თითხვარიაშ

ჩემს ასტურიას,  
მის მიწას,  
მის ხალხს,  
მის სულს.

მოკმედეხი - პირნი

- მწირი ძალი.
- ბელჯა.
- დედა.
- ადელა.
- ანელიკა.
- დორინა.
- პირველი ძალიუვილი.
- მეორე ძალიუვილი.
- მესამე ძალიუვილი.
- პაპა.
- მარტინი.
- კვიკო.
- ანდრესი.
- ფალინი.
- პირველი უმეფვილი.
- მეორე უმეფვილი.
- მესამე უმეფვილი.

ალექსანდრო კასონა ავტორია საყოველთაოდ ცნობილი პიესებისა: „ხეები ზეზეულად კედებიან“ (1949 წ.), „შვიდი ძახილი ოკეანეში“ (1952 წ.), „მესამე სიტყვა“ (1953 წ.). დაიბადა ჩრდილოეთ ესპანეთში, ასტურიაში, იზრდებოდა დიდ ოჯახში, სახლში (ესპანურად — კასონა), და აქედან მოდის ფსევდონიმიც ალექსანდრო როდრიგეს ალვიარესისა.

ასტურია ზღვაოსნების, მიწათმოქმედთა და მღაროელების, კლდოვანი მწვერვალებისა და მწვეანე საძოვრების მხარეა. ესაა ერთადერთი მხარე ესპანეთისა, რომელიც მკვრებმა ვერ დაიმორჩილეს და რომელმაც შემოინახა ძველებური რომანული კულტურის ნაშთები, ოდინდელი რიტუალები, სიმღერები, მითები და ლეგენდები, ხარბად რომ შეიწოვა მომავალმა მწერალმა.

მისმა დებიუტმა დრამატურგიაში — პიესამ „სირინოზი ხმელეთზე“ (1933 წ.) ლობე დე ვეგას პრემია და სახელი მოუხვეჭა.

1931 წელს, რესპუბლიკური წყობილების დამყარების შემდეგ, მასწავლებლობა მიატოვა და პედაგოგიურ მისიათა პატრონაჟის მოძრავე თეატრის ხელმძღვანელედ მუშაობდა. ხელი-სუფლების სათავეში ფრანკისტების მოსვლის შემდეგ არგენტინაში გაემგზავრა და ემიგრაციიდან მხოლოდ 1961 წელს დაბრუნდა. 1962 წლის 12 აპრილს მადრიდის ხელოვნების თეატრში დაიდგა მისი პიესა „დილის ფერია“, 25 წლის შესვენების შემდეგ მისი სახელი კვლავ გამოჩნდა ესპანეთის თეატრალურ აღიშებზე. ზოგიერთი მკვლევარი ამ პიესას კასონასთვის ყველაზე დამახასიათებელ ნაწარმოებად მიიჩნევს. იგი გაელენთილია ასტურიული ფოლკლორის, ხალხური რიტუალებისა და რწმენის სულისკვეთებით, სადაც ერთმანეთსაა გადახლართული ქრისტიანული და წარმართული ელემენტები.

ამ პიესით კასონა გამოხატავს ვერაგობასა და სულმდაბლობაზე კეთილშობილების, სიყვარულისა და თავგანწირვის გამარჯვების რწმენას.

პირველი მოქმედება

ასტურია. სოფლის დიდი სახლის პირველი სართული. თეატრად შეფუთილი ქვისა და ხის მაგარი კედლები. სიღრმეში დიდი კარი და მინდვრად გამავალი ფანჯარა. მარჯვნივ ხრახნილი კიბე, რომელიც ზედა ოთახებში ადის. პირველ პლანზე (მარჯვნივ) გასასვლელი საქონლის ბაკში. მარცხნივ — სამზარეულოში. კედელზე ცელი ჰკიდია. დგას კაკლის უხეში ავეჯი და ძველებური კედლის საათი. იატაკზე მატყლის ძაფის დიდი გორგლებია. დამე. ლამპის შუქზე დედა, პაპა, ანდრესი, დორინა და ფალინი ვახშობას ამთავრებენ. სუფრას ტელბა ემსახურება.

პაპა. (პურს ჭრის). პურა ჭერ იხევ ცხელია. აყვავებული შავთავას სუნი უდის.

ტელბა. შავთავასა და ხმელ ვაზის ღერწს არაფერი ხჯობია ღუმლის გახაზურებლად. ამ პურის ფერზე რას იტყვიო? პური კი არა, ოქროა. არადა, ამის შეტი ხორხალი არცაა ხედელში.

პაპა. ხორხალი კარგია, მაგრამ საქმე მართო ეს არაა. ღმერთმა ხელები იმისთვის მოგცა. პური რომ აცხო.

ტელბა. ახლა კვერცხიანი კვერის როგორი გამოდის? ზამთარში იმას რამე ხჯობია, გამთბარ დვინოში ჩაშხალს? (უყურებს დედას, რომელიც მაგიდასაა იდაყვით ჩამოყრდნობილი და ფიქრებით სადღაც შორს წასულა). რაო, დიასახლისი არაფერს მიირთმევს?

დედა დუმს. ტელბა ჩუმად ამოიხვნეშებს. ბავშვებს ფინჯნებში რძეს უსხამს.

ფალინი. რძეში პურის ჩაფშენა შეიძლება?

ანდრესი. კატამ თუ შეიძლება ჩემთან ერთად ჭამოს?

დორინა. კატის ადგილი სამზარეულოშია, თათები სულ ნაცარში აქვს ამოგანგლული.

ანდრესი. შენ რას გვეჩრები? კატა ხომ ჩემია.

დორინა. სამაგიეროდ, სუფრას შე ვრეცხავ.

პაპა. კარგი ახლა, დაუთმე დას.

ანდრესი. ვითომ რატომ? შე მასზე უფროსი ვარ.

პაპა. მაგრამ ის ხომ ქალია.

ანდრესი. სულ ერთი და იგივე უნდა შენაპარაკოთ! კატას სუფრაზე ჭამა უნდა — არ შეიძლება, შე იატაკზე ჭამა მინდა — არც ეს შეიძლება!

ტელბა. კარგი მო, გაიზრდები და შენ იქნები აქ გამრიგე.

ანდრესი. აი, ხომ ხედავთ, სულ ერთსა და იმავეს მიჩიჩინებთ.

ფალინი. კი მაგრამ, ჩვენ როდის გავიზრდებით, პაპა?

- პაპა. მალე გაიწრდებით, როცა წერა-კითხვას ისწავლით.
- ანდრესი. თუ სკოლაში არ წავალთ, ვერც ვერასოდეს ვისწავლით.
- პაპა. (დელას) ბავშვები სწორს ამბობენ. ისინი უკვე დიდები არიან და სკოლაში უნდა წავიდნენ...
- დედა (ზარდაცემულივით). არ წავლენ! სკოლა მდინარის ვაღმაა... მე კი არ მინდა, ჩემი შვილები მდინარეს გაეკარონ.
- დორინა. ყველა სხვა ბავშვი იმ სკოლაში დადის. გოგოებიც დადიან. ჩვენ რატომ არ შეგვიძლია მდინარეზე გადავიდეთ?
- ტელა. კმარა, კმარა, კმარა ამაზე ლაპარაკი. (დორინას ელაპარაკება. თან ფინჯნებს იღებს). ხიმინდის კვერის გამოცხობა არ გინდა? თორემ ბუნხარი საცაა ჩაქრება.
- ანდრესი. (დგება). ჩვენ ისევ გავაფარვარებთ. მე მოგეხმარები.
- ფალინი. მეც!
- დორინა. შეიძლება ზემოდან ცოტა გოლეული დავადო?
- ტელა. ქვევით კი ლედვის ფოთლებს დავუფენ, ძირი რომ არ დაეწვას. შენ მალე ქალი გახდები... და ოჯახში მარტო იქნები (ბავშვებთან ერთად სამზარეულოში გადის).
- პაპა. ეს არ უნდა გეთქვა ბავშვების გასაგონად. სულ მწუხარებით მოწამლული ბაერით სუნთქავენ.
- დედა. ის ამათი და იყო და არ მინდა დაივიწყონ.
- პაპა. მაგრამ მათ მზეზე უნდა ირბინონ და ხმამალლა იცინონ. წუნარი ბავშვი ბავშვი არაა.
- დედა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ გვერდით არაფერი ემუქრებათ.
- პაპა. ნუ გეშინია, ტყვია ერთხა და იმავე ადგილს ორჯერ არახოდეს ხვდება, ამაზე ნუ ფიქრობ.
- დედა. შენ კი არ ფიქრობ? ვიცი, რაზეც ფიქრობ, როცა ხაათობით ზიხარ გატრუნული ჩამქრალი ჩიბუნით პირში.
- პაპა. უკან ყურება რის მაქნიხია? რაც მოხდა, მოხდა, ცხოვრება გრძელდება. შენ ოჯახი გაქვს და იგი უწინდებურად ბედნიერი უნდა გახდეს.
- დედა. აღრე ყველაფერი ისე იოლი იყო. მაშინ აქ ანტელიკა გვყავდა.
- პაპა. შენ სამი კიდეც გყავს. მათზე იფიქრე.
- დედა. დღეს მხოლოდ ანტელიკაზე შემოძლია ფიქრი, დღეს მისი დღეა. მაშინაც, ამ ოთხი წლის წინათ, ასეთივე ღამე იყო.
- პაპა. უკვე ოთხი წელია... (ფიქრში წასული ახვევს პაპიროსს ცეცხლის ახლოს). ბაკიდან შემოდის მეწისქვილე, ეს კვიკოა.
- კვიკო. შესანიშნავი მთვარიანი ღამეა. მისწრებაა მოგზაურობისთვის. ცხენი უკვე შეკაზმულია.
- დედა. (თავს მაღლა სწევს). შეკაზმულია? ვინ ბრძანა?
- პაპა. მე ვბრძანე.
- დედა. რისთვის?
- პაპა. მარტინს უნდა მთაში ასვლა, რათა თვითონვე აარჩიოს ხარები ზეიმისთვის.
- დედა. მაინცდამაინც დღეს მოუნდა? ასეთ ღამეს შეეძლო შინ დამდგარიყო.
- პაპა. მაგრამ ზეიმი ხვალაა.
- დედა (ბუზღუნით). რა გაეწყობა, თუკი მას ასე სურს, წავიდეს... შემოდის ტელა.
- კვიკო. დიასახლისი რამეს ხომ არ გვიბრძანებს?
- დედა. არაფერს, ასე გვიან წისქვილში წახვალ?
- კვიკო. სამუშაო ყოველთვის გამოინახება. თუ სამუშაო არაა, ჭრიქინობელები და წყლის რაკრაკში ძილს რა სჭობია.
- ტელა (ღვარძლიანად). თანაც წისქვილი ალკალდის კარშიდამოს გვერდითაა... ალკალდს კიდევ სამი ერთმანეთზე მაზინჯი ქალი შეყავს. ამბობენ, ძალი მოწამლეს, რომელიმე უმაწვილი ღამე ღობეზე რომ ძვრებოდა, უეფას ტეხდა ხოლმეო.
- კვიკო. ამბობენ, ამბობენ... იმასაც ამბობენ, ჭოჭოხეთი ქალების ენებითაა მოფენილიო. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ქალბატონო! (მხიარული სტვენა-სტვენით გადის).
- ტელა. ჰო, ჰო, გუშინ კი არ დავიბადე. როცა ეგ წისქვილში მიდის, თვალები ვარსკვლავებით უციმციმებს.

პაპა. შენ არ გაჩუმდები?

ტელბა. (სუფრას ალაგებს). შე არავის ვაბეზღებ, თუკი ზედმეტი ვთქვი, მარტო იმიტომ, ცოტა შეება ვიგრძნო... ეს ჭურჭლის დამსხვრევასავითაა. განა ეს ცხოვრებაა? დიასახლისი ზის და თვალებით კედელსაა მიციებულნი, თქვენც კუთხე-კუთხე მიმსხვარხართ გატრუნულნი... ბავშვებიც გადაეჩვივნენ ხმამაღლა ლაპარაკს, ცდილობენ არ იხმაურონ, თითქოს დედიშობილა არიანო. მეც თუ გავჩუმდი, სახლი ხელს ამომწყდარივით იქნება.

დედა. ამ დღეს ხმამაღლა ლაპარაკი საჭირო არაა. სიჩუმეში უფრო იოლია გახსენება.  
ტელბა. თქვენა გგონიათ, დავივიწყე? მაგრამ ცხოვრება არ ჩერდება. რა საჭიროა ფარდების ჩამოსვება და ღამეაო, იმის მტკიცება? მზე ყოველდღე ამოდის.

დედა. ჩემთვის არა.  
ტელბა. მომიხმინეთ, ქალბატონო. ყურთამდე გააღეთ ანტილიკას ოთახის კარები, აივანზე გაფინეთ ზეწრები და ზანდუკებს მტვერი გადაწმინდეთ.

დედა. მზესაც კი არა აქვს მის ოთახში შესვლის უფლება. ეს მტვერი ერთადერთია, რაც იმ დღიდან დამრჩა.  
პაპა. (ტელბას). ამოდ ირჭები. ეს იმ ადამიანსა ჰგავს, ხიწვის ამოდებას რომ არ ანებებს არავის.

დედა. მერედა, რა ჭობია ხიწვის უკეთესია ყოველდღე გრძნობდე მას, ხუდ ტანში გქონდეს შერკობილი, ვიდრე დაგავიწყდეს... როგორც თქვენ უველას.

ტელბა. დუმილი უგრძნობლობას არ ნიშნავს. მე რომ გავთხოვდი, ასე მეგონა, ქმარს არ ვუყვარვარ-მეთქი, რადგან ლამაზ-ლამაზ სიტყვებს არასდროს მეუბნებოდა. მაგრამ ყურძნის პირველი მტევანი ყოველთვის ჩემთან მომქონდა და შვიდ წელიწადში შვიდი შვილი — შვიდივე ვაჟი მაჩუქა. უველა თავისებურად გამოხატავს თავის გრძნობას.

პაპა. მო, შენ ვაჟკაცი ქმარი გყავდა. ამ მიწაზე მამაკაცები ყოველთვის ასეთნი იყვნენ.  
ტელბა. მუხასავით კაცი იყო. იმას ნაჭახიცი ვერაფერს დააკლებდა.

დედა. ქმარი მოდის და მიდის. იგი შვილივით ხორცი ხორცთაგანი არ არის.  
ტელბა (ერთხანს დუმს). თქვენ მეუბნებით, შვილი რაა დედისთვის? მე მეუბნებით! თქვენ ერთი დაკარგეთ, გაანათლოს მამაზეციერმა, მე კი შვილი დავკარგე ერთ დღეს, შვიდივე ერთად! მიწით თვალეზამოცსებულნი, ნახშირით გამურულნი ამოიყვანეს ისინი მაღაროდან. მე თვითონ, ჩემი ხელით გავხანე შვიდივე, ერთიერთმანეთზე მიუყოლებით. მერე რა ვქენი? შავებში გავებხვიე და კართან ჩამოვჭექე, რომ გაუთავებლად მეტირა? მე მათ ფეხზე მდგარი ვტიროდი, ფეხზე ვიდექი, ვმუშაობდი და ისე!

(ხმა უწყდება, წინსაფრით ცრემლს იწმენდს და ჭურჭლის ალაგებას განაგრძობს). მე უკვე აღრ შემეძლო სხვა შვილების ყოლა და ჩემს ბაღში შვილი ხე დავრგე, ჩემი შვილი ვაჟივით მაღალი და ლამაზი ხეები. (თითქმის ჩუმად). როცა ზაფხულში მათ ჩრდილში ვჭდები ხაქსოვად, ახე მგონია, მარტო არა ვარ-მეთქი.

დედა. ეს ერთი და იგივე არ არის. შენები მიწაში წვანან და მათ თავზე ბალახი და ქვავიც კი ხარობს. ჩემი კი წყალში წევს. შენ შეგიძლია წყალს აკოცო? შეგიძლია გულში ჩაიკონო იგი, თავზე დაშკვითინო? აი, რა მიწვავს და მითუთქავს გულს.

პაპა. მას მთელი სოფელი ეძებდა. საუკეთესო მოცურავეებმა უველაზე ღრმა ადგილებშიც კი ჩაყვინთეს.  
დედა. ცოტა ეძებეს. მეტხანს რომ ეძებნათ, იპოვიდნენ.

პაპა. აღრეც უოფილა ასეთი შემთხვევა, მაგრამ ვერ იპოვეს. მორევს ფსკერი არა აქვს.  
ტელბა. ამბობენ, იქ, სიღრმეში მთელი ქალაქია თავისი ეკლესიითა და სხვა უველაფრითო. ზოგჯერ, წმიდა იოანეს ღამეს, წყლიდან ზარების რეკვა ისმის.

დედა. იქ სასახლეც რომ იდგეს, მაინც არ მინდა ჩემი შვილი იყოს წყალში, სადაც გამვლილ-გამომვლულნი ქვებსა ბყრიან. საღვთო წიგნში ნათქვამია: მიწა ხარ და მიწად იქეციო. მე მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა მას იპოვიან. კიბეზე ჩამოდის მარტინი, ახალგაზრდა მთიელი, ძლიერი, ღონიერი. მხედრის ტან-საცმელი აცვია. ლურსმნიდან ჩამოხსნის და იცვამს ბეწვის ქურთუკს.

მარტინი. ცხენი შეკაზმულია?  
პაპა. კვიკომ შეკაზმა, ვიდრე წისქვილში წავიდოდა.  
ტელბას გააქვს ქურქელი.

- დედა. შენ ამაღამ აუცილებლად უნდა ახვიდე მთაში?
- მარტინი. მე თვითონ მინდა ხარები ავარჩიო, ზეიში რომ დაამშვენონ.
- პაპა. თუ მხოლოდ ამისთვის მიდიხარ, მწყემსი აგერ არაა?
- მარტინი. მაგას ხარები ჩემსავით არ უყვარს. გაჩენიდანვე ჩემი ხელიდან გამდნენ შარილს და დღეს, როცა მიდიან, ჩემი ხელითვე მინდა ჩვენი ოჯახის დალი დავასვა.
- დედა (საყვედურით). იმაზე კი არ გიფიქრობ, რომ ამაღამ უფრო მწყემსებარ ვიდრე სხვა დროს? დაგავიწყდა, ეს რა ღამეა?
- მარტინი. ეს ღამე?.. (უცქერის პაპასა და ტელბას, რომელიც ეს-ესაა მობრუნდა. ისინი თავს დალუნავენ.) პოო...
- დედა. ვიცი, არ გინდა ამის გახსენება. მაგრამ მე არ გთხოვ ილაპარაკო. ისიც შეყოფა, რომ ჩუმად მჭდარს მაინც გხედავდე.
- მარტინი (ცოვად). მწყემსი შელოდება.
- დედა. ასე აუცილებელია შენი წასვლა?
- მარტინი. აუცილებელიც რომ არ იყოს... უმჯობესია ახალი ხე დავრგოთ, ვიდრე გამხმარზე ვიტყროთ.
- დედა. მეხმის. ანუელიკა შენი საცოლდე ორი წელი იყო, ცოლად კი სულ ხამი დღე გყავდა, შეუყვარებისთვის ცოტა დროა.
- მარტინი. ოცდაათ წელიწადსაც ვერ შევიყვარებდი იმ სამ დღეზე მეტად.
- დედა. (მიდის მისკენ, თვალს თვალში გაუყრის). მაშინ რატომ მის სახელს არ ახსენებ? როცა მთელი სოფელი ტირილით ეძებდა, შენ მუშტებმოკუშული რატომ იჭექი სახლში? (უფრო ახლოს მიიწევს) ან რატომ არ მისწორებ თვალებს, როცა მასზე ვლაპარაკობ?
- მარტინი. (ველარ ითმენს). გეყოფათ! (სწრაფად გადის ბაჟში).
- პაპა. შენ იმდენს იწამ, მარტინს შეაძულებ ამ სახლს. მოგონება არ შეიძლება შეუხორციებელ ჭრილობად გადააქციო.
- დედა. (სიძწრით). შენც ამას მეუბნები?... უკვე აღარავის უყვარს იგი (მძიმედ დაეშვება სკამზე).  
ტელბა გვერდით მიუჭდება, შუაში ბარდიან კალათს დადებს, ისმის ძაღლის ყეფა
- ტელბა. არ მიშველით ბარდა გამოვჩურჩო? (იწყებს ჩურჩინას). როცა მე ასე ვწივარ, ხედები მუშაობენ, ფიქრი კი სადღაც დაფრინავს.  
პაუზა. ორივენი ჩურჩინიან ბარდას.
- დედა. სად დაფრინავს შენი ფიქრი, ტელბა?
- ტელბა. იქ მიფრინავს, სადღაც შვიდი შადალი ხე დგას. თქვენი, ქალბატონო?
- დედა. ჩემი უოველთვის ერთ ადგილზე ყვინთავს, წყალში.  
ისევე ისმის ყეფა.
- ტელბა. ძაღლი უყეფს ვიდაცას.
- პაპა. უცხოა ალბათ, ამსოფლებებს ეს ყველას შორიდანვე სცნობს.  
შემორბიან ცნობისწადილითა და შიშით შებყრობილი ბავშვები.
- დორინა. იქ ქალია, დედა. ალბათ გზა აებნა.
- ტელბა. აქეთ მოდის, თუ?..
- ფალინი. აქეთ მოდის.
- ანდრასი. მწირისავით კაპიშონი ახურავს და ქონი უჭირავს.  
კარზე აკაკუნებენ. ტელბა დედას შეხედავს — როგორ მოვიქცეო.
- დედა. გაადე. ღამე მგზავრს არ შეიძლება კარი დაუკეტო.  
ტელბა ურდულს გამოსწევს, კარში გამონდება მწირი ქალი.
- მწირი ქალი. მშვიდობა სახლსა ამას და ბედნიერება მკვიდრთა მისთა.
- ტელბა. ამინი სასტუმროს ეძებთ? ის მდინარის გაღმაა.
- მწირი ქალი. მაგრამ უკვე გვიანია და ნავი არ დადის.
- დედა. დაე, შემოვიდეს. მწირებს გათბობის უფლება აქვთ, მათ მშვიდობა შეაქვთ იმ ოჯახებში, რომლებიც მასპინძლობას უწყევნ.
- მწირი ქალი შემოდის სახლში. ტელბა კარს მიკეტავს.
- პაპა. გზა აგებნა?
- მწირი ქალი. მეტი სიარულის ძალა არა მაქვს, შორიდან მოვდივარ, გარეთ კი ცივა.

პაპა. ცეცხლთან დაბრძანდით. და თუ რამე გჭირდებათ... გზამ მოშიება და მოწყურება იცის. მწირი ძალი. მე არაფერი მინდა, ცოტას გავთბები და მორჩა. (ჯდება ცეცხლთან) დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ გავთბებოდი.

ტილბა. ამის გამოცნობა არც ისე ძნელია. საკვამურიდან ამომავალ კვამლს დანახავდით. მწირი ძალი. არა. ფანჯარაში ბავშვები დავინახე. სადაც ბავშვებია, იქ ყუფილნი არიან. იხდის კაპიშონს და გამოჩნდება მისი ლამაზი, ფერმკრთალი უცნაური დეტალები სახე.

ანდრესი. (ჩუმად). რა ლამაზია!..

მწირი ძალი (პაპას, რომელიც დაძაბულად უყურებს). რატომ მიყურებთ ასე? ვინმე ხომ არ გაგახსენდათ?

პაპა. შემძლია დავიფიცო, პირველად არ ვხვდებით ერთმანეთს.

მწირი ძალი. შესაძლოა. იმდენი სოფელი მაქვს შემოვლილი და იმდენი გზა გავლილი.. (ბავშვებს, რომლებიც მას ცნობისწადილით უჭვრეტენ, ტელბას კაბას ჩაფრენილნი). თუ ასე მიყურეთ, თვალები გადმოგცვივათ. ახლოს მოხვლა გეშინიათ?

ტილბა. აპატიეთ, შეჩვეულნი არ არიან.

მწირი ძალი. ჩემი გეშინიათ?

ანდრესი (თამამად უახლოვდება). მე არ მეშინია. სხვები ჭერ პატარები არიან.

ფალინი (წინ წამოიწევა). ჩვენ მწირი არასოდეს გვინახავს.

დორინა. მე იხინი გრავიურებზე მინახავს. თავზე მრგვალი რაღაცა ახურავთ, წმინდანებისვით.

ანდრესი (უბირატესობის გრძნობით). წმინდანები მოხუცები არიან და მათ წვერი აქვთ.

ამ ქალს კი თმა თავთუხებს უგავს და დიდ სენიორასავით თეთრი ხელები აქვს.

მწირი ძალი. შენი აზრით, ლამაზი ვარ?

ანდრესი. ძალიან. პაპა ამბობს, ხილამაზე ყოველთვის შორიდან მოდიხო.

მწირი ძალი. (იღიმება, თავზე ხელს უსვამს). გმადლობ, ბიჭუნავ. როცა დავაუკაცდები, ქალებს ყური შენკენ ექნებათ. (ირგვლივ იხედება) შვილიშვილები, პაპა და ცეცხლი ბუხარში. ბედნიერი ოჯახია.

პაპა. ბედნიერი იყო.

მწირი ძალი. მას მარტინ დე ნარსესის სახლს ეძახიან?

დედა. მარტინი ჩემი სიძეა. იცნობთ მას?

მწირი ძალი. გამოგონია, გვარში გამორჩეული ვაუკაცი, გულფიცხი და ამ მხარეში საუკეთესო მხედარიაო.

შემოდის მარტინი.

მარტინი. ჭაკი ბაქში არაა. კუტიკარი ღია დატოვეს და ახლა მისი კიბვინი მთაში ისმის.

პაპა. შეუძლებელია. ეგ კვიკომ შეკაზმა.

მარტინი. მაშ, კვიკო დაბრმავდა? კავშია შეუკაზმავს.

დედა. კვიკო? (გაკერპებული დგება). არა და არა! შენ არ შექდები იმ გადარეულზე.

მარტინი. ვითომ რატომ არა? როდისმე ხომ უნდა ვცადო. დეზები სადაა?

დედა. ღმერთისა გეშინოდეს, შვილო. გზები მოყინულია, საშიშია.

მარტინი. შენ ყველაფრისა გეშინია. შენი შვილებით კუთხეში გინდა მიმსვა? მომბერდა ქალების ეს გაუთავებელი რჩევა-დარიგებები. (მტკიცედ). დეზები სადაა-მეთქი? ტელბა და პაპა დუშან. მწირი ქალი მშვიდად ჩამოხსნის დეზებს ბუხრიდან.

მწირი ძალი. ესაა?

მარტინი (გაოცებით უყურებს, ხმას დაუწევს). შაპატიეთ. ვერ შეგამჩნიეთ. (კითხვის თვალით უყურებს იქ მყოფთ).

პაპა. ეგ მწირია.

მწირი ძალი. მე ბუხართან შემომთავაზეს ადვილი და მადლობით მინდოდა გადამეხადა. (იჩოქებს). ნებას მომცემთ?... (დეზებს გაუკეთებს.)

მარტინი. გმადლობთ...

ერთხანს დაქინებით უყურებენ ერთმანეთს. ქალი ისევ დაჩოქილია.

მწირი ძალი. ნარსესები ყოველთვის კარგი ცხენოსნები იყვნენ.

მარტინი. აგრე ამბობენ. მე თუ ვეღარ გნახეთ, მშვიდობის გზას გისურვებთ. დედა, გულმშვიდად დაიძინე, არ მიყვარს, როცა ფანჯარაში შუქით მელოდებიან.

ანდრესი. უზანგს მე დაგიჭერ.

დორინა. მე კი აღვირს.

ფალინი. ჩვენ უველანი წამოვალთ  
მიჰყვებიან.

ტელბა (დედას). თქვენი ბრალია. რაო, მამაკაცებს არ იცნობთ, თუ? იმათ თუ უთხარიო,  
იქით წადითო, აქეთ წამოვლენ.

დედა. ქალებს უოველთვის რატომ უნდათ ვაჟები ჰყავდეთ? კაცებს (ცხენებს და მთები უყ-  
ვართ. მხოლოდ ქალიშვილი აბედნიერებს ოჯახს. (დგება.) სენიორა, შაჰატით, მე  
გტოვებთ. თუ ამალამ ჩვენთან დარჩენას გადაწყვეტთ, უველაფერს მოგართმევინ,  
რაც საჭიროა.

მწირი ძაღლი. დასვენების დროს ვერ მომცემენ. გზა უნდა გავაგრძელო.

ტელბა. (დედასთან ერთად მიდის კიბემდე). თქვენ დასაძინებლად მიდიხართ?

დედა. მართკო მინდა ვიყო. თუ არავის უნდა ყური მიგდოს, ჩავიკეტები ოთახში და ვილოცებ.  
(მალლა იდის.) ლოცვა უვირილს ჰგავს... ოღონდ ჩუმ უვირილს... (გადის).  
ჰაუზა, ისევ ძაღლი ყეფს.

ტელბა. რა დაემართა ამ ეშმაკის კერძს ამალამ? (დაამთავრა ბარდის გამოჩურთვა და კერვას  
შეუდგა).

მწირი ძაღლი. როგორა თქვით, რა ჰქვია იმ საშიშ ადგილს მთებში?

პაპა. რაბიონი ჰქვია.

მწირი ძაღლი. რაბიონი? ეგ დიდი წაბლის ხის გვერდითაა? ასი წლის წინათ ის ხე მეხმა გაბ-  
ლიჩა, მაგრამ მისი მოკაყული ტანი დღემდე იქ აყუდია და ფეხვებით დღემდე  
კლდეშია ჩაბლაუჭებული.

პაპა. გეტყობათ, აქაურ ადგილებს ცუდად არ იცნობთ.

მწირი ძაღლი. მე აქ ვიყავი, მაგრამ უოველთვის გავლით...

პაპა. აი, სწორედ ეს მინდოდა მთელი ეს ხანი გამეხსენებინა. ნეტა, სად მინახიხართ... და  
როდის? თქვენ არ გახსოვართ?

ტელბა. საიდან უნდა ახსოვდე? ახალგაზრდა, ლამაზი რომ იყო, კიდევ შო, მაგრამ უველა ბე-  
ბერი ერთმანეთსა ჰგავს.

პაპა. თუ შევხვედრივართ, მხოლოდ აქ, თორემ არასოდეს მიმოგზაურია სხვაგან. კიდევ რო-  
დის იყავით აქეთ?

მწირი ძაღლი. უკანასკნელად? მაშინ დიდი დღესასწაული იყო, სტვირზე უკრავდნენ, დოლებს  
სცემდნენ. მთის უველა ბილიკიდან წყვილები ეშვებოდნენ უვაკილებით მორთული  
ცხენებით, ხოლო მინდორი ხორაგით ხავსე ხალიჩებით იყო მოფენილი.

ტელბა. შემკვიდრე გათხოვდა, მისი ქორწილი იყო. ღმერთო მოწყალეო! სიღრის ჩანჩქერები  
ჩქეფდა, მთელი ახლომახლო სოფლები მოედანზე მოჭარდნენ რიგოდონის საცეკ-  
ვაოდ.

მწირი ძაღლი. მე მათ შორიდან, მთიდან ვხედავდი.

პაპა. ეს ორი წლის წინათ იყო. ადრე, ადრე არ უოფილხართ აქეთ?

მწირი ძაღლი. მახსოვს, სხვა დროს ზამთარში ვიყავი. უსაშველო დიდთოვლობამ უველა გზა  
მოანამქერა. სოფელი ჭუჭების კრებულს ჰგავდა, საკვამურთა თეთრი კაპიშონებითა  
და სახურავებიდან ჩამოკიდებული უინულის წვერებით.

ტელბა. იმისთანა გრიგალი სხვა დროს არც უოფილა.

პაპა. უფრო ადრე... გაცილებით უფრო ადრე?..

მწირი ძაღლი (ცდილობს გაიხსენოს). უფრო ადრე.. ისე დიდი ხნის წინათ ვიყავი, თითქმის  
დამავიწყდა. შავი, სქელი კვამლი იდგა, სუნთქვა უჭირდა ადამიანს. მალაროში საყ-  
ვირი მგელივით ყმუოდა... მამაკაცები მუშტებშეკუმშულნი გარბოდნენ... ღამით  
კი უველა კარი იყო მოღიავებული და ქალები სახლებში ხმამაღლა მოთქვამდნენ.

ტელბა. (აღელვებით იწერს პირჭვარს.) უოველად წმინდაო ღვთისმშობელო, წარბოცე იმ დღის  
მოგონება!

ქრიაბულით შემორბიან ბავშვები

დორინა. მარტინი უკვე მთებში მიჰქრის!

ფალინი. იგი სოფელში საუკეთესო მხედარია!

ანდრეისი. როცა გავიზრდები, მეც მასავით მოვათვინიერებ ულაყებს.

ტელბა (ადგება, საკერავს მობოჭივს). როცა გაიზრდები, მერე ვნახოთ. ახლა კი — შაიდა,  
ლოგინში, უკვე გვიანია. ძილში უფრო სწრაფად იზრდებიან პატარები.

ანდრესი. ჭერ ძალიან ადრეა. სენიორას კი იმდენი ხაინტერესო რამა აქვს ნანახი, შეუძლია ზღაპარი გვიამბოს... ან რომანსი გვიმღეროს.

ტელზა. აი, ის, თეთრ ზეწრებზე რომ მღერიან, ყველაზე კარგია.

მწირი ძალი. თავი გაანებეთ. ბავშვები ჩემი მეგობრები არიან, მე კი აქ ძალზე ცოტა ხანს დავრჩები.

ანდრესი. თქვენ ამაღამ წახვალთ? თუ ვეშინიათ, მე გაგაცილებთ.

მწირი ძალი. შენა? შენ ხომ ჭერ პატარა ხარ.

ანდრესი მერე რა, პატარა ვაჟკაცი დიდ ქალზე მეტად ფასობს. ასე ამბობს პაპა.

ტელზა. გესმით? ამათ როგორ მოუგებ სიტყვას? აბა, ჩქარა ჩაწეკით 'თქვენ-თქვენს ლოგინში'

მწირი ძალი. მოეშვი, ტელზა, მე ვიქნები ამათთან.

ტელზა. თქვენ? ვერაფერს იტყვი, კარგ მაგალითს აძლევთ. (ბუზლუნით გადის). ვილაცამ ხწო-რადა თქვა: „მღვდელი თუ ბანკოს თამაშობს, სამწყსო რას იზამსო?“

პაპა. კომპასტელაში თუ მიდიხართ, შემოძლია გზა გიჩვენოს.

მწირი ძალი. არაა საჭირო, იგი ცაზე ვარსკვლავთა ციაგითაა მონიშნული.

ანდრესი. ვარსკვლავები რისთვის უჩვენებენ ამ გზას?

მწირი ძალი. იმისთვის, რომ სანტ-იაგოში ხალოცავად მიმავალთ გზა არ აებნეთ.

დორინა. ყველა მლოცველი რატომ უნდა წავიდეს სანტ-იაგოში?

მწირი ძალი. იმიტომ, რომ მოციქულის აკლდამაა იქ.

ფალინი. კი, მაგრამ მოციქულის აკლდამა იქ რატომაა?

პაპა. ამათ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ბავშვს მეტი კითხვა აქვს, ვიდრე ბრძენს — პასუხი. (ხელავს, როგორ შემალა მწირმა ხელები სახელოში). ბუხარი ქრება. თქვენ გცივათ?

მწირი ძალი. ხელებზე ყოველთვის.

პაპა. ერიკას მოვიტან. როცა იგი იწვის, ისეთი სუნი დგება... (გადის).

ბავშვები ჰაიპარად შემოერთყმებიან მწირ ქალს.

დორინა. ახლა კი ზღაპარს მოგვიყვებით?

მწირი ძალი. განა პაპა არ გიყვებათ ზღაპრებს?

ანდრესი. პაპა სულ იწყებს ხოლმე, მაგრამ არ ამთავრებს, სიგარა უქრება, რას ჰყვებოდა ავიწყდება და ფაფუ! — ველარ აგრძელებს.

დორინა. ადრე სულ სხვა იყო. ანეელიკამ ასობით ზღაპარი იცოდა, ზოგიერთს მღეროდა კიდევ. ისე ჰყვებოდა, თითქოს ყველაფერი თავისი თვალთ უნახავსო.

ანდრესი. ეშმაკსა და ცბიერზე ჰყვებოდა, გოგოზეც, რომელსაც ვაუობა უნდოდა, რათა არა-გონისთვის ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა.

დორინა. კოანაზეც ჰყვებოდა, რომელიც წყაროსთან ოქროს ძაფებს ართავდა.

ფალინი. ბრმა ქალზეც, რომელიც თვალის ხამკურნალოდ წმინდა ღუჩიასთან დაიარებოდა...

მწირი ძალი. ანეელიკა ვინაა?

დორინა. ჩვენი უფროსი და. ის მთელ სოფელს უყვარდა, მაგრამ ერთ ღამეს მდინარეში და-იხრჩო.

ანდრესი. და მას შემდეგ არც უვირილი შეიძლება, არც თამაში.

ფალინი. შენ რაიმე თამაში თუ იცი?

მწირი ძალი. ალბათ, უკვე ყველაფერი დამავიწყდა. მაგრამ თუ მიჩვენებთ, ვისწავლი.

ბავშვები ირგვლივ ეხვევიან და ერთხმად ყვირიან.

ფალინი. აბა, მიდი — „ტირი-ტან, ტირი-ტან, მოგვიბრძანდა სან-ახუანი...“

დორინა. არა, მოდით, ესა თქვით — „დაგველოდე ქვემოთაო, ნუ ამოხვალ ზემოთაო!“

ანდრესი. არა, არა, მოითმინეთ. თავი მიაბრუნეთ და ნუ გვიყურებთ.

მწირი ძალი თვალებს ხუჭავს, ბავშვები კი ერთმანეთში ჩურჩულებენ.

მორჩა! ახლა, ყველა იატაკზე დასხედით.

ეგრე. ახლა ერთი ილაპარაკებს, სხვები გაიმეორებენ, ვისც შეცდება, ის გაღაიხ-დის ქარიშას. შევთანხმდით?...

უველანი. შევთანხმდით!

იწყებენ თამაშს, თან მხიარულად აჩვენებენ იმას, რასაც ამბობენ.

ანდრესი (დგება). ეს წითელი ღვინის ბოთლია, რომელსაც მეზობელი სასოებით ინახავს.

უველანი ერთხმად. ეს წითელი ღვინის ბოთლია, რომელსაც მეზობელი სასოებით ინახავს.

ფალინი (დგება).





ესაა საცობი,  
რომელიც ახურავს ღვინის ბოთლს,  
იმ ბოთლს,  
მეზობელი სასოებით რომ ინახავს.  
უველანი ერთხმად.

ესაა საცობი,  
რომელიც ახურავს ღვინის ბოთლს.  
იმ ბოთლს,  
მეზობელი სასოებით რომ ინახავს  
დორინა. (ღგება, ფალინი ჯღება).

ესაა ქერელი,  
რომელიც შობებს საცობს,  
საცობს, რომელიც ახურავს ღვინის ბოთლს,  
ბოთლს, რომელსაც სასოებით ინახავს მეზობელი.  
უველანი ერთხმად. ესაა ქერელი,  
რომელიც შობებს საცობს,  
საცობს, რომელიც ახურავს ღვინის ბოთლს,  
ბოთლს, რომელსაც სასოებით ინახავს მეზობელი.

ანდრეისი. ესაა მაკრატელი,  
რომელიც ჭრის ქერელს,  
რომელიც შობებს საცობს,  
საცობს, რომელიც ახურავს ღვინის ბოთლს,  
ბოთლს, რომელსაც სასოებით ინახავს მეზობელი.

უველანი ერთხმად.  
ესაა მაკრატელი,  
რომელიც ჭრის ქერელს,  
რომელიც შობებს საცობს,  
საცობს, რომელიც ახურავს ღვინის ბოთლს,  
ბოთლს, რომელსაც სასოებით ინახავს მეზობელი.

მწირო ქალი. ეს კი ლოთი ქურდია, რომელიც ჭრის ქერელს, რომელიც შობებს საცობს და  
ხვამს ღვინოს ბოთლიდან, რომელსაც სასოებით ინახავს მეზობელი.

ბავშვები. (ეხვევიან და ევილ-ხვილით ხელსა კრავენ).  
ლოთი ლოთი ლოთი...  
მწირო ქალი დაეცემა და ხმამაღლა იცინის. ბავშვებიც მასთან ერთად იცინიან.  
შეგრამ მწირო ქალი ველარ იკავებს სიცილს, ხარხარებს. დამფრთხალი ბავშვები  
უკან იხევენ და შეშინებულნი შეჰყურებენ. მწირო ბოლოს გონს მოდის. ისიც შე-  
შინებულია.

მწირო ქალი. რა შემართება? რა მიჭერს ყელზე და რა მივსებს პირს ნამსხვრევებით?  
დორინა (ჭერ ისევ შეშინებულია). სიცილი.  
მწირო ქალი. სიცილი? (რის ვაი-ვაგლახით წამოდგება). რა საოცარია.. ეს სიხარულით შემს-  
ჭვალული თრთოლვაა, რომელიც ციყვივით დაგირბის სხეულში... შემდეგ კი მუ-  
ცელი გიცოვდება და მუხლთ გიყვება.  
ბავშვები დამშვიდდებიან და ისევ მიუახლოვდებიან.

ანდრეისი. შენ რა, არახოდეს გაგიცინია?  
მწირო ქალი. არახოდეს. (ხელებს ისინჯავს). გამხურებია.. საფეთქელთან რა მიფეთქავს? რა  
მიფართხალებს სხეულში?

დორინა. ეგ გულია.  
მწირო ქალი (თითქმის თავზარდაცემული). შეუძლებელია... (მოქანცულად შებარბაცდება).  
რა ხაამო დადლილობაა! არახოდეს არ მიფიქრია, სიცილს თუ ასეთი ძალა ჰქონდა!

ანდრეისი. უფროსები მალე ილღებიან. დაძინება ხომ არ ვინდა?  
მწირო ქალი. მერე, ჭერ არ შემოძლია, როცა ეს ხაათი ცხრას დარცავს, უნდა გავიღვიძო.  
რაბიონის უღელტეხილზე შელოდებიან.

დორინა. ჩვენ გაგადვილებთ. (ქალს ბუხართან მიდგმულ სავარძელში სვამს). დაჭექი!

მწირი ქალი. არა არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება. (თითო ტუჩებთან მიაქვს.)  
ჩუმად... ფლოქვების ხმა თუ გესმის?  
ბავშვები აყურადებენ, თან ერთმანეთს შესცქერიან.



ფალინი. მე არაფერი მესმის.  
დორინა. ეს, ალბათ, ისევ გულია.

მწირი ქალი. ღმერთმა ქნას ვაი, როგორ დამიძიმდა ქუთუთოებს!  
არ შემიძლია... მეტი არ შემიძლია... (ბავშვებს დაუჭერებს და დაჯდება).

ანდრეისი. ანუელიკამ ისეთი სიტყვები იცოდა, ადამიანს რომ აძინებს. ვინდა გითხრათ?

მწირი ქალი. თქვი. ოღონდ არ დაგავიწყდეს... ზუსტად ცხრაზე...

ანდრეისი. თვალები დახუჭე და დაუფიქრებლად გაიმეორე. (ნელა, წამღერებით). მაღლა, მაღლა...

მწირი ქალი (ყოველ გამეორებაზე სულ უფრო და უფრო სუსტი ხმით). იქ, მაღლა, მაღლა...  
ანდრეისი. არის თეთრი მთა...

მწირი ქალი. არის თეთრი მთა...  
დორინა. მთაზე კი ფორთოხლის ხე დგას...

მწირი ქალი. მთაზე კი ფორთოხლის ხე დგას...  
ანდრეისი. იმ ხეზე კი ტოტია...

მწირი ქალი. იმ ხეზე კი ტოტია...  
ანდრეისი. ტოტზე კი ოთხი ნაყოფია... ორი ოქროსი და ორი ვერცხლისა...

მწირი ქალი (ძალზე მისუსტებული ხმით). ტოტზე კი ოთხი ნაყოფია... ოთხი.. ოთხი ნაყოფია...

ანდრეისი. დაეძინა.  
დორინა. ხაცოდავი.. ალბათ გზაში ძალიან დაიღალა.

ტელბა. თამაშს მორჩით? აბა, ლოგინში მოუსვით.  
დორინა (ანიშნებს — ჩუმად). ჩვენ დაძინება არ შეგვიძლია. უნდა გავადვიდეთ, როცა საათი ცხრას ჩამოგვრავს.

პაპა. მე გავადვიდებ. გამყევით ტელბას.  
ტელბა. ამ თამაშის შემდეგ მათი დაძინება გაძნელებდა. აბა, ჰაიდა!

დორინა. რა ლამაზია! და რა კარგი რატომ არ შესთავაზებ, ჩვენთან დარჩეს?

ანდრეისი. ალბათ, სახლი არა აქვს... ისეთი ნაღვლიანი თვალები აქვს.

ტელბა. უმჯობესია, საიდანაც მოვიდა, იქით წავიდეს. აბა, მოუსვით არ მომწონს ეს ძღუმალი ქალები, რომლებიც ღამე მარტოდმარტო დახეტიალობენ გზებზე. (გადის ბავშვებთან ერთად.)

ამასობაში პაპა ცეცხლს აჩაღებს. იგი ლამპას აქრობს, სცენა მხოლოდ ბუხრის ცეცხლის ალით ნათდება, მიშტერებით უყურებს მძინარე მწირ ქალს, ცდილობს რაღაცით გაიხსენოს.

პაპა. ხად მინახავს, ხად? ხად და როდის?... (გვერდზე ჯდება და პაპიროსს ახვევს).

საათი რეკავს, ცხრა საათია. მწირი ქალი, თითქოს ვიღაც ეძახისო, თავს ძილას ატანს, რომ წამოდგეს. შორს იელვებს. მწირ ქალს ისევ ძილი წაიღებს. გარედან ისმის ძაღლის ხმამაღალი ყვირა.

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედა

იგივე ადგილი, ოღონდ რამდენიმე ხნის შემდეგ. მწირ ქალს სძინავს. ისმის საათის წიკწიკი. პაპა თავზე დაადგება მწირს და ისე აკვირდება, თითქოს რაღაცის გახსენება უნდაო. მწირი არ ინძრევა. პაპა უკან დაიხვეს და ჩამქრალ სიგარეტს უკიდებს.

ტელბა (კიბეზე ჩამოდის). არაქათი გამომაცალებს, ვიდრე დავაწვინე. დაიძინეს.  
პაპა ანიშნებს: — „ჩუმად“.

ღმერთო ჩემო, რას არ მოიგონებენ ხოლმე და მოჩმახავენ ზედდახელ. იქნებ ეგ გზათა ქალწულიაო, — იქნებ უოფილი დედოფალიაო... იქნებ მოსასხამს ქვეშ ოქროს სამოსელი აცვიაო...

პაპა (ფიქრებში წასული). ვინ იცის. ზოგჯერ ბავშვი დიდზე მეტს ხედავს. მეც მგონია, რომ მასთან ერთად რაღაც იდუმალი შემოვიდა სახლში.

ტელბა. თქვენს ხანში? ესლა გვაკლდა. დახეთ, როგორ გაგვიყმაწვილდა, ბატონო!

პაპა. როცა კარი გაუღე, ჰაერში რაღაც უცნაური სუნა ვერ იგრძენი?

ტელბა. თრთვილის, ჭირხლის სუნი ვიგრძენი.

პაპა. მეტი არაფერი?

ტელბა. კარგით ერთი მადლობა ღმერთს, ჭერჭერობით ჭკუაც მიჭრის და არც თვალს მაკლია. ზღაპრებისა არასოდეს მჭეროდა.

პაპა. და მაინც ეს მშვიდი ღიმილი... ეს უფერული თვალები... როგორც ორი კრისტალი.. და როგორც თვითონ ამბობს...

ტელბა. უბრალოდ რაღაცას მაღავეს. (უკიდებს ლამპას და სცენა კვლავ ნათდება.) ამიტომ მისი დანახვა მაშინვე არ შესიამოვნა. მე ხმამაღლა მოლაპარაკე ადამიანები მიუვარს, მაგრად რომ აბიჯებენ მიწაზე. (უყურებს პაპას), რა გჭირთ, ბატონო? ხალხსავით ცახცახებთ!

პაპა. არ ვიცი... ჩემი ფიქრები მაშინებს.

ტელბა. მოდა, ნუ ფიქრობთ... ყველა სიძვე თავიდან მოდის. (ჭდება და ქსოვას იწყებს). როცა რაიმე აზრი არ მახვენებს, ქსოვას ვიწყებ და ვმღერი. უებარი საშუალებაა!

პაპა (აღელვებული ადგება და გვერდით მიუჭდება). მისმინე, ტელბა, მომეხმარე გავიხსენო... როდის ვიყავიო აქ აღრე, როგორა თქვა?

ტელბა. გრიგალის დღეს, როცა თოვლმა ფანჯრები ჩახერგა და მთელი გზები ჩაანაშქერა.

პაპა. და იმ დღეს მწყემსს გზა აებნა მთებში, გახსოვს? მეორე დღეს მკვდარი კომბლით იპოვეს, ცხვრებში ეგდო, ხალათი რკინად ქცეოდა უინვისგან.

ტელბა (ქსოვას არ წყვეტს). საწყალი თავისი წვერითა და კომბლით წმინდა კრისტოფორეს ჰგავდა, ხოლო როცა სტვირზე უკრავდა, ჩიტები მხრებზე ახსდებოდნენ.

პაპა. მეორეჯერ კი... პატარა შემკვიდრე ქალბატონის გათხოვების დროს, ქორწილის დღეს იყო, არა?

ტელბა. ასე თქვა. მაგრამ ქორწილზე არ ყოფილა, ქორწილს მთიდან დაბუურებდა.

პაპა. მთიდან დაბუურებდაო! ის თუ გახსოვს, მკედელმა რომ პირობა დადო. — ბიყინას მოვკლავო? მაგრამ როცა წყაროს დაეწაფა, თოფმა იქუბა და იგი წყალში ჩაემხო.

ტელბა. სწორია. მისი სხეული მაშინ ნახეს, როცა შეამჩნიეს, რომ წყაროს წყალი წითელი იყო. (უცებ შეშფოთებულმა საქსოვი დააგდო და პაპას დაეინებით მიატყერდა). რისი თქმა გინდათ ამით?

პაპა (დგება. ყრუ, ჩახლენილი ხმით). ის თუ გახსოვს, საყვირი საშველად რომ უხმობდა ხალხს და ქალები მთელ ხოფელში მოთქვამდნენ.. დღე, როცა მაღარო აფეთქდა... შენი შვიდი ვაჟიშვილი, ტელბა!

ტელბა. (შეშინებული თვითონაც ადგება). ღმერთო ჩემო, რაებს ფიქრობთ?

პაპა. ძლივს, არა! (შეშფოთებით.) ბავშვები სად დატოვე?

ტელბა. როგორც სამ ანგელოზს, ისე სძინავთ.

პაპა. წადი იმათთან (კიბისკენ უბიძგებს). კარ-ფანჯრები დაკეტე, თუ საჭირო გახდება, ტანით აეკარი და არა-ვინ, გესმის, არა-ვინ შეუშვა.

ტელბა. ჩემი ანგელოზების ღმერთო, ავისგან დაიფარე ისინი... (გადის.)

პაპა (მტკიცე ნაბიჯით მიდის მძინარე მწირი ქალისკენ). ახლა მე ვიცი, სადაც გნახე. (მთელი ძალით ანჭლრევს ქალს.) ადექი, შე ჭოჯობეთის მოციქულო, ადექი!

მწირი ქალი (ნელა ახელს თვალებს). მოვდივარ. ვინაა ეს?

პაპა. თვალეში შემომხედე და გაბედე თქმა, არ გიცნობო! გახსოვს ის დღე, როცა მაღაროში გაზი აფეთქდა? მეც იქ ვიყავი. ნახშირმოყრილი, კვამლით გაგუდული. შენ გეგონა, ხული აღარ მედგა, და ახლოს მოხვედი. შემდეგ სუფთა ჰაერზე გამოვადწიე, მაგრამ წამით მაინც დავინახე შენი გაფითრებული სახე, ვიგრძენი შენი უიწულივით ცივი ხელები.

მწირი ქალი (მშვიდად). ახეც უფიქრობდი. ვინც ერთხელ მაინც მნახავს, მთელი სიცოცხლე ვახსოვარ...

პაპა. ახლა რას ელი? გინდა შენი სახელი მთელი სოფლის გასაგონად დავიძახო და დანე-  
ბითა და ქვებით გამოგვიდონ?

მწიერი ძალი. შენ ამას არ იზამ. სულ ტყუილად გაიჩქები.

პაპა. გგონია, გამაცუცურაქვებ? მე უკვე ბებერი ვარ და ამიტომ მეტახმეტად ბევრს ვფიქ-  
რობდი შენზე.

მწიერი ძალი. ამით ნუ ტრაბახობ, პაპავ, ძალი არ ფიქრობს, მაგრამ შენზე უფრო მიცნო.  
საათი რეკავს.

(უყურებს პაპას შეშფოთებით.) რომელი საათია?

პაპა. ათის ნახევარი.

მწიერი ძალი. (შეძრწუნებით). დროზე რატომ არ გამაღვიძეთ? (მორჩილად). ამისი მეშინოდა.  
ახლა უკვე ყველაფერი გვიანია.

პაპა. კურთხეულ იყოს ძილი, შენ რომ ხელები შეგიყრა და თვალები დაგიხუჭა.

მწიერი ძალი. შენი შვილიშვილების ბრალია. მათ შიძულეს შერწმუნა, გული რომ თბილი მაქვს,  
მხოლოდ ბავშვს შეეძლო ასეთი სასწაულის ჩადენა.

პაპა. გულითადი მიღებისთვის სამაგიეროს გადახდას კარგად კი აპირებდი იხინი შენ ვეთა-  
მაშებოდნენ!

მწიერი ძალი. ხა-ხა-ხა! ბავშვები აწრწეც კი არ არიან, ისე ბშირად ეთამაშებიან სიკვდილს!

პაპა. ვის წასაყვანად მოხვედდი? (დადგება კიბის წინ.) თუ იმათ წასაყვანად მოსულხარ, უწინ  
ჩემს გვამზე მოგიწევს გადავლა.

მწიერი ძალი. შენი შვილიშვილები? ასეთი სუსტები ვის რაში სჭირდება! სიცოცხლის გრიგალი,  
აი, რა შელოდებოდა ამ ღამით! მე თვითონ აღვუკაშმე ცხენი და მევე გავუკეთე  
ღეშები!

პაპა. მარტინს?

მწიერი ძალი. დიას, საუკეთესო მთიელ მხედარს... დიდ წაბლის ხესთან...

პაპა (ზემიით). დიდი წაბლის ხე აქედან სულ ერთ მილზეა. მარტინი უკვე დიდი ხანია გას-  
ცდა მას!

მწიერი ძალი. შენ ხომ იცი, მე ხელი არასოდეს მომცარვია. ჩემმა დრომ მხოლოდ შეიძლება  
ოდნავ გადაიწიოს.

პაპა. მაშინ წადი. რაღას ელოდები?

მწიერი ძალი. ახლა აღარაფერს. მე მინდოდა კეთილი სიტყვით, სიძულვილის გარეშე დამცი-  
ლებოდი.

პაპა. მე შენთვის არაფერი მაქვს სათქმელი. რაც არ უნდა ძნელი იყოს სიცოცხლე, ამქვეყ-  
ნად მაინც სჯობია ყველაფერს, რაც კი ვიცი და მინახავს.

მწიერი ძალი. სიცოცხლე? შენ გგონია, ჩვენ ძალიან განვსხვავდებით? გგონია, უერთმანეთოდ  
არსებობას შევძლებდით?

პაპა. გევედრები, წადი ამ სახლიდან!

მწიერი ძალი. ახლავე. მაგრამ ჭერ ყური დამიჭდე. მე საწყალი, ნამუსიანი ადამიანების მე-  
გობარი ვარ. რატომ არ შეგვიძლია გულახდილად ვილაპარაკოთ?

პაპა. მე შენი არ მჭერა. შენ რომ გულწრფელი იყო, ჩუმად, მალულად არ შეაღწევდი ცისკ-  
რამდე მწუხარე ოთახებში. შენ ვერ უარყოფ, რომ მუხანათურად დაუნდობელი  
ხარ.

მწიერი ძალი. დიას, როცა ერთნი მეორეთა წინააღმდეგ მაგზავნიან. მაგრამ როცა მე თვი-  
თონ, ჩემით მივდივარ... რა უბრალოდ იხსნება უკანასკნელი კვანძების როგორი  
მშვიდობიანი ღიმილით მხვდებიან ყველგან!

პაპა. გაჩუმდი! შენ ტყბილი ხმა გაქვს და საშიშია მისი მოსმენა.

მწიერი ძალი. მე თქვენი ვერ გამიგია. ყველანი უჩივით სიცოცხლეს, მაშ, რატომ გეშინიათ,  
მისი დაკარგვის?

პაპა. აღბათ, იმის გამო არა, რაც აქ რჩება. ჩვენ არ ვიცით, რას ვიპოვით იმქვეყნად.

მწიერი ძალი. ასეა გზის დასაწყისშიც. ამიტომაც ტირიან ბავშვები დაბადებისას.

პაპა. (ისევ აღელვებით). ისევ ბავშვები! შენ სულ იმათზე ფიქრობ...

მწიერი ძალი. მე ქალი ვარ. და თუ მათ როდისმე რაშეს ვავენებ ხოლმე, ჩემდაუნებლივთ  
მხოლოდ. ესაა სიყვარული, რომლის ხორცშესხმაც არ შემიძლია. და ღმერთმა  
ქნახ, რომ ვერც ვერასოდეს ვისწავლო. (ხმადაწევით, მონდობილად). მომისმინე,  
პაპავ, შენ იცნობ ნალონს, ბერიკაცს?

- პაპა. ბრძანს, დღესასწაულებზე რომანსებს რომ მღერის?
- მწიერი ქალი. დიახ, როცა ეგ ბავშვი იყო, ყველაზე ლამაზი თვალეები მქონდა. მათი ხილავ-ვარდე შორით მიწიდავდა. მოლა, ერთხელ ვერ მოვითმინე და... ვაკონცე თვალეებში.
- პაპა. ახლა ის ხელით დაბუავთ, გიტარაზე უკრავს და ბაზრობებზე მოწყალებას თხოულობს.
- მწიერი ქალი. მაგრამ მე იგი ახლაც ისევე მიყვარს, როგორც მაშინ! როდესმე ორი ვარ-სკვლავით გადავუხდდი იმ წიანის სამაგიეროს, რაც ჩემმა სესყარულმა ატყუნა.
- პაპა. გეყოფა. ნუ ცდილობ სიტყვებით თავბრუ დამახვიო. ვიცი, ჩემს მხარეში სხატველა ხარ ქვავის ყანაში. წადი ჩემი სახლიდან! მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა და-ვინახავ, რომ შორსა ხარ.
- მწიერი ქალი. შენ მე მაკვირვებ. დაე, მშიშრებს საშინელ არსებად ვეჩვენებოდე. მაგრამ შენ ხომ იმ ხალხს ეკუთვნის, ვინც მე ყოველთვის თვალეებში პირდაპირ მიყურებდა. თქვენი პოეტები მე ისე მიმღეროდნენ, ვით პატარადას, თქვენი მისტიკოსები — როგორც ცოდვების მონანიებას. თქვენს მეცნიერთაგან უდიდესმა „თავისუფლება“ მიწოდა. ჩემი ყურით გავიგონე, ერთ-ერთ თავის მოწაფეს როგორ ეუბნებოდა, როცა აბაზანაში სისხლისგან იცლებოდა: „გინდა იცოდე სადაა ქრეშარიტი თავისუფ-ლება? შენი სხეულის ვენები მიგიყვანს მასთან!“
- პაპა. მე წიგნები არ წამიკითხავს. შენზე მხოლოდ ის ვიცი, რაც ძალღმა და ცხენმა იცის.
- მწიერი ქალი (აგზნებული ჩივილით). მაშ, რაზე მძრახავ და მგმობ, თუკი თითქმის არ მიცნობ? რატომ არ გინდა ცოტათი ძალა დაატანო თავს, რომ გამოგო? (ოცნებით). მეც მინდოდა გლენის ქალსავით გვირგვინი დამედგა თავზე, მეცხოვრა ბავშვებით გარ-შემორტყმულს და მუყარებოდა მამაკაცი. მაგრამ როცა ვარდების საკრეფად მივ-დივარ, მთელი ბალი განძარცულია. როცა ბავშვები მეთამაშებიან, მეშინია, არ მივეყარო, ვაითუ სიცილი შეწყვიტონ. მამაკაცებს რაც შეეხებათ, მათ-გან ყველაზე გაბედულნი ცხენით მეძებენ ბრძოლაში, მაგრამ პირველივე კოცნის შემდეგ ვგრძნობ, როგორ უსიცოცხლოდ ჩამოუცვივდებათ ხოლმე ხელები ჩემი მხრებიდან. (სასოწარკვეთილი.) ახლა მაინც თუ გესმის ჩემი ხვედ-რის მთელი სიმწარე? ყველა ტკივილი იგრძნო, მაგრამ ტირილი არ შეგეძლოს... ქა-ლის ყველა განცდას ფლობდე და არ იცოდე, რაა ამ განცდებით მოგვრილი სიზა-რული მისჩილი გქონდეს, რომ მუდამ კლავდე, კლავდე და თვითონ არასოდეს მოკვდე! (თავზარდაცემული სახეზე ხელებს აიფარებს და სავარძელში დაცემია).
- პაპა (შეძრწუნებული უყურებს. მიდის მასთან და ალერსიანად ადებს მხარზე ხელს). ხაცო-დავი ქალი..
- მწიერი ქალი. გმადლობ, ბერიკაცო, შენ მე ქალი მიწოდე, ეს კი ყველაზე ლამაზი სიტყვაა, რაც შეიძლება წარმოითქვას კაცის ბაგეთაგან... (იღებს კვერთხს, რომელიც ბუხარ-თან მქონდა მიყუდებული). ამაღამ მე შენს სახლში არაფერი მესაქმება, სხვა ად-გალებში მელოდებიან. მშვიდობით. (მიდის კარისკენ).
- გარედან მოისმის მარტინის ხმა.
- მარტინი (ყვირის). ტელბა!.. ტელბა!..
- პაპა. ეს მარტინია! სხვა კარით გადი. არ მინდა დაგინახოს.
- მწიერი ქალი (ისევ მიყუდებს კვერთხს) რატომ? მისი საათი უკვე გადავიდა. გააღე, ნუ გეშინია.
- ისევ მოისმის მარტინის ხმა და თუხის გრაგუნის კარზე.
- მარტინი. ჩქარა-მეთქი!.. ტელბა!
- დედა სანთლით ხელში გამონდება კიბეზე.
- დედა. მანდ ვინა ყვირის?
- პაპა. მარტინია. (მიდის კარის გასაღებად).
- დედა (ძირს ჩამოდის). ასე მაღე მობრუნდა? ჭერ ნახევარი ვზის გავლასაც ვერ მოახწრებდა. პაპა ადებს კარს. შემოდის მარტინი, რომელსაც ატატებული შემოჰყავს ყმაწვილი ქალი, ვისაც ტანსაცმელი და თმა მთლიანად სველი აქვს.
- დედა (ისე შეტოკდება, თითქოს სასწაულს ხედავსო.) ანუელიკა.. ჩემი ვაგო!.. (გაქანდება მისკენ.)
- პაპა (ხელს წაავლევს). რას ამბობ? რახ?! ხომ არ შეიშალე?
- მარტინი ყმაწვილ ქალს ცეცხლთან მდგარ სავარძელში ჩაასვენებს.
- დედა. (მოყინებით ათვალეურებს, იმედგაცრუებით) მაშინ... მაშინ... ის სადაა?

მარტინი. არ ვიცი. დავინახე, როგორ ჩავარდა მდინარეში და დროზე მივუსწარი, ახლა გულ-  
წასულია.

დედა (სანთელს მაგიდაზე დგამს და თან ტირის, თან იღიმება). ღმერთო, რატომ გელოდი  
ხახაულს? ის არაა... არა... არა...



მწირი ქალი. ამას ადელა ჰქვია.

პაპა. სუნთქვა ცუდი არა აქვს.

მარტინი. რამე უნდა ვიღონოთ. (მწირ ქალს). მაგრამ რა?

მწირი ქალი. (უნდელი ღიმილით) არ ვიცი. მე არასოდეს მქონია შემთხვევა ვინმე სიცოცხ-  
ლისკენ შემომებრუნებინოს.  
(უძრავად ზის სიღრმეში.)

პაპა. ყლუპი ღვინო უშველის...  
(ბუხრიდან იღებს ჭიქას)

დედა. მომეცით, მე თვითონ... ღმერთო, მაშინ რომ ამის გაკეთება შემძლებოდა. (იჩოქებს  
ადელას წინ, საფეთქლებსა და ხელებს უზღვს.)

პაპა (მარტინს). შენ კი... შენ არაფერი შეგმთხვევია?

მარტინი. რაბიონისის გადამა ელვამ ბილიკი დამაქარგვინა და კინალამ უფსკრულში გადა-  
ვეშვი. მაგრამ ეგ არაფერი.

მწირი ქალი (მიღის მასთან, კორსაყიდან ცხვირსახოცს იღებს). შეიძლება?

მარტინი. რა?

მწირი ქალი. არაფერი... საფეთქელთან წითელი ლაქა გქონდა...  
(სიყვარულით სწმენდს).

მარტინი (უყურებს მას მონუსხულივით). გმადლობთ.

დედა. გონს მოდის უკვე.

ყველანი ეხვევიან ადელას, მწირი ქალი კი შორიდან უყურებს პირზე მოუცილებე-  
ლი ღიმილით. ადელა ნელ-ნელა ახელს თვალებს, გაკვირვებული ათვალეირებს ირ-  
გვლივ მყოფთ.

პაპა. ნუ გეშინიათ. საფრთხემ გაიარა.

ადელა. ვინ მომიყვანა აქ?

მარტინი. მე ნაპირს მივუყვებოდი და დავინახე, როგორ გადავარდით წყალში.

ადელა (მწარე საყვედურით). რატომ შერე? მე არ გადავვარდნილვარ, მე თვითონ... მთელი  
ძალა მოვიკრიბე, რომ ეს გამებედა. სულ ამო კი გამოდგა ყველაფერი.

დედა. გაჩუმდით... ღრმად ისუნთქეთ.. ასე.. ახლა უკეთა ხართ?

ადელა. პაერი გულზე ლოდვიით მაწვება. იქ კი, მდინარეში, ყველაფერი ისე იყო...  
ისეთი შვება ვიგრძენი..

მწირი ქალი (ფიქრით სადღაც სხვაგანაა). ყველა ერთხა და იმავეს ამბობს .ეს სულის გამაგ-  
რილებელ ბანაობასა ჰგავს.

მარტინი. ხვალ ყველაფერი ცუდ სიზმრად მოგეჩვენებათ.

ადელა. და მე ისევ უწინდებურად მარტო დავრჩები, არავინ მეყვარება... არაფრის იმედი არ  
მექნება...

პაპა. ოჯახი თუ გაქვთ... სახლი?

ადელა. მე არასოდეს არაფერი მქონია. ამბობენ, ჩამოხრჩობის წინ ყველა ერთ წამში მთელი  
თავისი ცხოვრების გახსენებას ახწრებსო. მე ვერაფერი გავიხსენე.

მარტინი. ნუთუ მთელ ცხოვრებაში ერთი ბედნიერი დღე მაინც არ გრია?

ადელა. მხოლოდ ერთი, ერთადერთი, მაგრამ ეგ დიდი ხნის წინათ იყო... არდადეგებზე, ჩემი  
დაქალის სახლში. იქ იყო მზე, საძოვრები და ცხვრის ფარები. საღამოს კი სუფ-  
რას შემოვუსხდებოდი და აღერსიანად ვებასებოდი ერთმანეთს... ზეწრებს ვაშ-  
ლის სუნი ასდიოდათ, ფანჯრები ვარსკვლავებით ივსებოდა, მაგრამ კვირადღე ხომ  
ასე ხანმოკლეა. (მწარედ იღიმება) ეს ძალზე სამწუხარო ამბავია — მთელი შენი  
ცხოვრებიდან ერთი არდადეგების ერთი დღეა გახსოვდეს.. სხვის სახლში. (ისევ  
ხუჭავს თვალებს.) ახლა კი...

პაპა. ისევ წაუვიდა გული. (პრისხანედ უყურებს მწირ ქალს.) ხელები ცივი აქვს!

მწირი ქალი. (მშვიდად, არც შეხედავს). დამშვიდდი, ბერიკაცო. უბრალოდ, სძინავს.

მარტინი. უნდა დავაწვინოთ.

დედა. სად?

მარტინი. ამ სახლში მხოლოდ ერთი ადგილია...

დედა. (შეძრწუნებული) ანუ ელიკას ოთახში? არამც და არამც!

პაპა. შენ არ შეგიძლია კარი დაუკეტო.

დედა. არა! შეგიძლიათ წამართვათ პური ტანსაცმელი — რაც გაჩანდა... მაგრამ ჩემი შვილის ადგილს ვერ წამართმევთ!

პაპა. დაფიქრდი, ეს გოგო იმავე ნაპირიდან მოვიდა, იმ წყლითა აქვს სველი და იგი მარტინმა მოიყვანა. ეს განგების ნებასა მგავს.

დედა (თანხმობის ნიშნად თავს ჩაქინდრავს). თუ განგების ნებაა.. (ნელა მიდის მაგიდასთან და იღებს სახთელს.) წამოიყვანეთ. (წინ მიდის, თან გზას ინათებს). მარტინი აიყვანს ადელას და უკან მიჰყვება.

ტელმა, კარი გაადე... და ზეწარი გაათბე!

მწირი ქალი და პაპა ქვემოდან უყურებენ, როგორ მიდიან ისინი.

პაპა. რამ ჩაგაფიქრა?

მწირი ქალი. ბევრმა რამემ უფრო დიდმა რამემ, ვიდრე შენ გგონია.

პაპა. ცუდი ღამეა, არა? შენ ჩაგეძინა და ორივე ხელიდან გაგისხლტა — მამაკაცი უფსკრულს გადარჩა, ქალი — მდინარეს.

მწირი ქალი. მამაკაცი — პო, მაგრამ ქალს არ ველოდი.

პაპა. საქმე კი ასე მიდიოდა. მარტინს რომ არ მოესწრო, ცხადია, რაც მოხდებოდა.

მწირი ქალი. მას სხვა გადაარჩენდა.. ან თვითონვე გადაირჩენდა თავს. ეს გოგო ჭერ არ იყო საჩემოდ გათვალისწინებული.

პაპა. ჭერ?.. ეს როგორ გავიგო?

მწირი ქალი (ჩაფიქრებით). მეც არ მესმის. ვილაცას უნდა დროს გაუხსნოს. მაგრამ რაც ჩემს წიგნებში წერია, გარდუვალია. (იღებს კვერთხს). მე დანიშნულ დროს დავბრუნდები.

პაპა. ღაიცა. ამისხენი ამ სიტყვების აზრი.

მწირი ქალი. არ შემიძლია, ეს არც ჩემთვისაა ხავსებით გახაგები. პირველი გამოცანაა, რომელიც ვერა და ვერ ამომიხსნია, რა ძალამ უბიძგა ამ ქალს, დროზე ადრე რომ მომკვდარიყო?

პაპა. განა ეს შენს წიგნში არ ეწერა?

მწირი ქალი. კი, ყველაფერი ეს იქ იყო: ღრმა მდინარე, დამხრჩვალ ქალი და ეს სახლი. მაგრამ არა დღეს, არამედ შვიდი მთვარის შემდეგ.

პაპა. დაივიწყე ეს გოგო. ნუთუ არ შეგიძლია ერთხელ მაინც შეიბრალო ვინმე?

მწირი ქალი. ეს ჩემს ხელთ არაა. მე არ ვბრძანებ, მე ბრძანებას ვემორჩილები.

პაპა. მერე რა ღამაშია და რა ცოტა იცოცხლა! რატომ უნდა მოკვდეს ასე ახალგაზრდა?

მწირი ქალი. შენა გგონია, მე ვიცი? მეც და სიცოცხლესაც ხშირად ვვემართება ეს: გზები არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის იქ მივდივართ, სადაც უნდა მივიდეთ. (უყურებს პაპას.) შენს სახლში ქალიშვილის ხმას ისევე გაიგონებს ხალხი...

პაპა. პო.. ის მარტოხელაა და ბევრი სიყვითის გაკეთება შეეძლო, სხვისი ადგილი რომ დაეჭირა.. ჩემს თავზე კი არ ვწუხვარ, უკვე საშოცდაათისა ვარ...

მწირი ქალი (ოდნავ დაცინვით, ლმობიერად). გაცილებით ნაკლებისა ხარ, პაპავი საშოცდაათისა უკვე აღარა ხარ. (კარისკენ მიდის).

პაპა. ღაიცა. შემიძლია ერთი კითხვა კიდევ მოგცე?

მწირი ქალი. მკითხე.

პაპა. როდის დაბრუნდები?

მწირი ქალი. მთვარეს შეხედე: იგი სულთმთლად მრგვალია. კიდევ შვიდჯერ იქნება ასეთი და მერე დავბრუნდები ამ სახლში. იმ ღამეს კი ერთი ღამაში ქალიშვილი ყვავილებით მორთულ-მოკაშმული შემხვდება... მდინარეში. მაგრამ ნუ გამკიცხავ ამისთვის. გეფიცები: მე რომ არ მოვიდე, შენ თვითონ დამიძახებ. და კიდევ: იმ დღეს შენ ჩემს სახელს დალოცავ. არ გჭერა?

პაპა. არ ვიცი.

მწირი ქალი. მალე თვითონვე დარწმუნდები, მენდე. ახლა კი, როცა უკეთ გამოიცანი, შიშისა და სიძულვილის გარეშე დამემშვიდობე. ჩვენ ორივენი ხაკმარისად ხნიერნი ვართ იმისთვის, რომ კარგი მეგობრები ვიყოთ. (ხელს უწვდის.) მშვიდობით, მეგობარო..

პაპა. მშვიდობით... მეგობარო...

მწირი ქალი გადის! პაპა თვალს აყოლებს და ბუხართან ითბობს ზელს, მწირს რომ ჩამოართვა.

ფ ი რ დ ა



მისამე მოქმედება

მოქმედება ხდება იქვე, რამდენიმე თვის შემდეგ. ზაფხულის საღამოა. სცენაზე საკერავი მაგიდა დგას. ზედ ფერადი ნაქარგია. ანდრესი და დორინა გორგალს ახვევენ. ფილინი კი ბურღავს, როგორც კი შეუძლია. კვიკო ბრძანების მომლოდინე კაცის სახით დგას. სამზარეულოდან ადელა გამოდის.

კვიკო. მიიხრებს, ჩემთან ლაპარაკი გინდოდათ.

ადელა. მერე როგორი ბოსელში ბალახი ლპება, სათიბ მანქანას თავებში ღრღნიან, თავლა კი გამოწმენდილი არაა. რაზე ფიქრობს ეგ დალოცვილი?

კვიკო. მე?

ადელა. რა გაქვავებულივით დგახარ და არ ინძრევი?

კვიკო. არ ვიცი. მომწონს თქვენი ლაპარაკი.

ადელა. იქნება გიმდერო, რომ კარგად იმუშაო?

კვიკო. ფორანი რომ კრიალებს, ხარები ისე არ იღლებიან.

ადელა. აბა, აბა! რადახ ელოდები? (ხედავს, რომ კვიკო არ იძვრის). შენ რა, დაურუვდი?

კვიკო. (ბერეტს აწვალავს). არ ვიცი, რა შემართება. როცა დიახაზლისი ლაპარაკობს, ყველაფერი მესმის. ტელბახ ლაპარაკიც მესმის, მაგრამ თქვენ რადაც ისეთაირად შემომხედავთ, აღარაფერი მესმის.

ადელა. მაშინ თვალი დაბუკე და მოუხვი აქედან — მზე მალე ჩავა.

კვიკო მივდივარ, მივდივარ. (მიდის ნელა. თან უკან-უკან იყურება).

ფილინი ჩხარუნით მოაგორებს ღილებით სავსე თუნუქის ქილას.

ადელა. რას შვრები, საძაგელო?

ფილინი. ვებმარები.

ადელა. ვხედავ. აბა, სულ სათითაოდ მოკრიფე ეგენი. თანაც, ვნახავ, შეგიძლია თუ არა მათი დათვლა. (ჯდება საქარგავად.)

დორინა. როცა ქარგავ, სულ სხვა რამეზე თუ შეგიძლია იფიქრო და ილაპარაკო?

ადელა. რახაკვირველია, შემიძლია. რატომ მეკითხები?

დორინა. ანუელიკასაც შეეძლო. როცა დღევანდელი ზეიმი ახლოვდებოდა, რომანსებს გვიმდეროდა იმაზე, თუ რა ხდება წმიდა იოანეს დღეს დილით.

ანდრესი. შენ იცი რომელიმე რომანსი?

ადელა. ბევრი ვიცი, ეს ძველი რომანსებია, ბავშვობაში რომ გისწავლია და მთელი სიცოცხლე გახსოვს. შენ რომელი გინდა?

დორინა. არის ერთი შესანიშნავი სიმღერა უფლისწულზე, რომელსაც თავისი ცხენი ზღვაზე მიჰყავდა წყლის დასაღევად.

ადელა (წყვეტს მუშაობას, თავს მალა სწევს და ჩაფიქრებული სახით მდერის.)

დილას წმინდა იოანეს დღესა  
ქველმა პრინცმა ოლინოსმა  
თვისი ცხენი წაიყვანა  
ზღვაზე, წყლისა დასაღევად.  
ვიდრე ცხენი წყალსა სვამდა,  
პრინცა ტკბილ სიმღერას მღერდა,  
ცით კი ფრთამალი ჩიტები  
გაუნძრევლად მას უსმენდნენ  
და ქვეითნიც, გზად შავალნი,  
ჩერდებოდნენ მოსასმენად,



მეზღვაურნიც შუა ზღვიდან  
მისკენ აბრუნებდნენ გემებს...



ანდრეისი. კი მაგრამ მგზავრები და ჩიტები რატომ გაჩერდნენ?

ადელა. იმიტომ, რომ ეს სიმღერა ისეთი მშვენიერი იყო, როგორც სირინოზების გალობა.

ანდრეისი. ვისთვის მღეროდა იმ სიმღერას?

ადელა. ზარის უმღეროდა, დედოფლის ასულს.

ფალინი. ისინი დაქორწინდნენ?

ადელა. არა, ექვიანმა დედოფალმა ბრძანა ისინი დაეხოცათ. მაგრამ ქალწული თეთრი ვარდის ბუჩქად გადაიქცა, უფლისწული კი დიდ ვერხვად. და მათი ტოტები მანამ იზრდებოდნენ, ვიდრე ერთმანეთს არ გადაეხლართნენ.

დორინა. და მაშინ დედოფალმა ტოტების დაჭრა ბრძანა, არა?

ადელა. დიახ, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მათი გაყრა...

ბუჩქიდან უანჩა დაიბადა,  
ვერხვიდან კი მძლავრი ქორი,  
და ისინი განუყრელად  
მალდა, ნათელ ცაში ქრიან!

ანდრეისი. უველაფერი ეს ადრე იყო. ახლა სასწაულები არ ხდება.

ადელა. მხოლოდ ერთი რამაა, რაც მარადჯამ მეორდება. ნამდვილ სიყვარულს სიკვდილიც კი ვერაფერს აკლებს. (მღერის.)

დილახ, წმინდა იოანეს დღესა  
ქველმა პრინცმა ოლინოსმა  
თვისი ცხენი წაიყვანა  
ზღვაზე წყალის დასაღევად...

ბავშვები (მღერიან). ზღვაზე, წყალის დასაღევად...

ადელა (ამჩნევს პაპას, რომელიც კიბებზე ჩამოდის და სიმღერის მოსასმენად შეჩერდება).  
ხომ არაფერი გნებავთ, პაპავ?

პაპა. არა, არაფერი. სიზმარში ვარ-მეთქი, მომეჩვენა: შენ, ბავშვები და ეს ძველი სიმღერა... (მიდის მასთან.) რა კაბა გაცვია?

ადელა. დედას უნდოდა ეს ჩამეცვა დღევანდელ ზეიმზე.  
გახსოვთ ეს კაბა?

პაპა. მახსოვს რომელია! თვითონ ანუელიკამ მოქსოვა და მოქარგა. ეს კაბა წმინდა იოანეს ღამეს ჩაიცვა. (უყურებს ნაქარგს) ეს კიდევ ვისია?

ადელა. მე ის ოთახში უკვე დაწყებული ვიპოვე.

პაპა. დედამ იცის?

ადელა. სწორედ მან მიბრძანა, დაამთავრო. მოგწონთ? ამ ოთხ წელიწადში ძაფები ცოტა გამობუნდა. (ახედავს.) ასე რატომ მიუყრებთ?

პაპა. შენ სულ უფრო და უფრო იცვლები... უფრო და უფრო ემსგავსები ანუელიკას.

ადელა. ეს თმის ბრალია. დედას ასე დავარცხნილი მოსწონს.

პაპა. ჩემი აზრით, შენ როგორც იყავი, ისეთი სჯობდა, არავის მგავდი.

ადელა. განა შემიძლია მას შევედარო, ვინც ამის მოქარგვა დაიწყო?

პაპა. შენ შენ უნდა იყო. თორემ მასავით ივარცხნი თმას, მასავით იცვამ, უკვე მთლად მას ემსგავსები... შეეშინდება ადამიანს.

ადელა. რატომ?

პაპა. არ ვიცი... უბრალოდ, აი, ვთქვათ, განძი რომ მოგპარონ და შენ სხვა იპოვო, ამ ნაპოვნს უკვე იმ ძველ ადგილას აღარ შეინახავ.

ადელა. არ მესმის..

პაპა. მე ისე ვთქვი. (მიდის სიღრმეში კარისკენ.)

ადელა. რა დაემართა დღეს პაპას?

დორინა. მთელი საღამო კართანაა დადარაჯებული.



- ანდრასი. თუ მესტირეს ელოდება, ჭერ ადრეა. ზეიმი მხოლოდ ღამით იწყება.
- ფალინი. ჩვენ წავალთ კიაკოკონების ხანაზავად?
- ადელა. ჰო, საცეკვაოდ და კიაკოკონებზე სახტუნაოდ!
- ანდრასი. მართლა? ადრე ჩვენ იქ არასოდეს გვიშვებდნენ, არადა, დამანული დარაბებიდან ზეიმის ხმა რომ გვისმოდა, ვგეუდებოდით.
- ადელა. დღეს კი უველანი ერთად წავალთ ზეიმზე.
- ფალინი. მეც?
- ადელა (მალლა აიტაცებს). შენ უველაზე პირველი ხარ, საყვარელო! (მაგრად კოცნას. შემდეგ ძირს სვამს და წაუტყაბუნებს), აბა, წავედით დიდი კოცონისთვის ფიჩხის მოხაჭუჩებლად. ნეტა რას ჩავკეტილვართ აქა? მიწა იმისთვისაა, ვინც ზედ დარბის.
- ბავშვები. ვირბინოთ! ვირბინოთ!
- ფალინი (კართან ჩერდება). ხეებს რომ ქვები ვესროლო, თუ შეიძლება?
- ადელა. რატომაც არა?
- ფალინი. აი, მე გუშინ კიურეს ლედვის ხეს ქვა ვესროლე და უველამ უვირილი დაშიწყო.
- ადელა. ალბათ, ლედვი ესხა.
- ფალინი. არა, უბრალოდ, ხის ძირში კიურე იდგა. ბავშვები სიცილ-ვისკისით გადიან. ადელაც იცინის.
- ბელბა (შემოდის). მადლობა ღმერთს, ამ სახლში სიცილი მესმის.
- ადელა (ისევ განაგრძობს ქარგვას). ესენი ხომ ბავშვები არიან.
- ბელბა. მას აქეთ, რაც სკოლაში დადიან და იქ დარბიან, სადაც მოგუწუნებთ, უკეთესადაც კი სძინავთ. მაგრამ სიმკაცრე მაინც არ აწყენდათ.
- ადელა. ჰო, გუშინ ანდრესი ცხვირდაჩეჩქვილი მოვიდა. უჩხუბია.
- ბელბა. არა უშავს. ქვეყანა არ დაიქცევა თანატოლებს თუ წაეჩხუბნენ, დაე, ძლიერნი, დონიერნი გაიზარდონ. უმცროსების ცემის უფლება კი არ უნდა მივცეთ. შენ უოჩალი ხარ... რაც შენ ამ თვეებში გააკეთე, მრავალი წლის მანძილზე ვერ შევძლებდი. შენ ის მოვარდნილი ქარი ხარ, უველა კარი რომ მოაღიავე.
- ადელა. რამდენიც და რაც უნდა გავაკეთო, თქვენს საკეთეს მაინც ვერ გადავიზღი.
- ბელბა (კურკელს დალაგებს თაროებზე და გვერდით მოუჯდება ადელას, რათა მოეხმაროს.) ეს სახლი გაჩერებული საათივით იყო: კუთხეებში მიუუფული ბავშვები და გაშეშებული, გაქვავებული, სურათს მიციებული დიასახლისი. ახლა უველა მოძრაობს, საათის ჩიტიც კი მღერის.
- ადელა. მე ხომ არაფერი გამაჩნდა, სულ პატარა იმედიც კი, და უცებ ზევამ უველაფერი ერთხად მომცა: დედა, პაპა, ძმები — მთელი ცხოვრება, სხვისგან დაწყებული (ოდნავ ნაღვლიანად) 'ზოგჯერ შეჩვენება, რომ შეტისშეტია, რომ სიზმარში ვარ და კვლავ მართლხელას გამეღვიძება იქ, მდინარის პირას....
- ბელბა (სწრაფად გადაიწერს პირველს). გაჩუმდი, შენც მოგდის რაღა სადღესაწაულო ფიქრების (ახევეს გორგალს.) უცებ რად მოიწყინე?
- ადელა. არა! უბრალოდ, იმაზე ვფიქრობდი, რომ ბედნიერებისთვის კაცს უოველთვის რაღაც აქლია.
- ბელბა. ჰოო! (დაეინებით უყურებს). და ის რაღაც... შავთვალა და დეზებიანი ჩეელია?
- ადელა. მარტინია.
- ბელბა. ასეც ვფიქრობდი.
- ადელა. უველა დანარჩენს მოვწინვარ. მხოლოდ ის, ვინც ამ სახლში მომიყვანა, უცხოთვით მიუურებს. არცერთხელ არ უთქვამს ჩემთვის თბილი ხიტყვა.
- ბელბა. ასეთი ხასიათისაა. ნამდვილი მამაკაცები კარგად დაბრაწული პურივით არიან: რაც უფრო მაგარია ქერქი, მით უფრო ნაწია გული.
- ადელა. როცა მარტო ვრჩებით, უოველთვის გამონახავს საბაბს, რომ წავიდეს. ანდა ღუმს და ერთხელაც არ შემოგხედავს.
- ბელბა. მაშ, ასეა საქმე? ცუდია, ცუდი. როცა მამაკაცები გვაშტერდებიან, შეიძლება არაფერიც არ მოხდეს, მაგრამ როცა ვერ ბედავენ შემოხედვას, უველაფერი შეიძლება მოხდეს.
- ადელა. ამით რა გინდათ თქვით?
- ბელბა. რა და ის, რისი თქმაც შენ არ გინდა. ყური მიგდე, ადელა: თუ შენ ჩემთან ლაპარაკი

გინდა, მოდი; მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ ვილაპარაკოთ. უფრო გაბედულად თქვი და ხიტყვებისა ნუ გეშინია, რას გრძნობ მარტინის მიმართ?

ადელა. მწყურია სიკეთით გადავუხადო, რაც მან ჩემთვის გააკეთა, მინდა ცეცხლი გავუხადო მაშინ, როცა სცივა, მინდა მასთან ერთად ვდუმდე, როცა დარდიანია.

ტელბა. სულ ესაა?

ადელა. აბა, სხვა რა უნდა მინდოდეს?

ტელბა. იმაზე არ გიფიქრია, რომ მამაკაცია და და კი არა, ქალი ხეირდება?

ადელა. ტელბა... (შეშინებული აღგება.) ეს რამ გიფიქრებინათ!

ტელბა. უხრატოდ იმას ვამბობ, რომ ამაში უცნაური არაფერი იქნებოდა.

ადელა. ეს მუხანათობა იქნებოდა. მე ახლა ყველაფერში ანუელიკას ადგილი მიჭირავს, ისე, რომ მის ხსოვნას ჩირქს არ ვცხებ. მაგრამ რჩება კიდევ ერთი რამ, უკანასკნელი და წმინდა, რასაც ვერ შევებები. ვერამც და ვერამც!

შუქი ოდნავ მკრთალდება. შენოდის მარტინი, მათ რომ დაინახავს, შეჩერდება.

მარტინი (ტელბას) სახვევი არა გაქვს?

ტელბა. რად გინდა?

მარტინი. გუშინ მაჭა ვიღრძე, უნდა შევიხვიო.

ტელბა. გესმის, ადელა?

ადელა (მიღის მარტინთან). გუშინ რატომ არ თქვი?

მარტინი. ყურადღება არ მივაქციე. ალბათ, ფორანს რომ ვცლიდი, მაშინ ვიღრძე.

ტელბა. მში გუშინ ფორანი მთელი დღე ეზოში იდგა.

მარტინი (ცივად). აბა ალბათ, მაშინ ვიღრძე, როცა ხეებს ვსხლავდი ან ხარებს ვაბამდი. რაო, აუცილებლად უნდა მახსოვდეს?

ტელბა. მე რა, ხელი შენია.

ადელა (ფრთხილად უხვევს) გტკივა?

მარტინი. უფრო მაგრად მოუჭირე. კიდევ უფრო მაგრად. (ვიღრე ადელა შეხვევას დაამთავრებს, თვალს არ ამორებს.)

რატომ ჩაიცივი ეს კაბა?

ადელა. ეს ჩემი სურვილი არაა. მაგრამ თუ შენ არ მოგწონს...

მარტინი. შენ ეს კაბა რად უნდა ჩაიცივა. თუმცა, თუ გინდა, გეცვას. (აღის კიბეზე ჩერდება და გულთბილად ამბობს, თუმცა მისკენ არ იხედება.) გმადლობ.

ტელბა. ეგვი საქმეა. გაკლია, იმ ხელს უკბინო, რომელსაც შენი შორჩენა უნდა. (მარტინი მიღის.) აფხუხ, რომ კარგი კაცლის ჯობი არა მაქვს აფხუხ, რომ კარგი კაცლის ჯობი არა მაქვს!

ადელა (საქარგავს მობოქავს. ჩაფიქრებით ამბობს). ეგ ასეთი არაა, როცა მინდორს გაბუურებს ან თავის ცხენს ეაღერსება. მხოლოდ ჩემთანაა ასეთი...

შენოდის დედა.

მე უკვე მინდოდა თქვენს საქმებზელად წამოსვლა: გვარიანი გახეირება კი გამოგივიდათ!

დედა. ზვრებადღე მივედით, მაში ისეთი მშვენიერი საღამოა, ზაფხული გეგონება.

ტელბა. სოფელში ჩაიარეთ?

დედა. ჩავიარე. ვეღარც კი ვიცანი! ზვრები ღამის ქურაშია გამოსული, ახლა რამდენი ახალი ხეა! ბავშვებიც ისე მალე დაზრდილან, ბევრი არც მიცნობს.

ტელბა. თქვენ გეგონათ, სოფელს ეს ოთხი წელი ეძინა?

დედა. წისკვილის გზაზე კი ისეთი ვარდები მყვავის!

ადელა. წისკვილში იყავით?

დედა. ზო. ეს მითხარით, კვიკო სადაა?... კვიკო!

კვიკოს ხმა. მოვდივარ!

დედა (ადელას). აბა, შვილო, ახლო მოიწი, ან მე ბრმა ვარ, ან უკვე ბნელდება.

ადელა. უკვე ბნელა.

ტელბა ლამპას აანთებს.

დედა. თმა ცოტა გადაიწიე... აი, ასე... (ადელას თმაზე ხელს უსვამს, კაბის ნაკვეთებს უსწორებს.) ახლა, ზო, ის ასეთი იყო, თვალეზში ცოტა უფრო ღიაა, მაგრამ ასეთივე გამოხედვა მქონდა (თვალეზს უკოცის).



ქართული  
საბავშვო ჟურნალი

- შემოდის კვიკო გვირგვინის მოყვანილობის ზაბთებით მორთული თაიგულით ხელში.
- კვიკო. რას გვიბრძანებთ, დიასახლისო?
- დედა. შენი დოლაბი ცხავივითაა, ბორბალი გაფუჭებულია. ბორბლისათვის...  
(კვიკო თვალით ქამს ადელას). გესმის?
- კვიკო. ა?.. დიახ, ქალბატონო.
- დედა. ბორბლისათვის ყველაფერს კოპიტი ხჭობია. ყველაფერს კი ხჭობია, ეს, ზღაღვე გააკეთო. გესმის?
- კვიკო. ა? დიახ, ქალბატონო, ასეც ვიზამთ.
- დედა. წავალ, მეც ჩავიცვამ საზეიმოდ. ფარფლიან ქუდს დავიხურავ და ვერცხლის საყურეებს ჩამოვიკონწიალებ, როგორც ძველად ვიკეთებდი, როცა ბედნიერი ვიყავი.
- ტელბა. ცეკვების საყურებლად წავიდეთ?
- დედა. უკვე ოთხი წელია ჭიკოკონა არ მინახავს.
- ტელბა. ჭიკოკონა მეც მიფიცხებს სისხლს და, თუ ფეხები მომყვია, გარვენებთ პერმინ-დანგოს ეშხს.
- ადელა (მიდის დედასთან ერთად). დაიდალეთ? მე დამეყრდენით.
- დედა. გმადლობთ... შეილო...  
ადიან კიბეზე.
- ტელბა. ზვრები, წისკვილი და ღამე ცეკვა კოცონთან. არნახული რაშაა. (ამჩნევს, რომ კვიკო თვალს არ აცილებს იმ ადგილს, საიდანაც გავიდა ადელა). ჰეი, თვალებს გაუფრთხილდი, თორემ ბუდიდან გადმოგიცვივია და კიბეზე აირბენენ.
- კვიკო. რაო, უურებაც არ შეიძლება?
- ტელბა. მხოლოდ დროის დაკარგვაა. უკვე ივახშმე?
- კვიკო. კარგა გემოზე. მაგრამ ადგილი კიდევ მონახება.  
ტელბა ღვინოს უსხამს.  
(უყურებს თაიგულს) თქვენ მოგწონთ ეს თაიგული? დაფნა, მუხის ტოტები, ყვავილები..
- ტელბა. ურიგო არაა, მაგრამ ერთი რატომაა? აღსკაღდს სამი ქალი ჰყავს.
- კვიკო. ეს თაიგული სამაგათო არაა. ეგ ამბავი წარსულს ჩაბარდა.
- ტელბა. რაო, ახალი გაიჩინე?
- კვიკო. ვითომ რა აუცილებელია, ეს ხომ უბრალოდ თაიგულია.
- ტელბა. ადელასთვის ხომ არ გინდოდა მოგერთმია?..
- კვიკო. ბევრს უნდა, მაგრამ ვერავინ ბედავს.
- ტელბა. რატომ?
- კვიკო. მარტინის გამო.
- ტელბა. მარტინი რა შუაშია? ეგ რა, ქმარია თუ საქმრო?
- კვიკო. არა, უბრალოდ ზოგი რამ ხალხს ვერ გაუგია.
- ტელბა. მაინც?
- კვიკო. მაგალითად... ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, არა და-ძმა, ერთ პერქვეშ კი ცხოვრობენ.
- ტელბა. ესლა მაკლდა! შენც კი, ვინც მათ იცნობ და მათ სახლში ქამ პურს, ასე ფიქრობ? (იღებს დოქს). აბა, გაიმეორე, თუ ვაყვაცი ხარ!
- კვიკო. ეე, ცოტა ფრთხილად... მე არაფერს არ ვფიქრობ, ძალით ხომ არ გინდათ ამომქაჩოთ. მე იმას ვიმეორებ, რასაც აქ ყველა ლაპარაკობს.
- ტელბა. სად „აქ“?
- კვიკო. სადა და... აქ.. გარეთ, ლუდხანაში.
- ტელბა. ლუდხანაშიო. წმინდა ადგილი არ მომინახა! აი, სად ესვრიან ზურგში მეზობლებს ქვებს. (გვერდით მიუჯდება და ღვინოს უსხამს). კარგი, ჰო, თქვი, რას ღაუბობენ ის წმინდა მარჩიელები?
- კვიკო. რახა და... ესაო, ისაო, ასეო, ისეო, მოგეხსენებათ: ქალის ენა — დანახავითაა.
- ტელბა. აბა, ეშმაკის მოდგმავ, მომყევი, რას სისინებენ ისინი თავიანთ ქადაგებებში. მიდი!
- კვიკო. რაო და, ვითომ ადელამ ისიც კი არ იცოდა, სად მომკვდარიყო, ახლა კი იმ სახლის დიასახლისიაო... და ყველაფერს პარავს ანუელეკასო... ახლა არა მარტო მის ტანსაცმელს ხმარობს, მის ზეწურებში წევსო. გუშინ ისინი მწყემსთან ერთად ჭიხვინებდნენ ამაზე, როცა მარტინი შემოვიდა.
- ტელბა. ღმერთო ჩემო! მარტინმა გაიგონა?

კვიკო. აბა, არა უცხად შემოვიდა, ცვილივით გაფითრებული. მწყემსს ხელი ჩაავლო, აი-ძულა დაჩოქილიყო და ისე წარმოეთქვა ადელას სახელი. მაშინ ბიჭებმა ჩაერივნენ და კარგადაც ელაპარაკნენ.

ტელბა. მო... მაგრად ულაპარაკნიათ, აღბათ იმიტომ იყო, დღეს რომ ხელი შეიხვია. მერე, მერე რა მოხდა?

კვიკო. მერე რა უნდა მომხდარიყო? ყველა გაძვრა-გამოძვრა, იგი კი მარტო დარჩა კი სახ-მელად... ღამე მშვიდობისა.

ტელბა (უცებ აიღებს მავიდიდან დოქს და ტოლჩას). ღამე მშვიდობისა მერე იყო, შე გაიძვერავე, შენა! ყოველ შემთხვევაში, დაიმახსოვრე და იმ მიკიტან ქალს გადაეცი, სხვისი ნაშუს-ღირსება ნუ ადარდებს, თავისას მოუაროს, თუ შეუძლია. მამაკაცებს რაც შეეხებათ, ნებისმიერი ქალი, მასზე თუნდაც ორჯერ ნაკლები საყვარელი რომ შეყავდა, — უკვე კახაა. წადი, მოუხვი აქედან! (უკვე სიღრმეში მდგარს კარიდან უყვირის.) იმ მიკიტან დედაკაცს გადაეცი, წყალი უფრო მეტი ჩაახსი-თქო ღვინოში. კვიკო გადის.

(მარტო დარჩენილი ქაქლანებს). რახაკვირველია აბა, სხვას ვის შეეძლო? ავი თვალი ავად ხედავს ყველაფერს... რა ენა აქვს! ლეში, თახხირი ეგა ჩამღრძვალა ხვლიკი! შემოდის პაპა.

პაპა. რას ქაქლანებ?

ტელბა (უკმაყოფილოდ). თქვენი რა საქმეა? მაინც რა ბზიკმა გიკბინათ: შემოდინხართ, გადინხართ, დარაჯობთ თითქოს, ვინმეს ელოდებით, თუ?

პაპა. არა. ადელა სადაა?

ტელბა. ახლავე ჩამოვა. ცოტათი გაახალიხდეთ, თორემ რაღაცნაირი ბნელი აზრები მოსდის თავში (ბუზღუნით ჩაუვლის გვერდს). კუდიანის ბებერი ხვირთქლი აგრემც მიწამ კი წაგიტანოს, ამინ! (გადის.)

პაუზა. პაპა ფანჯარაში გაყოფს თავს, ირგვლივ იხედება, ცას აპყურებს, ჩამოდის ადელა.

ადელა. შეძახდით, პაპა?

პაპა. ისეთი არაფერი, უბრალოდ მინდოდა შენახე. ტელბამ მითხრა, თურმე მძიმე აზრები გიტრიალებს თავში.

ადელა. სიხულელეა! წოგჯერ ხომ უშიწეზოდ წატირებაც კი სასიამოვნოა. ყველაფერი იმაზე მეტი მაქვს, ვიდრე ვიოცნებებდი. დედა იცვამს, რომ ციკვებზე წამიყვანოს, დღეს წლის ყველაზე ღამაში ღამეა. (ფანჯარასთან, სიღრმიდან). შეხედეთ, მთელი ცა ვარსკვლავებითაა მოჭედული. რა სავსე მთვარეა.

პაპა (ამ სიტყვების გაგონებაზე შეკრთება, ჩუხად ჩაილაპარაკებს) სავსე მთვარეა... რაც შენ მოხვედი, იმის შემდეგ უკვე შეშვიდედ გაივსო...

ადელა. მო? რა მოკლე დღეებია აქა!

პაპა (მხრებში მოპკიდებს ხელებს, თვალებში ჩასცქერის). სიშართლე მითხარი, გაფიცებ ყველაფერს, რაც წმინდად მიგაჩნია ბედნიერი ხარ?

ადელა. როგორ შეიძლება ბედნიერი არ ვიყო.

პაპა. შენ შე არაფერს მიშალავ?

ადელა. რა უნდა დაგიშალოთ? (აწრიალებული). თუმცა, ისე მგონია, დღეს შე კი არ ვმალავ რაღაცას, არამედ... რა მოვლით?

პაპა. ფიქრების ბრაღია. ნეტავი იმაში მაინც დამაჭერა, რომ ეს სიწმარე იყო. მაგრამ არა, ეს ხწორედ ის ღამე იყო, როცა შენ გამოჩნდი, შეიდი მთვარის უკან... ხორცილთ და სიხბლით სავსე...

ადელა. რომელ სიწმარეზე ღაპარაკობ?

პაპა. ყურადღებას ნუ მიაქცევ, თვითონაც არ ვიცი, რას ვლაპარაკობ. უბრალოდ, გული შე-უბნება, რომ რაღაც საშიშროება გველის... რომ უბედურება ერთბაშად, უცხად დაგვატყდება თავს და ვერც ვერაფრის გაკეთებას შევძლებთ, და ვერც იმას ვა-ვიგებთ, საიდან დაგვატყდა... როდესმე მარტო თუ მოხვედრილხარ მთაში ქარიშხლის დროს?

ადელა. არახდროს.

პაპა. ამაზე საშინელი არაფერია. გრძნობ, ელვა კლაკვნა-კლაკვნით როგორ ადის ზემოთ და ზემოთ, თუ მოიკუნტები და ადგილზე გაირინდები, შენს თავზე იკლაკნება, მაგრამ



თუ გაიქცევი, მოგდევს და მოგდევს. შენც სუნთქვაშეკრული ელოდები გარდა-  
უვალ განაჩენს... და გაპყრობს შიში, ცხენის დრუნჩივით რომ აგაძაგძაგებს!

ადელა (შეშინებული უყურებს და ხმამაღლა იძახის). დედა..

პაპა. ჩუმადა ნუ შეშინდი, შვილო. რატომ იყვირე ასე?

ადელა. თქვენ ისე უცნაურად ლაპარაკობთ...

პაპა. დამშვიდდი, ყველაფერმა გაიარა. გამიმეორე, რომ შენს სულში ბევრად ნაკლებია არაა,  
რომ სავსებით ბედნიერი ხარ, რათა მეც მშვიდად ვიყო.

ადელა. თქვენს თავს ვფიცავარი ჩემი არ გქერათ? მე ისე ბედნიერი ვარ, რომ ამ სახლში  
გატარებული ერთი წუთი ყველა წარსულ წელს შირჩევნია.

პაპა. გმადლობ, ადელა. ახლა კი ერთი რამე აღმიტყვი: ამაღამ ცეკვების დროს ერთი ნაბიჯითაც  
არ მოშორდეს გვერდიდან. და თუ გაიგონე, რომ რაღაც უცნაური ხმა გიხმობს,  
უფრო მაგრად ჩამკვიდე ხელი და არ გაინძრე. მპირდები ამას?

ადელა. გპირდებით.

პაპა (ხელს დაუჭერს. უცებ რაღაცას იყურადებს). გესმის?

ადელა. არა.

პაპა. ვიღაც მოდის სახლისკენ კალოდან.

ადელა. შო. ბიჭები არიან. თაიგულებს ისვრიან ფანჯრებში.

პაპა. ღმერთმა ქნას... (გადის.)

ადელა: შეწუხებული გააყოლებს თვალს. შემდეგ ნელა წავა სიღრმის კარისკენ. იქ  
გამოჩნდება მწირი ქალი. ადელა ჩერდება.

მწირი ქალი. საღამო მშვიდობისა ქალიშვილო!

ადელა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. სენიორა, თქვენ ვინმეს ეძებთ ამ სახლში?

მწირი ქალი (შემოდის). მე პაპა მელოდება. ჩვენ მეგობრები ვართ. შენ კი არ გახსოვარ?

ადელა. გიხსენებთ... ძალზე ბუნდოვნად.

მწირი ქალი. ჩვენ ერთადერთხელ ვნახეთ ერთმანეთი, ცეცხლის ახლოს... მაშინ, როცა მარ-  
ტინმა მდინარიდან მოგიყვანა. რატომ დაბრუნე თვალი?

ადელა. არ მინდა იმ დღის გახსენება. ჩემი ცხოვრება მეორე დიდიდან დაიწყო.

მწირი ქალი. იმ ღამეს სხვანაირად ლაპარაკობდი. შენ თქვი, წყალში ყველაფერი იოლი და  
შეებისმომგვრელი იყო.

ადელა. მე არაფრის იმედი არ მქონდა. არ ვიცოდი, რას ვლაპარაკობდი.

მწირი ქალი. მესმის. ყოველ წუთს თავისი ხიშტითლე აქვს, დღეს შენ საზეიმოდ გიცემციმებს  
თვალეები და საზეიმო საშოსელიც გაცვია, ამიტომ შენი სიტყვებიც საზეიმოდ  
ჟღერს. მაგრამ ვაითუ კახის შეცვლასთან ერთად ისინიც შეგეცვალოს. (მიაყუდება  
კვერთხს) შემორბიან ბავშვები და ურჩამულით შემოებეგვიან მწირ ქალს.

დორინა. ეს თეთრხელეა მწირი ქალია!

ფალინი. ჩვენ ისე ხშირად გიგონებდით! ზეიმზე ჩამოხვედი?!

ანდრესი. კოცონს მე გავაჩაღებ, როგორც უფროსი შენ ჩვენთან წამოხვალ?

მწირი ქალი. არა, როცა ბავშვები ცეცხლს ახტებიან, ჯობია მე მოშორებით ვიყო.  
(ადელას.) ესენი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ჩემთან დარჩებიან.

ადელა. შე არ დაგპირდებით?

მწირი ქალი. ჭერჭერობით არა. შენ ცეკვებზე წახვალ?

ადელა. შუალაშით, როცა ჭიკაძეონები დაინთება.

მწირი ქალი. ჭიკაძეონებს მდინარის პირას ანთებენ, არა?

ადელა. მორევთან.

მწირი ქალი (დაუინებით უყურებს). კეთილი. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს... მორევთან.  
ადელა თვალებს დახრის და გადის.

ფალინი. ამდენ ხანს რატომ არ დაბრუნდი?

ანდრესი. უკვე ვიფიქრეთ, რომ შენ ხაერთოდ არ მოხვიდოდი!

დორინა. ბევრი იმოგზაურე მას შემდეგ?

მწირი ქალი. ბევრი. თოვლიან მთებზეც ვიყავი, ჭვიშნარ უდაბნოებშიც, კენჭით მოფენილ  
ზღვის ხანაპიროებზეც. ასე სხვადასხვანაირი ქვეყანა გამოვიარე, მილიონი გზა...  
და ყველას ერთგან მივყავარ.

დორინა. რა დიდებულია — ამდენ მოგზაურობას რა სჯობია!

ფალინი. და შენ არასოდეს ისვენებ.



მწიბრი ქალი. არასოდეს. მხოლოდ ერთხელ დავისვენე, როცა აქ დავიძინე.  
 ანდრეასი. მაგრამ დღეს დაძინება არ შეიძლება. დღეს წმინდა იოანეს დღესასწაულია!  
 დორინა. სხვა სოფლებშიც ანთია ამდენი კოცონი?  
 მწიბრი ქალი. ყველა სოფელში ასეა.  
 ფალინი. რატომ?  
 მწიბრი ქალი. მზის სადიდებლად ანთებენ. ეს წლის ყველაზე გრძელი დღე და ყველაზე მოკლე ღამეა.  
 ფალინი. მაგრამ წყალი განა ყოველთვის ერთნაირი არაა?  
 მწიბრი ქალი. არა, ადამიანებს ერვენებათ მხოლოდ ასე.  
 ანდრეასი. ამბობენ, ცხვრებს შუალამით თუ დაბან, მგლები აღარ შეჭამენო.  
 დორინა. ქალიშვილი კი, რომელიც განთიადზე დუმფარას მოწყვეტს, ერთ წელიწადში გათხოვდებაო.  
 ფალინი. ამ ღამით წყალი რატომაა მოჭადლოებული?  
 მწიბრი ქალი. ეს ხომ ნათლისღების ღამეა. ქრისტე სწორედ ასეთ ღამეს მონათლეს.  
 დორინა. მე ვნახე ერთი სურათი. წმინდა იოანეს ირმის ტყავი აცვია და უფალი ზღვაში დგას მუხლამდე.  
 ანდრეასი. მდინარეში.  
 დორინა. ეს ხუდ ერთია.  
 ანდრეასი. ხუდ ერთი ხუდაც არაა. ზღვა ისაა, რასაც მხოლოდ ერთი ნაპირი აქვს, მდინარეს კი — ორი.  
 ფალინი. ეს ხომ მაინც აქ არ ყოფილა, ძალიან შორს და ძალზე დიდი ხნის წინათ იყო.  
 მწიბრი ქალი. ამ ღამეს ყველა მდინარეში იორდანის წვეთებიც მოედინება ქვეყნად. ამიტომაცაა წყალი მოჭადლოებული.  
 ბავშვები აღფრთოვანებულნი შესცქერიან მწიბრი ეფერება. შემოდის პაპა და მას, რომ დაინახეს ბავშვებს შორის, ღამის იყვიროს.  
 პაპა. ბავშვებს მოშორდი, მოშორდი! ხელი არ ახლო, გესმის. შორიდან ისმის ფლეიტებისა და დაფდაფების ხმა.  
 ბავშვები წამოხტებიან.  
 ანდრეასი. გესმის, პაპა, ფლეიტა უკრავს!  
 ბავშვები (ერთხმად). მუსიკა უკრავს უკვე დაიწყო! გარბიან.  
 პაპა. მაინც მოხვედი?  
 მწიბრი ქალი. შენ არ შელოდი?  
 პაპა. ვიმედოვნებდი, რომ დაგვივიწყებდი.  
 მწიბრი ქალი. მე ჩემს დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ, თუმცა ზოგჯერ კი გულისტკივილით.  
 პაპა. არა მჭერა შენი გულისტკივილისა. გულისტკივილს რომ გრძნობდე, წლის ამ ყველაზე მშვენიერ ღამეს არ მოგვადგებოდი.  
 მწიბრი ქალი. მე არ შემიძლია თვითონ ავირჩიო ვინმე. მე მხოლოდ სხვას ვემორჩილები.  
 პაპა. სიცრუეა! რატომ მომატყუე იმ დღეს? შენ მიტხარი, თვითონ დამიძახებო. ვანა მე დაგიძახე? ან ამან დაგიძახა?  
 მწიბრი ქალი. ჭერ კიდევია დრო. ღამე ეს-ესაა დაიწყო, ყველაფერი შეიძლება მოხდეს!  
 პაპა. წადი, გივედრები. შენ საკმაო უბედურება მოუტანე ამ ოჯახს.  
 მწიბრი ქალი. მე მარტო ვერ დავბრუნდები.  
 პაპა. მე წამიყვანე, თუ გინდა. წაიყვანე ჩემი ფარა, წაიღე ჩემი მოხავალი, ყველაფერი, რაც მებაღია. მაგრამ ნუ გაატიალებ ამ ოჯახს, როგორც მაშინ, როცა ანუელიკა წაიყვანე.  
 მწიბრი ქალი (უდილობს გაიხსენოს.) ანუელიკა... ეს ვინაა.. ვინაა ეს ანუელიკა, ვისზეც ყველანი ღაპარაკობთ?  
 პაპა. შენ მეკითხები ამას? შენ, ვინც გაგვძარცვე?  
 მწიბრი ქალი. მე?  
 პაპა. გაიხსენე დეკემბრის ერთი ღამე და მორევი. ამ ოთხი წლის წინათ... (ყელიდან იხსნის და უჩვენებს მედალიონს). აი, შეხედე ამას. მის ყურებში ჭერ ისევ საქორწინო სიმღერები ვღერდა, ტუჩებზე კი ჭერ არ მქონდა შემშრალი პირველი კოცნის გემო. რა უყავი მას?  
 მწიბრი ქალი (ათვლიერებს მედალიონს). ღამაში გოგოა... მარტინის ცოლი ეს იყო?



პაპა. მხოლოდ სამ დღეს იყვნენ ერთად. ვითომ არ იცი? თავს ნუ იკატუნებ.  
 მწირი ქალი. თავის მოკატუნება მე არ შემიძლია. გეუბნები, არ ვიცნობ და არც არასდროს  
 მინახავს-მეთქი (უბრუნებს მედალიონს.)  
 პაპა (უყურებს, ვერა და ვერ დაუჯერებია.) არ გინახავს?  
 მწირი ქალი. არასდროს.  
 პაპა. კი მაგრამ, მაშინ. სადაა? (მხრებში წაავლებს ხელს, აგზნებით).  
 მწირი ქალი. მდინარეში ეძებს? მარტინიც ეძებდა?  
 პაპა. მარტინს არ უძებნია. იგი ოთახში ჩაიკეტა. (უცქერის. უცებ შეშფოთებით) ეს რატომ  
 მკითხე?  
 მწირი ქალი. არ ვიცი... აქ რალაც საიდუმლოებაა დამარბული, რომელიც უნდა ამოვიცნოთ.  
 პაპა. შენ თუ არ იცი, სხვამ ვიღამ უნდა იცოდეს?  
 მწირი ქალი. მან, ვინც ანუელიკასთან ყველაზე ახლოს იყო. შესაძლოა, მარტინმა იცოდეს.  
 პაპა. შეუძლებელია. რისი გულისთვის მოგვატყუებდა...  
 მწირი ქალი. სწორედ ესაა საკვირველება. (სწრაფად და ხმამაღლა). ჩუმად, პაპა. ის მოდის.  
 მარტა დამტოვე.  
 პაპა. შენ გინდა, რომ...  
 მწირი ქალი (მბრძანებლურად). მინდა ვიცოდე, რა მოხდა! დამტოვე-მეთქი  
 პაპა გადის. (მიდის სიღრმის კართან და ხმამაღლა იძახის.)  
 ადელა.. (სწრაფად იმალება).  
 კიბეზე ჩამოდის მარტინი. შემოდის ადელა.  
 ადელა. შენ შეძახდი?  
 მარტინი. მე არ დამიძახნია.  
 ადელა. უცნაურია. მაშასადამე. მომესმა?  
 მარტინი. მაგრამ გეძებდი კი. მინდა რალაც ვითხრა.  
 ადელა. ალბათ, ძალზე მნიშვნელოვანი, რაკი შეძებდი. აქამდე ხულ გამიბოდი.  
 მარტინი. მე მჭევრმეტყველი არა ვარ და ერთი სიტყვით გეტყვი სათქმელს — მშვიდობით.  
 ადელა. სადმე მიემგზავრები?  
 მარტინი. ხვალ, მებრებთან ერთად... კასტილიაში.  
 ადელა. ასე შორს... სხვამ ყველამ იცის ესა?  
 მარტინი. ჭერ არა. მინდოდა პირველს შენ გაგეგო.  
 ადელა. შენ უკეთ იცი. მერედა, დიდხანს დარჩები იქა?  
 მარტინი. რამდენ ხანსაც საჭირო იქნება. ეს ჩემზე არაა დამოკიდებული.  
 ადელა. ვერ გამოვივა. ასე შორს უცაბედად, ყველასგან ჩუმად არ მიდიან... თითქოს გარბიხა-  
 რო. რისთვის მიდიხარ კასტილიაში?  
 მარტინი. რა მნიშვნელობა აქვს. ან საქონელს ვიყიდი, ან ვენახის ნერგებს. ერთადერთი, რაც  
 მჭირდება, — წახვლაა. ასე ხჯობია ორივესთვის.  
 ადელა. ჩვენ ორივესთვის?  
 მარტინი. ჩვენ ერთგერქვეშ ვცხოვრობთ და არ მინდა სოფელში ყველანი შენს სახელს ჩირქს  
 ცხებდნენ.  
 ადელა. კი მაგრამ, რისი თქმა შეუძლიათ? პირველივე დღიდან ძმასავით გიყურებდი და თუ  
 რამე წმინდა გამაჩნია, ეს ანუელიკას ხსოვნაა. (მიდის მარტინთან). არა, მარტინ,  
 აქ რალაც უფრო დიდი ამბავია, შემომხედე თვალეებში ხომ არ მიმაღავ რამეს?  
 მარტინი (ცივად). თავი დამანებე!  
 ადელა. თუ ხალხის გეშინია, საჯაროდ ვიუვირებ, ეს სიცრუეა-მეთქი  
 მარტინი (იფეთქებს). მერე რა გამოვა, თუ შენ საჯაროდ იუვირებ, მე კი არ შემიძლია და-  
 ვიუვიროს თუ გაგირბივარ, როცა მარტონი ვრჩებით, თუ არ შემიძლია გელაპარა-  
 კო და თვალეებში გიუურო, თუ მინდა თავი დავიცვა იმისგან... რაც მათ ჩემზე აღრე  
 გაიგეს! რა ბედენაა კედელზე თავის ხეთქება და ლოგინში წრიალი: „არა და არა“,  
 როცა მთელი არსება ყვირის: „მიუვარს, მიუვარს!..“  
 ადელა. მარტინ!  
 მარტინი (ძლივს ერევა თავს). მე არ მინდოდა შენთვის ეს მეთქვა, მაგრამ ეს გრძნობა ჩემზე  
 ძლიერია, მაპატიე...  
 ადელა. გაპატიო?.. რა უცნაურად უღერს ეს სიტყვა ახლა! ეს შე უნდა ვითხოვო პატიება, მაგ-  
 რამ არ ვიცი, ვის ვთხოვო და როგორ. რა მემართება? უნდა ვიტყვო, არადა, მარ-



ღვებში მთელი სისხლი ნიჟღერს, როგორ მეშინოდა შენგან ამ სიტყვის გაგონება, ახლა კი სხვა არაფერი მინდა მესმოდეს..

მარტინი (მოეხვევა.) ადელა...

ადელა (მას ჩაბუტებული). სხვა არაფერი მინდა..  
მარტინი კოცნის, სამარისებური სიჩუმე, პაუზა.

მარტინი. ახლა როგორ იქნება ჩვენი საქმე?

ადელა. ამას რა მნიშვნელობა აქვს? შენ თქვი, მიყვარხარო. ასეც ვინმე უნდა სიტყვებიც მეყოფა იმისთვის, მთელი სიცოცხლე ბედნიერი ვიყო. ახლა მე ამ სახლიდან წავალ.

მარტინი. არა!

ადელა. ეს აუცილებელია. შენ გგონია, დედა დათანხმდება? მისთვის ჩვენი სიყვარული ანუ ელიკას ხსოვნის შებილწვაა.

მარტინი. და შენ გგონია, ანუ ელიკას ხსოვნას შეეძლო ჩვენი გაყრა? მიცვალებულნი უძღურნი არიან!

ადელა. იგი ძლიერია. იგი უჩინრად მართავს აქაურობას და მას პირველი მე ვემორჩილები.

მარტინი (გადაკრთით). მომისმინე, ადელა... მე შეტი არ შემიძლია ვინმეს უნდა გავუწიარო ჩემი გულისთქმა, ვინმეს უნდა გავუშხილო სიმართლე, რომელიც სულს მიხუთავს. ანუ ელიკა არ იყო ის ნათელი ხატება, რომელიც შენ წარმოისახე. მთელი ეს მოგონებები მასზე სიცრუეა, წყალზე დაცემული ათინათები.

ადელა. არა, გაჩუმდი! როგორ შეგიძლია ასე ილაპარაკო ქალზე, რომელიც გიყვარდა?

მარტინი. მიყვარდა და ძალიანაც. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ნაკლებ მიყვარებოდა. მაგრამ შენ უნდა იცოდე! უნდა იცოდე, რომ მთელი მისი ცხოვრება სიცრუე იყო. ისევე, როგორც მისი სიკვდილი.

ადელა. ამით რისი თქმა გინდა?

მარტინი. კიდევ ვერ მიხვდი? ანუ ელიკა ცოცხალია. ამიტომ გვთხოვს იგი ერთმანეთისაგან.

ადელა. ეს შეუძლებელია! (სკამზე ეცემა. ანგარიშშიუცემლად იმეორებს). შეუძლებელია! (ხელისგულებით იფარავს სახეს და ასე უსმენს მარტინს).

მარტინი. ყველას ახსოვს ის დრო, როცა ჩვენ სახიმო და საპატარძლო ვიყავით. ერთგულეობა და სინაზე, მშვიდი მწერა და ბედნიერი სიცოცხლე, რომელიც ახალმოთბული ბაღის სუნს ფენდა მიდამოს... შემდეგ კი იგი გაემგზავრა საქორწინო ხამოსელის შესაძენად. ამისთვის რამდენიმე დღე დასჭირდა, მაგრამ ხულ სხვანაირი დაბრუნდა. უკვე დამფრთხალი თვალები ჰქონდა და მის ხმას თითქოს მდინარის სილა აბზობდა. ეკლესიაში ფიცს რომ ღებდა, ძლივს ხუნთქავდა, ხოლო თითზე ბეჭედს რომ ვაცმევდი, ხელეხი უკანკალებდა. მე კი... ჩემი მამაკაცური ხიამაყე შეიშობდა. მე ბრბოში ვერც კი შევამჩნიე ერთი უცნობი, რომელიც მოხასხამის კალთით მალავდა შტვრიან ჩექმებს და შორიდან უთვალთვალეობდა ჯვრისწერას. ანუ ელიკას სამი დღე სიცხე ჰქონდა და, რაკი ეგონა, მეძინა, ბალიში სახეჩარგული ტიროდა. მესამე ღამეს, როცა მდინარისკენ მიმავალი დავინახე და უკან გავხვი, უკვე გვიან იყო: თვითონ ახსნა ნავი და გავიდა გაღმა ნაპირზე, სადაც ის კაცი ელოდებოდა ორი ცხენით...

ადელა (განრისხებით). და შენ ასე თავისუფლად გაუშვი? შენ, საუკეთესო მოჭირითე მთიელი, გულზე ხელეხდაკრეფილი ტიროდი?!  
მარტინი. მთელი ღამე გიუივით ვაქენე ცხენი — თოფი ჩახმახზე მეყენა, დეზებიც დასისხლიანებული მქონდა. მთელი ღამე ვაქენე, ვიდრე მზე არ ამოვიდა.

ადელა. რატომ დუმდი?

მარტინი. აბა, რისი გაკეთება შეშეძლო? თავიდან მინდოდა შეთქვა, რაც მოხდა, მაგრამ შემდეგ, როცა მისი მანდილი მორევში იპოვეს და ლაპარაკი ატყდა, დაიბრჩოო, მივბვდი, ყველაფერს დუმილი აჯობებდა.

ადელა. ეს მისი დედისა და ძმებისთვის გააკეთე?

მარტინი. არა.

ადელა. აბა, შენთვის? მამაკაცური ხიამაყის გამო?

მარტინი. არა, ადელა. მე ასე გულნამცეცა კაცი არა ვარ. ეს მხოლოდ მისი გულისთვის გავკმთე. სიყვარული ერთბაშად არ ქრება... სიმართლის თქმა კი თითქმის ყველას თვალწინ მის გაშიშვლებას ნიშნავდა. ახლა თუ გესმის, რატომ მივდივარ აქედან?



იმიტომ, რომ მიყვარხარ და არ შემიძლია ეს უველას გასაგონად ვითხრა. შენ შეგედლო ჩემთვის უოფილიყავი უველაფერი, რაც ის არ იყო. მე არ შემიძლია ცხოვრება ამ სახლში, სადაც მას აქებ-ადიდებენ, მე კი ორგზის ვწყურვლი: სიყვარულისთვის, რომელიც მაშინ არ მაჩუქა და იმისთვის, რომ ახლა ამ სიყვარულს მართმევს. მშვიდობით, ადელა... (გადის).

მარტო დარჩენილი ადელა ქვითინებს. მწირი ქალი გამოჩნდება სიტყვებში და უსიტყვოდ, ადელევებული უყურებს. შორიდან მოისმის მოზეიმეთა მხიარული ხმაური. ბავშვები შემოდინ ადელასთან და მიიბებენ.

ფალინი. ახლა პირველ კოცონს დაანთებენ!

დორინა. ისინი ნავს კაზმავენ, რათა იმ ნაპირზე გავიდნენ!

ანდრესი. გვირგვინიანი გოგოები კი სასიმღეროდ იყრიბებიან!

დორინა. უკვე იწყება ციკვები! წავედი!

ადელა ცრემლებს მალავს და სწრაფად აღის კიბებზე. გაოცებული ბავშვები მწირი ქალისკენ მიტრიალდებიან. რატომ ტირის ადელა?

მწირი ქალი. იმიტომ, რომ ეგ ოცი წლიხა... და თან ახეთი ლამაზი ლამეა.

ანდრესი. შენ კი, პირიქით, ძალზე კმაყოფილი ხარ. როგორ გიბრწყინავს თვალები!

მწირი ქალი. უბრალოდ, არ მესმოდა, რა მინდოდა ამ სახლში. ახლა კი უცებ უველაფერი ნათელი გახდა!

ფალინი. რა გახდა ნათელი?

მწირი ქალი. ერთი მართალი ამბავი გავიგე, რომელიც ზღაპარსა ჰგავს. როდესმე, როცა მოხუცდებით, თქვენს შეილიშვილებს მოუყვებით. გინდათ ვიამბოთ?

ბავშვები. გვიამბეთი.. გვიამბეთი.

იატაკზე სხდებიან მის გვერდით.

მწირი ქალი. იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი.. რა თქმა უნდა, თაფლისფერი ძროხებიცა და სიმინდის ყანებში მოყვავილდე ვაშლის ხეებიც. მდინარის ნაპირს შეფენილი ჭოგვივით მყუდრო იყო სოფელი.

ფალინი. როგორც ეს, არა?

მწირი ქალი. როგორც ეს. მდინარეში კი იყო ერთი ღრმა ადგილი, სადაც ბავშვებს ახლოს არ უშვებდნენ და ეუბნებოდნენ, მის ფსკერზე არისო სხვა სოფელი, თავისი მწვანე ეკლესიითა და საუცხოო ზარებით, რომელთა რეკვაც ხშირად ისმისო წმინდა იოანეს ღამეს.

ანდრესი. მორევივით, არა?

მწირი ქალი. მორევივით. და იმ სოფელში ცხოვრობდა ერთი ქალიშვილი, ისეთი ლამაზი, მიწიერს არ გავდა. მოხუცები მის დანახვაზე ქუდს იხდიდნენ, ქალებს კი მასთან მიბყავდათ ავადმყოფი ბაღლები, რომ მას ხელი შეეხო.

დორინა. აწყელიკასავით?

მწირი ქალი. აწყელიკასავით. და ერთხელ ის ქალიშვილი მორევში გაქრა. საცხოვრებლად გადავიდა იმ შორეულ სახლებში, რომელთა ფანჯრებსაც ცივი ჩიტებისვით ეხლებიან თევზები. მთელი სოფელი ამოდ ეძებდა მას შემოდან. ქალიშვილი ცოცხლობდა ჯადოსნურ უშფოთველ სიწმირებში, თავისი თმითა და ფერმკრთალი ხელებით წყალმცენარეებს ეალერხებოდა. ასე გადიოდა დღეები, წლები... უველამ უკვე თითქოს მიივიწყა იგი. მხოლოდ დედა ელოდებოდა მას, სულ სასწაულის იმედი ჰქონდა და სასწაულიც მოხდა. სიმღერებითა და ციკვებით ახშიანებულ, კიაკოკონებით გაბრდღვიალებულ ერთ ღამეს წყალში მდინარე მზეთუნახავი გამოჩნდა. ახლა კიდევ უფრო ლამაზი იყო, მისი ნაწი ხელებისთვის წყალსა და თევზს არა ევნოთ, მისი ხუჭუჭა თმა და ბაგეებზე დაფენილი მშვიდი ღიმილი დიდებული სანახავი იყო... თითქოს ამდენი წელი ერთ წამში გაფრინდაო ფსკერზე.


ბავშვები ერთხანს ჩუმად სხედან მოსმენილის შთაბეჭდილებით.

დორინა. რა უცნაური ამბავია!.. როდის მოხდა ესა?

მწირი ქალი. ეს ჭერ არ მომხდარა. მაგრამ სადაცაა მოხდება.. განა არ გახსოვთ, რომ ამ ღამეს მთელი ქვეყნის მდინარეებში იორდანის წყლის წვეთები მოედინება!

ფარდა

გომთხე მოქმედება



მოქმედება იქვე ხდება — ერთი საათის შემდეგ. ოჯახმა ეს-ესაა იცანა. ისმის მიყრუებული საზეიმო მუსიკა. მოსეირნეთა ხმაური და სიცილი ახლოვდება. ყურთამდე მოღიავებული სიღრმის კარიდან შემოიჭრებიან ჭაბუკები და ქალიშვილები.

პირველი ზაბუპი. ბეი, ვინა ხართ?.. უველას გძინავთ? ქალიშვილები. ადელა!.. ადელა!

ბაკის მხრიდან გამოჩნდება კვიკო.

პვიკო. ცოტა ჩუმად იყავით! მანდი ჩვენ სახლში ვართ. ვის ეძებთ?

მეორე ზაბუპი. ადელა სად არის?

პირველი ქალიშვილი. დღეს ხომ აღარ ჩაკეტავთ მას?

პირველი ზაბუპი. გამოუშვი გოგო, უმაწვილო, არ მოვიტაცებთ.

პვიკო. მე რა, ოჯახის უფროსი კი არა ვარ, ადელას თუ ცეკვაზე წასვლა მოუნდება, გამყობსაც იბოვის.

მეორე ქალიშვილი. მარტანს?

მესამე ქალიშვილი. არა მგონია. მარტინი მოღუშული დაიარება აქეთ-იქით და შორიდან უყურებს ცეცხლს, როგორც მგელი წამთარში.

პირველი ზაბუპი. რატომ არ ეძახი?

პირველი ქალიშვილი. სირცხვილია და მეტი არაფერი. მაისის მწესავით გოგოა. სახლში ორი ახალგაზრდა კაცია, უთაიგულოდ კი მარტო ეს ერთი ფანჯარაა დარჩენილი.

პვიკო. მე არაფისთვის მითხოვია რჩევა. ასე რომ, თუ ხალაქლაქოდ მოხვედით, შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

მეორე ზაბუპი. ჩვენ შეუა გვჭირდება კოცონისთვის.

პირველი ქალიშვილი. ეს კოცონი დიდხანს ემანხოვრებათ. ის ხეებზე მაღლა აიჭრება, მდინარეს გაათბობს, მთებში კი ეგონებათ, უკვე გათენდაო.

პვიკო. ე მანდ მთებს არ წაუყიდოთ ცეცხლი...

პირველი ზაბუპი. არც უმაგისობა იქნება, მე მგონია! მემკვიდრე ქალბატონმა ორი ურემი ხმელი თივა მოგვცა.

მეორე ქალიშვილი. ალკალდმა კი — უამრავი ფინჩი.

მეორე ზაბუპი. მალაროელებმა — მთელი ურემი ნახშირი, მეტიც კი!

მესამე ქალიშვილი. თქვენ რას მოგვცემთ ზეიმისთვის?

პვიკო. ამას დიანახლისი მოგახსენებთ.

ხმაზი. ტელბა! ტელბა!

კიბეზე გამოჩნდება საზეიმოდ ჩაცმული ტელბა, მოსასხამი აქვს მოხურული.

ტელბა. რა ღრიანცელია?

პირველი ქალიშვილი. რაშე გეკნებათ წმინდანისთვის?

ტელბა. ცოტა ჩუმად, თორემ მეტიმეტად კეთილშობილური ყურები მასხია: უვირილი არ მესმის.

პვიკო. ეგენი კარდაკარ დადიან და ფინჩს აგროვებენ.

ტელბა. კეთილი, ასეო წესი, მაგრამ როცა თხოულობ, უვირილი რა საჭიროა.

პირველი ზაბუპი. რა შეიძლება ავილოთ?

ტელბა. გარეთ ნახავთ ტორფის ფორანს და ორ ჩინებულ ხარს. არა, გააცილეთ, კვიკო. ჭაბუკები და კვიკო ხალში ვადიან.

მეორე ქალიშვილი. ტორფი მაგრად იწვის, წითელი აღი აქვს.

მესამე ქალიშვილი. მე კი ერიკა უფრო მომწონს, იგი ნელა, მაგრამ ლამაზად იწვის.

მეორე ქალიშვილი. შეათავას კი ბევრი ნაპერწკალი ცვივა და ცეცხლში მწვანე კუდიანივით იქლავება.

ტელბა. ე, რა მოლაუბეები ყოფილან.. არადა, რა შორთულ-მოკაზმულნი არიან დღეს უველანის

პირველი ქალიშვილი. შენეთ დეიდასაც, რა ლამაზია.

ტელბა. აღბათ, კარადაში არც არაფერი დაუტოვებიათ — უველაფერი ზედ ჩაუცვამთ! მთელი წელი ამ ერთი ღამისთვის იქსოვდნენ საცმელს!

მესამე ქალიშვილი. ვაი რომ, ეს ღამე უველაზე მოკლეა წელიწადში. პერანგი ცვარში გაუკიდებ, რომ ბედნიერება მომიტანოს და უბედურება ამარიდოს.

პირველი ქალიშვილი. მე კი განთიადზე ჩემს გულსაბამებს წყაროში ჩავყრი ,რომ ამოტივტივდნენ და ბედნიერების წელი მომიტანონ.

ბებუბა. ხედავ, ერთი ღამისგან რამდენ სასწაულს გამოიღიან. (შეორე ქალიშვილს) შენა კიდე, ტურფა, ეკლესიაში ფეხშიშველი რაღას მიღინარ? გაცოფდები.

მეორე ქალიშვილი. ვიავადმყოფე და ავ ხულს ვიშორებ.

ბებუბა. ჰე, ჰე, ამაზე ნათქვამი: „ქვისგან შეშინებულ ძალს კენჭისაც უშინებდა“ უველა იცინის. შემოდინა ქაბუკები.

პირველი ბაბუა. ფორანი მზადაა, ყველანი ერთად მივდივართ!

ქალიშვილები. მივდივართ!

მეორე ბაბუა. დეიდა, თქვენც ჩვენთან ერთად წამოდით! (წიწილებსავეით აქუჩებს ქალიშვილებს.) აბა. წიპა-წიპა-წიპა!

ყველამ სამყურა მოაგროვოს!  
(შემოეხვევიან ტელბას და ძალით გაპყავთ გარეთ, მღერიან).

ყველანი.

შევაგროვოთ სამყურა,  
სამყურა!

წმინდა იოანეს დამეს, —  
სამყურა, სამყურა!

ყველანი მიდიან. სიმღერა ნელ-ნელა წყდება.

შევაგროვოთ სამყურა,  
სამყურა,  
ირგვლივ სიყვარულია, —  
სამყურა..

შემოდინა ადელი და მარტინი.

ადელა. ტელბა. ტელბა..

მარტინი. ის გოგობმა წაიყვანეს, ძალით ჩასვეს ფორანში. შენ რამე გინდოდა?

ადელა. მხოლოდ ერთი რამ მინდოდა მეკითხა. მაგრამ იქნებ ამ კითხვაზე შენ უკეთ მიპასუხო, ფანჯარა გავაღე და დავინახე, რომ მთლიანად თეთრ ყვავილებში იყო ჩაფლული.

მარტინი. ბალი და ვარდი... ვინც ამ თაიგულს დაინახავს, მიხვდება, ვინც ჩამოკიდა და რასაც ნიშნავს მისი თეთრი ფერი.

ადელა. გმადლობ, მარტინ.. მესიამოვნა, შენ გაგახსენდი, მაგრამ უამისოდაც შეიძლებოდა.

მარტინი. მართო შენი ფანჯარა რად უნდა ყოფილიყო უთაიგულოდ?

ადელა. მარტინ, შენი სიტყვებით მაშინ გაცილებით მეტი რამ მითხარი. ბლის ყვავილებს ზვალ ქარი გაფანტავს, ის სიტყვები კი დარჩება.

მარტინი. მე ვფიქრობ მათზე ყოველთვის, ნებისმიერ დროს, ისე, რომ შენ ამას იგრძნობ შორიდან, როცა კი თვალს დახუჭავ.

ადელა. როდის მიღინარ?

მარტინი. ზვალ დილით.

ადელა. (ძლივს ლაპარაკობს). დავიფიწყოთ, რომ ეს უკანასკნელი ღამეა, ვინ იცის, ზვალ არც მოგიხდეს წასვლა.

მარტინი. ვანა ვინმეს შეუძლია იმ აჩრდილის გაქრობა, ჩვენ შორის რომ დგას? შენ ვინდა წყაროსთან ვიდგე და წყურვილით მოვკვდე?

ადელა. მე გთხოვე, მხოლოდ ამ ერთი ღამით დაგევიწყებინა.

მარტინი. ორივემ დავიფიწყოთ და ერთად ვიცეკვოთ ყველას თვალწინ. თუნდაც მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ ვიცეკვოთ, მაგრამ, დაე, ყველამ დაგინახოს ჩემს მკლავებში მომწყვდიული.

ადელა. მე რაც ვიცი, ისიც მყოფნის. (უყურებს მარტინს.) ჩუმად.. ვილაც ჩამოდის.

მარტინი (ხელს ჰკიდებს და ჩუმად ეკითხება). საცეკვაო მოედანზე დაგელოდო?

ადელა. ბო.

მარტინი. მშვიდობით, ადელა...

ადელა. მშვიდობით, მარტინ...

მარტინი მიდის, კიბეზე გამოჩნდება საზეიმოდ და მოხდენილად ჩაცმული დედა, გორიში ივრით.

დედა. სადაა ჩემი მანტილია? კომოდში არაა.

ადელა. აქაა. (ეძებს კარადაში.) ცეკვებზე გინდათ ჩაიცვათ?

დედა. ჭერ ცელესიაში მივდივარ, წმინდანს ხანთელი უნდა დავუნთო. ბევრი რამისთვის მადლობა უნდა მოვანხნო ღმერთს... (დაჯდება).

ადელა (საუბრის დროს ადელა დედას მანტილიას აწვდის). თქვენ რაზე სწავლობთ?

დედა. ბევრი რამ ვთხოვე. ზოგი რამ — განუხორციელებელიც. მაგრამ შენთვის შენთვის რომ მიწყალობა, თუშე, მაშინ არ შემეძლო მისთვის მადლი შეძენა... კინაღამ კარიც კი მოგიხურე!

ადელა. არ გინდათ იმის გახსენება, დედა.

დედა. ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, უნდა მაპატიო ჩემი სიყვე. შენ ხომ ყველაფერი გესმის? როცა პირველად მიუჭექი სუფრას ჩემს პირისპირ, არ იცოდი, რომ ეს მისი ადგილი იყო.. და იქ არავინ ჯდებოდა. მე კი მხოლოდ მოგონებებით ვცოცხლობდი, ყოველი შენი სიტყვა კი მის მღუმარებას შეურაცხყოფდა, ბავშვების ყოველ კოცნას, ასე შეგონა, იმას ართმევდი...

ადელა. მე მაშინ წახვლა მინდოდა.

დედა. მე კი უკვე არ შემეძლო შენი გაშვება. ეს დიდი გაკვეთილი იყო; მდინარემ, რომელმაც ჩემი ქალიშვილი მოიტაცა, სხვა ქალიშვილი მომცა, რათა სიყვარულს ჰკუიდან არ გადავეცდინე. (უყურებს ადელას, ეალერსება ხელებზე, დგება.) შენ თუ იცი, ეს ვისი მოსახვედია? იმ უკანასკნელ ღამეს ანუელიკას ეხურა იგი. მარტინმა აჩუქა. (ადელას მოახურავს მხრებზე) ახლა ის შენი უნდა იყოს.

ადელა (შემცბარი, ხმადაბლა). გმადლობთ...

დედა. პატოსნად მიპასუხე, როგორც ქალმა ქალს, მარტინთან როგორ ხარ?

ადელა (შეშინებული უყურებს). რატომ შეკითხებით?

დედა. მიპასუხე, მარტინთან როგორ ხარ-მეთქი?

ადელა. როგორც ყველა სხვასთან, გეფიცებით!

დედა. მაშინ რა გაცანცახებებს? რატომ არ მიყურებ თვალებში?

ადელა. გეფიცებით, დედა! არც მე, არც მარტინს არ შეგვიძლია მისი ხსოვნის ღალატია.

დედა. განა მე ვლალატობ, როცა შვილს გეძახი? (ამწვიდებს, მხრებზე დაადებს ხელებს). მომისმინე, ადელა, მე ხშირად ვფიქრობდი ამაზე... არ მინდა ჩემ გამო ტყუილუბრალოდ დაიტანჯო, თუ იცი, რომ მარტინს უყვარხარ?

ადელა. არ გინდათ...

დედა. დიახ, დიახ, მე ეს უკვე დიდი ხანია ვიცი.. პირველად რომ შევამჩნიე, ვიგრძენი, როგორ დამიარა სხეულში ერთოღამ, თითქოს ეტვიანი ანუელიკა მობოქრობსო ჩემში, დიდხანს ვერ შევეგუე ამას... მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა.

ადელა (მწარედ). ჩემთვის კი... ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყება.

დედა. თუ მარტინის მიმართ გულგრილი ხარ, გთხოვ დაივიწყო ჩემი სიტყვები. მაგრამ თუ გაყვარს, ნუ ჩაახშობ ამ სიყვარულს იმის შიშით, გული არ მატკინო. ყველაფერმა უკვე გამიარა.

ადელა (ცრემლებს იკავებს). ღვთის გულისთვის... ნუ ილაპარაკებთ ამაზე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ჩემთვის დღეს ამ სიტყვების მოსმენა... სწორედ დღეს...

დედა (იღებს სანთელს, აპირებს წახვლას). არ მინდა გზა მიგანიშნო, უბრალოდ, თუ შენი არჩევანი მასზე მიდგა, მე წინააღმდეგი არ წავალ, ეს ცხოვრების კანონია. (გადის.) ადელა დაეცემა სავარძელში, ფიქრებში წასული ერთ წერტილს მიაშტერდება. მწირი ქალი სიღრმეში გამოჩნდება და უთვალთვალებს, თითქოს მის ფიქრებს ისმენსო.

ადელა. გზაო... რატომ შემომაბრუნეს ძველი გზიდან და რატომ არ შეუძლიათ მიჩვენონ ახალი, უკეთესი გზა? (გამწარებით მოიშორებს მოსახვევს.) ეს მოსახვევიც ყელზე მიჭერს, მხუთავს და წყალს მაგონებს! (უცებ რალაცას გადაწყვეტს, კვლავ იხვევს მოსახვევს და წამოდგომას აპირებს.)

მწირი ძალი (მშვიდად შეიჩერებს — მბრძანებლურად დაადებს მხარზე ხელს). არა, ადელა, არა, შენ გგონია, მდინარე გადაჭრის შენს ამბავს?

ადელა. ეგ რომ ვიცოდე! გუშინ ყველაფერი უბრალო იყო. დღეს კი თითქოს შავი კლდე დამაწვა თავზე.

მწირი ძალი. გუშინ ჭერ კიდევ არ იცოდი, რომ გაყვარდა..

ადელა. ეს სიყვარულია?

მწირი ქალი. არა, მისი დაქარგვის შიშია. სიყვარული ყველაფერი ისაა, რასაც, თვითონაც რომ არ იცოდი, ისე, ადრევე გრძნობდი. ესაა იდუმალი მოუსვენრობა, როგორც მზიან დღეს ფრინველის ფრთის გაღებულნი ჩრდილი.

ადელა. სიყვარულს რატომ ეძახიან ბედნიერებას, თუკი ამდენ ტკივილს აყენებს ადამიანებს? თქვენ როდისმე გიყვარდათ?

მწირი ქალი. არასოდეს, მაგრამ ჩვენ — მე და სიყვარული ხშირად ვართ ერთად. როგორ მშურს თქვენი, რომ შეგიძლიათ შეიგრძნოთ ეს ტკივილი, რომელიც სხეულს ისე გიწიწყნის, როგორც ღურსმნის პერანგი, თუმცა მისი გაძრობა მაინც არავის სურს!

ადელა. ჩემი საქმე უარესადაა. თითქოს შიგნით მეწვის რაღაც... ეს თითქოს ყვირილია, დაბნულ არეში რომ ბორბავს.

მწირი ქალი. იქნებ ასეა. სიყვარულზე მხოლოდ სიტყვები ვიცო და ისიც ყველა არა. ვიცო, რომ ხალამოს, წაბლებქვეშ, მას ნაწი ხელები და მშვიდი ხმა აქვს. მაგრამ მხოლოდ სიტყვები მესმის, უიმედო და უკანასკნელი სიტყვები, მიტოვებული ქალიშვილები რომ ჩურჩულებენ, ერთ წერტილს მიშტერებულნი და ხილიდან გადაკიდებულნი... ის ქალიშვილები, რომლებიც ბაღის კბილებით ჩაფრენილნი მაშინ აყვირდებიან, როცა ოთახი გაწით გაივსება.

ადელა (გადაკრით აღგება). რატომ არ გამოიშვით? ჯერ კიდევ გვიან არაა!

მწირი ქალი (ისევ შეაჩერებს). დაშვდიდი!

ადელა. ესაა ერთადერთი, რაც დამრჩენია.

შორს მოჩანს კოცონის ალი, მოისმის მიყრუებული ხმები.

მწირი ქალი. არა, შენ არ გეძახიან. შეხედე: დამე ხავსეა სიმღერითა და ჭიაკოკონებით. მარტინი კი საცეკვაო მოედანზე გელის.

ადელა. მაგრამ ხვალ?

მწირი ქალი. ხვალ შენი გზა თავისუფალი იქნება. უფრო თამამად მოიქეცი, შვილო, მე ბედნიერებას გპირდები, ეს ყველაზე ღამაში დამე იქნება იმთვით, რაც კი გვინახავს. კიბეზე ჩამოდიან ბავშვები და პაპა.

ანდრესი. უკვე გაჩაღეს დიდი კოცონი და მთელი სოფელი მის ირგვლივ ცეკვავს!

დორინა. პაპა, ვიჩქაროთ, თორემ დაგვაგვიანდა.

ფალინი (მიდის მწირ ქალთან კარდების გვირგვინითა და ბლის ყვავილებით ხელში). აიღე, ეს მე თვითონ დავწანი.

მწირი ქალი. მე მაძლევ?

ფალინი. ამაღამ ამას ყველა ქალი იხურავს.

დორინა. შენ არ წამოხვალ ცეკვების საყურებლად?

მწირი ქალი. ცისკრისას ისევ უნდა დავადგე გზას. თქვენთან ადელა წამოვა. და ერთი ნაბიჯით არ მოგშორდებათ. (მბრძანებლურად უყურებს მას.) ხომ?

ადელა (თავს ჩაკიდებს.) დიახ. მშვიდობით, სენიორა. გმადლობთ.

ანდრესი. ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს?

მწირი ქალი. ნუ იჩქარებთ. მანამდე კიდევ მრავალი და მრავალი წელი გავა, მშვიდობით, ბაღებო.

გაგზავნი. მშვიდობით, მწირო!.. (გაღიან ადელასთან ერთად.)

პაპა. რისთვის ვითხრა მადლობა ადელამ? მან იცის, ვინცა ხარ?

მწირი ქალი. კიდევ დიდხანს არ ეცოდინება.

პაპა. მაგრამ ამაღამ მას არ ეძებდი?

მწირი ქალი. მეც მეგონა, რომ მას ვეძებდი, მაგრამ ახლა ვხედავ, შევმცდარვარ თურმე.

პაპა. მაშინ აქ რატომ ხარ? რაღაც ელი.

მწირი ქალი. მე მარტო არ დავბრუნდები. აუი ვითხარი: ქალი შენი ოჯახიდან, ყვავილებით მორთული, მდინარეში შემხვდება. მაგრამ ნუ გეშინია: შენ უკვე წვეთ ცრემლს აღარ დაღვრი.

პაპა (ეკვით უყურებს). არა მჭერა. შენ ხუდ ხავშევს უთვალთვალე. გამოტყდი!

მწირი ქალი. ნუ გეშინია, პაპა, შენს შვილიშვილებს შვილიშვილები ეყოლებათ. წადი მათთან. (იღებს თავის კვერთხს და კარის ახლოს აყუდება.)

პაპა. რა შვრები?

მწირი ქალი. ეს დაშვდილობების ნიშანია, როცა შენ შეშინიდან დაბრუნდები, მოვალეობა

შესრულებული შექნება. (ბრძანების კილოთი). ახლა კი დამტოვე. ეს ჩემი საბოლოო სიტყვებია.

პაპა მიდის. პაუზა. მარტო დარჩენილი მწირი ქალი — ყვავილებს გვირგვინს აბჯობებს. მას თვალები უნათდება, გვირგვინს თავზე იხურავს და ქალური ცნობისწადილით იცქირება პატარა სარკეში. ღიმილი უქრება, სარკეს ფეხებზე უხსნის გვირგვინს და იწყებს ცივი, ფიქრიანი სახით ყვავილების წიწკნებს. შემოიხრება უმთუნსის ხალხური სიმღერები წმინდა იოანეზე.

ხმა (წყრილით).

წმინდაო იოანე!  
 აღუბლის ყვავილი  
 და სწრაფი ცეკვა!  
 ბედნიერება ყველას,  
 ვინც წრეში ჩადგეს!

უველანი ერთად. წმინდაო იოანე!  
 ძალის ხმა.

წმინდაო იოანე!  
 მდინარის ყვავილთა სიმღერა  
 გადიდებს შენ.  
 ბედნიერება ყველას,  
 ვინც წრეში ჩადგეს!

უველან ერთად. წმინდაო იოანე!

ისევ სიჩუმე. მწირი ქალი ზურგით კარისკენ ზის, იდაყვები მუხლებზე უწყვია, ხელისგულებიზ სახეს იფარავს. კარში ქურდულად შემოდის ქალიშვილი, სახეს ნაბევრად მანტილია უფარავს. იგი სახლს ათვალთვობს. დანახავს მწირ ქალს და შიშნულად უახლოვდება.

მწირი ქალი (შემოუტრიალებლად, ხმამაღლა). ანუელიკა!

ანუელიკა (უკან იხევს, შეცბება). ჩემი სახელი ხაიდან იცით?

მწირი ქალი ადგება და მიუბრუნდება.  
 მე არსოდეს მინახიხართ.

მწირი ქალი. არც მე. მაგრამ ვიცოდდი, რომ მოხვიდოდდი და არ მინდოდა, სახლი ცარიელი გენახა. ვინმემ გნახა?

ანუელიკა. არავის ვუნახივარ. დამეს ველოდებოდდი, რომ არ შევემჩნიეთ. სად არიან დედაჩემი, ჩემი ძმები?

მწირი ქალი. აჯობებს, არც იმათ გნახონ. გეყოფა გაბედულება თვალეში შეხედო? რას ეტყვი მათ?

ანუელიკა. სათქმელს მოვძებნი რამეს.. ვიტორებ, დავიჩოქებ და ისინიც გამიგებენ.

მწირი ქალი. მარტინი?

ანუელიკა (შეშინებული). ის აქაა?

მწირი ქალი. ზეიმზეა, ყველასთან ერთად წრეში დგას და ცეკვავს.

ანუელიკა. ყველასთან ერთადო... არა, ეს სიცრუეა! მარტინს შეეძლო მე დავვიწყებოდი, მაგრამ დედას — არა. დარწმუნებული ვარ, მთელი ეს დღეები და ღამეები მილოდება... (ეძახის.) დედა!.. დედა!

მწირი ქალი. ტყუილუბრალოდ ეძახი. ხომ გითხარი: ზეიმზეა-მეთქი.

ანუელიკა. დედა რაც შეიძლება ჩქარა უნდა ვნახო. ეს იქნება უსაშინელესი წუთი ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მეტი უკვე აღარ შემიძლია.

მწირი ქალი. კი მაგრამ, რას ეძებ ამ სახლში?

ანუელიკა. იმას, რაც ჩემი იყო.

მწირი ქალი. შენ ხომ თვითონ მიატოვე ყველაფერი.

ანუელიკა. მე აქ სიუვარულის პოვნის იმედი არა მაქვს.. ეს უკვე შეუძლებელია, — მხოლოდ პატიებას ვითხოვ და თუნდაც ერთ კუთხეს, სადაც მშვიდად სიკვდილი შემეძლებოდა. ოთხი წელია ვიტანჯები ყველაფრის გამო, ეს ოთხი წელი კი მთელ ცხოვრებას უდრის. ისინი ამ ერთადერთ კარს ვერ მომიხურავენ, ვერა! ვერ შესძლებენ!

მწირი ქალი. ასე სასოწარკვეთილი ხარ?

ანუელიკა. მეტი აღარ შემეძლო. მე გადავიტანე ყველაფერი, უარესზე უარესი, რისი გადა-

ტანაც კი ქალს შეუძლია. შეურაცხყოფა და მარტოობა, ბენაფური ლოდინი მარმარილოს მაგიდებთან და ღია ციხეებში დაღლილ-დაქანცული ადამიანები. კუჭუკიანი მანეთიანივით გადავდიოდი ხელიდან ხელში. და მხოლოდ სიამაყე მინარჩუნებდა ძალას. მაგრამ ისიც დაჯვარე. დამარცხებული ვარ და ამაზე ყვირილი არ მრცხვენია. მე ხომ სხვა არაფერი მინდა, ოღონდ კი სადმე მივიშველიყვნე შეგაფარო და თბილ კუთხეში დავისვენო.

გინჯილიყვნა

მწირი ქალი. როცა ყველაფერს შენს ვნებებს შესწირავ, არ შეიძლება ასე ჯაბან ძაღლსავით მობრუნდე და საკუთარი სუფრის ნარჩენები ითხოვო. შენა გგონია, მარტონი ისევ ჩაგიხვევს და ჩაგიხუტებს?

ანუელიკა (სასოწარკვეთილი). იმის შემდეგ, რაც გადავიტანე, რა უნდა მიქნას მარტინმა? დამარტყამს?.. მით უკეთესი!.. ყოველ შემთხვევაში, ეს ამო ტკივილი იქნებოდა, პურს მიწაზე დამიგდებს? მე დარჩილი შევქამ მას, რადგან ეს მისი პური იქნება, ჩემს მშობლიურ მიწაზე მოწეული პურის არა! ამქვეყნად ვერა ძალა ვერ მაიძულებს აქედან წასვლას! ეს სუფრა ჩემი მოქსოვილია.. ჩემს სახლში ჩემს.. ჩემს... ჩემს სახლში (ქვითინით დაემხობი მაგილაზე და სასოწარკვეთილი კაცის სუფრას.)  
პაუზა. ისევ მოისმის სიმღერა.

ხმა (წვრიალით).  
წმინდაო იოანე,  
ცა ნათდება  
და ღრუბლები დნებიან.  
ბედნიერება ყველას,  
ვინც წრეში ჩადგება!

ყველანი ერთად. წმინდაო იოანე!  
მწირი ქალი (სიბრაღულით შემსკვალული, მიდის მასთან, ალერსიანად უსვამს თავზე ხელს. ნაზი ხმით ელაპარაკება) მითხარი, ანუელიკა: იმ საშინელ დღეებში, იქ, არახოდეს გიფიქრია, რომ სხვა გზაც არსებობს?

ანუელიკა (შემოუტრიალებლად, იდაყვებით მაგილაზე დაყრდნობილი). ჩემთვის ყველა გზა დაკეტილია. ქალაქები ისეთი დიდია, იქ არავინ არავის იცნობს.

მწირი ქალი. ტკბილი, მშვიდი გზა, რომელსაც შენ მარტო გაუყვებოდი...  
ანუელიკა. ძალა არ შეუო.. და მაინც იმ ღამეს, როცა მან მიმატოვა..

მწირი ქალი. იმ ღამეს შენ იფიქრე, რომ იქ, იმ გაღმა მხარეს, არსებობს ქვეყანა უკანასკნელი მიტევებისა, საცხე ცივი თეთრი მღუმარებით, იქ ყველასათვის უხვადაა მშვიდი ღიმილი, ყველა თვალისთვის მოიძვევა უსასრულო სიმყუდროვე... და სადაც ისე უმტკივნეულოდ, უტანჯველად დაიძინებს ადამიანი!

ანუელიკა (შემოტრიალდება და შეშინებული უტკბირია), ვინა ხართ, ასე ზუსტად რომ კითხულობთ ჩემს ფიქრებს?

მწირი ქალი. შენი მეგობარი ვარ. ერთადერთი მეგობარი, ვინც დაგრჩენია.  
ანუელიკა (უნებლიეთ იხვეს უკან). მე შენთვის არც მეგობრობა მითხოვია და არც რჩევა-დარიგება. დამანებე თავი. ასე ნუ მიყურებ, ნუ!

მწირი ქალი. შენ გირჩევნია, დედამ და ძმებმა სიმართლე გაიგონ?  
ანუელიკა. განა მათ არ იციან?

მწირი ქალი. არა. ისინი შენ წმინდანად გთვლიან, ტბის ფსკერზე მძინარედ.

ანუელიკა. ეს შეუძლებელია. მარტინი ნაპირამდე მომყვა. ჩვენ, ტყეში მიმალულნი, ვხედავდით, როგორ დაჰქროდა ჩგი მხარზე თოფგადაკიდებული და თვალეზში სიკვდილჩამდგარი.

მწირი ქალი. მაგრამ მას არაფერი უთქვამს.  
ანუელიკა. რატომ?

მწირი ქალი. იმიტომ, რომ ჭერ კიდევ უყვარდი, ეს დუმილი კი მისი სიყვარულის უკანასკნელი ძღვენი იყო.

ანუელიკა. მარტინმა ეს... ჩემთვის გააკეთა? (ისევ იმედშიცემული). მაშახადამე, მას ვუყვარვარ... კიდევ ვუყვარვარ!

მწირი ქალი. ახლა უკვე გვიანია, შენი ადგილი დაკავებულია, განა ვერა გრძნობ სხვა ქალის აქ ყოფნას?

ანუელიკა. მე ჩემსას უბრძოლველად არ დავთმობ! სადაა ის ქალი?



მწიერი ქალი. უაზრობაა მასთან ბრძოლა, შენ უკვე დამარცხებული ხარ. შენ ყველაფერი დაკარგე. — სუფრასთან ადგილი, ბუნართანაც, ახლობლების სიყვარულიც.

ანთელიბა. მე ყველაფერს დავიბრუნებ!

მწიერი ქალი. გვიანია. დედაშენს უკვე სხვა ქალიშვილი ჰყავს, შენს ძმებს კი — სხვა და.

ანთელიბა. ცრუმბი

მწიერი ქალი (უთითებს საკერავ მაგიდაზე). ეს სამუშაო თუ გეცნობა? **ეროვნული**

ანთელიბა. ეს ჩემი სამუშაოა, მე ის დაწყებული დავტოვე.

მწიერი ქალი. ახლა მასზე ახალი გვირისტია. შენს სამუშაოს ვილაც სხვა ამთავრებს. ფანჯარაში გაიხედე. რას ხედავ კოცონთან.

ანთელიბა (მიდის ფანჯარასთან). იქ მთელი სოფელი ცეკვავს, ხელიხელჩაკიდებულნი.

მწიერი ქალი. მარტინს ხედავ?

ანთელიბა. ახლა ის კოცონის შუქზე გამოდის.

მწიერი ქალი. იმ გოგოს თუ ხედავ, ვისთანაც ცეკვავს? ხედავ, შენი კახა აცვია, ყელზე კი შენი მოსასხამი აქვს მოსხმული.

ანთელიბა. მე მას არ ვიცნობ. აქაური არაა.

მწიერი ქალი. გახდება აქაური.

ანთელიბა (მწიერისკენ შემობრუნდება). არა... ეს მეტისმეტი სისასტიკე იქნება. შეუძლებელია არაფერი არ დამარჩეს. რაღაც ხომ უნდა დამიტოვონ. განა ვინმეს შეუძლია დედა წამართვას?

მწიერი ქალი. შენ მას უკვე აღარ სჭირდება. მას შენი ხსოვნა აქვს.

ანთელიბა. ჩემი და-ძმები?.. პირველი სიტყვა, რომელიც მათ ისწავლეს, ჩემი სახელი იყო. მე თითქოს ამ წუთშიც ვხედავ მათ, ჩემს ხელებზე დამინებულთ, ბაგეებზე თაფლის წვეთივით შერჩენილი ღიმილით.

მწიერი ქალი. ყველაფერი, რაც მათ ახსოვთ, — მხოლოდ შენი სახელია. ვფიქრობ, ისინი ვერც კი გიცნობდნენ. ოთხი წელი ბავშვის ცხოვრებაში ძალზე ბევრია. (მიდის მასთან, ალერსიანად ელაპარაკება.) დაფიქრდი, ანუელიკა, ეს ოჯახი შენ ერთხელ უკვე დააქციე შენი გაქცევით. ახლა ისევ გინდა გაანადგურო შენი დაბრუნებით?

ანთელიბა (ნებდება). ახა, სად ჯანდაბაში წავიდე?..

მწიერი ქალი. უნდა გადაარჩინო ის ერთადერთი, რაც დაგრჩენია, — ხსოვნა.

ანთელიბა. რატომ, თუკი ეს ტყუილია?

მწიერი ქალი. მაგრამ ეს ლამაზია, სილამაზე ისევე აუცილებელია, როგორც სიმართლე.

ანთელიბა. როგორ შემოძლია მისი გადაარჩენა?

მწიერი ქალი. მე გიჩვენებ გზას. მომყევი და ხვალ სოფელს თავისი ღებინდა ექნება. (ხელს ჩაჰკიდებს.) მივდივართ?

ანთელიბა. ხელი გამოშვი... რატომღაც შენი მეშინია.

მწიერი ქალი. ისევ? ახა კარგად შემომხედე. ახლა რას იტყვი? (გულზე ხელდაკრეფილი ირინდება.)

ანთელიბა (მოჯადოებულებით უცურებს). სიწმარითაა... და ყველაფერი უფრო ლამაზია...

მწიერი ქალი. ესაა მთელი საიდუმლო! გზებით იცხოვრო და ლამაზად მოკვდე. (ვარდების გვირგვინს ადგამს თავზე). აი, ახე... თითქოს ისევ ქორწილიაო. გაბედულად უნდა მოიქცე, ანუელიკა... ერთი წამი გაბედულებისა, და სამარადუამოდ დარჩება შენი ნათელი და წმინდა ხსოვნა... წავედით?

ანთელიბა (თვალებს ხუჭავს). წავედით? (ბარბაცებს)

მწიერი ქალი. რაო, კიდევ გეშინია?

ანთელიბა. უკვე აღარ... ოღონდ მუხლი მეკიცება.

მწიერი ქალი (უსაზღვრო ალერსით). მე დამეურდენი. და ამ გზაზე შენი ყველაზე ლამაზი ღიმილი უნდა გეფინოს ბაგეზე. (ნაზად ჩაავლებს ხელს სარტყელში.) შენს ნავს გაღმა ნაპირზე მე გავიყვან...

მიდიან. გარედან თითქმის აღარ აღწევს ქიაკოკონების ათინათები. მოისმის უკანასკნელი სიმღერა.

ყველა ერთად. წმინდაო იოანე!

სიმღერისა და მუსიკის ხმა ახლოვდება. შემორბის პირველი ქალიშვილი, მას მოჰყვება სხვა ყველა. შემდეგ — ადელა და მარტინი.

პირველი ქალიშვილი. არა, გამოშვი... მე პირველმა დავინახე.



მეორე ქალიშვილი. მე მომეცია  
 მესამე ქალიშვილი. არა, მე მომეცია. მე საქმრო არა მყავს!  
 პირველი ქალიშვილი. ეს ჩემია. მე ვიპოვე ნაპირზე.  
 ადელა. რა იპოვე?  
 პირველი ქალიშვილი. ოთხფურცლა სამყურა!  
 მესამე მამული. მაგრამ შენ ის არ გამოგადგება. ბედნიერებას არ უნდა ეძებო, ის თვითონ მოდის.  
 მეორე ქალიშვილი. თვალები დახუკე და ბაერში აისროლე!  
 პირველი ქალიშვილი. აიღე, ადელა. ის შენს ბოსტანში ხარობდა.  
 ადელა (არტყევს სამყურას) გმადლობ.  
 მარტინი (პირველ ქალიშვილს). შენ წელს ბედი გწყალობს: ხან წყაროში შრომანს პოულობ, ხან — სიმინდის ყანაში წითელ ტაროს.  
 შემოდიან დედა და ტელბა. მათ ფეხდაფეხ — პაპა და ბავშვები.  
 დედა. რაო, მეტი სიმღერა აღარ შეგიძლიათ?  
 ტელბა. როცა კოცონი ქრება, ნაკვერჩხლები გათენებამდე ბუუტავს.  
 პირველი ქალიშვილი. უნდა დავისვენო, თორემ მეტი აღარ შემიძლია. (ჩამოქდება).  
 ტელბა. ეპ, თქვე უმწურობო, თქვენა! კაცს ეგონება, ქვეყნის გადახრუნება შეგიძლიათ, მაგრამ როგორც კი დაირა ახდერდება, ძალაც გეცლებათ და მუხლიც გეკეცებათ. აფხუხ, ძველო დროებავ!  
 ადელა. დედა, დასაძინებლად მიდიხართ? მე გაგაცილებთ.  
 დედა. ჩემზე ნუ წუხნარ, მე მარტო უოფნა შემიძლია. მარტინ, წადით, იცეკვეთ. ტელბა, ყველას გაუმახსინდლდი. (ადის კიბეზე).  
 მარტინი. ეს ვისი კვერთხია კართან მიუუდებული?  
 პაპა. მოიცა. შემოსახვლელთან ხომ არავინ შეგიმჩნევიათ?  
 ადელა. არავინ დავინახავს. რა იყო?  
 პაპა. ჰოო... შესაძლოა ეს მართლაც წლის ყველაზე მოკლე ღამე იყოს, მაგრამ ახე სულსწრაფად ჭერ არასოდეს დავლოდებოვარ გათენებას.  
 ტელბა. უკვე ცისკარია.  
 გარედან მოისმის კვიკოს ყვირილი: „ქალბატონო!.. ქალბატონო!!!“  
 ყველა შემობრუნდება შესფოთებული. შემობრბის კვიკო. ადღევეებისგან ხმა უკანკალეებს. მის უკან უსიტყვოდ ქუჩებიდან ფანრიანი ქალები და კაცები.  
 კვიკო. ქალბატონო! შენი ხურვილი აღხრულდა. მორევში ანუელიკა იპოვეს!  
 მარტინი. რას ბოდავ, თუ იცი?  
 კვიკო. არავის არ უნდოდა დაეჭრებინა, მაგრამ ყველამ დაინახა.  
 დედა (მივარდება). შენ თვითონ ნახე? თქვი!  
 კვიკო. მას უკვე მოახვეწებენ. მეტი რა ღამაშია... წყალს მიხთვის არაფერი უვნია, თავზეც ვარდის გვირგვინი ადგას. ისე იღიმება, თითქოს ეს წუთია დალია ხულიო!..  
 ხმები. ხასწაულია!.. ხასწაული!..  
 ქალები იჩოქებენ. კაცები ქუღს იხდიან.  
 დედა (იატაკს კოცნის).. უფაღმა ისმინა ჩემი ვედრება! მიწა ისევ მიწად იქცევა!.. (ხელებს ასწევს). ანუელიკა! ჩემო ანუელიკა!.. ჩემო გოგონი.  
 ქალები (სიხარულით). ხასწაული! ხასწაული!..  
 ხალხი გაუნძრევლად დგას. შორიდან ყრუდ მოისმის წმინდა იოანეს ზარების რეკვა. მწირი ქალი შემოდის, ცივი ღიმილით მზერს ამ სურათს და იღებს თავის კვერთხს, რათა გზა განაგრძოს. სიღრმეში გამოჩნდება მწვანე ტოტებით მორთული საკაცე.  
 დედა (ხელებგაწვდილს ტკივილითა და ზეიმით შემსჭვალული ხმით აღმოხდება). ხასწაული!.. ფარდა ეშვება.



თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ

ყველაფერი ისევ ისეა, როგორც გუშინ, გუშინწინ, გუშინწინისწინ, მთელი შემოდგომა თუ მთელი ნახევარი ცხოვრების მანძილზე იყო: დილის ბინდბუნდში ჩანს განთიადისწინა ცის ნაგლეჯი, ყავრის სახურავის სველი საჩიხი, შავად ალანძული ნაძვები, ნეკერჩხლის ფოთლებით წითლად ჩამუქებული ბალახი, კირით შეფეთქილი ქვის კედელი. პასტორატის საწოლი ოთახის დაორთქლილ ფანჯარაში ეკლესიის მაღალი, ლურჯად მოციმციმე სარკმელი ისახება.

თავთან ისევ ის სელის ტილოს ბალიში მიდევს, ცარიელი ჩაღრმავება რომ ემჩნევა. ანდა იგივე რუხი წვერით გაბანჯგვლული სახე, ყალიონის სუნი რომ ასდის — ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარს ეს სახე... უხეში ჯაგარი ლოყაზე მელამუნება, ბავშვურად მკოცნის ყურის ბიბილოზე, ხრინწიანად მეჩურჩულება: იძინე, იძინე, *cara mia!* ... ჩამესმის ფოსტლების აჩქარებული ფრატუნი... და იმწამსვე ძილ-ღვიძილი მეუფლება... მაღალი, ცივი, მოლურჯო ფანჯარა ისე იდღღაბნება, თითქოს თბილი ლურჯი წყალი იღვრებოდეს... რაკრაკებს თბილი მუქი ლურჯი წყალი მტრედისფერი ცის ქვეშ...

ჩვენ გონდოლაში ვსხედვართ. კატარინა და მე. დედაჩემი და ბებერი ლუიჯიც ჩვენთან სხედან და გონდოლის ჩაშავებული, ფრინველივით წაგრძელებული კისერი ჩვენ თვალწინ მიცურავს მოელვარე ყურეში. ჩვენ ამ ნათელი ცისქვეშ დავბადებულვართ, კატარინა და მე. ასე გვითხრა დედამ. მაგრამ ჩვენ ეს არ გვახსოვს. ჩვენ ამ ზეცას პირველად ვხედავთ. ამ დიდ ქალაქსაც. ვეზუვის აბრჩოლებულ ყავისფერ თავებსაც. *Castello dell' Movo*-ს კედელსაც და ლურჯი წყლიდან ასი ნაბიჯით დაშორებულ ქოჩორა პალმებსაც. და მზეს! ისეთ მზეს, როგორიც იქ, თეთრი დათვების ქალაქში, წმინდა პეტრეს სახელს რომ ატარებს, არასოდეს არ შეიძლება იყოს. იქ, საიდანაც ჩამოვედით. იქ, სადაც მამაჩემი ძველი კათოლიკური სასაფლაოს გაყინულ მიწაში დავმარხეთ. იქ, სადაც საზარელმა, ქვასავით მაგარმა, გაყი-

1 ჩემო ძვირფასო (იტალ.).

ნულმა მიწამ შთანთქა მამა. მამა, ვინც მართალი რომ ითქვას არც კი მახსოვს. მახსოვს მხოლოდ მისი ყრუ სიცილი, მწვანეთვლიანი ბალოთ დაბაგრებული ყელსახვევი და ღია სამარე. ვისაც იქ, თეთრი დათვების ქალაქში, ბატონ მარკიზს ეძახდნენ. ასე გვეუბნებოდა დედა: ანდა, ყოველ შემთხვევაში, ბებერი ლუიჯი. მას შემდეგ, რაც ნეაპოლში ჩვენი ცხოვრების მეორე კვირას დედა უცებ ავად გაგვიხდა. რამდენიმე დღეს მანერ-ნაკვეთის სახლივით უვარვარებდა, შემდეგ ლაქებით დაეფარა... მერმე დედა დილას ვნახეთ: სახე სულ გაფითრებოდა. ხელები თავისით დაეკრიფა მკერდზე. იგი ჩვენი იაფფასიანი სასტუმროს კედლებზეფეთქილ ოთახში იწვა ძველ საწოლზე, აბზინდის სუნი რომ ასდიოდა. მე და კატარინა კუთხეში ავიტუხეთ და კირით შეფეთქილ კედელს მივეყრდენით. ერთმანეთს ჩახუტებულები ვტირით. დროგამოშვებით ბებერი ლუიჯი გვიახლოვდება და სახეზე ხელისზურგით გვითხაპნის თავისსა და ჩვენს ცრემლებს. ჩვენ ტუჩებს ვიკვნეტთ: ვილაც მონაზვნებმა დედა გაასვენეს. გვითხრეს, დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ ეს ოთახი, რომ მისი გათეთრება შევიძლოთო, რადგან დედათქვენს თურმე გადამდები სენი სჭირდაო. ჩვენ კი არ ვიცით, სად წავიდეთ. რამეთუ პიკა-ლუგები — მამაჩემის შეძლებული ნათესავეები, რომლებსაც ჩვენ დავეძებთ და რომლებიც თითქოსდა სიცილიაში თუ სადღაც სხვაგან ცხოვრობენ, ვერ გვიპოვია. მხოლოდ დედამ იცოდა, სად უნდა გვეძია ისინი. ჩვენ ქუჩაში ვართ, ყეფით მოგვდევენ ნეაპოლის ძაღლები. ყეფენ ძაღლები, მზით განათებულ, ნახევრად დანგრეულ კიბეებზე დაძრწიან ჩვენ გარშემო შემაზრზენი, ხალებიანი ქოფაკები...

დილის ბინდბუნდში გაისმის ძაღლების ყეფა... ნეაპოლელი, ტარტუელი თუ ეკსისკელი ძაღლებისა... ნახევრად ლიფლანდიური და ნახევრად ესტლანდიური ძაღლები: პასტორატი, როგორც ყოველთვის, ახლაც სტუმრებით არის სავსე. სტუმრებითა და მათი ძაღლებით. და აბზინდას სურნელებით გაჟღენთილი ეს ძველი საწოლი, რომელზედაც, მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვწევარ და ნამდვილად ვერავინ წამომაგდებას. მადლობა მამაზეციერს! ასე მგონია, ეს საწოლი კუნძულია და ბურანში ყოფნის ეს წამები ბურუსივით მიცავს იმ დღისგან, ეს-ესაა რომ უნდა დაიწყოს.

დღესაც ისევეა ყოველივე, როგორც გუშინ იყო... შემძლია წამოვდგე, მაგრამ ასე მგონია, თვალები სილითა მაქვს ამოტენილი, შემძლია სარკეში ჩავიხედო და დავინახო ლამაზი მუქი, თითქმის შავი სქელი თმა, როგორსაც აქ იშვიათად შეხვდებით. ჩემი ერთადერთი სილამაზე. მაგრამ არ მინდა სარკეში ჩავიხედო. ოცდარვა წლისა ვარ. ეს ხომ უიმედო ასაკი არ არის. თუნდაც იტალიელი ქალისათვის, თუმცა აქ მიაჩნიათ, რომ იგი მალე ჭკნება, მაგრამ სინდისს გეფიცებით, დღე-დღეზე სახით შუახნის ქალს ვემსგავსები. ეს იმიტომ ხდება, — ვიცი, რაც არის ამის მიზეზი, დიდი ხანია მითხრეს, — რომ ბებერი ქმარი მყავს. თუმცა იგი, წმინდაო ჯენარო, ყოჩაღი კაცია, ნამდვილად ისეთი, უკეთესს რომ ვერც ინატრებ! მაგრამ ჩემზე ოცდაათი წლით უფროსი რომ არის, ესეც სიმართლე გახლავთ... თუმცა ასეთი რამ ადრეც მომხდარა, თვით საუკეთესო ოჯახებშიაც კი. და, როცა ვიგონებ, ვამჩნევ, რომ უმთავრესად სწორედ ასეთ ოჯახებში ჭქონია მსგავს შემთხვევებს ადგილი. მე კი მართლაც არაფერი მაქვს სამწუხარო. ოჰ, წმინდაო ჯენარო, ხომ ხედავ, როგორ გავწითლდი, მაგრამ შენ იცი, რომ ეს

სიმართლეა... ახლა კიდევ უფრო ვწითლდები. არ მაწუხებს თავისი მეურ-  
 ნობით, თვითონ უძღვება ამ საქმეს. იმდენად არ უნდა ვინმე გარდას თავის  
 საქმეში, შარშან მმართველიც კი დაითხოვა. დაითხოვა ის ყვითელ-  
 ნი უნგერნი. ვფიქრობ, სისულელე ჩაიდინა. რათ, განა უამისოდ კი აკლდა  
 საქმეები? აბა წარმოიდგინეთ: მრევლი, პრობსტობა, კონსტანტინე-  
 ები, ადგილობრივი უნის გამო ატეხილი დავიდარაბა, მწერლობა, წიგნები, ახ-  
 ლა კი გაზეთიც დაემატა. ყოველივე ამას ისიც მიუმატეთ, რომ მინდვრის  
 სამუშაოებსაც თვითონ განაგებს და წისქვილების იმ საშინელ მშენებლო-  
 ბასაც, რადგან თავის მენარდეს წაეჩხუბა და აქედან გააძევა, ხოლო რაც  
 შეეხება საოჯახო საქმიანობას, მათგან სავსებით თავისუფალი ვარ. ასე რომ,  
 უცხო ადამიანს პატარა დედოფალი ვეგონები, როგორც თვითონ მითხრა,  
 ჰა-ჰა-ჰა-ჰა... თუმცა მართლაც ყველაფერი მაქვს, რასაც ჩვენი მცირე ქო-  
 ნება იძლევა. სამი მოგვის დღის შემდეგ კი ტარტუს დიდ ბაზრობაზე გავემ-  
 გზავრებით, სადაც ქმარი სიასამურის ახალი ქურქის ყიდვას მპირდება, რათა,  
 როგორც თვითონ მითხრა, ამ სევედისმომგვრელ ცივ ქვეყანაში (ეს ქვის  
 სახლი მართლაც რომ საყინულეა, როგორც არ უნდა ათბო, მის თერთ-  
 მეტ ოთახს არაფერი შევლის), თანაც ბებერი ქმრის გვერდით არ გავიყინო, —  
 ესეც მითხრა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ გამცინებოდა. და მეც ბევ-  
 რი ვიცინე. მანაც იცინა. დიდებული კაცი გახლავთ, თანაც ძალზე გონე-  
 ბამახვილი, როცა კარგ გუნებაზეა. იგი ოდნავ ჩამოჰგავს იმ მოხუც გრაფს,  
 რუმიანცევია თუ ვილაც, ნეაპოლში საშინელი გაჭირვებისგან რომ გვიხსნა. ეს  
 მაშინ მოხდა, დედაჩემის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლუიჯიც  
 რომ გარდაიცვალა. ოჰ, ღმერთო ჩემო! სასტუმროში კი არ გარდაიცვალა,  
 არამედ სულ უცხო ხალხის ოჯახში, სადაც სანტა მარია დი ლორეტოს ნივ-  
 რით აყროლებულ კუთხეში... ბებერი ძვირფასი ლუიჯი ისე გაყინულიყო  
 და უძრავად იწვა, მისი ცქერაც კი გვზარავდა. იწვა ვილაც უცხო დედაბრის  
 ბაკში, კილოფზე, სადაც იმიტომ შეძვრა, რომ ჩვენ, იმ დედაბრის ოთახში  
 მყოფთ, მისი სენი არ გადმოგვდებოდა... ჰოდა, მე და კატარინა სრულიად  
 მარტონი დავრჩით მთლად უცხო ქვეყანაში. თუმცა ეს ქვეყანა თითქოს  
 ჩვენი სამშობლო იყო. და მაშინ იმ დედაბერმა, ვისთანაც ლუიჯიმ მიგვიყვა-  
 ნა, ორივეს ჩაგვკიდა ხელი. მანამდე კი პერანგები და კაბები გულდასმით  
 გაგვირეცხა და გაგვიუთოვა. ალბათ იმიტომ, რომ დედაჩვენის გარდაცვა-  
 ლების შემდეგ შემორჩენილი ფული ლუიჯის მისთვის ჰქონდა მიცემული.  
 ანდა იმიტომ, რომ ლუიჯიმ ჩვენ „მარკიზის უბედური ასულები“ გვიწოდა,  
 ვისი განსვენებული მამაც თითქოსდა რუსეთის ახალგაზრდა იმპერატორის  
 ახლო მეგობარი ყოფილიყო... რომ გამოგვაწყო, ხელი ჩაგვკიდა და მიგვიყ-  
 ვანა რუს ელჩთან, სწორედ იმ გრაფ რუმიანცევთან. ყოველ შემთხვევაში,  
 ეს საქციელი უბრალო მოხუცებული ქალის მხრივ, რომელიც იმით ვაჭ-  
 რობდა, რასაც ზღვა უბოძებდა, ძალზე გაბედული ნაბიჯი გახლდათ (უნდა  
 ვაღიარო, რომ თუკი იტალიაში მცხოვრები ყველა ჩემი თვისტომი ქალი  
 ასეთივე საქმიანია, მათთან შედარებით მე სავსებით უსუსური ვყოფილვარ).  
 მახსოვს, რომ ელჩის მისაღებ ოთახში ვიდექით და მზეზე მოლაპლაპე მო-  
 ჩუქურთმებულ ჩარჩოებში ჩასმულ სარკეებში ვხედავდით ჩვენს თავს. კა-  
 ტარინა თორმეტი წლისა იყო, მე — ათის. თმა ზემოთ გვექონდა ავარცხნილი,  
 მარკიზეთის თეთრი კაბები გვეცვა. რამდენადმე გაოცებულთ (ელჩის ოთა-

ხების დიდებულებით) სახეზე ცრემლი და იმედი აღგვებქდოდა. ჩვენ თითქოსდა ორი შეშინებული ბარტყი ვიყავით და თევზით მოვაჭრე ჩვენი დედაბერი უზარმაზარი ნაცრისფერი კორმორანივით გადაგვფრფრებოდა. უცებ მეორე ოთახის მაღალი კარი გაიღო. ზღურბლს ლივრებაში გამოწყობილი მსახური მოადგა და წარმოთქვა: „მარკიზ პიკალეუგანის მსახურები“. და ეს ლოყებლაჟღაჟა, პირმრგვალი მოხუცი გრაფი ბრძინისწამოვიდა ჩვენს შესახვედრად. (ღმერთმანი, ჩემი ოტო მას ჩამოჰგავს...) თევზით მოვაჭრე დედაბრის საკმაოდ ბუნდოვანმა, მაგრამ ხმამაღლა ნაამბობმა, რასაც ჩვენი ბავშვური ახსნა-განმარტებებიც დაერთო, გრაფს ჩვენდამი ინტერესი გაუღვიძა. (ბერიკაცი ამ მხრივაც ოტოსა ჰგავს, რომელიც აქ, ჩემ გვერდით, კაცი ვერ გაიგებს, რა საქმეებს არ ეწევა, და, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ეჭვიანია, ნებისმიერ ბავშვზე უფრო იოლად შეიძლება დააინტერესოსთ რა გინდა რა საქმით და რა გინდა რა ხალხით.) მაგრამ ის, რომ გრაფი რუმინანცევი ჩვენით დაინტერესდა, ჩვენი ხსნა ან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი იღბალი იყო. ჯერ პატარა გამოცდა მოგვიწყო, რათა გამოერკვია, საერთოდ ვიცოდით თუ არა რაიმე რუსეთზე. მაგრამ კატარინამ სადოვაიაზე ჩვენი მისამართიც კი უთხრა რუსულად და როცა დავუდასტურეთ (ჯერ იტალიურად, შემდეგ ფრანგულად), რომ სიკვდილამდე სამი დღით ადრე იმპერატორმა მამა წმინდა პეტრეს ქალაქში საიმპერატორო ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშნა, გრაფმა ბრძანა, თევზით მოვაჭრე ქალისთვის ჩვენს სახელზე ორმოცდაათი პიასტრი მიეცათ და ჩვენი მისამართი ჩაეწერათ. გვითხრა, მინდა გავარკვიო, დაგინიშნავენ თუ არა რუსეთში მამათქვენის გამო სახელმწიფო პენსიას, ხოლო, თუ დაგინიშნავენ, ვეცდები ახლავე იქ გაგამგზავროთ, რომ იმ პენსიის ხარჯზე თავადაზნაურთა ობლების აღსაზრდელ დაწესებულებაში მოგათავსონო. ორი თვის შემდეგ მართლაც წამოგვიყვანეს თევზით მოვაჭრე ქალის სახლიდან, ჩაგვსვეს სამეფო არწივგამოსახული საკურიერო კარეტის კუთხეში (არც საზამთრო პალატოები, არც ხელთათმანები, არც თბილი ფეხსაცმელები არა გვქონდა, მაგრამ ეს გაცილებით გვიან შევამჩნიეთ) და რომის, ემილიის, ვენეციის, ვენისა და ბოჰემიის გავლით პეტერბურგს გავემგზავრეთ. საელჩოს ერთი მრჩეველი, თან ცოლი და ორი წლის ბიჭუნა რომ ახლდა, ნეაპოლიდან უკან, რუსეთში ბრუნდებოდა. ჩვენც მათ მოვყვებოდით. ისინი ჩვენზე ზრუნავდნენ და ჩვენც მადლობის ნიშნად ქალბატონს ბიჭის მოვლაში ვშველოდით. თვენახევარი ვიმგზავრეთ. ეს იყო 1802 წლის შემოდგომეზე. ოტომ მითხრა, ევროპაში ორი შემზარავი ომის ქარიშხალს შორის ისე გასხლექტილხართ, როგორც ოდისევსი გასხლტა მესინის სრუტეში, სადაც ურჩხულები იყვნენ ჩასაფრებულნიო, — სულ მავიწყდება მათი სახელები. ოჰ, რა სასიამოვნო იყო თავდაპირველად მგზავრობა! ღმერთო ჩემო, ისევ უცხო ქალაქები და ქვეყნები, უცხო სახეები. ემილიელები, ფრანგები, ავსტრიელები, პრუსიელები... მაგრამ ამინდი მკვეთრად შეიცვალა, თანდათან აცივდა, პატარა ვიტყას წამდაუწუმ ახველებდა და უცხო სახეებიც მოსაწყენად მომრავლდნენ...

მოსაწყენად მომრავლდნენ უცხო სახეები... დღესაც ისევა, როგორც გუშინ... არა, არა, იქ, თხელ კედელს მიღმა, ვიტყას აღარ ახველებს. ეს ეკლესიის ჩაუამებელი სარკმელი იცქირება საწოლი ოთახის ფანჯარაში. მე უნდა წამოვდგე და საქმეს შევუდგე. ეკლესიის ლურჯ ფანჯარას რაღაც თეთრი გადაფარე-

ბია — ფაფუკი ღრუბლების ანარეკლი... პეტერბურგი თეთრი თოვლით იყო დაფარული და პატარა ვიტია მესამე დღეს გარდაიცვალა... იქ კი, კახლის მიღმა, ანიტას ახველებს. ორი წლის კი არა, უკვე ცამეტი წლის ანიტას, არა ანეტე ავგუსტეს, არამედ ანიტას, ერთადერთ ბავშვს ამ სახლში, რომლის შესახებაც ვიცი, რომ ის ბავშვია, და რომელიც დედას მეძახის, როგორც კი დეც დედად, რომელიც სულაც არ მაგრძნობინებს, რომ უცხო ქალი ვარ, რასაც ყოველ ნაბიჯზე აკეთებს კაროლინა ანდა ოტილია, ვინც თუმცა თავაზიანია, მაინც მაგრძნობინებს, რომ აქ, ამ სახლში მხოლოდ და მხოლოდ მსახური ვარ, რომელსაც მამამისი უწვება გვერდით, არად აგდებს, რომ უკვე ჯვარდაწერილნი ვართ, ანდა ელეონორა, ვისთვისაც მას შემდეგ, რაც გათხოვდა, მე არაფერს არ წარმოვადგენ. უნდა ავდგე და ანიტას წამალი გავუთბო. როცა ახველებს, მუდამ შიშის ზარი მეცემა, რადგან დედა ოცდაცამეტი წლისა გარდაეცვალა ქლექით, და ეს შხამი შეიძლება მისი ქალიშვილის სისხლშიაც აღმოჩნდეს... განკარგულება უნდა გავცე დილის ყავა დაფქვან, მაგიდაზეც ის ლურჯი მებისენის სერვიზიც იდოს, შედარებით საპატიო სტუმრებს რომ მიერთმევა. უნდა ვბრძანო, რომ ლენამ და კაიმ კიდევ ერთხელ დაალობონ ტილო, რისგანაც მინდა ჩვენს გოგოებს საზამთრო საცვლები შევუკერო... უნდა ავდგე და საქმეს შევუდგე. დღესაც ზუსტად იმავე საქმეს, რაც გუშინ მქონდა...

თეთრ, იაფფასიან ღამის პერანგს ვიხდი. და მანამ, სანამ უკვე დაძველებულ, წითელკოპლებიან სატინის ხალათს ჩავიცვამდე (ლავანდის საპნისა და ჩემი სურნელი რომ ასდის), მაინც ვიცქირები სარკეში. ისევ ისეთივე ვარ, როგორც გუშინ ვიყავი, ოღონდ ერთი დღით უფროსი... ღმერთო ჩემო, ვერ წარმომიდგენია, როგორ ქალად მიმიჩნევდნენ იტალიაში. თუმცა აქაური შეხედულების თანახმად ჯერ კიდევ ტურფა ქალად ვითვლები. რასაკვირველია, მე უკვე ის ქალი ვარ, შემოდგომამ რომ დათრთვილა. მაგრამ არ გავსუქებულვარ, ისევ მსუბუქად დავდივარ, არ დავმძიმებულვარ, რაც აქ ერთობ ხშირია. ღამღამობით აქ, ამ საწოლ ოთახში, სანამ სანთელს ჩავაქრობდე, ოტო დიდბანს მომჩერებია, მეაღერსება და მეუბნება: *Cara mia*, შენ ღამაში ღვთიური ნადირი ხარ... ამას ვერც გერმანულად იტყვი, ვერც იტალიურად, ვერც ფრანგულად, ვერც რუსულად. ოჰ, უნდა ავდგე და საქმეს შევუდგე.

მეორე დღეა, რაც ოტო არაა შინ. სამშაბათს შემდეგ აღარ არის. გაემგზავრა. ცხენით გაემგზავრა. უყვარს ცხენით მგზავრობა. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არც მის თანამდებობას ეკადრება და არც ასაკს. კაიავერსა თუ სადღაც სხვაგან წავიდა, ვილაც გლებებთან, რაღაც ზეციური ქვის საძებრად! გაზაფხულზე იმ არემარეზე რომ ჩამოვარდნილა... მე კი, როგორც ყოველთვის, დღესაც ექვს საათზე უნდა ავდგე. მინას ფქვილსა და ვაშლის მურაბას მივცემ ბლინების გამოსაცხობად, ყავას, რომ საუზმისათვის დაფქვას, ახალი თავი შაქრის მეოთხედს წვრილად დავაფხვენევიანებ და ვუბრძანებ, მაგიდა თორმეტი სულისათვის გააწყონ: ანიტა, კაროლინა, ოტილია, ელეონორა, მისი ანტონი და ეს დოღრილა მაიორი ადლერბერგი, ოტოსთან ვირუ-ნიგულიდან სტუმრად ჩამოსული. არც კი ვიცი, რა მეგობრობა აქვთ, აგრეთვე პროფესორი და მისი ბებრუხანა, ეს უგანათლებულესი მაიმუნი ტარტუს უნივერსიტეტიდან, ვისაც ოტო ჯერ კიდევ ჰალეში სტუდენტობის დროს დამეგობრებია, კიდევ ჩვენი საკუთარი კისტერი ჰალეში, სკოლის რევიზიის გამო ოტოსთან რჩევის მისაღებად ჩამოსული, ის ორი მასწავლებელი და თავად მე... ყოველთვის,

როცა ყველანი სასაუზმოდ გამოდიან, ოტილია, გვერდით რომ ჩამივლის, მისალმების ნიშნად ნიკაპს ისე შეაქანებს, შემაურეოლებს ხოლმე, იმიტომ რომ ვიცი. რას ეტყოდნენ ისა და მინა ერთმანეთს მანამდე. მინა ოტილიას უკაკუნებს კარზე და დამტვრეული გერმანული ეუბნება: დილა მშვიდობისაო, ფროილინ (ფროილინი კი სხვათა შორის სულ ოთხი წლითაა ჩემზე უმცროსი) დილა მშვიდობისა, ფროილინ, ქალბატონი პრობსტი საუზმეზე გთხოვთ... ოტილია წივიანა ხმით უბასუხებს: მინა, უკვე რამდენჯერ გაგიმეორე, გთხოვ მითხრა: მადამი გთხოვს, რადგან ქალბატონი პრობსტი ოცდაათი წლის წინ გარდაიცვალა...

ამის შემდეგ, როგორც ყოველთვის, ერთ წამს უხმოდ ვსხედვართ და კისტერი ჰოლმანი უფაღს ევედრება, ბლინები გვიკურთხეო. იმ შემთხვევაში, როცა ჩვენთან ერთად მაგიდას ოტო არ უზის, ხოლმანი კი აქ არის, ამას მუდამ მას ვაკისრებ. თუმცა სხვას ყველას პრობსტის მეუღლედ მივაჩნივარ, მაგრამ კათოლიკე ვარ და უფაღს კურთხევა რომ ვთხოვო, შეიძლება ვაშლის კანი ყელში გაეჩხიროთ. შემდეგ ჭამას ვიწყებთ. მე ქალბატონ ეშეს დაწინწკლულ კაბას ვუქებ და სკოლის ამ გაუთლელი მასწავლებლების ოდნავ გამზნევენას ვბუდავ, შეშინებული ყურს ვუგდებ, რა ხმაურით ხვრებს ანიტა თავის ყავას, მაგრამ, საბედნიეროდ, აღარ ახველებს, ვინაიდან მოვასწარი ღადარში გამეტბო მისთვის წამალი, სანამ კერაში ცეცხლს გააჩაღებდნენ. ვზივარ და ვგრძნობ, თანდათანობით როგორ მითბება ფეხქვეშ იატაკი, ცხელი ყავის მაცოცხლებელი ტალღა როგორ აღწევს ჩემს ტვინამდე და მითბობს გულს. ანიტა ყავას რომ ხვრებს (თუმცა ოტილიას, ელეონორასა და მის ანტონთან ერთად ვუზივარ მაგიდას), ვგრძნობ, რომ ამქვეყნად მაინცა მაქვს სახელი, მაგიდა და ადგილი მაგიდასთან, ადგილი, სიმწრისა და ორჭოფული მდგომარეობის ფასად მოპოვებული.

პეტერბურგის კეთილშობილ თბოლთა აღსაზრდელი დაწესებულებიდან არაფერი გამოვიდა. და არც არავითარი პენსია დაუნიშნავთ. ჩვენს საქმეს სიცილიის საელჩო და სამინისტროს ვილაც ბატონებმა მოჰკიდეს ხელი და ბოლოს და ბოლოს განსვენებული ვიტის მშობლებიდან წამოგვიყვანეს. კატარინა კონსულ ფროსტის ოჯახს მიაბარეს, ისინი პეტერბურგის უბანში ცხოვრობდნენ. მე ვაჭარ ოვანდერის ოჯახში მოვხვდი ახალი ნარვის უბანში. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ერთმანეთს დაგვაშორეს და ჩვენ შორის მთელი უზარმაზარი ქალაქი იყო. ასე რომ, ისეთი წლებიც გამოგვერეოდა, როცა ერთმანეთს საშობაოდაც ვერ ვნახულობდით. შვიდ წელიწადს გუვერნანტი ქალის თანაშემწე და მოახლის მარჯვენა ხელი ვიყავი, კიდევ მეტი — ოჯახის დიასახლისის თანამოსაუბრე და წიგნის მკითხველიც. მძიმე და მერყევი მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. სხვისი ლუკმის შემყურე ადამიანის მდგომარეობაში, ყურადღებით ყოფნას, ყალბ ღიმილს, წყნარ საუბარსა და თავის ქიციანს რომ გასწავლის. შემდეგ ეს იტალიური საოპერო დასი, დიდ თეატრში რომ მოვეუსმინე... და მერმე ენრიკო... ღმერთო ჩემო, ამქვეყნად არაფერი ვიცოდი გარდა იმისა, რასაც ქალბატონს ფრანგულ რომანებში ვუკითხავდი. ენრიკო მთელ ღამეს რომზე, მილანსა და ნეაპოლზე მესაუბრებოდა. მთელ პეტერბურგში არავის ჰქონდა მისებრ ღამაზი თვალები. და მის სახესაც იმ კეთილშობილი პერცოვის გრიმის სურნელი დაჰკრავდა, ვის პარტიასაც მღეროდა და მე მჭეროდა მისი, როცა მიკითხავდა: ტუჩები, ჩვენ რომ გვი-



კოცნია, ფასს არასოდეს კარგავენ და ამიტომ ახალ მთვარესავით არიან. სასტუმრო „იმპერიალის“ სამოთხის მსგავსი ოთახი... რომელიც განთიადისას ისეთი გაქუცული მეჩვენა, მთელი სამყაროცა და ჩემი საკუთარი თავიც შემაზარა... არა, საყვარელთან ერთად არ მიმოგზაურია დიდ და სტუმართმოყვარე ქალაქებში! მეღნით ნათითხნი წერილი სასტუმროს მაგიდაზე დავაწკარფასო, ჩვენი დასი ორი დღით ადრე მიემგზავრება. ახლა, ამ სიტყვებს წარმოვიტყულობ, ჩვენ უკვე გემზე ვიმყოფებით და სტოკჰოლმის გზას ვადგივართ. მაპატიე, მოგწერ ახალ ამბებს. ე. ახალი ამბები არასოდეს მოუწერია. მაგრამ ჩემმა სამწუხარო გამოცდილებამ ისე დამაქკვიანა, რომ ვიცოდი, საერთოდ არ იყო მოსალოდნელი რაიმე სიახლე. არც ენრიკოსგან მოველოდი რაიმეს და არც ცხოვრებისაგან. კატარინა თავის ფროსტებს გერმანიაში ახლდა და მე არავინ მყავდა ისეთი, ჩემი დარდი გამეზიარებინა. იქნებ ისევ მქონდა რაიმეს მოლოდინი. მე მხოლოდ ის მტანჯავდა, რომ დედა აღარა მყავდა. მინდოდა მის კალთაში გავმძლარიყავ ტირილით. ან მამა მაინც მყოლოდა, რომელიც ძლივსღა მახსოვს: მხოლოდ ყრუ სიცილი და მწვანეთვლიანი ბალთა ყელსახვევზე. სწორედ მაშინ ვაჭრის ოჯახში, თითქოსდა ღვთის განგებით, ოტო მოგვევლინა! ღმერთმა უწყის, საიდან იცნობდნენ ისინი ერთმანეთს. როგორც ახლა ვხედავ, ოტოს აურაცხელი და უფრო მოულოდნელი ნაცნობობა ჰქონია, ვინემ საზღვაო საქონლით მოვაჭრე სანახევროდ შვედი პეტერბურგელი ვაჭარი გახლდათ.

ორმოცდაექვსი წლის პროვინციელი პასტორი (ცხადია, პროტესტანტი, მაგრამ ამას წმინდა ჯენარო შემიხდობს), რამდენიმე თვით ადრე რომ დაქვრივებულა და ხუთი პატარა ბავშვის ამარა დარჩენილა, პეტერბურგში გუვერნანტ ქალს დაეძებდა. და ქალბატონ ოვანდერს არაფერი ჰქონია საწინააღმდეგო, რომ ესტალანდიაში გავმგზავრებულიყავ და ბატონ პასტორის შვილებისთვის მიმეწედა, რადგან უკანასკნელი თვე ქალბატონს რომანებს ყოველგვარი გულაჩუყების გარეშე ვუკითხავდი. მე სიამოვნებით დავთანხმდი. შორს ამ საზარელი ქალაქიდან! რამდენი წლისა ვარ? ჩვიდმეტის? ჰმ. გავართმევ კი თავს? რასაკვირველია, გავართმევ! ნამდვილად შევძლებ! ოღონდ შორს ამ საზარელი ქალაქიდან! უცხო ქვეყანაში, ახალ ადამიანებთან! ღმერთო, შენ ამისრულე ეს სურვილი, რომ აღარ ვიხილო არც ის ქუჩები, არც იმ თეატრის პილიასტრები, არც იმ სასტუმროს ფანჯრები. ამისრულე წადილი და უცხო კაცის ბავშვებს საკუთარ შვილებივით შევიყვარებ.

ამ უცხო კაცს, ამ მოხუცებულ უცხო კაცს, მე გეუბნებით, თავისებური ტუჩ-პირი აქვს. ხანდახან დამცინავი, ასე რომ, როცა უცქერი, სავსებით იბნევი, ამავე დროს კი სერიოზული და მკვახე, იმდენად მკვახე, რომ შიში გიპყრობს, შემდეგ კი, უცბად ბავშვი რომ ტკბილს დაინახავს, ისეთი მსუნავი და მომლიმარი. მის ლურჯ თვალეებზე კი, როგორებიც აქ ძალზე ხშირია, მაინც ვფიქრობ, რომ ისინი საოცრად პატიოსანი და საოცრად ულმობელია... როცა ეს კაცი საღამოთი ჩაის მიირთმევდა და ბატონ ოვანდერისგან გაიგო, საიდანაც ვიყავი წარმოშობით, იმწამსვე იტალიურად დამიწყო ლაპარაკი — o-la-la! მე ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში, დიახ — გენუა, ვენეცია, რომი, ნეაპოლი — ოთხმოცდაშვიდსა თუ ოთხმოცდარვაში — გრაფ მანტიეფელის საზოგადოებაში! რასაკვირველია, უეჭველია! ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც გაბედულად და ცოცხლად ლაპარაკობდა. და ეს ისეთი დიდებული სიურპრიზი გახლდათ, რომ ჩემი გადაწყვეტილება, თან გავყოლოდი, ორმაგად განმტკიცდა. ის კი გა-

უთავებლად ყბედობდა, სიტყვებს დაეძებდა და საკუთარ შეცდომებზე თვითონვე ქირქილებდა...

უცებ შევკრთი... სწორედ ამ სკამზე... ეს წუთია, დიდი... ~~ეცხაში...~~ მაგიდას რომ ვუსხდევართ და ვსაუზნობთ... წმინდაო ჯენარო, ნუთუ ამდენი სტუმრების წინაშე ჩამთვლიმა?! მინაჩასმული აივნიდან ~~სანადბროშო~~ ~~მოთახში~~ სწორედ ეს ქირქილი ჩამესმა, ყველამ, ვინც მაგიდას უჯდა, ~~უკან წიობდა~~. კარებში, შეორთქლილი დილის ბინდბუნდით ჩაბნელებული მინები რომ ჰქონდა ჩასმული, ოტო გამოჩნდა და დიდი ლამპის ქვეშ გაიარა — კალთებს მოაფრიალებს, ჩექმები ლაფით მოთხვრია, ხელები მიწით დასვრია, სახეზე კი უჩვეულოდ გამარჯვებული იერი აღბეჭდვია: — დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო! — იგი დივნის მაგიდიდან უცებ იღებს ქილას, რომელშიც ჩარგულია მრავალძარღვა, იატაკზე დებს და ჯვალოს ტომრიდან, ხელში რომ უჭირავს, მაგიდაზე ახვავებს, რაც შიგ ყრია:

— ჩემო ქალბატონებო და ბატონებო! ქვები, აქ რომ ხედავთ (ეს ერთნახევარი გირვანქა ჭუჭყიანი, ნაცრისფერი და შავი ქვის ნამსხვრევებია), მთელ ჩრდილო ევროპაში უძვირფასესი ქვებია!

შემდეგ მიწით მოთხვრილ ხელს კალთაზე იწმენდს, ჩემთან მოდის, ცალ ხელს კისერზე ისე მაგრად მხვევს, რომ მტკივა, მეორეთი ნიკაპს ოდნავ მაღლა მიწევს და მთელი ხალხის წინ მკოცნის. ეს მისი ჩვეულებრივი მოსალმება გახლავთ. მე მგონია, პირველ ყოვლისა, ამას თავისი უფროსი ქალიშვილების დასანახავად სჩადის, უნდა მოაგონოს, რასაც წარმოვადგენ მისთვის და, მაშასადამე, ყველასთვის, ვინც კი მის სახლში იმყოფება. მაგრამ იმავ წუთს, ტუჩებით შუბლზე რომ მეხება, იგი უკვე იმ ქვების გამო შეკითხვებს პასუხობს. მას ცხენის, შვრიის, ნამჯის, ოფლის, თაბაქოსა და შემოდგომის დილის სურნელი ასდის. მე ჩამესმის მისი ცალკეული სიტყვები: ივნისის დამდეგს... საშინელი ქარიშხლის დროს... ლოკოველი მიხკელის საძოვარზე... მეტეორი! ყოველგვარი ექვის გარეშე!

სწორედ ამ დროს ერთბაშად ბევრ რაღაცაზე ვფიქრობ, ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ მაკოცა პირველად... წმინდაო ჯენარო — პეტერბურგიდან იქ, ვირუნიგულაში რომ ჩამიყვანა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ჩემთვის ოჯახის უფროსსა და პატრონზე მეტი გამბდარიყო, მე კი მისთვის მისი ბავშვების გუვერნანტ ქალზე მეტი. როცა დედა ჰყავდა, ოჯახში ქარბად იგრძნობოდა პროვინციალური ცერემონიები. მე დედამისს ცოცხალს მივუსწარი. ეს იყო ერთი ციდა მიხრწნილი ქალბატონი კისტერი, ვისზედაც ოტო ამტკიცებს, წარმოშობით Hildebrandt-ი არისო. ღმერთმა უწყის, ასეა თუ არა, მაგრამ დროთა განმავლობაში ექვი შემეპარა, იყო თუ არა ჩემი ქალბატონი დედამთილი საერთოდ აზნაურული წარმოშობის ქალი. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ აქაურ ენაზე სხაპასხუპით ლაპარაკობდა, არამედ კიდევ მეტიც — ყურადღება მივაქციე, ჩემს საექვო მარკიზობას რარიგ ხმამაღლა და რაღაც თავისთავად ნაგულისხმევად (უნებურად თუ წინასწარი განზრახვით) აცხადებდა ოტო. ჩემი მამამთილი იქვე, ოტოს სახლში გარდაცვლილიყო რამდენიმე წლით ადრე. ეს გახლდათ პენსიაზე გასული გლეხთა კისტერი, ვის შესახებაც ამბობდნენ, გერმანულად უშეცდომოდ ლაპარაკი მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ისწავლაო. იმასაც ამბობდნენ, საშინელი გაშმაგება იცოდაო. რაც საესებით სარწმუნოა, რადგან გაშმაგება ოტოსაც სჩვევია... (ძმრით გაფურჩილი სა-

ყავიდან ისევ ყველას დავუსხი ყავა). ახლა, მაგიდასთან რომ ვსხედდართ, ოტო გაუჩერებლივ ტარტარებს და ეშეს უხსნის, ცენზორი მორიცი სულელიაო (ეს სულაც არ არის ყველაზე მწარე სიტყვა, მისგან რომ გამიგონია). იმერტომაც სულ მცირედ მაინც ვრწმუნდები, თუ რამ მომცა საფუძველი შემწეობა და ჩემამდე მოღწეული ხმა დამეჭრებინა. გასულ კვირას ბავშვებმა დაბრუნება რომ დაიგვიანა, უცებ ხმა დაირხა, გენერალ-გუბერნატორს ოტოს ციხეში ჩასმა უბრძანებიაო. მისთვის გაზეთთან დაკავშირებით რაღაც მოუთხოვია, მას კი გუბერნატორისთვის პირში უსირცხვილო რაღაცები მიუხლიაო... ახლა საბრალო ანტონი ადებს პირს (ოჰ, სჯობდა არ გაეღო!) და ცენზორ მორიცი დასაცავად ამბობს რაღაცას. ოტო სულშეგუბულად ხარხარებს და მთელი საზოგადოების წინაშე ხმამაღლა გაიძახის:

— Du, Herr durchgefallener Advokat — Herr Durchsfalladvokat — Herr Advokatendurehfall — verteidige mir ja nicht diesen feneif!

და ყველანი შეშფოთებულნი რომ ვდუმვართ, მესმის, როგორ მიმართავს მასწავლებელსა და ხოლმანს:

— მაგრამ ერთ დიდ საქმეში მაინც აღმოვაჩინე ხალხისთვის სასარგებლო რაღაცა! თურმე შესაძლებელი ყოფილა ცოფიანი ძაღლის ნაკბენის მკურნალობა! დიახ! სუფრის მარლით! ზუსტად ვიცი, როგორ. პასტორი მიკვიცი თურმე ათი წელიწადია ლიხულაში დიდი წარმატებით აკეთებს ამას. მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ აქ ასეთი რამ არავინ იცის! ჩვენ ვიცით, რაც პორტუგალიაში ხდება, მაგრამ იმას, რასაც აქვე, ჩვენგან ათი მილის დაშორებით აკეთებენ, ათი წლის შემდეგ ვიგებთ — თითქოს ეს გობის უდაბნოში ხდებოდეს! მე თქვენ გეკითხებით, განა ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა, ჩვენთან მუდმივი სოლიდური ყოველკვირეული გაზეთი რომ გამოდიოდეს?

მესმის, რა ხმამაღლა ხვრებს ყავას, თან პირს აწყლაბუნებს და ჩემთვის გასაგები ხდება, ვისგან ისწავლა ეს ანიტამ...

კოცნით პირველად იმ შობის ღამეს მაკოცა, ვირუ-ნიგულაში რომ გავატარეთ... პატარა სოფის დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ... ოჰ, რომ დავუფიქრდები, ასე მგონია, როცა ახალგაზრდა ვიყავ, სიკვდილი მეტი-მეტად განივრად იქნევდა ცელს-მეთქი ჩემ გარშემო... ეს ანგელოზი მაშინ მიიბარა უფალმა, ამ ოჯახში ნახევარი წლის შემოსული რომ ვიყავი. თუმცა ძალ-ღონე არ დამიზოგავს მის გადასარჩენად. ჩემთვის ხომ ეს ფიცის აღსრულებას ნიშნავდა: ამ კაცის ბავშვები საკუთარ შვილებივით მეყვარება-მეთქი. მაგრამ მათ მამაზე მართლაც არ ვფიქრობდი. ყოველ შემთხვევაში, შეგნებულად მაინც არ მიფიქრია.

...ანიტას საწოლზე დავიხარე და საბანი შემოვუკეცე, რადგან უკვე ღამე იყო და ფანჯრის მიღმა ქარბუქი მძვინვარებდა. ციმციმებდა სანთლები, ბავშვების ოთახი ნაძვის ტოტების სურნელით ავსებულიყო. ამ ტოტებით მე მოვრთე ოთახი. სასადილოდან შაფრანის სურნელი იღვრებოდა, ქიშმიშიანი სააღდგომო ფუნთუშის ნარჩენებს რომ ასდიოდა. (ის ფუნთუში თითქმის მთლიანად ჩვენ შევჭამეთ — მე, ბავშვებმა და ოტომ, შობა საღამოს წირვიდან რომ

<sup>1</sup> შენ, ბატონო ხელმოცარული ვეკილო, ტრაფიანო ბატონო ვეკილო, შენ ამ ნეხვს ნუ იცავ! — სიტყვების თამაში: ნიშნავს ხელის მოცარვასაც და ფალარათსაც (გერმ.).

დაბრუნდა შინ. სტუმრები კი მხოლოდ მეორე დღეს უნდა მიგველო.) მე ანიტას საწოლზე დავიხარე... უცებ ოტო ჩემ უკან აღმოჩნდა. თავის კენ მიმაბრუნა და აკოცა... მანამ მკოცნიდა, სანამ წინააღმდეგობა არ შევწყვეტე. ჩემი წინააღმდეგობა იმაზე გაცილებით უფრო ხანმოკლე გამოდგა, ვიდრე ჩემი ქალწულებრივი კდემამოსილება მოითხოვდა. მაშინ ხელში ვიჭაღვლე და საწოლ ოთახში შემიყვანა და იმ ლოგინზე დამაწვინა, სადაც ცოლის სიკვდილის შემდეგ არ წოლილა... ისიც კი არ ვიცი, ვუთხარით თუ არა ერთმანეთს რამე... მხოლოდ ეს იყო, რომ ვეჩურჩულებოდი: მეშინია — და საკუთარ თავს ვებრძოდი, როგორ მივმართო, თქვენ თუ შენ-მეთქი — და ვუთხარი — შენი-მეთქი... ვგრძნობდი, რომ ეს საძაგლობა იყო, და დავუმატე: და ზეციური სასჯელის... და ისეთი ვნებით მითხრა, დავუჯერე, ანდა მინდოდა დამეჯერებინა, რომ ეს მისთვის ცხადი იყო: ზეცა შეგვინდობსო! როცა ქარბუქის ღრიალი ისევ გავიგონე, უკვე მისი ცოლი ვიყავი. იმ ღამის შემდეგ, რამდენიმე თვეც რომ გავა, თორმეტი წელიწადი შესრულდება. თუმცა გვირგვინი სულ სამი წლის წინ დავიდგი.

თორმეტი წელიწადი... ყოვლისშემძლე უფალო, მე ვიცი, რომ ერთნი მას საოცრად ჰკვიან კაცად ფელიან, მეორენი — საოცრად თანამედროვედ, მესამენი კი უცნაურად მიჩნევენ. სინამდვილეში ის ამბავი, ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ასე მჩატედ რომ წყვეტს, მისი დიდი გაქანების ადამიანად მიჩნევის საფუძველს იძლევა. ოღონდ კიდევ ერთი სიმჩატე რომ არ ახასიათებდეს (იქნებ ესენი ორივე ერთია), კიდევ ერთი სიმჩატე, თავის გადაწყვეტილებებს ასე სწრაფად რომ აცვლევიანებს... ხანდახან უხერხულადაც კი ვგრძნობ თავს, როცა ამას ვიგონებ. მაგალითად, თავდაპირველად იგი ძალზე აღფრთოვანებული იყო იმ საძმო თემებით, აქ, ეკსის გარშემო, ასე უამრავი რომ არის. ერთი შეხედვით, რა ხალხია! რა ფაქიზი, რა შეძლებული, რა წყნარი და რა სწორი, ღამაზ ენაზე მეტყველებს! ამათ რომ უსმენ, გჯერა, რომ მართლაც არსებობს განვითარებული ესტონური ენა! და დამიჯერე: ეს ხალხი საკუთარმა ძმებმა მქადაგებლებმა გამოზარდეს ასე! ბატონ გერმანელ პრობსტებს კი არ აღუზრდიათ, ჩემს კოლეგებს! რადგანაც ისინი, უფალმა უწყის ეს, ადამიანთა ყველაზე უნაყოფო, ყველაზე საზიზღარი მოდგმაა იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ! ეს ზუსტად მისი სიტყვებია. ორი წელიწადიც არ გასულა, რომ ლაპარაკი დაიწყო — ძმები ყველაზე წუწუნა, ყველაზე ფარისეველი და თავკერძა ხალხია ამქვეყნადო. სასამართლოსა და კონსისტორიაში დაიარებოდა და მედგრად ებრძოდა მათ, რაც ერთგვარად მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებასაც ნიშნავდა იმ დროს, როცა მინისტრებად პიეტისტები გვეყავდა... არაფერს ვიტყვოდი, რომ დაიმედებული ყოფილიყო, პასტორები მხარს დამიჭერენო!... ოჰ, ღმერთო ჩემო.. როგორ მოხდა, რომ მაინც დანიშნეს ტარტუმაასის პრობსტად, თუმცა დიდი აურზაური ატყდა და ყველანი მტრებად მოეკიდნენ, ეს დღემდე ვერ გამიგია. ამ მტრობის ერთ-ერთი მთავარი, მაგრამ არა უმთავრესი საბაბთაგანი მისი ჩემდამი დამოკიდებულება იყო. თავისთავად ცხადია, რომ ისინი ჩვენზე მთელი ათი წლის განმავლობაში ეჭვობდნენ, მაგრამ ამის პირდაპირ თქმას ვერ ბედავდნენ. და გარდა ამისა, მე (თუმცა მისი შინამოსამსახურე გახლდით), რაც უნდა იყოს, მარკიზის ასული ვიყავი და არა გლეხის გოგო, რასაც იგი ხმამაღლა ამცნობდა ქვეყნიერებას. როგორც ეს ღამაზი ევა გახლავთ, ბედშავმა ვიისიკუსელმა ბატონმა ბოკმა ცოლად რომ აირჩია და გე-

რმანული და ფრანგული საუკეთესო მანერების შესასწავლად ოთხი წლით ჩვენთან გამოგზავნა. კარგი გოგო კი იყო. ბატონმა ბოკმა მართლაც დაწერა ჯვარი ევაზე, ერთი წლის შემდეგ კი პეტერბურგის კაზემატში ამოხდა სული, ასე რომ, ახლა მთელი აზნაურობა ცოფიანი ძაღლების ხროვასავით დახდეს საწყალ ევას... აჰ, ცოფიანი ძაღლის ნაკბენის მკურნალობა სუფრის მართლმადიდებლებს იძლევაო?.. იქნებ ასეც იყოს... მაგრამ ნამეტანი მარტივი ხომ არ გამოდის? უკვე რამდენჯერ გამიგონია ოტოსაგან, ეს უდიდესი აღმოჩენააო. ღმერთო ჩემო, განა მათმა ლუთერმა არა თქვა: შეგიძლია ფრინველს შენს თავზე ბუდის კეთება აუკრძალო, მაგრამ ცაში ფრენას ვერ დაუშლიო... და აი, ახლა, საუზმობისას, როცა კაიავერიდან თავისი ციური ქვებით დაბრუნებული ოტო ყავას სვამს და ახალ ამბებს ჰყვება, თან დავობს, იღრინება, იგინება, იცინის და ახსნა-განმარტებებს იძლევა, სწორედ ის ფრინველი ისევ დაფრინავს ჩემს თავზე ცაში... ეს უნამუსო ფრინველი, გულისწამლებად რომ ჩხავის; სხვებს მისი ჩხავილი არ ესმით, ჩემზე კი ისე მოქმედებს, ასე მგონია, გულში ნემსს მჩხვლენ: განა ოტო, ეს ბერიკაცი, ვინც ცხრა ენა იცის, ვისაც სუპერინტენდანტები და პროფესორები მიმართავენ რჩევისა და დახმარებისათვის, მართალი რომ ითქვას (ოჰ, ღმერთო ჩემო, გონებაშიაც კი მიჭირს ამის წარმოთქმა), განა ის ნამდვილი... ბავშვი არ არის? განა ის, თუ სიმაართე გნებავთ, (ოჰ, შეშინდე, წმინდაო ჯენარო!) ბებერი განათლებული სულელი არ არის?!

ახლა, ყავას რომ შევექცევი, მინას ვეუბნები, ლამპა ჩააქრე-მეთქი, რადგან უკვე საკმაოდ გათენებულა, და ოტოს ხმას ვისმენ... და უცებ ტაშის კვრას ვიწყებ... ტაშს სწორედ მაშინ ვუკრავ, როცა ოტო ისევ მეტეორულ ქვებზე ლაპარაკობს და განმარტავს, თუ რატომ და რამდენად მტკიცედ სწამს, რომ ეს ქვები ნამდვილია. და ყველას ჰგონია, რომ ტაშს მისი სიტყვებით ალტაცებული ვუკრავ. მე ვლულულუღებ: ეს ხომ დიდებული რამ არის. და ჩემს უცნაურ ოვაციას ჩემი სამხრეთული ტემპერამენტით ხსნიან (ამით ისედაც ბევრ რამეს ხსნიდნენ). არავინ იცის, რომ ტაშის დაკვრით იმ უნამუსო ფრინველს ვაფრთხობ.

ახლა შემთხვევით ვიცქირები მინაჩასმულ კარისკენ, აივანზე რომ გადის, ხელები, ტაშს რომ ვუკრავდი, ჰაერში გამიშეშდა. არ ვიცი, ეს ახალგაზრდა კაცი, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, ეს ჭაბუკი-მეთქი, მე რომ ვხედავ, დიდი ხანია იქა დგას თუ ახლახან შემოვიდა.

ახლა, საუზმის ეამს... ეს ჭაბუკი სასადილო ოთახის ზღურბლზე...

2.

რა თქმა უნდა, მეტეორი იყო! (ეს რომ გაიგო, მარტო ცოდნა კი არ კმარა, ყნოსვაც უნდა გქონდეს!) ამაში ერთი წამითაც არ დავეჭვებულვარ იმ წუთიდან, მისი ამბავი რომ შევიტყვე. ექვს თუ შვიდ ივნისს. მეტეორი ლოკოსელი მიხკელის საძოვარზე! მეტეორი კაიავერის უღრან ტყეში! გასაკვირი ამბავია! სწორედ იმ ტყეში, საიდანაც მაზინგების მთელი შთამომავლობაა გამოსული, მქსოველები, კისტერები, მამულის მმართველები, პასტორები... აქამდე ყველას გავასწარი იმ მდგომარეობის მიხედვით, მე რომ მიჭირავს. როგორც მე-ძახიან, ტარტუშას ჩრდილოეთი ნაწილის პრობსტი და ესტონეთის საქმეთა

პატრიარქი ვარ. და, ცხადია, ქვეყნიერებასაც მათზე უკეთ ვიცნობ. პრუსია, საქსონია, ვესტფალია, საფრანგეთი, სავოია, პიემონტი, ნეაპოლი, კატალონია, რუსეთი. ჰოდა, ასე შემდეგ (ეს ასე შემდეგ, სიძარითლე რომ ითქვას, არც ისე ბევრია. მაგრამ მიყვარს, როცა შთაბეჭდილებას ვახდენე, ~~ქვეყნის~~ ~~მთელ~~ ~~სულ~~ ცუდია? კარგია, კარგი რადგან საჭიროა, უბრალოდ აუცილებელია (სიძარითლე). ამას ისიც დაუმატეთ, რაც წიგნებით გამიცვნია. ახლა კი ისევ კაიავერის ულრან ტყეს დავუბრუნდეთ... ის ხომ აქვია. სულ ახლოს. ეკლესიის კოშკზე რომ ახვიდეთ და ტბა საადიარვის გაღმა გაიხედოთ, სარკვესავით წყლის იქით ტყის-პირს შეუიარაღებელი თვალითაც დაინახავთ. ასე რომ, გეგონებათ, იქ ნამდვილად წრე იკვრებაო... მე კი მხოლოდ ახლა ვაპირებ ნამდვილ გზაზე გასვლას!.. ხანდახან ჭეშმარიტად ასე მგონია. ცხენზე ამხედრებული ყანიდან, მშენებლობიდან ან კიდევ სადღაცადან რომ ვბრუნდები. როცა გახურებული, ჰაერზე დასვენებული, ფინჯან ყავას მივირთმევ და შემოდგომის გრილი დილის სურნელს ვისუნთქავ. როცა გარს შემოხვეული ჩემი გოგონების მიღმა მინაჩასხმული აივნის ფანჯრიდან ვიციქირები (ზეცა ლილისფერ ღრუბლებს ცხვრის ფარასავით მიერეკება იმ მხარეს, საცა, როგორც ვიცი. ტყის გადაღმა ტბა უნდა იყოს, ტბის გაღმა კი — კაიავერის ულრანი ტყე). და კიდევ, როცა გამიელვებს მაცთუნებელი ფიქრი, რომ სამუშაო ოთახში სამ მაგიდაზე გაშლილი, ჯერაც დაუმთავრებელი მანუსკრიპტები და ერთი დასტა პასუხსაგები ბარათები მელოდია... მაშინ ასე მეგონა, შემძლია ყოველგვარ საწადელს ვეწიო-მეთქი! და ვფიქრობ, უსინდისოდ ადვილად შეიძლება ვეწიო-მეთქი! თურმე შრომა — უსაზღვრო სიამოვნებაა. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობ, რომ ამის აღიარებაც კი მრცხვენია, მეჩვენება, კაიავერის ნაძვების კენწეროები და ალბების ყველა მწვერვალი ჩემთვის ხელმისაწვდომია-მეთქი... თუმცა, მართალი რომ ითქვას, ჯერ გაკეთებული არაფერი მაქვს. მე კი ორმოცდათვრამეტი წლის კაცი ვარ. გრამატიკა ჯერაც არ დამიმთავრებია. თვით ორთოგრაფიის გამო ატეხილ კამათშიაც ჭეშმარიტება დაუდგენელია. ჩემი დიდი ლექსიკონი დღე-დღეზე სქელდება და დღე-დღეზე უფრო და უფრო ჭიანურდება დამთავრება. ჯერაც არ დამიწყია უცხოელთათვის ენის დამხმარე სახელმძღვანელოს წერა. გასულ კვირას თხუთმეტი ფურცელი ბიბლიური ისტორიის მანუსკრიპტი შევყარე ლუმელში. სხვაგვარად უნდა დაიწყოს. ენაში უნივერსიტეტისთვის დაწერილი ჩემი ლექციების კითხვის უფლებას სამინისტრო ჯერაც არ მაძლევს. სოფლის სკოლებისთვის გათვალისწინებული საკითხავი ცხრილი ცენზურას ისევ გაჩერებული აქვს. თითქოს მათში სწავლების ლანკასტერის მეთოდი იყოს გამოყენებული. და გარდა ამისა, ნებას იძლევიან მხოლოდ ის ტექსტები გამოვიყენოთ, რუსეთი რომ სარგებლობს. კეთილი და პატიოსანი! ამასაც მოვითმენთ! მთავარია, კითხვა ვასწავლოთ. წაკითხვით კი ყველაფერი იკითხება, რაც კი... (ჩემი გაზეთიც, რომელიც დვთის შეწევნით ახლა მაინც გამოდის, თუმცა მეპატრონეები მისი წინააღმდეგნი იყვნენ... მართალი რომ ითქვას, მხოლოდ სახელად გამოდის... სულ ოთხმოცდათექვსმეტი ხელისმომწერი გვყავს! მაგრამ ეს დასაწყისია... კარასთან შვილები ჯერაც არ შემეძინა... და ხანდახან ასე მეჩვენება, ყველაფერი უკან დარჩა-მეთქი, რომ დროზე ასი წლით ადრე მიცხოვრია და მიბრძოლია და წინ მხოლოდ წერილმანობასა და გულგრილობასთან უნაყოფო ბრძოლა მელის-მეთქი... კისერზე მორიცი მაზის, ძვლებში მამტვრევს, ხანდახან პირში ნაღვლის

გემო მაქვს... მაგრამ აი, ხომ ხედავთ, უფალი კაიავერის ულრან ტყეში მეტე-  
ორს გზავნის და მისი ნამსხვრევები მოხუც მაზინგს ხელის გულზე ეწყვიან!

თუმცა, ძვირფასო ეშე, და შენც, შენ, ადლერბერგო და თქვენ — ყველას  
იქნებ გგონიათ, ეს ნამსხვრევები ადვილი საპოვნელი იყო!! ოო, მე მშვენივ-  
რად მახსოვს ის ქარბუქი აქ, ექსიში, ოთხ იანვარს, ნასადილქვეს რომ ჩამოვარ-  
და. *Cara mia*, შენც ხომ გახსოვს, უცებ რა გრიგალმა დაჰქროლა და, სანამ  
გოგოები მდინარის ნაპირას ტირიფის ბუჩქებზე გაფენილ ტილოებს აკრეფდ-  
ნენ, კაბები გასაწურად მოექცათ. პოლმან, ცხადია, შენც გეხსომება, პირვე-  
ლივე დაქროლებისთანავე გრიგალმა ბაკს ნახევარი სახურავი რომ ახადა. რა-  
საკვირველია ექსიში არავის გაუგონია ის გრიალი, ზეციური ქვის ჩამოვარდ-  
ნამ რომ გამოიწვია, მაგრამ გუშინწინ ყველა სახლში ვიყავი, უკანასკნელ ქო-  
ხშიაც კი შევიხედე, ხალხს ვესაუბრე — ასე რომ ახლა ზუსტად ვიცი, როგორ  
მოხდა ყოველივე ეს, დიახ, მხოლოდ ახლა ვიცი! ეშე, ერთი მითხარი, თუ  
კაცი ხარ, განა ეს სირცხვილი არ არის?! მეტეორი ოთხ ივნისს ჩამოვარდნი-  
ლა, მე კი მისი ამბავი დაწვრილებით ცხრა სექტემბერს გავიგე?! ახლა ეს ამ-  
ბავი ეკონომიურ საზოგადოებას რომ არ მივწერო, ვერც კი წარმოიდგენენ,  
რა მოხდა! და ამის უცოდველობა ჩვენს კურთხეულ ლიფლანდიაში ვერავის  
დაუფრთხობდა ძილს! ცხვირსაც არავის დააცემინებდა ამ საკითხის გამო! ეშე,  
თქვენ ხომ იქ, ტარტუში, უამრავი პროფესორი გყავთ! სტრუვე და პაროტი, ეს  
ძვირფასი ვაუბატონები უკვე ათი წელიწადია ერთად აშენებენ ობსერვატო-  
რიას, თითქოს ბაბილონის გოდოლი იყოს! და შემდეგ, გავიგე, თითქოს იმ სა-  
ქვეყნოდ ცნობილი ფრაუნხოფერის ვილის ყიდვას აპირებენო. მაგრამ მით-  
ხარი, ჩემო ძველო მეგობარო, რა შედეგი უნდა გამოიღოს, როცა თქვენები  
იმის შესწავლას შედგომიან, რაც აქედან ხუთი მილიონი ვერსით არის დაშო-  
რებული, და ოდნავ ინტერესსაც არ იჩენენ იმის მიმართ, რაც შეიძლება აქ-  
ვე, ორმოცდაათ ვერსზე, დაეცეთ თავზე. და იმ ერთადერთ კაცს, ვისაც ად-  
გილობრივი საქმეები აინტერესებს, იმდენი საზრუნავი აქვს, ოთხი თვე უნდა  
გასულიყო, რომ იმ ადგილის დასათვალიერებლად გამგზავრებულიყო?! თქვენს  
პროფესორებს კი ხელმწიფე ჯვარ-მედლებს ჰკიდებს... ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! დი-ა-ახ.  
ეს ოხერი ფრანგები ხომ გაიძვერები არიან! იცი, რას ეძახიან ისინი ამ საჩ-  
ხარუნებლებს? აი, იმათ, უმაღლესი ხელისუფლების სახელით პატივდასადებად  
შერჩეულთ კისერზე და მკერდზე რომ ჰკიდებენ? იცი? არ იცი! არავინ იცის?  
ადლერბერგ, არც შენ იცი? *Les erachats!* ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რას ნიშნავს ეს? ნაფ-  
ურთხს! წვინტლს! რა ოხერი ხალხია ფრანგები, არა? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! გასულ კვი-  
რას პრორექტორმა გიცემაც მისცა საშუალება ასეთებს მისთვის მიეფურთხე-  
ბინათ! მაგრამ მე გეკითხებით: რისთვის? აი, მაგალითად, შემიძლია გითხრა:  
*Cara mia*, შენ მშვენიერი ქალი ხარ, მაგრამ მაპატიე და შენი იტალიელები  
არ მიმაჩნია დიდად გამოჩენილ ადამიანებად. მათ მხოლოდ შურისძიება ეხე-  
რებათ. თუმცა ათას რვაას შვიდ წელს სოფელ კაალასა და პიერსში, პარ-  
მის ჰერცოგის სამფლობელოში რომ შედის, რამდენიმე ზეციური ქვა ჩამო-  
ვარდნილა. იმავე წელს, სწორედ იმავე წელს პროფესორმა გვიდოტიმ მასზე  
მოზრდილი წიგნი დაწერა. ხოლო ჩვენ? ღმერთო ჩემო! ხომ გეუბნები: აი, ასე  
შეგვიძლია ქურუმთა ზვიადი გამომეტყველებითა და ამოყორილი მუცლით გვე-  
ძინოს და ხელიდან გავუშვათ ჩვენი მცირე შესაძლებლობანი (ნეტავი ეს მხო-

ლოდ მეტეორებთან დაკავშირებით გვჭირდეს!) ასეთი რამ არც ერთ განვი-  
თარებულ ქვეყანაში არა ხდება!

პო, გუშინწინ დილას იქ რომ მივედი, ლოკაოველი მიხკელის ყანაში, ანეუ-  
ლზე უკვე აღარაფერი ჩანდა. საყანე ივნისის ბოლოს მოეხნა და მხოლოდ სა-  
ყენი სიმაღლის ერთი გაბზარული ლოდი დავინახე, ყანის შუაგულში ეგდო.  
მეტეორი სწორედ მას დასცემოდა. მაგრამ ყველაფერი საოცრად უბრალოდ  
მომხდარა. მე იქ მარტს ვესაუბრე — ლოკაოველი მიხკელის მწყემსს — სწო-  
რედ მას უნახავს ყველაფერი სხვებზე უკეთ. თურმე მარტი ხბორებს მირეკა-  
ვდა შინისკენ... მიდიოდა, რათა ქარბუქს დამალვოდა. უცებ ქვაბის ძირივით ჩა-  
შავებული ღრუბლების მიღმა რაღაც გრიალი, ტკაცუნა და სტვენა გაუგონია.  
და მაშინვე თურმე ისე დაიგრუხუნა, რომ მიხკელი მიწაზე პირქვე დაცემულა.  
იმავე წუთს გამოჩენილა ცეცხლოვანი ბურთიც! ღრუბლები ელვის სისწრაფით  
გამოურღვევია და, თითქოს დაკიდებული ცეცხლის სვეტი ყოფილიყო, გამაყ-  
რუბელი გრუხუნით წამოსულა ლოკაოველი მიხკელის ყანის შუაგულში დაგ-  
დებული უზარმაზარი ლოდისკენ. და მარტისგან ორმოცდაათ ნაბიჯზე უფრო ახ-  
ლოს ათასობით ცეცხლოვან ნამსხვრევად გაბნეულა. ასე რომ მარტის ძროხებს  
ბლავილი აუტეხავთ და შიშით გაგიყებულნი ბუჩქნარში შეცვენილან. ბევრ  
პირუტყვს თურმე ფერდები ისე დაეწვა, სისხლი დასდენიათ. რამდენიმე ხანი  
რომ გასულა, მარტს მხოლოდ მაშინ შეუნიშნავს, თურმე თვითონაც შიშით სა-  
მად მოკუნტული მესერისკენ მიქროდა.

ხოლო ახლომახლო მცხოვრებ ხალხს თავმოყრა რომ გაუბედავს, აღმოუ-  
ჩენიათ, თურმე მიხკელის ლოდის გარშემო მიწაზე ეყარა ქვის მზრჩოლავი ნამ-  
სხვრევები, რომლებსაც გაციების შემდეგ მუქი-მონაცრისფერო და შავი ფერი  
დასდებიათ. მაგრამ თურმე იმდენად ნელა ცივდებოდნენ, რომ მეორე დილასაც  
ყერ ახლებდი ხელს. ესე იგი გავარვარებული ყოფილან. ეს ქვები, ხელს ასე  
ულმერთოდ რომ უფუფქავდათ, გლეხებს წმინდა ქვებად მიუჩნევიან და მა-  
შინვე დაუტაცებიათ. ასე რომ, მხოლოდ დაწვრილებითი გამოკითხვისა და  
ხანგრძლივი ხვეწნა-მუღარის შემდეგ შევძელი მათგან რამდენიმე ეს ქვა მი-  
მელო. მხოლოდ გლეხებს მტკიცე პირობა მივეცი, უკანვე დაგიბრუნებთ და  
შესწავლითა და სინჯის აღებით არ დავაზიანებ-მეთქი. მაგრამ მთლად უამი-  
სოდ მაინც ვერ გავალ. ზოგიერთი მათგანი უნდა გავტეხო. მინდა ნამსხვრევე-  
ბის ზედაპირი გამადიდებელი შუშით დავათვალიერო და შემდგომ ქვები  
გოგირდმჟავაში ჩავუშვა, დაიწყებენ თუ არა მჟავაში დუღილს. მინდა გან-  
ვსაზღვრო მათი კუთრი წონა. და თუკი ზედაპირი ისეთი აქვთ, როგორც გვი-  
დოტი ამბობს, — მარცვლოვანი, ფერფლისფერ-მონაცრისფერო, შავად ან  
მუქმწვანედ დაძარღვული და წერტილებით დაფარული, ან თუნდაც წვრილი  
ბრჭყვიალა ლითონით დაწინწკლული, თუ გოგირდმჟავა აადულა და მათმა  
კუთრმა წონამ ოთხი მთელი და ოთხი მეათასედი შეადგინა — მაშინ ყველა  
დარწმუნდება, რომ იგი ნამდვილი ზეციური ქვა ყოფილა. ისევე მტკიცედ  
ირწმუნებენ, როგორც მე მჯერა.

თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ნამსხვრევების ძიება სასიამოვნო საქ-  
მე გახლდათ, ცხადია, ნაწილობრივ მოსაწყენიც. ჩვენთვის ახალი ამბავი ხომ  
არ არის, რომ მათ ქოხებში წვეარამი სიბნელეა. შმორის სუნითა და კვამლით  
აყროლებული. ხოლო ეს კირვეულობა, რითაც ასეთ რამეზე სასაუბროდ



მისულ კაცს ვიხედებიან, თითქოსდა ყოველთვის ახლდება. რამეთუ პრობსტა ხარ თუ ვინც გინდა სხვა, შენს კითხვაზე პირდაპირ არასოდეს გიბახუხებენ, მხოლოდ შორიდან შემოვლით შეიძლება მიზანს მიაღწიო. მიუხედავად იმისა, რომ ეს კაიავერელი ხალხი, მარიას ეკლესიაში რომ დადის, უკვე უველაფერში მენდობა. და მე მათი სულიერი პასტორიც გახლავართ. დიახ, — მენდობენ იმ გულუბრყვილო ცილისწამების შემდეგაც კი, ამას წინათ აქ რომ გამივრცელეს, — ეშმაკმა უწყის, საიდან მოდის იგი. თუმცა ვიცი, ვისი წყალობაც არის იმ ბარონების საქმეა, ვინაც საძმო თემებს თანაუგრძნობს! ახლა ყველა ფარისე-ვლურად ხითხითებს, ყველაზე მაღალ... ჰმ... პიროვნებათაგან მოყოლებული და იუნკრებით დამთავრებული. და ამ ვიშვიშით ისინი ერთობ უნამუსო საქმეს სჩადიან. სახელი რომ გამიტეხონ, ხმა დამიგდეს, თითქოს ბარონთა ინტერესების დაცვის მიზნით ათი ათას მანეთად „გლებთა წესდებიდან“ რომელიღაც ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გვერდი ამომეგლიჯოს და გერმანული ენიდან არ მეთარგმნოს. რის შედეგადაც თითქოს ჩემი მიზეზით ესტონურ ენაზე გამო-სული „ლიფლანდიელ გლებთა წესდება“ სხვა არაფერი იყოს, თუ არა ცრუ-პენტელა ადამიანის უბადრუკი ნაფარისევლები... მე კი გეტყვით: ამ კანონის გადმოღება ეპოქალური საქმე იყო! მე ესტონელი ხალხისათვის მისი სა-კუთარი ენიდან შევქმენი იურიდიული ენა და ეს ენა პირში ჩავუდე! დიახ! მაგრამ იმასაც გეტყვით, რას წარმოადგენს ეს კანონი რუსეთ-გერმანულ ორი-გინალში: ტკბილ, სიფრიფანა ქერქიდან ყველაზე ვერაგული იეზუიტური სიმ-ძალე იჭვრიტება, რომლის მსგავსიც ჩემს ცხოვრებაში არაფერი მინახავს! ამ კანონით აღიარებული თავისუფლება, მისივე მოთხოვნილებების თანახმად, იმაზე მეტი არაა, რაც ნომინალური გახლავთ. ჩვენ ისლა დაგვრჩენია საიმედოდ რომ დრო ყველაფერს ცვლის. ბიჭები ვაუკაცდებიან და მათი ბავშვობის ყა-ლბი მარგალიტებით მოქარგულ პერანგებს ძონძების ყუთში გადაყრიან, რა-დგან მამაკაცს ისინი არ მოერგება! და მე გეტყვით: რაც უფრო მძიმე იქნე-ბა კანონი, გლებებს რომ შეეხება, მით უფრო ჩქარა მომწიფდება ყველაფერი! დიახ! რაც უნდა ილაქლაქონ გამყიდველმა ნაძირალებმა და ლოთებმა, ხალხი მე მაინც მენდობა. და გლებებმა გირვანქანახევარი ზეციური ქვების ნა-მსხვრევეები მომცეს... უნდა გითხრათ, რომ მათთან საუბარი სასიამოვნოა; ცხა-დია, იმ ტოლჩას, რომლითაც იმ დროს ლუდს წრუბავ, შეიძლება ხრალი არც გაკარებოდეს და ლუდიც არ იყოს საუკეთესო, მაგრამ ისეთი ჰკვიანური საუ-ბარი იციან, გაგიკვირდება. მერე მარტო ეს კი არ არის გასაკვირი. ისინი გულს ახარებენ... მათი ლაპარაკი მოწმობს, რომ გლებები აზროვნებას სწავლო-ბენ. მით უმეტეს, თუკი ამ ლაპარაკში შენს საკუთარ აზრსაც იცნობ... მე და ტინისი კაიავერის უღრან ტყეში მიწაყრილზე ვისხედით და მეტეორის ნამს-ხვრევეებზე ვსაუბრობდით. უცებ ტინისმა პირიდან ყალიონი გამოიღო (შევამ-ჩნიე, რომ ყალიონი სავსებით ჩაიკარგა მის უზარმაზარ მუჭში, ასე გეგონე-ბოდათ, თვითონ ეს მთა ახრჩოლდათ). ტინისმა თავის მუჭს დახედა და მი-თხრა: „აი, ეს ზეციური ქვები... ვიფიქრე, ვიფიქრე... და შეიძლება ისინი სხვა არაფერია, თუ არა ნამსხვრევეები იმ ქვებისა, ცეცხლმფრქვეველი მთები თა-ვიანთი ყელიდან რომ ამოისვრიან, რამდენიმე ხანს ისეთი სისწრაფით დაჰქ-რიან ზეცაში, რომ უკან, მიწაზე ჩამოვარდნისას, ნაპერწკლებს აფრქვევენ...“ ვუსმენდვ და თან ქერელის ყალიონს ვახრჩოლებდი. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მივხვდი, ტინისს წაეკითხა გაზეთ „მაარახვა ნედალალესტში“ ჩემ მიერ

დაბეჭდილი ცეცხლმფრქვეველი მთების ამბავი, არამედ გაცილებით მეტი და-  
 ვინახე: იგი ამქვეყნად არსებულ მისთვის უცხო საგნებზე ფიქრობდა: დაე, თუ-  
 ნდაც არასწორად, მაგრამ სავსებით დამოუკიდებლად! ეს კი იმას ადასტუ-  
 რებს, რასაც დიდი ხნის წინათ ვამბობდი: მიეცი ამ ხალხს, ეგონებოდა, საკვები  
 და იგი სასწაულებს მოიგონებს-მეთქი! რაზეც ნათლად მხატვრობის ამ ხალ-  
 ხის ენა. რამეთუ სხვა რა განსაზღვრავს ენის თავისებურებებს, თუ არა მოლა-  
 პარაქის აზროვნების თავისებურება?! ჩვენი სოფლელი ხალხის ენა კი (ოღონდ  
 ნუ შემეკამათებთ), ყოველ შემთხვევაში გერმანულთან შედარებით, მარტო  
 გაცილებით ლამაზი კი არა, არამედ ბევრად ლაკონური და კონკრეტულია. და  
 უნდა ვაღიარო, რომ მატსოველი ტინისის იმ მსჯელობამ ზეციური ქვების  
 შესახებ ჭეშმარიტად გამახარა. მაშინ რომ ფეხზე ვმდგარიყავ და დამჯდარი  
 არ ვყოფილიყავ, ვიგრძნობდი, სიამოვნებისაგან ჯაყვასავით მოვილუნები  
 ანდა ფეხები მომეკვეთება-მეთქი, როგორც ხანდახან მომდის, როცა განსა-  
 კუთრებულად სასიამოვნო ამბავს გავიგებ ხოლმე. მაგრამ ეს მხოლოდ შეგრ-  
 ძნებაა, სინამდვილეში სავსებით სწორად ვდგავარ...

თუმცა ისევ ჩვენს პასიურობას დავუბრუნდეთ: დიახ, ყველაზე საუკე-  
 თესო ადამიანებსაც კი თითქოს ტყვიის ბაკანი აცვიათ ჩვენში! აიღეთ თუნ-  
 დაც როზენპლენტერი (ზოგი აქ მყოფთაგანი იცნობს მას... ჩვენი ნაცნობობის  
 ათი წლის მანძილზე იგი ერთი-ორჯერ ყოფილა ჩემთან და ამ მაგიდასთან  
 მჯდარა). ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი და წესიერი კაცი, როგორც  
 კი, ჩემდა საბედნიეროდ, ლიფლანდიაში მენახა. ვისაც იდეების ნაკლებობას  
 ვერ შესწამებდი. იგი ბევრ სასარგებლო საქმესაც აკეთებს. აიღეთ თუნდაც  
 „ბეიტრეგე“<sup>1</sup>. რომელსაც, რა თქმა უნდა, არც ერთი თქვენგანი არ კითხუ-  
 ლობს! ჰოდა, როზენპლენტერმა რამდენიმე წლის წინ მომწერა, სტამბა ვიყი-  
 დეო! რომ თვითონ ებეჭდა თავისი „ბეიტრეგე“... ღმერთო ჩემო, ეს ხომ ის  
 გახლავთ, რაზედაც ჯერ კიდევ ვირუ-ნიგულაში ყოფნისას ვოცნებობდი.  
 წყვეულ მბეჭდავეებზე რომ არ ვყოფილიყავი დამოუკიდებელი! ამ უცხვირპი-  
 რო, ცივისსხლიან, თუნდაც შიუნმანის ყაიდის ხალხზე! (დიაახ-დიაახ, პირად  
 ურთიერთობაში იგი დიდებული ვინმეა; დაბადების დღეზე თავის დედიკოს  
 მიაკითხავს და ჰკოცნის, კი, ბატონო. მაგრამ ლიტერატორებისათვის იგი კი-  
 სერზე დასმული წურბელაა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთადერთია...) ერთი სი-  
 ტყვიით, როზენპლენტერს სტამბა ჰქონდა... ღმერთო დიდებულო, რა შესა-  
 ძლებლობა გვეძლეოდა! თავისთავად ცხადია, რომ ეს მხოლოდ „ბეიტრეგე“  
 არ ყოფილა! ეს გახლდათ მთელი ესტონური სიტყვიერება და ყველაფერი,  
 რაც ესტონეთის საქმეებს შეეხებოდა! მე მაშინვე მივწერე როზენპლენტერს  
 პიარნუში, ჩემთან ჩამოდი-მეთქი; და ყველაფერი ავუბსენი, ისე ავუბსენი,  
 ცხადზე ცხადი ყოფილიყო: სტამბა დიდებული საქმეა-მეთქი. მაგრამ ეს საქ-  
 მის დასაწყისი იყო. სტამბის მფლობელი თავისი თავის ნამდვილი ბატონ-  
 პატრონი რომ იქნეს, ქაღალდის წისქვილიც უნდა ააშენოს. სახელდობრ: უნ-  
 და აღმოაჩინოს ისეთი ხალხი, ვისაც ფული აქვს. ასეთები არიან, არა, როგ-

<sup>1</sup>. „ბეიტრეგე“ (განძი ესტონური ენის ზუსტად ცოდნისათვის) ჟურნალი, 1813-1832 წლებში ი. ხ. როზენპლენტერი რომ სცემდა, მასში იბეჭდებოდა სტატიები და მასალები ეს-  
 ტონური ენის ორთოგრაფიის, გრამატიკისა და ლექსიკის შესახებ. ჟურნალში თანამშრომლო-  
 ბდნენ თ. მაზინგი, ა. კნოუპფერი, კ. ი. პეტერსონი და სხვები.

ორც ცნობილია, მე ფული არა მაქვს, ოთხი ათასამდე ვალი მმართვეს. ჰა-ჰა-ჰა-ჰა. დაუჯერებელია, არა? თუმცა, სამწუხაროდ, ეს მართალია. მაგრამ არა-ფერია. ფულიანი ხალხის პოვნაც შეიძლება, ოღონდ ერთი პირობით: შიგ არც ერთი აზნაურიშვილი არ უნდა ერიოს! დაუჯერეთ ზეპირად: გამოცდილებას! რამეთუ ჩვენს კეთილშობილთ უკეთ ვიცნობ, ვბრუნებ ვიღაც ვიღაცის ჯიბეს. არა, არა, იმის თქმა კი არ მინდა, გამონაკლისები არ გვხვდება-მეთქი, ისინი რომ არ არსებობდნენ, ვერც შევძლებდი ამაზე ლაპარაკს ადლებერგის თანდასწრებით! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! და თვითონაც სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ, მაგალითად, დედაჩემი — დაბადებით *von Hildebrandt* — პატროსანი ადამიანი არ ყოფილა-მეთქი, პირიქით, იგი ავადმყოფურად პატროსანი ქალი იყო იმ საკითხებშიც კი, რაზედაც მაშაჩემი ხშირად უბრალოდ ხელს ჩაიქნევდა. მახსოვს (მაშინ ათი წლის ბიჭი ვიყავი), რა მტკიცედ მომთხოვა დედამ მომენანიებინა, ერთხელ ჩვენი მოჯამაგირე იაანის ხეზე ვაშლები რომ დავკრიფე — მას კისტერის ბაღში ჰქონდა გამოყოფილი ერთი ძირი ვაშლი. იძულებული გავხდი კვირა დილას, წირვის დაწყებამდე, წინკარში ქვის იატაკზე სამ საათს ვყოფილიყავი შიშველი მუხლებით დაჩოქილი, კიდევ მეტი: იაანსაც ვეახელი და პატიება ვთხოვე, და შემიძლია ვალიარო, რომ მოჯამაგირე იაანის ეს ანისის ვაშლები ჩემს მეხსიერებასა და მოგონებებში პირდაპირ შეეზარდა სიკეთისა და ბოროტების შეშეცნების ხეს. ეს მოხდა დედაჩემის უკალობით. მაგრამ აი, რა მინდოდა მეთქვა: ჩვენს აზნაურთა წრეებში მისი გამოსობით თუ მაინცდამაინც თავისიანი არა, როგორც იტყვიან, ყოველ შემთხვევაში, აღიარებული პიროვნება მაინც გავხდი. ასე რომ, საკმაოზე მეტი შესაძლებლობა მქონდა ძირფესვიანად გავცნობოდი ამ წრეებს და გამოემერკვია, რა ზნეობის პატრონები იყვნენ. და მე თქვენ გეტყვით: (მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდებული ადამიანებიც ურევია) იქ, სადაც საქმე კორპორაციის გრძნობას შეეხება, ამ ხალხს, ვისაც თავი რაინდებად მოაქვს, ქვეშევრდომებთან ურთიერთობისას ნდობა პირწმინდად უჭრებათ. და მაშინ ირკვევა, რომ ჩვენი *nobilitas* უმრავლესობა სინამდვილეში კაცბორობის არაკეთილშობილი წევრია, ასე რომ, აზნაურები არ მიხსენოთ! გეუბნებით—მხოლოდ შემჩანური წარმომშობის ხალხი! და რაც მთავარია—ქალაქის კარგი ოსტატი. ასეთი ოსტატის პოვნა შეიძლება რიაპინში, რიგაში, მიტავაში, პეტერბურგში. თუ იქ არ აღმოჩნდა, მაშინ ტურკუში. იქ ნაცნობები მყავს, მაშასადამე, ამ საქმეში მე დაგეხმარებით. (ღმერთო ჩემო, მახსოვს, მომავლის სურათებით ისე დავტყბი, რომ მკერდისა და ბარძაყის ქავილი ამიტყდა. ეს იმიტომ შემართება, რომ, როცა ადამიანი გამოცოცხლდება და დაიძაბება, კანქვეშ პატარა კუნთები ეკუმშება და სხეულზე დაყრილი ღინღლი ყალყზე უდგება). ჰო, რა უნდა გადაამუშაოს ქალაქის იმ წისქვილმა? ძონძები, რასაკვირველია, ძონძები, როგორც ქალაქის ყველა წისქვილი ამუშავებს. ღმერთო ჩემო, ძონძების მეტი რა ყრია მთელ ლიფლანდიაში? ახლავე, გეტყვით, რომ მივიღებთ იმდენ ძონძს, კი არ მიგვაკლდეს. თავზე საყრელადაც გვქონდეს. არა, საამისოდ ამერიკის ხელახლა აღმოჩენა არ დაგვჭირდება. ჩვენ სხვებისგან დიდი ომის წინ უკვე შემოწმებულ სიბრძნეს გამოვიყენებთ. მაგალითად, ევროპის ყველა ნავსადგურის ვაჭართა მიერ შემოწმებულ სიბრძნეს, ვინაც გვინებაში ძალიან მდიდრდება. საჭირო რაოდენობით მოვიმარაგებთ მძივებსა და პატარა სარკეებს. პროვინციულ პასტორატებსა და კისტერთა სახლებს დავივლით.

საქმეში პრობსტა ცოლებსა და კისტერთა ქალბატონებს ჩავაბამთ. ამ მანდილოსნებს უამრავი დრო აქვთ, რომ ყავას უსხდნენ და ენა ატარტარონ. როგორც ეს აზლა აქაც ჩანს. Cara mia, ხომ ასეა? ხოლმან, ალბათ არც შენი სოფი იტყვის უარს სოფლელ ქალებთან გასაუბრებაზე (თქვენ ტომ-ქაინც სულ იმათთანა გაქვთ საქმე), აბა ერთი ნახეთ, როგორ ლაპლაპებენ! ბრკყვიან-ლებენ-თქო ეს მძივები, თქვენ მათ მიიღებთ, ვთქვათ, თხუთმეტი გირვანქის ღირებულების ქსელის, კანაფისა და ყველა სხვა სახის ძონძეულის საფასურად, რომ არაფერი ვთქვათ ბამბის ძონძეებზე. აბა, ერთი ამ სარკეში ჩაიხედეთ, ყველანი ლამაზები გამოჩნდებით-თქო, შიგ არა ნაკლი არა ჩანს — ამას ოცდაათ გირვანქად ღირებულ ძონძეებში მიიღებთ. ანდა კიდევ, მე თქვენ გეტყვით, როზენპლენტერის სტამბაში მინდვრის სამუშაოთა დაახლოებით ოთხი ათას ცალ პატარა-პატარა კალენდრებს დავბეჭდავთ. მათში აღნიშნული იქნება მინდვრის ყოველი სამუშაოს დაწყება-დამთავრება, თესლისა და საქონლის ზრდის ბუნებრივი ნიშნები, პირუტყვის გამრავლება და მისი დაავადებანი, სამკურნალო ბალახთა თვისებები, ამინდის ნიშნები და წინასწარმეტყველებანი. კალენდრებს ჩვენს ძვირფას კოლეგებს დავუგზავნით და ისინი, მორჩებიან თუ არა წირვას, მრევლს იმწამსვე აუწყებენ კათედრიდან: ყველა ოჯახის პატრონს უნდა ჰქონდეს მინდვრის სამუშაოთა ბრძნული წიგნი. მასში ესა და ეს არის მოთხრობილი, პასტორატში მოტანილი. ორმოც გირვანქად ღირებული ძონძეების ფასად! და მე თქვენ გეტყვით, რომ ჩვენ შეიძლება ძონძეები თავზე საყრელად მოვაგროვოთ! უმთავრესი კი უკვე დიდი ხანია ნაანგარიშევი მაქვს: ჩვენ მიერვე გამოშვებულ ქალაქზე ბეჭდვას რომ დავიწყებთ, ნაბეჭდი პროდუქცია საშუალოდ ორმოცდაექვსი პროცენტით იაფი დაგვიჯდება, ვინემ ჩვენი ახლანდელი მყვლეფავეების პროდუქცია. როზენპლენტერმა ყველაფერი გაიგო, იგი ყველაფერს იგებს. მიხვდა, რომ ჩემი იდეა ჩვენს ქალაქის წისქვილს ნედლეულის განუსაზღვრელი მარაგის გარანტიას აძლევს, და რომ, სხვათა შორის, ამის საშუალებით ჩვენ შეგვეძლებოდა ერთობ ხელსაყრელ ფასებში მოგვემარაგებინა ქალაქის სხვა წისქვილები. მაგრამ მან მხოლოდ თავაზიანი მადლობა გადამიხადა, კარას ხელზე ეამბორა, დაგვემშვიდობა და ისევ პიარნუში გაემგზავრა. ერთი თვის შემდეგ კი მაცნობა, სამწუხაროდ, სტამბის გახსნის ნება არ დამრთესო... მაგრამ, ერთი მითხარით, როდის და სად ყოფილა, რომ ჩვენს კურთხეულ ლიფლანდიაში პირველი ცდისთანავე დაერთოთ რაიმის ნება?! და იმის სანაცვლოდ, რომ ამ საქმეს მთელი ძალით მოჰკიდებოდნენ და მოქმედება დაეწყო, ამის ნაცვლად, ამ ძვირფასმა ადამიანმა — როზენპლენტერმა, ღიმილით დაიკრიფა გულხელი! და ეშმაკმა უწყის, ვის მიჰყიდა თავისი სტამბა. მაშ რა უნდა ექნათ?! გეტყვით: უნდა ემოქმედა! არზა არზაზე ეწერა! ხუთი, ათი, ოცი არზა დაეწერა. გენერალ-გუბერნატორის, საცენზურო კომიტეტის, მინისტრებისათვის მიემართა. განა ცოტანი არიან ისეთები, ვინც ამგვარ საკითხებს წყვეტს! თვითონ უნდა ხლებოდა ამ ვაუბატონებს! უნდა დაესაბუთებინა, სახეზე გულუბრყვილო ღიმილი აეკრა, ქათინაურებად დაღვრილიყო, ინტერესი გაეღვივებინა (ღიახ-ღიახ-ღიახ: ეს საქმის ინტერესებისათვის იყო საჭირო!) უკან დაეხია, ისევ იერიშზე გადასულიყო და დაეთანხმებინა! ღმერთო ჩემო, განა მე მთელი ექვსი წელიწადი არ ვიტანჯებოდი, რომ გაზეთის გამოშვების ნებართვა მიმეღო! ექვსი წელიწადი! ტარტუდან რიგაში, რიგიდან პეტერბურგში, პეტერბურგიდან ტარტუში! ბორბალზე მყოფ

ციყვივით ვტრიალებდი... მაგრამ ჩემი გაზეთი არსებობს. გაზეთი გამოდის! **Cara mia**, ერთი ფინჯანიც დამისხი... მე თქვენ გეტყვით: ყავის სმა კარგი დროსტარებაა, მაგრამ შეიძლება ცოდვადაც იქცეს.. შენ როგორა თქვე, აღ-  
 ლერბერგ? გაზეთი გამოსვლით კი გამოდის, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დიდხანს ვერ იარსებოს, თუ სიმართლის თქმას შეეცადათ.

ძვირფასო, სიმართლე მხოლოდ საკუთარი შემეცნებით შეიძლება მოხდეს. და შინ სასაუბროდ, მაგიდას რომ უზიხარ და ყავას მიირთმევ, ისიც იმ შემთ-  
 ხვევაში, თუკი დამსწრეთ შეუძლიათ ენას კბილი დააჭირონ. მაგრამ სიმართ-  
 ლეც, ისევე როგორც ყავის სმა, შეიძლება ცოდვად იქცეს. ნუ ლელავ, ჩემთვის  
 ეს ცნობილი ამბავია. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა... რამეთუ, რაც შეეხება სიმართლეს,  
 ღვთის წყალობით, ძალზე ადრე მასწავლეს ჭკუა.

ოცდაშვიდი წლის ყმაწვილი, ღარიბი კისტერიის შვილი, ლიუგანუსის ეკ-  
 ლესიაში უკვე ორი წლის ნამსახური ვიყავი... მდგომარეობაც ნორმალური  
 მქონდა, ევროპაში ნამყოფი, უნივერსიტეტდამთავრებული, ცნობილ ფილოსო-  
 ფოსებს თანატოლივით რომ ვუზიარებდი საკუთარ აზრებს, ფეხზე მაგრად ვი-  
 დექი. ჩემს მრევლსა და უფალს შორის ვშუამდგომლობდი... ჰა-ჰა-ჰა-ჰაა! ასე  
 მგონია, მაშინდელზე ჭკვიანი არასოდეს ვყოფილვარ... რის თქმა ინება ბატო-  
 ნმა ვექილმა? უკვე მაშინ თავი ღმერთად უნდა მიგეჩნიათო. მართალია, მარ-  
 თალი! ვთქვათ, პატარა ღმერთად. სულიერად და გონებრივად იმ მდგომარე-  
 თბაში მყოფი ვწერდი კონსისტორიისათვის ოთხმოცდაცხრა წლის შემორიალს.  
 ცნობილია, რა დრო იდგა იმ წლებში: საფრანგეთში თავიანთ ხელმწიფეს კვერ-  
 ცხები მოუჭეპყეს. ის-ის იყო გამოცხადდა ადამიანთა უფლებების დეკლარა-  
 ცია... არც ლიფლანდიის, არც რუსეთის და არც პრუსიის გაზეთები, როგორც  
 ყოველთვის, ამჯერადაც მნიშვნელოვანს არაფერს წერდნენ, რა ხდებოდა ქვე-  
 ყანაზე... მაგრამ ხალხი ხომ მაინც დადიოდა საზღვარგარეთ და თუ ჩემოდნე-  
 ბით არა, თავით მაინც გადმოჰქონდათ საზღვარს აქეთ ზოგი რამ. ასე რომ,  
 აზნაურთა მამულებსა და ტალინის პროვინციალური სინოდის კულუარებში ბე-  
 ვრი რამის წაკითხვა და გაგონება შეიძლებოდა იმ ამბების შესახებ (რომ  
 არაფერი ვთქვათ ტალინის მასონთა ლოჟაზე — მე სწორედ მაშინ გავხდი  
 მისი წევრი). სწორედ იმ დროს, როცა პარიზელებმა თავიანთი ბასტილია ნა-  
 ცარტუტად აქცოეს, რომ მისი სახსენებელიც აღარ დარჩენილიყო, — სწორედ  
 იმ დროს ჩემს ლიუგანუსში ვფიქრობდი: მე რაღა უნდა გავანადგურო, რომ  
 მისი სახსენებელი არ დარჩეს-მეთქი, მაგრამ ჯერ ხომ იგი ყველას გარკვევით  
 უნდა დაენახა... და ჩემს შემორიალში დავწერე, ცხადია, სრული სიმართლე  
 არა, ვთქვათ — ნახევარი სიმართლე ან მეოთხედი მაინც. კარგად მახსოვს, რო-  
 გორი აღფრთოვანებით, რა გატაცებით ვწერდი იმ თხზულებას (არ უარვყოფ,  
 რომ ამ დროს რაღაც სიხარულის მომგვრელ ურცხვობას ვგრძნობდი და ვფი-  
 ქრობდი: რა უნდა მიყონ ახალგაზრდა კაცს, პატივისცემით რომ ვსარგებლობ,  
 აქ პასტორად დანიშნულს, აზნაურიშვილს, ვინც წმინდა სიმართლეს ვწერ-  
 მეთქი!)... ჩემი უბადრუკი ოთახის ფანჯრის მიღმა თვალწარმტაცად ბარდნიდა  
 საახალწლო თოვლი, ვხედავდი მიწის პატარა ნაგლეჯს, რამდენიმე სოფლის  
 ცხენების რემისა და ნახირის მიერ გათელილს (ამ მიწის გამო თემს ვედავე-  
 ბოდი, რამეთუ ვთხოვდი, გზა სხვა ადგილზე გადაიტანეთ-მეთქი). ეს უმოწყა-  
 ლოდ გადათქერილი, დაღნიოშებული, მტვრად ქცეული, ბელტებისა და ცხენის  
 ნეხვით დაფარული მიწა თანდათანობით იფარებოდა თოვლის თეთრი სამოსით.

ფანჯარაში გავიხედე, ქალაქის თეთრი ფურცელი მაგიდაზე დავდე, ხელში კალამი ავიღე და საკუთარ თავს ვუთხარი: აქ ამ მიწის უბედობასაც, გავაშიშვლებ, რამეთუ მისთვის ხსნის სხვა გზა არ არსებობს-მეთქი... დიახ, სიმართლის მხოლოდ მეოთხედი დავწერე. ასე იყო თუ ისე, ყველაფერი რაღაც მრევლზე მქონდა ნათქვამი, მთელ ქვეყანას შეეხებოდა: რომ პასტორმა მისი მხარე ჩვენი სოფლის ხალხის თვალში უფალი ღმერთი ტირანად აქცია, რომ ყოველ-ღლიური ცხოვრება სოფლელ ხალხს საფუძველს აძლევს ნეტარება ისე გაიგოს, თითქოს იგი უზრუნველი და უჭირვეულო არსებობა იყოს, რაც მხოლოდ გერმანელებისთვისაა მისაწვდომი, რომ სასოფლო სკოლები მხოლოდ სახელადაა და არა განათლების მისაღებად, სარგებლობის მოსატანად, რისთვისაც უნდა არსებობდნენ და რომ სიბილწისა და ლოთობის მიზეზები საესებით ცხადია. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არ მოიძვევება ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამაზე აშკარა ლაპარაკი. და თუმცა სოფლელი ხალხი ქურდობაში მართლა მონაწილეობს, ღვთის წყალობით, გლეხები ერთმანეთს ძალზე იშვიათად თუ მოჰპარავენ რამეს, მაშინ როცა მემამულეთა გაქურდება მათ ყოველ-ღლიურ საქმიანობას წარმოადგენს. რამეთუ მათი საერთო აზრით, მემამულე თვითონ ძარცვავს გლეხებს და მისი ქონება კანონით გლეხობას ეკუთვნის... მაგრამ როცა აზრად მომივიდა, ჩემი მრევლიდან რამდენიმე მემამულე ტირანად და არაადამიანად გამომეცხადებინა, მივხვდი, რომ უკვე რამდენადმე გადავაჭარბე... და მე მხოლოდ ერთი სხვა მრევლში გადასახლებული ბატონი მოვიხსენიე და მტარვალნი ვუწოდე. თუმცა ყოველი შემთხვევისათვის იქვე დავსძინე, რომ ის, ვისაც მისი მამული დარჩა, გლეხებს ერთობ მოწყალედ ეპყრობა-მეთქი. მაგრამ ჩემმა ეშმაკობამ სულაც ვერ მიშველა.

დიახ, ერთი თვის შემდეგ მაგიდაზე კონსისტორიიდან მიღებული პასუხი მედო. მათ თითქოს დიდხანს უმსჯელიათ, ხომ არ დაევალებინათ პოლიციისათვის ამ ჩემი შემზარავი წერილის გამო ქვეყნიდან გაეცხადებინე... თუ ეპატრიებინათ... და ეს ჩემი წერილი ახალგაზრდა კაცის პირველ (აღშფოთებულთ ამის იმედიც ჰქონიათ) და უკანასკნელ სისულელედ მიეჩნიათ. ბოლოს და ბოლოს გადაუწყვეტიათ, მამობრივი მზრუნველობა გამოეჩინათ და ამ ორი შესაძლებლობიდან მეორე აერჩიათ. მაგრამ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ წერილობით ვამცნობდი, რომ მომავალში უარს ვიტყოდი ყოველგვარ პირად რეზონიორობაზე კათედრიდან ქადაგებებსა თუ მემორიალებში.

მხრებზე ქურქი მოვიგდე და პაერზე გამოვედი. ამგვარ შემთხვევებში აუცილებლად უნდა გავიარო. ეზო გარეგნულად სავსებით მშვიდი ნაბიჯებით გადავიარე, რადგან სახლიდან და გომურიდან შეეძლოთ დაენახათ, როგორც მივდიოდი.

(...არა, აქ მე ამ ამბავს არავის ვეტყვი — რამეთუ სიმართლე მხოლოდ საკუთარი ცნობიერებისათვის არსებობს — თუმცა მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა... თოვლით დაფარულ ნაძვნარში შევედი, შევჩერდი და ჩექმიან ფეხს მანამ ვურტყავდი ნამქერს, სანამ გაყინულ მიწამდე არ ჩავალწიე და თითებიდან მოყოლებული მუხლამდე არ მეტკინა ფეხი. ვკოჭლობდი, მაგრამ თოვლში მაინც ჩიქურ გავაბოტე. ტოტები თვალში მესობოდა. თოვლი სახეში მცემდა, საყელოში მიცვიოდა, რადგან წელში არ ვიხრებოდი. ფიქრი ტვინს მიბურღავდა... მაგრამ აქ, ღმერთო ჩემო... ყოველ შემთხვევაში, აქ მაინც არა, გამოსაჩენ ადგილზე ტყეში! მახსოვს, რომ მიწოდდა მეყვირა, მეღ-

რიალა, მებღვინა — თუ არ ვიცი, კიდევ როგორ მეხმაურა, ამავე დროს კი იმის შიში მაკავებდა, ვინმეს სულელი არ ვეგონო-მეთქი. მაგრამ სრულ თავშეკავებას მაინც ვერ ვახერხებდი. ასე რომ, ყოველ ხუთ თუ <sup>ნაბიჯზე</sup> მართლაც ვიღებდი ხმას. როგორც ჩანდა ხან ხდებდა ხოლმე, როცა არაქათგამოცლილი მუხლამდე ტალახში მიაბიჯებ... ჰმ... ჰმ... თითქოს <sup>სუნთქვა</sup> <sup>გმონვა</sup> აღმოძვდა, (რის გმინვა, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა!) <sup>რაც</sup> <sup>ბღვინის</sup> მაგვარი. მახსოვს, თითქოს ჰაერი არ მყოფნიდა და სუნთქვა არ შემეძლო... შემდეგ ისევ უეცრად შეეჩერდი... თითქოს ჩემი სხეული დავტოვე და საკუთარი კუბოს მინის სახურავქვეშ შევალწიე, ზედ შევდექი და კარგა შემალღებულიდან ჩემს მეორე მეს დავაცქერდი. და ჩემთვის ვთქვი: უაზრობაა განაწყენებულის თამაში. ვის წინაშე ტაკიმასხარაობ? ვის სჭირდება ეს? შენ თავიდანვე უწყოდდი, რომ სხვანაირი პასუხი არც იყო მოსალოდნელი, იცოდი, რომ საზღვრის ბოლო წერტილამდე მიაღწიე: ახლა კი სიბრაზისგან ყელი გულში გებჯინება, რომ ტაშს კი არ ვიკრავენ („აი, ნამდვილი სიმართლის მოყვარული კაცი, ჩვენ მას წაებაძავთ!“ ჰა-ჰა-ჰა-ჰაა!), არამედ გემუქრებიან! რისი გულისთვის ებრძვი მათ? ახლა ან არასოდეს გაუგზავნე მოკლე წერილი. უთხარი, რასაც ფიქრობ: მათ მოთხოვნასა და პირადად მათზე. ეს იქნება პირადი, მაგრამ უკანასკნელი რეზონიურობა (მათ ჭკუამოკლებობაზე, გონებაჩლუნგობაზე, ფარისევლობაზე, ყველაფერზე!) შემდგომ კი ჩამოიფერთხე აქაური მტვერი ფერხთაგან! საკუთარი კუბოს მინის სახურავზე ვიდექი (დიახ, სწორედ ასეთი წარმოდგენა მქონდა) და ერთბაშად ვიგრძენი, რა ბევრი ჰაერი იყო ირგვლივ, საამო, გრილი და სუფთა ჰაერი! იმდენად ბევრი, რომ სუნთქვაც კი შემეკრა, მაგრამ ამ დროს პირი ვიბრუნე ლიუგანუსის ეკლესიის სასააცილო, მრგვალი გუმბათისკენ, ტყის თავზე, მეჩხერი კორომის მიღმა რომ ქათქათებდა. ფანჯრის ჭრილებზე ფქვილივით მიყრილი თოვლის ნამქერი მოჩანდა. და იმავე წამს (ყოველ შემთხვევაში ახლა ასე მგონია) ეკლესიის გუმბათზე ზარებმა შექნეს რეკვა. და მივხვდი, რომ ეს ძველი ეკლესია თავისი უზარმაზარი კედლებითა და თალებით, სადაც მე ფეხზე დავდექი, მუხის დაბზარული კათედრა, მტვრის მწკლარტე სუნი რომ ასდის, რომლის მოაჯირსაც ხელისგულებით ვეყრდნობოდი, ჩალისსახურავიანი ჩემი სახლი, ჩემი ბოსლები, პასტორატში ჩემი ბუდეები, ეს დათოვლილი ველები, სადაც ზარების რეკვა გაისმის, დაბლა, ჩემი კათედრის წინ მდგომი ამ ქვეყნის ხალხის გამხდარი, ბავშვურად გულუბრყვილო სახეები — ღმერთო ჩემო, ეს სახეები ხომ მამის მხრივ მენათესავეებიან... დიახ, და ისინი... ყველანი, ყველანი, გარდა იმისა, რომ მენათესავეებიან, ჩემთვის ძალზე ძვირფასნი არიან, ძალზე ძვირი დამიჯდება, რომ ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს მივატოვო მოჩვენებითი, დაეთუნდაც ნამდვილი თავისუფლებისათვის... ძალზე ძვირი დამიჯდება! რამეთუ სინამდვილეში თვითონა ვარ უსუსური, სავსებით გატიტვლებული, სამოს-შემოფლეთილი...)

...დიახ, ეს ასე იყო. სწორედ ასე. მთელ საათს დავდიოდი ტყეში და გადაწყვიტე, ვერა, ვერ გავბედავ საკუთარი ქედმაღლობისათვის გავწირო ეს ბედკრული ქვეყანა და მისი ხალხი! თუკი განზრახული მქონდა (დაე, თუნდაც ამ ხალხს არ ვეკუთვნოდე) ჩემი შრომა მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ ხალხისათვის შემეწირა. და გარდა ამისა, — კონსისტორიულ ბატონებს თვითონაც მოეხსენებათ, რომ დამეფიცებინა, რეზონიურობაზე ხელს ავიღებ-მეთქი,

ეს იგივე იქნებოდა, რაც ფიცის დადება: ბატონებო, ვემორჩილები თქვენს ნება-სურვილს, ხვალიდან ვიცხოვრებ, მაგრამ აღარ ვისუნთქავ-მეტქვამ და საერთოდ, მე ხომ ლოხუსუღუში ვარ დაბადებული!.. რას მეკითხები, ბატონო ვეჭილო? ოპ, შენ მეუბნები, მთელი შენი ცხოვრების შრომა რატომ თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწყეო? გაჩუმდი! დიაახ! მე ლოხუსუღუში <sup>სწავლობდი</sup> მინდოდა მეტქვა, ლა-მანჩაში კი არ დავბადებულვარ, ლა-მანჩაში-მეტქვამ <sup>ვა-ვა-ვა-ვა!</sup>

თუმცა ამჯერად კმარა. ძვირფასო სტუმრებო, ისე მოიქეცი, თითქოს შინ იყოთ. მეც ნება მიბოძეთ, ისე ვიგრძნო თავი, თითქოს შინ ვიმყოფებოდე. ეს ნიშნავს, რომ თავს უფლებას არ მივცემ სხვებს ხელი შევეუშალო. ისაუბრეთ, ისეირნეთ, კრიფეთ ყვავილები. თუ დღეს გაწვიმდა, დიდი წვიმა მაინც არ იქნება. ქერის ყანის პირზე შეიძლება ოქროსლილა დაკრიფოთ. ანდა ტბაზე ისეირნოთ. ნავეები საგუბარშია. ორი მწვანე ნავი გამოიყვანეთ, საღებავი უკვე შეაშრათ. ოღონდ მეთევზეებთან ძალზე ახლოს ნუ მიცურდებით. ასე. გოგონებო! ანეტე, კაროლინა! დღეს ვიოლინოს გაკვეთილი არ გექნებათ. არ მეცლება. თვითონ ივარჯიშეთ. შემდგომი ეტიუდები შეისწავლეთ. ხვალ გავიმეორებთ. ახლა კი მინდა წავიდე, ჩემი ზეციური ქვა მუავაში ჩავუშვა და ვნახო, რა მოხდება. თუმცა წინასწარვე ვიცი, რაც იცით რა, თურმე იგი კომპასის ისრებზე მოქმედებს! უკვე შევამოწმე ჯიბის კომპასით. მისი რკინის ბრჭყვიალაწინწკლებიანი მარცვლოვანი სტრუქტურის ბრალია... *Cara mia*, შენ ჩემს რწმენას უკრავ ტაშს?! გმადლობ, გმადლობ! შენ ამას ყოველდღიურად როდი სჩადიხარ... თუმცა უნდა ვთქვა, რომ შესანიშნავი ცოლი ხარ (ყურადღებიანი, მომჭირნე, ლამპაც კი ჩააქრობინე, ეგ მართალია...) კი მაგრამ, რა არის, რომ ყველანი კარს მისჩერებიხართ?

ბიჭოს... ეს ის უცნაური ახალგაზრდა კაცია? ნეტავ რა უნდა? მოიცათ, მოიცათ, მე ვიცნობ მას. ჩვენ ერთმანეთს მიმდინარე წლის თებერვალში რიგაში შევხვდით! ბატონი პეტერსონი გახლავთ — ხომ მართალია? რა მოგივიდათ, ავად ხომ არა ხართ?

აი, ახლა, ამ დილით — ეს ჭაბუკი ჩემი სასადილო ოთახის ზღურბლზე...

8.

რიგაში ვერაფერმა დამაკავა...

ქამარი უნდა შემოვირტყა, ხელში ჯოხი ავიღო და გზას გავუდგე. სანამ ყვავილები საბოლოოდ დატკნებოდეს და ფოთლები დაცვივდებოდეს. სანამ იაკობის გუმბათზე ჭკები თავს მოიყრიდნენ. სანამ ზამთარი თეთრ საბურველში გაახვევდეს ყველაფერს. იქით უნდა წავიდე. იმ გზას გავყვე, რომლის უდიდეს ნაწილსაც კარგად ვიცნობ. აი, ამ ოცი ვერსის ჩაუთვლელად.

უცნაური კია, რატომ მიჭირს მათი გავლა...

მამა გრავე მეუბნება: თავს გაუფრთხილდიო... ღმერთო ჩემო, რა თავმომაბეზრებელ ამბებს არ მიყვება. ხომ საყვარელი მოხუცია, მაგრამ ფილისტერია ჭეშმარიტად!.. მაინც რატომ მომაქვს თავი ამ შავი ხიფთნით? ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეორე მთლად გამეცვითა. მეორეც იმიტომ, რომ თქვენისთანები აღვაშფოთო (თქვენისთანები რა სათქმელია, უფრო უარესები, ნამდვილი სულელები!). რატომ?! ისე, ტყუილუბრალოდ... არა, იმიტომ კი არა, რომ ისინი უკეთესები გახდნენ... არამედ, რომ ვაჩვენო: შეიძლება



სხვანაირიც იყოთ, აუცილებელი არ არის, ისეთები იყოთ, როგორც თქვენა ხართ-მეთქი. საბიჯგი ჯოხისა და ხავერდის ფილეტის გარეშე შეიძლება არსებობა. ამის ნაცვლად ათფუნტიანი ენქერიც გამოდგება. ასეც შეიძლება ერთი სიტყვით. შეიძლება ადამიანი სხვანაირიც იყოს. ამქვეყნად გაჩენაც სხვანაირად შეიძლება და არა ისე, როგორც თქვენ ჩნდებოდით. მაშინში ან ბიურგერის სახლში კი არა, არამედ უბრალო ქოხშიაც... რატომ არ შეიძლება ეგ ქერა თმა უფრო მოკლედ შეიკრიჭო?! მხრებამდე გწვდება... სად გინახავს კაცს ამოდენა თმა ჰქონდეს! თუმცა გლებობის ნახევარს ასეთი თმა აქვს. ანგელოზების ნახევარსაც! აბა ერთი საკურთხევლის ნახატები დაათვალიერეთ! თავად იესო ქრისტესაც ასეთი თმა აქვს! ალბათ მალე მოძიწევდა მასთან გამგზავრება, ლუდის სმა რომ გამეგრძელებინა...

იქ, პუხტალევევის სამიკიტნოში ლუდი არცთუ ისე ცუდი იყო. და დიდებულად შემახურა დილას. მით უმეტეს ცარიელ კუჭზე, საბძელში გატარებული ღამის შემდეგ. პუხტალევევლმა მიკიტანმა ვერ მიცნო. სამაგიეროდ მე უცებ ვიცანი. გამახსენდა შარშან რიგელ და ლიფლანდიელ სტუდენტებთან ერთად გამართული მხიარული ქეიფები. ეს სულ მაშინდელი ამბავია, ფუქსის რომ გავხდი.

...დამთავრდა ჩემი უნივერსიტეტში სწავლის დრო... მაგრამ ეს იმად არცა ღირს. გული რომ დაგწყდეს. როგორც გუშინ მითხრეს ტარტუში, ერთადერთი ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, პროფესორი ხეცელი, ვისი სმენაც ღირდა. უკვე მოუნებლებიათ, რადგან თურმე ცდილა რელიგიაზეც ეთქვა გონიერი სიტყვა. ახლანდელ დროს კი კაცმა ეს არ უნდა გაბედოს! საერთოდ კი რა არის ამ საქმეში ისეთი, რომ სიმართლის ასე სულელურად ეშინოდეთ?! და რამდენადაც მალლა დგახარ, სიმართლე მით უფრო ღრმად უნდა გქონდეს გულში ჩამალული... აი, თუნდაც ბებერი მამა გრავე ავიღოთ: როცა საქმე პეტერბურგელ შემმოწმებელთან აქვს, ელეთმელეთი მოხდის... პირიდან მაინც იმგვარი წუწუბი და ნერწყვი სდის, როგორც ისინი მოელიან. ეს იმის სანაცვლოდ, რომ საღვთო წერილზე გონივრულად იმსჯელოს, როგორც ამას თვითონ ისურვებდა... ახლა ბატონი ზონტაგი! თვით ბატონი სუპერინტენდანიტი... თეოდორი ბევრს ლაპარაკობდა თავისი მამობილის უბედობაზე... ახლა ჩვენ ერთმანეთს აღარ ვხვდებით... ახლა, სამწუხაროდ, უძლური პიროვნება ვარ. თეოდორი კი ლიფლანდიის საეკლესიო წარჩინებული პირის შვილია. ჯერ კიდევ შარშან კი ჩემი მეგობარი იყო. ისეთი ბიჭია, მოსვლისთანავე აღიარა, მხოლოდ იმიტომ კი არ მოვსულვარ, მეგობარი შენახულეზინა, არამედ ჯაშუშობაც ვიკისრე, რადგან ჩემს მამობილს ასე სურდაო... ყველაფერი წამაკითხა, რაც კი ეცნობებინა მისთვის ჩემ შესახებ... ჰა-ჰა-ჰა! პატიოსნად, მაგრამ მაინც მეგობრულად დაუწერია: სვამს, თუმცა უფრო ზომიერად, ვინემ წინა სემესტრში, შეუძლია ორჯერ მეტი იმეცადინოს. მაგრამ მაინც ორჯერ მეტს ასწრებს. ვინემ სხვა ყველა ერთად აღებული. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ შეიძლება სტიპენდია მომავალშიაც გავგზავნოსო...

იქი მაგრამ, როგორ გინდა იხსნა თავი პირველ სემესტრში ღრეობისაგან! უკვე შეხარხოშებული მეგობრები შენს კარ-ფანჯარაში მოძვრებიან... თვა-

1 ახალბედა, პირველი კურსის სტუდენტი. კორპორაციის წევრი (გერმ.).

ლები უელავთ, ლოყებზე ცეცხლი წაჰკიდებიან, კედლიდან კედელს ეხლება სენტენციები და რეპლიკები, ერთნაირად დულს გონება და ლოყები, ხოლო წუთით სიწყნარე რომ დამყარდება, სუნთქვა გვეკვრის ტომებს ფერდობიდან გადმოდვრილი ცაცხვის საგაზაფხულო სურნელებია განსვენებული მოჭუტე და ცაცხვის ვარჯებში ყურადღებით გახედე მთავრად მთავრად ისიც მოხდეს, რომ მართლაც დაინახო ბიბლიოთეკის წითელ კედლებთან თეთრ სამოსში გამოწყობილი მოცეკვავე მუზები! ტაკატუცი გააქვს ბოთლის საცობებს. ბახ... ვილაცამ ბატონ ანდერსის აივანზე ხმლით ჩაღეწა მინა — შემთხვევით თუ უწყესობით — თვითონ ეშმაკიც ვერ გაარკვევს! თუმცა ეს არავითარ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს. რამეთუ ბატონი ანდერსი (ბინის პატრონი და მორგენშტერნის ბიბლიოთეკარი, გულით და სულით ძველი ბურშელი<sup>1</sup>) ჩვენს საზოგადოებაში თვითონაც ისე ერთობოდა, რომ ცა ქუდად მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად... ისმის ათი კაცის მჭექარე თუ ჩახლეჩილი ხმა... ღია ფანჯარაში ბატონ ანდერსის მელოტი, პრიალა თავი მოჩანს — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად მეორე მზე გეგონება, ოღონდ იმის დამატებით, რომ ეს-ესაა ტომების ცაცხვებს გადაღმა დაეშვებაო... ათი მჭექარე თუ ჩახლეჩილი ხმა კი ისევ მღერის... გაუმარჯოს გოგოებს! იქნებ გეგონოთ, სულაც იმის გამო ვსვამდე, რომ... ვგოგნობ, გული როგორ მეყინება... შეიძლება იფიქროთ, იმიტომ ვსვამდე, რომ გოგოებთან... დიახ-დიახ-დიახ, — თავისთავად ცხადია, რომ ნაკლები უნდა ვსვა, მაგრამ ტოლჩა ლუდი ან ერთი ყლუპი ღვინო მამაკაცს რას დააკლებს. განა ვერ დავამტკიცე, რომ მართლაც, თუკი მომესურვება, ამ ღრეობათა მონა არ გავზდები-მეთქი! ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ტერციაში, ჩემი ცხოვრების მიზნად მისიონერობა რომ დავისახე, და ჩემივე სურვილით ლუდსა და ღვინოს სათოფედაც არ ვეკარებოდი, და საერთოდ, მხოლოდ პურის ქერქსა და ლადარში შემწვარ ბოლოკის ნაფცქვენს ვჭამდი, ზედ კი ჭის ცივ წყალს ვაყოლებდი, ასე გრძელდებოდა თვეობით. ეს იმიტომ, რომ არჩეული პროფესიის გულისათვის სპარტანულად მცირედითაც დავკმაყოფილებულიყავ... შეიძლება უფრო იმიტომაც ვსვამ, რომ არა მსურს გოგოებს ისე უხამსად მოვექცე, როგორც ჩემი თანამეინახენი ხშირად ექცევიან?! იქნებ იმიტომ, რომ ერთხელ მაინც მინდა მათ უხამსად მოვექცე?! ღმერთო ჩემო, მე ხომ არც კი ვიცი, რა არის ეს...

მომკილ ყანაში ტბიდან ქარმა დაუბერა და შემადგაგა... ახლა უფრო მცივა, ვინემ გაყინულ ღვინაში ბანაობისას. უბრალოდ სიცივეა, ეგერ იქ, ნაძვების კენწეროებს მიღმა, შემოდგომის ვარდისფერი ცის ფონზე, ეკისის ეკლესიის გუმბათი მოჩანს. გუმბათი დიდი სამკვდლო ლურსმანივით წვერმახვილია.

დიახ... ტარტუში უბრალოდ დავებეტებოდი, რომ ნაცნობი ადგილები კიდევ ერთხელ მომენახულებინა, რამეთუ რიგაში არაფერი მაკავენს. ჰოდა, მადლობა ღმერთს! ის რამდენიმე ყუყუჩი გიმნაზიელი, ვისგანაც არსობის პურის საფასურს ვიღებ, რადგან ბერძნულსა და ლათინურში ვამეცადინებ, (რა თქა უნდა, უშედევოდ), ეს ჭლექიანი თეოლოგი, ავადმყოფობის გამო რომ მიუტოვებია სამსახური და ჩემთან ძველ ებრაულ ენას სწავლობს, და

<sup>1</sup> კორპორაციის წევრი სტუდენტი (გერმ.).

ეს ებრაელის ბიჭივით აღდგომის ნიშანი, ინგლისურს რომ ვასწავლი (ისე კარგად სწავლობს, ფულს არც ვართმევ)—ყველანი დაიცდიან! დაიცდიან, სანამ ბატონი პეტერსონი იმ ქალაქში ჩავა, საცა სტუდენტობა გაუტარებრა და უკან ამობრუნდება, რადგან მას გადაუწყვეტია ამის გაკეთება. თავიანი გადაწყვეტილებები კი მუდამ მოჰყავს სისრულეში. ასე გაგრძელდება ეს ყველაფერი. დაე! რამეთუ ადამიანის ნებისყოფა (ეს კი ნიშნავს, მხსნა-საქმისკეთებაც!) მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი, როცა ხორციელ სისუსტეს სძლევეს. ენის შესახებ უკვე ოთხი მეცნიერული ნაშრომი მაქვს დაბეჭდილი... მთელ სიცოცხლეში არ მიგვრძნია, რა იყო დაღლილობა. რა უცნაური ქვიშა ყრია აქაურ გზაზე, ფეხქვეშ გისხლტება და, გინდა თუ არა, ბანცალებ. ისევ მეწყება ეს წყეული ხველა... არაფერია. კაი ხანია, რაც სისხლიანი ნახველი არა მქონია.

ღიახ, ტარტუში ისე დავდიოდი, უბრალოდ. რათა ბატონ ანდერსის ფანჯრებთან ამევლ-ჩამევლო... სიბნელეში უნდა ჩამევლო, რომ ფანჯრიდან ვერავის დავენახე. მინდოდა ტომესის ბიბლიოთეკაში შევსულიყავ... კიდევ ერთხელ ჩამესუნთქა თავლისა და მწარე მტვრის განსაცვიფრებელი სურნელი, ერთად შეგროვებულ წიგნებს რომ ასდის, სურნელი, თვლემას რომ გგვრის, მაგრამ ამავე დროს ცხოვრების ხალისსაც გიღვიძებს... შემდეგ ღამე ბაიერისას გავათიე, იგი ისევ და ისევ ჩემი მეგობარია. სწორედ მან მითხრა, აუცილებლად პრობსტ მაზინგთან უნდა მიხვიდე და — თუ არ მიხვალ, ღორობა იქნება, თუკი შენს მდგომარეობას გაითვალისწინებო. მამაშენი ავად არის, აგერ მეორე თვეა აღარ ძალუძს იაკობის ეკლესიის ზარები რეკოს და შენი „მითოლოგიის“ დაბეჭდვის ნებას რომ დაგრთავდნენ, ასიოდე ვერცხლის მანეთს მიიღებდიო. იმ ფულიდან ნახევარს მშობლებსა და და-ძმებს მიეცემდი (რატომ ნახევარს?! მთლიანად იმათ მიეცემდი!). ბატონ მაზინგს სულ ახლახან ჰქონია ომი ცენზორ მორიცთან, რომ ჩემი „მითოლოგია“ გაეშვათ. და რომ ახლა სწორედ ის დროა, ისეთმა გრუხუნა ზარბაზანმა, როგორც ბატონი მაზინგია, რამდენიმე ქვემეხი კიდევ გაისროლოს და მაშინ ცენზურა დაყრის ფარხმალს (ცხადია, ბაიერს ყოველივე ამას როზენპლენტერი ეტყოდა, ორივენი წარმოშობით ვოლმარიდან არიან, თანაც ნათესავეები გახლავან). ცენზორ მორიცის სიმხდალეზე კიდევ მეცინება და კიდევ მეტირება. ჩემი „მითოლოგიის“ ბიწიერება და გახრწნილება თურმე იმაში მდგომარეობს, რომ ფინური და ჩვენებური ღმერთები, სხვადასხვა ტყის სულები ქრისტიანულ ღმერთთან, ქალწულ მარიასა და იესო ქრისტესთან ერთად კადნიერად მოვიხსენიე!.. მოიცა, მოიცა, მაზინგს თურმე სადღაც ხმაშალლა განუცხადებია... მორიცს მთელი ძალ-ღონე მოუკრებია და ჩემი „მითოლოგიის“ წინააღმდეგ ისეთი ღვთისმოსავი ყვირილი აუტეხავს, ალბათ მალე ობერკონსისტორიის წევრიც გახდებაო... ჰა-ჰა-ჰა... ესე იგი, ახალგაზრდა ბატონი პეტერსონი საბაბს იძლევა უმაღლესი პოლიტიკის წარმოებისთვის. მართლა უმაღლესი პროვინციული პოლიტიკისა... და მაინც!

ახლა ახალგაზრდა ბატონი პეტერსონი ეკსიში მიემგზავრება. რადგან მას ასე გადაუწყვეტია. მას შემდეგ გადაწყვიტა, ბაიერმა რომ დაარჩია. რატომაც არ უნდა დაეჯერებინა კეთილი რჩევა. არა, არა, ბატონ მაზინგს მე

არაფერს არ ვთხოვ. უბრალოდ ჩემი მისვლა მოაგონებს ბატონ მაზინგს „მითოლოგიას“. ეს მისთვის საკმარისი იქნება, რომ მორიცხ დამატებით სტუორცნოს ყუმბარები. მეც უნდა მტუორცნოს. იმასაც გეტყვი, რომ მეტიც მეკუთვნის. ამით კი ჩემი მშობლებისა და და-ძმისთვის იმას ვაკეთებ, რაც ვაუიშვილმა და ძმამ უნდა გააკეთოს. იმაზე მეტსაც კი ვაკეთებ. დიახ, აი, ახლა იქ მივდივარ! თუმცა უკვე მისული ვარ.

სიზღოროვნება

აქედან, ამ შემალლებული ადგილიდან ტბა კარგად მოჩანს. ასე გეგონება. დილის რუხი ზეცის ქვეშ გრძელი, შვიდმეტრიანი დანა ლაპლაპებსო. ტბაზე მსუბუქი ნისლი იბოლქვება. არ ვიცი, ნისლი თბილია თუ ცივი. ეკლესია და პასტორატი აქვეა, ამ მინდვრის გადაღმა. რა უზარმაზარი კარმიდამოა... ვეება ბოსლები, საჯინბოები, საცეხვლები, ფარდულები, საკარეტეები. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რასაც ბატონ მაზინგზე მოგვახსენებენ... და ყოველივე ეკლესიასთან ისე ახლოს არის, რომ ღვთის თეთრი სახლი ძლივსღა მოჩანს. უფრო სწორი იქნებოდა ვამბობდეთ, კარმიდამოს ეკლესიაა და არა საეკლესიო კარმიდამო. ხმაური, ჩემს ყურამდე საყანეებსა და ბუჩქნარის ზოლს გადაღმიდან რომ აღწევს — მდინარის შხუილია. მდინარე სწორედ იმ წისქვილებთან შხუის, რომელთა შესახებაც ბატონი მაზინგი რიგაში ჩვენი პირველი შეხვედრისას მესაუბრა... მაშ, ყმაწვილო, წაიკითხეთ ჩემი „მაარაზვა ნიადალალეხტისედი“? ყველა ნომერი წაიკითხეთ? და ჩემს გაზეთს დღეგრძელობას უსურვებთ?... კეთილი, კეთილი. თუმცა უფრო აჯობებდა პირადად ჩემთვის გესურვებინათ მეტი ხანი! რამეთუ აქ, რიგაში, პრობტობა და მრევლი არ მართმევს იმდენ დროს, რამდენსაც საეკლესიო კარმიდამო. აქ კისერზე მაწევს ორი წისქვილის მშენებლობა. ასე რომ, თუ ჩვენი ესტონელი ხალხის სიკეთე გაურთ, ბებერ მაზინგს უსურვეთ მეტი ხანი ჰქონდეს! ბატონი... პეტერსონი? დიახ-დიახ. სწორედ ისაა, „ბეიტრეგეში“ თანხმომვნებზე დიდებული ცდები და კიდევ რაღაცები რომ გამოაქვეყნა? მართლა?! ძალიან კარგი. ძალიან კარგი! მომწიფდით. და განაგრძეთ წერა! ნეტავ თქვენისთანა ბევრი გვეყოლებოდეს... არა, მე მხედველობაში თქვენი უცნაური, უჩვეულო გრძელი თმა კი არა მაქვს, არამედ ჭკუა, თავში რომ გიდევთ. დიახ, იმანაც კი მიკბინა, გრძელი თმა გაქვსო. გრძელი თმაო... თუ გნებავთ იცოდეთ, შარშან დერბეკის ნაცნობები ვნახე, ისინი, ხელოვნების ეს ახალგაზრდა მიმდევარნი, რიგაზე გამოვლით რომიდან უკან, სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ერთი მათგანი პირწავარდნილი სოფლელი იყო, გვარად იგნაციუსი.<sup>1</sup> ყველას ქრისტესავით მოეშვა თმა, პირდაპირ მხრებამდე სწვდებოდათ, რომში მოეშვათ ასე, ფრანგებისადმი პროტესტის ნიშნად. თუმცა მე ვნახე ერთი ლითოგრაფია, იტალიაში მყოფი ახალგაზრდა ბონაპარტე რომ იყო გამოსახული (იგი ხიდზე იდგა, არ მახსოვს იმ ხიდის სახელწოდება) და მასაც მხრებზე ეყარა თმა. ჰა-ჰა-ჰაა! ასე რომ, გრძელი თმით ყველა თავის სათქმელს ამბობს, ცხადია, თუკი აქვს რაიმე სათქმელი. და მეც მისი მეშვეობით ვამბობ. დიახ, ოდესღაც, დღიურს რომ ვაწარმოებდი, შიგ ჩავწერე: ქრისტე, ვისაც ძალმიძს დავეტოლო, და ცინიკოსები, ვისაც ვცდილობ ფეხდაფეხ მივყვე... (მახსოვს, გიმნაზიაში, მოხუცი ბროტცეს ბოლო გაკვეთილებზე, უცებ ვიფიქრე. ალ-

<sup>1</sup> იგნაციუსი, ოტო ფრიდრიხ (1874—1924)—ბალტიისპირელი მხატვარი.

ბათ ღირს ცინიკოსები წავშალო და მათ სანაცვლოდ სტოიკოსები ჩავწერო-  
 მეთქი, მაგრამ შემდეგ ბებერი დიოგენის პატივისცემით მაინც ცინიკოსები  
 ვარჩიე. დღემდე ამ აზრს ვადგავარ. და სიკვდილამდეც ასე დავრჩები!... ოჰ,  
 გამოდის, თურმე ჩემი თმით ვამბობ: ცინიკოსები და ქრისტიანო?... არა მგო-  
 ნია. მე უბრალოდ ამას ვამბობ: ნუ მაწუხებთ. ნება მომეცით, ვინც ვინც, ვინ-  
 ცა ვარ. სინამდვილეში მე ცინიკოსიცა ვარ და ქრისტიანს მტვერიც, დიახ,  
 და ახალგაზრდა ბონაპარტე, ოლონდ ის არა, ჩაგოდრებული, სისხლისმსმე-  
 ლი, ახლა იქ, კუნძულზე რომ მიაბარეს მიწას. ბებერი კიკოველი იააკისა და  
 მისი ცოლის ანას შვილი. თავისუფალი არსება, თვითონ რომ წყვეტს, რა  
 არის კარგი და რა—ცუდი. ამას ჩემთვის ვამბობ და სადღაც მკერდში სიამაყის  
 გრძნობა მეუფლება, ეს ხომ სიმართლეა და გულში რატომ უნდა ჩავიმარხო: მათი  
 პირველი მელექსე. სიკვდილამდე კი ჯერ კიდევ დამრჩენია დრო, ხომ კაი ხანია  
 ნახველში სისხლი არ გამომრევიან. მათი პირველი მომღერალი, ვის არსებო-  
 ბასაც ჯერაც ვერ ხვდებიან, მელექსე, ვისაც ჯერ არავინ იცნობს და ვინც,  
 შეიძლება ისიც მოხდეს, რომ დღეს... ახლა საფოსტო გზიდან მარჯვნივ რომ  
 გადავუხვიო და ტბას ნაპირ-ნაპირ დავუყუვე (იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ  
 პასტორატისკენ წავიდე), რატომ ვიზამ ამას? ნუთუ მხოლოდ ამ ტოტებგა-  
 ბარჯლული წნორებისთვის? ერთი შეხედე. რა ლამაზად გაფურჩქნილან ნა-  
 პირზე და მოლაპლაპე წყალზე ისე დახრილან, რომ აქაფებული, შიშინა  
 ტალღა ფესვებს ურეცხავთ. ფესვები კი რიყის ქვებს ისე შემოხვევიან, როგორც  
 გველები ლაოკონს... არა, არა! ეს იმიტომ მოხდება, რომ, თუკი ადამიანმა  
 შემოვლით სიარული განიზრახა (სინამდვილეში მართლაც სასიამოვნოა ამ  
 წნორების ახლოდან დათვალიერება), თავისი გადაწყვეტილება აუცილებ-  
 ლად უნდა შეასრულოს და სწორედ ასე მოიქცეს. არ უნდა ეშინოდეს, ბო-  
 ლო წამს რაღაცა შემაკრთობს და განზრახვაზე ხელს ამადებინებსო... (ბო-  
 ლოს და ბოლოს რა შეიძლება გამოიწვიოს ამ შიშმა? საბოლოოდ ადამიანის  
 სიამაყე თუ სიმბდალე ხომ მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, ჯაჭვის უკა-  
 ნასკნელი რგოლი წყვილი აღმოჩნდება თუ კენტი...)

დამბაზე თეთრი, მოაჯირშემოვლებული ამოკუზული ხილია გადებუ-  
 ლი. მხარმარცხნივ პარკისკენ ხრეშდაყრილი ბილიკი მიიკლავება. მხარმარ-  
 ჯვნივ, ცოცხალი ღობის გადაღმა — ქვის გრძელი ბოსლებია (ალბათ იქ ორ-  
 მოცდაათიოდე პირუტყვი მაინც დაეტევა) და უზარმაზარი საჯინიბოები (სულ  
 ცოტა ოცდაათიოდე ცხენისათვის გათვალისწინებული). შემდეგ სწორედ  
 ის წისქვილი, სადაც წყალი თუხთუხებს, დოლაბებს ღრჭიალი გაუდით და  
 ფქვილის სურნელი დგას. ფანჯარაში მოჩანს, რა გულმოდგინედ დაფუსფუ-  
 სებენ მეწისქვილე და მისი შეგირდები. სინამდვილეში წისქვილის საგუბა-  
 რი მეორე ხილია, ზედ მოაჯირშემოვლებული გზა რომ გადის. ნაცრისფერი  
 ტბის, საადიარვის წყალი საგუბარსა და მორევებში მწვანე, ქაფიანი და სწრა-  
 ფია. უფრო იქით საკარეტე ჩანს, სანახევროდ ჩაბნელებულ მის ღია ჭიშ-  
 კარში ოქროთი მოვარაყებელი ისეთი კარეტა პრიალებს, რომ... (ღმერთო ჩე-  
 მო, თავად ბატონი გუბერნატორი პაულუჩი ხომ არ ჩამობრძანებულა ეკსი-  
 ში პრობსტთან სტუმრად, რათა თავისი თანამემამულე — პრობსტის მეუღ-  
 ლე მოენახულებინა!) თუმცა ბაიერმა ხომ მითხრა, ბატონმა მაზინგმა ვი-  
 ლაც ინგლისელი ადმირალისგან კარეტა იყიდაო...

და მაინც ბატონი მაზინგი ყველაფერს გამიგებს.

ეკლესია, სევდიანად რომ გამოიყურება, იქნაძვეების ორმაგი მწკრივის გადაღმა. დილის სიგრილეში შორიდანვე იგრძნობა, რაოდენ ცივია მისი თეთრი კედლები. მდინარის მაღალი ნაპირიდან ბილიკი წყება, იგი პირდაპირ ბატონის სახლის მომრგვალებულ გზისკენ მიდის. რგოლის მუთაგულში — რუხი ცის ფონზე ტანაყრილი, ჩაყვითლებული ლარეკნები, ლარეკნებსა და მინაჩასმულ აივანს შორის აღმართულ მსხვილ ბოძზე მინის ბურთია, ერთი მხრიდან დღის სინათლეს რომ ირეკლავს, საპირისპირო მხრიდან კი — სახლში დილის შუქს.

და მაინც ბატონი მიზინგი ყველაფერს გამიგებს. თორემ რაღა აზრი ექნებოდა მასთან მისვლას!

განათებულ ფანჯრებში მაგიდასთან მსხდომთა ჩრდილები ჩანს. იქ დიდ საზოგადოებას მოუყრია თავი. ბაიერმა მითხრა, მუდამ უამრავი სტუმარი ჰყავსო, ღმერთმა ხელი მოუშართოთ. მე ისინი არ მაწუხებენ. მხოლოდ თვითონ იკითხოს.

და მაინც მაზინგი გამიგებს.

უცებ სასადილო ოთახში ლამპა ჩააქრეს. მაშ არადა, რა ხანია გათენდა. გამჭვირვალე სახლის ყვითლად მოციმციმე ნაწილი ჩაიკარგა მოლურჯო მინებს მიღმა, რომლებშიც რუხი ზეცა ირეკლება. და მაინც ბატონი მაზინგი ყველაფერს გამიგებს! ნამდვილად გამიგებს! ვინმემ ხომ უნდა გამიგოს!

ოჰ, ზოგი რამ ყველას ესმის. რა ლაპარაკი უნდა. ბაიერმა მაშინვე მითხრა: „ბიჭოს! ეს პირდაპირ მამა კლოპშტოკი<sup>1</sup> არ ყოფილა!“ თავის მამიკოს კი ამცნო: „ამან დაწერა რამდენიმე ოდა, რომელთა მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ესტონური ენის პინდარეა!“ ცოტა რამეს შინაურებიც მიგებენ, როცა ხანდახან რაიმეს ხმამაღლა ვუკითხავ. მამაჩემმა ერთხელ პირიდან ყალიონიც კი გამოიღო, როცა წავუკითხე:

და იაკუ ხანდაზმული დიღინებდა თავის ქოხთან:  
ფრინველები სამხრეთისკენ გაფრინდნენო...<sup>2</sup>

დედამ კი შარშან, სექტემბრის იმ ღამეს, სანახავად რომ მივაკითხე, მოთქმა დაიწყო... ფანჯარა ღია იყო, იაკობის ეკლესიის სახურავს წითელი ზეცა ჩამომხობოდა, მის კოშკზე ჭკები ჭახჭახებდნენ. დედას ხელში წკირები ეჭირა, ჩემთვის სათბურა უნდა მოექსოვა. სათბურას იმიტომ მიქსოვდა, რომ გამუდმებით მახველებდა... და იგი მოთქვამდა, როცა ჩაბნელებულ ოთახში წავუკითხე:

მომღერალი ძმათა შორის სანთელივით  
დგას და სიმებს აკვნესებს და არაკრაკებს.

საოცარი ხალხია დედები... ნეტავ რა ატირებდა... ასე რომ, თავისებურად ყველას ესმის რაღაცა. მაგრამ ენა, ლექსი, რიტმი, იმის ჩათვლით, რაც ყოველივე ამაში უნდა იმალებოდეს და რაც უსახელოა... პინდარედან ვიღუემასელი მწყემსის ა-ლა-ლუ-ლა-ლო-მდე ვის ესმის ჩემი მუსიკის ყველა ბგერა, მთელი ჩემი თავდაუზოგავი ცდა? არც ერთ სულიერს! პატიოსან

<sup>1</sup> კლოპშტოკი. ფრიდრიხ გოტლიბი (1724-1803) გერმანელი პოეტი.

<sup>2</sup> ლექსები თარგმნა ა. ბუაჩიძემ.

სიტყვას გაძლევთ! განა როზენპლენტერს შეუძლია იმის გაგება? არა, თუმცა ენის საუკეთესო მცოდნედ ითვლება. მაგრამ ის მხოლოდ მცოდნეა. შეყოყმანდებოდა და იმაზე დაფიქრდებოდა, ფლექსიებს ხწორად ვხმარობ თუ არა, ინესივის გამოც კეფას მოიქეჯავდა, რასაც მე პიარნელებისგან განსხვავებულად ვიყენებ... ახლა კნიუპფერი? მას შეეძლება ჩემთვის, ჩემი მწყემსური ალიტერაციები ნამდვილია თუ არა (ალბათ შეტყობდა, არაო!). მაგრამ ყოველივეს შეფასებას, ყოველივესი და ყოველმხრივ, ისინი ვერ შეძლებდნენ. ძალზე უცნაური კია — არსებობს ენა (მერე როგორი ენა!), არსებობს ხალხი, სხვა ხალხს არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა, მათ მდგომარეობაში რომ იყოს, და არსებობს სიმღერებიც, მაგრამ არ არის კაცი, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს... ასეთად მხოლოდ ერთადერთი კაცია... მადლობა ღმერთს, რომ ის მაინც გვყავს...

თუმცა რაღაც კრიტიკული შენიშვნა ანაკრეონტის ჩემეულ მცირე თარგმანებზე იმასაც გამოუთქვამს (ეს ხომ როზენპლენტერმა მომწერა), ამიტომ „ბეიტრეგე“ მათ ჯერჯერობით არ მიბეჭდავს... რას იზამ, დაე, ასე იყოს. ის თარგმანები ხომ უმნიშვნელო ცდა გახლდათ. როზენპლენტერს ტყუილბრალოდ გაუგზავნია ისინი მისთვის. მეც შევცდი, პიარნეში რომ გავგზავნე... მახსოვს, რამ შთამაგონა ისინი... მაშინ ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვსწავლობდი. კარლი სწორედ იმ წუთას მარიგებდა ჭკუას. შეუწყნარებელია, რომ ღვთისგან ბოძებულ ნიჭს ლოთობაში ფლანგავო (ყოფილა შემთხვევა, რომ იქაც მისვამს ლუდი). გვიან ღამით კარლთან მივედი და ვთხოვე, ღამე გამათევინე-მეთქი... არ მინდოდა ჩემს მშობლებს ენახათ, როგორ მიბრწყინავდა თვალები და ამტკრეცოდა ლოყები, არ სცემოდათ ლუდის სუნი. ეს მათ ძალიან ეწყინებოდათ. კარლი ზედ მდინარის ნაპირას ცხოვრობდა, ერთი თევზით მოვაჭრისას ქირაობდა ოთანს. თავისუფლად შეიძლებოდა მასთან ღამის გათევა... კარლი შინ შემიძღვა და მაშინვე დარიგება დამიწყო. მისი რკინის პაწაწინა ღუმელი გარშემო სითბოს აფრქვევდა და წყალწყალა ლუდი, დაღეული რომ მქონდა, უცებ თავში ამივარდა, ნიკეს ფრთების შრიალი ჩამესმა და უმაღლესი მთვრალი კაცის შემწყნარებელი უპირატესობა ვიგრძენი. და მომაგონდა ანაკრეონტის პატარა ლექსები. ქალაქი, კარლს მაგიდაზე წინ რომ ედო, ჩემკენ მოვწიე (კარლი ზედ შიშველ ქალებს ხატავდა), მეორე მხარეს გადავაბრუნე და, რაკი კარლი ბერძნულში მოისუსტებდა, მინდოდა გერმანულად დამეწერა: ყველა ველ-მინდორი სვამს... და ასე შემდეგ. და უცებ გავიფიქრე: გერმანულად რატომ უნდა დავუწერო, როცა ესტონურად მშვენივრად ლაპარაკობს. რომ გამებრაზებინა, წამდაუწუმ ესტონურად ველაპარაკებოდი ხოლმე. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ჯერ არავის ეცადა ამ ლექსების ჩვენს ენაზე თარგმნა! მახსოვს, თვალები დავხუჭე და ვიგრძენი, რომ ჩემში რაღაც ძალამ იფეთქა, მაჯებსა და თავში ამიხმაურდა. შთაგონებისგან სახემაც კი დამიწყო წიწკნა. თითქოს მე თვითონ ამომდიოდა ძველთაძველი ანაკრეონტის უღალი წვერი... კალამი ავიღე და დავწერე:

ტყე სვამს მიწის წვეწვს,  
და ზღვა სვამს მდინარეებს,  
შუადღე სვამს ზღვის წყალს.  
მეგობრები კი მძრახავენ:  
„წყურვილისგან ვკვდებითო!“

მერმე ისევ კარლის ნახატი შიშველი ქალების მხარეს გადმოვაბრუნე. მე მათ რალაცით შეურაცხყოფა მომაყენეს. მხოლოდ იმითომ არა, რომ ერთდროულად კიდევაც მრცხვენოდა და კიდევაც მსიამოვნებდა მათი ცქერა, რამეთუ ძალზე მარჯვედ, უდიდესი ცოდნით იყვნენ დახატულნი, თუმცა ბოლდერაველ მექისე ქალებს უფრო წააგავდნენ, ვინემ ხარნარა ქალწულებს. ასე იყო თუ ისე, იმწამსვე ანაკრეონტის სხვა პატარა-პატარა ლექსებიც მომაგონდა და კარლის მიერ დახატული შიშველი მუცლების გასწვრივ დავწერე:

რა დაიქადნოს ნეტავი ხარმა,  
თუ არა დიდი და ბასრი რქები!

და ასე შემდეგ...

ცხოველს შვენის ძალა,  
მამაკაცს კი ჰკუა,  
ცოლებს? ცოლებს—ეშხი.  
დამთრგუნველი, მწველი.

ამ დროს (თუმცა მხოლოდ ჩემთვის) იმ ცეცხლზე ვფიქრობდი, მთელ სხეულზე რომ მეკიდებოდა, როგორც კი ქალთა მოდგმაზე ვიწყებდი ოცნებას.... მაგრამ სინამდვილეში ხომ არც ის ვიცოდი, რისი თქმა სურდა ანაკრეონტს, და არც ის, ამ სტროფების გამო რატომ უნდა ესაყვედურა ჩემთვის ბატონ მაზინგს. თუმცა აი, რატომ: ჩვენთან ყველას ნაადრევად მომწიფება სურსო! დაახლოებით ასე უთქვამს, როგორც როზენპლენტერის ბარათიდან გავიგე. ჰა-ჰა-ეტყობა, ბატონ პრობსტს ყურადღებაც არ მიუქცევია იმისთვის, რომ საქმე ანაკრეონტთან ჰქონდა და არა მოწაფესთან... რამეთუ კარგი სასმელის ფასი თვითონაც კარგად უწყის, მის ახალგაზრდა ცოლზედაც ბაიერმა მითხრა... როგორა მითხრა?... ღვიაში ჩავარდნილი შავი ყურძნის მარცვალიაო!

კარს საგულდაგულოდ გაპრიალელებული სპილენძის დიდი სახელური აქვს. ხელი რომ შევახე, ცივად გამაყრუოლა. აივნის იატაკი აჭრაჭუნდა, ზედ რომ გავიარე. მარჯვნივ და მარცხნივ ჰრელად შეღებილი ბრეზენტის ზურგიანი ბაღის სკამები ჩაემწკრივებინათ. სასადილო ოთახის კარი შევალე. ზღრუბლზე შევდექი და ყავის მაგიდასთან მხსდომნი შევათვალე. იმათ შევაცქერდი, ვისაც პირი ჩემკენ ჰქონდა. ამ დროს მომაგონდა, რომ კარზე დაკაკუნება დამვიწყებოდა. ზოგიერთს გაოცებისაგან სახე ისე დაღრეჯოდა, სიცილი მომინდა. არ მინდოდა იმათ გაეგონათ, თუმცა ძალიან არც შევწუხებულვარ სიცილის შესაკავებლად. იატაკზე ჩემი ათფუნტიანი კვერთხით ვაკაკუნებ (მას მართლაც ეტყობა რალაც სწრაფვა წინასწარმეტყველებისადმი, მაგრამ ამავე დროს ისეთი იერი დაჰკრავს, თითქოს ამ სწრაფვას აბუჩად იგდებდეს), ჩემი კვერთხით ვაკაკუნებ ბატონ მაზინგის სასადილო ოთახის იატაკზე. ამას იმითომ ჩავდივარ, რომ კარზე დაკაკუნება დამავიწყდა. ახლა ისინი მოტრიალდნენ, ვინც ჩემგან ზურგშექცევით იჯდა, და შემომაცქერდნენ. და რაკილა დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებენ, ესტონურად ვესალმები:

დილა მშვიდობისა, ბატონებო!

დღეს დილით მათი სასადილო ოთახის ზღრუბლზე მდგომმა... მე...



4.

ოპ, წმინდაო ჯენარო, თავდაპირველად ვერც კი ვხვდები, რა მაიძულებს, ასე თვალმოუშორებლივ ვუცქირო. განსაკუთრებულს ხომ არაფერს აკეთებს, უბრალოდ გაჩხერილა კარებში და თითქოს ყველას ოდნავ შესამჩნევად გვიქნევს თავს. მაგრამ მეჩვენება, რომ, პირველ ყოვლისა, მე — შესაღმება, როგორც ოჯახის დიასახლისს. მხოლოდ წამიერი შეწყვეტების შემდეგ ვიგრძენი, რატომ გაინაბენ ყველანი, ვინც საუზმეს შეექცეოდა, და მეც მათთან ერთად. ვინაიდან მისი გარეგნობით დიახაც შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობა ეჭირა ამ ბიჭს საზოგადოებაში.

ოციოდე წლისა თუ იქნება. აქ მიღებული ხანგრძლივი გამოცდილების წყალობით ამას პირველი შეხედვისთანავე მივხვდი. თუმცა თუკი იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ გამოიყურებიან სამხრეთელები, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ყმაწვილი იყო, უფრო ახალგაზრდადაც კი მივიჩნევდი. მაგრამ ვერ გამიგია, რომელ აქაურ წოდებას შეიძლება მიეკუთვნოს იგი. აქ კი, ოტოსთან, უამრავი სხვადასხვაგვარი ადამიანი მინახავს. ეს ბიჭი აზნაური არ არის, არც ლიტერატორია, არც ბიურგერთა წარმომადგენელი, არც მუშათა, არც სოფლელი გლეხი ჩანს. იქნებ ყოველ მათგანს რაღაცით ენათესავება.

ვიწრო, საკმაოდ გაცვეთილი ფენსაცმელი აცვია. თეთრი სტუდენტური შარვალი გაცრეცია, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გაცვეთილი და გამოხუნებულია, მაინც სუფთა ჩანს. შინნაქსოვი მატერიისგან შეკერილი მუქი ნაცრისფერი ხიფთანი აცვია. მტკაველა-ნახევარი სიფართის ტყავის ქამარი ძალზე უხეში ბალთით მაგრად შემოურტყამს წელზე. ორ თანაბარ ნაწილად გლეხურად გაყოფილი ქერა თმა მხრებამდე სწვდება. ასე გრძელთმიანი ახალგაზრდა მამაკაცები მხოლოდ მოქადაგე ძმათა შორის მინახავს. და თმით დაჩრდილული ფერმკრთალი, მაგრამ ბუნებით მრგვალი სახე აქვს, ქორფა გლეხური სახე: უხეში წარბები, მსხვილი ცხვირი, პატარა, ვნებიანი, მკაცრად მოკუმული პირი. და საოცრად მგზნებარე ლურჯი თვალები. ისეთი ლურჯი, როგორიც ოქროსლილას ფურცლებია, ოტომ ახლახან თავის სტუმრებს რომ ურჩია, დაკრიფეთო. იმდენად ლურჯი, დიდხანს რომ უცქირო, თავგზა აგერევა... და მაინც, მიუხედავად მთელი თავისი უცნაურობისა, სასაცილო სულაც არ არის. პირველ ყოვლისა, უფრო განსაცვიფრებელი ვინმეა. ეტყობა, ოტო იცნობს მას, რაც სულაც არ გამიკვირდება, რამეთუ იმ ხალხის დათვლა, ვისაც თან არის გადაყოლილი ანდა ვისთანაც საქმე აქვს, შეუძლებელია. იგი დაკავშირებულია ყველასთან — დაწყებული მათხოვრებითა და ჯარიდან გამოქცეულებით, დამთავრებული მინისტრებითა და სასახლის კარის უმაღლესი ორდენების კავალრებით. ვფიქრობ, უკანასკნელებს მასონების წყალობით იცნობს... ახლა ოტო მაგიდის მარჯვენა ბოლოს მსხდომ სტუმრებს თხოვს, ცოტა ჩაიწიეთ, რომ ერთი ადგილი განთავისუფლდესო. და პეტერსონს თავისა და პროფესორ ეშეს შორის სვამს. დიახ, ოტო ისევ ჯდება მაგიდასთან და ითხოვს, ერთი ფინჯანი ყავა დამისხითო. ეს ნათლად მოწმობს, რომ საინტერესო საუბარს მოელის, იმდენად საინტერესოს, უღირს ზეციური ქვეების გამოკვლევის საქმე შემდგომისთვის გადადოს.

ახლა ეს კაცი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით ბიჭი, ოტოს მხარმარჯვნივ უზის, მე კი ოტოს მხარმარცხნივ ვზივარ, და ისინი ერთმანეთს ესაუბ-

რებიან. ოტო ეკითხება, ეს ბიჭი კი პასუხობს — საუბარი ისევ როზინპლენ-ტერსა და მის „ბეიტრეგეს“, სხვა გაზეთებს, ზონტაგს და რომელიღაც ფინურ ტყის სულებს შეეხება... ვუცქერი ამ ბიჭს ოტოს მახვილი ბროფილის გვერდით და ვხედავ, რომ სინამდვილეში სავსებით ბავშვური სახის ბატრონია. მაგრამ საოცრად თავდაჯერებული სახისა. თავდაჯერებულად ემყარება იმ მოსწონებით კი არა, ახლა რომ დაუფლებია (ახალგაზრდები ასეთ გამოცდილებას მაშინ იღებენ, როცა ავტორიტეტიანი ხანშიშესული ადამიანების გვერდით აღმოჩნდებიან); მისი სახე თავისუფალ, თავისთავად ნაგულისხმევ რწმენას გამოხატავს. ოტოს ძალზე დინჯად უსმენს და ზუსტად პასუხობს. ოტოს სახეზე ეტყობა, რომ პასუხი მოსწონს. ასე რომ არ იყოს, მაშინვე ხმას ჩააკმენდინებდა თანამოსაუბრეს, თითქოს საქმე ცუდად გაწვრთნილ კონფირმანტთან ჰქონდეს. ეს ახალგაზრდა კაცი კი ოტოს უსმენს, თავის ფერფლისფერ წარბებს ყურადღებით ჰმუხნის, პასუხზე დაფიქრებული, ჰვედა ტუჩს წინ იშვერს და ისე პასუხობს. ოტოს სიამოვნებისაგან ეღიმება. და როცა ოტო ანაზდად ხმამალალ ტირადას იწყებს (ალბათ ისევ ცენზორ მორიციის შესახებ, თვითონ უნდა იცოდეს, ვის შეუძლია ასე მოექცეს და ვის არაო), ვხედავ, როგორ უცახცახებს ბიჭს პირის მარჯვენა კუთხე. მაგრამ არც პოს ამბობს, არც — არას.

ოტო ყავას სვამს, ჰერელის ყალიონს ტენის, ცეცხლს უკიდებს და თავის ვერცხლის სათუთუნეს ამ ბიჭს აწვდის, რათა მანაც დატენოს თავისი სწორმუნდშტუკიანი პატარა ყალიონი. მაგრამ იგი უარის ნიშნად თავს აქნევს, უბიდან ძველთაძველ ქისას იღებს და ყალიონს ტენის. ახლა იგი ცეცხლს აკვებს და ვგრძნობ, რომ მის თამბაქოს ოტოს კანასტერული თამბაქოსგან სავსებით განსხვავებული სურნელი ასდის. ამ ბიჭის თამბაქოს ჩვეულებრივი სოფლური, შინ მოყვანილი თუთუნის სურნელი აქვს, რაღაცნაირად უცნაური, ტკბილი გემო რომ დაჰკრავს, და მე კიდევაც ვეკითხები, რას ეწვევით-მეთქი. იგი თავისი შემაშინებელი ლურჯი თვალებით ოტოს გამეჩხერებული ჰალარა თმის ზემოდან მიცქერის (ძალზე მაღალი ბიჭია) და ბოლში გახვეული მეუბნება, ეს ჩემი მშობლიური სოფლის — ვიდუმაას (არ ვიცი, სად არის ეს სოფელი) ასკილის ყვავილში გარეული თამბაქოაო. ვგრძნობ, რომ სინამდვილეში პასუხს არც კი ვისმენ, რამეთუ მისი ჭიჭური მზერით, ღმერთმა უწყის რატომ, სახესა და კისერზე აღმური მეკიდება. თითქოს მაგიდასთან მსხდომი ამ საზოგადოების წინაშე ვიღაცას სათაკილო ფიქრში დავეჭირე... მე ხომ ცუდი არაფერი გამიფიქრია... ჭერ არ გამიფიქრია, წმინდაო ჯენარო, ეს შენ იცი, ჩემი ფიცი არ გჭირდება. მე ზომ ჰქორთვა გოგო აღარა ვარ, წამდაუწუმ რომ ვწითლდებოდე ან ვფითრდებოდე, მაგრამ არც იმ ასაკის გახლავარ, ქალი ჰქნობას რომ იწყებს და ამ დროს ემართება თითქოს ასეთი ამბები. არ ვიცი, სანამ ვიქნებოდი ასე აღმოდებული, მოხუც ეშვს რომ თავისი მონგრეული ცხვირი ბიჭისკენ არ მიეტრიალებინა და არ ეკითხა:

— ააა! ახლა გიცანით. რასაკვირველია. ის ყმაწვილი ხართ, ვის გამოც ორიოდე წლის წინ ხეცელმა მითხრა, ერთი სტუდენტი მყავს, — ყველაზე განსაცვიფრებელი ბიჭია იმათ შორის, ვინც კი ოდესმე მყოლიაო...

— რით არის ყველა იმ მოსწავლეზე განსაცვიფრებელი, ვინც კი ოდესმე მყოლიაო? — სიტყვების კორიანტელი დავაყენე, რათა ჩემს სამარცხვინოდ აღანძულ სახეზე ეს სიტყვები ამეფარებინა.

— ყოვლად უწყისო, შეუპოვარი და უნიჭიერესი ბიჭი იყო, — ამბობს

ეშე და შეშუპებულ ქუთუთოებს ახამხამებს. გულზე უცებ მომეშვა (სახეზეც სიწითლემ გადამიარა) და, როცა შევამჩნიე, ბიჭს ეშეს სიტყვებზე დაწვები შეეფაკლა, გავიფიქრე: თავად ღმერთმა უწყის, რა თავდაჯერებული ხარ, ძვირფასო ბიჭო...

— ეშე, — ეუბნება ოტო და ჩვეულებისამებრ ხმის ჩაქუჩუნდა ცხველებს, — პედაგოგის არაფერი გცხია! სულ, სულ არაფერი! კაცს ახალგაზრდა კაცი როგორ შეიძლება ასეთი იყოს! არც მთლად სულელი და არც მთლად ჭკვიანი. — იგი ღგება: — ბატონო პეტერსონ, თავი ისე იგულვეთ, თითქმის შინ იმყოფებოდეთ. ჩვენ სამ საათზე ვსადილობთ. ჩემთან ექვს საათზე მობრძანდით. შეიდ საათზე ყავას მივირთმევთ. კარა თქვენ და მე ყავას ჩემს სამუშაო ოთახში მოგვართმევს. ყავა დავლიოთ, ყალიონი გავაბოლოთ და ვისაუბროთ, ნახვამდის! კარა ან სხვა ვინმე ყველაფერს გაჩვენებთ, რის ნახვაც აქ ღირს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სანახავი არც არაფერია...

წამოვდექი თუ არა, მაგიდა მთელმა საზოგადოებამ დატოვა: შინაურებმა თავიანთ საქმეებს მიაშურეს, სტუმრები კი ჩვეულებისამებრ ვინ საით წავიდა, ვინ საით. ოტო თავის ზეციურ ქვებს ყვავილების მაგიდიდან იღებს, ტომარაში ყრის და სამუშაო ოთახისკენ მიემართება. ეშე აივანზე გადის. ბრეზენტის სკამზე ჯდება, სიგარას აბოლებს და უცნობი ავტორის მიერ დაწერილი უზარმაზარი მანუსკრიპტის კითხვას განაგრძობს, რომელიც მესამე დღეა იატაკზე უყრია, მასში ვილაც ბიზანტიელების ამბავია მოთხრობილი. იგი პეტერბურგიდან გამოგზავნეს, რომ ოტოს განეხილა (განხილვა უკვე მზადა აქვს, მაგრამ სანამ უკან გაგზავნიდა, მანუსკრიპტს ეშემ ჰკიდა თვალი). ქალბატონი ეშე მოსასხამს მხრებზე იხურავს და ტბის პირას სასეირნოდ მიდის. ანტონს საიდუმლო გასასვლელთან უკვე ელოდება შეკაზმული ჰექტორი: იგი ყოველდღე დასეირნობს ცხენით, ალბათ დღესაც გაქენდება სადღაც პალამუსეს მხარეს. მაიორი ადღერბერგი ან მალლა აძვრება, თავის ოთახში, რომ ნასაუზმევს ერთხანს წამოწვეს, ანდა სასტუმრო ოთახში შევა, რომ კაროლინას, ოტილიასა და ელეონორას კარტი ეთამაშოს. და მაშინ სადილობამდე არ შეწყდება ბატონ მაიორის უნიჭო ხუმრობანი, თან ისე ხარხარებს, მეშინია, ფანჯრის მინები არ ჩაილეწოს-მეთქი. ოტო რომ დაუძახებს, ხოლმანი სკოლის მასწავლებლებს მის სამუშაო ოთახში შეიყვანს, როცა იგი მენზურებითა და თავისი ზეციური ქვებისთვის სიმყავით სავსე სინჯარებით ფუსფუსს შეუდგება (მართალი გითხრათ, უცნაურია) და დაიწყება იმაზე მსჯელობა, რა მეთოდით უნდა ასწავლონ კითხვა და როგორ უნდა ჩატარდეს ცდები სოფლის სკოლებში.

ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ ანიტა და ეს პეტერსონი დგანან შუა ოთახში. მეც აქა ვარ. ანიტა ჩემკენ დგამს ნაბიჯს. ეტყობა, ეს მისთვისაც უნებური ნაბიჯი იყო. ანიტა საყვარელი ბავშვია. თუმცა, მართალი რომ ითქვას, შეუხედავი გოგო კია. მაგრამ მშვენიერი მუქი ნაცრისფერი თვალები აქვს და იმ ასაკშია, ხან პაწაწა უწყინარი გოგონა გეგონება, ხან კი სიტყვადაუღვევლი, მოწიფული ქალიშვილი. იგი ოდნავ შესამჩნევ ნაბიჯს დგამს ჩემკენ. და მე ვიცი, რატომაც სჩადის ამას. ამ სახლში, საცა ამდენი ხალხია, იგი თავს ობლად გრძნობს. და სრულიად საფუძვლიანად. რამეთუ დები განუდგნენ. ეს კი მხოლოდ იმ სიყვარულით არის გამოწვეული, ანიტა დაუფარავად რომ იჩენს ჩემდამი. კიდევ უფრო იმიტომ, რომ მასზე ვზრუნავ. ოტო?... ოტო ცდი-

ლობს თავისი ქალიშვილებისა თუ სხვების მიმართ თანაბრად სამართლიანი იყოს, ხანგამოშვებით — გულისხმიერი (ხანგამოშვებით-მეთქი, გამბობ), მაგრამ უმთავრესად გულგრილია და მათთან არაფერი ესაქმება. უბრალოდ, მას ოჯახისთვის არა სცალია (თუმცა, როცა სადმე სხვა ქალაქშია, ბარათის მოსაწერად ყოველდღე პოულობს დროს. ნამდვილად უცნაური ქვეყნისა, ასეა თუ ისე, ანიტა ამ სახლში მარტოდმარტოა. ჩემ გარდა ვერავისგან გრძნობს სითბოს. შეიძლება დანარჩენების ჯიბრზეც ვაგრძნობინებდე მეტ სითბოს... და ახლა იგი ნაბიჯს ჩემკენ დგამს. მე კი ამ ბიჭისკენ მივიწევ ერთი ნაბიჯით. იგი ყვავილების მაგიდასთან დგას და იმ მტვერს დასცქერის, მაგიდაზე ოტოს ზეციურ ქვებს რომ დაუტოვებიათ. მე ერთ ნაბიჯს ვდგამ მისკენ. ალბათ ისიც მარტოდ გრძნობს თავს ამ მისთვის უცხო და არეულ-დარეულ ოჯახში. ეტყობა, ოტოსთან რაღაც ლიტერატურულ საქმეთა გამო მოსულა, ამ მიზნით აქ ბევრნი დადიან. საეჭვოა, წმინდა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ტარტუდან აქ ფეხით ჩამოსულიყო. ასეთი რამ კი აქ ერთობ მისაღებია. არა, არა, იგი საქმეზეა მოსული. და ახლა სხვის სახლში თავს ეულად გრძნობს.

მე მას ვუახლოვდები. მინდა ვკითხო. მართლა ვინა ხარ-მეთქი, მინდა კიდევ ერთხელ შემომხედოს თავისი ოქროსლილას ფურცელივით ლურჯი თვალებით... და სანამ, მანამ რამეს თქმას მოვასწრებდე, უკვე თვალებში შემომცქერის და ვგრძნობ (წმინდაო ჟენარო, შეიძლება ითქვას, ბებერი ქალი ვარ, არა, არა, ცხადია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით არა, მაგრამ ქალი ვარ, ვისაც ცხოვრებაში ბევრი რამ გამოუვლია, ქვეყნიერებაზე უამრავი ადამიანი უნახავს, ვინაც ვერ უნდა დააბნოს გაურკვეველი წოდების ბიჭის ლურჯმა თვალებმა!) ვგრძნობ, რომ ისევ ვწითლდები სასოწარკვეთილი ვცდილობ თვალები ავარიდო, მზერა სხვა რამეზე გადავიტანო, მხოლოდ ამ ცეცხლოვან, უძირო ლურჯ, ბავშვურ თვალებს არ ვუცქირო. დაბლა ვიხედები და ვხედავ (და ვერცა ვხედავ), ოტოს მრავალძარღვას ქოთანი მაგიდიდან აულია და იატაკზე დაუდგამს, არაფერს არასოდეს არ დადებს თავის ადგილას!. ეს ბიჭი ჩემს მზერას თვალს აყოლებს, იატაკიდან მოუქნელად და სწრაფად იღებს ყვავილიან ქოთანს და მაგიდაზე დგამს.

— ასე, არა?...

— დიახ! — ვეუბნები და გულზე ისე მეფონება, ლამის დავიყვირო. რამეთუ უცებ მივხვდი, რაც უნდა შექნა. მე გამბობ:

— ანიტა, შენი ჭირიმე, დაათვალიერებინე ბატონ პეტერსონს ჩვენი პასტორატი. ოღონდ პალტო ჩაიცვი, თორემ გაცივდები. — ანიტას ხშირად ახველებს...

— მეც მახველებს, — ამბობს ეს ბიჭი, შეცბუნებული იღიმება და ჩემს მზერას იჭერს, ასე რომ, ისევ იძულებული ვარ თვალი ავარიდო.

— აჰ, თქვენც გახველებთ? ანიტას ძალზე ხშირად ახველებს. ანიტა, დაათვალიერებინე ბატონ პეტერსონს ტბა და პარკი, ნავსაყუდარი, ეკლესია, თუკი შიგ შებრძანებას ისურვებს. ხომ იცი, რომ გასაღები წინკარში ჰკიდია ლურსმანზე. მაგრამ ტბაზე ნუ ისეირნებ! თუ ბატონი პეტერსონი ინებებს — ახალგაზრდებს ხანდახან უყვართ სეირნობა — რასაკვირველია, შეუძლია სურვილი აისრულოს. ათი საათისთვის დაბრუნდით უკან. ანიტა, ხომ იცი, როგორ სწყინს მამას, ვიოლინოზე რომ არ ვარჯიშობ. თუ ბატონმა პეტერსონმა რაიმეს

წაკითხვა ინებოს, ბიბლიოთეკა აი, იქ არის, იმ კარს იქით. შემდეგ გაჩვენებთ. ახლა კი უნდა..

— დიახ, ცხადია, ქალბატონო, დიდი მადლობა. ნახვდობდი. მაშასადამე, ბუნების დასათვალისწინებლად წავიდეთ, ქალიშვილო...

— მე ანიტა მქვია.

— მე კი — იააკი.

იააკი მქვიაო, — ამბობს ეს ბიჭი და რატომღაც შიშის ზარი მეცემა (მხოლოდ ახლა გავიგე, რა რქმევია), მაგრამ ის მაკრთობს, რომ... გასაგებია, ანიტა მას თავის სახელს ეუბნება, ის ხომ ბავშვია, მაგრამ ვერ გამიგია, თვითონაც რატომ უპასუხა, იააკი მქვიაო... (ეტყობა, ესტონელია და უნივერსიტეტში სწავლობს. ღმერთო ჩემო, რა საინტერესოა! საიდან გაჩნდა აქ?... ასეთები ხომ იშვიათად გვხვდება?! იააკიო) — მის ადგილას ასე თუ ისე განათლებული კაცი იტყოდა: — მე კი სტუდენტი იაკობ პეტერსონი გახლავართო.

— დიახ, უკვე გავიგონე, რომ ანიტა გქვიათ. ლამაზი იტალიური სახელია. ეს გახლავთ ანა, რაც ძველ ებრაულ ენაზე სიყვარულს ნიშნავს. იტალიაში კი ანიტას იტყვიან. დედათქვენი ხომ...


მათ აივანი განვლეს.

თავისთავად ცხადია, ამ ბიჭს ცამეტი წლის ანიტა ჩემი ქალიშვილი ჰგონია... თუმცა კი სცოდნია, რომ ანიტა ძველ ებრაულად სიყვარულს ნიშნავს, დაკვირვების დიდი უნარით მაინც ვერ დაიკვებხნის. და თუმცა ანიტა წინ გაატარა, იმას მაინც ვერ ხვდება, რომ პალტოს ჩაცმაში მიეშველოს... გული მწყდება, რომ ასეა, მაგრამ ამავე ღროს სიამოვნებასაც მგვრის...

თუმცა ახლა... რა მინდა ახლა მე? ღმერთო ჩემო, ადამიანურად უნდა გამოვეწყო!

სწრაფად შევდივარ საწოლ ოთახში. წმინდაო ჯენარო, ნეტავ რა მომდის? სარკეში საკუთარ თავს ვუცქერი, სწორედ იმ ტრიუმოში, მოჩუქურთმებული ჩარჩო რომ აქვს, და სიხარულისგან მზადა ვარ გავიციხო! რასაკვირველია, გარეთ საჭმელს რომ ვაკეთებდი და ყანებში დავდიოდი, სახეზე ზაფხულის მზე მომკიდებია, მაგრამ ისე კი, შავგვრემანი რომ ვარ, რაც აქ ერთობ იშვიათია, ახლაც მეტყობა, როცა ღაწვები შეფაკლული მაქვს, და ჩემს სახეს განსაკუთრებულ გამომეტყველებას ანიჭებს... თავი ისე მიჭირავს, თითქოს არაფერი მესმოდეს, და საკუთარ თავს მზაკვრულად, გაუგებარი თვალთმაქცობით ვეკითხები: ნეტავ რა მომდის?

გარდერობს ვაღებ. შემკრთალი ერთი წამით გარინდებული ვდგავარ. ჩემს წინ დიდრონი შავი ფრინველებივით ჰკიდია ოტოს სამი სერთუკი — ნაცრისფერი, ყავისფერი და შავი... უზარმაზარ, თამბაქოს სუნით გაჟღენთილი ფრინველებივით, სამი მკვდარი ფრინველივით... ფუჰ... შემდეგ ჩემს ცხრა კაბას ვათვალისწინებ, ეს იოლია, გაცილებით იოლი ვინემ ვისურვებდი... სამი კაბა უკვე ძონძად ქცეულა, მეორე სამი ერთობ მუქი ფერისაა, საზამთრო, ჯერ კი, შეიძლება ითქვას, ზაფხულია!.. რაც უნდა იყოს, ზაფხულია. დანარჩენი სამიდან ნაცრისფერი პრუნელის კაბა უცებ გვერდზე გადავდე, უკვე მომძულდა, რადგან ხშირად მაცვია, დღეს კი საგარეოდ მინდა გამოვეწყო... წუთიერი ყოყმანის შემდეგ ცისფერი აბრეშუმის სადამოს კაბაზედაც უარს ვამბობ. ამ კაბაში მხრები და მკერდი მიჩანს და ქვედატანსაც ხელოვნური ყვავილების სამი გვირგვინი აქვს შემოვლებული... ამიტომაც ვამბობ უარს... ბოლოს ერთი კა-



ეროვნული  
ბიზნისცენტრი

ბა მრჩება. სისულელე კია ამბობდე, ბოლოს ერთი მრჩებაო, როცა სულ ხუთი ხეირიანი კაბა გაქვს, ხოლო, მაგალითად, კურსისელ ქალბატონ შუბეს — ვისი ქმარი პრობსტი არ არის! — სულ ცოტა თორმეტობდე მაინც ექნება. ვიცი, რომ ამას სულაც არა აქვს მნიშვნელობა... მაგრამ სიმართლეს სიმართლეა. ასე რომ, საბოლოოდ ხელში შემრჩა შარშან შეკერილი ყვითელი, მსხვილუჯრედებიანი აბრეშუმის მოკლესახელოებიანი ვენური კაბა, რომელიც ასევე ვერ მიფარავს მხრებს და რომლის კვადრატულ დეკოლტეზე ჩაის ხელოვნური ვარდების გვირგვინია მოყოლებული. მაგრამ არა... ესეც ზედმეტია... ჰმ... მაშინ საერთოდ რაღად ვიკერავდი ამ კაბას, ოტოს ფიხოვე, შემიკერებეთქი (მართალია, დიდი ხვეწნა არ დამჭირვებია... მაგრამ მაინც... გული მწარედ შემეკუშმა, თუმცა აი, უკვე გამიარა). საერთოდ რად მინდოდა ეს კაბა რომ შევიკერე? შარშან პასტორთა ცოლებმა ამ კაბაში გამოწყობილი რომ მნახეს, თითქმის გატყვენილ დედაკაცად ჩამთვალეს. ნეტა რატომ მოვითმინე? ასე რომ, ამ კაბის ჩაცმას მხოლოდ კლინგერისა და ჟუკოვსკის სტუმრობისას ვბედავდი, ისევე როგორც მეორე ცისფერი კაბის ჩაცმას, რომლითაც ეკსიში ერთხელაც არ გამოვჩენილვარ. მაგრამ დღეს, სახლში, ამ ყვითელი კაბის ჩაცმაც ნამეტანი გამოვა. არა, მაინც რატომ გამოვა ნამეტანი?! თუკი ერთხელ მომიხდა აქ, ტყე-ველსა და ამ კედლებს შორის გამობრწყინება.

საკიდიდან ყვითელ კაბას ვხსნი და ვიზომებ, სარკეში ვიცქირები და ვმღერი (იქნებ ოტოსგან ლექსთა თხზვის სენი გადმომედო — იგი მათ; ხანგამოშვებით გვიკითხავს შინაურებს), კრეიცერის რომელიღაც მელოდიას ვლილინებ, ოღონდ საკუთარი სიტყვების მისადაგებით:

არ ვშიშობ, არ ვშიშობ, არ ვშიშობ,  
ჩავიცვამ და გამოვეწყობი.

ვარდისფერ კაბას და სელის პერანგს, დილას რომ მეცვა, ვიხდი, კომოდიდან ბამბის თხელი პერანგი გამომაქვს. მას ლავანდის სუნი ასდის, მკერდმოლედილია, უაქიმო, საგანგებოდ ამ კაბებისთვის შეკერილი. ასე მგონია, რომ შარშანდელზე უფრო დამვიწროებია, და ოდნავ ვკრთები. შემდეგ პერანგს ზემოდან ჩემს ვენურ კაბას ვიცვამ და, როცა რატომღაც აღელვებული ისევ სარკეში ვიცქირები, უცებ ვგრძნობ სავსებით უმტკივნეულოდ, ისე რომ სულაც არ შემიმჩნევია, გავორებულვარ... ჩემ წინ სავსებით განსხვავებული გრძნობისა და განსხვავებულად მოაზროვნე ორი ქალია (მერე რა, რომ ისინი გარეგნულად ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, სარკის მოტყუებაც შეიძლებოდა)! დიახ, მე გავორდი: ერთი ქალი უცნაურად აღელვებული, ილღიებგაოფლილი სამოსს აჩქარებით იცვამს და თავის მშვენიერ წაბლისფერ თმას კუს ბაჯნის ქარვისფერი სავარცხლით კეფაზე იმაგრებს, ატკრეცილ სახეზე დაბნევით ისვამს ხელს, ენის წვერით ტუჩებს ილოკავს და ფიქრობს, ხომ არ შევიღებო, რომ უფრო წითლად მიღუოდესო, სადღაც მივიწყებულ კოლოფში თუ ქილაში ალკანის პომადა ეგულება... თუმცა ამ აზრს უარყოფს, რამეთუ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ქალბატონი ეშე ამას უცებ შეამჩნევს და აუცილებლად ლაპარაკს დაიწყებს. დიახ, მე გავორდი: ერთი ქალი სარკის ამ მხარეს ფუსფუსებს, მეორე კი სარკის მიღმა დგას და ვადიმებული უცქერის, რას აკეთებს პირველი... და ისიც, ის მეორეც, ერთიანად ხედავს პირველს, ისევე ნათლად ხედავს, როგორც ის სარკეა, რომელსაც იგი ამოფარებია: ხე-

დავს იმ მეორის, აჩქარებით რომ იცვლის ტანსაცმელს, ნახევრად მოგონილს და ნახევრად გულწრფელ გატაცებას ამ ბიჭით, ამ განათლებული გლეხუჭით, ამ საოცარი იააკით... ის, სარკის სიღრმეში რომ დგას, დასცინის ამას. სავე-  
ბით გასაგებია, რატომაც დასცინის. კიდევაც ძრახავს. სხვაგვარად მოქცეულ-  
ულება არც შეიძლება ასეთი ბავშვური საქციელისადმი, რომელიც...  
მაგრამ მაინც ის მეორე (რაკი პომადაზე უარი თქვა, აღარ ეშინია, რომ კბი-  
ლებს შეიღებავს) შემფოთებით იკვნეტს ტუჩებს: ნეტა რა მოჰყვება ამას? თუ-  
მცა რა მოხდება, იმასაც აინტერესებს, ტაბურეტზე რომ ზის და წინდება და  
ფენსაცმელს იცვლის, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს. თორემ ისე სავესებით  
დამშვიდებულია. მაგრამ არც ერთი ერთმანეთს არაფერს ეკითხება. რამეთუ  
სარკე მაინც არ გააგონებს შეკითხვას.

მაგრამ მაინც, როცა პირველი ქალი (უკვე თავისი ლამაზი, მაქმიანი ნა-  
ქსოვი ვარდისფერი წინდებით და ახალი, ოდნავ ნახმარი ტარსიკონის მაღალ-  
ქუსლებიანი ფენსაცმელებით) ახლა ბიბლიოთეკისკენ მიისწრაფის, იმის სა-  
ნახავად, უწესრიგოდ ხომ არა ყრია წიგნები, ოტომ და მისმა სტუმარმა რომ  
დაათვალიერეს, ყავის ჭუჭყიანი ფინჯნები და ყალიონიდან დაფერთხილი თუ-  
თუნის ნამწვავები აულაგებელი ხომ არ არისო, მეორე უხმოდ აედევნა უკან.  
საწოლ ოთახში ცარიელი სარკე რჩება, მაგრამ უჩინარი სარკე თან მიჰყვება:  
(თუ ჩვენ მოგვყვება! როგორა ვთქვათ? მათ შორის დგას, იქნებ ჩვენ შორის!)..

გზად მიმავალ პირველ ქალს (ოჰ, — მე... იმ მეორეს... ჩვენ... წმინდაო  
ჯენარო, თანდათან უფრო ვიბნევი!) მაგონდება, რომ ლენა და კაი დიასახლი-  
სის განკარგულებას ელოდებიან თეთრეულის ნაცარტუტით გაქათქათებაზე...  
და რომ, რაც უნდა იყოს, სისულელეა ყვითელი აბრეშუმის ვენური კაბით,  
საყელო ჩაის ვარდებით რომ აქვს გაწყობილი, სამზარეულოსა და სამრეცხაოში  
ვირბინო... სასადილო ოთახიდან სამზარეულოსკენ ვიძახი:

— მინა! მინა!

და როცა სასადილო ოთახში მინას გახამებული თავსაბურავი და სასაცი-  
ლო დანაოჭებული სახე ჩნდება (ოტო ამბობს, სახე დამჭკნარ კარტოფილს  
მიუგავსო), ბიბლიოთეკის კარში ჩამდგარი საჭირო განკარგულებებს ვაძლევ:  
ნაცარტუტა ჩვეულებრივ მესამედზე მეტი გაურიეთ და მერე ცხელ წყალში  
გაავლეთ, ისეთ ცხელში, ხელი რომ გაუძლებს-მეთქი! აქაური საოჯახო მეურ-  
ნეობისა და მის ყოველდღიურ საჭიროებათა მართვა-გამგეობაში უეცრად  
უჩვეულო ფხას ვიჩენ — ალბათ, რომ შეძლებოდა, ჩემი სარკისმიღმელი მე  
წამჩურჩულებდა: ამ გულმოდგინებით წინასწარ ვინდა ის გამოისყიდო... რის  
გაკეთებასაც არ ფიქრობ, მაგრამ იცი, რომ ცუდი საქმეა...

სანამ დერეფანში მიიბალებოდეს, მინა თავისი პატარა, აცრემლებული  
თვალებით მიცქერის და ამაყად, ამავე დროს კი შემკრთალი მეკითხება:

— დღეს რომელი ბატონები უნდა მობრძანდნენ ჩვენთან?!

— უკვე ყველანი აქ არიან, — ვეუბნები და ბიბლიოთეკის კარს ვხურავ.

დიდ დასადგამ საათზე ათს თხუთმეტი აკლია. სადაცაა უნდა დაბრუნდნენ:  
ბიბლიოთეკაში კი ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც ვფიქრობდი. ადღერ-  
ბერგის, ეშეს, ოტოსა და, არ ვიცი, კიდევ ვისი ყალიონების აყროლებულ ნამ-  
წვებს სპილენძის საფერფლეში ვყრი და თამბაქოს მოსაწევ მაგიდასა და ქვე-  
და თაროს კიდევებს ბატის ფრთით ვასუფთავებ. თაროზე მიყრილ-მოყრილ  
ტომებს კოხტად ვალაგებ. ისევ კარადაში აღარ ვაწყობ. რამეთუ ვიცი, ოტო

ყვირილს დამიწყებს, ისევ აგირ-დაგირევი ყველაფერიო. ეს უკვე არაერთხელ მომისმენია მისგან... მტვერს ვწმენდ, შემდეგ ფანჯარასთან მივდივარ. ფანჯრიდან ათიოდე ნაბიჯზე გადაკრეჭილი გაზონია, დილის ნიაფი ზედ შერჩენილ რამდენიმე ყავისფერ ფოთოლს არხევს. შემდეგ კაკლის დიდრონი, ოცი-ოცდაათწლიანი ხეები ჩამწკრივებულან, ძალზე ბებრებია და კარგ ნაწოტს აღარ ისხამენ, უფრო იქით, დაბლა, სანაპიროსთან, ყავრით გადანურული წისქვილის ხავსმოდებული ძელური კედლები ჩანს. მდინარეზე კი საგუბარია, ზედ გაყვანილი გზის ყვითელი მოაჯირის მიღმა წყალი მიშხუის... ისინი იქიდან უნდა მოვიდნენ, მაგრამ ჯერ არ ჩანან. იგი ჯერ არა ჩანს.. ვგრძნობ, თანდათანობით ის ქალი ვხდები, აქ, ოთახში, ბატის ფრთით რომ დაფუსფუსებს და სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ იმ მეორე, სარკისმიღმელ ქალს. ცხადია, ისიც აქ არის, ის კი არა, ორნიც არიან: გამოღებულ ფანჯრის ორმაგ მინებში და წიგნის კარადის კარებში ვხედავ, იგი ორი მხრიდან შემომცქერის. იმას, ფანჯრის მინებში რომ ჩანს, ზურგს ვაქცევ და მეორეს ვუცქერი, ვინაც წიგნის კარადის კარებში ჩანს (იქნებ იმიტომ, რომ პირველი უფრო მკაფიოა, მეორე კი ოდნავ ილანდება). ვეკითხები: — კი მაგრამ, რატომ არ შეიძლება ეს?! რა დიდი ამბავია, აქ, ბიბლიოთეკაში, ერთ სტუდენტთან დავჯდე და ფინჯანი ყავა დავლიო. მართალია, ცოტა უცნაური კი ჩანს, მაგრამ ჩემი ქმარი ნამდვილად პატივს სცემს. უფრო კი იმით არის საინტერესო, რომ თავი მოაქვს, გლეხური ხიფთანი მაცვიაო...

— მინა! მინა! — გავძახი სასადილოსკენ (იქნებ იმიტომ ვიძახი, რომ ვერ გავიგონო, რასაც ჩემი სარკისმიღმელი მე მეუბნება: „ახლა თავის გასმართლებლად ისიც გინდა გამოიყენო, რომ შენი ქმარი პატივსა სცემს“).

— მინა!

და მინა რომ გამოჩნდება, ვეუბნები:

— ახალი ყავა დაადგმევინე ცეცხლზე!

— კარგით, ქალბატონო. რამდენ სულზე და სად გავიშალოთ სუფრა?

— ამას თვითონ მივხედავ. ჰო, ჰო, წადი!

მინას ნიკაპი მკერდზე მიუბჯენია, უფერული წამწამებიდან შემომცქერის და, ცხადია, მიდის. მე კი ბუფეტთან ყავის ორ პაწაწინა, ფსკერმოოქრულ ფრანგულ ფინჯანს ვიღებ (ასეთი სულ ორი ფინჯანი მაქვს) და ბიბლიოთეკაში მაგიდაზე ვდგამ.

უკანასკნელ წამს კი თავში ნაირ-ნაირი აზრები მერევა: იქნებ იის სურნელოვანი ოდეკოლონი მეპკურებინა (მაგრამ რატომ? სისულელეა... ვარდის სურნელოვანი ოდეკოლონი იმიტომ ავირჩიე, რომ კაბა ჩაის ვარდებითა მაქვს აწყობილი), იქნებ მინდორში გავიქცე, ოქროსლილები დაგკრიფო და შავი ჯარმარლოს პატარა ლარნაკში ჩავაწყო: უკან მობრუნებულს თვალებში ჩავხედავ, რათა სიამოვნებით დავრწმუნდე, რომ მართლაც ისეთივე ლურჯი თვალები აქვს...

თერთმეტის ნახევარია. ვაითუ ანიტა გაცივდეს... კი მაგრამ, რატომ ვღელავ, ხომ თორმეტი წელიწადია, რაც ამის მსგავსი არაფერი მომსვლია... არაფერი?! რაო, განა ცოტა შემთხვევა მქონია, ყავა დამელია tête à tête სტუმართან ვირუ-ნიგულაში და აქაც? ღმერთო ჩემო, მე ხომ მონა არა ვარ, პატარა დედოფალივით თავისუფალი ქალი გახლავართ, როგორც ოტოს უყვარს თქმა. განა სამუდამოდ უნდა ავუკრძალო თავს, ახალგაზრდა კაცი არ მოგეწონოს-მეთქი?!



არა! არა! სასაცილოდაც არ მყოფნის ასეთი მოვალეობა (ჩემი სარკის მიღმელი მე საყვედურით შემომცქერის თვალებში: ღმერთო ჩემო, საიდან მომდის თავში ეს საზარელი სიტყვები და ვულგარული კითხვები?). თორმეტი წელიწადია, ერთხელაც არაფრის უფლება არ მიმიცია თავისთვის, თითქმის არაფრის დღეს კი...

...ხოლო ახლა ისე ვღელავ, გული ყელში მებჯინება, <sup>ეროვნული</sup> <sup>ბიზნესული</sup> ფანჯრიდან ვხედავ, რომ საგუბარზე გამოვლით მოდიან. ანიტა წინ მოცუნცულებს (ვერ გამოგია, სად დაეხეტებოდნენ ამდენ ხანს!), ის კი უკან ორჯერ უფრო ნელა მოაბიჯებს, მაგრამ ორჯერ დიდ ნაბიჯებს დგამს. ახლა ფანჯრიდან აღარ ჩანან და უცებ, წამიერად ვიგრძენი, რომ მათი თვალთვალაც შემეძლო... რომ ერთმანეთისთვის არ ეკოცნათ, თუკი დააპირებდნენ... (დღისით, მზისით, პასტორატის ეზოში... ღმერთო ჩემო, რა სისულელეს არ გაიფიქრებს ადამიანი!)...

— მინა, ყავა შემომიტანე!

ცხელი ყავადანი, მძივებით მოქარგული ქუდი რომ ხურავს, უკვე მაგიდაზე დგას, ის ბიჭი კი სასადილოში შემოდის და მის შესახვედრად ბიბლიოთეკიდან რომ გამოვდივარ, წმინდაო ჯენარო, ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ვღელავ, თავი მაინც ღირსეულად მიჭირავს! ვგრძნობ, უცნაურ სიამოვნებას მგვრის ის ამბავი, მასზე შვიდი-რვა წლით უფროსი რომ ვარ, საკუთარი თავის რწმენას მანიჭებს, დედობრივ უპირატესობას მაგრძნობინებს ამ თავისებურ ბიჭთან ჩემს დამოკიდებულებაში. სარკისმიღმელ ორეულს ვუცქერი, პრევოს რომანების ყუას რომ აელვარებს და ისე მომჩერებია, და მის აზრებს ვკითხულობ: „რაიმეთი ხომ მაინც უნდა ინუგეშო თავი, რომ უკვე არც ოცდაორი წლისა ხარ და არც ოცდასამის... კარგი, კარგი, დავუშვათ თუნდაც, რომ ცხოვრება შორიდან მინახავს მხოლოდ — მინახავს ევროპაში მოგზაური კარეტიდან, სანკტ-პეტერბურგელ ვაჭართა ფანჯრებიდან („იმპერიალის“ ნომრის ფანჯრებიდან, ოპ, ღმერთო ჩემო...) ვირუ-ნიგულისა და ექსის სამზარეულოსა და საბავშვო ოთახიდან. რაც უნდა იყოს, ცხოვრებისთვის მაინც მრავალმხრივ შემიხედავს და ბევრი რამ მიხილავს, ასე რომ ახლა სავსებით მშვიდად ვამბობ:

— ოპ, ბატონო პეტერსონ, ისე დიდხანს დასეირნობდით, თითქოს აქ ბევრი ღირსშესანიშნავი რამ გქონდათ სანახავი...

— ლამაზი ტბა გქონიათ. — დინჯად ამბობს და ფანჯარაში იცქირება, ტბა აქედან ხომ არა ჩანსო. — ანიტამ თითქმის თვით კუკულინამდე მიმიყვანა, უნდოდა ის ლოდი ეჩვენებინა.

— სწორია, თქვენ ხომ მითოლოგიის მცოდნე კაცი ხართ, — ვეუბნები, რამეთუ დილას, მაგიდას რომ ვუსხედით, ყური მოვკარი, რაღაც მითოლოგიისათვის მოუკიდია ხელიო. — ჰო, მართლა, — ვეუბნები (ღმერთმა იცის, შეიძლება რაღაც მეშლებოდეს, მაგრამ რატომღაც მგონია, ამის თქმა კარგი იქნება-მეთქი) — მართლა, თუკი მოგეჩვენოთ, რომ... რომ ბატონი პრობსტი ამგვარ რამეებს საკმაო ყურადღებით არ ეკიდება, ეს შეცდომა იქნება, რადგან...

— რასაკვირველია (იგი სიტყვას მაწყვეტინებს), ბატონი პრობსტი ასე სულაც არ ფიქრობს. ხალხურ საუნჯეს იგი დიდი პატივისცემით ეკიდება. მხოლოდ ესტონურ ხალხურ სიმღერებზე თქვა, ისინი მომავლის საქმეა, მათ ისინი მოჰკიდებენ ხელს, ვისაც მეტი ექნება გაკეთებული, და არა ჩვენო. რად-

გან ჩვენ ყველანი მხოლოდ საქმის წამომწყებნი ვართო. მაგრამ ეს სულ სხვა რამ არის.

— ძალიან სასიამოვნოა, ეს რომ იცით. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ჩვენი ტბის ცივი ქარი იწვნიეთ, ფინჯანი ცხელი ყავა მიირთვიეთ!

მე ვჯდები. ისიც ჯდება. ყავას ვასხამ და ვერცხლის სამაქრით მაქრის ლამაზ მოცისფრო კენიტებს ვაწვდი.

— გმადლობთ! არ მინდა.

ფეხი ფეხზე გადაიდო, მისი გრძელი წვივი მუხლს ებჯინება, გაცრეცილი ვიწრო შარვლიდან კუნთები იკვალთება. შეიძლება ბალახის კონით საგულდაგულოდ გაწმენდილი, მაგრამ აქა-იქ მაინც ტალახშემორჩენილი მისი ფეხსაცმელი გაფიქრებინებს, თუკი ეს ბიჭი გაბრაზდა, დაბურულ ტყეში ახალგაზრდა ცხენ-ირემივით გაიჭრებაო. მაგრამ ახლა ფეხი ფეხზე გადაუდვია და ორთქლადენილ ყავას ისეთი გამომეტყველებით სვამს, თითქოს იმ ფინჯანს, რომლითაც თითქოს ყოველდღიურად მიირთმევს, არა მხოლოდ ფსკერი ჰქონდეს მოოქრული, არამედ ერთიანად ბაჯაღლო ოქროსი იყოს... ყავას შევექცევით და ვსაუბრობთ. იგი რიგელი მნათესა შვილი ყოფილა. ასე რომ წარმოშობით არცთუ ისე სათაკილო ვინმეა; მისი ხიფთანი რომ ვნახე, ასე მეგონა, გლახის შვილია-მეთქი... უნივერსიტეტიც შარშან მიუტოვებია, რადგან თურმე ხეირიანს არაფერს ასწავლიდნენ...

— მაინც რატომ?!

— იმიტომ, ქალბატონო, რომ მთელი ის ჰუმანიტარია, რასაც იქ ასწავლიან, უმთავრესად მრავალი წლის წინანდელი ნაგავია, სხვა არაფერი...

მაშ ასე... ვგრძნობ, რომ შეიძლება მერყევ ნიადაგზე აღმოვჩნდე... თავისთავად ცხადია, ეს სიტყვები სხვა არაფერია, თუ არა ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი ზომიერების გრძნობის უქონლობა, თუმცა, როგორც მეჩვენება, მას თავდაჯერება ასულდგმულებს და უჩვეულო სიმალლეზე აპყავს.

— მაინც რატომ გაცვიათ ასე უცნაურად? ხომ მაპატიებთ ცნობისმოყვარეობას?

ამას რაც შეიძლება ალერსიანად და ინტერესით ვეკითხები. რადგან ალბათ ამ უცნაურობებს მისთვის ღრმა აზრი აქვს. ლამის დაძარღვულ ხელზე მივუაღერსო, რომ გამბედაობა შეემატო. მაგრამ ეს არ სჭირდება. მთხოვს, ნება მომეცით, ყალიონი გავაბოლოო ამბობს:

— ქალბატონო, თუკი გსურთ, ჩემი ბიოგრაფია იცოდეთ, მაშინ გეტყვით, რომ მინდა ეს ტანსაცმელი მოწოდებასავით იყოს: დავრჩეთ ჩვენი წარმოშობის ერთგულნი, ნუ ვუღალატებთ საკუთარ თავს! ეჰ, ნუთუ ეს მუდამ ასე აუცილებელია? თუკი ცალკეული ადამიანის ცხოვრება საჭიროა, მაშინ ხალხის ცხოვრება, ჩემი აზრით, ნაკლებ საჭირო არ არის. მე კი დიდი ხანია ვხედავ, რომ ესტონელი ხალხის განათლებული ნაწილი, ეს საშინლად მცირე ნაწილი, რომელიც რაღაც სასწაულებრივად მაინც არსებობს, — მეწისქვილეებსა და ბურგომისტრებზე არ მოგახსენებთ — როგორ ცდილობს თავისით ალიგავოს პირისაგან მიწისა, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უარპყოს საკუთარი თავი. უბირი ადამიანები პირდაპირ აცხადებენ — ამას კარგი ცხოვრებისთვის სჩადიანო, ფილოსოფიურად მოაზროვნენი კი — გარდაუვალიაო... მაგალითად, ტარტუში იყო ერთი სტუდენტი, ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი, ვინმე პლოშკუსი, იგი გერმანულად მღეროდა:

მე ესტონელი ვარ.

შეგიძლია აბუჩად ამიგდო, შვაბო ღვარძლო და ბოდმეც...

ახლა კი უკვე ცნობილი ამბავია, ვინც გახდა იგი...



— მაინც ვინ?

— ბატონი პასტორი გახდა, თავის შვილებს რომ ეუბნებოდა...

ხართო!

ბატონ პეტერსონს შუბლი რისხვით შეუჭმუნნავს. ბიჭოს, — ვფიქრობ მე, — თურმე შეუძლია ასეთივე იყოს... და სურვილი მიჩნდება, ცოტა გავაბრაზო. ოდნავ მაინც შევაცბუნო ეს ბიჭუნა. უბრალოდ მინდა შევაცბუნო, რათა ვნახო, რას მიპასუხებს. ვეუბნები:

— კი მაგრამ, ბატონო პეტერსონ, განა ეს თავისთავად არ იგულისხმება? აქ, ამ სახლშიაც ხომ მუდამ...

სიტყვას ისე მაწყვეტინებს, რომ წინადადებას ვერ ვამთავრებ.

— ყოველ შემთხვევაში, ბატონ პრობსტს არასოდეს უმღერია: მე ესტონელი ვარ; თუმცა, ცხადია... დიახ... შარშან კი ერთ სტუდენტურ კომპანიასთან ერთად რაადის საეკლესიო კარ-მიდამოში მოვხვდი ფონ ლიპპარტთან (იქ უფრო მეტია ხელოვნების ნაწარმოები, ვინემ მთელ ლიფლანდიაში) და იქ დაგვხვდა ერთი ცამეტი წლის ბიჭი, ვისი ამბავიც ადრე შემთხვევით გამეგონა. გვარად კრიუგერი გახლდათ თურმე, ლიპპარტის ხარჯზე სწავლობდა სკოლაში, კავესის საეკლესიო კარ-მიდამოს მეკუჭნავეს შვილი ყოფილიყო. ესტონურად რომ დაველაპარაკე, მითხრა, არ მესამის, რას მეუბნებითო! ერთადერთი რამაც დამამშვიდა და პატარა იმედი შთამინერგა, ის გახლდათ, რომ სოფლელი ბიჭის ფართო სახე წამოუჭარხლდა. ასეთი პასუხი ხშირად გამიგონია, მაგრამ სირცხვილით აწითლებული ცოტა ვინმე თუ მინახავს, და მაშინ გადავწყვიტე: ვინმემ ჭეშმარიტება ხომ უნდა დაადგინოს! დაადგინოს საკუთარი მაგალითით-მეთქი.

წარბებს ჭმუნის და ფანჯრიდან ნაძვების კენწეროებს გასცქერის, წითლური ქილვაშებით დაფარული ჭიუტი ნიკაპი წინ გამოუშვერია. ვეუბნები:

— თქვენი სიტყვებიდან ჩანს, რომ გულმხურვალედ ეკიდებით ამ საქმეს. სალიან სასიამოვნოა ამის შეგროვება... აქ, ამ ქვეყანაში, სადაც გულგრილობა დიდი პატივით სარგებლობს.

ველო, რომ სახეს ჩემკენ მოაბრუნებს, მაგრამ არა, არ მოაბრუნა, ნაძვების კენწეროებს გასცქერის და ჩემი სიტყვების მნიშვნელობას წონის. იქნებ არ გაუგონია ჩემი ნათქვამი?...

არავითარი გეგმა არ გამაჩნია. მე მისით ვსუნთქავ. მისი მღელვარებით, მისი მოუქნელობით, ავტორიტეტთა მისეული უარყოფისა და წინააღმდეგობით აღიარებით, მისი თამბაქოს მწკლარტე სურნელით, მისი სხეულის ახალგაზრდობით და ამ ანცი ნიავით, ოთახში მის აჩეჩილ თმას რომ შემოჰყვა. ვეუბნები:

— ჩვენთან, ლიფლანდიაში, კარბონარები რომ მოქმედებდნენ, ნამდვილად მათ შეუერთდებოდით...

მან შემაშინებლად ლურჯი თვალები შემაველო:

— ისინი ხომ იქ არიან, თქვენს იტალიაში. და ისინი იქ ნახშირს კი არ წვავენ. მართალი რომ ითქვას, მათზე ბევრი არაფერი გამიგონია.

— აჰ, ბევრი არაფერი გამიგონიათ? — გატაცებით ვეკითხები (სწორედ

სულ ახლახან ოტოსგან გავიგე კარბონარების ამბავი. აქაოდა, ახლა მათზე ბევრს ლაპარაკობენ ნეაპოლსა და საფრანგეთშიო და, მიუხედავად იმისა, რომ მუამბოზენი არიან, ბევრ რამეში ქრისტიანული ან თვით მასონური მსჯელობებიდან გამოდიანო) და მისკენ სულ ახლოს დავიხარე — სავარძელი, რომელზედაც ის ზის, ჩემს სოფაზე ოდნავ დაბალია, ასე რომ უნდა ჩვენი ვარდების თბილი სურნელი, ჩემს სახესა და კისერს რომ ასდის... — კარბონარები თანამედროვე იტალიელი სიმართლისათვის მებრძოლნი არიან, ეს ის ხალხია, ვისაც სურს იქ, ქალაქებშიც, მთებშიც და ყველგან თავიანთი თავის ერთგულნი დარჩნენ... თუ არ ვცდები, მათი დევიზია — ეს დევიზი ამ ქვეყანასაც მოუხდებოდა — დამჩაგვრელ მგელზე კრავის შურისძიება! მოითმინეთ, — მე ისევ ვავსებ ჩვენს ფინჯნებს, — აქ სადღაც უნდა გვქონდეს კარბონარებზე დაწერილი ერთი იტალიელის პატარა თხზულება (მართლაც უნდა გვქონდეს, მე ეს ვიცი, ოტომ ერთი ადგილი გადმომათარგმინა, რომელიც თვითონ კარგად ვერ გაეგო), წიგნის თაროსთან მივდივარ და მხარზემოდან მაცდუნებლად ვუცქერი:

— იქა დევს, მალლა, ხომ არ ინებებთ...

მცირე ყოყმანის შემდეგ ხვდება, რომ უნდა მომეშველოს. უკნიდან მიახლოვდება. მე მასა და თაროს შორის ვექცევი და ნაბიჯს განზე ვდგამ. კაბით ვგრძნობ, რომ მხრით ვეხები...

— იქა დევს, საკმაოდ მალლა, მარჯვენა მხარეს..

ხელს თითქმის ჭერამდე იწვდის. ძალზე მალალი ბიჭია. ბროშურას იღებს და შუა ოთახში მდგომი კითხვას იწყებს.

— ბიჭოს, თქვენ იტალიურიც იცით?

— არა.

— მაშ როგორღა კითხულობთ?

— თუ დავუკვირდები, ცოტა მესმის...

— ამისთვის საჭიროა უჩვეულოდ ნიჭიერი იყო... — ალტაცებით ვეუბნები (მართლაც გაოცებული ვარ) და ვუახლოვდები...

— ვისი დაწერილია?

წიგნი ხელში უჭირავს. რამდენიმე გვერდი უკან გადავფურცლე. ჩემი თითები მისას ნახევარი დიუმით არის დაშორებული.

— კარლო ჯუზეპე ბოტა<sup>1</sup>, არ ვიცი, ვინ არის.

— მე — მით უმეტეს.

მისი ლურჯკოპლებიანი ხაოიანი ყელსახვევი და ზედ დაბნეული ვერცხლის პაწაწინა ქინძისთავი თითქმის სახეზე მედება. მარჯვენა ხელში წიგნი უჭირავს, მარცხენაში — ყალიონი. წმინდაო ჯენარო, ვერ შემოგფიცავ, რაც მოხდა, შემთხვევით მოხდა-მეთქი.. იმ წამში ალბათ ეს სავსებით... მე მარცხნივ მივტრიალდი — ყალიონი მარცხენა ხელში უჭირავს, იგი ჩემი მკერდის სიმაღლეზეა — რომ მივბრუნდი, მარჯვენა, ადგნებისაგან დაბუსხული ძუძუსთავი ნელა და მგრძნობიარედ გადავუტარე ხელზე, მაჯიდან თითისწვერებამდე, ლიფსა და აბრეშუმის კაბაშიც გარკვევით ვგრძნობ მისი ხელის ზურგის შეხებას... იგი ადგილიდან არ იძვრის. სიტყვასაც არ ამბობს. მაგრამ უცებ თვა-

<sup>1</sup> ბოტა, კარლო ჯუზეპე (1766-1837) — იტალიელი ისტორიკოსი და პოეტი.

ლი გამისწორა. და მეჩვენება, რომ მისი დამაბრმავებელად ლურჯი თვალები უსაზღვრო გაოცებას ჩაუშუქებია.. ვეუბნები:

— მგონი, მათ ხელმძღვანელს Capobianko ჰქვია.. მართლაც <sup>სასაქონლოა:</sup> Capobianko — თავთეთრას ნიშნავს. მას ნამდვილად შავი თმა ექნება, თქვენ კი ასეთი ქერა ყმაწვილი ხართ.

კიდევ რაღაცას ვამბობ. ჩვენ ისევ ვსხდებით, არ მახსოვს <sup>ეროვნული</sup> ~~რაღაც~~ ვეუბნებო. ყოველ შემთხვევაში იმას არ ვეუბნები, რასაც განვიცდი... ვგრძნობ, რარიგ მსურს, რომ ამ ბიჭმა მინდომოს...

მადლობა ღმერთს, უკვე მესმის, სახლის ბოლოს როგორ აწრიპინებდნენ ვიოლინოს გოგოები, და ადგილისა და დროის შეგროვება მიბრუნდება, მიბრუნდება იმის შეგროვება, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე ფარისევლური ქვეყნის უმაღლესი სასულიერო პირის ცოლი ვარ.

— ოჰ! — ვიძახი შემკრთალი და დასადგამ საათს ვუცქერი, — უკვე ორის ნახევარი ყოფილა!

ეს იააკი თვალებით მთლიანად თან მიმყავს. მიმაქვს მისი ახალგაზრდული მოუქნელობა, მისი უსუსურობა, მისი გრძელი ღონიერი ხელები, მისი ოქროსფრად აბრჭყვიალებული ქილვაშები, მისი შეცბუნებული და გაკვირვებული მზერა.

— უნდა წავიდე. ძალიან ვნანობ... — სინანულის გამოსახატავად წამით მრავლისმეტყველად დავდუმდი. — მაგრამ აქ ათასამდე წიგნი აწყვია. ხომ გეყოფათ... სადილობამდე?!

წასასვლელად ვდგები. ისიც დგება. მე ხელზე ხელს ვკიდებ, რომ ისევ სავარძელში ჩავსვა.

— არ გინდათ, არა, იჯექით..

მისი დიდი ხელი სულაც არ ყოფილა ისეთი ცივი, მე რომ მეგონა. იგი თბილია. ცხელიც კი. გეგონება, ხურვება სჭირსო.

— ნახვამდის. ჩვენ სადილზე შევხვდებით ერთმანეთს.

ბიბლიოთეკიდან ჩქარა გავდივარ (მართლაც თადარიგი უნდა დავიჭირო, რომ ხეირიანი სუფრა გაიშალოს). მივდივარ და წიგნის კარადის მინებში ვიცქირები. ჩემი ირონიული მე მინას ტოვებს, კირით შეფეთქილ თეთრ კედელს ეხება და ქრება. რჩება მხოლოდ ჩემი ნამდვილი მე.

5.

ესეც ასე. ხოლმანი თავისი მასწავლებლებითურთ წავიდა. ახლა შემძლია ჩემს სამუშაო ოთახში თავისუფლად გავიზმორო. ეეე! მართალი გითხრათ, ამ ბოლო დროს აქ სული მეხუთება. წიგნების, ხელნაწერების, სხვადასხვანაირი საკრავების და ათასი რამერუმის ეს გროვა სულს მიხუთავს. ეეე!... აბა ერთი თავისუფლად გავიზმორო.

საათ-ნახევარი ვუხსნიდი იმ მასწავლებლებს, ტყუილუბრალოდ ნუ შიშობთ, მართალია, სკოლაში სწავლების ჩემი მეთოდი ძალიან ჰგავს იმ მეთოდს, მთავრობა რომ კრძალავს, მაგრამ იგივე მაინც არ არის-მეთქი. არ ვიცი, კარგად გამიგეს თუ არა. იმდენად პატივს მცემენ, საეჭვოა, არ დამიჯერონ, ან შეკითხვა გამიმეორონ. ანდა, მით უმეტეს რაიმე იეჭვონ. დაე, აგრე იყოს,

ვთქვით, მე ეს დავიმსახურე. დავიმსახურე შრომით. მაგრამ შეეძლოთ თავი-  
ანთი პატივისცემა ნაკლები შეცბუნებითა და უფრო ინტელიგენტურად გამოე-  
ხატათ. რამეთუ რამდენადაც ნაკლებად ვცდილობ ისინი ჩემს ტოლებად მი-  
ვიჩნით, მით უფრო მბეზრდება მათი თვითდამცირება. თუმცა ვის როგორ შე-  
უძლია გამოხატვა... ჰო, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩემთვის, ჩემთვის ჩემი მე-  
თოდის დაცვა მოჩვენებითი საქმე არ არის. ეეეჰ, რომელმაც შეტყობის საკვსე ტო-  
მრებმა მოიგონეს სანკტ-პეტერბურგში, რომ ნებისმიერი მეთოდი, რომლის  
თანახმადაც მოწაფეები ერთმანეთს ამეცადინებენ, ლანკასტიორობა არისო...  
ლანკასტიორობა კი მინისტრმა მწვალებლობად გამოაცხადა. ამავე დროს ლანკა-  
სტიორები ინგლისში სულ რაღაც ათი თუ თხუთმეტი წლის წინ გაჩნდნენ, მე  
კი როდის ვნახე, რომ ჰალეს ღარიბთა სკოლაში ჩემი მეთოდით ასწავლიდნენ?  
1873 წელს. მაშინ ის კაცი, ვისი სახელიც ლანკასტიორებმა დაირქვეს, ჯერ  
კიდევ შარვალში ისვრებოდა. დიახ... ლანკასტიორულია თუ არა ჩემი მეთოდი  
და რამდენად არის ლანკასტიორული (წარმოშობით კი არა, პრაქტიკული დამ-  
თხვევით), ეს გარკვევით თვითონაც არ ვიცი. იმათ კი, ვინც იქ იმყოფება, —  
პეტერბურგში — მით უმეტეს არ იციან! გასაგებია, რომ სოფლის მასწავლებ-  
ლებისთვის ეს არ მითქვამს... და საერთოდ, განა შეიძლება საქმეზე სახელწო-  
დების მიხედვით მსჯელობა (მით უმეტეს, თუ ეს სახელწოდება უსაფუძვლოდ  
აქვს მიკვრებული), პატივცემულო დეპარტამენტების უფროსებო, ჭეშმარი-  
ტი შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ, იმის მიხედვით, თუ რა ნაყოფი მოაქვს პრა-  
ქტიკას.


დიახ. თუმცა მასწავლებლებს ახსნა-განმარტებას რომ ვაძლევდი, ისე გა-  
მიტაცა ამან, მხოლოდ ენას ვატარტარებდი, ხელები კი დავაუქმე...

მაშ ასე. გოგირდმყავიანი ბოთლი აქ არის, კედლის კარადაში, ჰმ. კიდევ  
დარჩენილა ნახევარზე მეტი. ცოტა დამიხარჯავს. ან სადა მქონდა იმდენი დრო,  
ჩემი თხზულებებისთვის სურათების გრაფიურები დამეტანებინა, როგორც ჩა-  
ფიქრებული მქონდა...

მაშ ასე. ერთი მენზურა. მეორე მენზურა. პირველ რიგში შესაფერისი  
ნამსხვრევები უნდა შევარჩიო. პატარა ჩაქუჩი... ნეტავ რა ვუყავი გუშინწინ ის  
პატარა ჩაქუჩი? აჰა, აგერ არის, ბატონ სტუდენტ შნელის საცდელი ქადაგე-  
ბის ქვეშ ენის ასე საშინლად დამახინჯებას, როგორც ამ ქადაგებაშია, თვით  
ბატონი პრობსტი ბერგიც ვერ შეძლებდა.. რამეთუ ესე გახლავთ მისი ეპის-  
კოპოსური უდიდებულესობის პირწმინდა აბდაუბდა...

ფუი ეშმაკს. ცერის ფრჩხილზე ორ კვირას არ გადამივლის სილურჯე... სა-  
მაგიეროდ ნამსხვრევები საუკეთესო გამომივიდა... თავს მოსაჭრელად მაინც  
ვერ დავდებდი, ეს ქვეები ზეციური წარმოშობის არის-მეთქი. რამეთუ ყველა-  
ფერი ის, რაც კაიავერში მიაშბეს, არც სხვა ვარაუდს გამორიცხავს. პირიქით,  
შეიძლება ლოკოველი მიხკელის მწყემსია ნაამბობის მიხედვით კიდევ უფრო  
საეჭვო გახდეს მისი შესაძლებლობა... და შემდეგ ცეცხლოვანმა ბურთმა ჩაი-  
ქროლაო! და ისეთი მენი გავარდა, თითქოს წვიმა და ღრუბლები ისარს გაეხვ-  
რიტოსო... მაგრამ იქნებ ეს მართლა მხოლოდ და მხოლოდ უცნაური ჭექა-ქუ-  
ხილი იყო, ლოკოველ მიხკელია მინდორში დაგდებულ უზარმაზარ ლოდს გრუ-  
ხუნით რომ დაენარცხა? ისე დაენარცხა, რომ ამ უზარმაზარი ლოდის ცეცხ-  
ლოვანი ნამსხვრევები მთელ მინდორზე გაიფანტა?... პირველ ყოვლისა, სწო-  
რედ ამას დავადგენ.

ლოდს წვერზე ორი ღრმა ბზარი ჰქონდა, ეტყობა, რამდენიმე კვადრატულ ფუნტზე ზედაპირიც გამდნარიყო. მიხეკლს დავავალე, კიბე მოეტანა და ლოდზე მთელ საათს ვიდექი, ზედ დავფორთხავდი, პირალმაც ვიწეჭი და იმ მხარეს, საითაც გამდნარიყო, რამდენიმე ფუნტი ნამსხვრევი მაინც ჩამოვადებე. რის შემდეგაც შარვლის ჯიბე ისე გამომებერა, თითქოს შიგნითასი მანეთი ოქროს ფული მედო...



ერთი მენზურა და მეორე მენზურა...

სინამდვილეში ეს საქმე მხოლოდ და მხოლოდ დაავენებაა. საკუთარი თავისთვის მოპარული, მაგრამ მაინც დასვენება. ეს იაეთი საქმეა, რომელსაც კაცმა ხელი არ უნდა მოჰკიდოს. ამ საქმეს არც უნდა ვუკირკიტებდე, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დრო სულ არა მაქვს... თუმცა მით უფრო ადვილია საკუთარ თავს დაუმტკიცო, ყოველივე ეს აუცილებელიაო. მით უფრო ადვილია — რომ მათზე თავისტება მართლაც აუცილებელია. რამეთუ ჩვენს ძვირფას სამშობლოში გასაქეთებელ საქმეთა ნახევარიც არასოდეს კეთდება. ცხადია, იძულებული ვარ ყველაფერს მივედ-მოვედო... ეს კი იმის ბრალია, რომ ხალხი არა გვყავს... თუმცა ეს რა სულელური ახსნა-განმარტებაა?! ვინ მოიგონა იგი? რას განმარტაეს?! გახვრეტილი შაურიანიც არა ღირს. ადამიანები ნათი საერთო საჭიროებისთვის მუდამ თანაბარი რაოდენობით არიან: თუ სადმე ათასმა კაცმა რაიმე ისურვა, არანაკლებ ათიათასობით თუ ათეული მილიონობით მოქმედების სურვილით შეპყრობილი ადამიანი აღმოჩნდება. მაგრამ თუ ერთგან ისინი ნაკლები იქნა, მეორეგან — მეტი, მხოლოდ და მხოლოდ იმითომ, რომ ამ უკანასკნელთა შორის ჩვენი ლიფლანდიელი ლიტერატორებისა და დამწყები მწერლების მსგავსი ზარმაცები, უქნარები, ახგარებიანნი და უპასუხისმგებლონი უფრო ნაკლებად გვხვდება! ეეჰ... უცებ ისევ იმათზე არ გადავედი...

პირველი მენზურა და მეორე მენზურა... ყოველ მათგანში სიმეცხვე დაახლოებით მეოთხე დანაყოფამდეა... არა! მოიცა! ჯერ გამადიდებელი შუშა...

ეს ანტონი კი, ეს გადაბერებული კარტოფილი, დამცინავად მეკითხება, რატომ თხუთმეტი წლის წინ არ შეუდექი შენი გადაწყვეტილების განხორციელებას საკუთარი ხალხის სამსახურის თაობაზეო?! ამ მამაც მხედარს ჰგონია, თავისი საკრედიტო სალაროს მდივნის გროშებით, მართლა ჩემი ქალიშვილის შესაფერისი იყოს... იმას კი, თუ როგორ იმოქმედა ჩემზე, როცა ჩემი პირველივე ნამუშევარი ჩემმა პატივცემულმა მეგობარმა (მხედველობაში მყავს იიხვისელი კობი) ისე გააკრიტიკა, რომ მისგან ქვა ქვაზე არ დატოვა, ეს უბადრუკი ლაწირაკი არც მეკითხება! შეიძლება მთლად არ გავუნადგურებოვარ... მაგრამ მაინც იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ კობი მართალი იყო... და ჩემი თავმოყვარეობისათვის ეს თხუთმეტი წელიწადს კმაროდა... რომ მომაგონდება, როგორ ნთქავდა ჩემს ანბანს ცეცხლი, როცა ქველა სამას ცალს ზედიზედ ჩავუძახე შიგ, სახეზე ახლაც აღმური მეკიდება. ყოველ წიგნს ჯერ შუაზე ვფხრეწდი... ის კი არ ვიცი, რატომ ვაკეთებდი ამას... ალბათ შურისძიების მიზნით, მალე დაიწვას-მეთქი... ისინი მაგრად იყო შეკინძული და მიჰქირდა გახვევა. ასე რომ, პირმოკუებული ვფხრეწდი წიგნებში დაბატულ ფრთებჩამოყრილ მამლაყინწებს. ცეცხლში, ცეცხლში, ცეცხლში!.. ლიუგანუსის პასტორატის სამზარეულოში დიდი გამჭვარტლული კერა გიზგიზებდა და ძელურ კედლებზე წითელი და შავი ჩრდილები ლიცლიცებდა... და ჩემი შერ-

ცხვენა... ევპ. არც გამიკვირდებოდა, შუბლზე რომ ცეცხლოვანე ნიშანი გამჩენოდა. დიახ, მე ვიცი, რასაც ნიშნავს, როცა გაკრიტიკებენ ვიცი, როგორ შეიძლება ამან ადამიანს ნებისყოფა მოუდუნოს (არა, რაიმე საქმის კეთების ნებისყოფა კი არა, არამედ მისი დაწყების ნებისყოფა) კომუნისტური და ზომიერი უნდა იყოს. ესე იგი, კრიტიკა-მეთქი. ადამიანს უნდა გაეწიოს ანგარიში და პირობებსაც. თუმცა (წლების განმავლობაში ამაშიაც დავრწმუნდი) კრიტიკა მკაცრი და პირუთვნელი უნდა იყოს და არა ზერელე, ორაზროვანი და მათმებლური...

ეს სქელმინიანი გამადიდებელი შუშა კარგია, სახელურზე სპილენძის მავთული აქვს შემოხვეული. საიდან ჩამოვიტანე იგი? სანატ-პეტერბურგიდან, დიახ... უკანააქნელად დიდი თავადის ადიუტანტად რომ ვიყავი... ჰმ... კარას დღემდე ვერ გაუგია, რატომ ვერ ველევი ამ ლოყებლაჟლაჟა ადღერბერგს, ამ ბატონ მაიორს. დასადგამი დოღივით რომ ბრახუნობს... საოცარია, რა ცუდად ერკვევიან ქალები დიპლომატიის საკითხებში... თვით ისეთი გონებამახვილი ქალიც კი, როგორიც მარ ჯიხის ასულია. კარას ავლხსეხი ადღერბერგს პეტერბურგში ჰყავს მამინაცვლის შეილი, იგი ნიკოლოზ პავლეს ძის ადიუტანტია-მეთქი, მაგრამ ვერ გამიგო... („მერე რა, იგი მაინც გაუთლელი ჭირკია“. ცხადია, ეს სიპართლეა, თუმცა იგი მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისი გამოყენებაც, საბედნიეროდ, შეიძლება, და მზად არის თუნდაც შუალამისას მიმიწეროს თავისი მამინაცვლის შეილთან სარეკომენდაციო წერილი!) იესო ქრისტე, აქამდე შვიდჯერ ნაწლავებიანად შემსანსლ კდნენ ნაირ-ნაირი რიხტერები, მორიციები, ლივენები, რომ გასაძრომი არ მეპოვა, რათა მისი საშუალებით შემძლებოდა მინისტრებისათვის, განსაკუთრებული საჭიროების ქამს კი თვითონ ხელმწიფისთვისაც მიმემართა.

ახლა ჩვენს ნამსხვრევებს გამადიდებელი შუშით დავხედოთ... როცა უცქერი გაცილებით უფრო დიდი ჩანს, ვინემ სინამდვილეშია, სულ კი მხოლოდ ხუთმაგად ადიდებს. მაგრამ მაინც გგონია, თითქოს სულ სხვა სამყარო გეშლებოდეს თვალწინ. შეხე, წითელი, რუხი და შავი ლაქებისგან როგორი სურათი შექმნილა, ისეა აჭრელებული, როგორც ადგილობრივი ბულისა და გერმანული ჭიშის ძროხის შეჯვარებით შობილი ხბოს უკანალი... ლოკოველი მიხველის ეს გრანიტი კი... ის ქაჩალი ეშმაკი მართლაც გრანიტივით იყო, მაგრამ ვტეხე, ვტეხე და მაინც საკმაოდ ბევრი ჩამოვტეხე... თუმცა ისე ღონივრად იმიტომ შეეძელი მისი მსხვრევა, თვითონაც გრანიტივით მაგარი ბერიკაცი ვარ... მეც სხვადასხვა ჭიშის მშობლებისგან შობილი ხბო ვარ: ერთი ადგილობრივია, მეორე გერმანელი. ჰა-ჰა-ჰა-ჰა... ცხადია, სისხლის მიხედვით თანაბარი წარმატებით შემეძლო თავი ესტონელადაც გამესაღებინა და გერმანელადაც... მაგრამ ვინ რას მოიგებდა, მამაჩემის ვლებურ სისხლზე ყვირილი რომ დამეწყო? მე უფრო მეტს ვლაპარაკობდი (და დღემდეც ვლაპარაკობ) დედაზე, რაზედაც ზუსტად იგივე უფლება მაქვს... მეტიც კი! რამეთუ როცა ის-ის იყო სწავლა დავიწყე და შემდგომშიაც, როცა ესწავლობდი, იგი ჩემზე უფრო დიდ ვავლენას ახდენდა, ვინემ მამა. დიახ. მაგრამ საბოლოო ჯამში ჩემი შემდგომი აღზევება შესაძლებელი გახდა მისი წყალობით. ამას ყველა მიხვდება, ვინც კი აქაური წესები იცის, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემმა მემკვიდრეობით შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე მიმემკვიდრა, ჩემი აღზევება მაინც იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ თავი გერმანელად გამოვაცხადე! თუ



რამის გაკეთება შევძელი და ამ უბედურ ხალხს მცირე რამ ვარგე, მხოლოდ იმის წყალობით, რომ აღრე გავეთიშე მას... ახალგაზრდობისას გავეთიშე, როცა მოჭარბებულ სიამაყეს ვგრძნობდი. ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ თავგზააბნეული ვიყავი (მეხსიერებაში დღემდე შემომრჩენია რამდენიმე ამგვარი წამი). მზად გახლდით დამეყვირა: დაე, მთელმა სამყარომ უწყოდეს, რომ წარმოშობით სანახევროდ მის მონურ მოდგმას ვეკუთვნი და სულელად მივხედავ მასთან დავრჩები! მაგრამ ამის დაძახება ჩემთვის არც ისე ადვილი იყო. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეს უფსკრულში გადახტომა იქნებოდა. არამედ იმიტომაც, რომ არ შეიძლება ასეთი რამ ხმამაღლს დაიყვირო, რადგან, თუკი არა გსურს ჭეშმარიტებას უღალატო, უნდა დაიძახო: სანახევროდ ვეკუთვნიო... ხოლო ჩემი მეს მეორე, უფრო კეთილშობილი ნახევრის დაძალვას ვერ გავბედავდი... ალბათ გამიგებენ, როცა შემდგომ ეს საკითხი მსჯელობის საგნად იქცევა (დიახაც ჭკვიანურაია, რომ ოტო ვილემ მაზინგი გაკვრით იმაზეც ფიქრობს, თუ რას იტყვიან ასი ან ორასი წლის შემდეგ მასზე...) თუკი ამ ხალხმა კიდევ განაგრძო არსებობა. რასაც მთელი გულით ვუსურვებ, რაც ისე ძლიერ მწყურია, თითქოს ამაზე იყოს დამოკიდებული ჩემი ნეტარება. საერთოდ ახლა, ამ სიბერის ეპოს, უცნაური რამ მემართება, როცა ვფიქრობ, გარდა ნიავის ალერსიანი ნანავისა, ახალგაზრდობით ფრთაშესხმული რომ მიქრიხარ, ანდა სიმწიფეში შესულს თითქოსდა მოწონების მიზნით ალერსით მოგითათუნებენ კეფაზე ხელს, ქვეყანას გამოადექიო, ცხოვრებაში არსებობს სხვა რამეც, რასაც შეიძლება ადამიანი ელტვოდეს. იმის შეგრძნება, რომ ფეხებით ფილაქანსა ხარ შეზრდილი და როცა ფეხს მალა სწევ, მიწას იგრძნობ, შეიგნებ, რომ მისი ნაშობი ხარ და მასვე უნდა დაუბრუნდე... შეიძლება ეს ერთგულეების გრძნობაც იყოს... ეეჰ, ეტყობა, პოეტური მგრძნობიარობის სენი გადმომდებია. ყველაფერს სიცხადე განსაზღვრავს: ერთი დახედე, ამ გამადიდებელი შუშის ქვეშ რა გარკვევით მოჩანს ეს შავი, რუხი და წითელი ლაქები. სავსებით ნათელი სურათია, არ შეიძლება იგი სხვაში აგერიოს. ეს კი ჩემი ჯიბიდან ამოფერთხილი ხარახურაა. ახლა ის ვნახოთ, მეორე, ზეციური ქვა რომ მიინდა გამოდგეს, წაბლისფერი, თითქმის შავი ქვა, მოყვითალო ძარღვებით დასერილი, სანახევროდ გამდნარი წიდა, რალაცნაირი ბრჭყვიალა მარცვლებით არის დაფარული. ყოველ შემთხვევაში, უდავოდ ჩანს, რომ ეს სულ სხვა ნივთიერებაა...

ახლა კი ერთი მენზურა. მეორე მენზურა — და ორივეში გოგირდმეყავა მეოთხე დანაყოფამდე...

...რასაკვირველია, ორმოცი წლის წინ მეც შემედლო იმის გაკეთება, რის გაკეთებაც, როგორც ეტყობა, ამ ყმაწვილ კაცს გადაუწყვეტია, ამ დილას აქ, ეკსიში, გამოსეირნება რომ უსურვებია, რა გვარია.. პეტერსონი! შეიძლებოდა პირველი მე ცყოფილიყავ... რამეთუ, როგორც არ უნდა იყოს გადახლართული ისტორია, ამ ხლართებს მაინც თავისი წესები აქვს. ყოველი ხლართის თითოეული დიუმი თავსა და ბოლოშია დამაგრებული. შეიძლება მე პირველი ცყოფილიყავ... მაგრამ თუკი ახლა, ყოველივე იმის შემდგომ, რაც ამ დროის მანძილზე ქვეყანას თავს გადახდა, ეს სისულელეა, ორმოცი წლის წინ ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა... მაგალითად, მე ბებერი მანტიფელისთვის — მაშინ ახალგაზრდა მანტიფელისთვის — ვასუხი რომ არ გამეცა, როცა მიმიწვია, ევროპაში ერთად ვიმოგზაუროთო, მადლობა არ გადამეხადა და არ მეთქვა: ბატონო...

ნო გრაფო, თქვენი წინადადება ჩემთვის დიდი პატივია, რამეთუ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ღირსი თავისუფალი აზროვნებით და, თუკი მივაჩნიათ, რომ პირინგისი და ალბების მთებში თანამოსაუბრედ გამოგადგებით, ვიცდები იმედა არ გაგიცრუოთ. მხოლოდ იმ პატივისცემისთვის კი არა, თქვენ რომ მომაგეთ, არამედ პირადი განათლებისთვისაც. ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა, ასევე ვერ შეპასუხა, არამედ, მაგალითად, შეთქვა: გრაფო, ბატონ აზნურთა დახმარებაზე აღრეც უარი მითქვამს. როცა ასინი, ჩემი აზრით, ჩემს ღირსებას ამცირებდნენ (და განა სრული უფლება არ მქონდა, ასეთი რამ შეთქვა, იმაზე რომ მეფიქრა, თუ როგორ გავგზავნე ჯანდაბაში ბატონ პაიკიულის სტიპენდია!). მე წინათაც ასე ვიქცეოდი, თუმცა თქვენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის სახელი გაქვთ გავარდნილი, სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, ვარდა დიდი ბატონის ტაკიმასხრობა; და არა მსურს ისე დავიმცერო თავი, რომ თქვენს სულიერ ლაქიად მიმიჩნიონ. ასე რომ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებ და ხელს გიქნევთ: ჩაბრძანდით კარეტაში მშვიდობით!

... მეოთხე დანაყოფამდე... ჰა-ჰა-ჰა-ჰაა! ეს „მშვიდობით“, ოცდაათი წლის წინ რომ არა ვთქვი, სულ ახლახან, შარშან თქმულ „მშვიდობით“-ს მაგონებს... ამჯერად გაცილებით უფრო საპატიო პირს ვუთხარი... მეოთხე დანაყოფამდე, ოღონდ ფრთხილად, რომ სიმყავე ხელზე არ დამეწვეთოს, ის ხომ ოთხმოცპროცენტია... ერთობ საპატიო პირს... ოჰ, შე წყეულო, შენა. ისე, გულწრფელად რომ ითქვას, ეს „მშვიდობით“ მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ ანდა სიმბოლურად მაინც — იმის წყალობით შევძელი შეთქვა, ის პირველი სათქმელი რომ არა ვთქვი, ესე იგი, ისა, მანტიფელისთვის რომ შემეძლო შეთქვა (და კიდევ სხვა ძალზე ბევრი რამის წყალობითაც)..

მახსოვს, მარკიზმა პაულუჩმა რომ თავის კაბინეტში მიმიწვია, უკვე ენთობროლის ქალი. და მე გახარებული შევედი მასთან: ახლა გავიგებ, რომ ბოლოს და ბოლოს გენერალ-გუბერნატორიც გაზეთის გამოცემის ნებას მაძლევს-მეთქი! რამეთუ მინისტრის ნებართვა ერთი კვირის წინ მქონდა მიღებული. ჰოდა, აი, ეს მარკიზი დგება თავისი წითელი ხის მაგიდიდან, როგორც ზრდილობიან ადამიანს შეჰფერის, წინ მეგებება, ხელს მართმევს, უფრო მეგობრულად ვინემ ოდესმე (ჩემი გაზეთის თაობაზე მასთან რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი, რათა გამეჩვენებინა ჯებირი). თვითონვე თავაზიანად მიმიყვანა მაგიდის მეორე მხარეს და თავის ადგილს დაუბრუნდა, და როცა უკვე ორივენი ვსხედვართ, ვეუბნები:

— ბატონო მარკიზო, იმედი მაქვს, მეტყვით, გაზეთის გამოცემის უფლებას გაძლევთ.

ის კი პიემონტელის ეშმაკური ღიმილით მეუბნება:

— დიახ-დიახ. ნუ ავჩქარდებით, ბატონო პრობსტო. უცებ ვერა, მაგრამ შეიძლება მალე დაგროთოთ ნება.

მაშინ კი, ეშმაკმა დასწყევლოს, კინაღამ გადავირიე! ვგრძნობ, რომ აღშფოთება მიპყრობს. რა არის, რომ მიჭიანურებენ და მიჯანჯლებენ საქმეს?! დამავიწყდა, რომ ამ იტალიელს თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა (მხოლოდ ჩემს საკუთარ, სავსებით უადგილო თავმოყვარეობაზე ვფიქრობდი, როცა კაცს სადაცაა სამოცი წელი შეგისრულდა და ასეთ საპასუხისმგებლო საქმეებს ეკიდები), ერთი სიტყვით, ამ თავცარიელ მარკიზის წინაშე ყოველად მიუტევებელი შეცდომა დავუშვი. ვეუბნები:

— მაგრამ, ბატონო მარკიზო, მე ხომ ჯიბეში მინისტრის ნებართვა მიდევს!

მარკიზს პირში სიგარა გაუჩრია და კანცელარიის უფროსი ფელკერზამი ცეცხლს უკიდებს. მარკიზი შემომაშტერდა, ხელი მალლა აქწიქწი და ფელკერზამმაც ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. მარკიზი ცეცხლმოუკიდებელ სიგარას მარმარილოს საფერფლეში დებს. მის მსხვილ ტუჩებს სიგარის ბოლო დაუსველებია, იგი დგება. ეს ნიშნავს, რომ მეც უნდა ავდგე. იმწამს შევნიშნე, რომ თურმე უფრო ტანმორჩილი ყოფილა, ვიდრე მანამდე მეჩვენებოდა, კისერიც უფრო მოკლე ჰქონდა, ოქროსფოთლებიანი საყელო — უფრო მაღალი, ეპოლეტების ფოჩები — უფრო მაგარი. იგი დამტვრეული ფრანგულით გამგმირავად ღრიალებს:

— აჰ, თქვენ მინისტრს უჩემოდ მიმართეთ? რაკი აგრეა, თქვენმა ღმერთმა გიშველოთ! თუ ღმერთმა ვერ გიშველათ — შეიძლება წმინდა ნებომუკთან გაიქცეთ და სთხოვოთ — „მენ მიშველე“! ჩემთან ასე არ გაგივათ! მე ვკრძალავ თქვენს გაზეთს! არ გვჭირდება! სულ ერთია, მთელი ლანდტაგი მაინც წინააღმდეგია თქვენი გაზეთის. ბოლოს და ბოლოს ლანდტაგში მსხდომმა ბატონებმაც იციან, რა სჭირდებათ და რა არა. მინისტრის ნებართვაო? აქ გენერალ-გუბერნატორია ღმერთი! და თქვენს გაზეთს თქვენი წმინდა ნებომუკი ვერაფერს უშველის! გათავდა, მორჩა, მშვიდობით!

ათლოტიანი ოქროს ბეჭედი ჭალის შუქზე ბრწყინავს, როცა იგი თავის კოტიტათითებიან ხელს იწვდის — ხელის ჩამოსართმევად კი არა, კარზე რომ მიმითითოს.

— გათავდა! მორჩა! მშვიდობით!

ისე ვიყავი გაბრაზებული, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მივხვდი, თუ რა დიდი შეურაცხყოფა იყო ეს ჩემთვის. ცხადია, შემეძლო თავი მომესაწყლებინა და ახსნა-განმარტება დამეწყო (ვარეთ ხომ არ გამომაგდებდა): — მოწყალე ბატონო მარკიზო, არ ვიცოდი, თუ... ვერ გავითვალისწინე... ისე დიდხანს ველოდი და იმედი მქონდა.. ეს ხომ პატარა კაცის წვრილმან საქმეზე წვრილმანი მზრუნველობაა... (რატომაც არა... ადრეც მქონია შემთხვევა დაახლოებით ასეთი რამ მეტქვა). მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ მოთმინების ფიალა ამევსო! წელში გავსწორდი. წვეტიანი ცხვირი მალლა ავწიე, თავი ოდნავ უკან გადავხარე, რათა მხერა დამცინავი გამომსვლოდა, და მარკიზი თავით ფეხამდე შევათვალეირე. მე სულაც არა ვარ მაღალი კაცი, მაგრამ იგი ნახევარი თავით ჩემზე დაბალია. ვცდილობ მალე ვიპოვო სიტყვები ანდა ისეთი გამოშეტყველება მივიღო, აქაურობა ამაყად დავტოვო. დავტოვო ღირსეულად და რამდენადმე დამცინავად. მისგან უნამუსოდ თქმული „გათავდა! მორჩა! მშვიდობით!“ ისევ მიწივის ყურებში... ჩემი უპირატესობა უნდა დავუმტკიცო, თუმცა კარგად ვიცი, თუკი გენერალ-გუბერნატორი ჩაერევა, მაშინ მინისტრის ნებართვას რაღა თავში ვიხლი... აქაური წესების თანახმად, თუ შესაფერისი თანამდებობის პირს არაკეთილსაიმედოდ მიაჩნია, შეუძლია ყველა საქმე ერთ ქოთანში მოაქციოს. ასეა თუ ისე, ვგრძნობ, რომ უნდა... ისიც გრძნობს: საქმე სხვაგვარად შეტრიალდა, ესე იგი, არ ვაპირებ ბოდიშის მოხდას და თავის დაკვრით უკან დახევას. იგი ისევ ხელგაწვდილი დგას და როგორღაც დაბნეული შემომცქერის თავისი გადმოკარკლული, ელამი თვალებით. მაგრამ რასაც გონება და ცხოვრებისეული გამოცდილება ვერ პოულობს, ჩემი

არსების სიღრმიდან მეექვსე გრძნობა მკარნახობს... სასტუმროსკენ მიმავალს გზაზე მაგონდება, როგორ გამოვედი პაულუჩის კაბინეტიდან. პირველ ყოვლისა, ბატონ ფელკერზამს ხელით ვანიშნე: ვინც კი თეატრში ერთხელ მაინც ყოფილა, ოდნავი სინანულით ჩემს ხელის ჩაქნევას მხოლოდ ასე გაიგებს: რა თქვენი ბრალია, მოწყალეო ხელმწიფე, თუ თქვენი უფროსი უფროსი უფროსი უფროსი უფროსი... და ამ დროს დედაჩემისეული ღიმილით ~~გაგონებდა~~ ~~მამაჩემს~~ უხრებელი, აზნაურული მედიდურობით სავსე წუთიერი ღიმილით, როცა დედა სამხარეთულობიდან ბავშვებს უკანა ოთახში ვაგვისტუმრებდა, მამაჩემი სუსხიან დღეს ზედაშეს რომ გადაჰკრავდა, შინ მოვიდოდა, უფროსობის ძაგებას იწყებდა და ჭირკს კერიის პირას აპობდა ნაჯახით. აი, ასე გაღიმებულმა მარჯვენა ხელი ჭალის საკიდებამდე აღვმართე და მაგიდის იმ მხარეს მდგომ ბატონ გენერალ-გუბერნატორს დავუქნიე:

— მშვი-დო-ბით!

ზუსტად ისე, როგორც ვილაც სტუდენტი ჰალეში მსუბუქი ყოფაქცევის გოგოებს უქნევდა ხელს, განთიადისას გარეთ რომ გამოვიდოდა და თავისი მანსარდისკენ მიიჩქაროდა...

მომდევნო კვირას უკვე პეტერბურგში ვიყავი — ეს გამადიდებელი შუშაც სწორედ მაშინ ვიყიდე. — უფალი შემეწია: მარკიზი, მართალია, ცდილობდა ჩემთვის ეკბინა, მაგრამ კბილები დედაქალაქელი ადლერბერგის აქსელბანდებში გაეჩხირა!

...ღიახ-ღიახ-ღიახ! მე საკმაოდ მტკიცე ნებისყოფის კაცი ვიყავი, მაგრამ, საბედნიეროდ, მოქნილობაც მახასიათებდა... ახლა ეს შეავე სითხე ამ მენზურაში ჩავასხათ... აი, ეშმაკმა წაიღოს!.. ერთი წვეთი მაინც დამეცა მარცხენა ხელის ზურგზე. ახლავე ნაცრიანი წყალი უნდა გადავივლო და კარგად გავიმშრალო.. მაგრამ ხელზე იარა მაინც დარჩება... არაფერია... მეორე მენზურაში კი ახლა აღარ ჩავასხამ. არა, რამეთუ ორივე ქვა შეავაში ერთდროულად რომ ჩამეშვა, ქამელეონის... გენერალ-გუბერნატორის თვალები დამჭირდებოდა... პო-პო-პო-პოო! რომ ერთდროულად მიმეტანებინა თვალი, რა ხდებოდა თითოეულ ჭურჭელში.

მაშ ასე... ღიახ-ღიახ: საბედნიეროდ, მოქნილი კაცი ვარ... და იმასაც გეტყვით, თუ ამ საკმაოდ ჭკვიან, გრძელთმიან აყლაყუდას (მაინც როგორ ყარდა ლუდის სუნით ეს ცულლუტი!), — დამავიწყდა მისი სახელი — პო, პეტერსონს, უნდა რაიმეს მიაღწიოს, რაიმე ღირებულს, რომ ასი ან ორასი წლის შემდეგ ვინმემ მაინც გაიხსენოს, ისიც მოქნილი უნდა იყოს, რაც შეეხება მის „მითოლოგიას“, მორიცის ჭიბრზე ვეცდები, რომ გაუშვან. მართალი გითხრათ, მესიამოვნა, რომ პეტერსონს ამ საკითხზე ჩემთვის არაფერი უთქვამს. იმედია, არც ექვს საათზე მეტყვის რამეს... მაგრამ მის მიერ თარგმნილი ანაკრეონტი, ისა, როზენპლენტერმა რომ გამომიგზავნა, მართალი რომ ითქვას, საკმაოდ სუსტია... ტყე მღერის, ზღვა გეზიდება, და რა ვიცი... სისულელეა! განა ეს პოეზიაა?! ლუდით კი გაჭყეპილა! ავი გითხარით, ლუდის სუნით ყარდამეთქი...



ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

### ელენორა

Sub conservatione formae specificae  
salva anima. Raymond Lully<sup>1</sup>.

**რ**ამომავლობით მე იმათთაგანი ვარ, ვინც დაჯილდოებულია ძალიან ფანტაზიითა და მგზნებარე ვნებით. გიყს მეძახოდა ხალხი; საკითხავი კი ის არის, იქნებ უმაღლესი ჭკუა-გონებაა სიგიყე, იქნებ ბევრ რამეს, რაც დიდებულია, იქნებ ყოველივე იმას, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად — ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ მეტი ამაღლება გონიერების წარზოცის საფასურია. ცხადში სიზმრის მხილველებიდა შენიშნავენ იმას, ღამეული სიზმრის მნახველებს რომ გამორჩებათ. ბუნდ ზმანებაში მარადიულობის გაღვებას მოკრავენ ისინი თვალს და თრთოლვა აიტანთ გამოღვიძების უამს, რაკი მიხვდებიან, უდიდესი საიდუმლოს სამანზე ყოფილან თურმე. მეყსეულად სიბრძნისას რაღაცას ეზიარებიან, იმას, რაც სიკეთეა, და იმასაც, რაც ჩვეულებრივ ცოდნაზე მეტია — ბოროტებას. და მაინც საჭის უჭონლად და გზის უცოდნელად შეაღწევენ „შეუცნობელი ნათელის“ უკიდვანო ოკეანეში და კვლავ, თითქოსდა ნუბიელი გეოგრაფის თავგადასავლების მოყვარულნი იყვნენ, *«ag vessi sunt mare tenebrarum, quid in eo esset exploraturi»*<sup>2</sup>.

ვთქვათ და მართლაც გიყი ვარ. კიდევაც უნდა გამოგიტყდეთ, ორგვარია ჩემი სულიერი მდგომარეობა: მდგომარეობა ნათელმოსილი გონიერებისა, რაც უდავოა, კით მოგონებები ჩემი სიცოცხლის პირველი წლებისა, და ჩემს ახლანდელ ყოფასთან დაკავშირებული ბინდისნაირი და უმტკიცო მდგომარეობა, ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა. სწორედ ამიტომ უნდა დაიჯეროთ მონათხრობი ჩემი აღრეული ყოფიერების შესახებ, ხოლო უფრორე გვიანდელ ამბავს ისეთი ნდობით მოეკიდეთ, როგორსაც იგი იმსახურებს; ანდა სუ-

<sup>1</sup> გარკვეული ფორმის შენარჩუნებისას ხელუხლებელი რჩება სული. რაიმონდ ლული. (ლათ.).

<sup>2</sup> შეიქრებიან ბნელეთის ზღვაში იქაურობის მისაკვლევად (ლათ.).

ლაც ჭოჭმანით შეხედეთ მას ან, თუ ჭოჭმანი არ შეგიძლიათ, თიდიპოსის მსგავსად ამოხსენით ეს გამოცანა.

სიყმაწვილეში რომ მიყვარდა, ვისზეც აბლა გულდამშვიდებითა და ცხადლივ ვწერ ამ მოგონებებს, მხოლოდშობილი ასული იყო დიდი ხნის წინ გარდაცვლილი დედაჩემის ერთადერთი დისა. ელეონორა ერქვა ჩემს დედაშვილს. ტროპიკული მზისქვეშ, ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე, ხულო ერთად ვიყავით. არავის არც არასდროს შემოუდგამს უცაბედად აქ ფეხი, რაკილა შორს იყო ეს მხარე, გარშემოკრული ცადაზიდული მთაგრეხილით, კლდეები გადმოშვერილიყო ამ არემიდამოზე და მზის სხივიც კი აღარ აღწევდა იმის უმშვენიერეს კუთხე-კუნჭულებში. ბილიკსაც კი ვერ იხილავდით და ჩვენს ბედნიერ საცხოვრისში შემოსალწევად უნდა წვალეებით გამოგველოთ უღრანი ტყეები, მირიადი ყნოსვის დამატკობელი ყვავილი უნდა გადმოგეთელათ. მიზეზი მარტოობისა ეს იყო, ჩვენ იქით მდებარე გარე სამყაროსი არაფერი ვიცოდით მე, ჩემმა დედაშვილმა და მისმა დედამ.

მთების მხრიდან, მჭმუნვარე შორეთიდან, ჩვენს გარშემოზღუდულ სამფლობელოში მოედინებოდა ვიწრო და ღრმა მდინარე, ელეონორას თვალების გარდა ყველაფერს რომ ჩრდილავდა თავისი ბრწყინვით; მოიხვეოდა უჩუმრად, დაბოლოს დაინთქმებოდა ჩრდილოვან ხეობაში. ქედებს შუა რომ იყო, უფრორე მჭმუნვარე ჩანდნენ ეს ქედები, ვიდრე ისინი. საიდანაც აქეთ მოიკვლევდა გზას. „მდუმარების მდინარეს“ ვეძახდით მას, რადგან ირგვლივ სიჩუმეს ამეფებდა თითქოს. ჩქამიც კი არ ისმოდა მისი, მდორედ მოლივლივებდა და მის სიღრმეში ენთო წარუვალი ელვარებით მარგალიტის კენჭები, თითოეული იმთავითვე უძრავად დალეჭილიყო ფსკერზე და ჩვენ თვალმოუშორებლივ ვტკბებოდით მათი მშვენიერებით.

ნაპირნი ამ მდინარისა, მისკენ მოჩუხჩუხე მრავალი სხივმომფინარე ნაკადული, მთელი ეს სივრცე, სანაპირო არემიდამოდან ქვევით, ვიდრემდე ფსკერზე მობრჭყვიალე მარგალიტის კენჭებამდე, მთელი ეს ზურმუხტოვანი არემიდამო მთებამდე დაეფარა რბილ, მობიბინე, ხშირსა და ერთი სიმალლის, ვანილის სურნელების მფრქვეველ ყვითელ ბაიებს, თეთრ ზიზილოებს, ლილისფერიებს, მეწამული ფერის ასფოდელოებს, მთელი ეს ზღაპრული მშვენიერება მოუთხრობდა ჩვენს გულებს სიყვარულსა და დიდებას ღვთისას.

აქა და იქ, სიზმარეულ ზმანებისამებრ, ველზე ზეალმართულიყვნენ საკვირველი ხეები, მაღალნი, მაგრამ არა სწორნი, საოცარი სინატიფით დაკლაცნილებს აეზიდათ წვეროები ამ ველის შუაგულში შუადლით ჩამოშვებული სინათლისაკენ. იმათ ქერქს ერთიმეორის მონაცვლე მოშავო-მოვერცხლისფერო შარავანდი გადასდიოდა, ნაზი იყო, მაგრამ უფრორე უნაზესი ჰქონდა ელეონორას ლოყები; საამო ნიავისაგან თრთოლამოკიდებული, ზემოდან ჩამოფენილი ხაახასა მწვანე დიდრონი ფოთლები რომ არა, გიგანტური სირიული გველები! ეგონებოდა კაცს ისინი, თაყვანს რომ სცემენ თავიანთ მეუფეს, მზეს.

თხუთმეტი წელიწადი ხელიხელჩაკიდებული დავებეტებოდი ამ ველზე ელეონორასთან ერთად, ვიდრე სიყვარულმა არ ჩაიბუდა ჩვენს გულში. სადამო ჟამს მოხდა ეს ამბავი, მისი ცხოვრების მესამე ბუთწლეული ილეოდა, მეოთხე მე უნდა გამესრულებინა მალე. ყელგადაჭდობილნი ვისხედით გველებივით

<sup>1</sup> ძველი სირიის მითოლოგიაში ვხვდებით ამ გველებს.

დახვეულ ხეებქვეშ და მღუმარების მდინარეში ჩვენს ანარეკლს დავცქეროდით. გათავდა ეს საამური დღე და კრინტიც არ დაგვიძრავს, გათენდა დილა და სულ ორიოდ სიტყვით მორცხვად გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. ღვთაება ეროსი გამოვიხმეთ ქავლების წიალიდან და წინაპართა ცეცხლით წამოიგზნო ჩვენი სულები. საუკუნეობით გამოირჩეოდა ჩვენი მოდგმა ვნებით, ასევე წარმოსახვის უნარით, და ახლა ერთ სუნთქვად შეიკრა ყოველივე. ზეგანოდ მსუტარებით მოვევლინა ნაირფერი ბალახით შეფენილ ველს. სახე იცვალა აქ ყველაფერმა. გაუგონარი ამბავი მოხდა: იქ, სადაც ყვავილს ვერ ნახავდით, გასაოცარი, შუქსავსე ვარსკვლავისნაირი ყვავილები გამოისხეს ხეებმა. ზურმუხტოვანი ნოხების სიმწვანე უფრო ჩამუქდა და, როცა ერთიმეორის მოყოლებით ჩამოჰკნენ თეთრი ზიზილოები, მათ მაგივრად ათეულობით მეწამულისფერმა ასფედელოებმა მოიღეს ბრდღვიალი. სიცოცხლემ იფეთქა ყველგან, სადაც კი ფეხი დავადგით: ტანწერწეტა ფლამინგოები გამოჩნდნენ პირველად სხვა მხიარულ ფერადოვან ჩიტებთან ერთად და ალისფერ ნაკრტენაფრიალებულნი დადგნენ ჩვენ წინ. მდინარეში გაჩნდნენ ოქროსა და ვერცხლის თევზები, მისი სიღრმიდან ღიღინი ამოისმა ჯერ და მერე იმატა. იმატა, დაბოლოს იაენანად მიიქცა. სიმღერა ეს უფრო ღვთაებრივი იყო, ვიდრე ეოლოსის ქნარი, მაგრამ ელეონორას ხმის მუსიკას ვერ შეედრებოდა ვერაფერი. ღრუბელი წამოიშარა, უზარმაზარი, ჰესპეროსის<sup>1</sup> სიახლოვეს ვხედავდით დიდხანს მას, ოქროსფერი ცეცხლი გადასდიოდა, გამოცურდა, მშვიდობიანად ჩვენ ზემოთ გაირინდა, დღითი დღე დაბლა, სულ დაბლა ეშვებოდა, ვიდრე მათაა წვეროს არ დაებჯინა კიდით, შარავანდელში შთაინთქა მისი მკმუნეარება და თითქოსდა სამარადისოდ გამოვიკეტეთ დიდებისა და ბრწყინვალეების ჯადოსნურ ციხე-კოშკში.

სერაფიმივით მზეთუნახავი იყო ელეონორა, ყვავილებს შორის გაატარა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ სათნო და უმანკო გოგონამ. თვალთმაქცურად არ დაუმაღლავს სიყვარულის ალი, რომლითაც მისი გული იყო მოცული, და მთან ერთად მოიხილა მისი უღრმესი კუნჭულები მაშინ, როცა ნაირფერ ბალახით შეფენილ ველზე დავეხეტებოდით და ვსაუბრობდით უკანასკნელ ხანს აქ მომხდარ დიდ ცვლილებებზე.

დაბოლოს ცრემლმორეულმა ერთ დღეს სევდა-მწუხარების მომგვრელი უკანასკნელი ცვლილება მამცნო, ყველა ადამიანის ხვედრი რომაა გარდუვალი მას მერე ერთი გულის მომკვლელი აზრი აეკვიატა და სულ უტრიალებდა თავში მსგავსად იმისა, როგორც შირაზელი მგოსნის<sup>2</sup> სიმღერების ყოველ შთამბეჭდავ ვარიაციიაში კვლავ და კვლავ წარმოგვიდგება ერთი და იგივე სახეები.

მიხვდა, სიკვდილის ლანდი წამოდგომოდა თავს, ფარვანას მსგავსად განწირული იყო დასაღუბავად მისი ენით უთქმელი მშვენიერება; მაგრამ ჩემთვის საძველე შემზარავი მხოლოდ ერთი რამითააო, — თქვა მან მღუმარების მდინარის ნაპირას, საღამო ხანს, შებინდებისას ფიქრი სტანჯავდა, ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე დამკრძალავ და სამუდამოდ მიატოვებ მერე ამ ბედნიერ მხარეს, სხვას შეიყვარებ ასეთივე ვნებით, ქალწულთაგან ვინმეს ნახავო

<sup>1</sup> საღამო ხანის ვარსკვლავი.

<sup>2</sup> საადი, სპარსელი პოეტი (1184-1291).

ყოველდღიური საზრუნავით მოცემულ მიღმამყოფ სამყაროში. და მაშინ, იქვე, იმავე წამს მუხლებში ჩავუვარდი ელეონორას და შევეფიცე მას და ზეცასაც, რომ მიწის შვილს არასდროს მოვიყვანდი ცოლად, არც არასდროს ვუღალატებდი მის ძვირფას ხსოვნას, ანუ ხსოვნას იმ სიყვარულისას, რომელიც მომიჩვენა. დიდი მეუფე ზესთასოფლისა მოწმედ მოვიხმე, რომ ფიცი ეს წყნად და საზეიმო, და თუ ამ ფიცს დავივიწყებდი, დაე დავესაჯე მას მძიმე ცხენბარას, ვინც სასუფეველს ელიზიუმში დაიმკვიდრებდა, ისეთი საზარელი სასჯელით, რომ თქმაც ვერ გამიბედავს აქ. ჩემს ამ სიტყვებზე ნათელმოსილი თვალები უფრო ნათელი გაუხდა ელეონორას, სული მოითქვა, თითქოსდა მომაკვდინებელი ხვანჩები დაეხსნა მის მკერდს, თრთოლა მოეკიდა და მწარედ აქვითინდა; მაგრამ ჩემი ფიცის სიმტკიცეში ეჭვი არ შეპარვია (ის ხომ ჯერ კიდევ ზალდი იყო) და ნეტარება მიანიჭა სიკვდილის სარეცელზე გაკრულს. რამდენიმე დღის შემდეგ გულდამშვიდებულმა მომაკვდავმა ასე მითხრა: რალაი ნუგეშეცემულია იგი ჩემგან, მეოხად მომეკვლინება მისი სული და, თუკი მისი ნება იქნება, ღამდამობით ცხადლივ ვიხილავ მას, ხოლო სამოთხის სულებს თუ ეს არ ძალუძთ, მაშინ ხშირად მამცნობს თავის ყოფნას — მწუხრის ნიავი ლოყაზე მომელამუნება მისი ფშვინვით ან ზეციური კანდელის სურნელებით გამსჭვალავს იმ ჰაერს, რომლითაც მე ვსუნთქავ. და ამ სიტყვებით დაუტევა მან თავისი უცოდველი სიცოცხლე და ამით სამანი დაუდო ჩემი არსებობის პირველ ხანას.

აქამდე რაც მოვახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ გადავაბიჯე თუ არა ერთა მსვლელობის, ანუ ჩემი სატრფოს სიკვდილით გავლებულ ზღუდეს და ფეხი შევდგი ჩემი არსებობის მეორე ხანაში, ასე ვიგრძენი, რალაც ჩრდილმა მოიკვა ჩემი გონება და აღარ ვენდობი, არ ვიცი, რამდენადაა მართალი ჩემი ჩანაწერები. მაგრამ ნება მომეცით გავაგრძელო ჩემი სათქმელი — მძიმედ მიდიოდა წლები, ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე ვცხოვრობდი ჯერ კიდევ; მეორედ იცვალა სახე აქ ყველაფერმა. ვარსკვლავებისნაირი ყვავილები შეაჭკნენ ხის ტოტებს და აღარც აყვავებულან მერე. ზურმუხტოვანი ხალიჩა გახუნდა, ერთიმეორის მიყოლებით გაქრნენ მეწამული ყვების ასფოდელოები და იმათ ადგილას ათეულობით ამოვიდნენ აცახცახებული და ნიადაგცვრიანი შავ-შავი იები. სიცოცხლის მჩქეტარება აღარ ისმოდა ჩვენს სავალ ბილიკებზე, რაკილა ტანწერწეტა ფლამინგოებმა თავიანთი ალისფერი ფრთები შეიკეცეს, სევდამორეულები სხვა, აქ გადმოფრენილ მხიარულ ჩიტებთან ერთად გაფრინდნენ ველიდან და სადღაც მთებში გადაიკარგნენ. თქროსა და ვერცხლის თევზები ჩაჰყვნენ დინებას, ჩვენი მხარის სულ განაპირა მიყრუებულ ხეობაში ჩაიჩუმქრნენ და აწ აღარასოდეს დაუმშვენებიათ ეს ღამაზი არემიდამო. ეოლოსის ქნარზე უფრო ტკბილი ღვთაებრივი იავნანა, ელეონორას ხმის მუსიკის ვარდა ყველა სიმღერას რომ ჯობდა, დღითი დღე სულ უფრო და უფრო ჩუმი ხდებოდა და სულაც ჩაჩუმდა ბოლოს, ნელ-ნელა ჩაკვდა მდინარეების ჩქაფუნი და პირველყოფილმა საზეიმო მღუმარებამ იმლაერა აქ. მოიმალლა უზარმაზარმა ღრუბელმა, ჰესპეროსის მხარეს გადაიხვეწა, ნაირფერი ბალახით შეფენილი ველიდან თან წარიტაცა ჯადოსნური დიდებულება და ბრწყინვალება, ოდინდელი სევდა-კაემანი მოახვია მათა მწვერვალებს.

მაგრამ ელეონორასადმი მიცემული ფიცი არ დამვიწყებია; ანგელოზების



მიერ დარბეული საცეცხლოურების წკარუნი მესმოდა, ველის წიალ კვლავ და კვლავ მოედინებოდა წმინდა სურნელება, მარტოსულობის ეამს, ჩემთან, გულ-ჩალამებულ კაცთან ნაზი სუნთქვა მოჰქონდა ნიავექარს. და ერთხელ, თითქოსდა ბანგნასვამს ღრმა ძილისაგან გამოძლიძებოდეს, ვიგრძენი, ზმანებისეული ბაგე შეეხო ჩემსას.

მაგრამ აღუვსებელი რჩებოდა სიციარიელე ჩემი გულისა. სიყვარული მომწყურდა. დღემდის ხომ მეტად ვიყავი მე ამ გრძობასთან წილნაყარი. დაბოლოს მტკივნეულად მაგონებდა ეს ველი ელეონორას და ლტოლვამ საწუთროს ამაოებისადმი, შფოთსავსე ზარ-ზეიმის სურვილმა დამატოვებინა ეს მხარე.

ჩამოვედი უცხო ქალაქში, სადაც თითქოსდა ყოველივეს შეეძლო მოგონებებიდან წარებოცა ტკბილი სიზმრები, რომელშიც კარგა ხანია ვიყავი დანთქმული ნაირფერი ბალახით შეფენილ ველზე. დიდებული სასახლის თვალმომპრელმა ბრწყინვალეობამ, იარაღის გულისწამლებმა ელარუნმა, ბანოვანთა თვალების ელვარებამ თავგზა ამიბნიეს და ჰკუა დამაკარგვინეს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ჩემი ფიცის ერთგული ვრჩებოდი და ღამისეული საათების სიჩუმეში ელეონორას არსებობა საცნაური ხდებოდა ჩემთვის. სუყველაფერი გათავდა უეცრად, თვალთ დამიბნელდა; გული გადამიქანდა, ფიქრები ამეშალა შესაზარი ფიქრებით გარშემოჭარულს; შორეული, უცნობი ქვეყნიდან ჩვენი მეფის მხიარული სასახლის კარზე მოვიდა ერთი ასული, რომლის მშვენიერებამ იმავე წამს დაატყვევა ჩემი მუხთალი გული, თავმოდრეკილი უყოყმანოდ ვეთაყვანე ამ ჩემი უბედური სიყვარულის საგანს. მართლაცდა ვნება ჩემი იმ ველის ნორჩი შვილისადმი როგორ შეედრებოდა გონის ამბნევი, სულის ამამალლებელი მგზნებარებით იმის გაღმერთებას, ვისაც მე, ცრემლდანთხეული, მუხლებში ჩავუვარდი — ცათა სწორ ერმენგარდეს? ჰოი, სერაფიმივით ნათელი გადასდიოდა ერმენგარდეს. ამის შემცნობელს სხვა რაღა უნდოდა ჩემს გულს: ჰოი, რა ღვთაება, რა ანგელოზი იყო ერმენგარდე. და ერმენგარდეს მრავლისმეტყველ თვალებში მაცქერალი, მხოლოდ მათზე ვფიქრობდი, — და კიდევ იმაზე.

დავქორწინდი; აღარ მეშინოდა იმ წყევლისა, რაც თვით ვიხმე თავზე. გადავურჩი კიდევაც ამ სატანჯავს. და ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ღამისეულ სიჩუმეში სარკმლის ქვილითებიდან კარგა ხნის მერე ისევ მომეახლა ჩუმი სულთქმა და ასე წარმოთქვა ნაზმა და საამურმა ხმამ:

— ძილი ნებისა! რადგან სიყვარულის სულია ყოველის მეუფე და აწ შენი ფიცხელი გულისთქმა ეკუთვნის ერმენგარდეს, თავისუფალი ხარ — ფიცით აღარ ხარ შეკრული ელეონორასთან — რატომ, ზეცას გაიგებ ამას.

მეფე ქამი

ალეგორიის უამცველი მოთხრობა



რისი უფლებაც მოუხვედრებოდა ღმერთთა წინაშე, იმის უფლებას უფლებოვ ქრისტეს მესცემს. ბაქერსტა, „ფერეჟსისა და პორეჟსის ტრაგედია“.

ედუარდთაგან მესამის ბრწყინვალე მეფობის ხანს, ოქტომბრის ერთ ღამეს, ასე თორმეტ საათზე ტემზაზე ლუზაჩაგდებულ, სლუისა და ტემზასვე შორის მცურავ სავაჭრო ხომალდ „გულმხიარულის“ ორი მეზღვაური ძალზე სახტად დარჩა, როცა ნახეს, ლონდონის წმ. ანდრიას სამრევლო მიწაზე მდებარე ლუდხანის დარბაზში ვსხედვართო. აბრად „დარდიმანდი მეზღვაურის“ სურათი ეკიდა ამ ლუდხანას.

დარბაზი ეს მოუწყობელი, ბოლისაგან ჩაშავებული, დაბალჭერიანი, სწორედ ისეთი იყო, ყველგან რომ ნახავდით იმხანად, და მაინც იგი, უცნაურ ჯგუფებად მოკალათებული ხალხის აზრით, კარგი საქეიფო ადგილი იყო.

ჩვენი ორი მეზღვაური იმათ შორის თუ დიდად არ გამოირჩეოდა, მეტად საყურადღებონი მაინც კი ჩანან-მეთქი, ასე გავიფიქრე.

სიმაღლით ორჯერ რომ სჭარბობდა და უფრო ხნიერიც რომ უნდა ყოფილიყო, „წოპეს“ ეძახდა მისი ამხანაგი, და სწორიც იყო. ასე, ექვს-ნახევარი ფუტი სიმაღლისა გახლდათ და იქნებ ამიტომაც ძალიან იყო მხრებში მოხრილი. მაგრამ მეტისმეტი სიმაღლე მისი სხვა მხრივაც იპყრობდა ყურადღებას. მთლად ჭვალი და ტყავი იყო და როგორც მისი მეგობრები ამბობდნენ — მთვრალი ვიშპელად გამოდგება დედაანძაზე, ფხიზელს კი ბუშპრიტობა მოუხდებაო. მაგრამ ამას და სხვა ამდაგვარ ხუმრობას ერთხელაც არ შეუტოკებია ღიმილის ძარღვი ამ ზღვისკაცის სახეზე. მაღალი ყვრიმალები, არწივისებური ცხვირი ჰქონდა, ქვედა ტუჩი ჩავარდნოდა, ლიბრი გადაკროდა მის დიდრონ თვალებს. სრულიად აუმღვრეველი ჩლუნგი გამომეტყველება სახისა ამ ქვეყნის ამბების მიმართ თუმცა მის გულგრილობას მოწმობდა, მაგრამ ამასთან ერთად გაშოხატავდა ისეთ საზეიმო-მედიდურ განწყობილებას, რომ შეუძლებელია ამისი თქმა ან აღწერა.

სრულიად სხვანაირი გარეგნობისა ჩანდა მეორე, უფრო ყმაწვილი მეზღვაური. ოთხი ფუტის სიმაღლისა არც იქნებოდა. დაბალ, მოღრეცილ ფეხებზე ედგა მოკლე და ტლანქი მორგევიით ტანი, საოცრად პატარა და სქელი მკლავები ჰქონდა დიდზე დიდი მუშტებითურთ და ისე ეკიდა, ვითარცა ზღვის კუს ფარფლები, სადღაც სიღრმეში ჩაკარგვოდა პაწაწინა თვალები გამოუცნობი ფერისა-ვეებერთელა, ხორცსავსე და მრგვლად გამობერილ ლაქლაქა ლოყებში დასთქმოდა ცხვირი; მომსხო ზედა ტუჩი გადმოსვენებოდა კიდევ უფრო მომსხო ქვედა ტუჩს და თვითყმაყოფილების იერს ანიჭებდა მის სახეს, ხოლო დროდადრო ჩვეულებისამებრ რომ ლოკავდა ამ ტუჩებს. ხსენებულ იერს უფრო სრულიად წარმოაჩენდა. ცხადლივ ჩანდა, ტანაზიდული მეგობარი მისთვის რაღაც გაოცებისა და დაცინვის საგანი გამხდარიყო და ზოგჯერ ისე აპყურებდა, როგორც ჩამავალი წითლად აბრდღვიალებული მზე ბენ-ნევისის კლდეებს.

რა არ გადახდა თავს ამ ღირსშესანიშნავ წყვილს, როდესაც საღამო ხანს

იმ უბნის სამიკიტნოებში დახეტიალობდნენ. ზღვა კოვზით დაილიარ და მართ-  
ლაც ბოლოს სულ უკაპიკოდ დარჩნენ. ჯიბეცარიელი მძადგენი ჩვენი მეგობ-  
რები ამ ფუნდუსს.

სწორედ ახლა იწყება ჩვენი მოთხრობა — წოპე და მისი მძადგენი პიუ  
ბრეზენტი<sup>1</sup> დარბაზის შუაგულში უზარმაზარ მუხის მაგიდას მონხდომოდნენ და,  
იდაყვდაბჭენილებს, ნიკაპქვეშ ამოედოთ ხელები. ჯერაც გადაუხდელ დიდ  
ბოცა „ჩასაცეცხლებელს“ ამოფარებულნი გასცქეროდნენ მრავლისმეტყველ  
სიტყვებს — „ცარცი არა გვაქვს“, და როგორ განრისხდნენ და განცვიფრდ-  
ნენ, როცა ნახეს, შემოსასვლელი კარის ზემოთ წაეწერათ სწორედ ამ მინერა-  
ლით, რომლის უქონლობასაც ამცნობდნენ. წარწერის ამოკითხვა მათ არ შეეძ-  
ლოთ, რადგან ეს უნარი იმხანად მდაბიო ხალხისთვის ისეთივე თილისმით იყო  
შეკრული, როგორც ხელოვნების ნაწარმოების ქმნა. თქმა არ უნდა, ვერც ჩვენი  
ზღვაოსნები ჩახვდებოდნენ რამეს. მაგრამ რაღაი საქარე მხრისაკენ გადახრი-  
ლიყვნენ ეს ასო-სიტყვები, ორივე მეზღვაურის აზრით, გაუთავებელ ავდარს  
მოასწავებდა ეს ამბავი ან როგორც ნართაულად თქვქ წოპემ — „ახლა კი უნ-  
და გავშალოთ იალქნები და მივნებდეთ ქარს“.

სულ რომ გამოსცალეს ის სასმელი და მოკლე ქურთუკები შეიკრეს, გარეთ  
გამოაცვივდნენ. თუმცა სანამ კარს მიაგნებდნენ, ბრეზენტმა ორჯერ შიგ ბუ-  
ნარში შეჰყო თავი დაბოლოს კარგად დასრულდა ყველაფერი — პირველის  
ნახევარზე უკვე სამშვიდობოს იყვნენ ჩვენი თავზეხელაღებული გმირები, პა-  
ტარა ქუჩით კისრისტეხით გარბოდნენ ქვემოთ, წმ. ანდრიას კიბის მიმართუ-  
ლებით, რაკილა უკან გამონთებოდათ „დარდიმანდი მეზღვაურის“ დიასახლისი.

თავგადასავლებით სავსე ამ მოთხრობის დროინდელ ხანაში მრავალი წე-  
ლიწადი, ადრე და შემდგომაც, მთელ ინგლისსა და განსაკუთრებით მის დედა-  
ქალაქში გაისმოდა გულშემზარავი ყვირილი: „უამი მოდის!“ მაშინ თითქმის  
სრულიად ცარიელდებოდა ეს ქალაქი, რადგან ტემზის სიახლოვეს, ამ საშინელ  
კუთხეში, სადაც წყვდიადით მოცულ ვიწრო და ჭუჭყიან ქუჩებსა და მოსახვე-  
ვებში, როგორც გადმოგვცემენ, იშვა ეპიძანობის დემონი, ზარზეიმით და ლა-  
ლად დადიოდნენ შიში. შემზარაობა და ცრუმორწმუნეობა.

მეფეს აეკრძალა ამ უბნებში შესვლა. სიკვდილით დაისჯებოდა ყოველი,  
ვინც გაბედავდა და დაარღვევდა ამ გულშესაზარ მყუდროებას. მაგრამ არც  
მონარქის ბრძანება, არც მაღალი ზღუდენი ქუჩათა დასაწყისში, არც იქ ჩა-  
საფრებული, თითქმის გარდუვალი საზიზღარი სიკვდილი დააფრთხობდა იმას,  
ვისაც თავგადასავლები მოწყურებოდა. გამოცარიელებული აუარებს საც-  
ხოვრისიდან ლამის ქურდებს გაპქონდათ ყველაფერი, რასაც მცირეოდენი ღირე-  
ბულება მაინც ჰქონდა — უბრალო რკინა, თითბერი ან ტყვია.

გარდა ამისა, ყოველ წელს, ზამთრობით, ზღუდეთა გახსნის შემდგომ ხში-  
რად ნახულობდნენ, რომ ბოქლომებს, საკეტებსა და საიდუმლო სარდაფებს  
ვერ დაეცვათ ღვინითა და სხვა არყიანი სასმელებით სავსე დუქნები. ვაითუ  
გადატანისას ვერ მოვუაროთ და ვიზარალათო, ფიქრობდნენ აქაური მედუქნეები  
და ბევრი ასე, შინ დაბრუნებამდე ტოვებდა იქ თავის დოვლათს.

თავზარდაცემული ხალხიდან მხოლოდ ორიოდე თუ მიაწერდა ამ საქმეთ  
კაცის ხელს. ეამია ავი სულეები, ძვლის მტეხელი ჭინკები, ციებცხელების დე-

<sup>1</sup> ანუ ნისიად ნუ მოგვთხოვთ.

მონები ეკერა სუყველას პირზე, ყოველ საათს ჰყვებოდნენ გულისგამგმირავ ამბებს. მთელი ეს ყადაღადადებული შენობები სუდარისამებრ მოეცვა შიშის ზარს და ავაზაკები ხშირად გამოიქცეოდნენ ხოლმე საკუთარი ენით უთქმელი ნაოხარის მხილველნი. მთელ ამ ვეებერთელა ნაკრძალ უბანში ისადგურებდა სევედა-კაეშანი, სიჩუმე, ქამიანობა და სიკვდილი.

ქვემოთ რომ მიიკვლევდნენ გზას ამ ქუჩით წოპე და ღირსეული პიუ ბრეზენტი, უეცრად სწორედ ასეთ ზემონახსენებ შემზარავ ზღუდეთაგანს გადააწყდნენ — ქამის საბრძანებელი იწყებოდა უკვე. დაბრუნებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა, წუთიც და დაეწეოდათ მღევარი. ათასი თოკიდან გამომძვრალი მეზღვაურებისათვის ასე სახელდახელოდ აშენებულ მესერზე გადავლება სულ ადვილი საქმე იყო. სირბილითა და არაყით გახლებულებს აღარ დაუყოვნებიათ, ზედ გადაახტნენ და ახლა ამ ორი მთვრალის ღრიანცელს გადაეყრუებინა აყროლებული და მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდები.

თქმა არ უნდა, გაღეშილებს ჰკუა აღარ ეკითხებოდათ, თორემ ბარბაციით მიმავალნი იქვე გაშეშდებოდნენ იმ საშინელი სურათის მნახველები. ჰაერი ცივი და ნესტიანი იყო. ამოყრილი ქვაფენილი უთავბოლოდ ეყარა გადაბარდნილ ბალახში, კოჭებსა და მუხლებზე რომ ედებოდა გამვლელს. სახლების ნანგრევებს აევსო ქუჩები. ყოველივე გაემსჭვალა მყრალ და მომწამლავ მძაფრ სუნს. ნისლიანი და გახრწნილი ჰაერით წარმოქმნილი შესაზარი მქრქალი ნათელი შუალამითაც კი ეფინებოდა გზებს, გასასვლელებსა თუ უსარკმლებო საცხოვრებლებში ღამეულ მძარცვავეთა გამომპალ ნეშტთ; სწორედ თარეშის დროს მოეშთო ისინი ქამის მსახვრალ ხელს.

მაგრამ რალა უნდა წარმოედგინათ, რალა უნდა ეგრძნოთ, რას უნდა შეეჩერებინა ეს ორი ისედაც თავზახელალებული კაცო მაშინ, როცა „ჩასაცეცხლებლით“ ჩაბუებუებულებს დიდი გული გახდომოდათ და შეძლებისდაგვარად პირდაპირ უშიშრად მიბანცალებდნენ სწორედ პირაშემული სიკვდილის ზანაში. პირქუში წოპე წინ, სულ წინ მირბოდა, მისი ღრილის კაეშნიან-საზეიმო ექოს ისე მოეცვა იქაურობა, ვითარცა ველი საომრად გასული ინდიელების კიჟინას; წინ, სულ წინ მიგორავდა დაგვალული პიუ ბრეზენტი, ჩამოკიდებული თავისი ასწრაფებული ამხანაგის ქურთუკს და სტენტორული<sup>1</sup> ფილტვების სიღრმიდან ამოსდოდა ისეთი ძალუმი *in basso*,<sup>2</sup> ხარისებრი ბლავილი, რომ გუგუნი მისი კიდევაც სჯობდა წოპეს ვოკალურ ხელოვნებას.

სწორედ ახლა მიატანეს, როგორც ჩანს, ქამის საუფლოს შუაგულს. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მყრალი და სულ უფრო ამაზრზენი ხდებოდა არემიდამო, სავალი კი — სულ უფრო ვიწრო და სულ უფრო მიხვეულ-მოხვეული. ვეებერთელა ქვები და ძელები კოველ წუთს სწყდებოდა გამომპალ სახურავებს და ისეთი გულისგამხეტქი შხუილით ეშვებოდა დაბლა, ნათელი იყო, რა უზარმაზარი სახლები იდგა გარშემო; ძლივძლივობით რომ მიიკვლევდნენ გზას აუარება ნანგრევ-ნამუსრევში, მათი ხელი ხშირად წაეპოტინებოდა ხოლმე ჩონჩხს ან უკვე საკმაოდ შემპალ გვამს.

უცებ ერთი მაღალი შემზარავი სახლის შესასვლელს მიადგნენ მეზღვაურები. კიდევ უფრო შეღრიალა მთლად წამონთებულმა წოპემ და პასუხად შიგ-

<sup>1</sup> სტენტორი — ომახიანი ხმის ქადაგი პომეროსის პოემიდან „ილიადა“.

<sup>2</sup> ბასი.

ნიდან მალიმალ მიყოლებით მოისმა სიცილის მსგავსი ზარდამცემი ეშმასეული ხორხოცი და ხითხითი. წარბიც არ შეუხრიათ, თუმცა სხვებს, ნაკლებად წამოგზნებულებს, შიშით გულს გაუხეთქავდათ ასეთი ხმა ასეთ ყოფასა და ასეთ დროს. გამობრუებული წყვილი მიაწყდა კარს, შეგლიჯეს და შევეცდნენ ტორტმანითა და გინება-გინებით.

მეკუბოვისას შემოჭრილიყვნენ თურმე: მაგრამ ოთახის კუთხეში, შემოსასვლელის ახლოს, იატაკის ღიად დარჩენილი ჩასასვლელიდან მოჩანდა მრავალი ღვინის სარდაფი, რომელთა სიღრმიდან ხანდახან მოისმოდა ბოთლიდან ამოვარდნილი საცობის ხმა, რაც მოწმობდა, სავსე უნდა ყოფილიყო იქაურობა სასმელ-დასალევით. მაგიდა იდგა ოთახის შუაგულში, მაგიდის შუაში კი — ვეებერთელა ბადია, პუნში ჩაესხათ იმაში, როგორც ჩანს. ბოთლები ელაგა ნაირ-ნაირი ღვინითა და სასმელით, უხვად დაეწყით რაგინდარა ზომისა და ფორმის ხელადები, დოქები და სურები, გარშემო, საკუბოვე სამფეხებზე, ექყსნი ჩამომსხდარიყდვნენ, რომელთაგან თითოეულის აღწერას შევეცდები.

კარის პირდაპირ, სუფრისმტეებზე მცირეოდნავ უფრო მომაღლოდ, წამოძდარიყო კაცი, როგორც ჩანს, სუფრის თამადა. ისეთი გამხდარი და მაღალი იყო, სახტადაც დარჩა მისი მნახველი წოპე, მასზე უფრო გაძვალტყავებული რომ იხილა ვიღაც. ზაფრანისფრად ჩაყვითლებოდა სახე, მაგრამ მხოლოდ ამით არ გამოირჩეოდა, სხვა ნიშანი ჰქონდა გამოწვლილვით აღწერის ღირსი — არაჩვეულებრივი მაღალი და მახინჯი შუბლი, თითქოსდა თავზე ეკოსა ჩაჩი თუ გვირგვინი ხორცისა. შემადრწუნებელი თავაზიანობის ღიმილი მორეოდა მის მოღრეცილ ტუჩ-პირს, თავისივე თანამესუფრეთა მსგავსად თავში ღვინო-არაყ ავარდნილს თვალები დაბინდოდა. თავით ფეხამდე ეს ჯენტლმენი ესპანური მოსასხამის დარ მდიდრულად მოქარგულ საკუბოვე ხავერდის შესამოსელში გახვეულიყო, მისი კალთები უწესრიგოდ, კეც-კეცად ჩამოშლილიყო დაბლა. საკატაფალკე შავფერ ფრთებს დაემშვენებინა მისი თავი, რომელსაც ღრმადმხედი და უდარდელი კაცის იერით ატრიალებდა, მარჯვენა ხელში ადამიანის ბარძაყის ვეება ძვალი მოემარჯვებინა და მაგიდაზე აბრაახუნებდა, როგორც ჩანს, იქ მყოფთაგანს ვიღაცას ხეთქა ეს წუთია, იმღერეო.

ზურგით კარისკენ, იმ კაცის მოპირდაპირე მხარეს, ერთი ქალბატონი იჯდა, ისიც ასევე უჩვეულო გარეგნობისა. თუმცა სიმაღლე ზემოთ აღწერილი პიროვნებისა ჰქონდა, მაგრამ სიგამხდრეს არ უჩიოდა ნამდვილად. წყალმანკი საბოლოოდ მორეოდა ამ ქალს: ტანთ ოქტომბრის ლუდის იმ ღიდ კასრს დამსგავსებოდა, იქვე, მის სიახლოვეს თავახდილი რომ იდგა კუთხეში. მთლად დამრგვალებოდა წითელი და ლოყებდასიებული სახე; იმ კაცის მსგავსად უცნაური ეთქმოდა მის სახესაც, უფრო სწორად, ერთი რამით იყო უცნაური — ხსენებული გარემოება თამადის აღწერის დროსაც გითხარით — მისი სახის ერთი ნაკვთი იმდენად იყო თვალსაჩინო, არ შეიძლება არ აგიწეროთ: მახვილი თვალის მქონე ბრეზენტმა იმავე წამს შენიშნა, რალაციით გამოირჩეოდა ყოველი მათგანი, თითქოსდა თითოეულის ერთპიროვნული საკუთრება გამხდარიყო ერთი გარკვეული ნაკვთი სახისა. ღირსშესანიშნავი ტუჩ-პირი ჰქონდა ამ ქალბატონს, მარჯვენა ყურიდან თავზარდამცემი უფსკრულივით გადაჭიმულიყო მარცხენა ყურამდე და რხევისას სულმულდამ შიგ ეკარგებოდა ხოლმე პატარა საყურეები. ძალიან კი ცდილობდა სულ პირდამუწული ყოფილიყო და ღირსეუ-

ლად დაეჭირა თავი, რადგან თითქმის ნიკაპამდე სწვდებოდა ფურჩალებით გაწყობილი ახალგაზამებული და გაუთოებული კაბა.

ციდამტკაველა ახალგაზრდა ქალბატონი იჯდა მის გვერდით, ხელმარჯვნივ და, როგორც ჩანს, ეს ქალი მეურვეობდა მას. გაჩხინკული, თევზები, უკანკალებდა ამ პატარა, ნაზ არსებას, მკვდრისფერი დასდებოდა ფერ-მკრთალი სახე ავადმყოფურად დაფორეჯებოდა, უთუოდ ჩქარი ჭლექი სჭირდა, მთელი მისი მიხრა-მოხრა ჭეშმარიტ haut ton-ს<sup>1</sup> მოწმობდა, მოხდენილად და degagee<sup>2</sup> გახვეულიყო მშვენიერი ინდური ბატისტის ვეებერთელა სუდარაში, ყელამდე სცემდა კულულები; ნარნარი ღიმილი დასთამაშებდა ბაგე-პირზე, ცხვირი კი ჰქონდა მეტისმეტად გრძელი, წვრილი, მოძრავი, მუწუკებიანი და ქვედა ტუჩზე უფრო დაბლა ჩამოშვებული; მიუხედავად იმისა, რომ ამ ცხვირს ხან იქით გადაიგდებდა კობტად ენით და ხან აქეთ, მაინც ორაზროვან იერს ანიჭებდა იგი მის სახეს.

მარცხნივ, მის პირდაპირ, იმ წუ-ლმანკიანი ქალბატონის გვერდით ჩია ტანის ჩასუქებულ, ნიკრისის ქარებით გატანჯულ მოხუც კაცს ქოშინი ავარდნოდა, დიდზე დიდი ლოყები გადაედო მხრებზე, ვითარცა წითელი ღვინით სავსე ტიკები. მკერდზე ჯვარედინად დაეწყო ხელები, მაგიდაზე ჩამოედო ცალი შეხვეული ფეხი. თავის თავზე რაღაც დიდი წარმოდგენისა უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს. ძალიან ამაყობდა კიდევაც თავისი ტან-ფეხით, მაგრამ განსაკუთრებით ჭრელაჭრული ხიფთნით მოჰქონდა თავი. მართლაც ცოტა ფული არ დაჰდომოდა ეს ჩასაცმელი, კარგადაც მორგებოდა ტანზე, საკვირვლად გაეწყობა აბრეშუმით, რომელზეც გერბიანი ფარები დაექარგათ, ინგლისში და სხვაგანაც ჩვეულებრივ დიდგვაროვანთა სასახლეზე თვალსაჩინო ადგილას გადმოჰკიდებენ ხოლმე გლოვის ნიშნად ასეთ ქამხას.

ამ კაცთან, თამადის მარჯვნივ, იჯდა ჯენტლმენი გრძელ, თეთრი ფერის წინდებსა და ბამბის ქვედა საცვალში. თავით ფეხამდე სასაცილო თახთახი მორეოდა და ბრეზენტმა ასე თქვა, „შიშის ციება აქვს“. ახალგაპარსულ პირსა და ნიკაპზე მაგრად შემოეჭირათ მისთვის მარმაშის სახვევი; მაჯებიც ასევე გაეკოჭათ და მკლავებიც ისე გაეკავებინათ, სასმელს ვეღარ მიწვდებოდა სუფრაზე; წოპეს აზრით, წინდახედულადაც მოქცეულიყვნენ, მოურჯულებული ლოთი რომ იყო, კიდევაც ეტყობოდა სახეზე. გრძელი ყურები კი რითი უნდა დაეჭირათ და ჰქონდა ასე, დარბაზის ჭერისკენ აცქვეტილი ბოთლიდან ამოვარდნილი საცობის ყოველ ხმაურზე.

მის პირდაპირ იყო მეექვსე და უკანასკნელი, ერთი უცნაური, სარგადაყლაპულივით გაშეშებული დამბლადაცემული კაცი და, მართალი თუ გნებავთ, ძალზე ცუდად უნდა ეგრძნო თავი, ისე უჩვეულოდ შემოსილიყო ახალთახალი და კარგი ნახელავი წითელი ხის კუბოთი. კუბოს გარდიგარდმო კედელი თავის მხარისა ჭუდივით ჰქონდა ჩამოხურული და ენით აუწერელი იერი მიეცა მისი სახისთვის; გვერდებზე ხვრელები ამოეჭრათ ხელების გასაყრელად, ოღონდ სილამაზისათვის კი არა, უფრო მოსახერხებელი რომ ყოფილიყო; მაგრამ ასეთი სამოსლით მორთული, სხვა თანამესუფრეთა მსგავსად სწორად ვეღარ დაჯდებოდა; ორმოცდახუთი გრადუსით გაწოლილიყო საკუბოვე სამფეხ-

<sup>1</sup> საღალი საზოგადოების ტონი (ფრანგ.).

<sup>2</sup> თავისუფლად (ფრანგ.).

ზე, დიდრონი, გადმოკარკლული თვლების შემზარავი თეთრონი ჭერისთვის მიეპყრო და თავადაც შეჩქვიფებულიყო ამ თეთრონის სიდიდით.

თავის ქალა ედგა ყოველ მათგანს სასმისად. რგოლში გაყრილ და ჭერში ამაველ თოკზე, მათ ზემოთ, ადამიანის ჩონჩხი ჩამოკონწიანდებულნი იყვნენ ცალი ფეხით, მეორე კი სწორი კუთხით ვასდევდა ჩონჩხის ტანს, ამ დარბაზში პირი ქარის ყოველ დაბერვაზე ჩხარაჩხური რომ გაპქონდა და ყველა მიმართულებით დაქანაობდა. საოცრად გუზგუზებდა მის თავის ქალაში ნაკვერჩხლები და მთელ ამ სცენას აცივლივებდა ბრკილა ნათელით; კუბოები და მეკუბოვის სხვა საქონელი აწოწოლავებული ეყარა ყველგან, სარკმლებთანაც, და სინათლის ერთი სხივიც კი არ გადიოდა გარეთ.

ამ უცხო სანახავი თავყრილობის, უფრო კი ამ უცხო სანახავი მორთულ-მოკაზმულობის წინარე ჩვენი ორი მეზღვაური ვერ მოიქცა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო აქ შემოსულთაგან. წოპე იქვე, იმ კედელს მიყრდნობოდა, სადაც გაჩერებულიყო, ქვედა ტუჩი მთლად ჩამოეგდო, თვალები გადმოეკარკლა; ჰიუ ბრეზენტი წახრილიყო და ცხვირით მაგიდის პირს გასწორებოდა, მუხლებზე ხელებს იტყაპუნებდა და ასეთ უადგილო ადგილას აეტება გაუთავებელი და გამაყრუებელი ხორხოც-ხარხარი.

მცირეოდნავაც არ წყენია ასეთი აშკარა სიბრიყვე ტანაწოწილ თამადას, ნატიფი თავაზიანობით გაულიმა მომხდურებს, მედიდურად დაუქნია შავი ფრთებით შელამაზებული თავი, წამოდგა, თითოეულს ხელი მოხვია და მიიყვანა დასაჯდომთან, მოწიწებით რომ მოართვა ერთ-ერთმა დამხვდომმა. წინააღმდეგობის გაუწევლად დაჯდა წოპე იქ, სადაც მიუთითეს; ღირსეულმა ჰიუმ თავისი საკუბოვე სამფენა სუფრის თავიდან წამოიღო და მეტად გამხიარულებული მიუჩოჩდა სუდარამოსხმულ პატარა ქალბატონს, წითელი ღვინით შეივსო თავის ქალა, თქვა, ჩვენი სულ ახლო გაცნობისა იყოსო, და გადაკრა. რისხვით წამოანთო მისმა ასეთმა სითამამემ სარგადაყლაპულივით კუბოში გაშეშებული კაცი. ცუდი ამბავი მოჰყვებოდა უთუოდ ამას, მაგრამ თამადამ მიიპყრო თანამესუფრეთა ყურადღება:

— ჩვენი ვალია ამ ბედნიერი შემთხვევისა გამო...

— ჰეი, მანდ! — გააწყვეტინა წოპემ, მეტად შეფიქრიანებული რომ ჩანდა, — ჰეი, მანდ-მეთქი! მე თქვენ გეუბნებით, სატანას კერძებო, ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ, ეშმაკებივით გამოწყობილხართ და შიირთმევთ ამ კარგ საჭმელსასმელს, ზამთრისთვის რომ გადაუნახავს უილ უიმბლს, ჩემს პატივცემულ ზღვის მეგობარს, აწ მეკუბოვეს!

მაგიდიდან წამოცვენა უნდოდათ ასეთი აშკარა სიბრიყვის მხილველთ, და მოისმა ისევ ისეთივე მაღლივ მიყოლებული ზარდამცემი ეშმასეული ჰყვივლი, ჩვენი ორი მეზღვაურის ყურადღება რომ მიიპყრო ამ ცოტა ხნის წინ. მაგრამ პირველად თამადა მოვიდა გონს, თავდაოკებითა და დიდი ღირსებით ასე მიმართა წოპეს:

— დიდი სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ ესოდენ გამოჩენილი, თუმცა კი დაუპატიებელი სტუმრების მისატევებელ ცნობისმოყვარეობას. უნდა იცოდეთ, ხელმწიფე გახლავარ ამ ქვეყნის და ერთპიროვნულად ვმართავ სახელითა „მეფე ეამი პირველი“. დარბაზი ეს, უთუოდ უვიცობისა გამო, უილ უიმბლის, მეკუბოვის დუქანი რომ გგონიათ, თუმცა კი არ ვიცნობთ მას და ამ ღამემდის მის მდაბიურ სახელს არ შეუბღალავს ჩვენი მეფური ყურთასმენა, ჩვენი სა-

სახლის სეფე-დარბაზი გახლავთ და აქ ვბჭობთ სახელმწიფო საქმეებსა თუ სხვა წმინდა ამალლებულ მიზნებზე. მირონცხებული დედოფალი ჟამი<sup>1</sup> ჩემ პირდაპირ მჯდომარე ბანოვანი. სხვები კი, თქვენ რომ ხედავთ, მეტად საჩინონი, ჩვენი გვარისაა სუყველანი, ქვემოთ მოყვანილი წოდებანი ადასტურებს მათ მეფურ სისხლს — მისი ბრწყინვალეობა ერცპერცოგი ჟამონ<sup>2</sup>, მისი ბრწყინვალეობა პერცოგი ჟამიანი; მისი ბრწყინვალეობა პერცოგი ჟამთაგანი; მისი უმაღლესობა ერცპერცოგის მეუღლე ქალბატონი ჟამისიმედი.

— ხოლო, — ასე განაგრძო, — კითხვაზე, თუ რადა ვსხედვართ და რასა ვბჭობთ, გვაპატიეთ, და უნდა გითხრათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საკუთარი სამეფო საქმეებია და ჩვენ გარდა ამას არავისთვის არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. მაგრამ თქვენ, ჩვენს უცხო სტუმრებს უფლება გაქვთ და ჩვენ შემდგომ ამისა აგიხსნით, თუ რად შევიყარენით აქ, ამალამ: ღრმად, გამოწვლილვით უნდა შევისწავლოთ და სრულიად განვსაზღვროთ აგრე ძნელად დასადგენი უცნაური თვისება და გემო ჩვენი სასახლის ფასდაუდებელი საუნჯის, ჩვენი დიდებული სატახტო ქალაქის ღვინოების, არაყებისა და სხვა ამდაგვარი სასმელებისა, ოღონდ ამის მქმნელთ ჩვენი სურვილი არ გვამოძრავებს, უფრორე კეთილდღეობა გვინდა იმ არამიწიერი მეუფისა, რომლის ხელთა ვართ ჩვენ და რომლის საბრძანებელი უსაზღვროა, მისი სახელია — „სიკვდილი“!

— მისი სახელია დევი ჯონსი!<sup>1</sup> — შესძახა ბრეზენტმა, თან გვერდით მჯდომარე ქალბატონს თავის ქალაში ჩაუსხა ღვინო და თავისთვისაც დაისხა.

— ღვთისმგმობელო მონავ! — ასე მიმართა თამადამ ღირსეულ ჰიუსს, — არამზადავ, წყეულო, აკი გითხარით, თუმცა გარეწარი ბრძანდები, მაინც კი გაქვს უფლება, რომლის ხელყოფა არა გვსურს და კიდევაც გეცით პატივი და გიპასუხეთ შენს ბრიყვულ და ჭკუამიუტანებელ შეკითხვებზე. და მიუხედავად ამისა, ჩვენს საბჭოში ასეთი მკრეხელური შემოჭრისათვის მოვალენი ვართ დაგსაჯოთ შენ და შენი ამხანაგი, თითოეულმა უნდა დალიოთ ერთი გალონი „შავი სახრე“, ჩვენი სამეფოს სადღეგრძელო უნდა შესვათ, დაჩოქილებმა უნდა გადაკრათ და მერე გნებავთ წაბრძანდით, ნახეთ თქვენი გზა, გნებავთ აქ დარჩით ჩვენს სუფრაზე, როგორც გნებავდეთ, ისე მოილხინეთ.

— არაფრის დიდებით, — უპასუხა წოპემ. მეფე ჟამი პირველის თავდაჯერებულობისა და ღირსების მხილველი, როგორც ჩანს, მოწიწების რაღაც გრძნობამ მოიცვა, წამოდგა და, რაკილა მაგრად ვერ იდგა ფეხზე, მაგიდას ჩაეჭიდა, — თქვენი უდიდებულესობის ნებართვით მინდა მოგახსენოთ, არაფრის დიდებით არ შემიძლია, თქვენმა უდიდებულესობამ რომ მოიხსენია, იმ სასმელის მეოთხედიც ჩავუშვა ტრიუმში. იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც ბალასტის სახით მივიღეთ ამ დილით, ისიც თუ არ დაგვაფიწყდება, რაც ამ სალამოს სხვადასხვა გემოსაყუდარში მყოფნი არაყითა და არაყიანი სასმელებით დავიტვირთეთ, ისედაც სავსენი ვართ „ჩასაცეცხლებლით“, იქ, „დარდიმანდი მეზღვაურისას“ რომ გვახელით და კიდევაც სრულიად გადავიხადეთ მისი საზღაური. თუ შეიძლება, თქვენმა უდიდებულესობამ ნათქვამი ქმნილად ჩათვალოს, რადგან ერთ წვეთსაც ველარ დავლევ, მით უმეტეს იმ საზიზლარი სითხის ერთ წვეთსაც, რასაც „შავ სახრეს“ ეძახიან.

<sup>1</sup> ასე ეძახიან ინგლისელი მეზღვაურები ზღვის გემას.



— მანდ დადექი, — გააწყვეტინა ბრეზენტმა, მეგობრის უარს ისევ გაეოცებინა, როგორც მის აგრე გრძელ სიტყვას, — მანდ დადექი-მეტქი, მე არიფო! შენ გეუბნები, წოპე, სიტყვა აღარ დაძრა. მე ჯერ კიდევ მჩატედა ვარ, შენ კი, მგონია, ცოტათი დამძიმებულხარ უკვე და რაკი ყელამდე ხარ, სჯობს დაწყნარდე, მე კი ჯერ მაგრად ვდგავარ, ხოდა...

— რას ბრძანებთ, — შეაჩერა იგი თამადამ, — სულაც არ არის შესაფერისი ეგ იმ სასჯელისა თუ განაჩენის, რომელიც ორივეზეა თანაბრად განაწილებული და არც შეიცვლება და არც გაუქმდება. როგორც ეს მიდიელთა წესია, ყველაფერი ზუსტად უნდა აღსრულდეს და დაუყონებლივ, თუ არადა, ვბრძანებ, კისრით ქუსლებზე მიგაბან და, როგორც შფოთისთავები, აი, იმ ოქტომბრის ლუდის კასრში მოგისროლონ!

— განაჩენი! განაჩენი! სწორი და სამართლიანი განაჩენია, დიდებული ბრძანებაა! მართალი და წმინდა, დიახაც ღირსეული სამართალია, — ერთხმად შესძახა ქამიანების ოჯახმა. მეფემ ზეაღმართა წარბები და შუბლი მისი აუარება ნაოჭით დაიფარა; საბერველივით ქშინვა ამოუშვა ნიკრისისქარებიანმა ჩია ტანის მოხუცმა კაცმა; ცხვირი აუცანცარდა კუბოს გადასაფარებელში გახვეულ ქალბატონს, ყურები დაცქეიტა ბამბის საცვალში გამოწყობილმა ჯენტლმენმა, ხმელზე ამოგდებული თევზივით პირს აღებდა სუღარიანი ქალი; კუბოში გაშეშებულ კაცს კი თვალები გადაეტრიალებინა.

— ხა! ხა! ხა! — სიცილი აუვარდა ბრეზენტს, საყოველთაო აღშფოთება არაფრად ჩააგდო, — ხა! ხა! ხა!.. ხა! ხა! ხა! ხა!.. ხა! ხა! ხა! მე ხომ ვამბობდი, — თქვა მან, — მე ხომ ვამბობდი, ვიდრე მეფე ბატონი ქამა თავისი კეტით გვემუქრებოდა, გინდა ორი თუ სამი გალოწვით მეტს დავლევ-მეტქი, თუნდა იმ „შავ სახრეს“, რას დამაკლებდა, კიდევ მოიძებნება გემში ადგილი, არც ისე ყელამდე სავსე ვარ, მაგრამ ეშმაკის (ღმერთმა შეუნდოს) სადღეგრძელო როგორ შევსვა მუხლის თავების ქლეშით ამ ჭირიანი უდიდებულესობის წინაშე! გინც ბრძანდება, საკუთარი ცოდვა-ბრალივით ვიცი, გიჟუა ტიმია, ტაკიმასხარა! მეტი ვინ უნდა იყოს, რალაც სულ სხვა ამბავია აქ და მე აღარაფერი მესმის.

სიტყვა გააწყვეტინეს, სული აღარ მოათქმევინეს, გიჟუა ტიმის სახელი გაიგონეს თუ არა, მთელი ეს შეკრებილობა ფეხზე დადგა.

— ლალატია! — დაიღრიალა მისმა უდიდებულესობამ მეფე ქამმა პირველმა.

— ლალატია! — თქვა ნიკრისისქარებიანმა კაცმა.

— ლალატია! — დაიჭყივლა ერცჰერცოგის მეუღლე ქამისიმედმა.

— ლალატია! — წაიღუდუნა ყბააკრულმა ვაჟბატონმა.

— ლალატია! — ამოიძახა კაცმა კუბოდან.

— ლალატია! ლალატია! — ამოთქვა მისმა უდიდებულესობა პირდიდმა დედოფალმა, სტაცა ხელი უკან შარვალში უბედურ ბრეზენტს, თავისთვის რომ არაყს ისხამდა, ზევით ასწია და ასე, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ საყვარელი დასალევით სავსე ვეებერთელა თავლია კასრში გადაუძახა. ვითარცა ვაშლმა პუნშიან თასში, რამდენსამე ხანს იყურყუმელავა იქ და ბოლოს ჩანთქა ქაფმორეულმა მორევმა, ისედაც დუღდა ეს სასმელი და ბრეზენტის ჭყუმბალაობისაგან კიდევ უფრო! მეტად აქაფქაფდა.

მაგრამ ტანაწოწილი მეზღვაური არ შეგუებია თავისი ამხანაგის მარცხს. თავლია სარდაფში ჩააგდო ლომგულმა წოპემ მეფე ქამი, ერთი შეუკურთხა, სარ-

დაფის კარი ჩარაზა და ოთახის შუაგულში გადმოალაჯა. ჩამოგლიჯა მაგიდაზე ჩამოკონწიალებული ჩონჩხი და ისეთი ძალითა და მონღოლებით დაუწყოქნევა, ვიდრე დარბაზში უკანასკნელი სანთელი დაინთქმებოდა. ტენის დაანთხევიან ჩია ტანის ნიკრისისქარებიან მოხუც კაცს, მერე ოქტომბრის ლუდითა და პიუბრეზენტით ავსებულ კასრს დაეტაკა, რაც ძალი და ლანქისქონდა, და იმავე წამს გადმოამზღვრია, გადმოაგორა სასმელის ნიაღვარს ბოთლისკენ, გადმოინთქა შმაგად, ლაწლაწით, კედლიდან კედლამდე დაძირა მთელი დარბაზი, გადმოატრიალა გაძეძგილი მაგიდა, წამოაქცია სამფეხები, პუნშიანი თასი ბუხარში შეისროლა, ისტერიკა დამართა ქალებს. ტივტივი დაიწყო მთელმა სამგლოვიარო მოწყობილობამ. დოქები, სურები და ჯამები აილუფხა ერთმანეთში, აწოწოლავდა, დიდი მოწნული ბოცები ბოთლებთან ერთად ჩაიმსხვრა. ცახცახატანილი კაცი იქვე დაიხრჩო; პატარა წელგაშეშებული ჯენტლმენი თავისი კუბოთურთ სადღაც გაცურდა; გამარჯვებულმა წოპემ წელზე მოხვია ხელი სუდარაში გახვეულ ფაშფაშა ქალბატონს და ქუჩაში გამოიტაცა, გამოიქცა „გულმზიარულისაკენ“. შეუპოვარი პიუბრეზენტი სამჯერ თუ ოთხჯერ დაცემინების შემდეგ იალქნებაშვებული უკან მოსდევდა, მოიხვნეშოდა, მოქოშინობდა, თან მოჰყავდა ერცჰერცოგის მეუღლე ეამისიმედი.

### ოვალური სურათი

მე, ასე შეჭირვებული კაცი ღამეს ცისქვეშ ხომ არ გავათენებდი, და ჩემმა მსახურმა სრა-სასახლის კარის შემტვრევა გახედა; სევდა და დიდებულება ერთად დასტყობოდა აქაურობას. ისევე, როგორც ქალბატონ რადკლიფის წარმოსახვაში, აპენინებშიც ხშირად შეხვდებოდით კაეშნისმომგვრელ ასეთ ნაგებობებს. კარგად ჩანდა, რომ ამ ცოტა ხნის წინ ორიოდე დლით დაეტოვებინათ იგი. ყველაზე უფრო პატარა და ნაკლებად გაწყობილ ერთ ოთახში დავბინავდით. ამ შენობის შორეულ კოშკში მდებარეობდა ეს დარბაზი. მთლად დაძველებულიყო მისი წინააღრინდელი მოწყობილობა. კედლებიდან ჩამოშლილ გობელენებზე ეკიდა აურაცხელი და ნაირ-ნაირი ნაალაფევი იარაღი, მოთქრულ არაბესკებით დაფარულ ჩარჩოებში ჩაესვათ შთაგონებით შექმნილი ბევრი თანამედროვე ფერწერული ტილო. საკვირველი არქიტექტურისა იყო ეს შენობა და ამიტომაც მრავალ კუთხე-კუნჭულს ნახავდით, სურათები აქაც დაეკიდათ. ციებ-ცხელებამ შემოშითია და შესაძლოა მიზეზი ეს იყო, რომ მთელი ჩემი გულისყური მიიპყრო ამ სურათებმა. მოსაღამოებული იყო; პედროს ვუბრძანე, მიხურე ეგ მძიმე დარაბები, ჩემს თავთან მდგომი მაღალი საკანდლის ყველა სანთელი აანთე და ამ საწოლის ფოჩებიანი შავი ფარდა რაც შეიძლება ფართოდ გადახსენი-მეთქი. იმიტომ მოვინდომე ასე, რომ თუ ძილი არ წამართმევდა თავს, კარგად დავინახავდი ამ სურათებს და ამ პატარა წიგნსაც ყურადღებით წავიკითხავდი, რომელიც ბალიშზე ვიპოვე და სურათების გარჩევასა და მათ აღწერილობას გვამცნობდა.

დიდხანს, დიდხანს ვკითხულობდი, სურათებს კი გამოწვლილვით ვათვალიერებდი. მალე გაილია ეს დიდებული საათები, შუაღამე გადასულიყო უკვე. მოუხერხებლად იდგა საკანდლე და არ მომწონდა, მაგრამ რაკი მსახურის შე-

წუხება არ მინდოდა, ძლივძლივობით მივწვდი და ისე დავდგი, მის შუქს კარგად გამოეჩინა წიგნის ფურცლები.

მაგრამ ყოვლად მოულოდნელი ამბავი კი მოხდა. სანთლების შუქმა (აუარება რომ იყო აქ) ოთახის ერთი ნიში გამოაჩინა, მანამდე იგი სარეცლის ერთ ტოტთავანს დაეფარა სრულიად. მოციმციმე ნათელზე შევნიშნე მხოლოდ ეს სურათი: ქალობისათვის ახალმომწიფებული ნორჩი გოგონას სურათი იყო. შევხედე თუ არა ამ ნახატს, იმავე წამს თვალი დავხუჭე, რად გავაკეთე ასე, ამას მაშინ ვერ მივხვდი. ჩემდა უნებურად მომივიდა ეს, როგორც ჩანს, დრო ხომ უნდა მქონოდა ფიქრისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი, თვალმა არ მომატყუა-მეთქი, დამშვიდებული, ფანტაზიადმოკებული უფრო საღი გონებითა და უფრო თავგზიანად დავკვირვებოდი. კიდევ ორიოდ წამიც და კვლავ მივაპყარი მზერა სურათს.

საღი მხედველობა მქონდა ახლა და ამაში ეჭვიც აღარ მეპარებოდა, საკანდლის პირველი სხივი მოხვდა თუ არა ტილოს, თითქოსდა დამეხსნა გრძნობისწამლები ძილქუშის ხვანჩები და იმწუთას დამიბრუნდა სიფხიზლე.

ქალიშვილის სურათი იყო, როგორც უკვე გითხარით. თავი და მხრებილა მოჩანდა მისი, დაეხატათ ვინიეტური მანერით, ასე უწოდებენ ამას; სალის<sup>1</sup> უყვარდა ასე. თავების გამოსახვა. მკლავები, მკერდი და ოქროსფერი თმაც კი შერთვოდა ფონს—სიღრმეში დანთქმულ ბუნდ ჩრდილს, ჩარჩო ოვალური, მავრიტანული ჩუქურთმებითურთ, მდიდრულად მოოქრულიყო. ხელოვნების ნაწარმოებთაგან ყველაზე უფრო აღმაფრთოვანებელი ეს სურათი გახლდათ. მაგრამ არც შესრულებამ არც მარადიულ მშვენიერებასთან წილნაყარმა სახემ შემძრა უეცრად სულით ხორცამდე. ძილ-ღვიძილში მყოფს არც ცოცხალი არსების თავი მგონებია, სულაც არა. მივხვდი იმწუთას, რაკი ვნახე ნახატის თავისებურება, მისი ვინიეტური მანერა, ჩარჩო, მაშინვე უნდა უარმეყო ეს იდეა, გულშიაც კი ვერ გავივლებდი ამას. საათი იქნებოდა, რაც სანახევროდ წამომგდარი ფიქრში ვიყავი წასული, თვალი ვერ მომეცილებინა სურათისთვის. დაბოლოს ჩავხვდი მისი ეფექტის საიდუმლოებას, ისევ გავსწორდი ლოჭინზე მძლად ცოცხალივით ჩანდა სურათზე ის არსება, ჯერ მომაჯადოვა, მერე შევჩქვიფდი კიდევაც, საბოლოოდ კი თავზარი დამეცა, გული გადამიტრიალდა. დიდი მოწიწებითა და სასოებით ისევ თავის ადგილას დავდგი საკანდლე. ჩემი მღელვარების საგანს რაკი ვეღარ ვხედავდი, მოუთმენლად მივწვდი იმ წიგნს, სადაც სურათების აღწერილობა და მათი შექმნის ისტორია იყო მოყვანილი. მოვძებნე ის ნომერი, რომლითაც ოვალური სურათი აღენიშნათ, და შემდეგი ბუნდი და გასაოცარი სიტყვები ამოვიკითხე:

„შეუდარებელი სილამაზის ასული იყო იგი, მშვენიერება მისი მის სიმხიარულეს შეედრებოდა. საბედისწერო ჟამმა დაჰკრა, როდესაც მან მხატვარი ნახა, შეუყვარდა და მისთხოვდა. ეს ზეშთაგონებული, გულმოდგინე, პირქუში კაცი უკვე ხელოვნების ტრფიალი გახლდათ; შეუდარებელი სილამაზის ასული იყო იგი, მშვენიერება მისი მის სიმხიარულეს შეედრებოდა —ნათელი გადასდიოდა სულმუდამ მომღიმარეს, შველივით ცელქს, მოსიყვარულეს, მზრუნველს, და მხოლოდ თავისი მეტოქე — ხელოვნება შესძაგებოდა; შიშატანილი უმზერდა პალიტრას, ფუნჯებსა და სხვა ბედით იარაღებს, რის გამოც მიჯ-

<sup>1</sup> თომას სალი (1783-1872) — ამერიკელი მხატვარი.

ნურის სახეს ველარ ხედავდა. და როცა მხატვარმა თავისი ახალგაზრდა ცოლის სურათის შექმნა მოისურვა, თავზარი დაეცა. მაგრამ სათნო, დამყოლი, მოკრძალებული ქალი იყო და მრავალი კვირა იჯდა ბნელსა და მართალ კოშკში, მქრქალი ნათელი ეფინებოდა ზემოდან უფერო ტილოს. მაგრამ შემოქმედების ცეცხლი მოსდებოდა მხატვარს და ასე მისდევდა საათი საათს, და დღე დღეს. ზეშთაგონებული, მგზნებარე, გაუცინარი კაცი ოცნებას მისცემოდა და ვერ ხედავდა, მიყრუებული კოშკის შემზარავს შუქზე როგორ ილეოდა მისი, მეუღლის სული და ხორცი, ეს ამბავი მის გარდა ყველას შეენიშნა უკვე. ღიმილი არ მოშორებია ქალის სახეს, ერთიც არ დაუჩივლია, იგი ხედავდა, რომ მხატვარს (დიდად სახელგანთქმულს) დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული, რათა ხორცი შეესხა იმისათვის, ვისაც უყვარდა იგი და ვინც დღითი დღე სულ უფრო და უფრო უძღური და ნაღვლიანი ხდებოდა. და მართლაც სურათის მნახველი ყველა ჩურჩულით აღნიშნავდა მსგავსებას — უდიდესი საოცრებაა, ეს მოწმობს მხატვრის ნიჭსა და უსაზმო სიყვარულს მისადმი, ვინც ასე სრულყოფილად წარმოაჩინაო. დაბოლოს, სურათის დამთავრების ხანს, აღარავის უშვებდნენ კოშკში, რაკილა შემოქმედების ცეცხლმა მოიცვა მხატვარი, თვალი მხოლოდ წამით მოაცილა ტილოს, რათა თავისი ცოლისთვის შეეხედა; და არ ისურვა დაენასა, რომ ტილოზე დაფენილი ფერები მის გვერდით მჯდომის ლოყებიდან წარეტაცნა მას. ასე გავიდა მრავალი კვირა, ცოტა დარჩა გასაკეთებელი, ფუნჯის ერთი მოსმალა სჭირდებოდა ბაგე-პირსა და თვალს, და ვითარცა ლამპარმა, ისე მოილო ბრდღვიალი ქალის სულმა. დასრულდა, მზად იყო სურათი, და მცირე ხნით გაირინდა თავისი ქმნილების წინარე მდგომი მხატვარი, კიდევ ერთი წამიც და მიწისფერი დაედო, თავით ფეხამდე კანკალი მოეკიდა და შესძახა ზარგანხდილმა: „მართლაცდა სიცოცხლეა ეს თავად!“ მერმე უეტრად თავის სატრფოს მიუბრუნდა — ის კი მკვდარი იყო!

**სიბუვის ქალა**

**ოინოსი.** მაპატიე, აგათოს, ულონობა სულისა, რომელიც ახლახან ეზიარა უკვდავებას.

**აბათოსი.** ისეთი რა თქვი, ჩემო ოინოს, რომ გაპატიო. გუმანით ცოდნის მიკვლევა აქაც კი შეუძლებელია. ხოლო სიბრძნე შეგიძლია თავისუფლად გამოჰკითხო ანგელოსებს. ეძიებდე და ჰპოვებდე!

**ოინოსი.** ჩემი ოცნება იყო, რომ ასეთ ყოფაში იმწუთას შევქმნილიყავი ყოვლისმცოდნე და ყოვლისმცოდნე კაცი იმწუთას შევქმნილიყავი ბედნიერი.

**აბათოსი.** ჰოი, ცოდნის შეძენაა ბედნიერება და არა თავად ცოდნა! სულმუდამ სწავლით სულმუდამ ვართ ნეტარნი: ოლონდ ყოვლის ცოდნა ეშმაკის კვალზე შედგომაა.

**ოინოსი.** მაგრამ მაშაზეციერმა არ იცის ეს ამბავი?

**აბათოსი.** ეს (რადგან უნეტარესიცაა იგი) ერთადერთი უნდა იყოს, რაც არც მან იცის.

**ოინოსი.** მაგრამ რაკილა ჩვენი ცოდნა ყოველ წუთს ღრმავდება, ნუთუ ბოლო ეამსაც არ გვეცოდინება ყველაფერი?

აბათოსი. სივრცეთა უფსკრულოვანს გახედე ქვემოთ! ნელინელ რომ მივფრინავთ იმათ შორის, სცადე და თვალი გააყოლე აუარება ვარსკვლავთა გუნდს — აი ასე, ასე-მეთქი! სულიერი ხედვაც ხომ ყოველმხრივ აწყდება სამყაროს უსასრულო კედლების ოქროს ზღვარს? მირიადი ბრწყინვალე სხეული მიფენია ამ კედელს და, რაკილა აურაცხელია მათი რაოდენობა, ვერცხედი შენივთებულა!

ოინოსი. კარგად ვხედავ, რომ ზმანება არ არის ეს სასრული უქონელი მატერია.

აბათოსი. ედემშიაც არ არის ზმანება, მაგრამ აქაც ჩურჩულით ამბობენ, სასრულის უქონელი მატერიის ერთადერთი მიზანი სასრულქონელ წყაროთა შექმნააო, სადაც ჩვენს სულს შეუძლია მოიკლას ცოდნის წყურვილი, სულმუდამ დაუშრეტელი რომ არის მატერიის წიაღ, რადგან მისი დაშრეტა თავად სულის შემუსვრაა. ნურაფრის შიში ნუ გაქვს, ჩემო ოინოს, მკითხე, რაც გინდა. მოდი, მარცხნივ ჩამოვიტოვოთ პლეადათა ეს მოზიმზიმე ჰარმონია და ამ ტახტიდან ავიჭრათ ორიონის ვარსკვლავთვან ველებში, სადაც იებისა და ნარცისების ნაცვლად შეცვნილან სამმაგი და სამფეროვანი მზეები.

ოინოსი. ახლა კი, აგათოს, სანამ მივალთ, დამმოძღვრე! ჩვეულებრივი მიწიერი ენით მითხარი. ვერც კი მივხვდი, თუ რა გადმომიკარი წელან, რას გულისხმობდი, ის სახე თუ წესრიგი რა არის, უბრალოდ შემოქმედს ვუწოდებდით ამას, მოკვდავნი რომ ვიყავით. იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ღმერთი არ არის შემოქმედი?

აბათოსი. მე იმის თქმა მინდა, რომ ღვთაება არა ჰქმნის.

ოინოსი. ამიხსენი.

აბათოსი. იმთავითვე კი ჰქმნიდა. ახლა რომ არიან, ის მოჩვენებითი არსებანი ნიადავ ჩნდებიან მთელ სამყაროში, სიცოცხლეს მიელტვიან. ოღონდ ისინი უშუალოდ და პირდაპირ კი არ არიან გამოვლენილნი ღვთაებრივი ძალის მეშვეობით, არამედ არაპირდაპირ თუ დანამატის სახით.

ოინოსი. აღამიანთა აზრით, ჩემო აგათოს, ეს იდეა მეტად ერეტიკული იქნებოდა.

აბათოსი. ანგელოსთა აზრით, ჩემო ოინოს, ეს სულ ჩვეულებრივი ქეშმარიტებაა.

ოინოსი. რამდენადაც მე მესმის შენი — შედეგად გარკვეული ქმედობისა, რასაც ჩვენ ბუნებრივ თუ საბუნებისმეტყველო კანონებს ვეძახით, გარკვეულ პირობებში შეიქმნება რაღაც, ქმნილების სრული მოჩვენებითობით რომ იქნება შემკული. დედამიწის საბოლოო განადგურებამდე ცოტა ხნით ადრე, კარგად მახსოვს, წარმატებით ჩაუტარებიათ მრავალი ცდა იმათზე, რომელთათვისაც ჩვენს ფილოსოფოსებს, რაკი ჰუა აღარ ეყოთ, animalculae\* ქმნილებანი შეურქმევიათ.

აბათოსი. ის შემთხვევები, შენ რომ ამბობ, სინამდვილეში მეორეული ქმნილების მაგალითებია — ერთადერთი სახე ქმნილებისა მას შემდეგ, რაც პირველმა სიტყვამ პირველ კანონს მისცა დასაბამი.

ოინოსი. ნუთუ მირიადი ვარსკვლავოვანი სამყარო, ყოველ საათს ცათა წიაღ რომ შემოიჭრება არყოფნის უფსკრულოვანიდან — ნუთუ ეს ვარსკვლავნი, აგათოს, არ არიან შექმნილნი თავად მეუფის მიერ?

\*მიკროსკოპიულ არსებათა (ლათ.).

აბათონი. ნება მიბოძე, ჩემო ოინოს, თანდათანობით მიგახვედრო ყოველივეს. შენც კარგად უწყი, რომ უკვალოდ არ წარიხოცება ფიქრი, ასევე, არ შეიძლება მრავლის უმრავლესი შედეგი არ მოჰყვეს რამე მოქმედებას. ასე, მაგალითად, დედამიწის ბინადარნი რომ ვიყავით, ჩვენი ხელების მოძრაობა იწვევდა ვარშემოხურვილი ატმოსფეროს რხევას. ხანებულს ჩვენს უსასრულო განფენილობაში ხდებოდა, ვიდრე არ მოიცავდა ყოველ ნაწილს დედამიწის ჰაერისას, რომელშიაც სამარადისოდ იყო განსაზღვრული რაღაც, წარმოშობილი ხელის ერთი მოძრაობით. ჩვენი პლანეტის მათემატიკოსებმა კარგად იცოდნენ ეს გარემოება. სითხისადმი განსაკუთრებული იმპულსების მინიჭებით ისინი აღწევდნენ განსაკუთრებულ ეფექტებს, რისი აღრიცხვაც ზუსტად შეიძლებოდა, ასე რომ სულ ადვილად გაირკვეოდა, მოცემული სიდიდის იმპულსს რამდენადრო დასჭირდებოდა დედამიწის სფეროს გარშემოვლისათვის და იმოქმედებდა კიდევაც (სამუდამოდ) გარშემოკრული ატმოსფეროს ყოველ ატომზე. უკუსვლის შედეგად არც იქნებოდა ძნელი მოცემული ეფექტის მეშვეობით დაედგინათ პირველსაწყისი იმპულსის სიძლიერე. ხოდა, იმ მათემატიკოსებმა ნახეს, რომ ყოველი მოცემული იმპულსის შედეგი აბსოლუტურად უსასრულოა და ნაწილი ამ შედეგებისა ზუსტად აღინუსხება ალგებრული ანალიზის საშუალებით. უკუსვლისას ამ ხალხს იმავე ხანებში არც ის გამორჩენიათ, რომ თავად ამ ანალიზის მეთოდში იმალება განუსაზღვრელი პროგრესის შესაძლებლობა, და ენით უთქმელია მისი სრულყოფისა და გამოყენების ფარგლების უსაზღვროება და სიტყვითაც. გამონაკლისი ამ დროს იმათი ინტელექტია, ვინც იმას სრულყოფს და გამოიყენებს, მაგრამ სწორედ ამ ადგილზე შეჩერებულან ჩვენი მათემატიკოსები.

ოინოსი. და, აგათოს, რაღატომ უნდა გაეგრძელებინათ გზა?

აბათონი. რადგან იმათ ფრიად საყურადღებო და ღრმა აზრები მოსვლიათ თავში. იმათი ცოდნიდან ასეთი დასკვნის გამოყვანა შეიძლებოდა, განუსაზღვრელი გონებრივი ძალით დაჯილდოებულისთვის და ალგებრულ ანალიზს სრულიად დაუფლებულისთვის არ იქნება ძნელი თვალყური ადევნოს იმ ყოველ იმპულსს, რომლებიც ენიჭება ჰაერსა და ჰაერთა შორის მდებარე ეთერს, და კიდევაც გაითვალისწინოს უშორესი შედეგები, უსასრულოდ შორეულ ეპოქებში რომ გამოიხატებოდნენ ისინი თუნდაც. მართლაც შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ჰაერზე შემოქმედების ყოველი ასეთი იმპულსი საბოლოოდ და სათითაოდ მოიცავს სამყაროს წიაღში დანთქმულ ცალკეულ საგანს, ხოდა, იმ განუსაზღვრელი გონებრივი ძალით დაჯილდოებულს — კი შეგვიძლია ასეთი რამ წარმოვიდგინოთ — ძალუძს თვალყური ადევნოს შორეთში მოლივლივე იმპულსს. თვალყური ადევნოს იმის სულ აღმავალ და აღმავალ ზეგავლენას ყოველნაირი მატერიის ყოველ ნაწილზე, იმის ოდინდელ ფორმებზე, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმის ახალ ქმნილებებს, ვიდრე ბოლოს არ ნახავს იმას უსაცოცხლოს, არეკლილს ღვთაებრივი ტახტიდან. და არა მარტო ამას, ყოველ ეპოქაში რიამე მოვლენას ავახსნევინებდით კომეტათაგან თუნდაც ერთ-ერთს, მაგალითად, და იმას არც გაუჭირდებოდა ანალიტიკური გზით მიკვლევა, თუ რომელმა პირველსაწყისმა იმპულსმა მისცა დასაბამი მის არსებობას. სრულიად და ზედმიწევნით ძალა ამ ანალიზისა — ყოველ ეპოქაში ყოველი შედეგის ყოველ მიზეზთან დაკავშირების უნარი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ღვთაების პრეროგატივაა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ყოველთვის, თუ მხედველობაში აღარ მივიღებთ აბსო-

ლუტურ სრულყოფილებას, ხსენებული ძალა აქვს ციური ანგელოსების მთელ კრებულს.

ოინოსი. მაგრამ შენ ხომ ჰაერზე მიმძლავრებულ იმპულსებზე ვლაპარაკობ მხოლოდ.

აბათოსი. ვლაპარაკობდი ჰაერზე, მაგრამ დედამიწას კი ვგულსებობდი; საერთო დებულების მიხედვით, მთავარია ის იმპულსები, ეთერზე რომ მიმძლავრებულან, ხოდა, ამას გაუმსჭვალავს, ამ ეთერს გაუმსჭვალავს-მეთქი მთელი სამყარო და ამიტომაცაა იგი დიდი გარემო ქმნილებისა.

ოინოსი. მაშინ თავიდათავი მოძრაობა ყოფილა და არა ბუნება, შემოქმედება?

აბათოსი. მასე უნდა იყოს. მაგრამ ჭეშმარიტი ფილოსოფია იმთავითვე გვასწავლის, მოძრაობის ყოველი სათავე აზრია, ხოლო სათავე ყოველი აზრისა...

ოინოსი. ღმერთია.

აბათოსი. ამ ცოტა ხნის წინათ დაღუპული მშვენიერი დედამიწის შვილს მე ხომ ვითხარი, ოინოს, დედამიწის ატმოსფეროს იმპულსების შესახებ.

ოინოსი. დიახ.

აბათოსი. და რომ მოგიტხოვბდი, იქნებ თავში გაგიელვა აზრმა სიტყვების მატერიალურ ძალაზე? ყოველი სიტყვა ხომ იმპულსია ჰაერზე მიმძლავრებული?

ოინოსი. მაგრამ, აბათოს, რალატომ ქვითინებ? და რალატომ, ჰოი, რალატომ-მეთქი, გეკეცება ფრთები სწორედ აქ, როდესაც ჩვენ მივფრინავთ ამ მშვენიერი ვარსკვლავის ზემოთ, უმწვანესი და უსაზარლესი რომ არის იმათ შორის, რომლებიც ჩვენ შეგვხვედრია ფრენის ხანს? მშვენიერი სიზმრის მსგავსია იმისი შუქმომფინარე ყვავილები, ხოლო იმისი გააფთრებული ვულკანები აბოქრებული გულის ფეთქვას დამსგავსებია.

აბათოსი. სწორედ მასეა! სწორედ მასეა-მეთქი! სამი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი სატრფოს ფერხით ხელების მტვრევითა და ცრემლების ფრქვევით შევქმენი ეს შფოთსავსე ვარსკვლავი. ამოვთქვი სულ რამდენიმე მგზნებარე სიტყვით და იმ ჩემს აუხდენელ ოცნებებში უძვირფასესი არის ის შუქმომფინარე ყვავილები, ხოლო ის მძვინვარე ვულკანები გული არის ჩემი. ყველაზე უფრო ბორცნეული და ცოდვილიანი.

# ურანს ბრილკარტერი

## ოქროს საფენისი



გერმანულიდან

თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

### არგონავტები

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

მესამე მოქმედება

სცენაზე მოჩანს მეფის კარვის შიდა ნაწილი. ფარდის უკან იჯივე გარემოა, მაგრამ მოქმედი პირების გარჩევა კირს.

კარავში არიან: მედეა, გორა და მოახლე გოგონები.

კარავთან დგანან: იაზონი, აიეტი და ის პირნი, რომლებიც წინა მოქმედების ბოლოს იყვნენ. სცენის სიღრმეში, მარცხენა მხარეს, დგას მედეა, მარცხენა ხელით მაგიდას დაყრდნობია, თვალები უძრავად გარეთკენ მიუბრუნია და აკვირდება, თუ რა ხდება. გორა მაგიდის მეორე მხარესაა და მედეას მოძრაობას აკვირდება. მედეას გარშემო შემოკრებილი მოახლე გოგონებიდან ზოგი მუხლებზეა დაჩოქილი. კარვის შორიახლოს რამდენიმე მეომარია.

იაზონი (გარედან): შიგნით მწაღია!

აიეტი: უკან-მეთქი!

იაზონი: რატომ მიკრძალავ?

გორაზე ხელი არ გაივლო, რომ გეუბნები!

მე ხომ ჩემი ხმლით არ გერჩი და არ გემუქრები!

შემოსვლა მინდა, გზა მომეცი, ჩამომეცალე!

აიეტი: ტყუილად ცდილობ, უკან-მეთქი, გადამთიელო!

გორა (მედეას მიმართავს): ის უტიფარი, გეყურება, რა ამბავშია?

იაზონი (გარედან): მითხარ, მედეა, ნაუბარი თუ გესმა ჩემი?

ხმა ამოიღე, მიმანიშნე!



ბორა: ხედავ, რას ამბობს?

იაზონი: ჩემი ხმა თუ აღწევს შენამდე, მანიშნე რამე.  
დაფიქრდი და ამოირჩიე!

(მედეა, აქამდე რომ გაუნძრევლად იდგა, უცებ შეკრთება  
და აჩქროლებულ მკერდზე დაიდებს ხელს).

აი, შეხედე, შენს წინ ვდგავარ უიარალოდ.  
(იაზონის ხმა თანდათან უფრო მკაფიოდ ისმის).

მე ხომ შევიცან შენი გული, შენც შეეცადე,  
მოდო, მედეა, გადმოადგი ნაბიჯი ჩემკენ!

ანიბი: უკან-მეთქი!

ბორა: აღარ იშლის და ძალით გვეჭრება!

(მედეა გარშემო შემოკრებილ მოახლე გოგონების რკალს გაარღ-  
ვეს და სცენის სიღრმეში სხვა მხარეს გადაინაცვლებს).

იაზონი: მე შენ მოგიხმობ, და იცოდე, რომ შენ მიყვარხარ!

ბორა: (მედეას მიუახლოვდება): გეყურება, რას გეუბნება?

მედეა (დარცხვნილი თვალებზე ხელს აიფარებს).

ბორა (აფორიაქებული):

აგრერიგად რომ აგიტანა შიშმა და ძრწოლამ,  
შე უბედურო, მიტომ იყო, გზებს რომ ხლართავდი?  
ვა სირცხვილო და თავის მოჭრავ, თუ ეს ასეა!

მედეა (გადიდგულებული მედიდურად შეაცქერდება):

რა მითხარი?

იაზონი (მოახერხებს და კარვის კარს გადასწევს):

აქა ყოფილა, უცილობლად უნდა ვიხილო!

ბორა: გვიახლოვდება, თავს უშველე!

მედეა (კარავში მდგომ მეომრებს მიუბრუნდება):

ხელცარიელნი რომ დამდგარხართ, რას ფიქრობთ ნეტავ,  
უმჯობესია, იარაღი აისხათ სწრაფად  
და თქვენს მბრძანებელს ამოუდგეთ უშიშრად მხარში!

ანიბი (კარვის შესასვლელთან იაზონს წინ აღუდგება):

თუ ცოცხალი ვარ, შენ ამ ზღურბლს ვერ გადმოაბიჯებ.  
(კარავში მყოფი მეომრები მომხდურებს უკუაგდებენ).

იაზონი (გარედან ყვირის):

კარგად იყავი, რა გისურვო მეტი, მედეა,  
რაკი ასეა, მაშინ ხმალმა გაგვასამართლოს!

აბსირტუსის ხმა:

იშიშვლე ხმალი და შევებათ ხმალდანხმალ აქვე!  
(ხმლების ჩახახუხი ისმის).

ბორა: უკვე შეიბნენ! ღმერთო ჩემო, შენ მიეც ძალა

და მოუმართე ჩვენიანებს ბრძოლაში ხელი!

(მედეა კვლავ ადვილიდან არ იძვრის).

მილოს ხმა: იაზონ, უკან! ყველას ისე გავუმკლავდებით,

თითოზე ათი რომ მოვიდეს, მაინც დავჯაბნით!

ბარბაროსებმა არ დაგვინდეს, გატეხეს სიტყვა?

იაზონი: დაე, დამეცნენ, შემებრძოლონ, მეც აქ დავხვდები!



- ანიტი: აჩებ-აკუწე, არ დაინდო, არ შეიცოდო!  
(ხმლების ჩახაჩუხის ხმა თანდათან კლებულობს).
- გორა: ჩვენიანებმა გაიმარჯვეს, უკუდგა მტერი!  
(მედვას მიმართავს):  
აბა შენ იცი, მამაშენი გვიახლოვდება.  
(სცენაზე შემოდინან აიეტი და აბსირტუსი).
- ანიტი: სად არის ჩემი ქალიშვილი? აქა ყოფილა!  
მითხარ, თვალს თვალში როგორ მიყრი, შე გამყიდველო?
- მედვა (მამას შეეგებება):  
საქმეს მივხედოთ, ყვედრებისთვის დროს ნუ დავკარგავთ!
- ანიტი: ჭკუას მარიგებ იმის შემდეგ, რაც უკვე მოხდა,  
ჯერ კიდევ ხმალი ქარქაშში რომ არ ჩამიგია?
- მედვა: ჩემი რჩევაა, არას მოგცემს მოთათბირება,  
მოთათულულ სიტყვებს არ მოჰყვება კარგი შედეგი.  
ქუდზე კაცს თავი მოუყარე და მეომრები  
თავით ფეხამდე აღჭურვილი ამყოფე, რადგან  
სანამ ისინი დაგიპყრობენ და ხელს დაგრევენ,  
მათ გონს მოსვლამდე შენ ეკვეთე, შენ შეუტე.  
დროზე აბარგე, გააძევე შენი მიწიდან,  
ის სწრაფი ნავიც გამოგლიჯე, დაისაკუთრე,  
თორემ სიკვდილი მოგდგომიათ სუყველას კარზე!
- ანიტი: გინდა, გზა-კვალი ამიბნო, შე მატყუარავ!  
თუ ასე გძაგდა, მაშ ის თასი რად დაამსხვრიე,  
იაზონისთვის მიგერთმია, რატომ შეყოვნდი,  
აბა თვალეში შემომხედე, გადაიფიქრე?
- მედვა: რად მარცხვენ მამავ, გულისნადებს რომ გეუბნები,  
რჩევა მთხოვე და არაფერი არ დავიშურე,  
ამიტომ ერთხელ კიდევ მინდა მოგმართო წრფელად,  
ეგ უცხოელნი გადარეკე საზღვრებს გადაღმა,  
ისეთნაირად დაიფრინე სამფლობელოდან,  
რომ ჭაჭანება არ ისმოდეს აღარსად მათი  
და კოლხთა მიწა ვერ იხილონ ველარასოდეს.
- ანიტი: გზა-კვალს მირევ და თავგზას მიბნევ, ჩემო მედეავ?
- მედვა: რატომ გგონია, სულ მაგას არ გეუბნებოდი?
- ანიტი: მაშ, შენ გწადია, გავაძევეო გადამთიელნი?
- მედვა: მუხლთმოდრეკილი გვეედრები და გვაჯები.
- ანიტი: სულ ერთიანად?
- მედვა: სულ ერთიანად!
- ანიტი: უკლებლივ ყველა?
- მედვა: მაგას რატომღა მეკითხები?
- ანიტი: დე, მასე იყოს, კეთილი და პატიოსანი!  
შენც ჩვენთან დარჩი, მებრძოლთ უკვე ვაიარალებ!
- მედვა: მეც თქვენთან დავრჩე?
- ანიტი: გამიგონე, იყავ ჩვენს გვერდით!  
შენ არა მართო ისარს ტყორცნი, მე კარგად ვიცი.

შუბის ხმარებაც გემარჯვება მაგ ძლიერ მკლავით,  
ხმალს და ოროლსაც, იმედია, კარგად მოიხმარ,  
რათა აღვგავოთ ჩვენს მიწიდან ვერაგი მტერი!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მედეა: ო, არასოდეს!

აივტი: არასოდესო?

მედეა: ეგებ უკანვე გამისტუმრო, სადაც გენებოს,  
უსიერ ტევრშიც კარგად გავძლებ და კლდე-ღრუებშიც  
ყურისმგდებელი არა მყავდეს, არც ხმის გამცემი,  
ადამიანის ჭაჭანება არსად ისმოდეს,  
რომ მარტობას შევეგუო და შევეჩვიო.  
იქ მაღალ ღმერთებს გამოვუხმობ შენი გულისთვის,  
გამოგიწოდონ დახმარების ხელი ოლონდაც,  
ვილოცებ, რათა არ მოგაკლონ ძალა, მხნეობა,  
რომ გამარჯვება მტერზე უმაღლ დაავიროვინო.  
როცა მომხდურებს უკუაგდებ საზღვრებს გადაღმა  
და ჩვენს მიწაზე არ იქნება გადამთიელი,  
მე მაშინათვე ისევ უკან დაგიბრუნდები,  
შენზე ვიზრუნებ, სამუდამოდ შენთან დავრჩები,  
ასეთნაირად გიერთგულებ მოხუცობის ეამს,  
სანამ უფალი ამა ქვეყნად ცოცხალს გამყოფებს;  
მერე ერთბაშად ყუჩღებიან ჩვენი ვნებანი,  
ფიქრები სადღაც სამუდამოდ იფანტებიან  
და სუყველაფერს დავიწყების ხავსილა ფარავს.

აივტი: ჩემთან არ გინდა? ლაგამაყრილს ვით დაგიჯერო,  
იაზონის ხმა როცა გესმის, თრთი და კანკალებ?

მედეა: თუ უკვე იცი, მაშ ყასიდად რად მეკითხები?  
აღბათ გწადია, მოისმინო ჩემ ბაგეთაგან,  
მოაქეამამდე მაშ რა ძალამ გადამარჩინა:  
ღმერთების გარდა, არვინ იყო ჩემი მფარველი,  
ნუ გაიკვირვებ, აღმური რომ ამდის სახეზე,  
ხელს არ შემეშლის, ხვაშიადი წრფელად გაგანდო,  
არც ღობე-ყორეს მოვედები, ზოგს რომ სჩვევია,  
რაც სათქმელია, ნათლად უნდა ითქვას ყოველი!  
ასე ამბობენ, და მთლიანად მეც ვიზიარებ,  
ადამიანთა არსებობას თავით ბოლომდე,  
მათი სურვილის, მათი ნების მიუხედავად,  
ბნელი ძალები წარმართავენ დასაბამიდან:  
ზოგი ლითონი მეტს იზიდავს, მაგნიტი — რკინას,  
ადამიანთა იღუმალნი ფიქრიც ასეა:  
გულებს გულები შეუერთონ და გრძნობას გრძნობა.  
ეს არც გზნებაა, არც უფლება, არც სათნოება,  
რაიც უჩინრად ასე აბამს ჯადოსნურ ქსელებს;  
შეუმჩნევლად და უხილველად ხდება ყოველი,  
რომ ვერვინ ატყობს, ვერვინ ხედავს, ვერვინ ერევა!  
თუ გული მიგწევს, გსიამოვნებს, მოგწონდეს კიდევც,



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბუნების იალაც ძალას გატანს და გაიძულებს:  
არ კმარა მარტო მისწრაფება რომ აღიარო,  
უნდა მისდიო და ბოლომდე შეინარჩუნო,  
მაგრამ მე არ მსურს!

(მარჯვენა ხელს მალლა აღმართავს):

არ მსურს-მეთქი, ხმამაღლა ვამბობ!

როცა პირველად დავინახე იმისი სახე,  
ძარღვებში სისხლი გამეყინა მოულოდნელად,  
მის მკლავებიდან, ტუჩებიდან და თვალებიდან  
ისეთი სხივი გამოკრთოდა, თავბრუ დამეხვა  
და ხანძრის ალში გავეხვიე ჩემს უნებურად.  
ერთხანს უჩუმრად ვინახავდი გულში ამ გრძნობას,  
სანამ თვითონვე გიჟურად და აგზნებულ ვნებით  
არ წარმოთქვა: მიყვარხარო...

კარგი რამ კია დაწყველილი ეს სიყვარული!

და როცა ტრფობას გავუხსენი გულის კარები,

თანდათანობით მეც ასეთად გარდავიქმენი.

ამიტომ არ მსურს, უცებ სადმე გადავეყარო,

თორემ რაც უნდა შემძლე იყოს, მაინც სუსტია

თვის ბუნებით ადამიანი!

ის რომ ვიხილო, შემეცვლება უთუოდ აზრი,

საზარი შიში დამიჩლუნგებს გონსა და გრძნობას

და რაც ახლა ვარ, ვიცი, მაშინ ეს არ ვიქნები.

გინდა აქედან გააძევე, თუგინდ მოკალი,

რადგან არაფერს არ დაგიტმობს, სჯობს აღასრულო.

მიცვალებულზე შემიძლია ცრემლიც დავღვარო,

მაგრამ ცოცხალს ვერ ვინახულებ.

აიეტი: რა სთქვი, მედეა!

მედეა: მიპასუხე, რა გადაწყვიტე?

აიეტი მედეას ერთ ხელს ჩაბლუჯავს):

რა გამბედავი და გულადი გოგონა მყავხარ!

აბსირტუსი (მეორე მკლავში წაავლებს ხელს): საბრალო დაო!

მედეა: აღარ მეტყვი, რა გადაწყვიტე?

აიეტი: დასტური მითქვამს, ზურგში დარჩი შენიანებთან.

მედეა: დიდი მადლობა! მაშ შევუდგეთ საქმეს, მამიკო!

აიეტი: ჩემო აბსირტუს, შეარჩიე შენი რაზმიდან

უმამაცესი მეომარნი და დაავალე,

იმ გამოქვაბულს მიაშურონ, სადაც ამდენ ხანს

საგულდაგულოდ ინახება ოქროს საწმისი!

მედეა: იქით არა მსურს!

აიეტი: რა მიზეზით?

მედეა: ო, არასოდეს!

არ მინდა, ფეხი რომ დავადგა უკეთურ ადგილს,

საწმისის სხივში ირეკლება შურისძიება,

და რამდენჯერაც შევეცადე მომავლის ახსნას.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თვალწინ დამიდგა სისხლიანი კომეტასავით  
ახანძრებული, გადამწვარი ჩემი მიდამო,  
რამაც საშინლად იმოქმედა და შემადრწუნა!

ანიტი: ნუთუ რეგვენო, შენ გგონია, ასეთ უვნებელ  
ადგილს ოდესმე კიდევ ნახავ ჩვენს ქვეყანაში?  
შენი იმედით, მოხერხებით, ლოცვა-კურთხევით,  
უნდა დავიცვათ, დავიფაროთ ძვირფასი განძი.  
ამიტომ ვამბობ, ან იქ იყავ, ან ჩემთან დარჩი.

მედეა: დე, მასე იყოს, თანახმა ვარ, ოღონდაც ახლა  
ის გზა გვიჩივ, მტერი სადმე არ შეგვეჩეხოს.

ანიტი: ერთი გზა გადის უცხოელთა ბანაკის ახლოს,  
მეორე უფრო ფერდელაა, უსწორმასწორო,  
ამიტომ გირჩევთ, რომ მდინარის კალაპოტს გაპყვეთ,  
ხიდს რომ გადახვალ, დაინახავ, ჩემო აბსირტუს!  
აბა თქვენ იცით, ნუ აყოვნებთ, გზას გაუდექით,  
აჰა, მედეა, გასაღები გამოქვაბულის!

მედეა: არ აჯობებდა, ჩემს მაგივრად აბსირტუსს ანდო?

ანიტი: არა, შენ გქონდეს!

მედეა: მისმინე, მამავ!

ანიტი: გამომართვი და დამიჯერე, ნერვებს ნუ მიშლი,  
ამომივიდა ყელში შენი ჭირვეულობა.

მედეა: მაშ, მომაწოდე!

ანიტი: გზა მშვიდობისა!

მედეა: მისმინე, მამავ!

ანიტი: რაღა გინდა?  
(აცრემლებული მედეა მამას მკლავებში ჩაუყარდება).

ანიტი (გულაჩვილებული): ჩემი სულელი გიაგო!  
(კოცნის). კარგად იყავი, ჩემო გოგონი.

მედეა: ნახვამდის მამავ, ნახვამდის,  
მალე მშვიდობით შევხვედროდეთ!

ანიტი: კეთილი, მშვიდობით შევხვედროდეთ.  
(მედეას ოდნავ ხელს უბიძგებს). მაშ, წადი!

მედეა (თვალეებზე ხელს აიფარებს): კარგად იყავი!  
(აბსირტუსი და მედეა ერთად მიდიან.  
მედეას წასვლის შემდეგ აიეტი რამდენიმე  
ხანს თავჩაქინდრული დგას. უცებ გონს  
მოეგება, ირგვლივ მიმოიხედავს და ჩქარი  
ნაბიჯით გაეშურება).

ტყიანი მიდამო, რომელსაც გზა ჩაუდის და  
არგონავტების ბანაკისკენ მიემართება.

სცენაზე იაზონი, მილო და რამდენიმე არგონავტი შემოდის.

მილო: მოდი, ამ ადგილს დავბანაკდეთ, თანამებრძოლნო,  
ბარბაროსები კვალდაკვალ არ გამოგვყვებიან.  
მოხერხებული გარემოა, მარჯვე კაციისთვის

თავდასხმისთვისაც გამოდგება, თავდაცვისთვისაც.  
 მეფემ, ბევრიც რომ მოინდომოს, წუხანდელს აქეთ,  
 მოულოდნელად, რაც ის ხიდი მიინგრ-მოინგრა,  
 ამ გზას ვერავინ ვერ ასცდება ძეხორციელი.  
 დავიდოთ ბინა, შევიკრიბოთ და მოვემზადოთ,  
 თუ რამეს ელის, გადავუჭრათ ყველა იმედს  
 ვინც გზად ჩამოგვრჩა, გაეშურე ახლავე მათკენ,  
 და მოასწავლე ეს ადგილი, ჩვენ აქ დაგხვდებით.  
 (ერთი არგონავტი გადის).  
 (იაზონს მიმართავს, რომელიც გულხელდაკრეფილი  
 ბოლთასა სცემს):  
 რამ ჩაგაფიქრა, მეგობარო?

იაზონი: ათასმა რამემ!

მილო: გამოვიტყდები, ამ ბოლო დროს შენი მოქცევა  
 ძალზე მაკვირვებს, ფიქრობოდა რომ გხედავ მუდამ.

იაზონი: ჩემს უნებურად ასეა და როგორ მოვიქცე!

მილო: ნამდვილად გიყვარს ის ასული?

იაზონი: რად მეკითხები?

მილო: დღეს არ იყო, რომ სიტყვა დაგცდა, ხმამაღლა გვითხარ!

იაზონი: ერთ წამს დაფიქრდი და მომაპყარ ყური სასმენად.  
 მან ხომ სიცოცხლე ცხოვრებაში ორჯერ მაჩუქა!

მილო: ორჯერ? რაგვარად?

იაზონი: ერთხელ, კოშკში რომ შევეყარე!

მილო: ეგ იყო, სანდოდ რომ ჩაგთვალა და გიერთგულა?

იაზონი: დიახ, ეგ იყო!

მილო: ახლა კი ჩემთვის ყველაფერი გასაგებია.

იაზონი: აბა დაფიქრდი, არ ეკუთვნის ჩემგან მადლობა?  
 რომ დააკვირდე, მშვენიერზე მშვენიერია.

მილო: კი მაგრამ, მაინც ველურია.

იაზონი: ტანადი და სანდომიანი.

მილო: ჯადოქრობაშიც გამობრძმედილი.

იაზონი: მეც გეთანხმები!

მილო: გულშემზარავად უელავენ შავი თვალები!

იაზონი: დიდებული აქვს მოელვარე შავი თვალები!

მილო: ბარემ მითხარი, რას აპირებ?

იაზონი: რას ვაპირებ და...

ოქროს საწმისის დაუფლებას, ხელში ჩაგდებას,  
 და აღთქმულ სიტყვის შესრულებას. ამასთან ერთად,  
 სიტყვას ნუ დასძრავ, რაზეც ახლა ვილაპარაკეთ.

მილო: რაღა თქმა უნდა, არავისთან არ წამომცდება,  
 ო, ზევსის მადლმა, ერთხელ კიდევ კარგად დაფიქრდი!  
 (შემოღის ერთი არგონავტი).

არგონავტი: მდინარის პირას, ჩემგან მარცხნივ, მტვერი ავარდა,  
 მტრის რაზმი ჩვენკენ მოემართება.

იაზონი: ბევრნი არიან?

არგონავტი: არა მგონია, ორმოცდაათზე მეტი იყოს.

იაზონი: მოდი, ამ გზიდან, აქვე გვერდით გადაუხვიოთ.

თუ შეგვამჩნიეს, აქეთ აღარ გამოივლიან.

იმელიც არ მაქვს, წინ აღვუდგეთ და შევებრძოლოთ.

მათ შეუძლიათ ხმლები სისხლით შეღებონ.

მდინარის გასწვრივ გზა განაგრძონ სულ არხეინად.

ამიტომ, სანამ გიბრძანებდეთ, ხმა არ გაიღოთ.

მილო: ოღონდ უჩუმრად, მორიდებით, რომ არ დაგვხვერონ.

(იმ ადგილიდან ყველანი გადაინაცვლებენ. სცენაზე

აბსირტუსი და კოლხი მეომრები შემოდიან; მათ შუა

მოქცეულ მედეას სახეზე ბადე აქვს ჩამოფარებული).

აბსირტუსი: თითქმის ყოველ წამს საბრძოლველად მზად უნდა იყოთ,

ხომ შეიძლება, სადმე მტერს რომ გადავეყაროთ,

ეს გზაც სწორედ მათ ბანაკისკენ მიემართება.

(მედეა პირბადეს მოისვრის და წინ წამოდგება).

მედეა: თუ თავს ამოვყოფთ მტრის ბანაკში, შენ, ჩემო ძმაო,

პირდაპირ მითხარ, რაღა ეს გზა ამოვირჩიეთ?

აბსირტუსი: გუშინდამ ხიდი წყალდიდობამ ჩამოაქცია,

მეც დღეს შევიტყე, მაგრამ გული არ გაიტეხო,

ძალმიძს დაგიცვა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

შენ რომ არ იყო, ყველას ხმალში გამოვიწვევდი.

მედეა: თუ ღმერთი გწამს....

აბსირტუსი: ხომ გეუბნები, აქ რომ არ იყო.

რაკი აქა ხარ, თავს ვიკავებ, არავის ვერჩი.

სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს ეს გამარჯვება,

საფრთხეში მაინც არ ჩაგაგდებ, ჩემო დაიკო!

მედეა: მაშ სწრაფად, გვერდი ავუაროთ.

აბსირტუსი: ასე მოვიქცეთ.

იაზონი (სცენის სიღრმიდან): აბა ხელდახელ მეგობრებო, დრო იხელთეთ და შეიპყარით!

(უცებ სცენაზე შემოვარდება). ჰეი, შეჩერდით!

მედეა: (თავისდა უნებურად წამოიძახებს): ის არის!

(აბსირტუსს მიმართავს): იქნებ როგორმე გავქცეოდით!

აბსირტუსი: რაო, რა სთქვი, გავქცეოდით? უნდა შევებათ!

იაზონი: (სცენაზე შემოჭრილ არგონავტებს მიმართავს):

ხმლებით აკუწეთ, რომელიც არ დაგემორჩილოთ!

(მერე კოლხებს მიუბრუნდება): გიჯობთ, დაჰყაროთ იარაღი!

აბსირტუსი: თვითონ გერჩივნოს ფარ-ხმალის დაყრა!

აბა თქვენ იცით, მეგობრებო, მედგრად დადექით!

მედეა: ასე ასრულებ, ჩემო ძმაო, მოცემულ სიტყვას?

აბსირტუსი: ღმერთო, შემინდე და რასაც არ შევპირებივარ,

იმას ვერც გავტებ, არ გადავალ მოცემულ სიტყვას!

(თავისიანებს მიმართავს):

არ შედრკეთ ხალხნო, მამაცურად გეჭიროთ თავი,

მამაც აქვეა, დაძხმარე რაზმს გამოგვიგზავნის!



ნაზონი: (მედეას მოჰკრავს თვალს):  
მედეა არ ხარ? მწამს ასეთი ბედნიერება!  
ახლოს მეჩვენე!

მედეა: (კოლხ მეომრებს მიმართავს): სხვა გზა არ გაქვთ უნდა დამოიცვათ!

ნაზონი: (მედეას მცველებს მუქარის კილოთი ეუბნება):  
აჯობებს, გზიდან უბრძოლველად ჩამომეცალოთ!  
მაგ ხმლებით მაინც ვერასოდეს გაგვიმკლავდებით!  
(ბერძნები დასჯაბნიან, კოლხები უკან იხევენ).  
ხედავ, გარბიან შენებურები! ჩემს ხელთა ხარ!

მედეა: ასე რად ცრუობ ჩემს მიმართ და ღმერთის წინაშე,  
მე ყველაფერში მოგენდე და ვირწმუნე შენი!  
(გასაქცევად მომზადებულ კოლხს ხელიდან უცებ შუბსა  
და ფარს გამოგლეჯს და იაზონს ჯიქურ მიადგება):  
მოკვდი ან მომკალ!

ნაზონი: (გაოცებული ნელ-ნელა უკან იხევს):  
მითხარ, მედეა, რა გემართება?

მედეა: (კიდევ უფრო მიუახლოვდება): მომკალ ან მოკვდი!

ნაზონი: (ხმლის წვერს აუკრავს და ძირს დააგდებინებს):  
გეყო მასხრობა!  
(ხმაღს მარცხენა ხელში გადაიტანს, რომელშიც ფარიც უბყრია).  
კიდევ რას მეტყვი?

მედეა: მუხთალო ღმერთო! (მიწაზე დაგდებულ შუბს ფარსაც მიაყოლებს და  
ქარქაშიდან ხანჯალს იძრობს). სხვა იარაღიც მომეძევება!

ნაზონი: (ფარსა და ხმაღს მოისვრის და მედეას წინ დაუდგება):  
აჰა მომკალი, თუ შეგიძლია.

მედეა: (ხანჯალზემართული თავს მიაბრუნებს): ძალა მეყოფა?!

ნაზონი: (რბილად): მომკალ მედეა, თუ შეგიძლია!  
(გაშტერებული მედეა უძრავად დგას).

ნაზონი: ბოლოს და ბოლოს ხომ დარწმუნდი, არ შეგწევს ძალა!  
კმარა წუნილი და ჭიდილი საკუთარ თავთან!  
(უცებ ხელში აიტაცებს).  
ასეთნაირად მეყოლები, არსად ვაგიშვა,  
ასე გატარებ შფოთის დროსაც ჩვენიანებთან,  
ზიზღსა და სიკვდილს, სისხლის ტალღებს მალე მიგაჩვევ.  
შენი თავი რომ გამომტაცოს, ხელს ვინ აღმართავს?

მედეა: დამეხსენ-მეთქი!

ნაზონი: არ მოგეშვები, სანამ კეთილ სიტყვას არ იტყვი,  
თუნდაც ერთ სიტყვას, ან ერთ ბგერას არ გამაგონებ  
მოლაღატისას, რაც მე გრძნობას შემიმსუბუქებს.  
(თვალეში შეაჩერდება და გვარიანად შეანჯღრევს).  
ეს ნიშანი იქნება იმის...

მედეა: (წყნარად): იაზონ! დამეხსენ-მეთქი!

ნაზონი: „იაზონიო!“ — ხომ წარმოთქვი ჩემი სახელი,  
და ეს პირველად მოვისმინე, დიდებულად ეღერს!  
რა კეთილბოვნად გამოისმის მაგ ტკბილ ბაგეთგან.



სიამოვნების მოგვრისა და დატკობისათვის  
დიდი მადლობა მოგახსენო უნდა, მედეა!  
(ძირს ჩამოსვამს).



გესმის, მედეა და იაზონი გვერდიგვერდ რომ იხსენიება, რარიგ უხდება ერთიმეორეს? მითხარ, შენს ყურში როგორღა ეღერს ეს ორი სიტყვა? რატომ კანკალებ? ჩამოჯექი და დაისვენე!  
(მედეას კორდისკენ გაუძღვება. მედეა ნელ-ნელა მიჰყვება, მდელიოზე ჩამოჯდება, თვალები მიწისთვის მიუშტერებია და ხელში კვლავ ხანჯალი უჭირავს).

იაზონი: (მედეას ცხვირწინ აეტუზება):

კვლავ მოლუშული, მღუმარე და შუბლშექმუხნილი? როცა მეგობრის გვერდით დგახარ, რალა გაშინებს. ასე ადვილად ვერ დაგუთმობ შენ თავს მამაშენს, ჩემთვის ძვირფასი მძევალი ხარ მისი ასული; შენ ჩემთან ყოფნა არასოდეს გაგიჭირდება, უკეთ მოგივლით, ვინემ თქვენ მე მომეპყრობოდით. ამჟამად, როცა შენ წინ ედგავარ და გაკვირდები, ისეთი გრძნობა მეუფლება, ენით უთქმელი, თითქოს ცხოვრების სამანები გადავლახე და უცნობ ვარსკვლავის სამყოფლოში ამოვყავ თავი, სად სამართალი ადამიანთ არსებობაზე, მათ ბედ-იღბალზე, მომავალზე, სულ სხვაგვარია. უკიდევანო ზღვას მივანდეთ ჩვენი სვე-ბედი, შორი ქვეყნიდან მოვაშურეთ აქაურ მხარეს, მოგზაურობის სურვილი კი არ მიტაცებდა, ბევრი ბრძოლა და გაჭირვება გადავიტანეთ, სანამ შენს სახეს ვიხილავდი და გაგიცნობდი. ამ მიწაზე რომ დავაბიჯებ — უცხო მხარეში, მშობლიურ ქვეყნის ჰაერს ვსუნთქავ, ასე მგონია. ფათერაკების მაძიებელს სულაც არ მიკვირს და ალბათ ასეც უნდა იყოს ზღვა თქმულებანი ამ საოცარ და საარაკო სამკვიდრებელზე უცხოური რომ შევიგუე და შევიცანი, რაც ჩემი იყო, უცხოურად გადმექცა თითქოს, ისეთნაირად შევიცვალე, გადავსხვაფერდი, ჩემში ვილაყამ დაიბუდა და სხვა მოქმედებს. ხშირად ვყოყმანობ, ვუფიქრდები ჩემ ნათქვამ სიტყვებს. ვილაყ მესამის გონებით და გრძნობით ვაფასებ, საქმის თვალით რომ გადავხედავ, გულში გავივლებ, რასაც ის უნდა აკეთებდეს და რასაც არა. ჩემი სინათლე, ერთადერთი, მხოლოდ შენა ხარ, შენ ხარ, მედეა, უცნაურად ნუ გეჩვენება. მე — ელადელი, სისხლი გიჩქევს შენ ბარბაროსის, მე — გულოია, თავისუფალი, შენ ჯადოსნობით

სახელგანთქმული. თუ მე კოლხეთის მტერი მქვია,  
 შენ მისი მეფის გვაროვანი ქალიშვილი ხარ;  
 და მაინც გეტყვი, ყოველივეს მიუხედავად,  
 სათქმელი სიტყვა სჯობს რომ ითქვას თავისდროისად,  
 ჩემს ქვეყანაში დიდებული რწმენა აქვთ ბევრი,  
 ოდესღაც ღმერთმა ერთად შექმნა ქალი და კაცი,  
 მერე ისინი ორ არსებად გაანაწილა;  
 იმ დღიდან ერთი ნახევარი მეორეს ეძებს,  
 ზღვასა და ხმელეთს ერთიან რომ შემოივლიან,  
 ერთმანეთს თუ მიაგნეს, მერე, თავიანთ სულებს  
 აერთებენ, ერთნი ხდებიან! ნუთუ არა გრძნობ,  
 მაგ მკერდში გული რომ ფართხალებს, განაყოფია.  
 მაშ დამყაბულდი, შევაერთოთ ჩვენი გულები,  
 თუმცა შენ მუდამ პირქუში და ამრეზილი ხარ,  
 სათუთი გრძნობით ნათქვამ სიტყვას არარად აგდებ  
 და მტკიცე უარს მეუბნები მიჯნურობაზე;  
 ხანჯალი კვლავ რომ ჩაგიბლუჯავს მაგ მარჯვენაში,  
 რაში გჭირდება, გადააგდე!  
 (მაჯაში ხელს სტაცებს და ხანჯალს გააგდებინებს).  
 მაგ მარჯვენაში, ნაცვლად ხანჯლისა, ყვავილები  
 დაგმშვენდებოდა, არა ფოლადი განკუთვნილი  
 მამაკაცთათვის.

მედეა (უცებ იფეთქებს): თავიდან მომწყდი!

იაზონი (თავდაჭერილად მიმართავს): შეჩერდი!

მედეა: აქედან მომწყდი!

იაზონი: დარჩი-მეთქი, გემუდარები:

არსად წახვიდე, შეისმინე ჩემი ვედრება!  
 ეს თხოვნა უნდა შემისრულო და დამიჯერო!  
 ამ ქვეყანაზე არსებობას ეხება შენსას!  
 ნუთუ არ უნდა შეისმინო ვაეკაცის თხოვნა?  
 დარჩი! (ორივე ხელს წაავლებს).

მედეა: გამიშვი ხელი!

იაზონი: მაშინ გაგიშვებ, თუ დამთანხმდები!

(მედეა ცდილობს მკლავებიდან გასხლტომას).  
 მახარებს შენი სიკერპე და ჭირვეულობა!

მედეა (წაბლლაძუნებისას უცებ მუხლებზე დაეცემა). ვაიმე!

იაზონი: ხედავ? ყველაფერი შენი ბრალია,  
 დაემორჩილე, გაუგონე შენს დამმოდვრებელს!  
 (მედეა დაჩოქილია ერთ მუხლზე, მარჯვენა ხელი  
 მეორე მუხლზე აქვს დაყრდნობილი, ხოლო მარცხენათი სახეს  
 იფარავს).

იაზონი: (მიუახლოვდება):

კმარა, ადექი, ხომ არავის არ დაუჭრიხარ?  
 ზიხარ, ისვენებ, სანამ გინდა, რომ დაისვენო?

(ცდილობს მედეას წამოყენებას. მაგრამ იგი მდელიოზე გაუნძრევლად ზის).

იანონი: ამაოდ როდი გავაგზავნე ის მშვილდოსნები, თავიანთ მკერდით მტერი უნდა მოიგერიონ. ო, როგორა მძაგს ეს ქვეყანა, აქაურობა, მსუსხავი ქარი აჭკნობს, ახმობს ლამაზ ყვავილებს, როცა ბაღჩებში ბუნებრივად უნდა ჰყვავოდნენ. საბერძნეთში რომ იყო, მაშინ დარწმუნდებოდი, როგორ ბრწყინავენ მზის სხივები მოწმენდილ ცაზე, ყველაა ღიმილი დასთამაშებს, თვალნი უბრწყინავს, თაფლი ამოსდის, მეგობრულად ესაღმებთან, შუბლგახსნილობას, ალალ გრძნობას ატყობ სუყველას, ზიზღს არვინ იჩენს ვერაგის და თაღლითის მიმართ. გეყურება, რას გეუბნები? მე კარგად გატყობ, შენ ის არა ხარ გარეგნულად, როგორც მოჩანხარ, ამაოდ ცდილობ, დაიუუჩო შენი ვნებანი, მკერდში, ხომ ვიცი, ამაოდ გიცემს ალალი გული, მხოლოდ ღრუბელი ეფარება მზის ბრწყინვალებას. და როცა შენ მე დამიხსენი, ჩემი ნაკოცნი, თვლებში კარგად შემომხედე, მითხარ, რად შეკრთი? როცა ჩემს ტუჩებს შენი ბაგე ტკბილად შეეხო, მანამდის კარგად გაგიცნობდი და გიხილავდი, მაშინვე ვიგრძენ სიყვარულის უძლეველობა, სიცოცხლით ტკბობა და ცხოვრების ნაღდი ტრფიალი, შენ კი საკუთარ თავს იტყუებ, ცრუბენტელაობ. ალალი გული, თბილი გული გიცემს მაგ მკერდში, და სიყვარული გაწერია შუბლზე აშკარად! (მედეა წამოდგომას დააპირებს).

იანონი (წამოდგომას არ დააცლის):

იჯექ, მედეა, სიყვარულით აღმოდებულო! აღელვებული მკერდი ისე აგიდ-ჩაგიდის, ლოყებს ხანძარი მოსდებიათ ჩაუქრობელი, სუნთქვა რომ გეკერის და ღრმად ოხრავ, ყველაფერს გამჩნევ, აკანკალებაც ნიშანია უდავო ტრფობის. შენ მე გიყვარვარ, ისე, როგორც მე შენ მიყვარხარ. (მის წინ დაიჩოქებს). მომაპყარ თვალნი და იცრუე თუ შეგიძლია! ვერაფერს ამბობ? გამოუტყდი შენ თავს, მედეა! (ორივე ხელში სტაცებს, თავისკენ შემოაბრუნებს და თვლებში ჩახედავს).

იანონი: შენ ტირი, თუმცა მე არ ვიცი შენი ნაღველი. მაშ, თვალი თვალში გამიყარე, უარი მითხარ! მე რომ მიყვარხარ, ერთხელ შენც თქვი, მეც მიყვარხარო! (უფრო ახლოს მიიზიდავს. ორივენი თვლებში შესცქერიან)



ერთმანეთს. მედეა აელვარებული თვალებით შეჰყურებს იაზონს).

იაზონი: თვალებმა რაც თქვეს, სჯობს ენამაც გაიმეოროს! ნუ გერიდება, მიყვარხარ-თქო, ხმამალა მითხარ! ძალიან გიჭირს? მე გასწავლი, როგორც უნდა თქვათ ასეთნაირად ამოშაქრე მე შენ მიყვარხარ! (მიიზიდავს და მკერდზე მიიკრავს: მედეა ეწინააღმდეგება, თავს გაიქნევს და სახეს თმაზე შეახებს). არცერთი სიტყვა არ წარმოთქვეს მაგ ბაგეებმა, თუმცა მე გატყობ, ქარიშხალმა ლამის წაგლეკოს; მკერდში ნაგები მყარი სვეტები სიტყვას არ სძრავენ! (უცებ ზეზე წამოიჭრება).

ეგრე იყოს, კერპო, ჯიუტო! სადაც გენებოს, იქ მიბრძანდი, მე არ გაკავებ! თუგინდ ახლავე გაეშურე შენიანებთან, კაცის მკვლელებთან და სიკვდილის მოსურნეებთან, ველურ გარემოს დაუბრუნდი ერთი ველურიც, სადაც გენებოს, იქ მიბრძანდი, მე არ გაკავებ!

ანიმტი (სცენის სიღრმიდან): აქეთ, კოლხებო!

იაზონი: მამაშენი გვიახლოვდება. მე შენს თავს იმათ არ გავატან, გულდინჯად იყავ. (არგონავტები შემოდინან და გზას უთმობენ აიეტს, რომელსაც უკან მოჰყვებიან აბსირტუსი და კოლხები).

ანიმტი (წინ წადგება): აბა, კოლხებო, იარალი აისხით ყველამ! სად არის ჩემი ქალიშვილი?

აბსირტუსი: აგერ, იქა ზის.

ანიმტი (იაზონს მიმართავს): კრულო ყაჩაღო, ქალიშვილი მომეცი უკან!

იაზონი: თუ მთხოვ, გაგატან, მუჭარით კი ნუ შემუჭრები აგერ, აქ გახლავს ქალიშვილი და წაიყვანე, რადგან ორივეს გულისთქმაა და საწადელი. (მედეასთან მივა და მკლავში ხელს წაავლებს). ხედავ, აქ არის მამაშენი, ადექ, მედეავ, მიტომ მოსულა, სასახლეში რომ წაგიყვანოს! ალბათ ღმერთები შემინდობენ, შენ რომ არ გსურს და ისე ვუთმობ შენს თავს მამაშენს. რალად კანკალებ? შენ ხომ გინდოდა, აღიარე, ხომ ესწრაფვოდი. (ორჭოფულად განწყობილ მედეას იაზონი მიმას მიჰგვრის და ხელიდან ხელში გადასცემს). აჰა, მეფეო, ჩაიბარე შენი მედეა!

ანიმტი (მედეა მიმას მხარზე ლოყას მიაყრდნობს): ჩემო მედეა!

აბსირტუსი: ძვირფასო დაო!

იაზონი: ახლა სისხლისმღვრელ ომისათვის ემზადე, მეფეე!

ავაზაკთა ბრბო, მე რომ მახლდა, შემუსრულია,  
 გაფანტულია სამუდამოდ ფუჭი ოცნება,  
 რომელმაც ეინი და ძალ-ღონე გამომილია.  
 აი, მაგასთან მხარზე მაგრად რომ მოგყრდნობია,  
 ზავი ვერაფრით მოვახერხე და მტრებად დავტყუდი  
 მაშ მოემზადე საბრძოლველად, რადგანაც ვიცი,  
 შენი ცხოვრების დედაარსი მხოლოდ ომია!  
 (მედეასკენ იბრუნებს პირს):



შენ კი უჩუმრად რომ დამდგარხარ, თრთი და კანკალებ,  
 სახეზე მტრობა და ქიშპობა რომ გაწერია,  
 ერთმანეთს უნდა სამუდამოდ დავემშვიდობოთ.  
 კარგად იყავი! ერთ წუთს, როცა წარმოვიდგინე,  
 მაგნიარ გრძნობით, შეიძლება გძულდე კიდევაც,  
 რადგან ვფიქრობდი, ვოცნებობდი, ჩვენი ღმერთები  
 ჩვენს გულებს მარად ერთმანეთთან შეაგუებდნენ.  
 მაშ წადი, რადგან ყველაფერი წარსულს ჩაბარდა,  
 შენ ხომ სიცოცხლე დღემდე ორჯერ შემინარჩუნე  
 და მაგ სიკეთეს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.  
 დიდი ხნის მერე, სამშობლოში დაბრუნებული,  
 ახლო მეგობრებს მოვუყვები, რაც თავს გადამხდა,  
 და როს მკითხავენ, ჩამყვებიან, დაღვრილი ცრემლი  
 უცხო მამაკაცს თვალში რატომ აუკიაფდა,  
 შემომამწვება გულს სევდა და გამოვუტყდები,  
 მედეა ერქვა იმ სათნო და მშვენიერ ასულს,  
 მაგრამ იმ მკერდში გულის ნაცვლად ქვა ედო-მეთქი.

აივთი: ცრემლი შეგნიშნე, ნესტმა მხარშიც ჩამოატანა;  
 ტირი, მედეავ?

იაზონი: მაგას მომასწრო, ერთი შენი ცრემლი მანახა,  
 მერე ვიწამებ, რომ ტირილი შენც შეგძლებია.  
 აბა ერთხელაც შემომხედე უკანასკნელად,  
 შენი სახება მინდა მარად გულით ვატარო.  
 აბა დაფიქრდი, საბოლოო თხოვნაა ჩემი.  
 (მედეას ხელს მისწვდება).

აივთი: როგორ გაბედე შენი ხელით მისი შეხება?

იაზონი (ნელ-ნელა ხელს უშვებს მედეას):  
 რაკი არ უნდა, რა ჩარაა, დე, ეგრე იყოს!  
 ამ ქვეყანაზე ვერ მიხილავ ველარასოდეს,  
 კარგად იყავი, დღეგრძელობა ნუ მოგეშალოს!  
 (სწრაფად მიდის).

მედეა (მამის მხრიდან თავს წამოსწევს და ხელს)  
 იაზონისკენ გაიშვერს):  
 იაზონ!

იაზონი (შემობრუნდება):  
 ეგრეც ვიცოდი! მედეავ, ჩემკენ!  
 (მისკენ გაეჭანება და ხელს წაავლებს):

ჩემკენ-მეთქი!

აიეტი (ხელს სტაცებს მედეას): უტიფარო, აქედან მომწყდი!

იაზონი (აიეტს მარჯვენას გააშვებინებს და მედეას ხელს თვითონ წაეტანება):

როგორ მიბედავ, ბარბაროსო, ჩემი ცოლი!

აიეტი: რაო, ცოლიო? რატომ სდუმხარ, ფარისეველო?

იაზონი (მედეას მეორე მხარეს წაიყვანს):

აქეთ, მედეავ, გამოსცილდი მაგ ბარბაროსებს, ამიერიდან, ამას იქით, ჩემი ხარ, ჩემი!

აიეტი: უარზე არ ხარ? როგორც გატყობ, შენც ეთანხმები!

მაგ მკერდში ნუთუ გულის ნაცვლად მართლა ქვა გიღევს?

ეს თვალთმაქცობა ნუთუ შენი მოწყობილია? (იაზონს მიეჭრება).

გაბრიყვებული ჩემი გოგო, გზას აცდენილი, ხელახლა უკან დამიბრუნე, ჩემი მედეა!

მედეა (მათ შუა ჩავარდება):

მამავ, დაინდე, არ გასწირო, მე მიყვარს იგი!

იაზონი: მას შეუძლია, შენი თავი ჩამომაცილოს,

მე კი ვერაფერს დამაკლებს და ხელსაც ვერ მახლებს!

აიეტი: რაც ჩაიდინე, სამარცხვინოდ არ მიგაჩნია?

ჩემი ბრალია, ქვეშქვეშობა რომ გაპატიე,

ვერ გამოვზომე, გამოგცადე ჩემი ასული,

მეგონა, ჩქეფდა მის ძარღვებში წინაპართ სისხლი!

იაზონი: ლანძღვა-გინებას იმსახურებს?

მედეა: მისმინე, მამავ!

რაც ელდას მცემდა, მაშინებდა, ამიხდა კიდეც.

რალა თქმა უნდა, აჯობებდა, სიმართლე მეთქვა!

უდავოა, რომ ატყდა დიდი აურზაური,

მაგრამ ვეცდები, ამ ჯოჯოხეთს გავართვა თავი,

მანამ ადრეა, ჩარხი წალმა დავატრიალოთ.

მაშ, მომისმინე!

აიეტი: რაც ჩემი თვალთ ვიხილე და

დაერწმუნდი უკვე, რალად მინდა ყურის დაგდება.

მედეა: მამავ, ერთბაშად ნუ ისურვებ ყველას გაწყვეტას,

ენდე ჯადოქარს, რომ დააცხროს ეგ ქარიშხალი!

უცხოელთ ბელადს ნება დართე აქ დარჩენისა,

გამოიჩინე მასპინძლობა, სტუმართმოყვრობა!

გვერდში დაგიდგეს და კოლხეთში იმეფოს მანაც,

დაგიმეგობრდეს, გამოგადგეს, შვილად გაგიხდეს!

აიეტი: აბა სად თქმულა, ჩემი მტერი შვილად გაგიხდეს?

რაკი ვერასგზით დაგიყოლიე, გაგძრობიათ

ორთავეს სული! მიპასუხე: ან ჰო, ან არა!

მედეა: გთხოვ, მომისმინო!

აიეტი: მიპასუხე: ან, ჰო, ან არა!

აბსირტუსი: ათქმევიანე, აბა რის თქმა სურს!



ანიტი: პო თუ არა?

(აბსირტუსს): შენ ნუ ერევი!

(მედეას მიუბრუნდება): არას ამბობ, არ გინდა, გველო?

(ხმალს მოიქნევს).

იაზონი (მედეას გადაეფოფრება): ხომ არ დასჭერი!

აბსირტუსი (თვალის დახამხამებაში მამას მარჯვენაში სწვდება):

მამავ, რა ჰქენი?

ანიტი: მოკვლა არა ღირს, მართალი ხარ, დაე იცოცხლოს,

ცოდვილიანმა, თავმოჭრილმა, შეჩვენებულმა,

უსამშობლოოდ, უღმერთებოდ და უღედმამოდ!

მედეა: რას ამბობ, მამავ!

ანიტი: ხომ გამაცურე და მილალატე,

ეგ შენი ფეხი მძიმე იყოს ჩემს სასახლეში.

შენც გარეული ნადირივით ტყე-ტყე იარო

და სხვის მიწაზე მარტოსულმა დალიო სული.

გაჰყევი თავის სამშობლოში შენს შეყვარებულს,

ჭირი და ლხინი მისი შენაც გაიზიარე:

უცხო ასული, უცხოეთში გადახვეწილი,

იქნები მუდამ სასეირო, გასაკიცხავი,

ის კი, ვისთვისაც მიატოვო უნდა სამშობლო,

როცა ხალისი წაუხდება, ვნება დაცხრება,

მუდამ დაგცინებს, გაგამასხრებს, არად ჩაგაგდებს;

გვიან იქნება უკვე მაშინ თითზე კბენანი,

მოგენატრება მშობლიური მიწა და ზეცა,

უკიდევანო, შორეული ზღვის აზვირთება,

რომლის ტალღები მოგიტანენ წყევლას მამისას!

მედეა (დაიჩოქებს): რას ამბობ, მამავ!

ანიტი: შვილად არ გთვლი, უკან დაიწი!

შენ ერთადერთი დამრჩი მხოლოდ, ჩემო აბსირტუს!

(ისევ მედეას მიმართავს):

შენი ხმა ახლა ყურს ჩამესმის სიკვდილის ზარად,

მზერა მაცოფებს, გამოხედვა მალიზიანებს.

ბილწო დიაცო, ჩემს მუხლებს ნუ გაეკარები!

თვალეშიც იმას მიაშტერე, ვინც შენი ნებით

ამოირჩიე; დამითმია მეც შენი თავი;

ჩემზე ნამდვილად შურს იძიებს, შენ გაზღვევინებს,

იმაზე ადრე, ვინემ შენ ფიქრობ.

მედეა: კმარა, მამა!

ანიტი (მედეა მუხლებზე მოხვევნას ცდილობს, აიეტი არ

იკარებს, მაგრამ მედეა არ იშლის):

არ მომეკარო, ხელები შორს, შვილად აღარ გცნობ,

შენ კი, აბსირტუს, ერთადერთო ჩემო იმედო,

აქ დიდხანს ნუღარ დავაყოვნებთ, დროა, წავიდეთ!

(აიეტი გადის, აბსირტუსი და კოლხი მეომრები უკან მიჰყვებიან).

იაზონი: სადაც არ უნდა გაიქცე და გადაიხიზნო,

შურისძიებას ვერასოდეს გადაურჩები!

(არგონავტებს მიმართავს):

აბა თქვენ იცით, კბილებამდე შეიარაღდით,  
საგულდაგულოდ მოემზადეთ, ამ შერკინებით

ან გავიმარჯვებთ, მეგობრებო, ან შევაკვდებით  
(მედეაზე ანიშნებს).



მედეამ იცის ის ადგილი, სადაც აქამდე

ოქროს საწმისი ინახება. მის დაბმარებით

ხელში ჩავიგდოთ ის განძი და ნავს მივაშურთ.

(მედეას მიუახლოვდება, რომელიც ცალ ხელზე დაყრდნობილა,  
მეორე შუბლზე მიუდვია და წევს).

ადექ, მედეავ, ის წავიდა, წამოდექ ფეხზე.

(ადგომაში ეხმარება).

შენ ჩვენთანა ხარ.

მედეა (ხელები წამოსწია, მაგრამ ცალი მუხლით ჯერ  
კიდევ დაჩოქილია):

აბა განსაჯე, სიმართლე თქვა?

იაზონი (ფეხზე წამოაყენებს): რაც იყო, იყო, ნულარ იფიქრებ!

მედეა (შიშით იაზონს ეკვრის): იაზონ, მითხარ, სიმართლე თქვა?

იაზონი: სულ დაივიწყე, რაც ნახე და რაც გაიგონე,  
დღემდე რაც იყავ, ამოიგდე ისიც გულიდან.

მეფის ასული იაზონის ცოლი ხარ უკვე,

მხრებზე დაგაწვა უფლება და მოვალეობა.

ვით ეგ პირბადე ნაკუწებად ვაქციო ახლა,

მიწიერების აღმნიშვნელი რაღაც ნიშანი,

ეგრე დავლენავ დამბრბევებს და ყველა ავაზაკს,

ვინც შენ შეგბოჭა ჩამორჩენილ ქვეყნის წესებით

აქეთ, ბერძნებო, ერთ ბერძენ ქალს რომ მიესალმოს!

(იაზონი ნაკუწებად აქცევს პირსაბურავს).

მედეა (იაზონს ხელში სწვდება): ჩვენი ღმერთების სამკაული!

იაზონი: შორს ყველაფერი მიწიერი არ გირჩევნია,  
თმა თავისუფლად ღია შუბლზე გეწეწებოდეს;

ასეთი ლალი უნდა იყოს ჩემი საცოლე.

ერთიც და მერე შინისაკენ მოვუსვათ ნავით.

განძი მაჩვენე, შენ ხომ იცი, სად ინახება.

მედეა: ჰა! ხმა არ დასძრა!

იაზონი: რატომ, რა მოხდა?

მედეა: ნურაფერს იტყვი!

იაზონი: სიტყვა მაქვს, სიტყვა მიცემული და ისე უკან  
ხელცარიელი იაზონი არ დაბრუნდება.

მედეა: განრისხებულმა ღმერთმა რაც ჩვენ გვიბოძა განძი,  
მე ხომ გითხარი, მასზე სიტყვას ნუ დასძრავ, რადგან  
უბედურება მოაქვს-მეთქი სუყველასათვის!

ხომ მიაღწიე საწადელს და შენი ცოლი ვარ,  
გულის სიღრმიდან მომახარე შენ ეს სიტყვები,



შენი ვარ, შენი, წამიყვანე, სადაც გენებოს,  
 ოლონდ საწმისზე, ამას იქით, ნულარას იტყვი!  
 ის წინათგრძნობა, გამთენიისას რომ მეზმანა,  
 დიდმა ღმერთებმა ჩამინერგეს.



მკვდრების გროვა  
 ჩემი საკუთარი სისხლის  
 მორევში დაცურავდა!  
 ამიტომაც, ნულარას იტყვი!

იაზონი: ამ ცარიელი სიტყვების თქმა კი არ მეყოფა,  
 უნდა კიდევაც შევასრულო დანაქადები,  
 შიშიც დავძლიო, გასაჭირიც გადავიტანო,  
 რათა იმედი ჩემიანებს არ გავუმტყუნო.

მედეა: მე მაგ საქმეში ვერასოდეს დაგეხმარები!

იაზონი: არ გინდა, მხარში ამომიღგე?

მედეა: არა და არა!

იაზონი: რაკილა არ გსურს დამეხმარო, ხელი შემიწყო,  
 მაშინ მე თვითონ სხვა ფხა უნდა გამოვიჩინო.

მედეა: მაშ, გზას გაუდექ!

იაზონი: (კისერმოღრეცილი ნელ-ნელა მიდის): გზას გავუდგები!

მედეა: (ძლივს გასაგონად): წერას ხომ არ აუტანიხარ!

იაზონი: იქნებ იმ ადგილს, რომ ვეცადოთ, თვითონ მივაგნოთ!  
 (მიდის).

მედეა: იაზონ!

იაზონი (შემობრუნდება): რა გაყვირებს?

მედეა: გატყობ, წერას აუტანიხარ!

იაზონი: რომ მოვდიოდი,  
 სიკვდილის უნდა მშინებოდა?

მედეა (დაედევნება და მკლავში ხელს წაავლებს):  
 დამიჯერე, სიკვდილი არ აგცდება!  
 (ხმადაბლა).

გამოქვაბულშია გადამალული,  
 მის დასაცავად ყველა ხერხია გამოყენებული—

ეშმაკობაც და ძალაც.

ვიწრო შესასვლელი,

თავბრუდამხვევი,

ყასიდად რაღაც დაგებული,

ქვეშ კი უფსკრული,

საცალფეხო ბილიკზე ამოჩრილი ხანჯლის წვეროები,

სიკვდილის შეგრძნება,

შემზარავი სახეები,

ხეზე ჩამოკიდებული საწმისი,

მოშხამული,

რომელსაც ხელმიუწვდომი,

მარად მღვიძარი,



არვის დამნდობი  
გველეშაპი დარაჯობს.

ნაზონი: მიცემულ სიტყვას თავის დღეში არ გადავუხვევ!

მედეა: მაშ, არ იშლი?

ნაზონი: დიახ, მივდივარ!

მედეა: (გზაზე გადაელობება):

მე რომ მუხლებში ჩაგივარდე და შეგევედრო,  
დარჩი და ფეხი არ გაადგა არსაით-მეთქი?

ნაზონი: ველარაფური დამაკავებს!

მედეა: ო, მამაჩემო!

სადა ხარ, სადა, ნეტავ ახლა მეც წაგეყვანე!

ნაზონი: მწარედ რომ მოსთქვამ, მამას კი არ უნდა შესჩივლო,  
მე უნდა მითხრა და გამანდო გულისნადები.

შენ არჩევანის წინაშე ხარ, მე კი არ ძალმიძს,  
რადგან პირობა მინდა სულ მთლად რომ შევასრულო.  
არა რომ მითხარ, ამიტომაც მარტო მივდივარ.  
(იაზონი მიდის).

მედეა: მაშ, მიდიხარ?

ნაზონი: დიახ, მივდივარ!

მედეა: ამდენი ხვეწნის მიუხედავად?

ნაზონი: დიახ!

მედეა (უცებ მივარდება):

მოსახდენი მაინც მოხდება; იჩქარე, წადი!

ნაზონი: სად?

მედეა: განძის საძებნელად, სიკვდილის საძებნელად!  
ამ საქმეს მარტო შენ კი არ ეწირები,  
ყველაფერი ერთბაშად იღუპება!

ნაზონი (მიუახლოვდება): მედეა!

მედეა (მიკიბულ-მოკიბულად ეუბნება):

ალერსს თავი ანებე,  
საკმაოდ კარგად გაგიცანი, ვინცა ყოფილხარ!  
მაშ, აისრულე და წაილე, რაკი გწადია:  
განძი, ღირსება,  
წყევლა, სიკვდილი!  
გამოქვაბულშია გადამალული,  
ვაი შენ, თუ მიაგენი!  
ეძიე, რახან არ იშლი!

ნაზონი (მკლავში ხელს წაავლებს):

რა გაფორიაქებს?

მედეა (იაზონის ხელს მკვეთრი აკვრით მოიშორებს და შეჰყვირებს):

ვაი შენ, ფრიქსუს! უი შენ, იაზონ!

ნაზონი: ღმერთო ჩემო, რა გემართება?!

მედეა: რაკი არ იშლი, წადი!

(რალაცას მიშტერებული, თვალეზგადმოკარკლული მედეა

უცებ გავარდება. დანარჩენებიც მიჰყვებიან და ფარდა ეშვება).

### მეოთხე მოქმედება



არამონაგები

გამოქვაბულის შუაგული. პატარა სარბიელი. სცენის სიღრმეში, მარჯვნივ, მოჩანს ზემოდან ჩამომავალი კიბის ბოლო საფეხურები. უფრო ღრმად, პიტალო კლდეზე, ვეებერთელა დახურული კარია.

მედეა (ერთ ხელში თასი, მეორეში ჩირალდანი უჭირავს და კიბეზე ჩადის):

დაბლა ჩამოდი, მივაკვლიე იმ ადგილს უკვე!

ნაზონი (სცენის სიღრმეში მალლიდან ისმის ხმა):

ცოტა აქეთკენ მოაშუქე!

მედეა (ნელ-ნელა ჩადის და ზემოთ აშუქებს):

რა ამბავია?

ნაზონი (ხმალშემართული კიბეზე სწრაფად ჩაირბენს):

ამწუთას გვერდით ჩამიჭროლა, აქ არის, შესდექ!

მედეა: რა მოხდა?

ნაზონი: რაკი შესასვლელს უდარაჯებს, კართან იქნება.

მედეა (იმ ადგილისკენ მიაშუქებს):

შეხე, არვინ ჩანს, შესასვლელსაც არვინ დარაჯობს, მარტო შენ გხედავ.

(თასს ძირს დადგამს და ჩირალდანს კიბის მოაჯირზე გაკეთებულ რგოლზე მიამაგრებს).

ნაზონი: რა მშვიდად ხარ!

მედეა: შენ მშვიდად არ ხარ?

ნაზონი: მშვიდად ვარ, დიახ, სანამ რაღაც არ დაწყებულა,

მე რომ მინდოდეს... არ სჯობია, შენ კანკალებდე.

მედეა: მე ის მაოცებს, მარტოდმარტო სურვილი რომ გაქვს,

ვითომ არ შიშობ.

ნაზონი: მხოლოდ თვალი მაქვს შიშნეული,

გული კი მტკიცე- ისევ საქმეზე გადავიდეთ!

მედეა: მაშ, შიშისგან რად კარკლავ თვალებს?

ნაზონი: თვალს იტაცებს მკრთალი ჩრდილები!

კარი გააღე, მაგ სიტყვებით ვერ დამაკავებ.

(კარს მიადგება).

ჩემ მიზანს უნდა მივალწიო, რაც უნდა მოხდეს!

რანაირად იღება კარი?

მედეა: ხმლის წვერი მოსდევ შუა ადგილს და გაიღება.

ნაზონი: ძალიან კარგი! სანამ მოვალ, აქ დამელოდე.

მედეა: ჰაუ, იაზონ!

ნაზონი: ახალს რას მეტყვი?

მედეა (რბილად და ეშმაკური ღიმილით):



გთხოვ, ნუ წახვალ!

ნაზონი: მაოცებს შენი საქციელი!

მედეა: გვედრები, ნუ წახვალ-მეთქი!

ნაზონი: ჭიუტო, შენ გულს არაფერი არ ეკარება,

ჩემი განზრახვა ვანაცვალო დაუდევრობას!

მედეა: დაუდევარსაც აფასებენ, თუ იგი უყვართ.

ნაზონი: კმარა ამაზე ლაპარაკი, მე ასე მინდა!

მედეა: ასე გწადია?

ნაზონი: დიახაც, რომ ასე მწადია.

მედეა: წინ ვერაფერი დაუდგება, არც ჩემი ხვეწნა?

ნაზონი: წინ ვერაფერი დაუდგება, არც შენი ხვეწნა.

მედეა: ჩემი სიკვდილი?

(ანაზღად ხელიდან ხმალს გამოსტაცებს).

საკუთარ ხმალს ხომ კარგად ხედავ,

მკერდზე ისე მაქვს მიბჯენილი, თუ ერთ ნაბიჯსაც

გადაადგამ, თვალწინ გედება უსულო გვამი.

ნაზონი: ჩემი ხმალი!

მედეა: უკან დაიწი! მხოლოდ მკერდიდან

თუ ამოშაძრობ! უკან არ იწევ?

ნაზონი: არა!

მედეა: თუ თავს მოვიკლავ?

ნაზონი: გიტირებ, მაგრამ გაცოცხლებას ვერ შეგბირდები.

მიცემულ სიტყვას შენს თავზედაც მალლა ვაყენებ!

(მისკენ წავა).

მომეცი ხმალი, დედაკაცო, და გზა დამითმე!

მედეა (ხმალს უბრუნებს):

ჰა, გამომართვი, ენატკბილო საქმაროვ, ხმალი,

მეც მომკალი და შენც მაგითი მოიკალ თავი!

მეტი ლოდინი, მართალს გეტყვი, არ შემიძლია!

ნაზონი (კარისკენ გაემართება): დე, მასე იყოს!

მედეა: ცოტა ხანს შესდექ, ერთ რამეს გეტყვი!

ახლავე გინდა, მოგეროს ბოლო?

წმინდა ხეზე ჩამოკიდებულ საწმისს

უვნებელქერცილიანი,

რკინისკბილებიანი

ყალყზე შემდგარი ურჩხული დარაჯობს,

რომელსაც ვერაფერს დააკლებ.

ნაზონი: მე მას, თუ ის მე.

მედეა: გულქვავ, უკეთურო!

ალბათ ის შენ! და მაინც მიდიხარ?

ნაზონი: რაში მჭირდება ეგ შეგონება?

მედეა: მაშ, შესდექ!

აჰა, გამომართვი

მთის ფუტკრის თაფლისაგან,

ლამის ცვრისაგან



და მგლის რძისაგან  
 შეზავებული სასმელი.  
 როცა შიგნით შეაღწევ,  
 სასმისი შენგან შორს დადე.  
 გაშმაგებული ურჩხული  
 ძებნას დაუწყებს  
 და მაგ სასმელს შეხვრებს.  
 მერე ხესთან მიდი  
 და ჩამოხსენ საწმისი,  
 თუმცა არა, ხელი არ ახლო,  
 ხელიც არ წაატანო და შეჩერდი!

იაზონი: შე უგუნურო, მომაწოდე ბარემ სასმელი!  
 (თასს გამოართმევს).

მედეა (ყელზე შემოეხვევა):

რახან ასეა, შენი ხელით ითხრი სამარეს,  
 ერთი ადგილი უსათუოდ ჩემთვის დატოვე!  
 ცოტაც დაყოვნდი!

იაზონი: დამეხსენ, ქალო, საზარი ხმა ჩამესმა ყურში!  
 (კარისკენ გააბიჯებს).

აბა დამიდექ, ტარტაროზის საშინელებაჲ,  
 მე აქა ვდგავარ!  
 (კარის წინ ხმაღს იქნევს).

გაიღები, ბოლოს და ბოლოს!

(კარი იღება და შიგნით გამოჩნდება ოდნავ განათებული ვიწრო  
 გამოქვაბული. სიღრმეში მოჩანს ხე. ხეზე მბრწყინავი ოქროს საწმისი  
 ჰკიდია. ხეზე და საწმისზე შემოხვეულია ვეებერთელა გველეშა-  
 პი, რომელსაც თავი ფოთლებში ჰქონდა ჩამალული, მაგრამ კარის  
 გაღებისას წამოჰყო და ენაგადმოგდებული დაბლა იყურება. იაზონი  
 ყვირილით გამოექანება უკან და კვლავინდებურად შესასვლელთან  
 გაჩერდება).

მედეა (მწარედ გადაიხარხარებს):

რად გიკანკალებს, გიცახცახებს მთელი სხეული?  
 გულით რომ გსურდა, ახლოს რატომ არ გაეკარე?  
 ღონიერო, მამაცო! უძლეველო!  
 მხოლოდ ჩემთან გაქვს დიდი გული?  
 გველეშაპმა ქრუანტელი მოგგვარა?  
 დაე, მე შემომეხვიოს და შემომეგრაგნოს,  
 მომკლას და გამათავოს!  
 აბა შეხე, რამხელა ურჩხულია,  
 მიდი და შეაკვდი!

იაზონი: დამშვიდდი, გულო, და დაუჩიდი, სულო მშფოთვარევ.  
 სიკვდილზე მეტი რა მომივა, ვიცოდე ნეტავ?!  
 მედეა: მერე სიკვდილი ხომ სიცოცხლის დასასრულია?!  
 არ დაიშალო, შეებრძოლე, უტკბესო! საქმროვ,  
 ხედავ, ალივით იკლაკნება შენი საცოლე!

ნაზონი: არა მინდა რა, ოღონდ გზიდან ჩამომეცალე,  
რადგან შენს გრძნობას უერთდება ჩემი გონება!  
(კარისკენ გაემართება):

მაშ დამაკვირდი, თუ გინდა რომ კარგად  
შენ კი ათმაგად საზარელი მომეჩვენების  
(ამასობაში შიგნით შედის).

შემიცნო,  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მედეა: იაზონ!

ნაზონი: შიგნითა ვარ, გამოქვაბულში

მედეა: იაზონ!

ნაზონი: აქა ვარ, აქა! (შევა თუ არა, კარი ჩაიკეტება).

მედეა (ჩარაზულ კარს ყვირილით მივარდება):

ცოცხალი ველარ დაბრუნდება!

ნაზონი (შიგნიდან): კარი ვინ ჩაკეტა?

მედეა: მე არ ჩამიკეტია!

ნაზონი: იქნებ როგორმე გააღო!

მედეა: ო, ღმერთო ჩემო. რომ არ შემიძლია?

სასმლის დადგმა არ დაგაეფიცდეს!

დაილუბები, რომ დააყოვნო.

სასმელი-მეთქი, გეყურება?

ალბათ ჩემი ხმა არ ესმის.

ეტყობა, საქმეს შეუდგა.

საქმეს შეუდგა... მიშველეთ!

კეთილი თვალით გადმოგვხედეთ, ღმერთებო!

შემინდეთ ცოდვა,

შეგვინდეთ ცოლ-ქმარს დანაშაული;

მე შველასა გთხოვთ, თქვენ შურს იძიებთ!

ღმერთების თვალი არსადა ჩანს,

ჩვენი გულის გასასიებლად

უკუნი ღამე ჩამოწოლილა!

თუ ცოცხალი ხარ, გამეც პასუხი!

ხმა ამოიღე! ყველაფერი დუმს,

ჩქამი არსაიდან ისმის, ალბათ მკვდარია,

ხმას რომ არ იღებს, მკვდარია, მკვდარი!

(კარის ახლოს დაეცემა).

უძრავად წევხარ, ჩემო საქმაროვ?

გაიღე კარო, საცოლესათვის!

ნაზონი (შიგნიდან მოისმის შემზარავი ყვირილი): ვაჰ!

მედეა (წამოხტება): მისი ხმა იყო, ის ცოცხალია!

აბა საშველად, საფრთხეშია, კარო, გაიღე!

მეც შენთანა ვარ, როგორ ფიქრობ, წინ აღუდგები?

აბა მარდადი!

(მთელი ძალით ეცემა კარის საგდულს. იაზონი

შიგნიდან ეძგერება, კარი გაიღება და დროშასავით შუბზე წამოცმუ-  
ლი საწმისი ჭამოჩნდება).

მედეა: ცოცხალი ხარ?

იაზონი: მგონი გადავრჩი! (შეშინებული ხურავს კარს).

მედეა: ოქროს საწმისი ხომ ხელთა გაქვს?

იაზონი (საწმისი ცოტა მოშორებით დაუდია):

ხელი არ მახლო, ცეცხლი მედება!

(მარჯვენა ხელის თითებს უჩვენებს).

შეხედე, როგორ დავიწვი ხელი!

მედეა (მაჯაში წაავლებს და აკვირდება): სისხლი გემჩნევა.

იაზონი: სისხლი?

მედეა: ჰო, თავიდანაც გდის.

დაჭრილი ხარ?

იაზონი: ვიცი რო! მოდი, დამეხმარე!

მედეა: როგორც გითხარი, დაიხსომე და 'შეასრულე'?

იაზონი: რალა თქმა უნდა, შორიახლო დავდე სასმელი,

მეც იქვე გვერდით ავიტუზე სულგანაბული,

უცებ მომესმა საზარელი ქშენა-სისინი

და გველეშაპის წინ აღმოვჩნდი მოულოდნელად.

სხეული სულ მთლად უბზინავდა, ულაპლაპებდა,

გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მრგვლად დახვეული

ნელ-ნელა მალლა აიზლაზნა, წამოიშართა,

სასმელს ეძებდა, მიაგნო და ვერც შემამჩნია,

უგრძესი ენით დაეწაფა, ხარბად შეხვრიბა.

მალე ჩემ თვალწინ გაუნძრევლად, მკვდარივით ეგდო.

მე მივაშურე სახიფათოდ შერჩეულ ბუნაგს,

იმ ხეს მივადექ და საწმისიც ხელთა მაქვს ახლა.

მედეა: აბა სასწრაფოდ, ნულარ ვდგავართ, დროს ნუ ვაყოვნებთ!

იაზონი: მაშინ, როდესაც ოქროს საწმისს წაავლე ხელი,

ამოიხვრის ხმა შემომესმა, თითქოს ფოთლები

აშრილდნენო: ვაი, ვაიო! ვისი ხმა ისმის?

მედეა: ვისი და შენი!

იაზონი: ჩემი?

მედეა: ნულარ ვყოვნდებით, წავიდეთ ჩქარა!

იაზონი: საით წავიდეთ?

მედეა: აქურობას გავეცალოთ!

გავეცალოთ, ჰო, გავეცალოთ!

შენ წინ იარე, მე საწმისით უკან მოგყვები.

მაშ აჩქარდი და წინ გასწი, წინ, ნულარ აყოვნებ!

(კიბეს აუყვებიან და გაუჩინარდებიან).

გამოქვამულის წინ მოედანია. სცენის სიღრმეში მოჩანს ზღვა, რომლის მარჯვენა მხარეს პატარა ბორცვია, მის უკან კი არგონაეტთა ხომალდის ცხვირი და ანძა ჩანს. მილო, არგონაეტები; ერთნი მუშაობით არიან გართულნი და ნავს ტვირთავენ, ზოგი საგუშაგოზე დგას, დანარჩენები კი ისვენებენ.

მილო: ნავი მზადა გვაქვს; კეთილი და პატიოსანი!

ყოველწამიერ შეგვიძლია დავიძრათ, მაგრამ

მე თვით არ ვიცი, გამგზავრება როდის მოგვიწევს,  
ამიტომ ლუზა არ აუშვათ ჩემს ბრძანებამდე.  
(ბოლთასა სცემს).

ჯერ კიდევ არ ჩანს, ვერ შორდება მომხიბვლელ <sup>ასულს!</sup>  
რამდენჯერ ჰკუა დავარიგე, ყურად არ იღუკრქენს  
რომ მოესმინა ჩემი რჩევა და დარიგება, ბიზღინქოთქა  
გამოცდილება, ერთგულება, არ იყო ცუდი;  
სამშობლოსაკენ უმისოდაც გავემგზავრებით.

აქ ის მთლიანად გარდაიქმნა, გადასხვაფერდა,  
გულწრფელად ვიტყვი, უამურმა სანახაობამ  
და საოცარმა მიწის მადლმა მოაჯადოვა.  
ო, იმ ქალწულზე გაფიქრებაც კი ტანში მბურძგლავს:  
შავი წარბები იმნაირად გადაკალმეოდა,  
თითქოს ღრუბელი შუბლზე ჰმუნვად დასწოლიაო,  
ქუთუთოებზე ემჩნეოდა, ღრმად ჩაფიქრებულს,  
როცა თვალები აუკაშკაშ-აუელვარდა.  
სწორედ მის მზერას შეეჩება და დაატყვევა.  
ღმერთებო, შეგთხოვთ, საქმე წალმა დაატრიალოთ.  
ორნი მოდიან. რალაც მოაქვთ. ბერძნები ჩანან.  
ერთი დიაცი შეუბოჭავთ! ლაჩრებო, ვინ ხართ!  
(ორი ბერძენი წინ წამოდგება. მათ შუა  
ხელებშეკრული გორა დგას).

მილო: რა ამბავია, ეგ დიაცი რად შეგიბოჭავთ?

მეომარი: როცა ეს ქალი საგუშაგოს მოუახლოვდა,  
როს შევიპყრეთ და გამოვკითხეთ, კოლხი აღმოჩნდა.

ბორა: რაო, კოლხიო? ის კი, მონავ,  
მედეა გახლდათ, ქალიშვილი კოლხთა მეფისა-  
სად გადამალეთ?

მეომარი: არ მოვინდომეთ მისი ისევ უკან გაშვება,  
რადგან მტრისათვის ამბავი არ ეცნობებინა,  
თან მარტოდმარტო ვაუკაცურად გვიმკლავდებოდა.  
მიტომ გავბოჭეთ, რომ არავის დაგვემორჩილა  
და ამნაირად მოგიყვანეთ!

მილო: ახლავ შეხსენით!  
(ბრძანებას უთქმელად შეასრულებენ)

ბორა: სად არის ჩემი ქალიშვილი, ჩემი მედეა?

მილო: შენი ქალიშვილი?

ბორა: ამ ძუძუთი რომ გავზარდე და გავანებივრე.  
ხომ დედასავით ვეპყრობოდი, სად ჩაიყლაპა?  
რაკი ამბობენ, თავის ნებით აქ ჰპოვათ  
თავშესაფარი, მეც დავიჯერო?  
ეგ ტყუილია, სიცრუეა: ჩემი მედეას  
ხასიათი ჩემზე უკეთ აბა, ვინ იცის!  
დაატყვევეთ და გადამალეთ. ასეა, არა?  
ახლავე უკან დამიბრუნეთ! ნეტავ სად არის?





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- მილო:** კეთილ განზრახვით თუ მოსულხარ, ძალიან კარგი,  
მისი გარჩევა იოლია დანარჩენთ შორის.  
ამწამს ნავზე გამოიყვანენ!
- გორა:** ის აქვე გყავთ გადამალული?
- მილო:** მიდი-მეთქი!  
მიხვალ თუ არა, მაშინათვე თვალს მოჰკრავ! მიდი!
- გორა (მიჰყავთ):**  
ხომალდზე არა! თვალს მიხვევთ და ალბათ მატყუებთ!
- მილო (თვალს გააყოლებს):**  
მივერეკებით გარეულ მხეცთ საბერძნეთისკენ,  
უნდა ვეცადო არ გაგვსრისონ, არ დაგვანელონ,  
მაგრამ ის არ ჩანს, არსად არ ჩანს, მე რა ვიღონო!  
(მიწისქვეშეთიდან რალაცნაირი ყრუ გუგუნი მოისმის).  
ყური მიუგდე! ეს რა ხდება? სასწაულია!  
მიწიდან რალაც ამოიფრქვა, ამოიტყორცნა.  
ხომ არაფერს გვიპირებს მტერი?  
(მეომრებს მიმართავს):  
ყური მომაპყართ! იარაღი აისხით ყველამ!  
(მეომრები თავ-თავიანთ შუბებსა და ხმლებს იმარჯვენებენ).
- მილო:** მიწა არ ცხრება, ყოველივე რას მოასწავებს?  
(თითქოს დედამიწა გაირღვაო, უცებ მედეა გამოჩნდება).
- მედეა:** აქ დღე ყოფილა.  
(როცა ნათლად გამოიკვეთება მისი სახე):  
შენიანებიც აქ არიან.  
რასაც შეგპირდი, შევასრულე კიდევ ბოლომდე.  
(იაზონს ხელში საწმისაცმული ბაირალი უჭირავს).
- მილო (ხელებგაწვდილი მისკენ გაეშურება):**  
იაზონი ხარ?
- იაზონი (მის წინ დახრილ თავს დახედავს):**  
მართლა შენ ხარ ,არ გვეჩვენება?!  
იაზონი ვარ! დიახ დიახ, ნამდვილად მე ვარ!  
(მარცხენა ხელს გაუწვდის, მარჯვენაში ბაირალი უკავია).  
იაზონი ვარ, მეგობარო!
- მილო (წინ დაუდგება):** საწმისიც თან მოგიტანია?
- იაზონი (შეშინებული ირგვლივ მიმოიხედავს):**  
რაო, რა თქვი, საწმისიო?!  
(ერთ ადგილას გაქვავებული):  
საწმისიც თან გამოვიყოლე!  
(ერთხელ კიდევ მიმოავლებს თვალს გარშემო):  
ეს ვილა არის, თავ-პირი რომ მოუჩანს მხოლოდ  
და ნაცრისფერი მოსასხამი წამოუბურავს?  
(მას მიუახლოვდება).  
ვერ გაიმეტებ, მეგობარო, მაგ წამოსასხამს?  
(მეომარი უთქმელად უწვდის მოსასხამს).  
მე კარგად გიცნობ,

კორინთოელი არხიტასი არა ხარ შენა,  
სულით ხორცამდე ახირებულ-შექანებული?  
(მხარზე ხელს მოუთათუნებს).  
თხემით ტერფამდე თავქარიანი.  
(შემზარავად გადაიხარხარებს).



მილო: ასე თავს რად იმასხარაფებს?

იაზონი (საწმისს მოსასხამში ახვევს):

საგულდაგულოდ შევახვიოთ და ვუდარაჯოთ.  
სანამ გვჭირდება ფხიზლად ყოფნა, ვიფხიზლოთ კიდეც.  
(იაზონი ოქროს საწმისს იმ კლდის ქვეშ ამოსდებს,  
რომელზედაც ჩაფიქრებული მედეა ზის).  
რაო, მედეა, ასე ძლიერ რამ ჩაგაფიქრა?  
ნება გვიბოძე, მოზღვავებულ ფიქრებს გზა მიეცეთ,  
ხანგრძლივ მგზავრობას გავაყოლოთ რამენაირად.  
მომიახლოვდი, ჩემო კარგო, ჩემო საუნჯევ,  
რომ სიკვდილის წინ ჩვენი ტრფობა დავაგვირგვინოთ.

მილო (მედეასკენ შეტრიალდება):

ნავი აქვია, შენი ფეხი კეთილი იყოს.  
ამ ჩვენს ხომალდზე ერთი ქალიც ამოვიყვანეთ,  
გეცოდინებათ, მე მედეას ძიძა მქვიათ.

მედეა: გორა იქნება. უსათუოდ გამიძებნე იქით!

იაზონი (მკაცრი, ჩახლეჩილი ხმით): არსაით არ გაადგა ფეხი!  
(გაოგნებული მედეა უცებ შედგება და გულხელს დაიკრეფს).

იაზონი (დაყვავებით): გთხოვ, რომ აქ დარჩე.  
(როცა მედეა მისკენ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს):  
არ გაადგა არსაით ფეხი!

(მედეა შემკრთალი და გაოგნებული შეაცქერდება იაზონს).  
ამიერიდან ამ ველურებს გადაეჩვიე  
და შენი ბედი ჩვენ მოგვანდე, დაგვიკავშირე!  
რაკი ერთნი ვართ ამ წუთიდან, მაშასადამე,  
ვალდებულნი ვართ, ერთნაირად ვიფიქროთ კიდეც.

მილო: ნავში ჩაჯექით, უკვე დროა, მეფის ასულო!

იაზონი: ჰო, მართალს ამბობს, დაუჭერე, მომყე, მედეა!  
ეს რა ვულგრილი, უდარდელი მტერი გვყოლია!  
მე კი მწადია შევებრძოლო, ხმალში შევება,  
მაგრამ, როგორც ჩანს, არ უნდათ რომ დაიფრთხონ ძილი!

აბსირტუსი (სცენის უკან): აქეთ, აქეთ!

მილო: არ სძინებიათ.

იაზონი: ასე სჯობია!

სუყველას გირჩევთ, არ შემოდგათ ხომალდზე ფეხი.  
გამოთხოვება ამ მიწასთან გვინდა ისეთი,  
რომ ჩვენი თავი სამუდამოდ დაგამახსოვროთ.  
(ხელს სტაცებს შეხვეულ საწმისს).  
ფხიზლად, მედეა! აბა მითხარ, რატომ კანკალებ?

(კოლხთა თანხლებით სცენაზე შემოდის აბსირტუსი).

აბსირტუსი: აქა ყოფილა! მოდი ჩემთან, ჩემო დაიკო!  
მედეა (თვალს მოჰკრავს თუ არა ძმას, მისდა უნებურად მისვენ



გაქანდება, მაგრამ უცებ შედგება):

შენი და კი ვარ, მაგრამ მედეა

ველარასოდეს დაგიბრუნდებათ!

იაზონი: მანდ რას აკეთებ? ჩვენთან ერთად არ გიჯობს ყოფნა!

აბსირტუსი (თანაგრძინობით შეეგებება):

უტყუარია, ნუთუ რასაც შენზე ამბობენ?

ახლაც არ მჯერა! მართალია? როგორ ვირწმუნო!

სამშობლოს მიწა მიატოვო უნდა მარადის?

სახლ-კარი, მამა და ძმა დათმო სამარადეთამოდ,

ასე იოლად შეეღობო შენს საყვარელ ძმას,

ვისაც ერჩიე მთელ ქვეყანას, ნაინანატრო,

აბა დაფიქრდი, დაუკვირდი, საბრალო დაო!

მედეა (კისერზე ჩამოეკიდება): ო, ძმაო, ძმაო!

(გულაჩვილებული ხმით): ერთგულს ძმაო!

აბსირტუსი: არა, არ მჯერა! მაშ, ცრემლებით თავს რაღად იხრჩობ!

მეც გული ისე ამომიჯდა და ამიჩუყდა,

რომ ცრემლად დაცლის, მეგობრებო, არა მრცხვენია.

ბრძოლაში მიხდა დაგიმტკიცოთ, რაც შემიძლია.

შენ გულამოსკენით მოთქმა-ტირილს თავი ანებე

და ჩემთან მოდი, მხარი მომეც, ძვირფასო დაო!

მედეა (ძლივსგასაგონად): წამიყვანე, სადაც გენებოს!

იაზონი (მოუახლოვდება): ნუთუ მათთან ყოფნა გწადია?

მედეა (შეშინებული): მე?

იაზონი: ასე არ თქვი!

მედეა: მითხარ, ძმაო, ხმა გამიღია?

არა, კრინტიც არ დამიძრავს!

აბსირტუსი: ხომ დამეთანხმე, მაშ წამოდი, რაღად აყოვნებ,

მამა შეგინდობს დანაშაულს და გაპატიებს!

ჩემმა მუდარამ მშობელს უკვე მოუღბო გული;

მერწმუნე, დაო, შეგიწყალებს, რადგან საწმისი

ამ გადამთიელთ ჯერაც ხელში არ ჩაუგდიათ.

მედეა (მკლავებიდან გაუსხლტება შეძრწუნებული):

როგორ თუ არა?

(აცახცახებული): მათ ხელთაა უკვე საწმისი.

იაზონი (საწმისი მალლა აღუმართავს და ყველას დასანახად

საგანგებოდ აქნევს):

ღიახ აქ არის!

აბსირტუსი: ოქროს საწმისი!

(მედეას მიმართავს):

ასე გაგვეცი და გვიღალატე?

ბნელ-უკუხეთშიც წასულხარ და მოუსავლეთშიც!

(ახლა იაზონს მიუბრუნდება):



ჰეი, შეჩერდი, დამიბრუნე საწმისი უკან!

იაზონი: ამაოდ ფიქრობ და ოცნებობ, ქარიფანტიავ!

წადი, ჭაბუკო, და მოუთხრე მამას ყოველი,

რაც საკუთარი თვალით ნახე, ის გირჩევნებ!

მე ამ ქალიშვილს მალე ვაყით დავასაჩუქრებ!

აბსირტუსი: ოქროს საწმისი!

იაზონი: არ მსურს, შენი სისხლი დავღვარო!

ჩმა გაიკშიდე, კრინტს ნუ დასძრავ და გზა განაგრძე!

ურჩხულთან ბრძოლას მივაჩვიე ჩემი მარჯვენა,

მაგრამ შენნაირ ჩერჩეტებთან არას ვაპირებ.

ჩამომეცალე, წადი-მეთქი, რომ გეუბნები!

აბსირტუსი (გულში ჩამწვდომი ხმით): ოქროს საწმისი.

იაზონი (ორკოფულად): ჩემთან შებმა სახიფათოა,

რადგან მრისხანე ლომივით მეც შმაგი ვარ მუდამ.

აბსირტუსი: ოქროს საწმისი!

იაზონი: ჩემს ხელთაა!

(იაზონი ხმალს იშიშვლებს, მძლავრად მოიქნევს და აბსირტუსს მარცხენა მხარში მისწვდება; მას მუზარადი და ფარ-ხმალი დაუვარდება; მართალია, აბსირტუსი არ დაიჭრება, მაგრამ წაბარბაცდება და იატაკზე დაეცემა).

მედეა (დაცემულთან მიიჭრება, დაიჩოქებს, ძმის თავს კალთაში ჩაიდებს და ზედ გადაეფარება):

ახლავ შეჩერდი!

იაზონი: მე მის მოკვლას არც ვაპირებდი.

მაგრამ კი უნდა მომისმინოს და დამიჯეროს!

მედეა (აბსირტუსს თავს წამოუწევს): წამოდექ ზეზე!

(აბსირტუსი წამოდგება და გაოგნებული დას ზურგზე მიეყრდნობა).

მედეა: ხომ არ დაჭრილხარ?

აბსირტუსი (შესაბრალისად): შუბლი მტკივა.

მედეა (შუბლზე ტუჩებით შეეხება): ძვირფასო ძმაო!

მილო (სათვალთვალოდან ჩქარი ნაბიჯით შემოვარდება):

სმენა იყოს და გაგონება! მტერს სათავეში

ჩადგომია მორჭმული მეფე და დიდძალ ჯარით

ჩვენკენ მოდის, გვიახლოვდება!

მედეა (ძმას სიყვარულით ეკვრის): ჰა, მამაჩემი!

აბსირტუსი (ბეჩავად): მამაჩვენი!

იაზონი (ორივეს მიმართავს): დაიწით უკან!

მილო (აბსირტუსზე ათითებს):

ახლავ ნავზე აიყვანეთ, ნულარ აყოვნებთ,

კარგი მძევალი გვეყოლება, ასე აჯობებს!

აბსირტუსი (როცა ხელს წაავლებენ, საწყალობელი ხმით იტყვის):

მატყვევებთ კიდევ?

მედეა: დავემორჩილოთ, წავიდეთ, ძმაო!

(პატარა აღმართს შეუყვებიან).

- ნაზონი: ყველანი ნავზე! აბა, სწრაფად აუშვით აფრა!  
(შეიარაღებული კოლხებითურთ აიეტი სცენაზე შემოიჭრება).
- აიეტი: (აქეთ-იქით აწყდება):  
შეჩერდით უმაღლ! ჩემი ბიჭო! ჩემი ქალ-ვაჟი!
- აბსირტუსი (ცდილობს ხელიდან გაუსხლტეს): ეპეი, მამა!
- ნაზონი (ბორცვიდან გადმოიძახებს): შეჩერდით წამით!  
(აიეტს მიმართავს): შენი ვაჟი ჩემთან იქნება,  
მძევლად ვიგულვებ და საწინდრად გამომადგება,  
საკმარისია, კარჭაპიც რომ გამოგვედევნოს,  
ზღვის ტალღებს მივცეთ მისი თავი დასალუპავად;  
თუ უზიანოდ გადავცურავთ კოლხთა სამეფოს,  
მაშინ ვაუკაცი უვნებელი დაგიბრუნდება.  
რატომ მიბიძგებ, ბარბაროსო, რომ შეგებრძოლო?!
- აიეტი: ჩაგიგდეს ხელში, ჩემო ბიჭო, სალახანებმა?  
აბსირტუსი (ცდილობს თავი გაითავისუფლოს):  
დამეხსენით, გამიშვით ხელი!
- მედეა: ძმაო და მამავ!
- ნაზონი: არსად გაუშვათ!
- აიეტი: ჩემკენ, აბსირტუს!
- ნაზონი: ამაოდ ცდილობ!
- აიეტი: მაშინ ერთილა დამრჩენია, უნდა ვისწრაფო!  
თავიანთ მეფეს გაჰყვებიან შენი კოლხებიც!
- ნაზონი: დაიწით უკან!
- აიეტი (წინ წამოდგება):  
ნუთუ გგონია, ოღნავ მაინც რომ დამაშინებ?
- ნაზონი: უკან-მეთქი!  
ასეთი ხერხით შენს ვაჟს მაინც ვერ გამოიხსნი.  
ხომ შემოგფიცე, არაფერი დაუშავდება!  
აიყვანეთ ახლავე ნავზე!
- აბსირტუსი (ცდილობს გათავისუფლებას):  
რას ჰქვია, ნავზე ამიყვანონ და არ გამიშვან?
- აიეტი: რით განუგეშო, ჩემო ძეო?
- აბსირტუსი: თავს დაესხი და დაიხსენი ამათგან შვილი!
- აიეტი: თავს რომ დავესხა, მაშინათვე მოგკლავენ მკვლელნი!
- აბსირტუსი: არ სჯობს, სიცოცხლივ დატყვევებულმა,  
ოღონდ ესენი დამაჩოქინა,  
დაე, დავეცე მეც ბრძოლის ველზე  
და ასე მოვკვდე თავისუფალი?!
- ნაზონი: ნავზე-მეთქი!
- აიეტი: ჩემკენ გამოსწი, ჩემო ბიჭო!
- აბსირტუსი (ხელიდან გაუსხლტება): მოვდივარ, მამავ!  
მე სიკვდილამდე მინდა ვიყო თავისუფალი,  
სიკვდილს მერე კი ვისაც უნდა იძიოს შური!  
(ფრიალო კლდიდან ზღვაში გადაეშვება).



- მედეა: ო, ძმაო, ძმაო! ნეტავი, მეც თან წამიყვანო!  
(ქალიშვილს აკავებენ).
- ანიტი: ჩემო ვაჟკაცო!
- იასონი: აღარაფერი ეშველება!  
ციდან ღმერთები გამოვიხმე, რათა ეხილათ,  
რომ შენი შვილი შენ მოკალი, შენა ხარ მკვლეელი,  
მე კი ღმერთმანი არაფერში არ მიდევს ბრალი!
- ანიტი: ეჰ, ჩემი შვილი მე მოკალი! შურისძიება!  
(იაზონისკენ გაიჭრება): მაშ, შენც მოკვდი!
- იასონი: დამეხსენ-მეთქი!  
მაიძულებ, შენც გაგისტუმრო?
- ანიტი: მოკვდი, მკვლელო!
- იასონი: მკვლელი მე ვარ?  
შენა ხარ მკვლელი!  
(გვერდით მდგომს საწმისს გამოსტაცებს):  
ხომ არ გეცნობა?
- ანიტი (დაინახავს თუ არა დაიღრიალებს, დაბარბაცდება  
და ნელ-ნელა უკან დაიხვეს):  
ოქროს საწმისი!
- იასონი (გამომწვევად უჭირავს): ნუთუ შეიცან?  
სისხლიც გეცნობა, რომელიც მას ლაქად ატყვია?  
ეგ ხომ ფრიქსუსის სისხლი სცხია; ხედავ? შვილისაც!  
ფრიქსუსის მკვლელო, საკუთარი ვაჟიც შენ მოკვალ!
- ანიტი: მეც მიმიბარე, ჩამიკარი, უძლებო მიწავ!  
მესაფლავენო, გამითხარეთ სამარე აქვე.  
(მიწაზე დაენარცხება).
- იასონი: დაგაგვიანდა, მაგ ცოდო-ბრალს ვერვინ დაფარავს,  
შენ წინაშე დგას უძლეველი ადამიანი;  
მართალი გითხრა, შენს სიციოცხლეს არ დავკანკალებ,  
მაგრამ ამჟამად არად მიღირს შენი სიკვდილი.  
ღიახ, სიკვდილს ხომ მაინც ვერსად დაემალე, ბი,  
მოგვიანებით გაემგზავრე, სად გეჩქარება,  
შვილიშვილებმაც მოისმინონ შენი სახელი  
და ამავე მიწამ გაზღვევინოს დანაშაული.  
აბა, აჩქარდით და აფრები გაშალეთ სწრაფად,  
სამშობლოსაკენ გავეშუროთ!
- ანიტი (მიწაზე გართხმული): ვაიმე, ვაი,  
შეუბრალებლად ჩამაყოლეთ ჩემს შვილს საფლავში!  
(კოლხები რომ მეფეს ფარშემო ერტყმიან და იასონი  
მხლებლებითურთ ნავზე ავა, ამ დროს ფარდა ეშვება).



უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

მაღაროში „გროსფაგერს“ საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს: ქუხდნენ დაფდაფები, უკრავდა სასულე ორკესტრი, წარმოსთქვამდნენ მლიქვნელურ სიტყვებს. მერე ვიწრო წრისთვის საუზმე გაიმართა ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. მაღაროსა და ბანაკში ავბედითმა სიჩუმემ დაისადგურა. შეიძლებოდა გეფიქრა, დაფნის გვირგვინით შემკული „მოკრძალებული გმირი“ ისვენებს და საკუთარი დიდებით ტკბებაო. ზოგიერთი იმასაც კი ვარაუდობდა, იქნებ ჰოპე ბოლოს და ბოლოს დაცხრეს და ყველას გვეშველესო.

ტყვეებს ჰოპე მთელი არსებით სძაგდათ, მისი თვით გერმანელებსაც ეშინოდათ. შეუძლებელი იყო ამ მძვინვარე ბებრუხანას მოსაწონი რამ გაგეკეთებინათ. ხელქვეითებისგან იგი მოითხოვდა მის მიერვე დადგენილი წესრიგის უმკაცრესად დაცვას. ინჟინრებსა და შტაიგერებს ეს დესპოტი აფასებდა არა იმდენად მათი ტექნიკური ცოდნისა და ორგანიზატორული უნარის მიხედვით, რამდენადაც „ძალაუფლებისკენ მისწრაფებით“, სამსახურებრივი აბეზარობით, ტყვეთა დასჯა-წამებისთვის მზადყოფნით. როგორც მაღარო „გოგენცოლერუნგრუბეს“ ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ესე იგი, ლაიხსლაიტერი, ჰოპე ამკვიდრებდა ბრმა მორჩილების რეჟიმსა და თავის „მუშაობაში“ უცვლელად ეყრდნობოდა პოლიციურ-გესტაპურ აპარატს. მაღაროში საბჭოთა სამხედრო ტყვეების გამოჩენისთანავე მკვეთრად შემცირდა ქვანახშირის მოპოვება. ჰოპე პირდაპირ ცოფს ჰყრიდა. ჩაამწყვრივებდა ხოლმე გერმანელ სამთო სპეციალისტებს და ყოველნაირად ლანძღავდა, ამცირებდა, აჯარიმებდა მათ.

ობერ-ინჟინერი მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე და პირადად ჩხრეკდა საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. ვაი მისი ბრალი, ვისაც იგი ასანთს, სანთებელას ან ჭაყვას აღმოუჩენდა. ჰოპე სიამოვნებით აღმართავდა თავის ჯობ-ჩაქუჩს და ნავარჯიშევი დარტყმით თავის მსხვერპლს ძირს აგდებდა! ტყვეებზე განუსაზღვრელი ძალაუფლების შეგნება სულ უფრო ათრობდა და ამხეცებდა მას. ობერ-ინჟინერმა თანდათანობით შეწყვიტა გერმანელების ტყვეებისაგან გარჩევა და ზოგჯერ მაღაროელ ფოლკსდოიჩებსა და თვით „წმინდა სისხლის არიელებსაც“ უხატქუნებდა, თანაც მათგან „პატრიოტულ ენთუზიაზმს“ მოითხოვდა.

თვით რიგით გერმანელ მაღაროელებსაც რცხვენოდათ თავიანთი დამამცი-

რებელი მდგომარეობისა, ხოლო ტექნიკური მუშაკები — ბრიგადორები, ტექნიკოსები, შტაიგერები — თავს არიდებდნენ თავიანთ შეფთან შეხვედრას. შეუძლებელი იყო წინასწარ გამოგეცნოთ მისი განწყობილება, რადგან იგი საათში რამდენჯერმე იცვლებოდა. ჰოპეს ხან ისტერიკა ემართებოდა, ხანაც კიუვიით ხარხარებდა, ხანაც უწმაწური გინებით პისტოლეტს ათამაშებდა.

მაღაროში პატიოსანი გერმანელებიც იყვნენ, რომლებიც ფარულად თანავიგრობდნენ კიდევ. ზოგჯერ ისინი ტყვეებს აძლევდნენ პურის ნატებს, მაგრამ ამას ძალიან ფრთხილად აკეთებდნენ: თავიანთ ნობათს ქანის ნატებსზე დებდნენ და შეფარული თავის დაქნევით ან ნიშნით უჩვენებდნენ ტყვეს. ამასთანავე, ჰოპეს ყველა წარმოუდგენელ მხეცობათა მოწმენი, ღუმდნენ, უფრო მეტიც, ემლიქვნებოდნენ ყოვლისშემძლე შეფს; მასზე იყო დამოკიდებული გამომუშავების ნორმების დაწესება, მას შეეძლო მათი ფრონტზე გაგზავნა, ერთი სიტყვით ფაქტორთა მთელი ჯამი განსაზღვრავდა მლიქვნელობის ფსიქოლოგიას.

მაღაროში დაბრუნებისთანავე „გროსფატერმა“ ხელმძღვანელ ინჟინრებთან თათბირი მოაწყო, მერე ფაშისტური ორგანიზაციის კრება ჩაატარა, ბოლოს კი უბნის უფროსებს შეხვდა დღის მეორე ნახევარში. მან შემოიარა მაღაროს ძირითადი უბნები, სამი ტყვე კარცერში გაგზავნა, ორი კი „უქნარობისთვის“ მკაცრად სცემა. იგი მეორე და მესამე ცვლებშიც გამოჩნდა, რითაც თვით ჩლუნგი ნაგელიც გააოცა.

— მაინ გოტ!<sup>1</sup> — ხელებს შლიდა შტაიგერი. — როდისღა სძინავს ჩვენს ობერ-ინჟინერს? ჩვენთან მაინც არ შემოიხედავდეს, თორემ, რაღა დასამალია, უგერგილოდ ვმუშაობთ.

სტასიკმა ისევ ვერ მოითმინა:

— საინტერესოა, რა გერგილიანობას სთხოვთ ეგრერიგად დამონებულ და ქანცგაწყვეტილ ადამიანებს?

პასუხად ნაგელმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია. სტასიკთან პირისპირ დარჩენილმა შეშფოთება გამოვთქვი, გასაქცევად მოსახერხებელი დრო ხელიდან ხომ არ გავუშვით-მეთქი. ფონ ჰოპეს ბერლინიდან დაბრუნების შემდეგ მაღაროს საკონტროლო პუნქტზე უფრო მკაცრად დაიწყეს ჩხრეკა და აუსვაისების შემოწმება.

— კი მაგრამ ვერკშუტცები ხომ ჭრილთან უწინდებურად ტყვეების მაღლა ამოსვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე მოდიან, — მამშვიდებდა სტასიკი. — მაშასადამე, გრაფიკი არ შეცვლილა. მოთმინება მოიკრიბე და დაიცადე...

ადვილი სათქმელია, მოთმინება მოიკრიბეო! დილით ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბანაკს თავს დასცემოდა გესტაპოელთა და კრიმინალისტთა მთელი ლაშქარი. ისინი ტყვეებს სურათებს უღებდნენ ანფასსა და პროფილში, ატოვებინებდნენ თითების ანაბეჭდებს. ჩვენთვის ეს პროცედურა ახალი არ იყო. მე, მაგალითად, ბანაკებსა და ციხეებში ხუთჯერ გადამიღეს სურათი და იმდენჯერვე დამატოვებინეს თითების ანაბეჭდები. ახლა კი ეჭვი შემეპარა, ვაითუ გესტაპოს აზრად მოუვიდეს ფოტოებისა და თითების ანაბეჭდთა შეჭერება-მეთქი. უკვე მეორე გაქცევას გესტაპო მძიმე დანაშაულად თვლიდა, მე კი აქამდე ექვსჯერ ვიყავი გაქცეული!

<sup>1</sup> ღმერთო ჩემო!



საქმე საბუროდ არ მქონდა. სტასიკი მამშვიდებდა, როგორც შეეძლო.

— იცი, რა. გესტაპოელებმა მართლაც მიაგნეს სამ გაქცეულ რევოლუციონისტს და გუშინვე წაიყვანეს. — შითხრა სტასიკმა მეორე დღეს. — შენზე ვარაუდებული არიან. პოდა, ასაღელვებელიც არაფერია.

• მეგობარი ჩურჩულით მომიყვია, რომ პარიკისა და აუსვაისის მკვლე-ფერი ეშოვნა. გასახდელში უხიფათოდ მოეტანა და თავის უჭრავს მსვენება. ხვალ პარიკიც და აუსვაისიც იქნება. მერე კი — ფეხები და მისი ჯანი! უკვე ხვალ ჩვენ აქედან შორს ვიქნებით.

ცვლის შემდეგ, როგორც ყოველთვის, ჭრილისკენ აუჩქარებლად გავწიეთ და ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონეთ ჩვენი გეგმის ყველა დეტალი. თითქოს ყველაფერი გათვალისწინებული გექონდა და არ უნდა ჩავვარდნილიყავით.

სტასიკი პოლონელებთან ერთად მალლა ავიდა, მე კი ჩემს რიგს დაველოდე. დარბაზში, რომელშიც შევედი, იჯდა ან იწვა ათობით საბჭოთა სამხედრო ტყვე. მათი უმრავლესობა ამზადებდა პორტსიგარებს, მუნდშტუკებს, ჩიბუხებს, ბეჭდებს, ზოგიერთები უწვრილესი მავთულის — სხვადასხვა ფერის იზოლაციით დაფარულ ბრინტ-კაბელისგან — კალათებსა და საოჯახო ჩანთებს წნავდნენ. რა თქმა უნდა, არა თავისთვის, გერმანელთათვის. შიმშილმა აიძულა ხალხი ხელი მოეკიდათ ამ კუსტარული ხელობისთვის და ბევრი მათგანი მას სრულყოფილადაც დაეუფლა. ხელმარჯვენი ალუმინის, სპილენძის, ბრინჯაოს, პლასტმასისა და ხის ნატეხებისაგან საოცრად ნაზ, მართლაც ოსტატური ნაყშებით დამშვენებულ ნივთებს ამზადებდნენ. კალათებისა და ჩანთების მოსაწნავად აფეთქების მერე დარჩენილ მავთულს იყენებდნენ. მავთული იმით იყო კარგი, რომ ლამაზი, ფერადი იზოლაცია ჰქონდა. მისი მეშვეობით ტყვეები ნაქარგის მსგავს სხვადასხვა კომბინაციებს ქმნიდნენ.

ეს კუსტარული პროდუქცია ძალიან მოსწონდათ გერმანელებს, განსაკუთრებით მათ ცოლებს. ცოლები შეკვეთებს აძლევდნენ თავიანთ მძლაროელ მეუღლეებს, ისინი კი ტყვეებსა და ტუსალებს მიმართავდნენ. ყველაფერი ეს უფროსობისაგან მალულად ხდებოდა, რადგან ობერ-ინჟინერ ჰოპეს ბრძანებით ყველა შტაიგერსა და გერმანელ მძლაროელს ბრინტ-კაბელი უნდა მოეგროვებინა და ოსტატებისთვის ჩაებარებინა. ამ დეფიციტური საქონლის განიკვება მავნებლობად ითვლებოდა და ვაი იმას, ვისაც გაჩხრეკისას თუნდაც ერთ მეტრ მავთულს უპოვიდნენ. მიუხედავად ამისა, კალათების დამზადება და მათი გაყიდვა არ წყდებოდა. გერმანელები ხალისით ყიდულობდნენ მათ პურის, მარგარი-ნის, თამბაქოს ფასად.

ტყვეები კომუნებად ცხოვრობდნენ. ყველა, ვისაც შეეძლო, შოულობდა „ნედლეულს“ და მას თავის „ოსტატს“ აწვდიდა. მოგებას თანაბრად იყოფდნენ. ის-ის იყო, რამდენიმე მეტრი ნაპოვნი მავთული გადავეცი „ოსტატებს“ და მათ საქმიანობას დავუწყე ყურება, რომ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ცხვირწინ ჰოპე ამეტუზა.

— კოჭლი! — გაისმა გამაფრთხილებელი შეძახილი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ობერ-ინჟინერმა შენიშნა ერთ-ერთი ტყვეთაგანი, რომელიც კალათას წნავდა.

ჯობ-ჩაქუჩს დაყრდნობილი ჰოპე „დამნაშავეს“ მიუახლოვდა და ჩემგან სამ ნაბიჯზე გაჩერდა. ბულდოგისმაგვარ დრუნჩზე ვარდისფრად გამოაყარა,

თვალეში ველური ნაპერწკლები აუციმციმდა. მან უხმოდ შეხედა მსხვერპლს და ავბედითად დაუსისინა:

— მოდი აქ!.. ლოს!

ტყვე მივიდა. კოჭლმა ჯოხი მოუქნია, უნდოდა თავში ეთხლიშა, მაგრამ მსხვერპლი არ დაიბნა, ჯოხზე უტაცა ხელი. ამ სცენის შემყურე ყურთუთ ადამიანი ადგილზე გაქვავდა. ქანცგაწყვეტილებს თვალეში ღრმად ჩავარდნოდან და კოჭლს დაუფარავი ზიზღით შესცქეროდნენ. ჰოპემ მძვინვარედ მოსწია ჯოხი თავისკენ, გამოსტაცა იგი ტყვეს და სრულიად მოულოდნელად პირდაპირ სახეში ატაკა უბედურს. მან ტკივილისაგან დაიღრიალა და სახეზე ხელები აიფარა. ჰოპემ მსხვერპლს რამდენჯერმე დაარტყა თავში. გამწარებული ტყვე ჯალათს ეცა. კოჭლი მისი ასაკისთვის მოულოდნელი სისწრაფით გადახტა უკან, აცახცახებული ხელით იძრო პატარა ბრაუნინგი და მთელი სავაზნე დაახალა ტყვეს. იგი ცემენტის იატაკზე დაეცა.

სროლის ხმაზე მოცვიდნენ გერმანელები, შტაიგერები, სამკლაურიანი მორიგე და რამდენიმე ვერკშუტცი<sup>1</sup>.

— გაჩხრიკეთ! ყველანი გაჩხრიკეთ! აქ ყაჩაღები და მესაბოტაჟენი არიან! — გიჟივით ყვიროდა დუქმორიელი კოჭლი და ფეხებს აბაკუნებდა.

ნანახით შეძრულმა ჭრილს მივაშურე, ლიფტში შევძვერი და ჩვენი ბანაკის ტყვეთა ბოლო ჯგუფს მალლა ავყევი.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა. სულ თვალწინ მედგა საბჭოთა სამხედრო ტყვის დასჯის საშინელი სურათი. რა დღე მომელის მე თვითონ? ხვალ ხომ ჩემი ბედი წყდება: ან თავისუფალი ადამიანი გავხდები და შევძლებ არაკაცებზე შური ვიძიო ან სახრჩობელაზე ჩამომკიდებენ...

6

მე და სტასიკი ერთმანეთს მეხუთე ჰორიზონტზე შევხვდით. იგი უკვე მელოდებოდა. სვლა ოდნავ შევანელეთ და ნაგელს ჩამოვრჩით.

— ვლადიკ, — საზეიმო ხმით მომმართა მეგობარმა, — მე ყველაფერი აივამზადე. შენ მზადა ხარ?

— დიახ, მტკიცედ მივუგე და ვიგობენი გული როგორ შემიტოკდა.

— მაშ, ასე, დღეს, ცვლის შემდეგ. მოდი, ისე მოვრჩეთ ცვლას, რომ ნაგელმა წუთითაც არ დაგვაყოვნოს. მაღაროდან გავალთ პოლონელების ჯგუფთან ერთად, დაცვის მოსვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე.

სანგრევში ყველანი ადგილზე იყვნენ. ოსტატი აფეთქებისთვის ემზადებოდა. მან ზონრები შეაერთა და მავთულების გარჩევას შეუდგა. ჩვენ მებრჭენებს მივეშველეთ: მოვიტანეთ რამდენიმე საბჭენი, მოვაგორეთ ცარიელი ვაგონი.

ნაგელი შტრეკის გამაგრებით უკმაყოფილო ჩანდა. რაღა ნაგელი, ჩვენ თვითონაც ვხედავდით, რომ იგი ყოველად უვარგისი იყო, განსაკუთრებით ბოლო მონაკვეთზე, რომელიც ჩვენზე ადრე ორმა წინა ცვლამ გაიარა. უზარმაზარი ქანები გახლეჩილიყო, მათ სიმძიმეს გარდიგარდმო გადებული სამაგრი მორები აქა-იქ გაელუნა, ზოგიერთი ვერტიკალური სვეტი გადახრილიყო, ბზარი გასჩენოდა.

სანგრევი საიმედოდ გავამაგრეთ და მუშაობას შევუდექით. მძლავრი

<sup>1</sup> მეთვალყურე, ზედამხედველი.

აფეთქების შემდეგ ქვანახშირი საკმარისად იყო, ჩვენ მას შეხმატებილებულად ვყრიდით რონოდებში. ვმუშაობდით გულმოდგინედ, უსრტყვოდ. მე და სტასიკი გაქცევაზე ვფიქრობდით, ნაგელს კი ალბათ სანგრევის გამაგრება ახარდებდა.

მოულოდნელად ჩვენს უკან წარმოედგებელი ჯახანი და <sup>ერეკლეშვილის</sup> <sup>სტასიკის</sup> სამივენი, როგორც ბრძანების ხმაზე, ერთბაშად შემოვბრუნდით და საძინელი სურათი ვიხილეთ: ოციოდე მეტრზე უზარმაზარი ქანი ჩამოშლილიყო<sup>1</sup> და სანგრევის გასასვლელი ამოექოლა — სიშიშვეს ფიჭვის სვეტები ნაფოტებად ექცია. ჩვენ ქვის ხაფანგში აღმოვჩნდით.

— ო, მაინ გოტ, მაინ გოტ! — აწრიალდა ნაგელი და ორივე ხელი თავში შემოხრტყა.

მისი შეცხადებისგან ტანში ერთხანტელმა დამიარა. სტასიკს ნერვებმა უმტყუნა. მან შტაიგერთან მიიბრინა და ისტერიულად უყვირა:

— გაჩუმდი, იდიოტო, თორემ ვფიცავ მატკა ბოსკას,<sup>1</sup> თავს გაგიხეთქავ სად იყავი ადრე, ცხოველო, რად არ მოითხოვე ახალი გამაგრება?

— ო, პან ეზუს<sup>2</sup>, წმინდაი მარიამი! მე რა შუაში ვარ? — მორთო<sup>1</sup> ყმუილი ნაგელმა. ამ წუთას მას თავისი რასობრივი აღმატებულება დაავიწყდა და პოლონურზე გადავიდა, რაც ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო. ნაგელის პოლონურმა სტასიკიც გააოცა. იგი როგორღაც მაშინათვე დამშვიდდა და შემრიგებლურად ჰკითხა:

— რა ვქნათ ახლა, ბატონო შტაიგერი?

— ვნახოთ, იქნებ მთლად ამოქოლილები არ ვიყოთ და გასასვლელი მოვძებნოთ. — დაბნეულად დუღლუნებდა ნაგელი.

ჩვენ ჩამონაშალისკენ გავემართეთ. დათვალეერებამ დაგვარწმუნა, რომ იქიდან საკუთარი ძალებით ვერ გავალწევდით. არ იყო გამორიცხული, რომ ქანს მთელი შტრეკი ამოევსო. ასეთი ზეავის სალიკვიდაციოდ რამდენიმე კვირაა საჭირო.

ჩვენი სანგრევი მოგაგონებდათ მღვიმეს. რომლის სიგანე ათამდე, სიგრძე ოცამდე, ჭერის სიმაღლე კი სამ მეტრამდე იქნებოდა. აქაური ჰაერი ერთ დღელამეს თუ გვეყოფოდა.

სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრო. სტასიკს თავი ასე თუ ისე ყოჩაღად ეჭირა, ნაგელი კი ერთბაშად მოტყდა და თითქოს ლოცულობსო, დაბნეულად ბუბუნებდა:

— ჩვენ ამოგვიყვანენ... ჩვენ ამოგვიყვანენ... უეჭველად ამოგვიყვანენ.

— ვლადეკ, ცხვირი ნუ ჩამოგიშვია, — მაიმედებდა სტასიკი — მადლობა ღმერთს, რომ ფაშისტთან ერთად აღმოვჩნდით. მას ბედის ანაბარა არ დატოვებენ. გადაარჩენენ. უკვე შეუდგნენ შემოსასვლელის გაწმენდას.

დრო თითქოს გაჩერდა. წამები მარადისობასავით მიიზლანებოდნენ. ჩემს თავში რაღაც ქაოსი იყო. არაფერზე ფიქრი არ მინდოდა.

ნაგელი ქანის ნამსხვრევზე ჩამოჯდა, ირგვლივ სულელურად მიმოიხედა და ბავშვივით აქვითინდა.

— მაპატიეთ, ბიჭებო, მე თქვენ უსამართლოდ გექცეოდით, — გვითხრა აცრემლებულმა.

<sup>1</sup> ღვთაამშობელი (პოლ.).

<sup>2</sup> უფალო იესო (პოლ.).

და ჰოი. საოცრებაჲ: მე შემეცოდა ეს საძულველი შტაიგერი. ასეთივე გრძნობა დაეუფლა სტასიკსაც და მის დამშვიდებას მოჰყვა პოლონელი გულ-კეთილი იყო. მან სანგრევში ბოლთის ცემა შეწყვიტა და რქვა.

— წუწუნის ნაცვლად, შლიაკ ბი გო ტრაფივ, უმჯობესი ვისადილოთ. ორჯერ სიკვდილი არ არსებობს, ერთს კი ვინ გაქცევია, იმდენს იმდენი გვაქვს.

ამ სიტყვებით სტასიკმა თავისი ბოლხა აიღო, გვერდით მომიჯდა და სურათი ამოაღაგა. მერე შტაიგერს მიუბრუნდა: მოდი აქ, ნაგელ, ვისადილოთ, ძნელია ცარიელი კუჭით სიკვდილი.

შტაიგერი უცებ შეინძრა, თითქოს ბურუსიდან გამოერკვაო, პორტფელი მოიძია, და სანოვაგე შემოგვთავაზა:

— ჭამეთ, ბიჭებო, თქვენ ახალგაზრდები ხართ..

— კი მაგრამ შენ რამდენი წლისა ხარ, ასე რომ ამბობ? — ჰკითხა სტასიკმა.

— ორმოცდაორის.

— მერე ეს განა ბებრული ასაკია: ცოლ-შვილი ხომ გყავს?

ნაგელს სახე გაუნათდა, გამოხედვა მშვიდი, ნაზიც კი გაუხდა.

— ახალგაზრდა, ძალიან კარგი ცოლი მყავს. მე იგი ისე მიყვარს...—მას ხმა აუთრთოლდა. — ხოლო გოგონა... ხუთი წლისაა. კულულებიანი, მშვენიერი... ნაგელს ისევ ჭკითინი აუტყდა.

სტასიკი უკვე ნანობდა, რომ ეს საუბარი წამოიწყო.

— კარგი, გეყოფა, გეყოფა. უველაფერი კარგად იქნება. ჯობია წავიხემსოთ.

სადილის მერე სტასიკი მე და ნაგელს შეძლებისდაგვარად გვამხნევებდა. მან გამოთქვა მოსაზრება, მაშველი სამუშაოები ალბათ უკვე მიმდინარეობს და ამ ქვის ხაფანგიდან უსათუოდ დაგვიხსნიანო. მე ალაღად მჯეროდა მისი და მეჩვენებოდა, რომ ჩვენი მდგომარეობა არც თუ უიმედო იყო. თვით ნაგელიც კი ცოტათი გახალისდა. მან დააინება შემოგვთავაზა, თვითონ კი მორიგეობა ისურვა. ასეც მოვიქცეთ.

გაოფლიანებულს გამომეღვიძა, თავი მტკიოდა, მწყუროდა. წყვილიადში ძლივს ბეუტავდა ერთი კარბიდის ნათურა, როგორც სანთელი მიცვალებულის თავთან. გვერდით სტასიკი მეჯდა, ნაგელი კი სანგრევში ნერვიულად ბოლთას სცემდა. მისი ახმახი ფიგურა აქეთ-იქით მოჩვენებასავით თრთოდა. ფეხქვეშ ხრაშუნობდა ქვანახშირი და ეს ხრაშუნი მხოლოდ ამძაფრებდა მკვდრულ სიჩუმეს და განწირულობის დამთრგუნველ გრძნობას.

— ნაგელი როგორღაც უცნაურად იქცევა, — ჩურჩულით მითხრა სტასიკმა. — მე ეს არ მომწონს. მეშინია, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს. — სტასიკი გაჩუმდა, მერე კი შტაიგერს მიმართა: — ნაგელ, არა გწყურია? მოდი, ცოტა ჩაი მოსვი.

— მწყურია? — გაოცებით იკითხა ნაგელმა და გულიანად გადაიხარხარა.

— მოდი აქ, — გაუმეორა სტასიკმა. — შევჭამოთ რაცა გვაქვს, ჩაი დავაყოლოთ და დავიძინოთ. ძალებს უნდა გავუფრთხილდეთ.

შტაიგერი მორჩილად დაჯდა. ჩვენ შევექცეთ დარჩენილ სანოვაგეს, თერმოსიც დავცალეთ. ნაგელს თავი კარგად ეჭირა, სტასიკმა მე მორიგეობა მთხოვა, თვითონ კი დაიძინა.

მე ვიჯექი და თვალს არ ვაშორებდი ნაგელს. ის კი სანგრევში ბოლთის

ცემას აგრძელებდა. რამდენჯერმე ვცადე გამოლაპარაკება. ვკითხე, რომელი საათია-მეთქი, მაგრამ შტაიგერს ყურადღება არ მოუქცევია. ასე გაგრძელდა დაახლოებით ორი საათი. შიშმა შემიპყრო და სტასიკი გავალკვიდე.

— ნაგელი აქამდე სულ ბოლთასა სცემს? — იკითხა მან.

— სცემს და უცნაურადაც იქცევა: ცხვირში რაღაცას ფუფუნებს. კითხვებზე კი პასუხს არ მაძლევს.

— საოცარია... — ფიქრიანად თქვა სტასიკმა. — ნაგელ, რომელი საათია? — ნაგელმა ხმა არ გასცა.

— არ მპასუხობს და ნუ მპასუხობს. ეშმაკსაც წაუღია. ცუდი ისაა, რომ თავი მისკდება, თანაც მწყურია... — მთელი ღნის მანძილზე პირველად დაიჩვილა სტასიკმა.

მე თვითონაც თავი გასკდომაზე მქონდა და წყურვილი მახრჩობდა. დაბუთული და მძიმე, თითქმის უჭანგბადო ჰაერი გვთენთაედა. რამდენიმე საათში ჩვენ მოვიწამლებოდით ნახშირორჟანგით, რადგან ქანგბადი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ოფლში ვიწურებოდით, ზოლო დაკარგული სითხის ანაზღაურება სხეულს არაფრით შეეძლო. მთელი ტანი მომეთენთა, ყველაფრისადმი გულგრილობა დამეუფლა და დამეძინა.

გამომალვიძა რაღაც ყვირილმა და გაურკვეველმა ფუსფუსმა სანგრევში თვალები გავახილე, მაგრამ ერთხანს ვერაფრით მივხვდი, რა ხდებოდა. ირგვლივ ისეთი წყვედიანი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ამ უკუნეთში ისმოდა, როგორ მძიმედ ხვნეშოდნენ და მოძრაობდნენ ორნი, თანაც საშინლად იწყევლებოდნენ გერმანულად და პოლონურად.

— ვლადეკ, მომეხმარე! — ვიცანი მეგობრის ხმა. — მე აქა ვარ, ნაგელი მიჭირავს, იგი გაგიყდა! ჩემი კურტაკის ჯიბიდან სანთებელა ამოიღე და მოხანათე. ოღონდ ჩქარა!

მე ბნელიანივით წამოვიჭერი, სტასიკის ხმაზე გუმანით გავვარდი, რაღაცას წამოვედე და პირდაპირ ერთმანეთს გადაჭდობილ, მორკინალ სხეულებზე მივენარცხე. ორთავემ ნაგელი წამოვაქციეთ. ქამრებით შევუკარით ხელ-ფეხი. იგი არაადამიანური ხმით ყვიროდა, იკრუნჩხებოდა, თავს ქვანახშირზე ურტყამდა.

სანთებელას შუქზე სტასიკის დაკაწრული, გასისხლიანებული სახე დავინახე. ისიც და ნაგელიც უკვე კი არ სუნთქავდნენ, არამედ ხრიალებდნენ.

— სანამ სანთებელა არ ჩამქრალა, მავთული მოძებნე, თორემ ქამრებმა შეიძლება ვერ გაუძლონ, — ამოიხრიალა სტასიკმა.

მე სასწრაფოდ მოვძებნე მავთული, გადარეულ შტაიგერს ხელები გადავუგრიხეთ და ბოძზე მივაბით. აქლოშინებული სტასიკი გასისხლიანებულ სახეს იწმენდდა. ნაგელი კი იკრუნჩხებოდა, ხან არაადამიანურად ყვიროდა, ხანაც ველურივით ხარხარებდა.

სანთებელა ჩაქრა და ირგვლივ ყველაფერი უკუნეთში ჩაინთქა. როგორც იქნა, ნაგელი დამშვიდდა. ყვირილი და ხარხარა კი შეწყვიტა, მაგრამ რატომღაც ბოყინი დაიწყო. ასე გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს. ჩვენ უკვე გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა და ფიქრში სასიკვდილოდ ვემზადებოდით. რამდენჯერმე დავკარგე გონება, ვბოდავდი.

როცა წამით გამოვერკვიე, ჩემს ყურთასმენას რაღაც კაკუნი მოსწვდა. როგორც ჩანს, იგი სტასიკსაც მოესმა, რადგან რამდენიმე წამით სუნთქვა შეწყვი-

ტა და მიაყურადა. კაკუნი უფრო გამოიკვეთა. ეჭვი არ იყო — ჩვენს საშველად მოდიოდნენ.

— გესმის, — ჩურჩულებდა სტასიკი, თითქოს ეშინია შორეული ბგერები არ გაფანტოსო.

— მესმის, მესმის, — ვუპასუხე გახარებულმა და მჭკრჩინებულმა თავი ქვითინით მივაღე.

გადარჩენის იმედი ისევ დაგვიბრუნდა. და თუმცა ჟანგბადის უკმარისობისგან ვიზუთებოდით, ხალისი შეგვემატა. ქვა-ლოდებს მიღმა ხომ მალაროელები ჩვენი სიცოცხლისათვის იბრძოდნენ! ჩვენ ერთმანეთს გადახვეულნი ვისხედით და ვტიროდით. რამდენ ხანს გასტანა ასე, არ ვიცი. და პა, გარკვევით მოისმა ქანს შეჭიდებული ბურღის ღრჭიალი. სტასიკმა სანთებელა აატკაცუნა. როგორც იქნა, იშვა მბუჭტავი შუქი. ჩემი მეგობარი ფრთხილად წამოდგა, რათა იგი არ ჩაექრო და ჩახერგილი გასასვლელისკენ ლასლასით გაემართა. წამში მისი მხიარული ხმა მომესმა.

— ვლადეკ, აქეთ! ჩვენ გადაგვარჩინეს!

უკანასკნელ ძალთა მოკრებით ამხანაგისკენ გავზოხდი. იმან, რაც სანთებელას მკრთალ შუქზე დავინახე, გული სიხარულით შემიტოკა. ქანის ნახვრეტიდან ლითონის თხელი მილის ბოლო მოჩანდა. სტასიკი მას დაწაფებოდა და ღრმად სუნთქავდა. ჩვენს მხსნელებს თურმე ქვა გაეხვრიტათ, მასში ლითონის გრძელი მილი გაერჭოთ და ბალონიდან ჟანგბადი გაეშვათ. ჩვენ რიგ-რიგობით ვეწაფებოდით მილს და გრილ, მაცოცხლებელ ნაკადს ვისუნთქავდით. მერე ჩახერგილ გასასვლელთან ცოცხალ-მკვდარი ნაგელი მივათრიეთ და სახე მილისთვის მივაშვერინეთ. ცოტა ხანში იგი გონს მოეგო და რალაცის ბუბუნი დაიწყო.

ჟანგბადი უწყვეტად მოდიოდა. ჩვენ უკვე შეგვეძლო მილს დაუწაფებლადაც თავისუფლად გვესუნთქა.

— მოდი, წერაქვი მოვძებნოთ და მაშველებს შევეხმიანოთ, — შემომთავაზა სტასიკმა. მილზე ფრთხილად დავაკაკუნეთ. პასუხად ისეთივე კაკუნი მოგვესმა.

ძნელია გადმოგცეთ ის სიხარული, ჩვენ რომ დაგვეუფლა. პერფორატორების ძიგძიგი და ბურღების ღრჭიალი უმშვენიერეს მუსიკად გვეჩვენებოდა. და აჰა, დადგა ენით გამოუთქმელი ბედნიერების ნანატრი, დაუფიწყარი წუთი. ქანი გაირღვა და ხვრელიდან ელექტროშუქი შემოვიდა, გაისმა მღელვარე ხმები:

— ცოცხლები ხართ?

— ცოცხლები ვართ!

— განზე მიდექით, ხვრელს გავაფართოებთ, რათა გამოძრომა შეძლოთ. ნაგელი სანგრევის სიღრმეში წავათრიეთ.

— შევუხსნათ ხელ-ფეხი, თორემ გერმანელის გაბაწვრასაც დაგვაბრალებენ, — თქვა სტასიკმა.

ბორკილებშეხსნილი ნაგელი ჯერ ოთხზე დადგა, მერე წელში გაიმართა და თითქოს მთვრალიაო, ბარბაცით სიარულს მოჰყვა, საბრჯენებს და რონოდებს ეხეთქებოდა. უცებ იგი ისევ ახარხარდა. ჩვენ მას უკვე ყურადღებას არ ვაქცევდით, მზერა მიჯაჭვული გვქონდა იმ ხვრელზე, სადაც პერფორატორები ძიგძიგებდნენ, საიდანაც ელექტროშუქი იღვრებოდა. მალე განიერ ხვრელში

ჩაჩქნიანი სანიტარი შემოძვრა და იკითხა: — დაჭრილები არიან? ვის სჭირდება სამედიცინო დახმარება?

— აგერ, ნაგელს... ჩვენს შტაიგერს... — მიუგო სტასიკმა.

სანიტარმა ნაგელთან მიიღბინა და მისი გასისხლიანებული სახე რომ დაინახა, ჩანთიდან ბინტისა და ბამბის ამოღება დაიწყო.

— ჰაილიტლა! ჰაილიტლა! — ველურივით იღრიალა მანამას ხარხარი და გინება მიაცოლა. მერე იგი სანიტარს მივარდა და ძლიერი დარტყმით წააქცია. სანიტარის კვალდაკვალ შემომძვრალი გერმანელები ჭკუაზე შემცდარ შტაიგერს ეცნენ, ის კი ნიჩბისხელა მუშტებით ყველას ძირს ახეთქებდა. მხსნელები ამგვარ შეხვედრას არ მოელოდნენ და ერთხანობას შეცბნენ, მერე გიჟი წამოაქციეს, შეკრეს, საკაცეზე დააწვინეს და წაიღეს.

— დიდი ხანია ასეა? — გვკითხა სანიტარმა და დაეეილი ცხვირიდან სისხლი მოიწმინდა.

— არა, — მიუგო სტასიკმა.

— როგორ გაძელით მასთან...

— ჩახუტებული გვყავდა, — გაეცინა სტასიკს.

სანიტარმა პატივისცემით შეხედა პოლონელის მძლავრ ფიგურას.

ჩაი დაგვალევიანეს და გვითხრეს, თქვენით წამოსვლა თუ შეგიძლიათო. ვუპასუხეთ, რომ შეგვეძლო. გავძვერით ხვრელში, დავეწიეთ სანიტრებს, რომლებსაც საკაცეზე დასვენებული ნაგელი მიჰქონდათ და ერთმანეთს დაყრდნობილნი ჭრილისკენ წავჩაქჩაქდით. უკან გადამრჩენელთა რაზმი მოგვყვებოდა. არ ვიცი, რამდენ ხანს მუშაობდნენ ისინი, მაგრამ ეს კია, დაქანცულობისაგან ფეხზე ვერ იდგნენ. უბრალო გერმანულ მალაროელთა თანაგრძნობამ და კაცურმა დამოკიდებულებამ მე და სტასიკი ღრმად შეგვძრა. მათვე გაგვაგებინეს, რომ ამოქოლილ სანგრევში ორმოცდაექვსი საათი დაგვეყო.

მძლავრ ამოსულმა ასეთი სურათი ვიხილე: მალაროს ეზოში სასწრაფო დახმარების ორი მანქანა იდგა, მათ მახლობლად თეთრხალათიანი ექიმები ფუსფუსებდნენ. იქვე კარაბინებითა და რეზინის ხელჯოხებით შეიარაღებული ორი ვერკშუტცი აყუდებულებოდა. ისინი მე მულოდებოდნენ. მათთვის სულ ერთი იყო, მალაროდან ცოცხალი ამოვიდოდი თუ მკვდარს ამომიტანდნენ.

ყველაზე უფრო შეცმანთა ხელში ჯოხების დანახვამ შემძრა. ორი დღელამე ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაინც დავუძვერი მსახვრალის კლანჭებს და ცოცხალი დავრჩი. მაგრამ არა, ქვის კუბოდან ის-ის იყო დამიხსნეს, სიკვდილის მოციქულნი კი უკვე იცდიდნენ ჩემი სულის წასაყვანად. „ეეჰ, სულელლო! — გავიფიქრე ჩემთვის, — როდისღა შეწყვეტ გოცებას? ეს ხომ პიტლერული გერმანიაა, სადაც ყოველ ნაბიჯზე აწყდები ველურობას, ბარბაროსობას და ამდენად გასაოცარიც არაფერია“.

როცა საკაცეზე დასვენებული ნაგელი ერთ-ერთ მანქანასთან მიიტანეს, მას უჩვეულო სილამაზის ატირებული ახალგაზრდა ქალი ეცა. ქალს თან ახლდა ასე ხუთი წლის ფუნჩულა, ლურჯთვალა გოგონა. ქალმა საკაცის წინ ჩაიმუხლა, შეკრულ ნაგელს ჩაეკონა და აქვითინდა. გოგონა ამ სცენას შემკრთალი უყურებდა. ნახშირით გამურულ მალაროელში მან პირველად ვერ შეიცნო მამამისი, რადგან იგი ასეთი არასოდეს ენახა. გოგონა უცებ ასლუკუნდა და მომეჩვენა, რომ წამში მის თვალთაგან ლურჯი ცრემლები გადმოცვივდა. ჰოი, საოცრებავ! კარგად დაკვირვების შემდეგ ამ ქალსა და გოგონაში ის ბედნიერი

დედაშვილი შევიცანი, რომლებიც სკვერში სეირნობდნენ. როცა ჩვენ მოგვე-  
რეკებოდნენ ბოიტენის ქუჩებით. ხელფეხშეკრული ნაგელის სხვადასხვა სანი-  
ტარულ მანქანაში შედეს და წაიღეს. მე და სტასიკი შუცმანებმა ჯერ საშხა-  
პეში, მერე კი სამედიცინო პუნქტში წაგვიყვანეს. ექიმმა კარგად გაგვსინ-  
ჯა, რალაც ფხვნილი დაგვალევიანა და თქვა, ყველაფერი უფროსი მითხილობა  
და სერიოზული დაზიანება არა გაქვთ. ერთ დღეს დაისვენებთ და კვირას სა-  
მუშაოზე გახვალთ.

„სამედიცინო დახმარების“ პროცედურა ამით დამთავრდა. ჩვენ ეზოში  
გავედით.

თბილი, ნათელი დღე იყო. მზე თვალისმომკრელად კიაფობდა. სითბოთი  
და მდებლობით სურნელებით გაელენთილი ჰაერი გვაბრუებდა. მხიარულად  
ელურტულვებდნენ ხეთა ტოტებს შეფარული ბელურები. ექვსასი მეტრის სილ-  
რმეზე განცდილ-გადატანილის შემდეგ ახე ლამაზი და უჩვეულო მეჩვენა ეს  
ქვეყანა, მზის ნათელი, სითბო და სიმწვანე...

გასახდელთან ინგლისელ სამხედრო ტყვეთა დიდ ჯგუფს შევეჩხეთ, რომ-  
ლებიც, ეს-ეს იყო, მოეყვანათ მეორე ცვლაში სამუშაოდ. ჩვენს დანახვაზე  
ინგლისელები აყაყანდნენ, მისალმების ნიშნად თავები დაგვიქნიეს. ვილაცამ  
მათ უთხრა, რომ ჩვენ სწორედ ის მალაროელები ვართ, რომელთა ამოყვანას  
თითქმის ორი დღე მოანდომეს და უკვე დაღუპულები ეგონათ. ინგლისელებმა  
მაშინვე ალყა შემოგვარტყეს. ისინი კეთილმოსურნედ გვიღიმიოდნენ, ეესტებით  
რალაცას გველაპარაკებოდნენ, მერე კი მე და სტასიკს სიგარეტები, ფილა შო-  
კოლადები, პაკეტებად შეკრული გალეტები და ბუტერბროდები დაგვირიგეს.

— მე არ მინდა... იმას მიეცით... ის რუსია. ტყვეა — ცდილობდა განმარ-  
ტებას სტასიკი.

მაგრამ მას არ უსმენდნენ. ინგლისელები მხოლოდ მაშინ დამშვიდნენ,  
როცა დაინახეს, რომ საჩუქრების ჩასადები უკვე აღარ გვქონდა.

აღელვებულებმა მათ წრფელი მადლობა გადავუხადეთ და ალყას ძალით  
დავალწიეთ თავი. სტასიკმა ჭიშკრისკენ გასწია, მე კი ორმა ვერკშუტცმა ბა-  
ნაისკენ გამიგდო. ჯიბეები გატენილი მქონდა საჩუქრებით, ხელში გალეტე-  
ბით, ნამცხვრებით, შოკოლადებითა და სიგარეტებით სავსე ფუთა მეჭირა.  
ვერკშუტცები ჯერ ცუდად შენიღბული შურით შემომცქეროდნენ, მერე ინგ-  
ლისური სიგარეტების ქებას მოპყვნენ.

— სამწუხაროა, რომ მთელ ამ სიმდიდრეს ლაგერფიურერი წაგართმევს,  
— თქვა ერთმა.

მივხვდი გადაკრულს და თვითონვე შევთავაზე რამდენიმე კოლოფი სი-  
გარეტი. შუცმანებმა ირგვლივ ქურდულად მიმოიხედეს, სიგარეტები უმალ  
ჯიბეებში გააუჩინარეს, თანაც ხელს ორ-ორი ფილა შოკოლადიც გააყოლეს.

თუ ლაგერფიურერი ყველაფერს წაგართმევს, წვნიანს გიწილადებთ, —  
გულმონწყალედ შემპირდა ერთ-ერთი. მე მადლობა მოვახსენე და თან გავი-  
ფიქრე: „ვთქვათ და ტყვეს წაერთმია გერმანელისთვის თუნდაც კოლოფი  
სიგარეტი, მას უსათუოდ ჩამოახრჩობდნენ, როგორც დამნაშავეს, მე კი იმის-  
თვის, რომ გერმანელმა პოლიცაებმა „კულტურულად“ გამჭურდეს, მადლო-  
ბელი უნდა ვიყო...“.

ბანაკს რომ მივუახლოვდით, ჭიშკრიდან სწორედ ტყვეთა კოლონა გამოპ-  
ყავდათ მეორე ცვლაში სამუშაოდ. მათ პირადად „ცხენი“ ითვლიდა.



— პაილპიტლა! ჰერ ლაგერფიურერო! მალაროში ამოქოლილი ტყვე ნომერი 1729 მოვიყვანეთ! — უპატაკა ერთ-ერთმა ვერკშუტცმა.

— ეს რაღაა! — „ცხენმა“ ჩემს გამობერილ ჯიბეებსა და მოიძლიავებულ ფუთაზე მიანიშნა.

— ეს ინგლისელთა წყალობაა, ჰერ ლაგერფიურერო! მან რომ დღე-ღამე მიწის ქვეშ გაატარა, ჰოდა, გადაწყვიტეს, დაენახებინათ... ჩვენ გვეუხერხულა წინააღმდეგობის გაწევა... ბოლოს და ბოლოს ინგლისელები იყვნენ...

— ინგლისელები... ალეს შაიზე!.. — კბილებში გამოსცრა „ცხენმა“ და მიყვირა, მომყვიო.

კაბინეტში ფასტმა ყველაფრის მაგიდაზე დალაგება მომთხოვა. მერე თითოეული შეკვრა თუ სიგარეტის კოლოფი ყურადღებით გასინჯა, ამოარჩია ყველაზე პატარა ბუტერბროდი, ხელში შემომაჩეჩა და მიბრძანა:

— მოუსვი აქედან!

მე აქ შეცდომა დავუშვი. ნაცვლად იმისა, რომ ბრძანება ელვის უმაღლეს მემესრულებინა, წამით შევყოვნდი და ნაღვლიანი მზერა მოვაავლე მაგიდაზე დარჩენილ შოკოლადს, პაკეტებსა და სიგარეტის კოლოფებს. „ცხენის“ თვალებში ველურმა ნაპერწკლებმა იელვა.

— რაუს!<sup>2</sup> — მძვინვარედ იღრიალა მან და ისეთი სილა გამაწნა, კინაღამ ძირს გავიშხლართე, მერე კი ტყვიასავით გავვარდი კაბინეტიდან.

უნდა ითქვას, რომ ვერკშუტცებმა სიტყვა შეასრულეს და სალაფავის განაწილებისას კიდევ ერთი მათლაფა მომცეს. უფრო მეტიც, მათ გამანდეს, დღეს რაკი შაბათია, საღამოს აპელზე<sup>3</sup> ლაგერფიურერი არ იქნება და შეგიძლია იძინო. მე მაშინვე ბარაკს მივაშურე. სკამ-ლოგინზე ამძვრალს, მკვდარივით დამეძინა.

## 7

მთელი მეორე დღე ციებიანივით მაძაგძაგებდა. საბოლოოდ გადავწყვიტე გაქცევა, სასწრაფოდ გაქცევა! მაგრამ ამჟამად ეს ბევრი გაუთვალისწინებელი გარემოებისგან იყო დამოკიდებული: ეთქვათ და სტასიკი სხვა ცვლაში გადაიყვანონ? მაშინ როგორ მოვიქცე, თუ ჩვენს ბრიგადას დაშლიან და მე სხვა პორიზონტზე, სხვა სანგრევში გამგზავნიან?

დილის აპელზე ცოცხალ-მკვდარი ვიდექი მათ შორის, ვინც პირველ ცვლაში უნდა წასულიყო. აჰა, პირველი ცვლა უკვე ჩამწყვიტდა ჭიშკართან. ჩემი ნომერი არ გამოუძახებიათ. შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ მაინც უწინდებურად ვლელავდი, ეგებ სტასიკი მესამე ცვლაში გადაიყვანეს? ფიქრებმა კინაღამ ჭკუაზე შემშალეს. ნასადილევს მეორე ცვლა ჩაამწყვიტეს. მათში მეც ვერიე. შტაიგერებმა თავიანთი ტყვეების გადარჩევა დაიწყეს. უცებ უკნიდან ვიკიაცამ მიბიძგა.

— აბა, გაინძერი, დოყლაპიაე, დონერვეტერ!

<sup>1</sup> ყველა ნახვია.

<sup>2</sup> გაეთრიე.

<sup>3</sup> შემოწმება.

სიხარულისაგან კინალამ შევეყვირე. ეს სტასიკი იყო. ძირს მიმჭროლავ ლიფტში გამოვერკვიე. როცა იგი გაჩერდა და მალაროელები სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ, ჩვენ ოდნავ განზე გავდექით და დიდი ხნის უნახავებივით გადავხვიეთ ერთმანეთს. უდიდესი ნერვული დაძაბულობის შემდეგ ერთიანად ვცახცახებდი.

— ვლადეკ, დამშვიდდი... — მეუბნებოდა სტასიკი. — ხომ ხედავ, გადავრჩით და ისევ ერთად ვართ. დღეს კი აქაურობას სამუდამოდ დავტოვებთ. დამშვიდდი, საყვარელო!

— სტასიკ... მე უკვე შეგონა, რომ ჩვენ არასოდეს... არასოდეს შევხვდებოდით... მე ისე მიმძიმდა — ვბუტბუტებდი ცრემლმორეული და როგორც მშობელ მამას, ისე ვეხვეოდი სტასიკს.

— აბა, წავედით წავიმუშაოთ უკანასკნელი ცვლა. თუ სანგრევში ჩვენთან ერთად გერმანელებიც იქნებიან, გაჩუმდი, კრინტი არ დაძრა.

აბა, ჩვენი შტრეკიც ისე გამოცვლილიყო, ვერ იცნობდით. ჩამოწმული გაეწმინდათ. ხელახლა გაემაგრებინათ. წინა სამ ცვლას სანგრევი გაეღრმავებინა. ახალ სანგრევში ბრინტოსტატი და მისი ბრიგადა დაგვხვდა.

— ჰაილ ჰიტლერ! — მოულოდნელად მივხალმა გერმანელებს სტასიკი. მათ ხმა არ გაუციათ.

— როდის აქეთ დაიწყეს პოლონელებმა ფიურერის ასე დაფასება? — გაოცებით იკითხა ერთ-ერთმა მალაროელმა.

— იცოდეთ, კამრადებო, — აუღელვებლად თქვა სტასიკმა, — რომ მე პოლონელი კი არა, ფოლკსდოიჩე ვაზლავართ. დღეს მივიღე საბუთები. ბოლოს და ბოლოს სამართლიანობამ გაიმარჯვა.

— მოგვილოცავს, — თავშეკავებულად მიუგეს გერმანელებმა. — გამოდის, რომ ნაგელის შემცვლელი შენ იქნები?

— რა თქმა უნდა. ხვალ კიდევ ორ რუსს მომცემენ და ბრიგადას სათაოში ჩავუდგები.

— გისურვებთ წარმატებას, — გულგრილად თქვეს გერმანელებმა და სამუშაოს შეუდგნენ.

სტასიკი არტისტულად ბაძავდა ნაგელს. თვით მეც ზუსტად ნაგელივით მიყვიროდა. მორჩნენ თუ არა გამაგრებას, გერმანელები სხვა სანგრევში გადავიდნენ. სტასიკი ფრიალ აღგზნებული იყო, ხუმრობდა და თავის განწყობილებას უნიბურად მეც გადმომდებდა.

— წარმოგიდგენია, ხვალ რომ ეს დოკლაპიები მოვლენ, ახლად გამომცხვარი შტაიგერის ფოლკსდოიჩე პან სტანისლავ ბუოზოვსკის და მისი შესანიშნავი ბრიგადის, ე. ი. პან ვლადეკის, კვალსაც ვერ ნახავენ! ო, რა სასწაული იქნება! ერთ რამედ გვირება მათი სიფათების ნახვა, — არ ცხრებოდა სტასიკი.

— შენგან კარგი მსახიობი დადგებოდა! — ვუთხარი მეგობარს მისით აღფრთოვანებულმა.

— მსახიობობა ფუჭი საქმეა, — სერიოზულად მომიგო სტასიკმა. — აქობებს ამ ხვრელში ბრიყვთა წინაშე მასხარაობის ნაცვლად გერმანელთა ეშელონები გადავაგდოთ რელსებიდან, ხიდები ავაფეთქოთ. ეს უკვე ნამდვილი საქმეა ვლადეკ. შენ მზადა ხარ საამისოდ?

— მე ყველაფრისათვის მზადა ვარ. თუ საჭირო იქნება, სიკვდილისათვისაც.

— სიკვდილს ნუ იჩქარებ. გაქცევა იმისთვის კი არ ჩაგვიფიქრებია, რომ მოგკვდეთ. ჩვენ ჯერ კიდევ ვიომებთ და არა ერთ არიელს მოვუგრებთ კისერს, მე ორი ფინური დანა ვიყიდე. ეს უკვე იარაღია. მათი მექანიზმები უკვე ავტომატებს ვიშოვით. ნამდვილ ბრძოლასაც მაშინ დავიწყებთ, შეთანხმები?

— რა თქმა უნდა!

— დაიხსომე ისიც, — გააგრძელა სტასიკმა, — ჩვენ მიერ წამოწყებული საქმე სიმამაცეს მოითხოვს, ასეც ხდება: ადამიანმა თავგანწირული ნაბიჯის გადადგმა გაბედა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში შედრკა და უკან დაიხია. ეს უკვე დალუბვას ნიშნავს. გესმის, რასაც გეუბნები?

— ყველაფერი მესმის და თავისუფლებას გეფიცები, რომ არაფერში დაგალალატებ.

— მაშინ მოდი, ნებისმიერ ვითარებაში ერთგულება შევფიცოთ ერთმანეთს, — მკაცრად და საზეიმოდ თქვა სტასიკმა.

ერთმანეთი გადავკოცნეთ და ერთგულების ფიცი დავდეთ. ჩვენ ეს რომანტიკის სიყვარულით როდი გაგვიკეთებია. მივდიოდით თავგანწირულ საქმეზე, რომელიც იქნებ სიცოცხლის ფასადაც დაგვჯდომოდა. ამ წამიდან ჩვენ მებრძოლები ვიყავით და ერთიმეორის წინაშე ყველაფრისათვის პასუხს ვაგებდით.

მუშაობასა და საუბარში რამდენიმე საათმა განვლო. სტასიკმა დასვენება და წახემსება შემომთავაზა. საჭმელად რომ დავსხედით, მოვუყევი, როგორ წამართვეს ინგლისელების საჩუქრები.

— რა მამაძაღლობაა, რა სიმდაბლეა! — აღშფოთდა სტასიკი. — გაძარცვო ტყვე, რომელიც ორი დღე-ღამე ამოხერგილ მალაროში იჯდა და სიკვდილს ელოდა! თუმცა ეს რაღად მიკვირს, ისინი ხომ ტყვეს თვალის დაუხამხამებლად ართმევენ თვით სიცოცხლესაც. ჰოდა, ლუკმის წართმევა რა ბედენაა! უნდა ამოწყვიტო, შეუბრალებლად უნდა ამოხოცო ეს ცოფიანი ძაღლები!.. ო, ეზუს, შენა ხარ მოწმე! როგორც კი ამ წყეული ბოიტენიდან გავალწევ, მანამ არ დავმშვიდდები, სანამ ორ ათეულ ფაშისტს მაინც საიქიოს არ ვაგზავნი! — იგი წამოდგა და სანგრევში ბოლთის ცემას მოჰყვა. მერე დაცხრა, ჩამოჯდა და შემდგომ მისგან ერთი სიტყვაც არ მსმენია. სტასიკი გულმოდგინედ ჰამდა და დაძაბულად ფიქრობდა რაღაცას.

ნასადილევს მან გზისთვის ძალ-ღონის მოსაკრევად მორიგეობით ძილი შემომთავაზა.

— პირველად შენ დაიძინე, — მითხრა მეგობარმა.

ბოლო დღეების მოვლენებმა ისე მოგვთენთა, რომ სტასიკმა ვერც კი გაიგო, ისე ჩასთვლიმა ჩემ გვერდით. ზურგში დარტყმამ გამომაღვიძა. დანესტრილივით წამოვხტი ზეზე და პირველი, რაც დავინახე, იყო აკუმულატორის ნათურის თვალისმომკრელი შუქი, მასში კი, პირდაპირ ჩემ წინ ობერინჟინერ ჰოპეს მძვინვარებისგან დამანჭული სიფათი... „ეს რა ჩავიდინეთ? — გამიელვა თავში. — სამუშაოზე ძილი ხომ საბოტაჟად ითვლება, ჰოდა, ახლა კარცერი ან გესტაპოში წამება არ აგვცდება. რაც მთავარია, გაქცევის გეგმა ჩაიფუშა. ამჯერად კი ნამდვილად დავვაშორებენ ერთმანეთს“.

ობერ-ინჟინერ ჰოპეს მწითური ეშმაკივით ჩვეულებად ჰქონდა შტრე-

კებსა და სანგრევეებში პირადად სიარული. მისთვის ალბათ არ არსებობდა უფრო დიდი სიამოვნება, ვიდრე შეუმჩნეველად მიპარვოდა ტყვეს, როცა იგი ისვენებდა ან არც თუ ისე გულმოდგინედ მუშაობდა. მაშინ ის კოჭლის მამის სულს იცხონებდა ხოლმე! უხათქუნებდა საცოდავს, სადაც მოხვდებოდა. მერე კი ბრძანებდა ან კარცერში ჩაეგდოთ ან გესტაპოში გაქვსაქვსაქვს. უფრო უკველამ იცოდა და, როგორც შეეძლოთ, ცდილობდნენ თავი წერილებით კოჭლის მოულოდნელი ვიზიტისთვის. ჩვენ კი, პაი, დედასა, ეს ვერ მოვახერხეთ!

ობერ-ინჟინერი ღრიალით დამაცხრა. მე ძლოკვივით ვიკლავებოდი, რათა დარტყმები როგორმე ამეცილებინა. სტასიკისთვის დაძახებაც ვერ მოვასწარი, რომ გამძვინვარებული პოპე მძინარე პოლონელს მივარდა. შემდგომ ყველაფერი ისე იყო, როგორც კომმარულ სიზმარში. სტასიკი წამოხტა, ობერ-ინჟინერს ჯოხი ხელიდან გამოსტაცა, მუხლზე გადაიტეხა და გავეშვებული კოჭლისკენ დაიძრა. შემკრთალმა პოპემ უკან დაიხია და აცახცახებული ხელი ჭიბისკენ წაიღო. ჩემს ხსოვნაში უმაღვე გაცოცხლდა კოჭლის მიერ აბტოთა სამხედრო ტყვის მოკვლის სცენა.

— თავს გაუფრთხილდი! — ვუყვირე სტასიკს. წამსვე კოჭლის ხელში პისტოლეტმა იელვა.

სტასიკმა რაღაც შესძახა, თვალის დახამხამებაში წერაქვი აიტაცა და ობერ-ინჟინერს თავში სთხლიშა. პოპე უსიტყვოდ დაეცა ქვანახშირზე, პირდაპირ ჩემს ფეხებთან. ხელი, რომელსაც ეს-ეს იყო იარაღი ეჭირა, უკანასკნელად დაიკრუნჩხა. ძვირფასი ბეჭდებით შემკულმა გამხმარმა, მოკაცულმა თითებმა მტაცებლის ბრჭყალებივით გაკაწრეს ნახშირი და გაქვავდნენ.

მე მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს და მივხედი, რაც მოხდა. ტანში ჭიანჭველებმა დამირბინა, შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. ორთავეს სასტიკი წამება და სახრჩობელა გველოდა. შიშისაგან გავხევედი. არ ვიცოდი, რა მექნაცხადი იყო მხოლოდ ერთი რამ: წუთით დაყოვნება არ შეიძლებოდა. პირველად სტასიკი გამოერკვა. მან ბრაუნინგი აიღო, მტვერი გადასწვინდა, სავაზნე გამოაძრო, ვაზნები საქმიანად გასინჯა და სავაზნე ისევ ადგილზე ჩააბრუნა. გარეგნულად სტასიკი მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ მე შევამჩნიე, მღელვარებისგან როგორ უცახცახებდა თითები.

— მართალია, გეგმას ცოტა გადაუხვით, მაგრამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, — თქვა მან და იარაღი ჭიბეში შეინახა. მერე კოჭლის ჭიბეებში მოაფათურა ხელი, პიჯაკი გახადა, იმით თავი შეუხვია და სახელოები გადაუნასკვა. მკვდარი პოპე ოდნავ განზე გადავათრიეთ, ხოლო იმ ადგილას, სადაც იგი იწვა, ნახშირი მოვაყარეთ, რათა ნასისხლარი დაგვეფარა. მერე აკუმულატორის ნათურით კოჭლის გადატეხილი ჯოხი მოვიძებნეთ და ნატეხები ქამარში გავუყარეთ. გვამს ხელებსა და ფეხებში ჩავეჭიდეთ და წყლით ამოვსებული შტრეკისკენ წავიღეთ. თუ გვამის იქამდე მიტანას შევძლებდით, გერმანელები მას ჩქარა ვერ იპოვიდნენ ან შეიძლებოდა სულაც ვერ ეპოვათ. ასამდე მეტრი გავიარეთ და მოსახვევთან შევჩერდით.

— ნათურა გამომართვი და წინ წადი! — მიბრძანა სტასიკმა. — მე ოცდაათიოდე მეტრზე უკან მოგყვები. როგორც კი საეჭვო რამე შეამჩნიო, ნათურა დამიქნიე და სასწრაფოდ ჩემკენ გამოიქეცი.

მან მკვდარი ზურგზე მოიგდო და დავიძარით. საბედნიეროდ, არავინ შეგვხვედრია. გვამი გადავაგდეთ აგურის კედელს მიღმა, რომელიც ამოვსებულ

შტრეკს ერტყა, თვითონაც იქით გადავძვერით, კოჭლი უფრო შოჩს წავათრით, ქანებისა და დამპალ საბრჯენტო ნამსხვრევები მივაყარეთ და სასწრაფოდ უკან გამოვბრუნდით. სულ მალე ისევ საკუთარ სანგრევში ვიყავით. ორთავეს გული გასკდომაზე გვქონდა. ცერის სიმსხო ოფლი დაგვდოდა.

წერაქვებიც, ნიჩბებიც და რონოდებიც ადგილზე დაგვეყვანა. ცოტათი დაგვამშვიდა. მღელვარებისა და შიშის ნაცვლად თანდათან გვქონდა გრძნობა დაგვეუფლა: ჩვენ ხომ მოვსპეთ ფაშისტი, ჯალათი, მივუზღეთ მას სამაგიერო ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის.

— აბა პე, სიკვდილს ხომ გავეთამაშეთ, ახლა სამუშაოსაც მივხედოთ, რათა ცვლამ ეჭვი ვერაფერში შეიტანოს, — თქვა სტასიკმა. ასეთი მონდობებითა და შემართებით არასდროს გვემუშავა. უნდა გვეჩქარა და ცვლის ბოლომდე ათამდე რონოდა მაინც გავვეშვა.

როცა ცენტრალურ მაგისტრალზე ჩვენი პირველი რონოდა გამოვაგორეთ, სტასიკმა ქვანახშირით დატვირთულ სხვა რონოდებზე ცარციტ წარწერილი ციფრები წაშალა და ჩვენი ბრიგადის ნომერი „43“ წააწერა. გასასვლელთან აღმრიცხველი ტაბელში იწერს ყველა დატვირთული რონოდის ნომერს და ამრიგად აკონტროლებს ბრიგადების მიერ გეგმის შესრულებას. ცვლის ბოლომდე შვიდი რონოდა დავტვირთეთ და ათიც მივითვისეთ. გეგმა რომ შეგვესრულებინა, კიდევ ერთი უნდა დაგვეტვირთა. ასეც მოვიქვეცით, ხოლო როცა ცვლა მოვიდა, წასასვლელად გავემზადეთ.

— რამდენი დატვირთეთ? — გვკითხა მოსულმა შტაიგერმა.

— თვრამეტი, — მიუგო სტასიკმა.

— რატომ დარჩა სანგრევში ასე ბევრი ნახშირი?

— მბურღავებმა საჭიროზე მეტი ჩამოანგრის, ეგონათ, სამნი ვიქნებოდით, ჩვენ კი ორნი ვართ.

— კარგი, წადით, ოღონდ თქვენი რონოდა გაგზავნეთ, — თქვა შტაიგერმა.

— იაჟოლ!<sup>1</sup> — მიუგო სტასიკმა, რონოდა შტრეკისკენ გავაქანეთ, უკანასკნელ შემადგენლობას მივაბით და გასასვლელისკენ გავემართეთ. ხელსაწყოები და ნათურა შემნახველ საკანში ჩავაბარეთ და გაბედულად მივაშურეთ ლიფტს. ამ დროს ზევით აღიოდნენ გერმანელი მუშები, რომლებსაც თავიანთი ცვლა მოეთავებინათ. ლიფტში შევედით და წუთში მალლა ვიყავით. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა. ვერკშუტცები და ჯარისკაცები ჯერ არ ჩანდნენ. ისინი მოვიდოდნენ მალაროდან პატიმრებისა და სამხედრო ტყვეების გამოსვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე. გული გიჟივით მიფართქალებდა: საკმარისი იყო ვერკშუტცთაგან ვინმეს დავენახეთ, რომ ჩვენი გეგმა საპნის ბუშტივით გამსკდარიყო. ესტაკადიდან ჩამოსულნი მალაროს ეზოში აღმოვჩნდით, სადაც ჩვენ, ტყვეებს, მხოლოდ ბადრაგის თანხლებით გვატარებდნენ.

ბინდლებოდა იდგა საშინელი ხვატი. ზეცა მძიმე, შავ ღრუბლებს მოებურათ. საცაა ჭექა-ქუხილი ატყდებოდა.

ჩვენ წითელი აგურით ნაგებ უზარმაზარ შენობას მივუახლოვდით, რომელშიც გასახდელეები და საშხაპეები იყო. ცვლებს შოჩის აქ იბანდა და იცვლიდა ტანისამოსს „ჰოპენცოლერნგრუბეს“ ათასობით მალაროელი. ნამდვილი მღელვარება მაშინ დაიწყო, როცა ამ შენობის ზღურბლს გადავაბიჯეთ. დერეფნებში

<sup>1</sup> დიან, კარგი.

განლაგებულ სკამებზე ჩვეულებრივ ისხდნენ ხოლმე შეიარაღებული ვერკშუტცები და გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ცვლიდან გამოსულ პატიმრებსა და სამხედრო ტყვეებს ელოდნენ. ჯერჯერობით კი არავინ ჩანდა. მამასადამე, დროზე მოვსულვართ.

— ნუ ღელავ, — მამშვიდებდა სტასიკი, — ისინი თხუთმეტ წუთზე ადრე არ მოვლენ.

ჩვენ პოლონელი მუშების გასახდელისკენ გავემართეთ. მას უზარმაზარი დარბაზის ნახევარი ეჭირა და გერმანელთა გასახდელისაგან იატაკიდან ჭერამდე აჭიმული ლითონის ბადით იყო გამოყოფილი.

სტასიკმა ზურგი შეაქცია ბადეს, რომლის მიღმაც ამ დროს გერმანელები ტანისამოსს იცვლიდნენ, თავისი კარადა გამოაღო და პისტოლეტი ახალ კოსტუმში ჩაიდო.

— გაიხადე, მაგრამ არ იჩქარო. მშვიდად... გერმანელებისკენ ნუ გაიხედავ, — ჩურჩულით მითხრა მან.

გახდას შევუდექი. მეჩვენებოდა, თითქოს დაწნულ ტიხარს მიღმა ჩემს ყოველ მოძრაობას გერმანელები უთვალთვალებდნენ. კმაროდა, რომელიმე მათგანს სამორიგეოში დაერეკა, პოლონელთა გასახდელში ვილაც საეჭვო ტიპები გამოჩნდნენო, რომ ჩვენი აღსასრული დამდგარიყო. უკვე ის, რომ მალაროდან გამოსვლის გრაფიკი დავარღვიეთ და გასახდელში უბადრაგოდ შევედით, თანაც უცხო გასახდელში, უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა.

ტანთ გავიხადეთ, შავი სპეტსამოსი ქვედა განყოფილებაში შევინახეთ, ავიღეთ საპონი, ღრუბელი და საშხაპესკენ გავსწიეთ. სტასიკმა კარი მაგრად გამოიხურა. მოკეცილი ღრუბელი გაშალა და შიგ დამალული პარიკი მიჩვენა.

— პოლონელებს უნდა დაველოდოთ, — თქვა მან. — სანამ ისინი არ მოვლენ, წყლის მოშვება არ შეიძლება, რადგან ვერკშუტცებმა თუ გაიგონეს, რომ პოლონელთა საშხაპეში ვილაც ბანაობა, უთუოდ შემოიხედავენ.

წუთები საშინლად დაიძაბა. ასე მეგონა, ჩემი გულისცემა კარებს მიღმაც ესმით-მეთქი. და ჰა, დერეფანში ხმაური გაისმა: ვერკშუტცები და გერმანელთა სამხედრო დაცვა უკვე მოსულიყო. გაირბინა კიდევ რამდენიმე წუთმა, რომლებიც საუკუნედ მომეჩვენა, როგორც იქნა, კარები გაიღო და შიშველმა, გამურულმა პოლონელმა მალაროელებმა საშხაპეში შემოსვლა იწყეს.

ჩვენ ყველაზე ადრე დავიბანეთ, მაგრამ გამოსვლას არ ვჩქარობდით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საშხაპე დატოვა უკანასკნელმა პოლონელმა, სტასიკმა მკვირცხლად ჩამომაცვა პარიკი და შხაპქვეშ მიბიძგა, რათა ახალი თმა დამესველებინა. მერე მხარზე ხელი გადამადო და ვერკშუტცებსა და გერმანელ ჯარისკაცებს შორის რომელიღაც გერმანული სიმღერის ჭილინით გამატარა. გასახდელში გადავიცვით. მე მეცვა კოსტუმი, მეხურა ქუდი და პალსტუხიც კი მეკეთა.

— კარგია... — თქვა სტასიკმა ჩემი ახალი სამოსის საგულდაგულოდ შეთვალეერების შემდეგ.

პოლონელებთან ერთად დერეფნით ეზოში გავედით. ჰაერში მოახლოებული ქუხილი იგრძნობოდა. დაბლა ჩამოწოლილ ღრუბლებში წამი-წამ იკლავნებოდა იისფერი ელვა. წამოუჭროლა ქარბორბალამ, ზეცას სვეტებად შეუყენა შავი მტვერი. ცოტაც და თავსხმა წამოვიდოდა.

პოლონელები ბარაკებში მისვლას ჩქარობდნენ. ჩვენ მათ ერთი ნაბიჯი-

თაც არ ჩამოვრჩენივართ. აქამდე ბედი გეწყალობდა, მაგრამ რჩებოდა უმთავრესი — საკონტროლო პუნქტის გავლა. იქ აუსვაისებს ამოწმებდნენ.

— შეჩერდი! — მითხრა სტასიკმა. მან პისტოლეტი ამოიღო, ხანძარი შეაყენა და პიჯაკის გვერდითა ჯიბეში ფრთხილად ჩაიდო. მეც უნებურად მოვსინჯე ფინური დანა. — წინ წახვალ, გუშაგის ახლოს დაუდგე რაღაც ამოწმებ აუსვაისს, ოდნავ ასწევ მას და გზას შეუყოვნებლივ გააგრძელებ. თუ ისინი შენს შეჩერებას შეეცდებიან, ვესვრი. შენ ჭიშკრისკენ გაიჭრები, იქ ქუჩიდან მარცხნივ გადაუხვევ. მე დაგეწევი. მორჩა, წავედით!

ჩვენ ისევ პოლონელებს მივეტმასნეთ. ჭიშკრის ორივე მხარეს საწვიმარ-ლაბადებიანი და კარაბინებით შეიარაღებული ვერკშუტცები იდგნენ. პროექტორების შუქზე ისინი აუსვაისებს ამოწმებდნენ.

წამში ცაზე უზარმაზარი ელვა დაიკლაკნა, იჭუხა და მიწაზე წვიმის პირველი წვეთები აწკაპუნდა. გული სიხარულით ამევსო — გუშაგები კარგად ვერ დაგვაკვირდებოდნენ. საქმე ის იყო, რომ პოლონური აუსვაისი მქონდა, რომელზეც სხვისი ფოტო იყო დაკრული. პიჯაკის ვადანაკეცზე როგორც ყველა პოლონელს, მეკერა ყვითელი ოთხკუთხა ნიშანი გერმანული ასოთი „P“ (Polen). ამ მხრივ მე ეჭვი არ უნდა გამომეწვია.

ამასობაში წვიმამ წამოუშინა. ვერკშუტცებს ფოტოსთვის არ სცხელოდათ. „ვაიტერ, ვაიტერ, შევეგტოიხ, შნელ!“<sup>1</sup> — გაიძახოდნენ ისინი და რიგიც ჩქარა მიიწევდა წინ. ვერკშუტცებს რომ გავუსწორდი, საშვი უდარდელად ამოვიღე და მალლა ავწიე. გული ლამის ამომხტარიყო საგულედან. „შნელ!“ — მომესმა შეძახილი და მეც ნაბიჯს ავუჩქარე. ჩემ კვალდაკვალ გამოვიდა სტასიკიც. მას რომ სცოდნოდა, რა ძალ-ღონის მოკრება დამჭირდა, რათა თავი მომეთოკა და არ გავქცეულიყავი!

— მშვიდად! — მითხრა სტასიკმა და ხელი მომიჭირა. — გავალთ ბოიტენკატოვიცეს მთავარ მაგისტრალზე. მივალწევთ აღმოსავლეთ გარეუბნამდე და მივარდნილი შუკებით გავსხლტებით ქალაქიდან. დილამდე პოლონეთში უნდა ვიყოთ. გამოვიძინებთ და დავისვენებთ ტყეში.

პოლონელებმა, რომლებთან ერთადაც გამოვედით, მოუხვიეს მარცხნივ, ბოიგენის დასავლეთით, სადაც მათი ბარაკები იყო. მე და სტასიკი კი კატოვიცეს გზატკეცილზე გავედით და ლამის წყვდიადს მივეციოთ თავი.

## 8

სტასიკი ქალაქს კარგად იცნობდა და დაბეჯითებით მივეყავდი აღმოსავლეთისკენ. კილომეტრი ისე გავიარეთ. ძეხორციელი არ შეგვხვედრია. ირგვლივ სამარისებური სიბნელე იდგა. შუქი არსად ჩანდა — გერმანელები მკაცრად იცავდნენ შუქშენილბვას. მხოლოდ ხანდისხან გამკრთალი ელვა თუ გვინათებდა გზას.

— ახლა ხიდი იქნება. იქიდან კატოვიცემდე თხუთმეტი კილომეტრია, — თქვა სტასიკმა. — ხიდს გაღმა აგარაკებია. იქამდე თუ მივალწიეთ, თითქმის სამშვიდობოს ვიქნებით.

აჰა, ჩვენ უკვე ხიდზე ვართ. სიბნელეში ვერ ვარჩევ, რაა ქვევით—მდინა-

<sup>1</sup> შიდი, შიდი, გაინძერი, ჩქარა!

რე, გზა თუ უბრალო ზევი. გავიარეთ ასამდე მეტრი. უცებ წინ მძიმე ნაბიჯები მოისმა. ეჭვი არ იყო: პოლიციები ან ჟანდარმები მოდიოდნენ. მათ ყოველთვის გამოიცნობ ფეხის ხმაზე. წამით ვირინდებით, არ ვიცით, რა ექნათ. დაჭედული ჩექმები მძიმე ბრაგაბრუგით ახლოვდება. მოულოდნელად წვედიადი თვალისმომჭრელად თეთრმა სხივმა გასერა და ჩვენზე შეჩერდა. მესაბუთლოოდ დავიბენი. „მომყევი!“ — ბრძანა სტასიკმა და ჩვენ პატრულის შესახვედრად წავედით. გაქცევა უაზრობა იყო. გვიახლოვდებოდა ორი სამხედრო! რომლებსაც ვეება ლაბადები მოესხათ და მკერდზე ავტომატები ეკიდათ. მათ ფარფლებიანი მუზარადები ეხურათ. ეს მუზარადები კარგადაა ცნობილი ყველა პატიმრისთვის — მათ ჟანდარმები და გესტაპოელები ატარებდნენ. ლტოლვილი პატიმრები ასეთ მუზარადებზე ამბობდნენ: „გამარჯობა და მშვიდობით!“ ფარფლი წინ — გამარჯობა. გესტაპო; ფარფლი უკან — მშვიდობით, სიცოცხლევ! და მართლაც, თუ ლტოლვილს ასეთი თავსარქმლის პატრონი დაიჭერდა, სიცოცხლის იმედი თითქმის არ რჩებოდა.

— შენ გაჩუმდი. თვითონ დაველაპარაკები. ოღონდ ჯიბიდან ხელები ამოიღე, — პატრულს ეს არ უყვარს, — მოასწრო სტასიკმა ჩემი გაფრთხილება. ბრძანება „ჰალტ!“<sup>1</sup> სახეში სროლასავით გაისმა, მას მოჰყვა — „საბუთი, აუსვაისი!“

— ინებეთ, საბუთები ჩვენ წესრიგში გვაქვს, — მშვიდად მიუგო გერმანულ ენაზე სტასიკმა და აუჩქარებლად ჩაიყო ხელი პიჯაკის გარე ჯიბეში.

მე ცოცხალმკვდარი ვიდექი. ვერც გავიგე, როგორ გაისმა ზედიზედ ორი გასროლა და ორივე გესტაპოელი ქვაფენილზე დაეცა. მკაფიოდ გაიელარუნა ქვაზე ავტომატებმა და მუზარადებმა. იმავე წამში ჩვენ ხელმარცხნივ კარაბინმა იჭახა.

— მომყევი! — იყვირა სტასიკმა და წინ გაიჭრა. მე მას გავეკიდე, მაგრამ წავიფორხილე და წყლით სავსე თხრილში მოვადინე ზღართანი. მაშინათვე წამოვეარდი და ისევ სტასიკს გავედევნე, რომელმაც გზიდან მარჯვნივ გადაუხვია. მას უკვე ვეღარ ვხედავდი. მხოლოდ გუბეებში ფეხსაცმლების ტყაპუნი მესმოდა. წამში ისიც შეწყდა. სროლაც მიწყნარდა, სამაგიეროდ შემზარავად ასისინდნენ პოლიციელთა სასტვენები, თანაც რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად.

ელვა ვაკრთა და წინ კოხტა ღობეების მწკრივი, მათ მიღმა კი ბალების შავი კედელი დავინახე. ნამდვილად გავგიყდები! სადაა სტასიკი? მოულოდნელად სულ სხვა მხრიდან მომესმა შორეული ხმა: „ვლადეკ!“ მას მოჰყვა მრისხანე შეძახილი „ჰალტ!“ და პისტოლეტის ორი გასროლა. მერე ღობე აჭრიალდა, შორიდან ნაბიჯების ჩქამი მოისმა. მე ალაღბედზე გავიქეცი და ყორეს შევეჯახე. გადავძვერი. მას მოჰყვა მეორე, მესამე. მეგონა, დასასრული აღარ ექნებოდათ. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მიჩუმდა. სრულმა სასოწარკვეთამ შემიპყრო. გაქცევა იქით, საითაც სტასიკი გაიქცა, სისულელე იყო. შეიძლებოდა პოლიციებს გადავყროდი. რა ექნა? სტასს, სულ ერთია, მაინც ვერ ვიპოვი. კვალი უნდა ავრიო და მღვეარი დავაბნო. მარჯვნივ გაქცევა ვარჩიე და სწორედ მაშინ სინანულმა გამკენწლა: რად არ ავართვით ავტომატები მოკლულ ჟანდარ-

<sup>1</sup> შეჩერდი.



მებს? მაგრამ კარაბინიდან გასროლამ ისე დაგვაბნია, ავტომატები არც გავცხსენებია.

გავიდა ალბათ არანაკლებ ერთი საათისა, სანამ სააგარაკო კარ-მოდამოებს გავცდებოდი. როცა უკანასკნელი ძალ-ღონე გამომელია, შეჩერება და სულის მოთქმა გადავწყვიტე.

სულმთლად გაწუწული და აქლოშინებული რომელიღაც მხელამდენი და მივაყურადე. აზრი ავადმყოფურად, მაგრამ მკაფიოდ ამუშავდა. მთავარია სიმშვიდე, მასწავლიდა ხოლმე სტასიკი.

წვიმამ გადაიღო. ღამეულ ჰაერში ყვავილების, რძიანი ბალახისა და სველი მიწის მძაფრი სურნელი ტრიალებდა. მე კი მკერდს გულის შმაგი ბაგაბუგი მიპობდა. რამდენი გავირბინე, არ ვიცი, იქნებ ერთი კილომეტრი, იქნებ ხუთიც. ოფლი თვალებს მივსებდა, ცივ წვეთებად დამდიოდა ზურგზე. უკუნი ღამე ისევ გასერა თვალისმომჭრელად თეთრმა ელვამ. მის მკვეთრ შუქზე შეძრწუნებულმა დავინახე, რომ აგარაკთა ლაბირინთი არ გათავებულყო. ჩემგან ოციოდ ნაბიჯზე რომელიღაც დაბა იწყებოდა. მე კი მეგონა, წყეულ ბოიტენს უკვე თავი დავალწიე. ახლა საით წავიდე? საცაა ინათებს. საშველი არ ჩანდა.

სააგარაკო დასახლება სროლის ხმებმა გამოაღვიძა, შეშინებულ, ნამძინარევ ხალხს შუქშენილბვის მკაცრი წესებიც დაავიწყდა და დენს რთავდა, ადამიანები თავიანთ სახლებიდან გამოდიოდნენ და დაბნეულად ეკითხებოდნენ ერთმანეთს, რა მოხდაო.

ნაღვლიანად გავიფიქრე, რომ აგარაკთა ამ ლაბირინთიდან გაღწევას უკვე ველარ შევძლებდი. უკეთეს შემთხვევაში, დილამდე დავიმალებოდი, გათენებულზე კი უსათუოდ შემიპყრობდნენ და გესტაპოს ხელში ჩამაგდებდნენ. ეს კი სიკვდილს ნიშნავდა.

თუმცა გადარჩენის იმედი დავკარგე, მაინც ავწრიალდი აგარაკთა კვადრატებში, რომლებსაც თითქოს დასასრული არ გააჩნდათ. საითაც ვეცი, ყველგან პოლიციელთა თუ მეეზოვეთა სასტვენების მკვეთრ სისინს, ძაღლების ყუფასა და გერმანელთა შეძახილებს გადავაწყდი. როგორც იქნა, ლობეებზე ბევრი ქისრისტების მერე სრულიად მოულოდნელად უკაცრიელ ადგილას აღმოვჩნდი. კიდეც რამდენიმე ასეული მეტრი რომ გავირბინე, ახორხლილი ტერიკონები და მალაროს ნაგებობები შევნიშნე. მხოლოდ ესაა მაკლდა. ნაცვლად იმისა, რომ ბოიტენიდან გავმსხლტარიყავი და პირი აღმოსავლეთით მექნა, ისევ იქით ვბრუნდებოდი. საიდანაც გამოვიქეცი. საბედისწერო წრე შეიკრა. თავი მახეში ვიგრძენი, საიდანაც დასხლტომა შეუძლებელი იყო. სრულებით სასოწარკვეთილი რამდენიმე წუთს ერთ ადგილზე ვდგავარ და გაფაციცებით ვეძებ გამოსავალს ჩიხიდან, მაგრამ სახეირო ვერაფერი მომიფიქრებია. მხერა ჩემ წინ აღმართულ დიდ შავ საგანზე შევაჩერე. როცა დავაკვირდი ლურჯი ელექტრონათურა შევნიშნე და შეძრწუნებული მივხვდი — ჩემგან ოცდაათ ნაბიჯზე მალაროს შესასვლელი იყო. მომდევნო წუთში ექვი გამომართლდა: კარებმა ვაიჭრიალა და მის ქრილში აკუმულატორიანი პროექტორითა და კარაბინით აღჭურვილი შუცმანის ფიგურა გაიყინა. ასეთი პროექტორი ჰქონდა ყველა ვერკშუტცს, რომელიც ღამის საგუშაგოზე იდგა ან ღამით პატიმრებს მებადრაგედ ახლდა. ეს პროექტორი ავტომობილის ფარ-

ზე არანაკლებად ანათებდა. მე ქვასავით დავეცი მიწაზე და დიახაც დროულად.

ჩემდა საბედნიეროდ, გუშაგს არაფერი შეუმჩნევია. იგი ცოტა ხანს იდგა, ხმამაღლა დაამთქნარა, კეთა მოიფხანა, ბნელ ცას ახედა და უკან გაბრუნდა. ეს იყო რომელიღაც მალარო, მაგრამ არა „პოპენცოლერგრუბენ“.

მოულოდნელად ღამის წყვილი პროექტორის მოლავევარდო-მოხეთრო შუქმა გასერა. იქიდან, საიდანაც პროექტორმა იელვა, მრისხანედ აყეფდა ქოფაკი. სანამ მძლავრი შუქი მალაროს ეზოს ჩხრეკდა, მე მიწას გავეკარი და უკან-უკან გავხიზნე, მერე წამოვხტი და, რაც ძალი მქონდა, მოვუსვი, გამოქანებულზე უფსკრულში გადავფრინდი, რაღაც სითხეში მოვადინე ზღართანი და ქვასავით წავედი ფსკერისკენ. თვითდაცვის ინსტინქტმა მაიძულა მაშინათვე ამომეყვინთა საზიზღარი სითხიდან, რომლის საკმაოდ ჩაყლაპვა უკვე მოვასწარი. ეს იყო ნავთისა და ტრანსფორმატორის ზეთით აყროლებული წყალი. რამდენიმე მეტრი გავცურე და ბეტონის გლუვ კედელს შევეჭახე. მე ბავშვობიდანვე კარგად ვცურავდი, მაგრამ ამ მყრალი სითხის ზედაპირზე განა შეიძლება დიდხანს გაჩერება! ვთქვათ და ვათენებამდე რომც გამეძლო, ეს მაინც არაფერს შეცვლიდა. რა განსხვავებაა — ორმოში დაიხრჩობი თუ გესტაპოს ჩაუვარდები ხელთ.

ამგვარი ფიქრებით მექანიკურად მივცურავ კედლის გასწვრივ და უცაბედად ლითონის სახელურს ვაწყდები. ჩავეჭიდე მას და სული მოვითქვი. მოვსინჯე ცოტა უფრო მაღლა — იქ სხვა სახელური იყო. მათი წყალობით წყეული ორმოდან ამოვბობლდი და უკანმოუხედავად მოვუსვი. უკანასკნელი ქანცი მეცლებოდა. უცებ ორთქლმავლის საყვირის ხმა მომესმა, რომელიც მძიმე ქოთქოთით მანევრირებდა მალაროს ესტაკადის მახლობლად, ალბათ ვაგონებს დასატვირთად აყენებდა.

თავში ელვისებურად მომწიფდა გეგმა: დატვირთული ვაგონები ადგილზე დიდხანს არ დარჩება. მათ სადმე წაიღებენ, შესაძლოა აღმოსავლეთით. რომელიმე პულმანში უნდა ავცვრე და ნახშირში ჩავეფლა. ესაა გადარჩენის ერთადერთი გზა.

სულ მალე ერთ-ერთ ცარიელ პულმანში ვიყავი. აჰა, ორთქლმავალმა იგი მალაროს ბუნკერს შეუყენა. თავს ზემოთ ბუნკერის უზარმაზარი შავი ხახა დავინახე, საიდანაც რამდენიმე წუთში ნახშირის ნიაღვარს უნდა ეხუვლა და ვაგონის ფსკერზე ცოცხლად დავემარხე. მაგრამ მე უკვე ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. პულმანის კუთხისკენ გავიქეცი, ლითონის კედელს სახით ავეკარი და თავზე ხელები დავიფარე. აჭრიალდა რკინა, ბუნკერიდან ვაგონში საშინელი გრუხუნით დაიძრა ანტრაციტის უწყვეტი ლავა. რამდენიმე ნატეხი მომხვდა ზურგსა და ფეხებში. ეს იყო და ეს, რის ვაი-ვაგლახით მაღლა მოვექეცი ნახშირის გროვას, რომელიც ყოველ წამს მატულობდა. ვაგონი თანდათან ანტრაციტით აივსო. მტკრის ღრუბელმა დამფარა უცხო თვალისაგან, ხოლო როცა მტვერი გაიფანტა, ნახშირქვეშ ვიწექი. ზედ მხოლოდ თავიღა მომიჩანდა. შემეძლო მესუნთქა და მენახა, ირვვლივ რაც ხდებოდა. უცებ თავზე რაღაც სითხე გადმომასხეს. თვალეზე თითქოს ცეცხლი წამეკიდა. ძლიერ შევშინდი. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს იყო კირი, რომლითაც ნახშირით დატვირთულ პულმანებს „ლუქავდნენ“.

უზარმაზარი ნერვული დაძაბულობა თანდათანობით დაცხრა. სამაგიეროდ

აუტანელი ფიზიკური ტკივილის შეგრძნება გამიჩნდა. ანტრაციტის ეკალივით წვეტიანი ნატეხები მესობოდა სხეულში და კრუნჩხვამდე მიფყავდი.

ხანგრძლივი მანევრების შემდეგ ორთქლმავალმა ქვანახშირით დატვირთული ვაგონები საბარგო სადგურში დააყენა. იქ ისინი ჩიხში გადაიყვანეს და მოხსნეს. წარმოდგენაც კი ძნელია, თუ როგორი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გადავიტანე იმ მოუთმენლად გრძელი ღამის მანძილზე! ყველაფერთან ერთად საშინლად მტანჯავდა წყურვილი. რამდენჯერმე დაგკარგე გონება და ისევ გამოვერკვიე. ტუჩებმოკუმული ვითმენდი წყურვილსაც და ფიზიკურ ტკივილსაც. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ათას ნემსზე დამაწვინესო: წოლაც არ შეგიძლია და განძრევაც გაშინებს.

ყოველ წუთში სულ უფრო მძაფრად ვგრძნობდი, როგორ ეუფლებოდა მთელ სხეულს სასიკვდილო დაღლილობა, ქუთუთოები მეწებებოდა. თვითონაც ვერ შევნიშნე, როდის დამეძანა. ეს ძილი კი არა, რაღაც გაუთავებელი კოშმარი იყო. რა არ მომელანდა. უპირველესად კოჭლის ბულდოგივით ლოყებჩამოყრილი, ვარდისფერლაქებიანი, დუქმორეული სიფათი გამომეცხადა. იგი წითელი, მტაცებლური თვალებით მომჩერებოდა და, ჩემი კისრისკენ მოღრეცილი, გაძვალტყავებული თითები გამოემვირა. წამში ის უკვე ლითონის წამახულწვერიან ჯოხს პირდაპირ თვალეში მიმიზნებდა. ჰოპე ლაგერფიურერმა ფასტმა შესცვალა. იგი მათრახს მიღერებდა და თან გაპყვიროდა, რომ მე ვერასდროს შევძლებდი ბანაკიდან გაქცევას. მერე გამოჩნდა ბილიარდის ბურთივით მელოტი. ბლენძი ფიშერი, დოქტორ ბარშკეს ასისტენტი. იგი ჩემი გვამის წასაღებად მოსულიყო. ზიზღით დამანჭული ფიშერი ჩემს სხეულს სინჯავდა და თან „ცხენს“ აზარტულად ევაჭრებოდა. „განა ეს საქონელია! — დუქმორეული უმტკიცებდა იგი „ცხენს“. — გვამი სულ ჩამომხმარა. დიდი-დიდი ათი მარკა ღირდეს...“ აი, მე დავიბენი „ჰოპენკოლერნგრუბეს“ წყლით ამოვსებულ შტრეკებში, უკან ვერკმუტცების მთელი ხროვა მომდევს, რომლის წინ ხბოზე მოზრდილი მძვინვარე ქოფაკები მორბიან. ხახადაფჩენილ ძაღლებს ტანზე ბალნის ნაცვლად ნემსები ასხიათ. მე სულმოუთქმელად გავრბივარ, მაგრამ ვგრძნობ, ვერ გავეჭკვევი. აჰა, დამეწივნენ კიდევ და ერთი ქოფაკი უკვე მწვდა ტანსაცმელში. მე ვეცემი და... მელვიძება. ერთთავად სველი კბილს კბილზე ვაცემინებ და ვერ მივმხვდარვარ, სადა ვარ. თავს ძალა დავატანე და გავინძერი. არაადამიანურად მტკივა სხეულის ყოველი უჯრედი! გაშეშებული თითებით მიმოვფანტე რაღაც მასა, თავზე რომ დამწოლია. ო-ო, ეს ხომ ქვანახშირია...

სიხარულის თბილი ტალღა მელვრება გაწამებულ სხეულში. ორთქლმავალს დაძაბული დაგადუგით გამოჰყავს ვაგონების წყება სადგურ ბოიტენიდან. რიტმულად ხმიანებენ ბორბლები, სადღაც უკან გამალებით გარბიან შუქნიშნები.

მშვიდობით, მალაროთა და მონათა საზარელო ქალაქო! მე დავუსხლტი შენ სასიკვდილო ჩახუტებას!

მატარებელმა, როგორც იქნა, თავი დააღწია სადგურის რელსთა ლაბირინთს და თანდათან უმატა სიჩქარეს. მიდამოს ნაცრისფერი ედებოდა. მკრთალდებოდნენ და ქრებოდნენ მოცახცახე, შემკრთალი ვარსკვლავები. გარემომცველი წყვდიადიდან რაღაც ნაგებობათა გაურკვეველი კონტურები იკვეთებოდა. ნახშირიდან გამოვძვერი და სიცივისგან მოკუნტულმა გაშეშებული სხეუ-

ლის ზელა დავიწყე. ცოტა რომ მოვსულიერდი, ვცადე გამერკვია, რომელ მხარეს მიჰქროდა ეშელონი.

თენდებოდა შორს, ტყიან სივრცეთა მიღმა, გაუბედავად აცინციმდა ცისკრის ვარსკვლავი. მატარებელი კილომეტრებს კეცავდა ფეხქვეშე სიჩქარით მიჰქროდა იქით, სადაც განთიადი იბადებოდა. ჰაერის ნაკადებს ხეჩხუჩუხუჩუტყამს, ფათურობა სველ ტანსაცმელქვეშ, მაკანკალებს, მაგრამ არ მიხდა ისევ ქვანახშირში ჩავივრე. იმედითა და რწმენით ვაკვირდები ბუნებია ერთ-ერთ სააწაულს — ახალი დღის დაბადებას. ცისკრის ვარსკვლავი უფრო და უფრო აკიაფდა, თითქმის ნახევარი ცისკიდე გაანათა და სულ მალე ჰორიზონტზე უზარმაზარი სისხლისფერი მწეც ამოენთო. მატარებელი პირდაპირ მისკენ მიჰქროდა. მაშასადამე, მე მივდივარ აღმოსავლეთით, აწორედ იქით, საითაც მჭირდება. სიხარულისაგან დამავიწყდა მტანჯველი შიმშილიცა და წყურვილიც. მზად ვიყავი საერთოდ უარი მეთქვა ჭამა-სმაზე, ოღონდ ტყვეობისთვის დამედწია თავი.

სიხარული ნაადრევი გამოდგა. მატარებელი გველივით გაიდრიკა და მიმართულება შეიცვალა. მზე ჯერ მარჯვნივ გადაადგილდა, მალე კი უკან აღმოჩნდა და მივხვდი, რომ დასავლეთისკენ მივდიოდი. ამ აღმოჩენამ შემძრა. სასო წარმიკვეთა და იმედის ნაპერწკალი ააბოლოოდ ჩამიჭრო.

მიწა დილის გრძელმა ჩრდილებმა ააჭრელეს. მატარებელი მათ კვეთდა და დასავლეთისკენ მიიწევდა. გადმოხტომა გადავწყვიტე. უმალ ერთი საბჭოთა სამხედრო ტყვის ნაამბობი გამახსენდა.

ეს იყო ამა წლის აპრილს, კროიციბურგში, გამანაწილებელ პუნქტზე. უკვე მერამდენედ დამიჭირეს და თავი მიკრეს ბანაკში, სადაც მეტწილად საბჭოთა სამხედრო ტყვეები იყვნენ. მათ აქ დიდხანს არ აჩერებდნენ, ახარისხებდნენ და სხვადასხვა ბანაკებში აგზავნიდნენ. ეს ბანაკები საყოფაცხოვრებო პირობებით ცოტათი თუ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კროიციბურგში არავითარ სამუშაოზე არ გვერეკებოდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, თითქმის არ გვაკვებავდნენ. ადამიანები მაინც არ უცემოდნენ სულით. ახლად დამდგარი გაზაფხული სიცოცხლისა და მდგომარეობის შეცვლის იმედს გვინერგავდა. გვწამდა, რომ სულ მალე წითელი არმია გადაიწყვეტ შეტევაზე გადავიდოდა, რომ მოკავშირენი ბოლოს და ბოლოს გახსნიდნენ მეორე ფრონტს...

ძალიან, ძალიან უმძიმდათ გერმანიის სიკვდილის ბანაკთა ტყვეებს ზამთრობით. შიმშილსა და დამცირებას სიცივეც ემატებოდა და ტყვეები ბუზებივით იხოცებოდნენ. გაზაფხული მდგომარეობას ოდნავ ამსუბუქებდა. მას მოჰქონდა არა მარტო სითბო, არამედ განთავისუფლების იმედიც.

მე ინტერესით ვაკვირდებოდი სამხედრო ტყვეებს, ვაყურადებდი მათ საუბრებს, ხარბად ვისრუტავდი ყოველივე გაგონილს. ზოგჯერ ბარაკში მღეროდნენ საყვარელ სიმღერებს ტრამალში დაღუპულ მეეტლეზე. შორეულ, წმიდათაწმიდა ბაიკალზე, მქუხარე დნებარზე თუ ბრმა კობზარზე. ეს სიმღერები გულს სამშობლოზე სევდით გვისერავდა.

სიმღერებს მოგონებები ენაცვლებოდა. უმეტესწილად ეს იყო ბანაკებიდან იღბლიანი გაქცევის საოცარი ამბები. ამას, ეტყობა, განზრახ, ერთმანეთის გასამხნეველად ყვებოდნენ. ერთხელ ტრაგიკული ამბავი მოვისმინე. ერთმა ტყვემ უკბილო პირის წკლაპუნით გვიამბო, როგორ გაიქცა მიმავალი მატარებლიდან ორმოცდაათი საბჭოთა სამხედრო ტყვე ჯგუფურად. ტყვეები

საბარგო ვაგონით მიჰყავდათ თურმე, მათ იატაკი ამოეტეხათ და ჩქიდან თითო-თითოდ ჩამხტარიყვნენ. თითქმის ყველა მათგანი დაღუპულა, მხოლოდ სამილა გადარჩენილა, მაგრამ დაცემისას მძიმედ დაზიანებულთ ხიზვარხობით შორს წასვლა ვერ მოეხერხებინათ. დილით გესტაპო მოვარდნებში და ძალღების დახმარებით ლტოლვილები მალე აღმოუჩენია, ორნი მოექცნენ, ეს ერთი კი შეეწყალეზინათ, რადგან მოწმე სჭირდებოდათ. „აი მხოლოდ, კბილები კონდახით ჩამიმტვრიეს“, — დაამთავრა ნაღვლიანი ამბავი სამხედრო ტყვემ.

— ვინ ჭკუათამყოფელი ვარდება მატარებელქვეშ? — ჩაერია საუბარში ჩემი საწოლის მეზობელი. — ეს სიგიჟეა, სასოწარკვეთის აქტია.

მერე იგი მოჰყვა: რა სიჩქარითაც არ უნდა მიდიოდეს მატარებელი, იქიდან ჩამოხტომა შეიძლება, მხოლოდ ეს მოხერხებულად უნდა გააკეთო, — იმ დროს, როცა შემადგენლობა ციცაბო მიწაყრილზე მიდისო. ვაგონიდან გადმომხტარი ინერციით იფრენ წინ, განსაკუთრებით კარგია თოვლში გადმომხტომა. ბალახებსა და ბუჩქებსაც შეუძლიათ ამორტიზატორის როლი შეასრულონ, მთავარია ჰაერში მოიკუნტო, თავი მხრებში ჩამალო, ხელები მკერდზე, მუხლში მოხრილი ფეხები კი მუცელზე მიიწყო, მიწაზე დაცემული ციცაბოზე ბურთივით გაგორდები, ეს მოტეხილობებსა და ტრავმებს აგაშორებსო. თვითონ ცირკის აკრობატი ყოფილიყო და ამ საქმის გაეგებოდა. ომამდე მეც მივსდევდი აკრობატიკასა და არცთუ წარუმატებლად. საკმაოდ რიგიანი სპორტსმენი ვიყავი, სხეულს ვიკაჟებდი და გმირობაზე ვოცნებობდი...

ამასობაში მატარებელმა სვლის შეუწყვეტლად ჩაიჭროლა სადგური, რომლის შენობაზეც სახელწოდების წაკითხვა მოვასწარი: „Oppeln“. ეს იყო ბოიტენის დასავლეთით ორმოც კილომეტრზე. მე ნაღვლიანად გავცქეროდი აღმოსავლეთს, ეგზომ სასურველსა და ეგზომ მიუწვდომელს. ვაგონიდან კარგად მოჩანდა ვრცლად განფენილი ტყეები, რომლებსაც უძირო ზეცა გადმოჰყურებდა. დილის კაშკაშა მზეზე ბრწყინავდა ლაქაშებში დაკლავნილი მდინარის ლურჯი ლენტე. მიწაყრილის ორთავე მხარეს გაუთიბავი მოლი და მეჩხერი მურყნარი მწვანობდა.

როგორც კი მატარებელი მაღალ, ციცაბოკალთებიან მიწაყრილზე გავიდა, პულმანიდან გამოვძვერი და ქიმზე დავეკიდე. კი მაგრამ, როგორ გადავხტე ამ გაწანებულ, დაუძლოურებულ სხეულით? „უნდა შეძლო, ტყვეობას სიკვდილი გერჩივნოს“, — მაყვირის გონება. გადახტომის მეშინია. მაღალი მიწაყრილი კი, ვხედავ, მალე გათავდება. ფეხებით ვებჯინები ვაგონის ქიმს და, თითქოს ქვემეხიდან გამოსროლესო, წელში მოკაკული, მივფრინავ. მომდევნო წამში ციცაბოზე ვეცემი და რომელიღაც უფსკრულში მივექანები.

თვალი რომ გავახილე, პირველად ლურჯი, უძირო ზეცა დავინახე. იგი ისეთი კრიალა იყო, გეგონებოდათ, ეს-ესაა გაურეცხავთო. თავი მოვაბრუნე. პირდაპირ ჩემ თვალწინ თეთრი ფურცლებით შემორკალული ყვითელი დილი — მინდვრის გვირილა ციმციმებდა. ხელ-ფეხს ვანძრევ და ვამოწმებ, მოტეხილობა ხომ არა მაქვს. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ეს ყველაზე საშინელი რამაა. მგონი, არაფერი მიჭირს, მხოლოდ ძლიერ მტკივა მარცხენა მხარი და მარჯვენა მუხლი. ეტყობა, მშვიდობით გადმოვხტე, თუმცა საკმაოდ კი დავჩეჩქვილვარ.

წამოვდექი, მიმოვიხედე. ირგვლივ სიმშვიდე და სიჩუმეა, ისეთი სიჩუმე, რომ ყურები მიწივის, ასე მგონია, მესმის, როგორ სუნთქავს დედამიწა, რო-

გორ იწევს ბალახი მზისკენ. სიამოვნებით ვყნოსავ დილის მზესა, ბალახებსა და ყვავილებში გაზავებულ პაერს. ცრემლის დადენამდე ამოვლევებელია ლურჯი ღიღილოების მოლივლივე ტბა. შორს, ტყეთა მიღმა, მდელოებიდან და ხევხუვებიდან ამოდის ფეხისწვერებზე შემდგარი ნისლე, მკლდად ფეხში მუქ-გუნდსავით დაკიდულან მოუღლეელი მგალობლები — ტრანსპორტის მძღველი ისეთი სამოთხეა, რომ ბანაკში ცხოვრების საშინელებანი და მიწისქვეშა კატორღა უქმურ სიზმრად მეჩვენება.

მინდორ-მინდორ ორიოდ კილომეტრი რომ გავიარე, ღელეს გადავაწყდი. ბალახებში ჩავწექი და მწყურვალე ბაგეებით დავეწაფე წყალს. ვსვამ და წყურვილს მაინც ვერ ვიკლავ. ოდნავ სულს მოვითქვამ და ისევ ვეწაფები. მერე ბალახებისა და ყვავილების ნაირფერ ხალიჩაზე ვწვები და თვალებს ვხუჭავ. მავიწყდება თვით შიმშილიც, აქამდე უზომოდ რომ მტანჯავდა. ისევ და ისევ ვფიქრობ ერთგულ მეგობარზე, გულითად პოლონელ ჭაბუკ სტასზე, რომლის გვერდითაც ასე ცოტა ხანს ვიცხოვრე და ასე ბევრი განვიცადე. სადაა იგი ახლა? რა უაზროდ დავშორდით ერთმანეთს!..

ცოტა რომ დავისვენე, ბანაობა და ტანსაცმლის წესრიგში მოყვანა გადავწყვიტე. ჭუდი და პარიკი ჯერ კიდევ ორმოში ჩავარდნიას დავკარგე. ჯანდაბას მაგათი თავი. აი, ფინური დანა კი მენანება. ისიც დავკარგე. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვსპო მალაროში ნამყოფობის ყოველგვარი ნიშანი. ნაკუწვებად ვაქციე აუსვაისი და მდინარეში ვისროლე. მერე მოვიგლიჯე განმასხვავებელი ნიშანი „P“. ტანსაცმელი გავიხადე. გულმოდგინედ გავფერთხე, გავრეცხე და ბუჩქებზე გასაშრობად გავფინე. დიდხანს ვბანაობდი, მაგრამ წყეული ნახშირის უსაპნოდ ჩამორეცხვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

სანამ სამოსი შრებოდა, დედიშობილა ვიწექი და შიმშილის ოდნავ მაინც დასაოკებლად მწარე ღეროებს ვდეჭავდი. მდელოზე მიცოცავდნენ და გრძელდებოდნენ ბუჩქებისა და ხეთა ჩრდილები. ტანთ ჩავიცვი და გეზი პორიზონტზე ლურჯად გაჭიმული ტყისკენ ავიღე.

9.

ოთხი დღე-ღამე გავიდა მას შემდეგ, რაც მალარო „პოპენცოლერნგრუბეს“ ბანაკიდან გავიქეცი. გზას აღმოსავლეთისკენ მივიკვლევდი. დღისით ბუჩქებში ან ტყისპირებში ვიმალებოდი, ღამით კი მივდიოდი ჩემი სარჩო იყო მინდორში ალაღბედად ნაპოვნი ბოლოკი, სტაფილო, ცერცვივით წვრილი, ნორჩი კარტოფილი, ჯერ კიდევ მწვანე ხორბლის მარცვალი. დაღლილობისა და შიმშილისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ თავს ძალას ვატანდი. ქალაქებსა და სოფლებს გვერდს ვუვლიდი. კურდღელივით არაერთგზის მირბენია მიხვეულ-მოხვეული გზებით, რათა ადამიანებისთვის თავი ამერიდებინა. მომხდარა ისეც, რომ სასიკვდილო რისკის ფასად მოპოვებული თავისუფლება ბეწვზე დაკიდულა, მაგრამ იღბლი მუდამ ჩემს მხარეზე იყო.

გაქცევის მეხუთე დღეს ტყეში ჩაკარგულ ხუტორს მივადექი. ბუჩქები გავწი და ჩავიმალე. თავში ერთადერთი ფიქრი მიტრიალებდა: როგორმე პური, ნაჭები მეშოვა, რამდენ ნედლი მწვანილი და ბოსტნეული შიმშილს თითქმის არ მიკლავდა. უკმელოობისაგან თავბრუ მეხვეოდა, თვალწინ ყვითელი

წრეები მიცურავდნენ, მუხთალი სისუსტე ეუფლებოდა მთელ სხეულს. გადაწყვეტე ბედი ხუტორში მეცადა და განაპირა ეზოსკენ გავსოვდი.

ქვის გალავანს მიღმა ჩინებული ბალი იყო, საიდანაც წითელი კრამიტით დახურული ორსართულიანი სახლი და რამდენიმე სამეურნეო შენობა მოჩანდა. მწვანედ ტანაყრილი პურის ყანით გალავანთან შეუხებელი მხვედი, კუტიკარში გავძვერი და ბოსლის მახლობლად იასამნის ბუჩქში გავისუსე. მალე ლურჯ სამუშაო კომბინეზონში გამოწყობილი სამი ქერა გოგონა დავინახე. ისინი ფართე, მოკირწყლული ეზოს დაგვას შეუდგნენ. მუშაობისას მათ ერთმანეთს გადაულაპარაკეს და მე მივხვედი, რომ ისინი პოლონელები იყვნენ.

აგერ, სახლიდან მოზრდილი პიანის ხანშიშესული კაცი გამოვიდა, რომელსაც თავზე ფერადფრთიანი ლურჯი ქუდი ახურავს. პერანგის სახელოები იდაყვებამდე აუკაპიწებია, სახე და კისერი მზით გარუჯვია. ყველაფერზე ეტყობა, სახლის პატრონი რომაა. მან დაუჯერებლად დიდი და მოხერხებულად მოლუნული ყალიონის ქაჩვით ეილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო, დააკვირდა, მერე ჩამავალ მზეს ახედა, გოგონებს რაღაც უთხრა და წავიდა.

ერთ-ერთმა გოგონამ ცოცხი ბოსელს მიაყუდა და სადღაც გაქრა. ნახევარ საათში მან საძოვრიდან რვა წაბლა ძროხა მორეკა. ძროხები ზანტი ზმუილით შეილაღნენ გომურში. გოგონამ მარლით დაფარული თეთრი ემალის სათლი მოარბენინა. მას პატარა სათლიც ეჭირა, რომელშიც, ეტყობა, წყალი იყო. მეორემ თეთრი ჩვარი და პატარა სკამი მოიტანა. მესამემ ორი დიდი თუნუქა მოათრია და გომურთან დადგა. ძროხების წველას შეუდგნენ.

ბინდი ჩამოწოლილი იყო, როცა გომურიდან რძით სავსე სათლით ერთი ქერათმიანი გოგონა გამოვიდა. დავუძახე. გოგონა მოულოდნელობისაგან შეკრთა და სათლი კინალამ ბელიდან გაუვარდა. მერე მიმოიხედა და, როცა დარმწუნდა, ახლომახლო სახლის პატრონი არ ჩანსო, ჩემს სამალავს მოუახლოვდა.

ერთმანეთში არეული რუსულ-პოლონური სიტყვებით ვეუბნები ადელვებულები:

— გოგონავ, მე რუსი ვარ... გერმანიიდან ლტოლვილი... რამდენიმე დღეა, არაფერი მიჭამია... თვით იესოს გულისათვის... გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით. თუ შეგიძლიათ, მომიტანეთ პურის ნატეხი. შიმშილმა ისე გამათავა, მეტს ვეღარ ვივლი...

— ო, ეზუს, მარია! — წამოიძახა გაოცებულმა გოგონამ. მის თვალეში შიში აღბეჭდილიყო.

მე ვედრებაზე გადავედი:

— გოგონავ, ჩემი ნუ შეგეშინდება, თუ პურის მოცემა არ შეგიძლია, წავალ, ოღონდ ნურავის ეტყვი, რომ აქ მნახე.

— დაიცადე, დაიცადე, — თქვა გოგონამ და გომურისკენ წავიდა.

განვლო ნახევარმა საათმა. არ ვიცი, რა ვქნა, გავიქცე თუ კიდევ დავიცადო? უკვე მთლად დაბინდდა, ამოვიდა სავსე მთვარე, ერთხმად აჭრიჭინდნენ ჭრიჭინობელები. ვხედავ, ჩემი სამალავისკენ ორი გოგონა მოემართება. ერთს პატარა სათლი მოაქვს, მეორეს კი ხელში რაღაც ფუთა უჭირავს.

— აჰა, დალიე, — მეუბნება ერთი და სათლს მაწვდის.

მე ხარბად ვეწაფები თბილ, აქაფებულ რძეს, ისინი კი, როგორც საიქიოდან დაბრუნებულს, გაოცებით შემომცქერიან. რძის სმით გული რომ ვიჯერე, მეორემ ფუთა გამომიწოდა და ჩურჩულით მითხრა:

— ახლა კი წადი, რუსო. კშისია გაგაცილებს, რადგან აქ დარჩენა სახიფათოა.

დარჩენილი რძე კშისიამ მუცელგამობერილ ბოთლში <sup>ჩაასხა და</sup> ეზოდან ხელკავით გამოყვანა. გაეწიეთ მინდორ-მინდორ. მთვარის ნათელი გვადგა ბილიკზე მიმავალთ.

კშისიას აინტერესებდა, საიდან მოვლიოდი, როგორი <sup>ცხოვრება იქ</sup> გერმანიაში, რას ამბობდნენ იქ და ჩქარა დამთავრდებოდა თუ არა ომი. მე მოკლედ მოვუყევი ფაშისტურ ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებზე, ტყვეთა ცხოვრების კატორღულ პირობებზე. ეუამბე, როგორ ხდიდნენ მათ სულს შიმშილით.

გაოცებული კშისია ვიწვიშებდა და, მგონი, ვერც ამჩნევდა, როგორ მიჭერდა ხელს. მას ყველაზე მეტად უკვირდა ის, რომ ასეთმა პატარამ, გამხდარმა და უსუსურმა გაქცევა გავბედე. ჩვენ გაქცევაზე ფიქრისაც გვეშინიაო, გულახდილად მითხრა მან.

კშისია მომიყვა, რომ იგი ჩვიდმეტი წლისა იყო, ის და მისი მეგობრები იადზია და სტეფა ახლახან შეეპყროთ კრაკოვში და გერმანიაში სამუშაოდ გაერეკათ.

გამანაწილებელი ბანაკიდან ისინი „შრომითი ვალდებულების მოსახდელად“, როგორც მისთვის ეთქვათ, ამ ბაუერთან<sup>1</sup> მოხვედრილიყვნენ. ბაუერს პოლონელი მემამულის ყოფილი კარ-მიდამო ეკავა თურმე. კშისია შემოგარენს ცუდად იცნობდა, მაგრამ ეს მაინც მირჩია: ჩრდილოეთით იარე და სილეზიის სამრეწველო ქალაქებს გვერდს აუვლიო. კრაკოვამდე, მისი სიტყვით, ოთხმოცამდე კილომეტრი რჩებოდა. იქიდან გზა ექვშევამდე უნდა განმეგრძო, ექვშვიდან კი ლვოვში ჩავიდოდი.

— პოლონეთში არ დაიკარგები, მხოლოდ გერმანელებთან და პოლიციელებთან შეხვედრას ერიდე, — მითხრა დამშვიდობებისას კშისიამ, გადამეხვია და ლოყაზე გაუბედავად მაკოცა:

— შჩენსც, ბოჟე!<sup>2</sup>

მშვენიერი პოლონელი გოგონას სიკეთითა და გამბედაობით შეძრულმა თავი ტყეს მივეცი. კშისია კიდევ დიდხანს იდგა ბილიკზე და მზერით მიმაცილებდა. წლებმა ვერ გაახუნეს ჩემს ხსოვნაში ყმაწვილ ტყვე ქალთა სახეები. ახლაც დიდი სითბოთი და მადლიერებით ვიხსენებ მათ, ვინც გაჭირვების ქამს დახმარების ხელი დაუფიქრებლად გამომიწოდა.

როგორც კი პოლონეთს მივადწიე, მეგონა, ფრთები გამომესხა, დამთრგუნველმა შიშმა თანდათან გამიარა. მართალია, აქაც ფაშისტები ბატონობდნენ, მაგრამ პოლონელთა შორის თავი გაცილებით უკეთ უნდა მეგრძნო. ისინი საჭმელს არ დამზარდებოდნენ, გზას მიჩვენებდნენ და თუ საჭირო იქნებოდა, დამმალავდნენ კიდევ.

აღმოჩნდა, რომ გოგონებს საგზლად ნახევარი პური, ლორის ნაჭერი, ხახვი, მარილი და ერთი ბოთლი რძე გამოეტანებინათ. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაციისთვის ეს მთელი სიმდიდრე გახლდათ. სანოვაგე ორ დღეს მეყო.

<sup>1</sup> გლეხი (გერმ.).

<sup>2</sup> ღმერთო, შენ უშველე! ღმერთო, შენ დაიფარე! (პოლ.).



რაც მთავარია, მან ძალ-ღონე შემმატა და უფრო ჩქარი სიარული შემადღებინა.

პოლონეთში მე გამაოცა მავთულხლართით შემოკავებულმა ურიცხვმა ბანაკმა, რომლებშიც იტანჯებოდა და სულს ლაფავდა ათასობითა და ათი ათასობით ადამიანი. ვცდილობდი მათთვის რაც შეიძლება მოსწონებოდა შემოგვევლო.

ვისლამდე ოცდახუთიოდე კილომეტრი რჩებოდა. ასე მითხრა ერთმა ბერიკაცმა. ვიმედოვნებდი, მთელი ეს გზა ერთ ღამეში გამევლო, დღისით შემესვენა და მეორე ღამეს ვისლა გადამეცურა.

ზაფხულის თბილი საღამო იდგა. ძალ-ღონის უჩვეულო მოზღვავება ვიგრძენი და ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ხუთი კილომეტრი გავიარე. მარტო იმის გაფიქრებაც კი, რომ სამშვიდობოს ვიყავი, რომ წინ სამშობლოსთან ან პარტიზანებთან შეხვედრა მელოდა, გულს სიხარულით მიტოვებდა.

ჩამავალი მზის სხივებს მიფიცებოდა ხორბლის, კარტოფილისა და ჭარხლის ნათესების მწვანე კვადრატები. მწუხრის ნისლს იხვევდა სულ რამდენიმე ეზოსაგან შემდგარი ძილმორეული ხუტორი, მის მიღმა კი კამკამა ზეცაში უზარმაზარი ტყე არეკლილიყო.

ყურადღება მივაქციე იმას, რომ ველად ძებორციელი არ ჭაჭანებდა. არადა, სწორედ კარტოფილისა და ჭარხლის გათოხნის ეამი იყო. ხუტორში შესვლა გადავწყვიტე. განმაცვიფრა იქ დაბუდებულმა სამარისებურმა სიჩუმემ. თითქოს დედაბუდიანად ამოხოცილანო, არც საქონლის ბლავილი ისმოდა, არც ძაღლების ყეფა, არც ადამიანთა მწუხრისმიერი ხმები. ირგვლივ მკვდრულ მყუდროებას დაესადგურებინა. ერთადერთ გზას სარეველა მოსდებოდა, ბოსტნებს კაცის ხელი არ ეტყობოდა. მენიშნა ისიც, რომ სახლების დარაბები დახურული იყო და კარებს ბოჭლომები ედო. ჩანდა, აქაურ მკვიდრთ ორიოდეთვის წინ მიეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი. იქნებ ისინი პარტიზანებად არიან გავარდნილნი და ტყეში შევეყარო კიდევაც, გავიფიქრე ანაზღად. ბანაკებში ცოტა როდი მსმენოდა უკრაინის, პოლესიისა და ბელორუსიის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებლებზე, რომლებსაც თავიანთი კარ-მიდამო ბედის ანაბარა დაეგდოთ და დედაწულიანად ტყეში გაქრილიყვნენ. იქნებ აქაც ასეა?

ამ ვარაუდით გავსწიე ტყისკენ. უკვე ბნელოდა, როცა ტყეში შევაბიჯე. ირგვლივ ავისმომასწავებელი სიჩუმე სუფევდა. მღელვარე ფიქრს მისცემოდნენ ტანაშოლტილი ნაძვები-თეთრქერქიანი არყის ხეები შემკრთალნი მიყუყულებდნენ. წყნარად ოზრავდა დღისით გამთბარი დედამიწა. ფეხსაცმელი გავიძრე, ფეხქვეშ ხრახუნობდნენ ნაძვის გირჩები, ტკაცუნობდნენ ტოტები. იყო რაღაც შემაზრზენი და აგბედითი ამ მკვდრულ სიჩუმეში. რაგორღაც ინსტინქტურად შევანელე ნაბიჯი, ახლა კი აღარ მივდიოდი, მივიპარებოდი. ფიქრიდან არ მშორდებოდა მიტოვებული ხუტორი და ვერანი, სარეველამოდებული ყანები. ინსტინქტურად ვიგრძენი, რომ ვიღაც მითვალთვალებდა. შიშისგან გაქვავებული შევდექი და სიბნელეს მივაჩერდი, მივაყურადე. თითქოს საეჭვო არაფერი იყო და გზა განვაგრძე. უცებ ფეხქვეშ ხრეში ახრახუნდა. ამ აღმოჩენამ დამარეტიანა. მუხლებზე ჩავიჩოქე და ხრეში ხელებით მოვსინჯე. უკან რაღაცამ გაიფაჩუნა. წამოდგომაც ვერ მოვასწარი, თავში რაღაც მძიმე ჩამარტყეს და გავიშოტე. ვიღაცის მაგარი ხორკლიანი ხელები კისერში მწვდა და ხრინწიანმა ხმამ წაისისინა:

— ჰენდე ჰოხ, ფერფლიუხტე!<sup>1</sup>

მომდევნო წამში ხელები უკან გადამიგრინეს და პირში ჩვარჩ ჩამჩარეს. თვლებში მომანათა ფარნის მკვეთრმა შუქმა. წაქცეულივე ~~გამჩხრიკეს~~ და ვერაფერი საეჭვო რომ ვერ მიპოვეს, წამომაყენეს.

— ფორფერტს, — მომესმა მოგუდული ხმა. ზურგში მუჭლუგუნნი მკრეს. ბეჭებშორის ავტომატის თუ კარაბინის ლულა მომაბჯინეს და წინ გამიგდეს. ჯერ კიდევ წაქცევისას გამიელვა ფიქრმა, პარტიზანთა ალყაში მოვხვდი-მეთქი, მაგრამ ახლა უკვე ცხადი იყო — მე ისევ გერმანელებს ჩავუვარდი ხელთ. ეს კი აღსასრულს ნიშნავდა!

დიდხანს მივდიოდით. ორ აყლაყუდას, მე რომ მივყავდი, გზაში კრინტი არ დაუძრავს. წინ რაღაც შენობა გამოჩნდა. შემიყვანეს ვიწრო, ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში, მერე შავი დერმატინგადაკრული კარი გაიღო და მკაფიოდ განათებულ ოთახში შევედი. მარტო ორტუმბიანი შავი მაგიდისა და კედელზე პიტლერის დიდი პორტრეტის დანახვალა მოვასწარი, რადგან ერთ-ერთმა გამყოლმა ისეთი მუჭლუგუნნი მკრა, იატაკზე ბზრიალასავით დავტრი-აღდი. ოთახი ესესელებით იყო სავსე. ისინი სკამებსა და ხის ძელებზე ისხდნენ. კედელთან იარაღის პირამიდა და ონკანიანი პატარა კასრი იდგა. საყარაულო<sup>2</sup> შენობის ფანჯრებზე — გარეგნული ნიშნების მიხედვით ეს სწორედ საყარაულო იყო — შავი ხავერდის ფარდები ჩამოეფარებინათ. ჩანდა, აქ მტკიცედ იცავდნენ შუქშენილბვას. ესესელები დაინტერესდნენ ახლად მოყვანილით, ადგილებიდან წამოხტნენ და მომიახლოვდნენ. მაგრამ, აჰა, ოფიცერი გამოჩნდა და ყველანი სმენაზე დადგნენ. ერთ-ერთმა ჩემმა მეზადრაგემ უპატაკა: ოცდამეშვიდე საგუშაგოზე პარტიზანთა ჯაშუში დავაკავეთ, რომელიც ცდილობდა ობიექტ „იქსს“ შეუმჩნევლად მიპარვოდა. გაჩხრეკისას არც იარაღი, არც საბუთები, არც საეჭვო რამე არ აღმოაჩნდა.

ოფიცერმა პატაკი უსიტყვოდ მოისმინა, მერე განკარგულება გასცა, განგაში გამოაცხადეთ და უფროსობა გააღვიძეთო. გაისმა მკვეთრი ბრძანებები. ესესელებმა უმაღვე დაცალეს შენობა. პირიდან გამომიღეს ჩვარჩი — ჩემი ერთ-ერთი მეზადრაგის მაუდის პილოტურა, ხელებზე ხუნდები დამადეს და ხელმძღვანელობასთან წამიყვანეს.

უფროსობა საყარაულო შენობის მახლობელ პატარა სახლში ცხოვრობდა. აქ სულ ორი ოთახი იყო, რომელთაგან ერთი, ეტყობოდა, საძილე იყო, მეორე კი კაბინეტის მაგივრობას სწევდა. უბრალო ავეჯით გაწყობილ კაბინეტში შემიყვანეს. ფანჯრებსა და კარებზე ხავერდის მძიმე ფარდები ეკიდა. კარადა, ტელეფონებიანი საწერი მაგიდა, რამდენიმე მუხის ტაბურეტი, კედლებზე პიტლერისა და გერინგის სურათები, გერმანიისა და პოლონეთის რუკები და ფარდით დაფარული კიდევ რომელიღაც რუკა, — ეს იყო და ეს, რაც თვალში მეცა. მაგიდასთან ობერშტურმბანფიურერის<sup>2</sup> ფორმიანი ახალგაზრდა წარმოსადეგი ოფიცერი იჯდა, რომელსაც ორივე მხარეს ორი სხვა ხანში შესული ოფიცერი ეჯდა.

ობერშტურმბანფიურერი ინტერესით, ის კი არადა, საკმაოდ მზიარულადაც შემომცქეროდა. მან შეთქმულივით გაიციხა და მკითხა:

<sup>1</sup> ხელები მალლა, წყვეულო.

<sup>2</sup> ესესელი პოლკოვნიკი.

— პარტიზანი ხარ?

უარის ნიშნად თავი გავიქნიე.

— ამას ჩვენ მალე გავარკვევთ, — საქმიანად თქვა ოფიცერმა. გერ-  
მანულად ლაპარაკობ?

— ნიკს ფერშტენ<sup>1</sup>. — ვუბასუხე.

— პოლონელი ხარ?

— უკრაინელი.

— პოლონური თუ გესმის?

— არა. მე უკრაინელი ვარ, მელაპარაკეთ რუსულად.

— ეს უკვე მეტისმეტია. მალე გერმანულს კი არა, ჩინურსაც გაგაგებინებთ. ჩვენ გამოფნახავთ საერთო ენას, — დამპირდა შტურმბანდიურერი და მებადრაგეებს მკაცრად უბრძანა, გააშიშვლეთ და ტანსაცმელი გულმოდგინედ შეამოწმეთ.

უმალ გამხადეს პიჯაკი და შარვალი, გაარღვიეს, ნაკერ-ნაკერ გასინჯეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი იპოვეს.

დაიწყო დაკითხვა. ობერშტურმბანდიურერი მეკითხებოდა, ჯაგრისივით უღვაშებიანი, ჩასკვნილი ახმახი კი თარგმნიდა. ვატყობდი, რომ გადამწყვეტი მომენტი ახლოვდებოდა. ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. საოცარი სიმშვიდე დამეუფლა, გონება საღად და მკაფიოდ მუშაობდა. მერეც არაერთგზის დავრწმუნებულვარ, რომ სასიკვდილო საფრთხის ქამს ადამიანი მშვიდი და საკუთარ თავში დაჭერებული ხდება. ეს ალბათ ბუნებრივი თავდაცვითი რეფლექსია. მაშინ ხომ მეტი შანსი გიჩნდება სიცოცხლის გადარჩენისა!

მე მშვიდად დავიწყე, ობოლი ვარ და მშობლები არ მახსოვს-მეთქი. ამას მთელი ვერსია მოვაცოლე: ომამდე მოხეტიალე ცხოვრებას ვეწეოდი, გავრბოდი საბავშვო სახლებიდან და შრომითი კოლონიებიდან. ბოლო დროს როსტოვის საბავშვო სახლში ვიყავი. გერმანელების შემოსვლამდე აღმოსავლეთისკენ წაგვიყვანეს, მაგრამ ეშელონიდან გავიქეცი და ქალაქში დავჩიი. მოგვიანებით, როცა გერმანელებმა როსტოვიდან დაიხიეს, მე ჯერ ხარკოვში, იქიდან კი გერმანიაში გამაგზავნეს. გზაში თითქმის არ გვკვებავდნენ. საშინლად მშიოდა. პირველი შესაძლებლობისთანავე გავიქეცი ეშელონიდან. პოლონელთაგან ჩემი შეკედლება არავინ ინდომა, ღამის გასათევადაც კი არ მიშვებდნენ. საღამო ხანს ტყეში შევეხეტე. იქ შემიპყრეს და ცემა დამიწყეს, თუმცა ცუდი არაფერი ჩამიდენია. ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ. გამაგზავნეთ გერმანიაში ან აქ დამტოვეთ. გავაკეთებ ყველაფერს, რასაც მიბრძანებთ, მხოლოდ მაჭამეთ, მაჭამეთ, რადგან არაქათი გამომეცალა.

ოფიცრებმა ჩემი მონაცოლი ყურადღებით მოისმინეს, მერე ობერშტურმბანდიურერმა თქვა:

— იცოდე, მანამდე გირტყამთ, სანამ არ აღიარებ, ვინ გამოგზავნა, როგორ და რა მიზნით აღმოჩნდი აქ. თუ არ აღიარებ, მოგკლავთ.

— მე სიმართლე მოგყევი, სრული სიმართლე, რატომ უნდა მომკლათ? — ვთქვი და ავტირდი.

ამასობაში ერთ-ერთმა ესესელმა ქამარი შეიხსნა, მეორემ მაგიდის წინ ტაბურეტი დადგა. მან თვალის დახამხამებაში წამომაქცია ტაბურეტზე, ჩემი

<sup>1</sup> არ მესმის არაფერი.

თავი მუხლებში გაიჩარა და ეგზეკუცია დაიწყეს. ტკივილისგან სული მძვრებოდა, ვყვიროდი, აზარტში შესული ჯალათები კი ჩემს ქანცგაცლილ სხეულს ვეებერთელა ქამარს უხათქუნებდნენ. რამდენჯერმე დავკარგე გონება. წყალს გადამასხამდნენ, დამკითხავდნენ და ისევ მცემდნენ.

დაკითხვისას ობერშტურმბანდიურერთან შედიზედ მოდებოდნენ ოფიცრები, რომ მოეხსენებინათ, ობიექტზე საექვო არაფერი შეგვიძინებია, ვერ ბრძანებდა, ფხიზლად იყავით და თუკი ვინმე გამოჩნდება, წინასწარი გაფრთხილების გარეშე ესროლეთო. ამ მცირე შესვენების შემდეგ ეგზეკუციას ისევ აგრძელებდნენ. სხეულიდან სისხლი მდიოდა და იატაკზე წვეთავდა, მაგრამ მე მაინც ჩემსაზე მტკიცედ ვიდებო.

როგორც იქნა, ეგზეკუცია შეწყვიტეს. ობერშტურმბანდიურერმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ვილაც ობერფიურერ<sup>1</sup> ოსტერთან დაკავშირება ითხოვა. ათიოდე წუთში ტელეფონი ხმამაღლა აწყრიალდა. ეტყობა, ხაზზე ოსტერი იყო, რადგან ოფიცერი გაიჭიმა და ისე მოახსენა, „იქს“ ობიექტზე ყველაფერი რიგზეაო. „დაკითხვის შედეგად, — თქვა მან, — გაირკვა, რომ დაკავებული პირი თხუთმეტოდე წლის საბჭოთა ყმაწვილია. იგი ამტკიცებს, გავიქეცი ვშელონიდან, რომლითაც გერმანიაში მივყავდი და მერე ვმაწანწალობდიო. მისი თქმით ობიექტზე ლამით შემთხვევით მოხვედრილა. მგონია, საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ ამ სიტყვებს, რადგან ყმაწვილი მართლაც საფუძველიანად დააკითხეთ“.

როგორც ზემოთაც ვთქვი, მე ისე ვიქცეოდი, თითქოს გერმანული არ მესმოდა, სინამდვილეში კი ყურადღებით ვუსმენდი თითოეულ სიტყვას, აკი ჩემი ბედი წყდებოდა. თითქმის ბოლომდე ჩამქრალი გადარჩენის იმედი ისევ გაცოცხლდა.

ოფიცერმა უფროსს მოუსმინა, სხვა ნომერი აკრიფა და ახლა კრაკოვის გესტაპოს დაუკავშირდა. მან ჩემი ამბავი შეატყობინა და ოსტერის სახელით ითხოვა, ამ საქმის გარკვევაში დაგვეხმარეთო.

— ჩვენ იგი უკვე დაკითხეთ, — თქვა ოფიცერმა, — შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბიჭი სიმართლეს ამბობს. არაა გამორიცხული, იგი გერმანიიდან ლტოლვილი იყოს. პარტიზანს ან მზვერავს არა ჰგავს...

ამ სიტყვებზე ობერშტურმბანდიურერი გაჩუმდა და დიდხანს უსმენდა, რასაც კრაკოვის გესტაპოდან ეუბნებოდნენ, მერე კი თავის მართლებას მოჰყვა:

— არა, მე უბრალოდ საკუთარი აზრი გამოვთქვი. რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია, ამიტომაც გთხოვთ თქვენ, როგორც სპეციალისტებს, ამ საქმეში გარკვევას... კეთილი... დავიცდი...

მან ყურმილი დადო, ირგვლივ მსხდარ ოფიცრებს გადახედა და თქვა:

— შევაჩეჩოთ ეს ლაწირაკი გესტაპოს, ეს მათი პურია, ჰოდა, თავიც მაგათ იმტვრიონ. ჩვენი საქმე დაცვაა.

ობერშტურმბანდიურერმა ბრძანა ჩემთვის ჯარისკაცის საცვლები მოეტანათ, პირადი ნივთები კი შეეხვიათ, გესტაპოში გამოადგებოთ. ერთ-ერთმა ოფიცერმა ზიზლით მიანიშნა სისხლის გუბეზე და გამოსცრა:

— ამ ქურდბაცაცამ მიალაგოს აქაურობა!

მოიტანეს საცვლები, წყლით სავსე სარეცხის სათლი და ჩვარი. ბორკი-

<sup>1</sup> ესეისი გენერალ-მაიორი.

ლები შემხსნეს. რის ვაი-ვაგლახით ჩავიცვი საცვლები და მუხლებზე დაცემული სარეცხის სათლს დავეწაფე, მერე კი იატაკის წმენდას შევუდექი. ისე მტკიოდა ნაცემი სხეული, რომ ეს უბრალო სამუშაო ჩემთვის წამდელი წამება იყო. გადავრეცხე თუ არა სისხლის კვალი, ხელებზე ისევ ბორკილები დამადეს, საყარაულო შენობაში გადამიყვანეს და მიბრძანეს კუთხეში იატაკზე დავწოლილიყავი. ორი მეავტომატე თვალს არ მაშორებდა. მუცელზე დავწექი, ბორკილებიანი ხელები წინ გავჭიმე და დაძინება ვცადე, მაგრამ რული არ მომეკიდა.

ღილით ისევ წამიყვანეს იმ შენობაში, სადაც წინადლით დამკითხეს. ადრე ნანახი ოფიცრების გარდა აქ ვილაც სამოქალაქოებიც იყვნენ, ალბათ გესტაპოელები. ერთ-ერთმა მათგანმა რუსულად დამიწყო დაკითხვა. მე სიტყვასიტყვით გავუმეორე წუხანდელი მონაყოლი. ჩემი პასუხი ოქმში ჩაწერეს. მერე შეავსეს ხელწერილის ბლანკი იმის თაობაზე, რომ კრაკოვის გესტაპოს თანამშრომლებმა „იქს“ ობიექტის უფროსის ობერშტურმბანფიურერ გეპჰარდისაგან ჩაიბარეს 14-16 წლის დაკავებული რუსი ყმაწვილი, რომელმაც თქვა, ივან პეტროვი მქვიაო...

გესტაპოელებმა ბორკილები გამომიცივალეს, ძველები პატრონებს ჩააბარეს და შენობიდან გამიყვანეს. პარმალთან უკვე იდგა გვერდითა და უკანა მინებზე ფარდებჩამოფარებული ორი შავი მსუბუქი ავტო და რამდენიმე ეტლებიანი მოტოციკლი. თითოეულ მათგანში ავტომატებითა და ხელის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული სამ-სამი ესესელი იჯდა. ერთ-ერთმა გესტაპოელმა პირველი დახმარების ინდივიდუალური პაკეტი ამოიღო, გახია და თვალები ამიხვია. მერე მანქანაში ჩამსვეს. აგუგუნდნენ ძრავები, ატკაცუნდნენ მოტოციკლები.

ჯერ უგზო ადგილებით ვიარეთ ამორტიზატორები და რბილი საჯდომებიც კი ვერ შევლოდა საშინელ ნჯღრევას. აუტანლად ვიტანჯებოდი. როგორც იქნა, მანქანა ასფალტზე გავიდა და ცოტათი მომეშვა. ძველებურად აღარ მეწვოდა ნაგვემი სხეული, სამაგიეროდ ახალი წამება დაიწყო — ფოლადის „სამაჯურები“ სულ უფრო მეჭდობოდა ძველებში.

გესტაპოს ბორკილები განსხვავდებოდა ყველა იმათგან, რომლებიც ადრე გამომეცადა. განსხვავდებოდა არა მარტო სიმძიმით, არამედ იმითაც, რომ შიგნით რალაც ეშმაკური მოწყობილობა ჰქონდა: დაბუყებული ხელების ოდნავი განძრევისას სამაჯურები ავტომატურად იკუმშებოდა და სხეულს უფრო უჭერდა. ეს იყო რთული მექანიზმი, რომელზეც, ეტყობა, საკმაოდ ემტვრიათ თავი ინჟინრებს. მე ეს წვრილმანები არ ვიცოდი და სულ მალე წყვეული სამაჯურები ისე შემომეჭდო, რომ სისხლის მიმოქცევა დამერღვა, ხელები დამიბუჟდა, ბოლოს კი სულ გამიშეშდა.

თითქმის მთელი საათი ვიარეთ. სმენას რკინის ალყაფის ნელი ჭრიალი მოსწვდა. მანქანა ეზოში შევიდა. კაბინიდან გადმომათრიეს და სადღაც წამიყვანეს. ერთბაშად მეცა ციხის სპეციფიკური სუნი. მომესმა გასროლასავით მკვეთრი ბრძანებები, ნალდარტყმული ჩექმების ბრაგუნის, ციხის მეთვალყურეები გასაღებებს დააქლარუნებდნენ.

დიდხანს ვიყიალეთ ციხის დერეფნებითა და გასასვლელებით. ბოლოს

გავჩერდით. თვალებიდან ბინტი მომხსნეს, სპეციალური გასაღებების დახმარებით ბორკილები შემოხსნეს, კამერაში მივიძვგეს და კარი მომიხურეს. შიგნით კუბოსავით ბნელოდა.

— არის აქ ვინმე? — გავძახე წკვარამეთში.

ხმა არავის გაუცია. ვცადე სკამლოგინი მომეძებნა და დავწოლილიყავი. კამერაში არაფერი აღმოჩნდა. თვით კამერაც ორი მეტრი სიგრძისა და ერთი მეტრი სიგანის თავისებური კარადა გამოდგა. როგორც მერე გავიგე, მას რქმე-ვია ინგლისური სიტყვა „ბოქსი“, რაც თურმე ყუთს ნიშნავს. მას გისოსებიანი სარკმელიც კი არ ჰქონდა. მარტო კარებში ჭიატებდა ნასვრეტი.

მე ცივ ცემენტზე დავეშვი...

(გაგრძელება იქნება)

ერთი თარგმანის გამო

181 წლის „ლიტერატურული საქართველოს“ 31 ივლისის ნომერში (გვ. 10-11) ჩვენმა მეგობარმა ელიზბარ უბილაევამ გამოაქვეყნა საინტერესო წერილი ილია ორბელიანის ერთი თხზულებაზე. იგი ეხება გრ. ორბელიანის უმცროსი ძმის ილიას მოგონებებს „შამილთან ტყვეობაში 1842 წელს“. ცნობილია, რომ ამ ფაქტის გამო ილიას დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და დალისტანში მსახურ, მის მეორე ბიძას, გრიგოლს შორის მიმოწერაც გაიმართა. იგივე ფაქტი იქცა თავდაპირველ ბიძგად ბარათაშვილისათვის დაეწერა გენიალური „მერანი“.

შესავალში ე. უბილაევა მოკლედ აღნიშნავს შამილის მიერ ილიას დატყვევებას პოლკოვნიკ სინაქსაროვთან და პრაპ. ანანოვთან ერთად 1842 წელს, იმამის მიერ თავის რეზიდენციაში (დარლოში, საჩაჩნოში) მათ ჩაყვანას და იქ „ბნელ ხაროში დამწყვდევას“. წერილის მესამე აბზაცში ნათქვამია: „ახლა, როცა ხელთ გვაქვს ილია ორბელიანის თხზულება „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, რომლის აღმოჩენის ისტორიასაც ქვემოთ მოგითხრობთ, მოეუხმინოთ თვით ავტორს, თუ რა ვითარებაში მოხდა მისი დატყვევება“. ამას მოჰყვება ილიას მოგონებებიდან ვრცელი ამონაწერების ქართული თარგმანები, მოტანილია ადგილები ნ. ბარათაშვილის ბარათიდან გრ. ორბელიანისადმი და შეპირისპირებულია ილიას ცნობებთან მათი სიზუსტისა და იდენტურობის დადგენის მიზნით, აღნიშნულია „მერანი“-ს დაწერის ფსიქოლოგიური მიზეზები, რაზედაც ჩვენ ვწერდით ჯერ კიდევ 1945 წელს და ა. შ.

ავტორის შემდეგი მსჯელობა ეხება ილიას მოგონებათა შინაარსსა და ბოლოს მისი აღმოჩენის ისტორიას. წერილის მეორე სვეტის დასაწყისში ნათქვამია:

„ახლა თრიოდე სიტყვა ილია ორბელიანის სათავგადასავალო თხზულების ღირსებაზე: „რვა თვე შამილის ტყვეობაში“ (დედნისეული (?) სრული სახელწოდებაა «Восемь месяцев из моей жизни. Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля в 1842 году с 22 марта»). შემდეგ ავტორს მოაქვს ფილ. მეც. დოქტორის გ. შარაძის აზრი ხელნაწერის მნიშვნელობაზე მისი წიგნიდან „არქეოლოგრაფიული ძეგანი“, გადმოცემულია ილიას ცხოვრების თარიღები და სხვ. წერილის ბოლო აბზაცები ეხება თვითონ ხელნაწერის ისტორიას, ავტორი წერს:

„ი. ორბელიანის ამ ნაწარმოების ნაწილი 1949 (უ. ი. „1849“. ა. გ.) წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ (№ 1-5). თხზულების „კავკაზში“ გამოქვეყნებული ტექსტი, მცირეოდენი შემოკლებით, დაურთო ე. ვერდერევესკიმ 1957 (უ. ი. „1857“. ა. გ.) წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნს „Плен у Шамиля“ ხოლო აქედან თარგმნა გ. ლეონიძემ, როცა ის ნ. ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ვრცელ მონოგრაფიულ ნაშრომს ამზადებდა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ი. ორბელიანის თხზულების ხელნაწერი პირველად აღმოაჩინა მკვლევარმა ი. ტროიცკიმ ლენინგრადში, მ. ეორონცოვის არქივში, რის შესახებაც პირველი ცნობებიც გამოაქვეყნა. ხელნაწერი საგანგებოდ შეისწავლა გ. შარაძემ. მან დაადგინა, რომ გამოქვეყნებული ტექსტი ნაწილია ი. ორბელიანის ვრცელი თხზულებისა. მასვე ეკუთვნის პირველი პუბლიკაცია ი. ორბელიანის აღნიშნული თხზულების სრული (?) ტექსტისა“.

წერილი თავდება ცნობით, რომ ხელნაწერის მიკროფილში და აქედან გადაღებული პი-

რები შ. რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტ. ისტორიის ინსტიტუტსა და კ. კეკელიძის სახელ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. უკანასკნელ აბზაცში ე. უბილავა წერს: „ასე რომ მე, შამილის პიროვნებით დიდი ხნიდან დაინტერესებულ კაცს (?), ბედნიერი შემთხვევა მომეცა ი. ორბელიანის სათავედასაყვარლო თხზულების ის თავები მეთარგმნა, რომლებიც გასაგები მიზნების გამო გ. ლეონიძისათვის ხელმეორედ დომელი იყო. მალე ჩვენი მკითხველი ამ თხზულებას ქართულ ენაზე მთლიანად გაეცნობა“.

ეს განზრახვა მისასაღმებელია. ილია ორბელიანის მოგონებების სრული ტექსტის ქართულად დაბეჭდვა საჭიროა, ოღონდ აუცილებელია ილიას „მოგონების“ არსებობაზე თავდაპირველ მითითებათა გათვალისწინება, ასევე აუცილებელია იქედან ზოგი ადგილის ჭერ კიდევ 1932 წელს ქართულად თარგმნის ფაქტის აღნიშვნაც. ე. უბილავა, მგონი, იცნობს გრ. ორბელიანის „წერილების“ ორ ტომს და, როგორც ჩანს, ზოგი რამ მხედველობიდან გამორჩენია (თანაც არც ერთხელ არაა ეს გამოცემა დასახელებული). მოგვაქვს ზოგი აუცილებელი ცნობა ამ საკითხების ირგვლივ.

ჭერ კიდევ 1932 წელს ჩვენ ვიმოგზაურეთ დაღისტანში და რამდენიმე დღე დავყავით ლუნიბში, სადაც შამილი დაატყვევეს 1859 წ. 25 აგვისტოს. ამ მოგზაურობის დღიური სათაურით „გუნები“ (1932) დაგვიბეჭდა მწერალმა კონსტ. ლორთქიფანიძემ 1938 წელს ე. „დროშაში“ (იხ. № 3, გვ. 11-13. იქვეა დაბეჭდილი ლუნიბის სურათიც). ეს ნარკვევი გადაიბეჭდა 1960 წელს ჩვენს წიგნში „ნოველები“ (შდრ. გვ. 159-166). ნარკვევში ჩვენ გადმოვცემთ შამილის უკანასკნელი ნასახლარის ახლოს ვაცნობილ ლეკ მალხაზ-მაგომასთან საუბარსა და დავექნეთ (როცა მან აულის ახლოს სადილეგონზე ანუ ორმოზე მიმითითა და მითხრა — აქ ერთი „ქართველი ბეგი“ ჰყავდა ტყვედ შამილსო):

„უმალვე მივხვდი — მთიელი გულისხმობდა ნიკ. ბარათაშვილის ბიძას ილია ორბელიანს, რომელიც მართლა ჰყავდა ტყვედ შამილს 1842 წელს, მაგრამ გუნებში კი არა (1859 წლამდე თვითონ შამილი არც ერთხელ არ ყოფილა აქ), არამედ დარღში, საჩაჩნოს. დაღისტნის ადგილობრივ მემკვიდრეებს და რუს სამხედრო ისტორიკოსთა არაერთხელ აქვთ მოხსენებული კავკასიური ომის ეს ეპიზოდი — შამილის თავდასხმა ყაზიყუმუნზე 1842 წელს და ილია ორბელიანის დატყვევება. თვითონ ილია ორბელიანი თავის მოგონებაში დაწვრილებით აღწერს დაღისტნულ ორმოს. აღსანიშნავია ისიც, რომ 1842 წელს, როცა ლეკებს დაღისტნიდან მიჰყავ-

დათ იგი საჩაჩნოში, მან, ტყვე ოფიცერმა, შორიდან მოჰკრა თვალი გუნებს და ამ მთის მრავალმხრივ საყურადღებო აღწერილობა დაგვიტოვა. აი ისიც:

„რულუჯადან ნათლად ინახება გუნების მთის სავსებით განცალკევებული დასარჩენი მთებისაგან და მასთან ავირის ყოისუსგანაც, ხოლო მალალი მოხეტქილი კიდევები მას სრულიად მიუდგომელს ჰხდინან. მისი საფუძველი ირგვლივ ორმოცი ვერსია, მცხოვრებთ იქ აქვთ საძოვრები, სათესი ყანები, წყალი და წისქვილები, — ერთი სიტყვით მთელი ლეკური მეურნეობა. გვერდით, ყარახის (sic) ყოისუს მიმართულებით, შვერზე, თითქოს მთელი მთის შუაში, ძვეს სოფელი გუნები, სადაც ას ორმოცდაათამდე კომლია; სამი, ოდნავ შესამჩნევი ბილიკი მიდის ამ მთაზე, ერთი რულუჯიდან, მეორე ხანდახიდან და ხუტოჩობიდან, ხოლო მესამე — მთის სამხრეთით — ყარახის (?) ყოისუდან. შეიძლება კიდევ იყო ბილიკები, მაგრამ მათზე არაფერია ცნობილი... შამილმა გაამაგრა სოფელი და მთა გუნები, გააფუჭა ბილიკები და განზრახული ჰქონდა (როცა გენერალი გრაბე უახლოვდებოდა დარღოს), აქ გადაეყვანა თავისი ჯალაბი და ქონება. თვითონ მან კი საეჭვოა გადაწყვიტოს ამ სოფელში (იგულისხმება აული გუნები. ა. გ.) ან მსგავს ადგილას ჩაიკეტოს, რადგან ტელეტლოსა და ახულგოს აღება უფრო ფრთხილი ვახდა იგი და დაარწმუნა, რომ რუსებისათვის მიუდგომელი ადგილის მოძებნა ძნელია. ის დარწმუნებულია, რომ თუ ასეთ ადგილას ჩაიკეტება, მაშინ, ადრე თუ გვიან, ბლოკადა ან იერიში აიძულებს მას დანებდეს ან დაიღუპოს. ამიტომ არ დაიცვა მან თავი ჭირყეში. შამილი თვითონ ეუბნებოდა თავის მურიდებს, რომ არასოდეს არ გამაგრდება ისეთ ადგილას, რომელსაც რუსები გარემოიკავენ ან იერიშით აიღებენო“ (იხ. ჩვენი „ნოველები“, თბ., 1960, გვ. 165 შდრ. E. Вердеревский. Плен у Шамиля... М., 1857, с. 40-41). ილია ორბელიანის ეს სიტყვები დაწერილია 1842 წელს, გუნების აღებამდე ჩვიდმეტი წლით ადრე. ისტორიულმა აუცილებლობამ აიძულა შამილი თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება შეეცვალა და ისევ გუნები აერჩია უკანასკნელ თავშესაფრად. როგორც ჩანს, შამილს თავიდანვე კარგად ესმოდა გუნებ-დაღის ბუნებრივი მიუდგომლობა, მაგრამ მხოლოდ კრიტიკულ დღეებში ამოსულა აქ... მთიელი იგონებს იმ ქართველს, რომელმაც 17 წლით ადრე იწინასწარმეტყველა გუნების გამაგრების მარცხი; ქართველი „ბეგი“ მართლაც იქდა ისეთ ორმოში, რომლის მაგვარს შეეცქერი



ახლა აულ გუნების მოღზე“ (იხ. ჩვენი ზემოთ დასახელებული წიგნის გვ. 164-166; შდრ. ე. „დროშა“, 1988, № 8, გვ. 12).

ზემოთ მოტანილი ადგილი სწორედ იმ მოგონებებიდან არის თარგმნილი, რომელიც ვერდერეესკის წიგნის 1856 და 1857 წ. წ. გამოცემებშია შეტანილი და რომლის გამოც ე. უბილავა ლაპარაკობს 1983 წელს, ე. ი. ჩვენ 51 წლის წინ აღვნიშნავს აღნიშნული მოგონებების არსებობას

გრ. ორბელიანის „წერილები“-ს I ტომი (რომელიც II ტომთან ერთად ჩავაბარეთ სახელმწიფო გამომცემლობას 1984 წ. გამოვიდა 1988 წელს და იქ, შენიშვნების 244-245 გვ-ზე აღვნიშნავდით (პოეტის მიერ თავისი ძმის ზაქარიასადმი 1842 წ. 20 მაისის თარიღით მიწერილი ბარათის იმ ადგილთან დაკავშირებით, რომელიც ილიას ტყვეობიდან გამოსნას ეხება):

„7. „საბრალო ილიკო“ — ილია ორბელიანი. გრიგოლ ორბელიანს მხედველობაში აქვს ილია ორბელიანის გატაცება მთიელების მიერ 1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში (დაღისტანი). ილია ორბელიანი და მასთან ერთად ორი ოფიცერი (პოლკ. სინაკსაროვი და პრაპ. ანანოვი) ხელთ ჩაუვარდათ შამილის ხელქვეითებს. ტყვეები მიჰგვარეს შამილს დარღომში... ილია ორბელიანმა წვიმიან ღამით სცადა გაქცევა (ივნისის 27), მაგრამ გზაზე სოფელ მეხელტას (დაღისტანი) ახლოს დაიჭირეს და უკან მიჰგვარეს იმამს. ილიას გამოსყიდვის შესახებ შამილთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენერლები: კლუკი ფონ კლუგენაუ და მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი. ბოლოს მიზანი მიღწეული იქნა: ის გადაცვალა შამილმა რუსების მიერ გატაცებულ მთიელ ტყვეებზე (იმამს დაუბრუნეს აგრეთვე ტყვე-ნაიბი შაჰმანდათ-შაჯი). ილია ორბელიანის ტყვეობიდან განთავისუფლება მოხდა იმავე წლის ნოემბრის 27-ს. ილია ორბელიანი შამილს დამწყვდეული ჰყავდა ღრმა ორმოში, იმამის მუქარას მასზე არ უმოქმედნია. იხ. ნ. ბარათაშვილის ცნობა ამ ფაქტის ირგვლივ: „ლექსები“... 1922. გვ. 97. უფრო ვრცლად: Пленницы Шамиля, воспоминания г-жи Дрансе, Тиф., 1859, გვ. 52-56; А. Дюма. Кавказ. ტფ., 1861, გვ. 495-506; თვითონ ილია ორბელიანს აღწერილი აქვს თავისი ტყვეობა: იხ. Плен Шамиля... Соч. Е. А. Вердеревского. СПб., 1856. დამატებაში, გვ. 22-42, („წერილები“, 1, 244-245). აქვე აღვნიშნავთ, რომ ე. ვერდერეესკის წიგნის მეორე გამოცემა დაიბეჭდა მოსკოვში 1857 წ.

„წერილები“-ს I ტომის 222 გვერდზე ილია ორბელიანის ბიოგრაფიაა გადმოცემული და

იგი მთავრდება წყაროების ჩვენებით ასე: „(ბიოგრაფიული მასალები: Акты, т. X. გვ. 38. А. Зиссерман. Двадцать пять лет на Кавказе, СПб, 1879, მეორე ტომი: Дрансе. Пленницы Шамиля, Тиф., 1859, გვ. 52-56; «Кавказ», 1853, № 93. წერილი «Геройская кончина». უფრო ვრცლად: Русский инвалид; 1854, № 1, 3, 4; არსებობს ცალკე ამონაბეჭდი ი. ორბელიანის სურათით. А. Дюма Кавказ. Тифлис, 1861. („წერილები“, 1, 222.). „წერილები“-ს II ტომში, (თბ., 1937 II, გვ. 316) აღნიშნული გვაქვს: „ილია გარდაიცვალა 1853 წ. 9 დეკ. (იხ. Героническая кончина. Кавказ, 1853, № 93)“.

ეს ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები გავიმეორეთ 1980 წელს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის შენიშვნებში (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები. პოემა. წერილები. თბ., 1939. რედაქტორები: ილია თავაძე, აკაკი გაწერელია). აქ, 101 გვერდზე, გადმოცემულია ილიასთან ერთად დაპატიმრებულ პირთა ვინაობანი სათანადო წყაროებზე მითითებებით. აი ისინიც:

„6. სნაქსაროვი (სინაკსაროვი) — პოდპოლკოვნიკი, სამურის ოლქის უფროსი 1841-1842 წ. წ. ტყვედ ჩაუვარდა შამილს 1842 წელს ყაზიყუმუხში (იხ. Кавказ, 1849, № 1. ილია ორბელიანის მოგონებაში: «Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля в 1842 году»).

7. „ყაზიყუმუხის ხანი“ — ილია ორბელიანთან ერთად დაიჭირეს არა მარტო სინაკსაროვი და ანანოვი, არამედ ყაზიყუმუხელი ხანების ოჯახის წევრი გარუნ-ბეგიც (გარდ. 1848 წ.), რომელიც მაშინ ყოფ. ქურის სახანოს მმართველი იყო. შამილის მიერ ყაზიყუმუხის ალბისას (1842 წლის მარტში) გარუნ-ბეგი ამ სოფელში იმყოფებოდა ილია ორბელიანთან ერთად. შამილმა შემდეგში ის გაანთავისუფლა (გარუნ-ბეგის შესახებ იხ. ილიას მოგონებანი Кавказ, 1849, № 1, აგრეთვე — Ив. Загорский. Восемь месяцев в плену у горцев, Кавказский Сборник, т. XIX, с. 221-247).

9. ახმეტ ხანი — ახმეტ ხანი მეხთულელი, ავარიის მმართველი 1840-1842 წ. წ.“.

ჩვენი ცნობების გამოქვეყნებამდე ქართულმა ლიტერატურისმცოდნეობამ აბსოლუტურად არ იცოდა, რომ 1849 წელს „კავკაზში“ ილია ორბელიანის მოგონების ნაწილი (I თავი) დაიბეჭდა (სათაურში არც კია მოხსენებული ავტორის სახელი და გვარი). გ. ორბელიანის

„წერილების“ ორი ტომის გაცნობის შემდეგ გ. ლეონიძემ გამოქვეყნებული თავები ილიას მოგონებისა და ვერდერევსკის წიგნში შესული ნაწილი ქართულად თარგმნა და დაბეჭდა „ლიტერატურული მატრიცის“ № 1-2-ში 1940 წელს (გ. ლეონიძემ მადლობაც მიიხრა „კავკაზში“ დაბეჭდილი მასალის მითითებაზე, იგი მეტსაც შირჩევდა ქართ. ლიტ. ინსტიტუტში დირექტორობისას — გრ. ორბელიანის „წერილების“ ორივე ტომი ხელმეორედ დამბეჭდა მასთან).

გ. შარაძემ ვორონცოვის არქივში დაცული ორბელიანის მოგონების სრული ტექსტი ჩამოიტანა ლენინგრადიდან და მისი დღემდე უცნობი ნაწილი (II-IV თავები) რუსულად გამოაქვეყნა 1969 წელს „ლიტ. გრუზიაში“, რაც საგანგებოდ გვაქვს აღნიშნული, მაგ. 1972 წელს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის შენიშვნებში. ზემოთ მოტანილი ცნობები სინაკსაროვთან დაკავშირებით ასეა გავრცელებული: „იხ. გავ. Кавказ, 1849, №№ 1-5, ილია ორბელიანის მოგონებაში: Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля в 1842 году. შდრ. ამ მოგონების ქართული თარგმანი „ლიტ. მატრიცის“, № 1-2, აგრეთვე: Гурам Шарадзе. Неизвестные записки Ильи Орбелиани о Шамиле. «Лит. Грузия», 1969, №№9, 10.

(იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი. აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბ., 1972, გვ. 223).

გ. შარაძემ ზოგადად დაახასიათა ილია ორბელიანის მოგონებათა მნიშვნელობა „ლიტ. გრუზიას“ ფურცლებზე, დაწერილებით კი თავის წიგნში „არქეოგრაფიული ძეგლები“. თბ., 1973, გვ. 106-107, განსაკ. გვ. 149-154 („ილია ორბელიანის „შამილთან ტყვეობის მოთხრობის“ უცნობი თავები“). ძეგლის არქეოგრაფიული აღწერა სრულია, მასში არაერთი ქრონოლოგიური დეტალია დაზუსტებული. ამასთან შევლევარს მოაქვს ის ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ჩვენ მოვიტანეთ დიდი ხნის წინ. მის წიგნში ილიას დაღუპვისთან დაკავშირებით დ. შენგელაიას მოთხრობის „ბაშკადიკლარის“ დასახელებას მისდევს წყაროს აღნიშვნა:

„შდრ. «Кавказ» 1853, № 93 — Героническая кончина: «Русский Инвалид», 1854, № 1-3, 4“ („არქ. ძეგლ.“, გვ. 149, შენიშვნა).

ილიას ბიოგრაფიასთან და მისი შამილთან ტყვეობის შესახებ დასახელებულია წყაროები, რომელზედაც პირველად ჩვენ მივუთითეთ. მაგ.

„Акты, т. х.стр. XXVIII“ (იქვე, გვ. 149, შენიშვნა):

1. Е. А. Вердеревский. И плен у Шамиля. СПб, 1856, 22-42. Дрансе. Пленницы Шамиля. Тиф. 1859, с. 52-56; А. Дюма, Кавказ. Тиф. 1861, стр. 495-506; Ив. Загорский. Восемь месяцев в плену у горцев. Кавказ. Сборник, т. XIX, Тиф. 1898, стр. 221-247;

2. სინაკსაროვი — პოლკოვნიკი. სამურის ოლქის უფროსი 1841-42 წწ. ტყვედ ჩაუვარდა შამილს 1842 წლის 22 მარტს ილია ორბელიანთან ერთად.

3. ყაზიყუმუხის ხანი — გარუნ ბეგი, რუსებს ემხრობოდა. ისიც ამ დროს ჩაუვარდა ხელში შამილს.

4. ახმეტ ხანი — ავარიის მმართველი 1840-42 წწ. რუსეთის მომხრე. გენერალ-მაიორი (იქვე, გვ. 150, შენიშვნა)“, ე. ი. მითითებულია წყაროები, რომლებიც ჩვენ დავესახელებთ პირველად საგანგებოდ. ე. უბილაყას ევალეზობდა ჩვენ მიერ დავდაპირველად აქ აღნიშნულ ცნობებზე მითითება. ასეთი ცნობები შამილარეულად არ შეიკრებოდა მკითხველს, იგი ხანგრძლივ ძიებათა შედეგია!

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ილია ორბელიანის „მოთხრობის“ რუსული ტექსტის გარშემო, რომელიც „ლიტ. გრუზიაში“ დაიბეჭდა (II-IV თავები). მასში აუარებელი ფაქტიური და კერძოდ, ტოპონიმიკურ სახელწოდებათა და პერსონაჟთა დასახელებისას მიუტყვევებელი შეცდომაა გაპარული, რაც იმით აიხსნება, რომ უფროსში გამოქვეყნებული ტექსტი ორიგინალის ასლია. თვითონ გ. შარაძე სამართლიანად დაუეჭვებია „მოთხრობის“ ავტოგრაფულობას: «К сожалению мы ничего определенного не можем сказать относительно автографичности рукописи, однако смеем утверждать, что Е. А. Вердеревский не записывал рассказ Ильи Орбелиани о его пребывании в плену у Шамиля» («Лит. Грузия», 1969, № 9-10, стр. 173). გავ. „კავკაზში“ დაბეჭდილი ნაწილი, მოგონების I თავი (იხ. 1849 წ. № 1-5) და ე. ვერდერევსკის მიერ პირველად და ნაწილობრივ 1856 წელს (ხელმეორედ კი 1857 წ.) დაბეჭდილი თავის წიგნში (იხ. Е. А. Вердеревский, Кавказские пленницы или Плен у Шамиля... М., 1857, стр. 412-443) —

უეჭველად ასლია ილია ორბელიანის „მოთხრობისა“. შემთხვევითი როდია, რომ ასლი მთლიანად აღმოჩნდა ვორონცოვის არქივში, იგი სუფთად გადათეთრებული პირია და ამგვარ

რი, გრაფიკულად გამართული ხელნაწერი, რა თქმა უნდა, ორიგინალი არ იქნებოდა, თავდაპირველად დაწერილი ავტორის მიერ. ეს ორიგინალი დღესდღეობით დაკარგულად ითვლება (გამოქვეყნებული ტექსტი რომ გადაწერილია, ეს კარგად ჩანს გრაფიკულად უნაკლო ფრაგმენტიდან, რომელიც „ლიტ. გრუზიაში“ დაიბეჭდა. იხ. გვ. 178-ის შემდეგ).

ილიას ჩანაწერები თბილისში უნდა გადაეწერა ვიღაც გამოცდილ კალიგრაფს, რომელსაც ორიგინალის მრავალი სიტყვა სწორად ვერ ამოუკითხავს. ეს აიხსნება ორი მიზეზით: 1. გადამწერი დალისტნისა და საჩაჩნოს ტოპონიმიკისა და მთიელ მოღვაწეთა სახელების უცოდინარი პირი ყოფილა და არც კავკასიის ომში მონაწილე რუსი ოფიცრებისა და შამილის ნაიბების სახელების მცოდნე. 2. „მოთხრობა“-ს ავტორის რედაქცია არ გაუვლია, ამიტომ ილიას არ შეიძლება მიეწეროს არც ერთი შეცდომა ასლისა.

ილია ორბელიანი იბრძოდა ყირიმის ომში; იგი მოკლეს 1853 წელს ბაშკა-დიკლართან (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 193), შეიძლება ის არც იყო თბილისში, როცა მისი „მოთხრობის“ ასლი იქმნებოდა. ყოველივე ამის გამო ამჟამად „მოთხრობის“ ქართულად თარგმნის დროს სპეციალისტი-რედაქტორის თვალყურის მიღვევებაა საჭირო. მაგ. მთარგმნელმა პირდაპირ არ უნდა გადმოიღოს მთელი რიგი საკუთარი სახელები და სოფელთა სახელწოდებანი ისე, როგორც მოგონების ასლშია, მაგ. „ცახკარ“, „სვაიბ“, „დჟევატ-ხან“, „შუბუტა“, „დჟებერლა“, „აუხვაბ“, „ტლესერუხ“, „ნაიბ კარაგსკი“, „კაზევატ“ „ზახლატ“, „იტინო მუსა“, „დანუხ“, „ტილიტლ“, „აკონხიდატლ“, „გლოხ“, „ბატლუხ“, „ტარატუ“ და მრ. ამგვარი, პირდაპირ აუტანელი დამახინჯებანი. ზუსტად ასეთი დამახინჯებებითაა სავსე, როგორც „კავკაზში“ და ვერდერევესკის წიგნში გამოქვეყნებული ნაწილები, ისევე „ლიტ. გრუზიაში“ გამოქვეყნებული ბოლო თავები „მოთხრობისა“. ყველა შეცდომა უეჭველად გადამწერისაა. ქართველმა მთარგმნელმა კი უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორ გამოითქმება ქართულად დალისტნისა და საჩაჩნოს აულთა სახელწოდებანი, არსებობს მთელი რეესტრი ამგვარ სახელწოდებათა სწორი წარმოთქმისა, შედგენილი ქ. კალუგაში კაპიტან ა. რუნოვსკის მიერ და ჩაწერილი თვითონ შამილის კარნაზით. „ლიტ. მატიაწეში“ დაბეჭდილ ქართულ თარგმანში, ილიას მიერ დასახელებული პუნქტებისა და მთელი რიგი საკუთარი სახელების დაწერილობანი კიდევ უფრო დამახინჯებულია და

მთლიანად გასასწორებელია. ამავე დროს რუსულ ტექსტში არა ერთი ისტორიული შეუსაბამობა გვხვდება, განსაკუთრებით შარიატის დოგმების გადმოცემისას და ოკრთ იმამატის ადმინისტრაციული წყობისა და სტრუქტურის დახასიათებისას. კომენტარებში ყველაფერი ეს უნდა გასწორდეს და, უეჭველად, არაა, ჩვენ მზად ვართ ე. უბილაევს ამ მხრივ მაქსიმალური დახმარება აღმოვუჩინოთ. აუცილებელია შამილის იმ ნაიბების თავგადასავლის ცოდნაც, რომელთაც ილია ორბელიანი ასახელებს, თუმცა მისი მოგონების გადამწერი ამ ნაიბების სახელებსაც უმოწყალოდ ამახინჯებს! აქვე დავუმატებთ, რომ 1977 წლის 21 ივნისს არაბისტ აბ. სილაგაძესთან და მთარგმნელ ანდრო წულაძესთან ერთად ჩვენ ვიყავით დარლოში, სადაც გვაჩვენეს შემოღობილი ადგილი (როგორც აულის ისტორიული ადგილი), სადაც შამილს პატიმრების სადილეგო (ორმო) ჰქონდა მოწყობილი. სწორედ ამ ხაროში იყვნენ დაპატიმრებული ილია ორბელიანი და მისი ამხანაგები. ორმოს თავდაპირველი სახე აღწერილი აქვთ თვითონ ილიას და ივ. ზაგორსკის, რომლის სტატია ზემოთ, ბიბლიოგრაფიაში გვაქვს დასახელებული. დარლოშივე გვაჩუქეს აულის სრული გეგმა, რომელზედაც სხვა ისტორიული ადგილებიც არის აღნიშნული. ეს გეგმა შეიძლება დაერთოს ილიას მოგონების ქართულ თარგმანს.

1982. აგვისტო.

ზემოთ მოტანილი სტატია დიდი ხანია დაწერილი გვაქონდა, მაგრამ არ გამოგვიქვეყნებია, რადგან ვფიქრობდით, რომ ჩვენი მეგობარი, პატ. ე. უბილაევი კონსულტაციისა და რედაქციისათვის მოგვმართავდა, რადგან ჩვენი მოსაზრებანი პირადად მოვახსენეთ და ისიც დაგვიპირდა, რომ ჩვენს რჩევას გაითვალისწინებდა. ეს არ მოხდა. და აი, აღ. „საუნჯე“-ს 1983 წლის № 3-ში დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ილია ორბელიანის „რვა დღე შამილის ტყვეობაში (ოფიცრის მოთხრობა)“.

ჩვენი შიში გამართლდა. როგორც ვთქვით, ილია ორბელიანის „მოთხრობა“ ძალზე დამახინჯებულია კარგი ხელის მქონე, მაგრამ შინაარსში ცუდათ გარკვეული კალიგრაფის მიერ (ორიგინალის გადაწერისას). მასში ზმირია კერძო პირთა სახელებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძნელად ამოსახსნელი და ყალბი წაკითხვანი და ისინი, უკლებლივ ყველა, უცვლელად გადასულა ქართულ თარგმანში. დიდად სამწუხაროა, რომ ე. უბილაევს ხელთ არ

ქონია საჩაჩნოსა და დაღისტნის აულების, აგ-  
აგრეთვე ამ მხარის გეოგრაფიული კანტონების  
შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურიდან  
რამდენიმე სავალდებულო ნაშრომი მაინც,  
რომელთა დახმარებით იგი არ გადატვირთავდა  
თარგმანს ასლიდან მომდინარე შეცდომებით.  
ამასთან მთარგმნელს არ გაუთვალისწინებია  
ილიას მიერ დასახელებულ პერსონაჟთა (ნაიბე-  
ბის, გენერლების, ოფიცრების...) სახელების  
სწორი დაწერილობანი, ხოლო ზოგი გვარის  
არაზუსტი გამოთქმა, რაც აგრეთვე მოგონების  
ასლიდან მომდინარეობს, ისტორიულად არ არ-  
სებულ პირთა მთელ გაღერებას ქმნის ქართულ  
თარგმანში. და არ მოიპოვება ერთი გვერდიც  
კი ამ თარგმანისა, რომელშიც ასეთი, დიდად  
სამწუხარო, სურათი არ იყოს გადაშლილი.

თანამიმდევრულად მივყვით მხოლოდ ძალზე  
თვალსაჩინო შეცდომათა აღნუსხვას (რამდენა-  
დაც რეცენზიის ფარგლები ამის საშუალებას  
ბოგვცემს).

1. აღმანახის პირველსავე გვერდზე (გვ. 131)  
„მოოხრობის“ მესამე სტრიქონში თქმულია  
„ყოისუბუს საზოგადოებაში (?) ყოფნისას“. რუსულად წერია („კავკაზ“, 1849, № 1);  
«В Койсубулинском обществе», მაგრამ იგუ-  
ლისხმება „ყოისუბუს თემი“ და არა „საზო-  
გადოება“ (40-იან წლებში მთიელთა თემების  
აღსანიშნავად იხმარებოდა „ობშჩესტვო“,  
მაგრამ ამჟამად მისი პირდაპირი და თანამედ-  
როვე მნიშვნელობით ხმარება არ შეიძლება  
მთიელთა თემების სახელწოდებათა გადმოღე-  
ბისას, თუმცა ანალოგიურ კალკს სხვა ქართულ  
თარგმანებშიაც ხშირად შეხვდებით).

2. მომდევნო, 132 გვერდი აჭრელებულია გა-  
მოთქმებით „აკუშოში“ (в Акушу), მაგ. „აკუ-  
შოს ყადთან“... „აკუშოსა და წუდახარს“ და  
ა. შ. მაგრამ ასეთი აული („აკუშო“) დაღის-  
ტანში არაა, არის აყუშის თემის მთავარი აუ-  
ლი აყუშა (რუს. „აკუშა“), ამიტომ უნდა დაი-  
წეროს „აკუშაში“, „აკუშის ყადთან“, „აკუ-  
შადან“ (შდრ. გვ. 139: „აკუშოდან“ (?) და  
ა. შ.).

3. იქვე: „კოპორას, აბუხას და სხვა...“. არის  
აულები „კოპორი“ და „ობუხა“ ან „ობოხი“. ამიტომ არ შეიძლება ითარგმნოს „კოპორას“,  
„აბუხას“ და ა. შ. აული ობოხ-ი ანდალა-  
ლის თემში შედის აულ კოპორ (კუპორ)-თან  
ერთად; (შდრ. რუსული „კიგერ“, „კოგორ“).

4. იქვე: „კურინის სახანო“. ესაა თარგმანი  
«Кюринское ханство»-სი. უ. ი. ქურის ხა-  
ხანო. ასევე შეცდომაა (იხ. გვ. 133) „კიურინის  
ორასკაციანი“ და „ორასი კიურინელი მყავს“  
(უ. ი. „ქურის“, „ქურინელი“ შდრ. გვ. 134:  
„კურინელი ჯარისკაცი“, „კურინელები“ და

გვ. 137: „კურინის (?) რაზმი; უ. ი. „ქურის რაზ-  
მი“ და ა. შ.).

5. გვ. 132: „ზირანაში იდგა“. უ. ი. „ზირანში“  
ან „ზირიანში“. „ზირანა“ სახელწოდება არ არ-  
სებობს.

6. გვ. 133 „ყარახისა და მუკრატლის საზო-  
გადოებებთან“ (ასლში დამახინჯებულად სწერია  
«Карахское и мукратльское общество»).  
უნდა იყოს: „ყარახისა და უნკრატლის თემებ-  
თან“ (აული ან თემი „მუკრატლი“ — არ არ-  
სებობს)!

7. იქვე: „სულარათლელები“... უ. ი. „სულ-  
რათლელნი“ ან „სულრათლელები“ (აული „სუ-  
ლარათლა“ არ არსებობს). სულრათლი (რუს.  
„სოგრატლ“ ან „სუგრატლ“) — ანდალალის თე-  
მის მთავარი აულია ქოხის (ჭუხის) შემდეგ.

8. გვ. 134: „ანდის ყადი და ყარახელი აბ-  
დულ-რაჰმან დიბირი“. უ. ი. „ანდის ყადი და  
ყარახელი... დებირი“.

9. იქვე ძალზე კუროზულია შემდეგი  
შეცდომა: რუსულად სწერია («Кавказ»,  
1849, № 1); «У Гарун Бека было  
20, у меня 17 и Ахтинцев 25 нуке-  
ров». ე. უბილავა თარგმნის: „პარუნ-ბეგს ჰყავ-  
და ოცი ნუქერი, მე—ჩვიდმეტი, ხოლო ახტინს-  
კის — ოცდახუთი“. ამრიგად, ქართულ თარ-  
გმანში ახტელები („ახტინცი“), მთიელთა ტომი,  
გამოყვანილია როგორც ერთი პიროვნება,  
ოფიცრად თუ სხვა ჩინის მქონე პერსონაჟად!  
ამიტომაც კავშირის ფორმა ი შეცვლილია ა-დ  
(„ხოლო“). ეს იმას გავს, ვინმემ «ХАХЕТИНЦЫ»  
თარგმნოს, როგორც კაცის გვარი (მაგ. ასე:  
„ახტინსკის ჰყავდა“ და ამგვარი რამ!).

10. გვ. 137. „...ჩირქეისა და გიმრის“...  
უ. ი. „ჭირყეი“ ან „ჭირყაი“ (შდრ. გვ. 139:  
„ჩირქეელები დაგვიყენეს“... „ჩირქეელი იყო“...  
შენიშვნაში: „სოფ. ჩირქეის აღების შემდეგ“...) და  
ა. შ. და ა. შ.

11. გვ. 141: „უნტიბში ღამე გავათიეთ. გან-  
თიადისას რულჯავასკენ გავგრეკეს“. ასეთი  
სახელწოდების აულები დაღისტანში არაა.  
„უნტიბი“-ს ნაცვლად უ. ი. „უნტი“ (მღებ. აულ  
ლუნიბთან), ხოლო „რულჯავა“-ს ნაცვლად უ. ი.  
„რულჯა“ (რუს. «Руджа»). მთარგმნელი რუ-  
სულ დაწერილობებს ურევს, მაგ. იქვე, რამდე-  
ნიმე სტრიქონის შემდეგ, წერს „რულჯავამ-  
დე“ (?). არც „რულჯავა“ არსებობს!

გვ. 138-ის შენიშვნაში ნაიბ აბაქარ-დებირთან  
დაკავშირებით ილია ამბობს, რომ შამილმა ის  
გადააყენა „ჩიჩის საქმის შემდეგ“. უნდა იყოს  
„ჩიჭის საქმის შემდეგ“, რადგან იგულისხმება  
აული ჩიჭა, რომელსაც სხვათა შორის იხსენიებს  
ნ. ბარათაშვილიც ბარათში ბიძის ზაქარია ორ-

ბელიანისადმი 1844 წლის 15 აპრილის თარიღით (ამ აუღთან დაამარცხა ზაქარიამ მთიელე-ბი, რომლის გამო მისი ძმისშვილი გახარებულა). ამ ბარათის შესახებ პოეტის ნაწარმოებთა 1939, 1945 და 1972 წ. წ. გამოცემის შენიშვნებში ჩვენ ვწერდით: „მ. იგულისხმება შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1842 წლის 1 მაისს აულ რიჭასთან (მდებ. ყოფ. ქურისა და ყაზიყუმუხის სახანოების საზღვარზე) ოფიცრებმა ზ. ორბელიანმა, ყორღანაშვილმა და მალალაშვილმა სასტიკად დაამარცხეს მთიელები (იხ...  
**Ф... Рычинское дело 1 мая 1842 года.**  
**«Кавказ» 1846, № 10; შდრ. პოეტის ლექსების 1922 წ. გამოცემის გვ. 162 აულის სურათი. იხ. გ. გაგარინის ალბომში La Coucasse pittoresque, Paris, 1847) (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბ., 1972, გვ. 226). მთარგმნელს რომ ამ გამოცემაში ჩაეხედა, არ დაწერდა „რიჩის საქმე“-ს და თვითონ რიჭაში მომხდარი სამხედრო ამბების გამოც მიაწვდიდა მცირე ცნობებს მაინც მკითხველს („თბილისი“-ს ნაცვლად ხომ არ იწერება „ტბილისი“?).**

12. გვ. 141. იმავე რუღაზე: „რუღავეიდან(?) გავუღეპით ტილიტლის გზას, აქ ღამე გაგვათე-ვინეს და განთიადისას გაეწიეთ გოლოთლოში, რომელიც ტილიტლიდან რვა ვერსითაა დაშორებული“. უ. ი. — „რუღადადან“... „ტელეტლის“. „...ლოლოთში“. „ტელეტლოდან...“ ტელეტლო ან თელეტლო (თარგმანში ყველგან „ტილიტლია“ რუსული დაწერილობის გავლენით) შამილის ცნობილი მურშიდის და ნაიბის ყიბით-მაჰმადს (ყიბიტ-მუჰამედის) რეზიდენცია იყო. ამ ნაიბის სახელს ე. უბილავე მეტწილად რუსული გამოთქმით და სხვადასხვანაირად წერს: „კიბიტ-მაჰმადი“ „ტილიტლელი კიბიტ-მაჰმადი“ (გვ. 163). ამასთან, 146-ე გვერდზე, თარგმანში წერია: „თილითში“, ხოლო 184 გვერდზე აღნიშნულია: „ტილითლელი კიბით-მაჰმადი“. ასეთი სიჭრელე თარგმანში ძალიან ხშირია, მკითხველი რომელს ერწმუნოს?

13. იქვე (გვ. 141): „ხიდათლის საზოგადოების“... შეცდომაა, უ. ი. „შიდათლის თემის“...

14. იქვე (გვ. 141): „ძლივს მივაღწიეთ ბაოლუხს“ (?). არც ასეთი აული არსებობს დაღისტანსა და საჩაჩნოში. იგულისხმება აული ბათლუხ-ი (რუს. „ბატლუხ“), მდებარეობს მდ. ასო-ს ნაპირას და შედის წუნტა ახვახის თემში. ამ აულში გაიარეს ილია ორბელიანმა და სხვა პატიმრებმა.

უნდა გავიმეორროთ, რომ შეუძლებელია დაწვრილებითი აღწერა იმ მრავალგზის განმეორებული შეცდომებისა და სახელწოდებათა სიჭრელისა, რომელიც ილიას „მოთხრობის“

ასლიდან გადასულა სრულიად არაკრიტიკულ ქართულ თარგმანში. აქ დამატებით მოგვაცქვს, ოღონდ ვრცელ განმარტებათა გარეშე, მცდარი წაკითხვანი და მათი სწორი გამოთქმები, რომელიც დაღისტან-საჩაჩნოს ონომასტიკონის მცოდნისათვის გასაგებია თუნდაც რუღებზე უბრალო დაკვირვების ნიადაგზე. ამასთან, იგივე აულით აულთა რუსულ და ქართულ შესატყვის გამოთქმებს.

თარგმანში ხშირადაა მოხსენებული: 1. „აუხვახ“. უ. ი. ახვახი (რუს. „ახვახ“. იგულ. რუთლუ-ახვახის თემის (და არა წუნთა-ახვახის) თემის აული. 2. „აუხვახელები“. უ. ი. ახვახელები. 3. „კარატის საზოგადოების მოსახლეობა ბოგოლალურ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც სრულებით განსხვავდება აუხვახურისა და ავარულსაგან“. უ. ი. „კარატას თემის მოსახლეობა... ახვახურისა და ავარიულისაგან“. 4. გვ. 142: „შეგნკრდით ინხვალში, რომელიც მდებარეობს ანდიის (?) ყოისუს შესართავთან“. უ. ი. „ინხვალში“, რადგან იგია აულის სახელი და არა „ინხვალი“. იქვე ნათარგმნია: „...შეგნდით მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე სოფელ კონხიდატლში“. დამახინჯებულია სოფლის ნამდვილი სახელი „კონხიდათლი“ (რუსულში „კონხიდატლ“ (შდრ. იქვე, 13 სტრიქ. „ინხვალსა და კონხიდათლში“. აქ კი მეორე აულის სახელი გადამწერს სწორად ამოუკითხავს ილიას ღედანში და იგი ქართულ თარგმანშიაც სწორად გადმოსულა. მაგრამ მაშინ პირველი შეცდომა რად არ გასწორდა?). 5. გვ. 143: „გოგათლინის ღელეები“. (??). უ. ი. „გოგათლის ღელეები“. ხომ არ შეიძლება „ბორჯომსკიე რუჩეიკი“ ითარგმნოს, როგორც „ბორჯომსკის ღელეები“? ან კიდევ: „დარიალსკოე უშჩელიე“, როგორც „დარიალსკოეს ხეობა“? არ ებოძება აული გოგათლი და არა „გოგათლინი“ (რუსულში ზმნა სახელთანაა გაერთიანებული ქართულ თარგმანში და ასე — ძალიან ხშირად!). 6. პირდაპირ სასიწარკვეთილებას იწვევს ქართული თარგმანის ზოგი ამზაცი. მაგ. შამილის რეზიდენციის დარღოსკენ ყაზიყუმუხიდან მიმავალი ტყვე ილია ჰყვება (გვ. 143) „...წინ გადაგეშალა მშვენიერი ველი, რომელიც ყოველი მხარეიდან ხუთი თუ ექვსი ვერსის მანძილზე ძირს ერტყმის დარღოს — სოფელ ბოთანამდე (??), წუვენტიერამდე (??), შიშლეგ ბოლმითამდე (??) და მის ირგვლივ, ხეობის საწყისამდე“. არც ერთი ამ აულის სწორი წაკითხვა არ ხერხდება, რადგან დარღოს სხლობლად (და საერ-

თოდ საჩაჩნოში) ასეთი აულები ისტორიულად არაა ცნობილი, მათ ვერ ვიპოვით ვერც ად. ბერტეს ცნობილ წიგნში „საჩაჩნო და ჩაჩნები“ (თბ., 1880), ვერც პაგირევის შესანიშნავ „მაჩვენებელში“ (თბ., 1918) და, რაც მთავარია, ვერ ვიპოვით მათ თვითონ საჩაჩნოში ილიას მონათბრობში ნახსენები აულების ნამდვილ სახელწოდებათა დადგენა ავტოგრაფის აღმოჩენის შემდეგ გახდება შესაძლებელი. 7. იქვე (გვ. 143) შენიშვნაში მოხსენებულია „ანდიის ყუიხუ“ (რუს. „ანდიისკოე კოისუ“) და „ანდიის“ ქედი“-ც („ანდიისკი ხრებეტ“) უ. ი. „ანდიის“ ხეობა და ა. შ. 8. გვ. 145: „რუსების მცირე რაზმმა რაჭახთან (?) დაამარცხა მთიელები“. უ. ი. „...რულჯახთან...“ მთარგმნელი, როგორც წესი, წამდაუწუმ იმეორებს გადამწერის ხშირ შეცდომას. 9. იქვე: „კარახელი ნაიბი...“ უ. ი. ყარახელი... 10. იქვე: „აუხოველ ულუ-ბეის...“ უ. ი. აუხის. აკი წინა სტრიქონში სწერია: „აუხის ნაიბებს?“ 11. შამილის ნაიბზე თქმულია: „იჩქერელ შუემბუს“ (??). ეს შეცდომა მრავალგზის, ხაზგასმით და ვრცლადაა განმეორებული (ისევე, როგორც რუსულ ტექსტში), მაგ. 146-ე გვერდზე ასე: „შუემბუ (ბაზგასმით, ა. გ.), პატარა ტანის კაცი იყო, შავგვრემანი, ოღნავ ნაყვავილარი სახე ჰქონდა... და მხოლოდ ერთხელ, 147-ე გვერდზე, მასზე მითითებულია ამგვარად: „იჩქერია (ნაიბი შუაიბი)“. შუემბუ-ს ნამდვილი და სწორი გამოთქმა არის სწორედ ეს შუაიბი 1844 წლამდე იჩქერიის (დიდი საჩაჩნოს თემი) მომიჯნე მხარის მიჩივის ნაიბი იყო შუაიბ-მოლა, რომელიც შურისძიების ნიადაგზე მოჰკლეს მისივე რეზიდენციაში, აულ წონთერში (წონთეროი) 1843 (თუ 1844)? ა. გ.) წელს (იხ. ად. ბერტე, საჩაჩნო და ჩაჩნები. თბ., 1860, გვ. 111). „შამილის პიროვნებით დიდი ხნით დაინტერესებული პირი“ კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული კავკასიის ომის მონაწილე, შამილის გამოჩენილი ნაიბების სახელებსა და თავდასავლებში არავითარი „შუემბუ“ არასოდეს არ არსებულა და ეს არც ილიას მონათბრობის ცუდად გადამწერმა იცის და არც ახლის ქართველმა მთარგმნელმა. მათ არც ის იციან, რომ „შუემბუს“ ნამდვილი სახელი შუაიბი იყო. ამასთან, ნაიბ შუაიბ-მოლასთან ბევრი ლეგენდარული ამბავია დაკავშირებული. ამგვარი ცოდნის ნიადაგზე იქმნება თარგმანში ფრაზები: „ულუბეი თავის თავს შუემბუზე მალლა აყენებდა“ (იქვე), „შუემბუ და ულუ-ბეი სულ რუსების გინებაში იყვნენ“ (იქვე, აღმ. გვ. 146), „შუემბუ და ულუ-ბეი გენერალ გრაბეს შეხვდნენ იჩქერიელებისა და აუხვახელების (?) რაზმებით“ (გვ. 148) და მისთ. პირდაპირ უნდა

განვაცხადოთ: კავკასიის ისტორიის მკვლევარ ურში მხგავსი ფრაზები ფიქციურ „შუემბუზე“ — კომიკურად ელერსი (შუაიბის შესახებ დამატებით იხ. А. Юров, 1844 год на Кавказе. «Кавказский Сборник», т. VII, стр. 216; А. Зиссерман, История 88-го Кабардинского полка, т. III, стр. 373-384 და მრ. სხვ.). 12. გვ. 144: „...ყადი გვეწვია, სახელად ნურმახმა, იგი ჩირქელებიდან (?) იყო“. უ. ი. „...ნურ-მაჰმადი (ან ნურ-მუჰამედი) პირუელი“. ეს პირიც კარგად ცნობილია კავკასიის ომის ისტორიაში. ამასთან, თუ რუსულში არ არსებობს თანხმოვნები — თ, ფ, ქ, ლ, ჭ, ყ, — და მისთ. ამიტომ ისინი უნდა გავდევნოთ ქართულ თარგმანში? აკი ეს ბგერები კავკასიური ენებისთვის ეგზომ დამახასიათებელია?! მთარგმნელი ზოგჯერ, მხოლოდ აქა-იქ თუ იცავს ამ წესს, მეტწილად კი — არა (მაგ. სისტემატურად წერს „ჭებერლა“-ს), უ. ი. „ჭიბერლო“ და სხვ.) 13. გვ. 145: „ახულგოელი ალი-ბეგის ვაჟი“ (?). მკითხველისათვის უცნობი რჩება მისი ვინაობა, თუმცა 1839 წელს გენერალ-ლეიტენანტ პავლე ქრისტეფორეს ძე გრაბეს მიერ შამილის ვაჟ ჯემალ-ედინთან ერთად წაყვანილი ამ პირის ვინაობა სპეციალურ ლიტერატურაში (მაგ. გენერ. მილიუტინის მოგონებებში, ჩვენ მიერ გამოცემულ გრ. ორბელიანის „წერილებში“) კარგად ცნობილია. ილია ორბელიანი „მოთბრობის“ მთარგმნელმა ყოველივე ეს ზედმიწევნით უნდა იცოდეს, თუ თვითონ ილიასათვის იგი უცნობი იყო. 14. იქვე (გვ. 145): „19 აპრილს. მუსეიმი მართლმორწმუნეებს მოუწოდებდა დილის ნამაზისათვის“. რუსულ ტექსტშია: «Наступило 19-го апреля. Мусейм призывал правоверных к утреннему намазу» (Е. А. Вердеревский. Плен у Шамиля... т., 1857, стр. 425). გადამწერის ფრიად უხეში შეცდომა „მუსეიმი“ (ასეთი სახელი არაბულ-სპარსულ ონომასტიკონში არცაა!) ქართულშიც გადმოსულა. ცნობილია, რომ მუსულმანებს ნამაზისათვის (ლოცვისათვის) ჩვეულებრივ მინარეთიდან ან მიზგითას ბანიდან მოუწოდებს მუეჟინი და არა ვინმე (არარსებული!) „მუსეიმი“, დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო გადამწერის ეს კუროზული შეცდომა შეგვენიშნა და ქართულადაც არ გადმოგველო იგი. 15. გვ. 148; „ტულოხელი პაჯი-მურატი“. აული „ტულოხი“ დაღისტანში (და საერთოდ არსად!) არ არსებობს. სახელგანთქმული ნაიბის სამშობლო აული იყო თლოხ-ი, მდებარეობს ავარიაში, მდინ. ანდის ყოისუს ნაპირას. და ეს კარგად უნდა იცოდეს ლ. ტოლსტოის განთქმული მოთბრობის ქართველმა

მთარგმნელმა, თუმცა ამ ნაწარმოების თარგმანში (საერთოდ ტოლსტოის „კავკასიური მოთხრობების“ თარგმანში) მსგავსი შეცდომები ძალიან ხშირია, მაგრამ მათზე საუბრისათვის ადგილი აქ არაა. თანაც: თარგმანის 163-ე გვერდზე აღნიშნულია: „ავარიის ოლქი, უფროსი პაჭი-მურატი, ამასთან შემოდის თლოხის (აქ კი აულის სახელი სწორადაა თარგმნილი, ა. გ.), თეხნუცალის, აუხვახის (უ. ი. ახვახის, ა. გ.), კარატის (?) და ყოისუბუს აულები“. მთარგმნელს სწორედ ეს თლოხ-ი უნდა გაეთვალისწინებია, როცა ზემოთ მოტანილი ტექსტის შეცდომა ასე დამახინჯებულად გადმოჰქონდა ქართულადაც: ტულოხელი (???) პაჭი-მურატი — (!!!!)! 16. შამილის ერთ-ერთ განთქმულ ნაიბზე თქმულია (გვ. 147-8): „ახვერდი-მაჰმადი... ვიდრე ილალინის საქმეებს არ შორჩაი!“ შდრ. გვ. 161: „ილალინის საქმეებმა გააძლიერეს შამილი“ და სხვ. უ. ი. „ვიდრე ილალის საქმეებს არ შორჩაი“, რადგან იგულისხმება აულ ილალითან ბრძოლა. 1842 წელს და იქ შამილის გამარჯვება (იხ. ზემოთ). არსებობს აული ილალი (რუს. „იგალ“), რომელიც თარგმნის ზოგიერთ ადგილას სწორადაა მოხსენებული. მაგ. გვ. 154: „სოფელ ილალისკენ წამოსულიყო“; „...მონაწილეობა არ მიუღია ილალის ლაშქრობაში“ (იქვე) და მისთ. მთარგმნელი ცუდად ამოწერილ რუსულ ტექსტს ერთგულად მისდევს და არ ცდილობს ერთი და იმავე ადგილის თუ სოფლის დაწერილობათა ერთფეროვნება დაიცვას, თუმცა რუსული ტექსტი აქა-იქ ამის საშუალებას იძლევა. სხვათა შორის ეს იწვევს გრამატიკულ აბსურდებსაც: „ილალინის საქმეები“ («Игалинские дела») იმას მიაგავს, რომ მაგ. ფრაზა «Шамхорская битва» ვინმემ თარგმონს, როგორც „შამხორსკაიას ბრძოლა“ ან «Крцанисские дела», როგორც „კრცანისკის საქმეები“! 17. იქვე: „ყიალალელი სურხაი“. უ. ი. კიალალის სურხაი“ (არსებობს აული „კიალალის“; შდრ. თვითონ თარგმანში გვ. 163: („კიალალის“) და არა „ყიალალი“. ავარიულ ონომასტიკონს გაქართულება ყოველთვის არ უხდება. 18. მთარგმნელი ყველგან წერს (როგორც ოდესღაც ჩვენც): „მიურიდი“, „მიურიდეები“, „მიურიდებთან“, „მიურიდიზმი“ და ა. შ. ამჟამად კი უნდა ვწეროთ (უეჭველად!) — „მურიდი“, „მურიდეები“, „მურიდიზმი“ და ა. შ. ჯერ კიდევ 1859 წელს პეტერბურგში ცნობილმა ორიენტალისტმა, პროფ. ალ. კაზემბეკმა დაბეჭდა გამოკვლევა სათაურით „მურიდიზმი და შამილი“; „მიურიდი“ — რუსული კალკია! „გუნები“-ს ნაცულად უნდა ვწეროთ „ლუნები“! 19. 149-ე გვერდის შენიშვნა, თეთრი პეტრიტით დაფარული, ისევ უმოწყალოდაა გადატვირ-

ული დაღისტნის აულების დამახინჯებული დაწერილობებით. მაგ. „ლაკუშოელები“ (უ. ი. „აკუშელები“), „ახტინელები“ (უ. ი. „ახტელები“), „ყოისუელები“ (უ. ი. „ყოისუბტელნი“), „ენეზაპნოიდან“ (უ. ი. „ენეზაპნაიდან“; ეს ციხე-სიმაგრე ჩრდ. კავკასიურ ვულკანურ მთებშია, თარგმანში კი სხვადასხვადასმულია წერია „ენეზაპნოი“. ასევე — „აქსიიდან“ (?). ასეთი კუთხე ან სოფელი არ არსებობს (არსებობს მდ. აქსაი). 20. გვ. 150: „თეხნუწის საზოგადოების ნაწილი“. უ. ი. „ტეხნუცალის თემის“... 21. გვ. 153: „მდინარე ლამან-სუს გავყევით“... უ. ი. „მდ. იამან-სუს გავყევით“, რადგან იმავე გვერდზე თქმულია: „მდინარე იამან-სუს ნაპირებს გავყევით“. საჩაჩნოში მარტო ორი მდინარეა ამგვარი დაბოლოებით: იარიკ-სუ და იამან-სუ, მდ. „ლამან-სუ“ კი არ არსებობს (იხ: ალ. ბერევე, საჩაჩნო და ჩაჩნები, 1860. გვ. 18). ამასთან, პირადად ჩვენც გვიმგზავრია ამ მდინარის (იამან-სუს) ნაპირების გასწვრივ (1973 წ.). 22. გვ. 155 „შამხანლარი“ და „აბრუდარახ-მანი“. ამ ნაბეჭდის საჩუღებიც უმოწყალოდ დამახინჯებულია. უ. ი. შამხანლარი და აბდურ-რაჰმანი ისინი კარვალ ცნობილი პირებია კავკასიის ომის ისტორიაში. 23. გვ. 157: შამილას შესამეო ღირ წინების შესახებ ყაზიყუმუხელ აბდულას ქალიშვილზე აღნიშნულია, რომ ეს მოხდა „სოფელ შელში“. მაგრამ ასეთი სოფელი საჩაჩნოში (და საერთოდ!) არ არსებობს, ნამდვილად კი იგულისხმება განთქმული სოფელი შალი (აული დიდ საჩაჩნოში). ეს ქორწილი შედგა 1840 წელს (და არა 1842 წელს, როგორც ილია მოგვითხრობს). ცნობა ამის შესახებ მთარგმნელს შეეძლო ამოეკითხა ჩვენ მიერ 1937 წელს გამოცემული გრ. ორბელიანის „წერილები“-ს მეორე ტომში. იქ, გვ. 306-307 შორის, ჩაწებებულია ვრცელი გასაშლელი „შამილისა და მისი ნათესავების გენეალოგიური შტო“, სადაც შამილის მეოთხე (და არა მესამე!) ცოლის შესახებ წერია: „4. ზაინაბი... ჩეჩნეთში გადახვეწილ ყაზიყუმუხელ აბდულას ქალი. შამილმა ითხოვა ჩეჩნელებთან დაახლოების მიზნით 1840 წლის ნოემბერში. იმამმა მასთან 3 საათი დაჰყო გარეშე პირთა თანდასწრებით და შემდეგ გაეყარა“. ეს ცნობა ასწორებს ილიას მიერ ყურმოკრულ, ქრონოლოგიურად მცდარ და არასრულ ცნობებს. აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ ისტორიული დოკუმენტის გამოქვეყნება გეოგრაფიული ადგილების, ცალკე პირთა შესახებ გადმოცემათა ზუსტად წაკითხვისა და აუცილებელი კომენტარების გარეშე — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამგვარად დაბეჭდილი მასალა ხომ შეიძლება ვინმემ გამოიყენოს და შეცდომებით

გამრავლოს თავისი „მხატვრული“ თხზულება, წერილი თუ ნარკვევი? 24. იქვე, ბოლო აბზაცში: „სალაის მთებზე რუსის კომანდას შეეხვები“. უ. ი. სალაიაუს მთებზე... რადგან „სალაის მთები“ — არ არსებობს. თანაც მთარგმნელს უნდა გაეცნო კავკასიაში 1842 წელს მიმდინარე საომარი ოპერაციის მარშრუტები, მაშინ იგი „სალაის (?) მთებს“ არ დაწერდა ტექსტის ცუდად გადამწერის ზეგავლენით!

158 გვერდიდან იწყება ილიას „მოთხრობის“ ცალკე თავი „მოკლე ნარკვევი შამილის გარშემო“ (158-161). უკვე 159-ე გვერდიდან მკითხველი აწყდება უმძიმეს შეცდომებს. მაგ. 1837 წელს დაღისტანში მიმდინარე სამხედრო ექსპედიციებთან და შამილის გაძლიერებასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ რუსებმა ამის შემდეგ საჭიროდ ცნეს მთიელებთან მოლაპარაკების გამართვა და „ეს უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო გრაფ. ივლიჩის (?) დამარცხებით აშილთაშის მიხადგომებთან, ხადაც იგი სიცოცხლეს გამოესალმაო“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. გ.). რუსულად ეს ადგილი ასე იკითხება: «События эти были, во первых, поражение Графа Ивлича под Ашилташи (უნდა გადმოეწერათ: «под Ашилтами», ა. გ.), где последний лишился жизни» («Лит. Грузия», 1969. № 9—10, стр. 174).

მაგრამ არავითარი „გრაფი ივლიჩი“ არ არსებობდა, ხოლო მთარგმელს ტექსტში გაბარული შეცდომა «под Ашилташи» ცუდად გაუგია ადგილის სახელწოდებად, უნდა ეთარგმნა კი ასე: „...გამოწვეული იყო... დამარცხებით აშილთასთან“, რადგან არსებობს აული აშილთა, შამილის რეზიდენცია 1835-1837 წ. წ., სადაც ჩვენ ვიყავით 1935 წელს მხატვ. დ. კაკაბაძესთან ერთად და იქ შევიძინეთ ორიდან ერთი ძირითადი ვარიანტი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე არაბული ხელნაწერისა, შამილის მდივნის მუჰამედ ტაპირ-ყარახელის მიერ შედგენილი ბიოგრაფია („ქრონიკა“) შამილისა, ამ უკანასკნელის კარნახით დაწერილი (ეს ბიოგრაფია დიდხანს დაქარგულად ითვლებოდა და შამილი ძალიან დარდობდა ამის გამო). იგი გამოსცა, ჩვენი და მეორე ვარიანტის გათვალისწინებით, ლენინგრადში არაბისტმა ბარაბანოვმა 1941 წელს აკად. ი. კრაჩკოვსკის რედაქციით ორ ტომად (არაბული ტექსტი და რუსული თარგმანი). აშილთაში მოპოვებული არაბული ტექსტი „ქრონიკის“ ვარიანტისა ამჟამად ჩვენს ხელთაა და იგი სპეციალისტის მიერ ხელახლა თარგმანს ელის, რადგან ჩვენს არაბისტ გ. ვ. წერეთელს ბარაბანოვის თარგმანი სრულიად

უვარგისად მიაჩნდა. ამიტომაც მან თავის „არაბულ ქრესტომათიაში“ (თბ., 1949) ტაპირ-ყარახელის „ქრონიკის“ მცირე ნაწყვეტი ახალი რედაქციით დაბეჭდა. ამ წიგნის ჩვენთვის ნაჩუქარ ეგზემპლარს კი შემდგენელის ამგვარი წარწერა აქვს: „ძვირფასი ნაწილი გაწვევულის, კეთილი სურვილებით და იმედით, რომ ეს ქრესტომათია ბიძგს მისცემს მას არაბული ენის შესასწავლად, რათა მუჰამედ ტაპირის აქ გამოქვეყნებული ტექსტი თვით შეადაროს მის მიერ აშილთაში აღმოჩენილ ხელნაწერს. გულწრფელი სიყვარულით შემდგენელი. 1. 1. 1950“ (დაყოფანი ჩვენია, ა. გ.).

ამის შემდეგ მაინც დაიჯერებს მკითხველი, თუ ვინაა ამჟამად მსოფლიო ორიენტალისტიკისათვის კარგად ცნობილი ხელნაწერის ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტის აღმომჩენი!

ე. უბილაკა უნდა იცნობდეს ჩვენს დღიურს მაინც „მთების ქვეყანაში“ (იხ. „ნოველები“, თბ., 1960), სადაც ამ ხელნაწერის ისტორიაა მოთხრობილი და რასაც ჩვენ დავუბრუნდით საგანგებოდ მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1974, გვ. 174-175). მთარგმნელს ეს ცნობები რომ გაეთვალისწინებინა იგი აღარ დაწერდა აშილთას ნაცვლად სასაცილო „აშილთაში“-ს და რუსულად დამახინჯებული ფრაზის შინაარსსაც უკეთ გაიგებდა. მაგრამ არის მეორე და უფრო დიდი გაუგებრობა: ქართველმა მთარგმნელმაც არ იცის, ვინაა სახელდობრ აშილთასთან დამარცხებული გრაფი, რადგან კავკასიურ ომში (და არც ერთ ომში ხაერთოდ!) არარსებული „ივლიჩი“ გვარის მქონე სამხედრო პირი არ მონაწილეობდა! შეიძლება პირადად ჩვენ ვიცით, ვინაა ეს „ივლიჩი“, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მთარგმნელი ოდესმე მაინც აუხსნის მკითხველებს ილიას „მოთხრობიდან“ გადამწერის მიერ დამახინჯებულად ამოწერილი გვარის მქონე პიროვნების ნამდვილ გვარს და ვინაობას. 25. გვ. 159: ისევ „ტილიტლი, კუიადა...“ უ. ი. „ტელეტლო“ (ან: „თელეტლო“) და უუიადა. 26. იქვე (გვ. 159): „იჩქერიის სოფელ ბოიანიდან“... „ბოიანში“ შამილი გულთბილად მიიღო ტაშოვ-მაჯიმ“ და ა. შ. „ბოიანი“ დამახინჯებული სახელია აულ ბენოი-ს, რომელიც მდებარეობს იჩქერიაში (დიდი საჩაჩნო), მდ. აქსაის მარჯვენა მხარეს, დარღოს მახლობლად. ჩვენ გავკვივლი ამ აულში (1973 წელს). 27. გვ. 160: მოთხრობილია ორი თავზე ხელადებული ძმის, შუბუთელების, თავდასხმა შამილზე, იმამმა ერთი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა. ეს ეპიზოდი, რომელიც მოკლედ მოუყვლია თვითონ შამილს ილია ორბელიანისათვის, დაწვრილებით ცნობილია სხვა წყაროებიდან, ვიცით თვითონ ეპი-



ზოდის პერსონაჟების სახელები (ერთ ძმას, რომელშიც კინალამ მოკლა შამილი, ღუბიშა ერქვა, იგი თვითონ დაიღუპა იმამთან ფიზიკურ შერკინებისას). მაგრამ რადგან მათ ილია არ ასახელებს, მთარგმნელიც, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, შენიშვნაშია არ ცდილობს მათ მოხსენიებას: 27. „ხუბარის (?) საქმე კვლავ ემუქრებოდა იმამის ძლიერებას“. რომელ „ხუბარის (?) საქმეზეა“ საუბარი? მკითხველისთვის შინც აეხსნათ, იგი!

161-ე გვერდიდან იწყება ახალი თავი „შამილის მმართველობა, სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო თვალსაზრისით“. ილია ორბელიანი იქვე შენიშნავს: „შედგენილია თვით შამილისა და მისი მახლობელი პირების ნაამბობის მიხედვით“. ამ განცხადების მიხედვით „მონათხრობში“ გადმოცემული ინფორმაცია სავსებით სანდო უნდა იყოს. მაგრამ ილიას არ შეუძლო გაეთვალისწინებინა, იმამთან ხანმოკლე საუბრის პირობებში, იმამატის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურისა და შიგა იერარქიის მთელი სირთულე, რომელიც სრულიად ერთგვაროვანი არ დარჩენილა იმამატის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. თანაც: მისი ნაამბობის გადამწერის მიერ დაშვებული დამახინჯებანი აუფერულებენ ილიას ისედაც მოკლე ექსკურსს, ეს დამახინჯებანი შემდეგია:

1. რუსულად წერია: «Такое исступление, производимое в правоверных для очищения их от грехов, называется Джемс или Тарикат» («Лит. Грузия», 1969, № 9—10, стр. 176). ე. უბილავა თარგმნის: „ხალხის ასეთ აღზევებას (?) და ცოდვებისაგან „განწმენდას“ ჯემს ან ტარიკატს უწოდებენ“ (ალმ. გვ. 162). ილია ორბელიანი აღნიშნავს, რომ შამილის გაფრთხილებით მუსულმანთა დღესასწაულის, რამაზანის დღეებში, ე. ი. 15 სექტემბერს, ხალხს უნდა გაეგონა ციური ხმა იმის შესახებ, რომ ეინც შარიათს არ ასრულებს ან ჯიუტობს — იგი ჯოჯოხეთში ამოყოფს თავსო (იქვე)... ილია და მისი მეგობრები ამ დროს ყოფილან „გუმბეთის სოფელ კუდაარში“ (გვ. 162. უ. ი. სოფ. ყოდორ-ორი, ა. გ.), მაგრამ რადგან სასწაული არ მომხდარა, ხალხი თურმე დილამდე დრიალებდა. თარგმანში ხალხის ეს სასოწარკვეთილი აგზნება („ისტუმბენი“) გაგებულა, როგორც „აღზევება“ (დაწინაურება), ხოლო „ჯემს“-ი სიტყვით დაბასიანებულია ტარიკატი (ანუ ღმრთისადმი მიმავალი გზის საფეხურების სისტემა, ა. გ.). თუ რომელი ენიდანაა აღებული ეს სიტყვა „ჯემს“-ი, შეუძლია გაგვაგებინოს მხოლოდ ილიას შემოარების ავტოგრაფის მოძიებამ და იქ სათანადო ადგილის სწორად წაკითხვამ. დამახინჯებული

ტექსტის „ჯემს“-ი სიტყვა ჩვენ ვერ ავხსენით (მახ. ვერაფერ ვერ ახსნის). მთარგმნელს ამ სიტყვის შემდეგ კითხვის ნიშანი შინც უნდა დაესვა, რათა ჩვენი მკითხველი თავსატეხი ამოცანის წინაშე არ დაეყენებინა!

2. გვ. 163: „...ნაიბი ჯანდა სუაიბ-მოლა“. უნდა იყოს: სუაიბ-მოლა, საკმაოდ ცნობილი პირი. იქვე: დამახინჯებულია სახელები აულებისა: „ბოიუმოს“ (???? ასეთი აული საჩაჩნოში არაა, არც სხვაგან); „უიკრატლს“, უ. ი. უნკრატლს; „ხვანალი (????) და მრ. ამგვარი. 3. შენიშვნაში: „...დაასმინეს შამილთან ახვერდი-შაჰმატი“. ასეთი სახელი („...შაჰმატი“) არაბულ-დაღისტანურ ონომასტიკონში არაა, იგულისხმება ნაიბი-პროზელიტი, წარმოშობით სომეხი, განთქმული ახვერდი-შაჰმადი (სხვა ნაიბი ახვერდის სახელით შამილს არ ჰყოლია). იგი სასიკვდილოდ დასკრეს ხევსურებმა შატილზე თავდასხმის დროს 1843 წელს. 4. ძალზე მოკლეა (გვ. 164) შარიათის ანუ ყურანზე დაფუძნებული კანონმდებლობის დაბასიანება, მაგრამ ილია ორბელიანს მეტის ცოდნა, მის პირობებში, არც მოეთხოვებოდა. შამილის დროინდელ შარიათზე არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა, სპეციალური წიგნები და ა. შ. ერთ-ერთი კანონმდებლობითი ძეგლი შედგენილია თვით შამილის უშუალო კარნახით. ამ ლიტერატურის ცოდნის გარეშე შარიათზე ამჟამად მსჯელობა ძალზე პრიმიტიული და მწირი იქნებოდა. 5. გვ. 165: აღმანახის 1/2 გვერდზე ნაკლები ეძღვნება სახელმწიფო „შემოსავალი“-ს საკითხებს. აი შემოსავლის წყაროების სახელწოდებანი: „ზასკატი“ (???), „ხომიუსია“ (??? (რუსულ ტექსტშია „ხომუს“) და „ბოითულ ბომი (???“. ჩვენ დაგვჭირდებოდა საკმაოდ დიდი მსჯელობა, რომ ყველა ეს უკიდურესი დამახინჯება გაგვეწორებინა და მათი სწორი გამოთქმა აღგვედგინა. რადგან მთარგმნელი საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურას არ ვასცნობია, უცვლელად გადმოუღია რუსული ტექსტის („ლიტერატურა“, 1989, № 9-10, გვ. 178) უხაშველოდ მცდარი წაკითხვანი. შამილის ხაზინის შემოსავლის ნაწილთა სახელწოდებანიც ზუსტად ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში და სათანადო კომენტარებში იგი უნდა გაეთვალისწინებინათ, ან უშუალოდ გაესწორებინათ ტერმინები. 6. 165-166 გვ. ძალიან მოკლედ და შეცდომებით გაშუქებულია შამილის „სამხედრო ძალა და დაწესებულებანი“. 7. გვ. 166. ამ თავის ბოლოს მოტანილია შამილის ერთ-ერთი მედლის არაბული წარწერა ყურანიდან ქართული გამოთქმით და მისი თარგმანი: „ლაი ხეგლა ვაი-ალა კუვოტა ილაპ ბილაპ“ („არარაობაა ძალა, ციხე-სიმაგრე—გარდა ღვთისა“). ქართველ

მთარგმნელს ყველა ჩვენი არაბისტი ეტყვის, რომ ფრაზა საშინლად დამახინჯებულია და რუსული ტექსტის შეცდომები მათი დახმარებით უნდა გაესწორებინა. ეს ფაქტი მაინც დაარწმუნებს პატივც. ე. უბილავას, რომ ისეთი ტექსტის თარგმნა, რომელიც არაბისტითაა გადატვირთული, სპეციალისტის მეთვალყურეობის გარეშე არ შეიძლება. 8. 166-ე გვერდიდან იწყება მომდევნო თავი, „შამილის პოლიტიკური საშუალებანი. ხალხის თვალში ამალღების ხერხები“ (166-7). რაიმე სახამუშო შეცდომას ეს პატარა ნაწილი არ შეიცავს, რადგან მასში სპეციალური სახელწოდებანი არაა. მხოლოდ ბოლოში მაინც გაპარულია შეცდომა. რუსულ ტექსტში აღნიშნულია, რომ დარლოში მედლები მზადდებოდა „«неким Бутуш-Уста, серебрянных дел мастером, выходцем из Эрпели» («Лит. Грузия», 1969, № 9-10, с 179). ე. უბილავა თარგმნის „...ბუქედი რომელიღაც ქედური ხელოსანი (?) ლეკის (?) (ხელოსანი ბუტაშ-უსტა) მიერ იყო ვერცხლისაგან გამოჭრილი აქვე, დარლოშივე“ (გვ. 167). ამრიგად მთარგმნელი უმატებს სიტყვას „ლეკის“, ხოლო უთარგმნელად სტოვებს ცნობას „ერპელიდან გადმოსულ“ ვინმე ბუტუშ-უსტას (რომელიც მთარგმნელს რატომღაც გადმოაქვს, როგორც „ბუტაშ-უსტა“ (!) შესახებ, თუმცა ამ სახელის მქონე ოსტატი შამილთან დარლოში (და არც სხვა ადგილას) არასოდეს არ ყოფილა. ამ „ბუტაშის“ ნამდვილი სახელიც საშინლად დამახინჯებულია, თუმცა მისი ვინაობა კარგადაა ცნობილი კავკასიური ომის ისტორიაში. ამასთან, ამ ხელოსანის საცხოვრებელი აული ერპელი, რომელიც ილიას მოგონებაშია მოხსენებული, ქართულ თარგმანში გამოტოვებულია. ეს აული შედიოდა ყოფ. თემირ-ხანშურის ოლქში (დალისტანი) და მდებარეობს შამილის სამშობლო აულ გიმრისაკენ მიმავალ გზაზე. ერპელის შემდეგ იწყება განთქმული ყარანაის ქედი, საიდანაც დავით კაკაბაძესთან ერთად 1935 წელს დაეწვიეთ გიმრში, ყისუბუს თემში (იხ. ჩვენი „მთების ქვეყანაში“. „ნოველები“, თბ., 1960) 9. გვ. 167-169 (ნაწილობრივ): დახასიათებულია „ჭემალ-ედინ ყაზიხუმუხელი“, დალისტანში შარითის და მურიდიზმის პირველი მქადაგებელი და ამ კუთხის პირველი იმამების დაზი-მოლასა, პამზათ-ბეგისა და შამილის მასწავლებელი (შამილის ერთ-ერთი ცოლი ზაიდათი ჭემალ-ედინის ასული იყო), მაგრამ განსაკუთრებით ახალს რასმე, გარდა ილიასადმი ჭემალ-ედინის კეთილშობილური ურთიერთობის რამდენიმე ფაქტისა, ეს თავი არ შეიცავს გამოჩენილ დალისტანელ მისტიკოსზე, რომელსაც ეკუთვნის

ჩინებული ნარკვევი თეოლოგიური შინაარსისა „აბდულ-მარზია“ და რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა ჯერ კიდევ 70-იან წლებში, თბილისში. მთარგმნელი არ თვლის საჭიროდ ასეთი კომენტარების დაწერას თავის თარგმანს ჭემალ-ედინზე, რომელიც სხვათა შორის, 60-იან წლებში თბილისში ჩამოვიდა და გრ. ორბელიანმა დართო ნება მას ოსმალეთში გადასახლებულიყო. ჭემალ-ედინის ოჯახის ჩამომავლები საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ (მაგ. მიხაილოვსკოეს პუშკინის სახლ-მუზეუმის დირექტორის მეუღლე რუყეან, რომლისგან მიღებული მასალა მის სახელგანთქმულ წინაპარზე, მაგ. თვითონ ჭემალ-ედინის დღემდე უცნობი სურათი და სხვ. — ჩვენთან ინახება). ამ თავში საგანგებოდ თქმულია, რომ ზოგიერთი მურიდეები უფრო ყაჩაღები არიან, ვიდრე ქეშმარიტი მურიდეები და მათ თურმე ეწოდებოდათ „მუტრატები“ (გვ. 168). მაგრამ... არავითარი ასეთი სიტყვა ან სახელწოდება არასოდეს არასდგებულა! 10. გვ. 169-171. ეხება საკითხს „შამილის ცხოვრება დარლოში“. ეს მოკლე თხრობა საინტერესოა, როგორც ილიასთან შესანიშნავი დიალოგის შემცველი ნაწილი, კარგია შამილის გარეგნობის აღწერაც და ამდენად მხოლოდ ამ ერთადერთ ეპიზოდს აქვს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა ამჟამად. მაგრამ აქაც ლაფსუსები მაშინ გვხვდება, როცა რომელიმე პირია კონკრეტულად დასახელებული. მაგ. გვ. 170: „აბდულა წაქხარი“. უ. ი. აბდულა წაბურელი (იგი დალისტანის აულ წაბური-დან იყო). 11. მოთხრობის ბოლო თავია „ანდია (?) და მისი მნიშვნელობა შეტყვევითი ოპერაციების დროს“ (171-174). მკითხველი კვლავ ექცევა ონომასტიკურ ქაოსში, მაგ. ისევ ნახსენებია „ჩირქეი“, „ტილიტლი“ და მისთ., რომელთა სწორი წაკითხვის დასაბუთება ზემოთაა მოტანილი. თვით მჭედლური ხელოვნებით განთქმული აული ტაბახარანი, თარგმანში (გვ. 172) წარმოდგენილია როგორც „ტაბახარი“ („ტაბახარის და ყაითალის დაპყრობა“??). ასეთივე ვითარებაა ბოლო ორ გვერდზე. მაგ. გვ. 173. „სოფელ ტარატუსაკენ მიმავალი გზა“... ამ სახელწოდების აული არსად არ არსებობს: იქვეა: „სოუხა“ (უ. ი. „სიუხი“); „სოფელი ანდა, (უ. ი. ანდი); გვ. 174; უკვე ცნობილი „კვონხიდატლი“, „კარატი“, „აუხვახი“ და მისთანანი. ყოველი გვერდის ან აბზაცის აღნუსხვა, როგორც ვთქვით, ყოველად შეუძლებელია.

ერთი დიდი ხარვეზის გამოც. მთარგმნელს ალბათ (?) გამორჩა ილიას „მოთხრობის“ ის ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ეხება ლუნიბის დახასიათებას და

რომელიც ჩვენ ვთარგმნეთ 1982 წელს (იგი ამ წერილის შესავალშია მოტანილი). ე. ვერდერეესკის წიგნში „შამილთან ტყვეობა“ (სპბ, 1857) მას უჭირავს 418-419 გვ. (იხ. ჩვენი ნარკვევი „გუნიბი“. ე. „დროშა“, 1932, № 3; შდრ. „ნოველები“, 1960, გვ. 165). იგი იწყება სიტყვებით: „რულჯადან ხათლად ისახება ღუნიბის მთა“. და ა. შ. შდრ. ვერდერეესკი, გვ. 414: «Из Ругджи ярко обрывается Гунибска гора» და ა. შ. ეს ადგილი, ვიმეორებთ, განსაცვიფრებელია 1859 წლის 25 აგვისტოს შამილის კაპიტულაციის ადგილის ზუსტი და თითქმის წინასწარმეტყველური დახასიათებით! ქართულ თარგმანში კი იგი სავსებით გამოტოვებულია. რატომ? ე. უბილაევს ხომ ე. ვერდერეესკის წიგნით უსარგებლია? ხომ არ გამოსტკეივის აქ განზრახვა: მკითხველს დაუმალოს ის ფაქტი, რომ აკაკი გაწერელია ჯერ კიდევ 1932 წელს კარგად იცნობდა ილიას მოგონებას და თარგმნიდა კიდევ ზოგიერთ მის მნიშვნელოვან ადგილს? სერიოზულად არ გვიჩნდება ვიფიქროთ, რომ ჩვენს მეგობარს ეს განზრახვა ამოკმედებდა.

მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ საერთოდ ქართულ მწერლობაში გავრცელებული ერთი ფრიად სავალალო სენის გამო: ესაა სხვისი დამსახურების შეგნებული იგნორაცია, „დავიწყება“ უკვე არსებულ, კლასიკურ გამოცემათა, მაგ. გრ. ორბელიანის „წერილები“-ს ორი ტომისა, რომელიც 1936-1937 წწ. დაიბეჭდა და რომლებიც კავკასიური ომისა და კერძოდ შამილიანას ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს ჩვენში. — აკი მის საფუძველზე სადოქტორო დისერტაციებიც კია დაწერილი და რომლებშიაც მოტანილი უმდიდრესი ცნობების (სამხედრო ოპერაციათა ცალკეული მომენტების, სამხედრო მოღვაწეების თუ კერძო პირთა შესახებ) სისტემატური ძარცვა ინტენსიურად გრძელდება ერუდიციის მხრივ ფრიად მწირ, მაგრამ ვითომდა „პირველადმოჩენთა“ მხრივ! ე. უბილაევს ხშირად უნდა ჩაეხედა გრ. ორბელიანის „წერილები“-ს ორ ტომში და თავისი თარგმანი ძირფესვიანად გადაკეთებისა და გასწორების შემდეგ გამოეჭვეყნებინა. მაგრამ ალბათ მას ხშირად მოუხდებოდა წყაროზე მითითება, ეს გარემოება კი „დიდი ხნით შამილის პიროვნებით დაინტერესებულ პირს“ (???), ალბათ ზელს არ აძლედა!

მაგრამ ხომ არსებობს ლიტერატურული ტაქტიკისა და ჯენტლმენობის ცნება? ჩვენში გახშირდა აგრეთვე გარკვეული თემის დუბლირება და ე. უბილაევს ამყამინდელი დუმილი პირველადმოჩენის სახელის ირგვლივ ჩვენთვის სავსებით გასაგებია. ეს არ გვიკვირს, ზოგი თავ-

ხელი უფრო შორს მიდის — ფიქრობს, აკაკი გაწერელიამ დაავიანა თავისი ეპოსის „შამილი“-ს პუბლიკაცია, ალბათ ამ რეგისტრ არც რასმე დაბეჭდავს მომავალშიო და ა. შ. ეპოსზე მუშაობისა და წიგნის „დაგვიანების“ გამო ვწერდით ე. „ლიტ. გრუზიაში“ წლის წინ:

«Я потратил много времени (40 лет) на соби́рание материалов о Шамиле. Кроме прочтения огромной мемуарной и военной литературы о нем, я долго путешествовал по Чечне и Дагестану в 1932, 1935 и 1973-76 годах: мне повезло обнаружить один из вариантов арабской рукописи, главной биографии Шамиля, так называемой «Хроники Мухамеда ал-Карахи», изданной в русском переводе (с арабским текстом, в 2 томах) в 1941 году в Ленинграде под редакцией акад. И. Ю. Крачковского (этот вариант я приобрел в 1935 году в Дагестане, в ауле Ашилта). И все таки я до сих пор не смог закончить документальный эпос «Шамиль» (правда, были объективные причины к этому: в 1942—1955 годах я прервал работу над книгой). Но спрашивается — сколько лет работал гениальный писатель над «Хаджи Муратом», о котором так восторженно пишет Т. Маини? А если настоящая историческая проза требует столько труда и времени даже от величайших художников слова (вспомним и Г. Флобера, автора «Саламбо»!), то сколько труда должен вложить в свое произведение обыкновенный писатель, если у него «серьезное отношение к делу»? Но я так хорошо изучил историю Кавказской войны (об этом свидетельствуют хотя бы 2 тома «Писем» поэта и генерала, участника Кавказской войны, Григола Орбелиани с обширными комментариями, изданные мною в 1936—1937 годах), у меня накопилось столько сведений и мельчайших подробностях о жизни и личности Шамиля и его окружающих, что чувствую себя готовым в конце концов закончить книгу. Если не ошибаюсь, абсолютное владение материалом — хоть частичная гарантия успеха» («Лит. Грузия», 1982, № 1, с. 133—134).

„ობიექტური მიზეზი“ კი ის გახლავთ, რომ შამილზე რაიმეს წერა 1943-1956 წლებში აკრ-

ძალული იყო, მასზე ტაბუ იყო დადებული. მაშასადამე — მთელი 13 წელი ჩვენ ხელი არ გვიხლია ეპოსისათვის!

ახლა ერთი საკითხის გამოც:

ვინც შამილის შესახებ უმდიდრეს ლიტერატურას არ იცნობს (არა მარტო ცალკეულ მონოგრაფიებს, ძველ და ახალს, არამედ ურიცხვ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, რელიგიურ-დოგმატურ და გეოგრაფიულ მასალას), ვინც აბსოლუტურად არ ფლობს ამ ლიტერატურას, მან არც უნდა განიზრახოს ნი-წლიანი კავკასიური ომის ისტორიისა და მისი შთაბრძნობის შესახებ ეპოპეის შექმნა. ეს ძალზე დიდი პერიოდია. ჩვენ ერთხელ თბილისში გამოგვეცხადა უცნობი თანამემამულე, ქ. გდან ჩამოსული მასწავლებელი, ვინც გ. ჭ-ნავა, გვი-ახლა ბინაზე და მთხოვა: შამილზე რომანს ვწერ და უნდა დამეხმაროთო. თუმცა მას წაეკითხა ჩვენი ბელეტრიზირებული ნოველები „შამილი“-ის ციკლიდან, გასცნობია სათანადო დადებით კრიტიკულ ლიტერატურას მათ შესახებ, მაგრამ ალბათ ჩემი ასაკისადმი უნდობლობის გამო გადაუწყვეტია ჩემთვის „დაესწრო“ და ამიტომ „ენერგიულად შესდგომია „მუშაობას (დღეში 7-8 საათს ვმუშაობო). ჩვენ უფურადღებოდ მოვისმინეთ ამ უაღრესად პროვინციული „მწერლის“ ეტიფრული თხოვნა, მაგრამ შემდეგი კითხვები დავეუსვით:

1. იცნობთ კი თქვენ ლესლი ბლანშის ან კარლ ზეიგერის ვეება და სოლიდურ მონოგრაფიებს შამილზე? პასუხი — „არა!“
2. წავიკითხავთ გულდასმით 20-მდე წიგნი (ისიც მეტწილად — მრავალტომიანი) ანუ „ისტორიები“ იმ სამხედრო პოლკებისა, რომლებიც კავკასიურ ომში იღებდნენ მონაწილეობას? პასუხი — „არა!“
3. თუ გასცნობიხართ დაწერილებით „სავაზსკი სბორნიკ“-ის 31 ტომს, ან „ცნობებს კავკასიულ მთიელებზე“ (10 ტომს)? პასუხი — „არა!“
4. შამილზე და კავკასიის ომზე საერთოდ დაიბეჭდა დაახლოებით 1500 ატატია სხვადასხვა „სამხედრო ენციკლოპედიებში“, ეურნალებსა და გაზეთებში (უმთავრესად რუსულ ენაზე, აგრეთვე საზღვარგარეთულ პრესაში) და სავანგებოდ თუ გასცნობიხართ მას? პასუხი — „არა!“
5. რაიმე თუ აღმოგიჩენიათ უშუალოდ შამილის ან მისი ბიოგრაფიების ხელნაწერებიდან, ნივთებიდან, ან უშუალო ავტოგრაფებიდან, ან სხვა რამე? პასუხი „არაფითარა!“
6. შამილი იყო სუფიური სექტის, კერძოდ ბუხარადან დალისტაში შეღწეული მისტიკური მოძღვრების, ნაქშენდის (XIII ს.) თეოსოფი-

ური სისტემის მიმდევარი. თუ იცნობთ ამ მოძღვრებას? პასუხი — „არა!“ (თინაჯ მოსი-უბრეს თანდათან პირი ღიად უნდა დასაუბრის ბოლოს)!



7. შამილს ხშირად მკვლევარ-კაროქსიზმის მსგავსი კონკულსივრებით „აბნელება“ ანუ ზულმათი. გაშენიათ რაიმე მის ამ „ავად-მყოფობაზე“ და რასთან იყო იგი დაკავშირებული? მოპასუხე თავიქინდრულია და დუმს!

8. შამილს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მისი საყვარელი საკითხავი წიგნები არაბ მისტიკოსთა თხზულებანი იყო, განსაკუთრებით კი გენიალური თეოლოგის ალ-ღაზალის ნაწერები, რომელსაც იგი განსაკუთრებით ხშირად კითხულობდა „ყურახთან“ ერთად (კალუგაში მცხოვრები ექსიმამი პეტერბურგის ბიბლიოთეკიდან იწერდა მათ). თქვენ თუ იცნობთ ალ-ღაზალის რომელიმე თხზულების რუსულ თარგმანს, რადგან შამილის გონებრივი ინტერესების სფეროს გასათვალისწინებლად ეს აუცილებელია მოპასუხე გრინტს არ სძრავს!

9. თუ იცნობთ... მაგრამ დამატებითი კითხვების კიდევ დასმა არ დამჭირდა, ვინაიდან (ეტყობოდა!) დიდად გულმოსულმა ჩემმა თანამემამულემ არ ისურვა საუბრის გაგრძელება, გამოუმწვიდობებლად და დიდად ნაწყენმა შინისკენ მოუსვა.

**დამენდურა საზღიკაცი**

ჩვენი ღრმა რწმენით, ტიპიური დღევანდელი „ლიტერატორი“ გ. ჭ-ნავა მაინც „ენერგიულად მუშაობს“ ამჟამად თავის „რომანზე“, რომელიც ალბათ მიემატება ჩვენში სხვა გრაფომანების ბომბორა და ბუტაფორიული „რომანების“ ციკლს (დაბეჭდვას უეჭველად მოახერხებს, უნიკონი — მოხერხებული ხალხია!). სერთოდ ფსევდო „მწერლები“ ძალიან პროდუქტიულად და სწრაფად მუშაობენ. სწორედ მათ შესახებ ვწერდით ჟ. „ლიტ. გრუზიაში“ დაბეჭდილ იმავე ინტერვიუში:

«А все таки—что значит «продуктивность» в искусстве? Один рассказ Лермонтова «Таман» я предпочитаю всем романам академика Боборикина, Мордовцева, Шеллер-Михайловского и других подобных беллетристов. Я люблю малопродуктивного Н. Бабеля. Вообще у меня нет никакого пиетета к «легкости писания», о котором Л. Толстой говорил беллетристу А. В. Жиркину (А. Нивину): «Обратите внимание на плодовитость наших молодых писателей. Эта легкость писания прямо указывает на умственный разврат, на отсутствие серьезного отношения к

делу». И там же: «И критика наша — умственный разврат: она поощряет эту легкость писания, эту проституцию мысли, слова» («Литературное наследство», т. 37/38, с. 476) («Лит. Грузия», 1982, № 1, с. 132).

დღევანდელი დონე რუსული, ვეროპულ-ამერიკული და ნაწილობრივ ქართული პროზის განვითარებისა ისეთია, რომ ძალიან ხანგრძლივი და უსაშველოდ დამქანცველი შრომით მიღწეული მხატვრული პროდუქციის ნაცვლად უმეტესად და უმწეო „თხზულების“ გამოტანა მწერლობაში — პირდაპირ დანაშაულია. ასეთი „პროდუქცია“, უხამსობით აღსავსე „მოთხოვნებთან“ ერთად — მკითხველის გემოვნებას ჰრევნის, აჩევს აუდიტორიას გასართობი და ადვილად აღსაქმელი ბანალურობით დაკმაყოფილება. და ეს იმ დროს, როცა აღმ. „საუნჯის“ ფურცლებზე იბეჭდება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების მეტწილად ღირსშესანიშნავი თარგმანები ეგზომ ჩინებული, იდიომებით მდიდარი და დახვეწილი ქართული შესრულებული. რედაქციას არ შეუძლია სრული უნდობლობა გამოუცხადოს ყველას, ვინც თემატურად საინტერესო მასალას მიუტანს მას. მაგრამ თარგმანმა, ისიც სპეციფიკური ისტორიული შინაარსისა, მცოდნე პირთა კონსულტაცია უნდა გაიაროს და ამაზე მთარგმნელმა თვითონვე უნდა იზრუნოს მასალის დასაბეჭდად მიტანამდე, რადგან სრულიად სავალდებულო არაა რედაქციაში ყველამ იცოდეს შამილის ნაიბს შუაიბი ერქვა თუ „შუები“ და რომ „ახტინსკი“ ან „გრაფი ივლიჩი“ ბუნებაში არსებობდნენ თუ არა — და ა. შ.

დიცის დაწვრილებით მიმოხილვისას შემდეგნაირად წერდა დღევანდელი მკითხველისათვის განსაცვიფრებელ სტრიქონებს, როცა ახასიათებდა შამილის ძლიერების მიზეზებს:

«Независть Шамиля к владетельным родам, отсутствие уважения к семьям, если так можно выразиться, «горской аристократии», коммунистические взгляды имама, опиравшие главным образом на магометанском духовенстве...» и т. д. (А. Ржевусский. 1845-й год на Кавказе. «Кавказский Сборник», Тиф., 1882, т. VI, стр. 267).

ასეთსავე აზრს გამოთქვამდა სხვა არა ერთი მონარქისტი-მემატიანეც!

როგორი ვითარებაა ამჟამად, შამილის „დამუშავების“ შემდეგ?

ჩემ წინ ძვეს სსრ მეც. აკადემიის მიერ გამოცემული გ. გ. გამათოვის „წინაოქტომბრული პერიოდის დაღისტნელი ხალხების ლიტერატურის“ მიმოხილვა, რომელშიც საგანგებოდაა აღნიშნული შამილის უდიდესი როლი არა მარტო კავკასიის თმის ისტორიაში, არამედ დაღისტნური კულტურის ისტორიაში საერთოდ. ავტორი წერს:

«Известно также, что Шамиль одобрял написание различных хроник и летописей движения, художественное отображение героических подвигов своих сподвижников. Так, одним из главных источников знаменитой хроники Мухамеда Шахира ал Карахи «Блеск дагестанских шашек в некоторых шамилевских битвах» послужили устные рассказы Шамиля. Шамиль и сам известен как автор незаурядных стихов... Даже «мюридствующая» религиозность не отменяет в Шамиле одного из самых ярких представителей идеологии ренессансного типа» (Г. Г. Гамзатов. Литература народов Дагестана до октябрьского периода. Из. «Наука», М., 1982, стр. 142; დაყოფა ჩვენია. ა. გ.).

ჩვენ გვიხარია, რომ ამ შესანიშნავი სიტყვების წაკითხვის მოწმე გავხდით! ამიტომ სრულიად არ გვწყინს, რომ დასახელებული რუსული წიგნის ავტორმა გასაგები მიზეზების გამო არ იცის, რომ მის მიერ მოხსენებული მუჰამედ აღ-ყარახელის „ცნობილი ქრონიკის“ ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტის აღმომჩენი ჩვენ ვართ!

და პოლოს დავუმატებთ, რომ იმ პერიოდში, როცა შამილის კაცება მიქინვარებდა პრესაში, თვით დაღისტანში აღმოჩნდნენ ამ ქვეყნის დიდი შვილის ისტორიული დამსახურების უარმ-

შამილის გამო წერაზე ოდესღაც ტაბუს დადებასთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეროვნული განთავისუფლებისათვის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მთიელთა ბელადს მიაწერდნენ უკიდურეს რეაქციონურობას სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებში. მაგრამ მაინც რა ქმნიდა იმის საფუძველს, რომ პატარა ერი მთელ იმპერიას უმკლავდებოდა და ებრძოდა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე? ამ კითხვას შესანიშნავად უპასუხა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-ანი წლების ზოგიერთმა სამხედრო ისტორიკოსმა თვით რუსი მონარქისტების წრიდან. მაგალითად, რუსი ოფიცერი-მემატიანე ა. რევეუხკი დაღისტანში 1845 წლის საომარი ექსპე-

ყოფენი. ამ მხრივ ერთ დროს ზოგი ქართველი „კავკასიოლოგიც“ აპყვა საერთო ფეხის ხმას. ჩვენ კი დუმილი ვარჩიეთ, რადგან კარგად ვიცოდით: კავკასიის ლეგენდარული გმირის სახელი კვლავ შარავანდედით შეიმოსებოდა.

ისიც უნდა ვიკითხოთ: ბოლოს ვინ აღმოჩნდა მართალი? ამჟამად ეს კარგად ცნობილია. ამიტომაც — გვადროვონ, ხელს ნუ გვიშლიან (სხვა რომ არა იყოს რა, ეს უტაქტობაა!), ნუ გააუხამებენ თემას უმეცრული და ბანალური

თხრობით. ყალბი მოკრძალების გარეშე უნდა განვაცხადოთ, რომ ამ სფეროში ჩვენთან გაჩიბრება თავხედობაა, თანაც — უსაშველოდ სამარცხვინო ლიტერატურული მარცხის უცხველი გარანტიაც. დაგვიჩვენონ, — მერე გვიან იქნება!

რაც შეეხება ჩვენს ეპოსს შამილზე, მკითხველი მას ბოლოს და ბოლოს მიიღებს.

ივლისი. 1984.





# ჯარჯი ფხოველი

## მარადი ღღე

**კ**ლასიკური რუსული პოეზიის გზას თვალს რომ გავადევნებთ — ლომონოსოვის, სუმაროკოვის, დერჟავინის, კარაშინის, ჟუკოვსკის დროიდან მოყოლებული — ნათელი ხდება, რომ მისი მთავარი მარცვალი, მისი ერთიანობის ნიშანი არის რაღაც შინაგანი ხზივი, რასაც გოგოლმა „ბიბლიურთან სიახლოვე“ უწოდა... ეს გახლავთ რუსული კლასიკური პოეზიის საიდუმლო, დაფარული რამ, რაც გადაეცემოდა თაობიდან თაობას, როგორც გამძლეობისა და შინაგანი სიწმინდის გარანტია...

სწორედ ეს რაღაც „ბიბლიურთან სიახლოვე“ უნდა მივიჩნიოთ იმ მთავარ ენერჯიად, იმ მთავარ ძალად, რაც მეცხრამეტე საუკუნისა და პირველი ორი ათწლეულის რუსულ პოეზიას თანახდევს, მისი ტრადიციის მესაძირკველა.

აქედანვე იღებს სათავეს ის მდგომარეობა თუ თვისება, რასაც გენიალურმა გოგოლმა „ფხიზელი სულის უმალღესი დღესასწაული“ უწოდა...

აქედანვე იღებს სათავეს პოეტური სულის უკმაყოფილება და ზიზღი ამქვეყნიური ბორკილებისა, ტირანიისა და, უველაფერი ამქვეყნიურისა, რაც კი ღვთაებრივთან მიახლოებაში ხელს უშლის აღამიანს.

რუსული პოეზიის დინებების ეს იდუმალი შრე შეერთო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოეტების ტიუტჩევის, ნეკრასოვის, ალექსეი ტოლსტოის, ფეტისა და სოლოვიოვის შემოქმედებას, რომელთა კვალდაკვალ რუსულ პოეზიაში მოვიდა ევროპული პოეზიის იდეებითა და პოეტური პრაქტიკით გატაცებული პოეტების მთელი თაობა, რომელთაც შექმნეს რუსული პოეზიის სიმბოლისტური სკოლა, თავის მხრივ, რადიკალური სიახლეებითა და ძიებებით აღსავსე. ესენი იყვნენ: გიპიუსი, მერუჟკოვსკი, ბალმონტი, სოლოგუბი, ბრიუსოვი, ბელი, ანენსკი, ვიარესლავ ივანოვი, ბლოკი... და სხვანი...

მეოცე საუკუნე რუსულ პოეზიაში სიმბოლიზმით დაიწყო და სულ მალე სიმბოლიზმის კრიზისის უამიც დადგა.

დროის ამ მონაკვეთში გამოცემული წიგნებისა და სტატიების სათაურებიც კი გვამცნობენ ეპოქის ძირითად ნიშანს. ვლადიმირ სოლოვიოვი: „კრიზისი დასავლური ფილოსოფიისა“. ვიარესლავ ივანოვი: „კრიზისი ჰუმანიზმისა“. ალექსანდრ ბლოკი: „დამარცხება ჰუმანიზმისა“... და ა. შ.

სტაბილურად დამკვიდრდა სულიერი, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების ხანა. ერთი შეხედვით ეს გახლდათ ცივილიზაციის კრიზისი, გონის კრიზისი, სამყაროს დასასრულის წინათგონობისა და უნუგეშობის მაუწყებელი უამი, რომლის ინერციაც, სამწუხაროდ, დღემდე მოსდევს მთელს მსოფლიო ლიტერატურას, პოლიტიკას, ეკონომიკას...

იმ სენტენციას, რომელმაც პოეზიის უთარგმნელობას ამტკიცებს, უდაოდ რეალური საყრდენი აქვს და თვით ჩვენს განათლებულ დროშიც კი ურყევია მისი საძირკველი, რადგან ვერც ენების სრულყოფილი ფლობა, ვერც მთარგმნელის გულმოდგინება მის ქეშმარიტებას ძვრას ვერ უზამს. მაშ, რაღა უბიძგებს მთარგმნელს, როცა ის ამ წინასწარ განწირულ საქმეს ეკიდება? რა რწმენით მიღის ის დედანთან, როცა იცის, რომ მისი შრომა ამაო და განუხორციელებელია?

როგორ მოიქცა გივი აღზაზიშვილი? ის დაადგა, ჩემის აზრით, ერთადერთ სწორ გზას:

მან პირდაპირ „თარგმნა“ კი არა სცადა, არ გამოედევნა აზრობრივ სიზუსტეებს, არამედ გადმოიღო, შექმნა ორიგინალის იმიტაციით, მისი ინტონაციითა და ემოციით ცნებული ქართული ლექსი. მან გვერდი აუარა სიტუვასიტუვით თარგმანს, რითაც კატასტროფას თავი დააღწია.

თარგმნისას ორეულები არ იქმნება, ეს შეუძლებელი რამაა. ძალზე იოლია, რომ ავიღოთ დედანი და თარგმანი და მათი უშუალო შედარებით გავაკეთოთ დასკვნა „თარგმანის“ ავტარგზე. მაგრამ ეს არ იქნება სწორი ორიენტაცია. რადგან შესაძლოა თარგმნის „ორეულებთან“ შინაარსით, ფრაზეოლოგიით ძალზე ახლოს იდგეს, მაგრამ დედნის სული არ ედგას.

თარგმანში სწორედ დედნის სულს დავეძებთ. თუ სულის სიცხადე და ემოციური იდენტურობაა მიღწეული, მაშინ თარგმანი ცოცხალია. მას ორიგინალის სული უდგას, თუნდაც აზრობრივი ნიუანსებით შორსაც იდგეს დედანთან.

აღბათ, პრაქტიკოსი მთარგმნელები დამემოწმებიან, რომ მხოლოდ ამ გზით თუ მივუახლოვდებით დედანს. შესაძლოა, ამას იმიტაციის გზაც ვუწოდოთ.

თარგმანის სიზუსტის ჩხრევისას ჩვენ ხშირად გვაფიქვდება, რომ ახალი სისტემა და ახალი კონტექსტი იქმნება სრულიად სხვა ენაზე, რომლის საშუალებით მიღწეულმა ახალმა პოეტურმა მთლიანობამ უნდა იტვირთოს დედნიანული ემოცია, აზრი და ხატთა ნაირგვარობა. ამ კომბინაციის აგებისას, ამ მარმონიის მიღწევისას დომინანტობს მთარგმნელის ნება, რომელიც გადაეწევის გარდახულის მისტიურ ბილვებს...

მთარგმნელობითი პროცესის ეს დახასიათება იმიტომაცაა საჭირო, რომ შეუძლებლის მომთხოვნი თეორიების ავტორების ავტორთა პათოსი გავანელოთ. ნუ მოვიძევთ თარგმანში ორიგინალის ბადალ ორეულს. ვიყოთ რეალისტები, თარგმანს შევხედოთ, როგორც იმიტაციის მცდელობით მიღწეულ შედეგს. კონვენიალურობის ცნება მითია. ჩვენ არ შეგვიძლია ის მივუსადაგოთ რომელიმე თარგმანს.

„მარადი დღე“, გივი აღხაზიშვილის თარგმანების წიგნი, მოიცავს ათანას ფეტის, ვლადიმირ სოლოვიოვის და „შეორე ტაღლის“ სიმბოლისტიკების — ანდრეი ბელისა და ალექსანდრ ბლოკის ლექსებს.

კლასიკურ რუსულ პოეზიაში მოჩანს „სულიერი თავისუფლების ფერმენტი“ და, როგორც რილკე ამბობს, თუ პოეზია არა მარტო გრძნობა და ემოცია, არამედ გამოცდილებაცაა, მაშინ მთარგმნელის სასარგებლოდ უნდა ვთქვა, რომ რუსულ პოეზიაში მოკამკამე სულიერი „თავისუფლების ფერმენტი“ მან ქართული პოეზიის გამოცდილების ნაწილად აქცია.

უფაქიზესი ლირიკული დინებები გაქოლავს ათანას ფეტის ლექსებს. ისინი შუქჩრდილების კამკამს მოგვაგონებენ, რომელთაც აერთიანებს პოეტის უკვდავი გულისცემა; გულისცემა მეშხანურ სამყაროდან გაქცეული ხორციელისა, ვინც შეიცნო, რომ შესაძლოა ყველაფერს გაერიდო, განმარტოვდე, მაგრამ უკვდავს, წარუვალსა და ღვთაებრივ სიდიდეებს ვერსად გაექცევი.

„გამოვერიდეთ ბრბოს და სინათლეს,  
გადავარჩინეთ სული მკვნესარე,  
ჩრდილში ორნი ვართ (როგორც ვინატრე)  
და წყნარი ღამე არის მესამე.

გამოიღვიძა გულმა მთვლემარემ  
და მოლოდინში ძგერს გამალებით,  
ხალხს გავეჭეცი და დავემალეთ,  
ვარსკვლავებს ვერსად დავემალე.

მიმოეფინა ღამეს დარდიანს  
მსუბუქი კვამლი, მალლა წასული.  
იმას ჭვრეტს ღამე, რაც მარადია,  
არ აქვს საწყისი და დასასრული“.

ფეტისათვის პოეზიაც გაქცევა იყო «от молны беспощадной», და მისი ლტოლვა, მისი სიმარტოვის წყურვილი, სხვა არაფერია თუ არა ყოფიერების კაობიდან თავის დაღწევის ცდა, განმარტოება უდაბურ ნაპირზე, სადაც უამიყამ ესტუმრება მისი ქალღმერთი და სადაც ვერ მიაღწევს სამყაროს ხმაური.



«...Ни резкий крик глупцов, ни подлый их разгул сюда не достигнут...». დევნილი სული მიეშურება შორეული სინდონისაკენ, „იქ, სადაც ჰუვავის კენტი მაგალო და უმჩატესი მიცურავს ნისლი, იქ, სადაც ძეწნამ თმები გაშალა და მხოლოდ ფუტკრის ზუზუნი ისმის“.

ეს პოეზიის მარადიული ლტოლვის ერთი დღეა, წამის ერთი დახამბამება, ერთი ამოკვ-  
ნება, რომლითაც პოეტი გვეუბნება, რომ „ტოვებს მიწას“. აჭანუბებული სული გაურბის  
იმას, რაც მიღწეულია, რაც რეალობადაა ქცეული.

ეს გახლავთ სამყაროს მარადიული განახლების მოწადინე სულის წრიალი, მისი მიუღწევ-  
ლობა, რაბაც ბოლოს და ბოლოს პირველი მარცხი და ხასოწარკვეთილება მოსდევს... და,  
რაც არ უნდა მოხდეს, ის, თავისი ხახიათისა და მრწამსის ერთგული, მაინც იტყვის: „სული  
იმედით შეპყურებს ზეცას“...

ფეტის ცხოვრების დრამატიზმი, მისი პოეზიის ტრაგიკული ტონი განაპირობა რამდენიმე  
ამბავმა. ერთი გახლავთ ის, რომ მან თავისი თავადური გვარი — შენშინი — დაკარგა სხვა-  
დასხვა გარემოებათა გამო. ის ატარებდა დედის, უბრალო გერმანელი ქალის გვარს. ეს  
ამბავი გახდა მისი მატერიალური სიდუხჭირის მიზეზიც. ბოლო ამ უკანასკნელის — მატერია-  
ლური ხელმოკლეობის გამო, განშორება მოუხდა საყვარელ ქალთან, რომელმაც თვითმკვლე-  
ლობით დაამთავრა სიცოცხლე...

ამ ამბებით გულგასენილი პოეტი მკვიდრდება სოფლად. მისდევს სოფლის მეურნეობას...  
საბერეში ის გამდიდრდა კიდევ და თავის ახალგაზრდობისდროინდელ გატაცებას — პოეზია-  
საც დაუბრუნდა. სწორედ სიცოცხლის ბოლო ათწლეულში გამოჰცა რამდენიმე წიგნი,  
რომლებმაც უკვდავყვეს ათანას ფეტის, როგორც პოეტის სახელი...

ფეტის ცხოვრება, მისი ბუნებითი ყოფნა შესაძლოა შევადაროთ ვაჟა-ფშაველას ცხოვ-  
რებას, მის მიმართებას ბუნებისადმი, მის შერევას და განვითარებას ბუნებაში, როგორც  
მთლიანში და სრულყოფილ ერთიანობაში.

ფეტის პოეზიის ბუნება გვაგონებს ჩინელი განდევნილი პოეტების შედევრებს, რომელ-  
თაც არა მარტო ბუნების არსი გადმოიღებს პოეტურ ენაზე, არამედ ბუნებასაც შემმატებს  
რალაც ნატამალი იმისა, რაც მას აკლია ადამიანის წარმოდგენით: ენა და პოეტური მეტყვე-  
ლება...

ფეტი შეელტვის მთელს კოსმოსს. ციური სხეულების დვთაებრივ ნათელს პოეტი მიმ-  
ყავს იღუმალი მუსიკის პირველწყაროდ. Я слушал таинственный хор, —  
იტყვის ის. თითქოს თვალისმიერი შთაბეჭდილება და ემოცია ვარსკვლავთა ცილისა ქაღალ-  
ნური ძალის გავლენით გარდაიქმნება ყურისმიერ, სმენით ემოციად. სინათლე წარმოშობს  
ბგერას. ეს ლექსი ღირსეულადაა ახმოვანებული ქართულად, თუმცაღა, სამწუხაროდ, თარგ-  
მანს არ გადმოჰყვა «таинственный хор».

„ოდეს ვუცქირდი ვარსკვლავთა ციავს,  
თვალი ამოდ ეძებდა ნაპირს,  
ფრთხილად გაემა ჩვენს შორის ძაფი,  
ნეტარი თრთოლვით მომწყვიტა წილს.

ღამის მუსიკა მოჰქონდა ნიავს,  
ასე მეგონა ვუსმენდი გუშინ...  
ო, ვარსკვლავები მას შემდეგ კრთიან,  
უფალო, აღარ ქრებიან სულში“...

ფეტმა რუსულ პოეზიაში შემოიტანა და დაამკვიდრა ადამიანება და ბუნების ერთიანო-  
ბის პოეტური სურათი, რთული და წარმტაცი პეიზაჟი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ  
პოეტური ენით აღიწერება.

მისი ხმა: „ღამის წყვედიადი და სიმარტოვე — ეს გზა ღმერთამდე ერთადერთია“, და  
მისი მიხტიკური ხილვების ანარეკლი გადოეცა მომდევნო თაობის რუს პოეტებს, რომელთა-  
გან თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით უადრესად გამოჩნეულია ვლადიმირ სოლოვიოვი.

„მე ვიყავ ბავშვი გასაკვირველი,  
საკვირველ სიზმრებს ვუმზერდი მაშინ“...

სოლოვიოვის ამ ავტობიოგრაფიულ ალბომს სიტყვა „უცნაური“ უფრო შეესაბამება. მისი ცხოვრება, მისი შემოქმედება, მისი ყოველდღიურობა, მისი ლექციები, ხულიერი განათლების საზოგადოებაში რომ კითხულობდა (სხვათაშორის ამ ლექციებს მუდამ უსწრებოდა დოსტოევსკი) იყო უცნაურობის, არაჩვეულებრივის, რაღაც მიღმურის ანარქიის.

ბლოკი იგონებს, თავისი სიჭაბუკის ფაზს როგორ იხილა ვლადიმერ სოლოვიოვი.

უცნაური აჩრდილი, ძველისძველი პალტოთი, ავადმყოფურად გამხდარი, მისდევდა თურმე უცხო მიცვალებულის კუბოს. პროცესიაში მიმავალ ვინმე გენერალს უთქვამს: «Знаете, кто это дубина? — Владимир Соловьев». ამ სიტყვების გაგონების შემდეგ სოლოვიოვი შეუმჩნევლად გაქრაო, — იგონებს ბლოკი; მისი სვლა და გაქრობა ადამიანისას კი არ ჰგავდა, არამედ ხულის, აჩრდილის უცხოთა და უცნაურ ქმედებას ჰგავდაო. ლეგენდასავით დარჩა ამბავი მის სატანურ, დემონურ სიცილზე...

ამბობენ, რომ ის იყო ივან კარამაზოვის პროტოტიპი.

მისი შემოქმედება რელიგიურ-მისტიკური ექსტაზის გამოხატულებაა, სადაც განსავებულია სიყვარულის საყოველთაო დღესასწაულის კეთილშობილ უტოპიაზე ფიქრი და მომავლის კატასტროფის წინასწარმეტყველური ღალაღი.

თითქოს სიზმარეული არყოფნიდან ჩაგვეხმის მისი სიტყვები, ადამიანის მიწიერ არსებობაზე ნათქვამი.

„ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების,  
ლანდებით გზას მივყვებით ეკლიანს“...

აქ პიროვნულს ერთვის ყოფნის საყოველთაო საზრისი და სოლოვიოვიც თავის სამშობლოს ეტყვის: „რუსეთო, როგორი აღმოსავლეთი გინდა რომ იყო, ქსერქსეს აღმოსავლეთი, თუ ქრისტეს აღმოსავლეთი?“.

სოლოვიოვს შიშს ჰგვრიდა აღმოსავლეთის არაქრისტიანული რელიგიები და, საერთოდ, არაქრისტიანულ ხაწყისზე აღმოცენებული ცივილიზაციები.

ამის დახტურია ლექსი „დრაკონი“, იმპერატორ ზიგფრიდს რომ უძღვნის. იმ ზიგფრიდს, ვინც აჭანყებული ჩინეთის დასათრგუნად აგროვებდა ღაშქარს. ეს გახლავთ რეაქციული ხულისკვეთების ერთადერთი გამოძახილი სოლოვიოვის პოეზიაში, როცა ის ტირანის მხარეს აღმოჩნდა.

ვლადიმერ სოლოვიოვის „პანმონგოლიზმშიც“ გაისმის ე. წ. „ყვითელი საფრთხის“ გამოძახილი. ეს ფრუანტელი, ეს უნიადაგო შიში მსხველავდა მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის არა მარტო პოლიტიკას, არამედ ხელოვნებასაც.

„ვხედავ — აპირებს ახალ სისხლისღვრას  
ჭოგი უცნობი და თავგასული.  
ალთაის მთებით, მალაის წყლებთან  
აღმოსავლეთის ტომთა ბელადნი,  
ჰკრებენ ჩინეთის დახრილ კედელთან  
ჯარებს აღჭურვილს ფეხით ყელამდი.“

კალიებივით აურაცხელი,  
გაუმადღარნი რბევით, ომებით  
არამქვეყნიურ ძალის მნახველნი —  
ჩრდილოეთისკენ დიან ტომები.

რუსეთო, გაჰქრა ძველი ედემი,  
არწივი ველარ აღიმართება...  
და შენი დროშის მონაფლეთები  
ოოგს ყვითელ ბავშვებს მისცეს სათრეგად...“

„უკეთესი ბავშვების“ ბედისწერული შიში, ასე მწარედ და შეუქცევლად რომ დაუ-  
ფლენებია მაშინდელი რუსეთის იმპერიას, სოლოვიოვს მიაჩნია ღვთიურ სახელოდ, იმ ცოდ-  
ვების სანაცვლოდ, რაც რუსეთის იმპერიამ თავისთავზე აიღო... იმ ბედისწერული შიშის ანა-  
რეკლი იმ ჩრდილი ეცემა ღვთაებრივ მომავალსაც, მესიანური იდეებით გატაცებული  
სოლოვიოვი რომ უწინასწარმეტყველებდა „მესამე რომს“.

ეროვნული  
ბიზნიოსი

„მძვინვარე სიტყვა — ჰანზონგოლიზმი  
სმენას რატომღაც ესაღბუნება,  
რალაც დიადი თითქოს შოისმის,  
უფლის ნებით რომ შეჰქმნა ბუნებამ...“

ეს გახლავთ წინასწარმეტყველური აქტის შედეგად დარჩენილი ხმა. ხწორედ ამ მისტიკური  
ხმით, ამ წინასწარმეტყველური პათოსით, მომავლის გვრეტის ზეადამიანური უნარით გამოირჩე-  
ოდა სოლოვიოვი თანამედროვეთაგან... ის ამ თავისი უცნაური ღაღადის გამოვლენის ფორმებს  
დაეძებს პოეტური ენის ნისლოვან წიაღში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მისი ხმის რელიგიურ  
მისტიკურ იერს.

აქვე მინდა ვთქვა, რომ გივი აღბაზიშვილმა სოლოვიოვის ლექსთა გადმოღებისას სა-  
მართლიანად გაითვალისწინა მისი პოეზიის ეს მთავარი თვისება. გაითვალისწინაო, ვამბობ,  
რადგან ეს წინასწარმეტყველურ-მისტიკური ექსტაზი, რის შედეგადაც იქმნებოდა სოლოვი-  
ოვის ლექსების უმეტესობა, მთარგმნელობით პროცესს არ მოეთხოვება. ამ მდგომარეობის  
მიღწევა შთაგონებით ან მიძალებით ყოველად წარმოუდგენელია, რადგან ის შემოქმედის  
თანდაყოლილი თვისება გახლავთ.

სოლოვიოვის პოეზიაზე და მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა დოხტოვესკის სენ-  
ტენციამ: „მსოფლიოს იხსნის სიღამაზე...“ მის პოეზიაში ჩანს მისტიკური შეუვარებულის  
სახე, უხორცო, წარმოსახვითი ხატი, რომლის მარადიულ არსსაც უკავშირდება სიყვარულის  
უკვდავება.

„ყველაფერს შთანთქავს წყვედიადის ბრუნვა,  
სიყვარულია მხოლოდ მარადი“.

მისი ხული იყარება „«во всесияющей святине»“, ერთვის ხამყაროს მარადიულ  
სტიქიონს და ეს მისტიკური მომენტი მართო ერთი კონკრეტული ლექსის არხს კი არ გვიმ-  
ხელს, არამედ გვიცხადებს სოლოვიოვის მთელი შემოქმედების ხულს, მის მეტაფიზიკას,  
იმ „რალაც ბიბლიურს“, რაც გოგოლს მიაჩნდა რუსული პოეზიის მთავარ თვისებად, მის  
გულისგულად.

სოლოვიოვის სახელს უკავშირდება რუსულ ლიტერატურაში ირონიულ-პაროდიული პო-  
ეზიის აღზევება. სამწუხაროდ, ამ ციკლის ლექსებიდან გ. აღბაზიშვილს თითქმის არაფერი  
უთარგმნია.

ვლადიმირ სოლოვიოვის პოეზიის და განსაკუთრებით მისი ფილოსოფიური იდე-  
ების მძაფრი გავლენით აღიბეჭდა „მეორე ტაღლის“ ხიმბოლისტების — ალექსანდრ ბლოკის,  
ანდრეი ბელის, ვიარხელავ ივანოვის და სხვათა შემოქმედება.

ანდრეი ბელის ჭერ კიდევ თანამედროვეებმა უწოდეს გენიალური. აქ მოვიტან ალექ-  
სანდრ ბლოკის ერთ ჩანაწერს: „ანდრეი ბელი ვნახე ხელოვნების ხასახლეში. ხალხის ჭგრო,  
სიცხე. ის იყო ისევ ისეთი, როგორიც ყოველთვის: გენიალური, უცნაური...“

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ორი დიდი და რადიკალურად განსხვავებული შემოქმედის  
ბედი უაღრესად დრამატულად გადაებლართა ერთმანეთს, რამაც უკიდურესად გაამძაფრა  
მათი ისედაც აფორიაქებული ცხოვრების რიტმი, ვნებები და ურთიერთობები.

ანდრეი ბელი უაღრესად ფაქიზი ირონიისა და რიტმული კონტრასტების დიდოსტატია.  
მის გროტესკულ-სატირული ხასიათის პროზას („პეტერბურგი“, „კოტიკ ლიტაევი“, „მოსკო-  
ვი“...) მისსავე ირონიული ხასიათის პოეზიაში აქვს ფესვები.

ის გახლდათ ერთგული რუსული პოეზიის იმ საძირკველისა, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვით.  
ამ ამბავს ანდრეი ბელიმ თავის თეორიულ ნაშრომებში არა ერთი გვერდი მიუძღვნა. „ხე-  
ლოვნების არსი რელიგიურიაო“, — წერდა ის. (ეს ცნება შემდგომ უკიდურესობამდე განა-  
ვითარა მეორე დიდმა რუსმა ბერდიაევმა. „ღმერთის გარეშე სამყარო უაზრო და შემთხვე-  
ვითია“. — წერს ის.)

ანდრე ბელიმ სიმბოლისტურ პოეზიაში დაამკვიდრა უოფთი სურათების დრამატიზმი. რიტმული ზიგზაგებისა და კონტრასტების ნიმუშია მისი «Заброшенный дом». პოეტური ეფექტის შექმნის ეს ზერხი, როცა ზოგი სტრიქონიდან მხოლოდ ნაგუსი რჩება, რაც რიტმულ შუალედს უკიდურესად კუმშავს და ამოკლებს, ძალზე იშვიათად გვხვდება სიმბოლიზმის სხვა წარმომადგენლებთან. ამ მხრივ ანდრე ბელი უმეტესად წინააღმდეგობა გაუწევს კოვსკის და ხლებნიკოვის.

ამ სტიქიით შესრულებული ლექსის თარგმნა ძალზე ძნელი ჩანს. ძნელია იმ ბუნებრიობის მიღწევა, რაც რუსულ დედანსა აქვს. ამ მხრივ ანდრე ბელი მთარგმნელებისათვის უოფელთვის „ძნელ პოეტად“ დარჩება. გივი აღბაზიშვილმა ამ რიგის ლექსებს კარგად გაართვა თავი. ნიმუშად მოვიყვან ორიოდ დამახასიათებელ სტროფს „მიტოვებული სახლიდან“:

„წარსულის კვიმლი დაგლია,  
დარდობ-4  
დაგფრენს ქილყვაგი მალლით,  
თავს დაგტრიალებს მარტოს...“

მიზურულია კარი.  
წარსულს ვერასდროს ნახავ...  
გამოგაყოლებს ქარი  
ძველი დარაბის კახანს.“

ანდრე ბელის პოეზია ვითარდებოდა როგორც სოლოვიოვის მისტიციზმის, ისევე დასავლური მეტაფიზიკური სკოლების გავლენით. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ის წლების განმავლობაში ისმენდა შტაინერის ლექციებს და სიცოცხლის მიწურულს მოგონებათა წიგნიც შექმნა სანტროპოსოფიის მამამთავარზე.

ანდრე ბელის ესთეტიზმი საკმაოდ მყიფე და ფაქიზი გამოდგა, მან ვერ გაუძლო უოფიერების კონკულსიებს, იმ ზიგზაგებს, რაც ისტორიის გრიგალს მოაყვია. პოეტი წერს კიდევ:

„უთანასწორო ბრძოლაში დამჭრეს,  
მძიმეა ჩემი სვე და მწარეა“.

ანდრე ბელის აქვს ბლოკისადმი მიძღვნილი ლექსი, რაც მისი და მისი თაობის პოეტების მელანქოლიასა და სასოწარკვეთას ეხმიანება.

„ჩვენ ჩავიფერფლეთ, ჩაეჭრით თანდათან,  
ჩამოწვა დამე, აღარ ხმაურობს,  
ნუთუ უოველი ქარმა გაჭყინტა,  
ძმავ, იღუმალო და უცნაურო?“

აქვე უნდა ვთქვა: არა მარტო ანდრე ბელის, არამედ ვლადიმირ სოლოვიოვისა და ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებაზეც სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის მათი პოეზიის ცალკეული თარგმანები, რადგან პოეზია მათი დიდი შემკვიდრეობის მხოლოდ და მხოლოდ ნაწილია. ჩვენი მკითხველისათვის ჭერაც უცხოა მათი პროზაული შემკვიდრეობა, მათი პიესები, მათი წერილები, რაც ქმნის ამ მწერალთა შემოქმედებით მთლიანობას...

„პოეტის საქმე სრულიადაც არ არის ის, რომ უველა ბრიყვის გონებასმდე მიაღწიოს. უფრო სწორად, მის მიერ მოპოვებული ჰარმონია ირჩევს რაღაც უფრო საინტერესოს, ვიდრე საშუალო ადამიანია. რა თქმა უნდა, იდრე თუ გვიან კრემარიტი ჰარმონია მიაღწევს ამ მიზანს. ამქვეყნად არავითარ ცენზურას არ შეუძლია ხელი შეუშალოს პოეზიას ამ ძირითად საქმიანობაში“ — წერს ალექსანდრ ბლოკი.

მისი პოეზია, მისი თეატრი, მისი პროზაული შემკვიდრეობა პოეტის ამ იღვის ერთგულდებითაა აღბეჭდილი.

ბლოკის ლექსში იგრძნობა სოლოვიოვის, ფეტის, ტიუტჩევის გავლენა, თუმცა მისი ლექსი უფრო მეტად ცხოვრებასთან შერიგებისა და მორჩილების ევანგელური ნიშნით მოდის ჩვენამდე. ის ეკუთვნის იმ სამყაროს,

„სადაც ბოშათა ისმის სიმღერა  
და კომეტების ცეცხლი მოცვივა...“



ასიც, თავისი დიდი წინაპრის, ხოლოვიოვის, მხგავსად ლანდური მიწნურის უკვდავ სი-  
ყვარულს ამაგრებს პოეტური ჰარმონიით.

„ენით უთქმელო, შორეულო,  
არ გაქვს სახელი,  
ო, იღუმალო,  
ნეტავ ქვეყნად ვინ შეგედაროს.  
ჩემო მნათობო,  
მეშინია შენი გამხელის,  
შენა ხარ თასი  
შხამით სავსე და სანეტარო.“

თუმცა მიხთვის არც ვნებათა მიწიერი ფეიერვერკი ყოფილა უცხო და მიუღებელი:

„მონა ვყოფილვარ ბევრჯერ ქალების,  
დატყვევებული ვარდისფერ ნისლით...“

არც პირვეული ბედისწერის წინააღმდეგ ამბობი აკლია მის ბიოგრაფიას... და მაინც  
ყველაზე მეტად მან განიცადა ძველი სამყაროს აპოკალიფსური ნგრევა.

მაიაკოვსკისადმი მიწერილ წერილში ბლოკი წერს:

„მე თქვენზე ნაკლებ როდი მძულს ზამთრის სასახლე და მუწეუმი. მაგრამ ნგრევაც  
ხომ იხევე ძველია, როგორც შენება... როცა მობეზრებულ რამეს ვანგრევთ, ჩვენ  
იხევე ვნადვლობთ ან ვამთქნარებთ, როგორც მაშინ, როცა ვუმწერდით მის შენებას. ის-  
ტორიის კბილი უფრო შხამიანია, ვიდრე თქვენ გგონიათ, დაწყვედილ დროს ვერ ამოვიღებთ.  
თქვენი კივილი — მაინც ტკივილის შედეგია და არა სიხარულია. როცა ძველს ვანგრევთ,  
ჩვენ მაინც ძველი სამყაროს მონები ვართ: ტრადიციის ნგრევაც ხომ ტრადიციია...“

და კიდევ ერთი ჩანაწერი:

„ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, რომ ყველაფერი მიდის, და არაფერი მარადიული  
არაა“.

სამყაროს წარმავალი ხურათის დახატვის მოწადინე სული გამოსცემს ამ სურათის შე-  
საბამის ხმას, მიუღწევლობის, უსასოობისა და იმედგაცრუების პირქუში შუქით გარემო-  
ბილი.

„მე ბებერ მიწას მივაყურადე  
და გული მყისვე დასვედიანდა,  
აქ ეილაც ტირის,  
კენესის მუღამდღე  
და სულს წყვლიადში ტანჯავს ნიადაგ.“

მსხვერპლის გარეშე წარუვალი ვერ შეიქმნება. ყოფიერების დრამატულ ზიგზაგებში  
გამოვლილი სულის ღაღადისია ბლოკის პოეზია.

რადა არ იგემა მან: ღაღატი, შური, უმადურობა... და სანამ ამ განსაწმენდელს გაიფ-  
ლიდა, მან შექმნა ღირიული სიღბოთი აღსავსე ლექსების ციკლი: «Стихи о Прекрасной  
Даме». ეს იყო პოეტის პირველი წიგნი და, როგორც მისი თანამედროვენი იგონებენ,  
„რჩეული მკითხველის გარდა, ვერ გაიგო ვერავინ და არც მიიღო ეს წიგნი...“

ბლოკი წავიდა პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე. ის გახლდათ სანგრების მთბრელ-  
თა ბრიგადის მეთაური. ფრონტზე მას შეხვედრია ალექსეი ტოლსტოი. ის წერს: „როცა მე  
ვკითხე, წერს თუ არა რამეს, მან გულგრილად მიპასუხა: „არა, არაფერს არ ვწერ“. სადა-  
მოს ჩვენ შევედით სავაზშმოლ მემამულის პირქუშ სახლში, სადაც ბლოკი ცხოვრობდა.  
გრძელ დერეფანში შევხვედით დიასახლისის საკმაოდ მობერებულ ქალს, — მან ბლოკს შე-  
ხედა პირქუშად და მრავალმნიშვნელოვნად. ბლოკმა აანთო ხანთელი და მოთხრა: „მე ვიცი,  
ამ სახლში დანაშაული მოხდება“. ეს იყო რევოლუციის წინ. 17 წელს

ის დაბრუნდა პეტერბურგში. ოქტომბრის შემდეგ დაწერა „თორმეტნი“ და ამ პოემის შემდეგ მთელი სამი წელიწადი სიკვდილამდე არ შეუქმნია არც ერთი სტრიქონი. ის იდგა და იყინებოდა გამხმარი თევზის რიგში, უამიფამ წერდა სხვადასხვა სტატიებს, რასაც შეუკვეთდნენ ხოლმე. იყო უსაზღვროდ მშვიდი და მორჩილი...“

აღექსეი ტოლსტოის ეს ვრცელი ციტატა კარგად გვიხატავს ბლოკის ცხოვრებას ბოლო წლებს. ამ პერიოდში მის სულიერ კატასტროფას სხვა დოკუმენტებიც [სტატიები, წიგნები, მემორუაზები, ალიანსკის მოგონებები, თვით ხლოკის ჩანაწერები და სხვ.

ამ ათიოდე წლის წინ გამოვიდა აღექსანდრ ბლოკის ლექსთა რევაზ თვარაძისეული თარგმანები. ამის გახსენებით, ცხადია, რაიმე შედარებას არ ვაპირებ. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ძალზე კარგია, რომ გვაქვს ბლოკის ლექსთა ორი განსხვავებული თარგმანი, ეს უდაოდ დაეხმარება ჩვენს მკითხველს დიდსა და რთულ პოეტურ სამყაროსთან მიახლოებაში.

რევაზ თვარაძისეულ თარგმანებში მეტი იყო „ღვთიური სიშმაგე“. ხოლო გივი აღხაზიშვილის ბლოკი წყნარი დინებებით მოდის ჩვენთან და მის მორჩილ, რბილ დინებაში საჩინოვდება საიდუმლო კლასიკური რუსული პოეზიისა. ბლოკი სრულიად ახალი სინათლით იმოსება. აქ ჩანს ახალგაზრდული დუდილის უამი და განსაწმენდელგავლილი, ევანგელურად მორჩილი და მშვიდი ბლოკიც. ამ სილბოში, ამ სიმშვიდეში იგრძნობა პოეტის დრამატული ცხოვრების ნაპერწკლები.

„ხელოვანი თავის ქმნილებებში ისე უნდა იყოს, როგორც ღმერთი ბუნებაში, უნდა იყოს უხილავი და უოვლადლიერი. მას უკვლავან უნდა გრძნობდე, მაგრამ ვერ ხედავდე“. — ამბობს გუსტავ ფლობერი. ეს მაქსიმა თითქოს ანათებს აღექსანდრ ბლოკის ოსტატობის მთავარ მხარეს, რაც გივი აღხაზიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანებშიც კარგად აისახა.

შესაძლოა გამოწვლილვით გვესაუბრა დანაკარგებზეც. ამის გარეშე თარგმანი ხომ წარმოუდგენელია. თუნდაც ასეთი რამ: ფეტის „მთის ხეობიდან“. «Здесь темный дуб и ясень и зумрудный...» რასაც თარგმანი ასე ეხმიანება: „დგას ბნელი მუხა, როგორც ოცნება“. ქართულად არ ვარგა „ბნელი მუხა“, თანაც ის დედანში არაა შედარებული ოცნებასთან და არც შეიძლება, რომ სიბნელე, ბნელი მუხა ოცნებას შეკადროს...

აქ, როგორც ჰორაციუსი იტყოდა, მთარგმნელმა „ჩათვლიმა“ და, სახედნიეროდ, ასეთი „ჩათვლემის“ მაგალითები კრებულში ძალზე ცოტაა.

„ჩვენ მოკვდავნი ვართ, ხოლო ხელოვნება მარადიულია“. ბლოკის ამ სიტყვებით ვამთავრებ გივი აღხაზიშვილის მიერ თარგმნილი დიდი რუსი პოეტების ლექსთა წიგნის მიმოხილვას. ბლოკის ეს სიტყვები მთარგმნელობით ხელოვნებასაც ეხება და ეს მშვენიერი კრებულიც ამ სენტენციის წრეშია მოქცეული.





„სინანული თომას ვულფის გამო“

ინგლისურიდან თარგმნა შაქა მაისურაძემ

I

თომას ვულფი გარდაიცვალა. ვეღარასოდეს დასრულდება ის დიდი თხზულება, რომლის შექმნისთვისაც მას უველაფერი მზად ჰქონდა და რომელიც ექვს დიდ ტომში უნდა მოქცეულიყო (მოკმედ პირთა რიცხვი რამდენიმე ასეულს მიაღწევდა, ხოლო ამბავი 1781-1933 წწ. მოიცავდა). ამ თხზულებას „დრო და მდინარე“ უწოდა ავტორმა და ეს სათაური უკვე მეორე ტომში გამოჩნდა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ იყო, რას გულისხმობდა თხზულების ასეთი სახელწოდება. ამიტომაც შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რამდენად მიესადაგებოდა ეს სათაური მთლიანად ნაწარმოებს. თომას ვულფის თაობის არც ერთ ამერიკელ მწერალს არ მოუკიდია ხელი ესოდენ დიდი სამუშაოსათვის. ჩანს მისი წარმოსახვა უფრო მცირე მასშტაბით ვერ იმოქმედებდა.

როგორც თვით თომას ვულფი აღიარებს, ის მთლიანად შემთხვევითობას იყო მიმდობილი და ნიჭი მის ნება-სურვილს მუდამ როდი ემორჩილებოდა. მაგრამ შემოქმედებითი ნაყოფიერება კი მართლაც რომ გასაოცარი ჰქონდა. სიბეჭითე და გამძლეობაც ისეთი გააჩნდა, რომ ეცოცხლა, ბოლომდე არ უმტყუნებდა.

სიკვდილის შემდეგ მას უამრავი ხელნაწერი დარჩა და ჯერ არავინ იცის რამდენის გამოქვეყნება მოხერხდება, რადგან ვულფი ერთ-ერთი უველაზე უყაირათო მწერალთაგანი გახლდათ. იგი მიზნად ისახავდა აღეწერა ისეთი ამერიკა, როგორც ეს ერთი ადამიანის გამოცდილებაში აღიბეჭდებოდა.

ვულფმა აღრევე მიაგნო ერთ ჭეშმარიტებას, რომელიც მის სამშობლოს — ამერიკას ეხებოდა. იმას, რომ სამშობლო თვით მასში იყო, ამერიკა — მთები, მდინარეები, რკინიგზები, ქალაქები, ხალხი — მისი აზრით, მტკიცედ იყო აღბეჭდილი ამერიკელის მეხსიერებაში.

ამერიკიდან ერთი უსიამოვნო და ფუჭი შემთხვევის გამო, ლტოლვილმა ვულფმა სწორედ უცხო მხარეში, პარიზში, შეიგრძნო პირველად თავისი სამშობლოს სიმდაბლე და სიდიადე. შეიგრძნო სიყვარულითა და სიძულვილით, დასავლეთიდან აღმოსავლეთით ზღვები მხოლოდ იმიტომ გადასცურა, რომ კვლავ თავის დაბადების ადგილს — ჩრდ. კაროლინის მთებს დაბრუნებოდა. „ამ წლების განმავლობაში მე მივხვდი, — წერდა ვულფი, — რომ, თუ გინდა შენი სამშობლო ჭეშმარიტად აღმოაჩინო, უნდა მიატოვო ის. თუ გსურს ამერიკა კვლავ იპოვო, შენს სულსა და გულში, მეხსიერებაში უნდა ეძებო ის, ოღონდ ეს კია — უცხო მხარეში უნდა იმყოფებოდე. ვფიქრობ, იმის თქმაც კი შემიძლია, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას ამერიკა კვლავ აღმოვაჩინე, რადგან ძალზე მჭირდებოდა იგი“.

ვულფის მიერ აღწერილი გრძნობა არც ახალია და არც უჩვეულო, მაგრამ საინტერესო აქ თვით ვულფის მეხსიერებაა, რომელსაც ჩვეულებრივად ვერასგზით ვერ მივიჩნევთ. მისი ნიჭიერების უველაზე ნაღდი მხარე იყო ის, რომ მას შეეძლო მთლიანად შეეცვალა აწმყო, შეენაცვლებინა აწმყოსათვის წარსული ისე, რომ გარდასული ხმები და ხატებანი თითქმის მთლად წარხოცავდნენ ახლანდელს. ასეთ შემთხვევებში იგი კარგავდა დროის შეგრძნებას. პარიზში

კაფეს ტერასზე მჯდომი ვულფი თავის თავში მოიცავდა არა მხოლოდ მისთვის ნაცნობ ამერიკას, არამედ თავის მშობლებსაც, რომელნიც თითქოს მის სხეულში იყვნენ დატყმულნი; არა მარტო მეხსიერებაში აღბეჭდვოდნენ, არამედ, რაც უფრო გასაოცარია, თავთ მისი ტვინის შემადგენლობაში იყვნენ განზავებულნი. მწერლის გონების თვალს ისეთი გოლიათური სიდიდით წარმოუდგებოდნენ, რომ ატლანტიის ოკეანეს გადმომწვდარი მათი აჩრდილეთუ ტარების კაფეს მაგიდაზე განირობებოდა, რომლის ქვეშაც მათ ვაუიშვალს თავისი გრძელთუ ჩაქმდეული ამერიკელის ფეხები გაეჭიმა.

„ჩემი მეხსიერების თვისება, — წერდა ვულფი თავის პატარა წიგნში, „რომანის ამბავი“, — გახლავთ ის, რომ იგი ჩვეულებრივზე მეტადაა განპირობებული გამახვილებული გრძნობებით, ამ გრძნობებში აღბეჭდილი შთაბეჭდილებებით, და იმით, რომ მას ძალუძს კონკრეტული საგნებისათვის დამახასიათებელი სიცხადით აღმიდგინოს, ხელახლა შემაგრძნობინოს წარსული სურნელი, დამანახოს ფერები, კვლავ წარმომიდგინოს ადრე ნახული ფორმები, ხელახლა განმაცდევინოს საგნების შეხებისაგან აღძრული გრძნობა“.

ეს მართალიცაა, მაგრამ თომას ვულფის მკითხველებს ისიც გაახსენდებათ, რომ იუჯინ განტის დედის ერთგვარ ავადმყოფობას წარმოადგენდა მისი დაუსრულებელი მოგონებანი, რაც სასოწარკვეთილებაში ავდებდა მთელ მის ოჯახს. ვულფსაც, ელაიზა განტისა არ იყოს, სრულიად არ შეეძლო გამოეტოვებინა რომელიმე წვრილმანი, თუნდაც უმნიშვნელო, უფრო მეტიც, ის ვერ გრძნობდა, რომ რომელიმე წვრილმანს მნიშვნელობა არ ჰქონდა მისი მიზნისათვის. მათ, ვისაც წაუყითხავს „შინისაკენ მიიხედე, ანგელოზო“, ეხსომებათ, რომ იუჯინ განტის მამა მტევრმეტყველი კაცი იყო, რაშიც ვერც ერთი მეგობარი ვერ შეედრებოდა. ამბობდნენ კიდევ, რომ მოხუცი განტივით ინგლისურ სიტყვას ვერავენ მოიქნევსო. მიუხედავად ამისა, მისი ზოგჯერ საკმაოდ ცეცხლოვანი საუბარი, ძალზე ხშირად გაცვეთილ რიტორიკად გადაიქცეოდა ხოლმე. მართალია, ძალუძდა უღერდა, მაგრამ გარე სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და აზრს მოკლებული ჩანდა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მის მრისხანებასა და ვალიზიანებას გადმოსცემდა.

ძნელია არ დაგებადოს შეგრძნება, რომ ეს ორი პერსონაჟი ვულფმა თავისი მშობლების გავლენით შექმნა. იმ დროს, როცა „შინისაკენ მიიხედე, ანგელოზო“-ს წერას შეუდგა, ვულფი ისე იყო თავისი მშობლებისაგან განცალკევებული, რომ შეეძლო ელაიზას გაუთავებელი საუბრისა და მოხუცი განტის მგზნებარე გულისწყრომისათვის კომიკური იერსახე მიენიჭებინა. ამით მან თავისი მშობლები დაამცირა და იმავდროულად რაღაც ზეადამიანურიც მიანიჭა მათ.

მაგრამ თვით მას კი, ყოველ შემთხვევაში წერისას, არახაზით არ შეეძლო, შეეჩერებინა მოგონებათა მდინარება, ან კიდევ, როგორმე ცდილიყო, რათა მოგონებათა ეს ნაკადი სიტყვათა ნაკადად არ გადაქცეულიყო. ვულფი ჰკუიდან შემცდარი კაცივით წერდა. ყველაფერი, რაც კი გონებაში ჰქონდა, უნდა გადმოცემულიყო, არა მარტო იმიტომ, რომ ის ელაიზას ვაჟი გახლდათ, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ დაწერილი ერთგვარად ცოდვათა მონანიებას წარმოადგენდა, რაც სიტყვებში უნდა აღბეჭდილიყო, სიტყვებში, რომელთაც ვულფი, როგორც ჩანს, მუდამ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე მათ სინამდვილეში გააჩნდათ. თითქოს ეს მოდა, რომ მის რომანს არავითარი სხვა მნიშვნელობა არ ექნებოდა გარდა იმისა, რასაც სიტყვებში იპოვიდა მკითხველი. რომანის მნიშვნელობა მისმა სტრუქტურამ უნდა გადმოსცეს, მაგრამ ვულფის რომანებში რაიმე სტრუქტურის აღმოჩენა შეუძლებელია.

არავინ იცის, რა ადგილს დაიკავებდა ამერიკულ მწერლობაში თომას ვულფი, თავისი ნაწარმოების დასრულება რომ დასცლოდა. დღესდღეობით მას დიდად აფასებს კრიტიკაც და ჩვეულებრივი მკითხველიც. „შინისაკენ მიიხედე, ანგელოზო“-ს გამოქვეყნებიდან მოყოლებული, მისგან სამართლიანად მოელოდნენ ყველაზე მეტს. ამიტომაც „დრო და მდინარე“ მათ ამ განწყობილებით განმსჭვალულებმა გაიაზრეს და თხზულების ნაკლოვანებანი მისი ავტორის ქარბი შემოქმედებითი ნაყოფიერების შედეგად მიიჩნიეს. ასე რომ, ეს თხზულება მწერლის ნიჭის უმაღლეს გამოვლინებად აღიქვეს. არადა ამ ნაწარმოებს ძირეული ნაკლოვანებანი აქვს. ვულფის ნიჭის ცხოველყოფილობა ექვევარეშეა, მაგრამ მან ვერ შეძლო და არცა მგონია ოდესმე შეძლებოდა, მოეძებნა ამ რომანისათვის ფორმის ისეთი სტრუქტურა, რომელიც უაღიბში მოაქცევდა და მნიშვნელობას მიანიჭებდა მის გრძნობებში შემონახულ გამოცდილებას. ვულფს გონიერება არ აკლდა, მაგრამ უნდობლად ეკიდებოდა მას, რადგან სხვაფრივ იძულებული



იქნებოდა მთლიანად დანებებოდა თავის ცნობიერებას, ამას კი მუდამ გაურბოდა, რადგან ცნობიერება დაფინებით ჩასჩინებდა ცოდვილი ხარო.

მისი, როგორც ხელოვანის მდგომარეობა ძალიან ემსგავსება მართ ქრეინის მდგომარეობას. ქრეინი 1889 წელს დაიბადა, ვულფი — 1900 წელს და, მაშასადამე, თითქმის ტოლები იყვნენ. ორივეს გააჩნდა ის, რასაც გენიალობას ვუწოდებთ. ორივეს ესმოდა, რა უნდა ეკეთებინათ თავისი ქვეყნის სადიდებლად უნდა გამოეყენებინათ: ერთს — პოეზიაში, მეორეს — მწერლობაში. მაგრამ ვულფს, ასევე, როგორც ქრეინს, არ შეეძლო იმაზე მეტი თანმიმდევრობა მიენიჭებინა თავისი თხზულებებისათვის, ვიდრე ამას წერის მიხედული სტილი კარნახობდა. ქრეინის მსგავსად, მანაც აღმოაჩინა, რომ ამერიკა, რომლის განდიდებაც აგრერიკად სურდა, არ არსებობდა. მას შეეძლო გადმოეცა ამ ქვეყნის სურნელი, ხატებანი, ხმები, — დაკერილი, აღქმული დროის გარკვეულ მონაკვეთში. ცდილობდა, შეეხისხლხორცებინა ეს მომენტი და „ხიდის“ შემქმნელი პოეტის მსგავსად ამ ერთი წამისათვის მიენიჭებინა მარადიულობა, რაც მითისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ მას არ შეეძლო აღებეჭდა მთლიანი, განვითარებაში მყოფი ამერიკა. მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო აეწერა ეს ორმოცდაათი წელი ამ ქვეყნის ცხოვრებიდან, იგი ვერ აღიქვამდა მის ისტორიას. ვულფი აღებეჭდავდა ყველაფერს, რაც მის მგრძნობელობაში იყო მოცემული. მაგრამ მთლიანი გამოცდილების გადმოცემა არ ძალუძდა. ყველაფერი ერთ გარკვეულ წამში იყო გაერთიანებული და მწერალი ცდილობდა ისეთი შთაშვებულობა მიენიჭებინა ამ წამისათვის, რომ მას (ამ წამს) რაღაც ტრანსცენდენტული მნიშვნელობა ეძლეოდა. მაგრამ თუ რა კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია ეს მომენტი, ვულფს არ ესმის და, აქედან, — არ გვესმის ჩვენც. და მას ესღა დარჩენია, რომ მეორე ასეთი მომენტი გაიხსენოს, რომელიც როგორც კი გონებაში გაუელვებს, თითქოს რაღაც საოცრების წყალობით, ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს.

ქრეინიცა და ვულფიც იმ მსოფლიოს პირმშონი იყვნენ, რომელიც მართლაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, წამიდან წამამდე ვითარდება, წამით ცხოვრობს და რაკი ამ წყვეტილობის გამო-ხატველებად წარმოგვიდგებოდნენ მნიშვნელობაც მხოლოდ ამდენად მქონდათ ამ ქვეყნად.

ჩემი აზრით, ამ ორ შემოქმედთაგან ვულფს უფრო კარგად მქონდა შეცნობილი თავისი რთული მდგომარეობა. როგორც თვით ამბობს, „დროისა და მდინარის“ წერისას მას ტანჯავდა ზმანება, რომელშიც საკუთარი ცოდვილობის გრძნობა დროის დავიწყებასთან იყო გადაჭაჭვული. „ძილი დაჯარგი, არ შეშეძლო დამოკვებინა შემოქმედებით ძალთა ბობოქრობა, სამი წლის განმავლობაში ქუჩებში დავებეტებოდი და ისე შევისწავლე ეს უზარმაზარი მოზუ-ზუნე სკა, რომელსაც ქალაქს უწოდებენ, როგორც არასდროს აქამდე... უფრო მეტიც, ამ უსიერ ტყეში, აბლაბუდას ამ ქსელში უგზო-უკვლო დამეუღლა ხეტიალმა ნათლად დამანახვა, შემაგრძნობინა, განმაცდევინა ადამიანური ცხოვრების მთელი საშინელება (ეს ხდებოდა დიდი დეპრესიის ყველაზე მწვავე პერიოდში, როცა ვულფი ბრუკლინში ცხოვრობდა). ამ გამოცდილების ასეთი განცდის შედეგად ჩემში მადანივით დაილექა მარად მგზნებარე ხსოვნა როგორც გარკვეული საბუთი იმისა, რომ ადამიანი ძლიერია, რომ მას შესწევს ძალა ეწამოს და ასე თუ ისე მაინც გადარჩეს. მაშინ ეს სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ზემოაღნიშნული მაიძულებს ერთგვარი სიხარულით გავიხსენო ის შავბნელი დრო, რადგან სწორედ იმ დროს ჩემს ცხოვრებაში რაღაც დასრულდა. ჩემს მიერ განცდილი ტანჯვა-წამების მეოხებით გარშემო მყოფთა, გრძნობების გაზიარებაც შევძელი“.

ზემოთ მოყვანილი მოგონება ძალზე საინტერესოა, არა მხოლოდ იმით, რომ გვაცნობს, თუ როგორი იყო ვულფი იმ დროს, არამედ მწერლის მოსალოდნელი ემოციური სიმწიფითაც, რაც უკვე ამ ნაწყვეტშიც იგრძნობა. იუჯინ ვანტის ამბის აღწერით, ვულფი გადმოსცემდა სხვა ადამიანთაგან თითქმის მთლიანად განცალკევებული ახალგაზრდა კაცის ისტორიას. იუჯინი და, საფიქრებელია, თვით ვულფიც თავისი მგრძნობელობის საკანში იყო გამომწვევადეული და უოველი ახალი წამის დადგომას ისე ელოდა, თითქოს სწორედ იმ წამს უნდა გაეგონა საკნის განაღების ჩხაკუნი თითქოს, სწორედ ეს წამი მოუტანდა თავისუფლებას „უგოლინოსი“ არ იყოს, მასაც, გამოღვიძებულს, ტკბილი სიზმრისათვის ჭერაც ვერ წაურთმეგია თავი, გასაღების ჩხაკუნი ესმის, მაგრამ ეს გასაღები კარს კი არ აღებს, პირიქით — კეტავს. ხსენა არსაიდან

<sup>1</sup> უგოლინო—უგოლინო დე ლა გერარდესკა, გრაფი დონორატო— პიზის რესპუბლიკის მმართველი. 1285 წ. მან ხელისუფლება თავის შეილიშვილთან ნინო ვისკონტისთან გაიზიარა, მაგრამ მალე მათ შორის განხეთქილება მოხდა, ამით ისარგებლეს მისმა მტრებმა, რომელთაც სათავეში არქიეპისკოპოსი როჯერ დე ლა უბალდინი ედგა. იგი უგოლინოსს მის შეილიშვილ-

ჩანს და ვულფის სამყოფელსაც, ისევე როგორც უგოლინოს ტყვეობის აღვილს, შეიძლება მიმშვილი ვუწოდოთ.

კრიტიკოსმა აღან თეიტმა თავის ესეში, რომელიც მართ ქრეინის შემოქმედებას განიხილავდა, აღნიშნა, რომ იგი ერთგვარ თამაშში იყო ჩაბმული, სადაც ნებისმიერი ხველა შეიძლება გაკეთდეს, რადგან არც ერთი ხველდებულო არ არის. ეს იმიტომ, ზრემო [წინაწარმო] არავინ იცის, რომელი სვლა მიანიჭებს თამაშს სიმწყობრეს, რომელი შეიტყვის [წინაწარმო] შეტრახებს.

იმ აზრსა თუ განწყობილებას, რომელიც ვულფს „დროისა და მდინარის“ შექმნისას განუწყრელად სდევდა თან, ძნელია „მამის ძებნა“ უწოდო. თუკი ეს მოტივი საერთოდ ჩანს რომანში, ის იმდენად არარსებითია, რომ ასეთი „ძებნა“ უშიწნოდ გვესახება. სტივენ დედალოსის მიერ „მამის ძებნა“ ამზადებს იმ გარკვეულ მომენტს, რომლისკენაც მიისწრაფის მთელი მონათბრობი. სწორედ ამით განსხვავდება ვულფის რომანი „ულისესაგან“.

თომას ვულფის აღზრდაში არაფერი მიგვითითებს იმაზე, რომ მისთვის წესრიგი მისაღები და ჩვეული რამ იყო. მუდამ ისე იქცევა, თითქოს მისი მგრძნობიერება, ტანჯვაში ნაშობი იმედი და მუდმივი უკმაყოფილება თუ გაღიზიანება და კიდევ უეჭველად გამომხატველობისადმი მისი რომანტიული სწრაფვა ანიჭებდეს მას უპირატესობასა და სიძლიერეს. მაგრამ ვულფი ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ ისინი, ვინც რაიმე დოსციპლინას ემორჩილებიან, სიძლიერეს მოკლებულნი არიანო. როგორც ჩანს, მას არ ესმოდა, რომ არიან ადამიანები, რომელთა მდგომარეობა გამოხატა იეიტსმა სიტყვებით: „კვილი შვებას მომანიჭებდა“, მაგრამ მასავით სდუმან, რადგან „ადამიანური ღირსება კვილის ნებას არ აძლევთ“.

მისი ასეთი გაუგებრობა გამოწვეული იყო არა იმით, რომ გონიერება აკლდა, არამედ იმით, რომ სიუვარულს ნაკლებად განიცდიდა. მის მიერ აღწერილი განტების ოჯახი მუდამ არასასიამოვნოდ გვეცემა თვალში, რადაც ადამიანებისათვის შეუფერებელი სიძულვილით, თავ-შეუპაველად გამოხატული დამცინაობით. იუჯინიც ხომ ვანტია. — და თუ მის გამო ჩვენ შზად ვართ ვალიართ, რომ გენია თვით ქმნის თავის კანონს, — იმის უფლებაც გვაქვს, რომ მოვთხოვოთ გენიას აღმოაჩინოს ეს კანონი. ქრეინის მსგავსად ვულფმაც ვერ შეიგნო, რომ ჩვენს დროში ინდივიდუალიზმის ესოდენ უკიდურესი გამომჟღავნება მხოლოდ უმსგავსობად ჩაითვლება. ორივე შემოქმედი ძალზე დაგვიანებით მოველინა ამ მეტისმეტად მექანიზებულ ქვეყანას.

ორივეს რაღაც პირველყოფილი ხელშეუხებლობა, ქალწულოვნება სწყუროდა და ხულ მუდამ ამ მათთვის საოცნებო, მათი გულუბრყვიო შეურყენელი პირველყოფილობის შექმნის ცდაში იყვნენ. სწორედ ასეთი პოეტურობის გამო დაისახეს უპირველეს მიწნად ამერიკის განდიდება. ეს დიდებულ მიწნად ესახებოდათ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რომანტიულად განწყობილი ორივე შემოქმედი, ბედმა ბრუკლინში მიიყვანა, და, რაც იქ ნახეს, ამაზრზენად ეჩვენათ.

ქრეინსა და ვულფში, ორივეში თავისებურად, ამერიკის რომანტიული სულის გამოვლინებამ მწვერვალს მიაღწია. ორივეს ძლიერ სურდა განცდილისათვის ნებისყოფის ძალა დაებრისპირებინა. ვულფი უჩვეულო ნებისყოფის კაცი იყო, ქრეინიც იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავი დაიბრჩო. ვულფს მხოლოდ განცდილი და დანახული აიძულებდა თავს შებრძოლებოდა და საბედისწერო ნაბიჯი არ გადაედგა. თავის გრძნობებში იყო ჩაკეტილი. გამოსავალი არსად ჩანდა. მუდამ რაღაც არარსებულ კარს დაეძებდა, მაგრამ მხოლოდ ერთ კარს ხედავდა — სიკვდილისაკენ მიმავალ კარს.

III

ხელოვანის გონებრივი მოქმედება კარგადაა მისადაგებული დამოკიდებულებათა აღქმასთან. რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ეს დამოკიდებულებანი, ხელოვანსა და ხელოსნის ცნო-

თან ბრძოლაში თანადგომას დაჰპირდა, მაგრამ ორივეს წინააღმდეგ მოქმედებდა. 1288 წ. არქიებისკოპოსმა აიძულა ნინო ვისკონტი მიეტოვებინა პიზა, ხოლო უგოლინოს წინააღმდეგ კი იჯანყება მოაწყო. მოწინააღმდეგეებმა უგოლინოს სამშობლოს დალატი დააბრალეს და თავის ორ ვაჟსა და ორ შეილიწვილთან ერთად კომში დაამწყვდიეს, სადაც შიმშილით დაიბოცნენ. არქიებისკოპოსი პიზის რესპუბლიკის მმართველი გახდა. დანტე ალიგიერი, „ღვთაებრივი კომედიი“, „ჯოჯოხეთი“, 33;

ბიერებას იხინი მუდამ ძირეული სიცხადით უნდა წარმოუდგებოდნენ, სელოვნების ერთ-ერთ პირობას ის წარმოადგენს რომ მისთვის მიუღებელია აბსტრაქტული დამოკიდებულებანი — ყოველივე გრძობამ უნდა აღიქვას და გაითავისოს.

ვულფის თბუღებათა ცენტრს ერთადერთი პერსონაჟი წარმოადგენს, ხოლო თავისი შემოქმედების მიზნად კი მწერალს ჩვენს დროსთან ამ პერსონაჟის მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი დამოკიდებულების ჩვენება ესახებოდა. ავტორი ვაუწყებს, რომ იუჯინს განტს ახასიათებდა ფაუსტისებური სწრაფვა, ყველაფერი თვითონ განეცადა, გასცნობოდა ამერიკაში მცხოვრებ ყველა რახისა თუ სოციალური კლასის წარმომადგენელს. უფრო მეტიც, იუჯინოს გამოცდილება მხოლოდ ამერიკით არ შემოიფარგლება.

მაგრამ საკმარისია კარგად დავაკვირდეთ მას, რომ დავინახოთ, რაოდენ შემთხვევითა და უმნიშვნელო კონტაქტს ამყარებს გმირი გარშემო მყოფ ადამიანებთან (მხედველობაში არა გვაქვს მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი). იუჯინს დიდ სიამოვნებას ანიჭებს ძლიერი გრძნობების ტყვეობაში მყოფი ადამიანის ცქერა, მაგრამ თვითონ გარეშე, დაუინტერესებელ მაყურებლად რჩება ბოლომდე.

ვაგონის ფანჯრიდან ის თვალს ადევნებს როგორ გადადის ხალხი ერთი მატარებლიდან მეორეში.

„წამით ერთმანეთს შეხედეს, გაიარეს და სამუდამოდ გაუჩინარდნენ, მაგრამ მას ერვენებოდა, რომ იცნობდა ამ ადამიანებს, გაცილებით უკეთ იცნობდა, ვიდრე იმათ, ვინც მასთან ერთად იმყოფებოდა მატარებელში. აი, იხინი წამით შეხვდნენ, ერთმანეთს ჩაუარეს და, უამრავი მიმართულებით მიმოფანტულნი სამუდამოდ გაქრნენ. მაგრამ იუჯინი გრძნობდა, რომ რაკი ერთხელ მაინც შეხვდა მათ ამ უკიდურესად, დროის მიღმა მყოფი ცის ქვეშ, იხინი სამუდამოდ აღიბეჭდნენ მის მეხსიერებაში და ფიქრობდა, რომ მათაც იგივე გრძნობა უნდა ჰქონოდათ.

ერთმანეთს ნელა ჩაუარეს, გაუღიმეს, თვალებში სითბო ჩაუდგათ, და იუჯინმა გაიფიქრა, რომ ორთავენი ერთგვარ სინანულსაც განიცდიდნენ, რადგან უზარმაზარ, მოზუზუნე ქალაქში განწავებულნი, როგორც იქნა ამ მარადიული დედამიწის ტრიალმა ერთმანეთს შეჰყარა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თვალის შევლება მოეხწროთ ერთიმეორისათვის და ძველებურად დროის ნაკადს მინდობილნი, მზნინავ ლიანდაგებზე საპირისპირო მიმართულებით გასრიალებულიყვნენ, რათა აღარასოდეს შეხვედროდნენ, აღარასოდეს დალაპარაკებოდნენ, აღარასოდეს ენახათ, არ სცნობოდათ ერთმანეთი და მათი დღემოკლეობა, კაცთა მოდგმის ბედ-იღბალი სწორედ ამ წამიერ მისალმება-გამომშვიდობებაში იყო მოქცეული“.

მატარებლიდან ის ხედავს ბიქს, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია აედევნოს თუ არა გოგონას; ნიუ-იორკის ქუჩებში ხეტიალისას დაინახავს როგორ კვდება ოთხი კაცი; უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტის მეშვეობით გაეცნობა მოხუც ებრაელ ქალს, რომელიც ერთი წლის გარდაცვლილ ვაჟს გლოვობს. ყველა ეპიზოდი ზედმიწევნით სრულია, უფრო მეტიც, მათი დიდი ნაწილი მეტისმეტი სიზუსტითა და სიბეჭითითაც კია აღწერილი, მატარებლის ფანჯრიდან დანახულმა სივრცემ გმირში წარმოშვა „თავშეუკავებელი და იმავე დროს რაღაც სევდანარევი სიხარული, — რაღაც გაურკვეველი იმედის, დაუძლეველი ვნებისა და ადამიანის დღემოკლეობის შეგრძნება“.

გვეჩვენება, რომ ყოველგვარ გარემოებას იუჯინი ჭარბი გრძნობიერებით პასუხობს, მაგრამ ადამიანებისათვის არაფერი აქვს ხათქმელი. მოხუცი ებრაელი ქალის მწუხარება მისთვის „უკიდურესად შემწარავია, აღაფხვბს სისასტიკის, ზიზღისა და სიბრაღულის გრძნობით. ეს გრძნობები სხვისკენ არ არის მიმართული, არამედ თვით მასვე უბრუნდება. ამიტომაც, ობიექტამდე ვერ აღწევენ, ვერ მპოვებენ მშვიდობას ერთ ადამიანში. სწორედ ესაა მიზეზი, რომ განრისხებული იუჯინი მილიონებს მიმართავს. მასში ყველა გრძნობა ცოცხალია, ერთის გარდა: — არ არის სიყვარული.

ვულფის რომანებში სწორედ ის ნაწყვეტებია ყველაზე შთამბეჭდავი, სადაც გმირი ამულავნებს, რომ მას ესმის სხვისი. რაღაც ერთი წამით, მხოლოდ წამით გაუელვებს თანაგრძნობა და მაშინ უკვე ესმის ადამიანის ტანჯვა; მისი დაბნეულობა. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმ დროს, როცა მოძმის ემოციები მწვერვალს მიაღწევს. ეს მომენტი გაივლის და მასთან ერთად გაქრება თანაგრძნობაც. იუჯინს განტისათვის მხოლოდ ისეთი ადამიანური ურთიერთობებია მისაღები, რომელთაც არავითარი განვითარება არ ექნება. ვაგონიდან დანახული ბიჭისა მას ესმის და ეცოდება კიდევ ის, მაგრამ მატარებელი მიექანება და იუჯინსაც სხვა აღარაფერი მოეცითხება. ერთ

მშვენიერ დღეს ქუჩაში რომ გადაეყაროს იმავე ბიჭს, მხოლოდ მისი მეტყველების უხამსობას შეამჩნევს, რაც ზიზღსა და სიძულვილსაც კი აღუძრავს და იგივე კვლავინდებურად განდგომილი, უცნაური და გულქვა დარჩება. ყველაფერი ეს წამებაა ადამიანისათვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ბქონდეს რაიმე გამართლება, როცა მათ ხელოვანი შესაფერი პასუხისმგებლობით გამოიყენებს.

ერთადერთი მყარი ურთიერთობა იუჯინს მხოლოდ თავის ოჯახთან [აქვე] მსმენებელიცაა, რადგან ოჯახთან დამოკიდებულება სრულიად თავისთავადი და ეჭვშეუტანელია. მამა სიკვდილის შემდეგაც მამაა, ძმა ისევ ძმაა, ცოცხალიც რომ არ იყოს. მას უყვარს და მას სძულს, თუნდაც არ იცოდეს რატომ.

ერთადერთი თანამედროვე მწერალი, რომლის რამდენადმე ძლიერი გავლენაც ვულფმა განიცადა — ჯოისია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, მართალია, ჯოისმა სტივენ დედალოსი იმ წინააღმდეგობების გავლენით შექმნა, რომელიც თვით განიცადა სიუმაწვილეში, არ შეიძლება სტივენი ახალგაზრდა ჯოისის სრულ პროტოტიპად ჩაითვალოს, ისევე როგორც არ შეიძლება მამლეტიცა და შექსპირის გაიგივება. მამლეტიცა და დედალოსიც მხოლოდ ლიტერატურული გმირებია, მწერლის შემოქმედების ნაყოფი. მაგრამ ვულფის რომანებში ვერ გრძნობ, რომ მთავარი გმირი შექმნილი მწერლისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებულად არსებობდეს, მას იუჯინი განტი ბქვია, მაგრამ ამით არავინ ტყუვდება: ეჭვგარეშეა, რომ მის უკან თვით თომას ვულფია ამოფარებული. მაგრამ აქვე ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომელიც არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ: იუჯინი განტი სულ ცოტა ათი წლით მაინცაა უმცროსი ვულფზე.

თომას ვულფი „დრო და მდინარეს“ უწოდებს მიძღვნას, რომელიც მან „ახალგაზრდა კაცის უმაწვილურ მიუსაფრობას“ შეუქმნა, რითაც იუჯინი განტი სრულიად ჩვეულებრივ ახალგაზრდად წარმოგვიდგება.

ვულფი ამბობდა, რომ თხზულების მეორე ტომი გმირის ცხოვრების „გაცილებით უფრო მტკიცე, მდგრად პერიოდს“ აღგვიწერდა, „პერიოდს, რომელიც ერთადერთი გრძნობით იქნებოდა ნიშანდებული“. ეს განცხადება საექვოდ გვეჩვენება. აქამდე იუჯინს ვინმეს მიმართ რამდენადმე ძლიერი სიყვარული არ გამოუმუშავებია და მისი მამაკაცური გრძნობა მხოლოდ ცუდი ყოფაქცევის ქალებთან შემთხვევითი ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. არის მომენტი, როცა ის თავს დაირწმუნებს, რომ უყვარს ანა — სასიამოვნო, ჩვეულებრივი ბოსტონელი გოგონა, მაგრამ იქვე უწნეო ქალს უწოდებს მას, რაც, რასაკვირველია, უსამართლობაა. ერთადერთი გრძნობა, რომელიც იუჯინმა ვინმეს მიმართ ასე თუ ისე ხანგრძლივად შეინარჩუნა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის დამოკიდებულებას ნათესავებთან), იყო მეგობრობა სთარვიკთან. პარვარდში გატარებული ორი წლის განმავლობაში ის მხოლოდ სთარვიკს დაუშეგობრდა და რამდენიმე წლის შემდეგაც, პარიზში ყოფნისას, ეს გრძნობა კვლავ ძალზე ძვირფასი იყო მისთვის. მაგრამ ამასაც ბოლო მოეღება, როცა იუჯინი აღმოაჩინებს, რომ სთარვიკი მამათმავალია. ამ მოულოდნელმა იმედგაცრუებამ იუჯინის გააფთრება გამოიწვია, რაც შესაძლებელია სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენოს, მით უმეტეს, როცა ახალგაზრდა კაცი გაიგებს, რომ ანას სთარვიკი შეუყვარდა, ხოლო თვით სთარვიკი კი შემთხვევით პარიზის ერთ-ერთ ბარში გაცნობილ ვიღაც ავარას მიმართ აღძრულმა გრძნობამ შეიპყრო. ჩემი აზრით, ამ ამბავს უფრო მეტი დაკვირვება ესაჭიროება, რადგან საქმე არც ისე უბრალოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. თხზულებაში სთარვიკის პირველივე გამოჩენისთანავე ავტორი გვამცნობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ გმირს თავი ცოტა არ იყოს არაბუნებრივად უჭირავს, მისთვის ძლიერი გრძნობები უცხო არ არის. შეუძლია ვინმე უყვარდეს და სხვებიც მის მიმართ გულგრილნი არ რჩებიან, რითაც ის იუჯინისაგან განსხვავდება. პარიზში მომხდარმა ამბავმა მას აგრძნობინა, რომ სიყვარული აკრძალული ხელია, სთარვიკის სახით იუჯინს მისივე ბედისწერა წარმოუდგა. ასე მოხდა მაშინაც, როცა მისმა ძმამ, ბენმა სინანულით გაიხსენა თავისი უსიყვარულო ბავშვობა და იუჯინმა, როგორც იტყვიან, სხვისი თვლით თავის ისეთსავე უსიყვარულო ბავშვობას შეხედა, ხოლო ძმის გარდაცვალებისას თავისი სიკვდილი იგლოვა წინასწარ.

და აი, როდესაც გააფთრებული იუჯინი სთარვიკს კედელზე მიახეთქებინებს თავს, მხოლოდ საკუთარ გაღიზიანებასა და ხასოწარკვეთილებას უსწორებს ანგარიშს.

განტების სახლის ეზოში, საფლავის ქვებს შორის, მრავალი წლის განმავლობაში იდგა მარმარილოხაგან გამოქანდაკებული ანგელოზი, რომელიც თვით მოხუც განტს გაეკეთებინა მაშინ, როცა ახალგაზრდული იმედებით, ფრთაშეხმულს, ეგონა, უბრალო ქვის მთლელი კი არა, მოქანდაკე გახდებოდა. ახლა ეს ანგელოზი განტის გაღიზიანების მუდმივ მიწეზად იყო

ქცეული, რადგან არავის ესაჭიროებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ანგლოზს მუიღველი გამოუჩნდა და ღვთაებრივი ნიჭის ეს ერთადერთი სიმბოლო გაუიღეს „რათა ამერიკიდან ზნედაცემული ქალის საფლავი დაემშვენებინა. ასე იშეტებს კაცი თავისი სიყმაწვილის ვარდსფერ ოცნებას.

ვერ ვიტყვით, რომ თომას ვულფმა თავისი ანგლოზი ოდესმე გაქრდა, მაგრამ ყველა შეცდომა, რომელიც მას, როგორც ხელოვანს მოუვიდა, დაკავშირებულია იმ შეცდომებთან, რომლებიც მან დაუშვა როგორც პიროვნებაში. ლიტერატურაში ვულფმა გამომსახველობის ხსეთ მწვერვალს მიაღწია, რომლის მიღწევაც კი არათანმიმდევრულ მწერლობას შეეძლო. მან დაამტკიცა, რომ ჩვენს დროში ხელოვნება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ ადამიანს ეფუძნება, რაოდენ ძლიერი ნებისყოფა და ცხოველი გრძნობების გამომხატველიც არ უნდა იყოს იგი, ვერ იქნება ჭანსადი, სრული, ან გრძნობით განმსჭვალული, რადგან „ცალკეული ცნობიერების მთლიანობა გაიპო“. მე ვფიქრობ, მან არ იცოდა, რამდენად იყო დამსხვრეული ეს მთლიანობა, მაგრამ უველაფერი, რაც კი შექმნა, ამ გაპოვილი ცნობიერების ნამსხვრევებისაგან არის შეკონიწიებული.





ლუი ფიურნბერგი — პოეტი-ლირიკოსი

მედგარი და დამათრობლად ნაწი — იოჰანეს ბებერის ხონეტის ეს სიტყვები კარგად ახასიათებს გერმანელი ლირიკოსის ლუი ფიურნბერგის შემოქმედების თავისებურებასა და არსს, ლირიკოსისა, რომლის მრავალმხრივი ნიჭი გამუდმებით იხვეწებოდა სოციალიზმის დამკვიდრებისათვის დაულაღავ სამსახურში, კლასობრივ ბრძოლაში. მცირეა პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მძაფრი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება საშუალებას არ აძლევდა მას მეტი დაეწერა, მაგრამ გერმანულენოვანი ლიტერატურა გაცილებით უფრო ღარიბი იქნებოდა ლუი ფიურნბერგის ღრმად პატრიოტული, გამომსახველი, მუსიკალური და დახვეწილი ლირიკის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომელ უანრში მოღვაწეობდა, ფიურნბერგი უპირველეს ყოვლისა იყო წმინდა ლირიკოსი, ეპოქის მოთხოვნათა მიმართ განსაკუთრებულად მგრძნობიარე ნატიფი სულიერი წყობის მხატვარი, „კაცობრიობის ქარისკაცი“, პოეტი-ტრიბუნი. ბოლომდე ერთგული სახალხო საქმისა, რომლის სამსახურსაც ის ცხოვრების უმაღლეს მიზნად ისახავდა. მის ლექსთა კრებულებს: „ჯოჯობეთი, სიძულვილი და სიყვარული“, „ელ შატი“, „განთიადის შესახვედრად მიმავალი მოგზაური“, „საოცარი კანონი“ და პოემებს: „ესპანური ქორწილი“, „უსახელო ძმა“, ჩვენ აღვიქვამთ, როგორც შთაგონებულ აღსარებით ლირიკას.

ლუი ფიურნბერგი დაიბადა 1809 წლის 24 მაისს ბოჰემიის ქალაქ იიჰლავაში (ჩეხოსლოვაკია), გერმანელი კომერხანტის ოჯახში. მომავალი პოეტი სიუმაწვილიდანვე დაუინებით ესწრაფოდა ხელოვნების, მუსიკისა და პოეზიის სამყაროში განმარტობას. ადრეული წლების ლირიკა წარმოადგენდა ახალგაზრდა მეოცნების ცდას, დაეცვა თავისი ჭერ კიდევ უმწიფარი პოეტური შემეცნება მკაცრი ხინამდვილისაგან. ამ ლექსებში ჩანს სწრაფვა სულიერი ცხოვრების ინტენსიფიკაციისაკენ, ვარჯიში მისტიკურად შეფერილი სიკვდილის თემასა და თანდათანობითი ქრობის მოტივებში („ჩემი ნაადრევი სიკვდილი“, „მეგობრის ხაფლავე“, „მინორული აკორდი“, „მომაკვდავი წელიწადი“, „გაზაფხულის დამე“, და სხვ.). ამ ლირიკულ ცდებს აშკარად ატყვია რაინერ შარიხ რილკეს პოეზიის დაღი. „ჩემი ნაადრევი სიკვდილი ჩემს გვერდით დააბიჭებს, ჩემი ძმობილი ჩრდილი“, — ახეთია ჭერ კიდევ სრულიად უმწიფარი ფიურნბერგის მსოფლშეგრძნება. პირველ ლექსებში, რომლებიც შევიდა კრებულებში „ცალკეულ ფურცლებზე“ (1828) და „გალობა“ (1828), ასახულია ლირიკოსის სევდიანი ფიქრები „შიშველ, ცივ მარტოობაზე“. პოეტი მოწყენით უმდერის „ტანჯვის ბალებს“, სადაც წითელ ვარდებზე მიმობნეული ნაში სისხლის ცრემლებად გადაიქცევა. ამ ლექსთა ავტორი, ცხრამეტი წლის ფიურნბერგი, იმ ახალგაზრდების ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომლებსაც ბრეტმა სარკასტულად უწოდა: „... წყნარი, დელიკატური, მეოცნებე ხალხი, გაცვეთილი ბურჟუაზიის მგრძნობიარე ნაწილი“.

დამწყები პოეტი ქმნიდა მიმბაძველურ ლექსებს, რომლებიც ახლოს იყო სიმბოლიზმთან. მაგრამ ამ მიმართულების გავლენისაგან, რომელიც რეალობისაგან მიჯნავდა გონება-ჭვრეტით, აბსტრაქტულ ემოციათა და პრობლემათა შეზღუდულ წრეში ჩაკეტილ მხატვარს, ფიურნბერგი მალე განთავისუფლდა. სოციალური ძვრების აუცილებლობის შეგრძნებამ და კონკრეტული ქმედებისაკენ თავისუფლების მოსახლოებლად სწრაფვამ ფიურნბერგში გააღვიძეს (თუმცა კი მცირე ხნით) აგრეთვე ინტერესი ექსპრესიონიზმის პოეტური სამყაროს მიმართ. მაგრამ ექს-

პრესისთვის უმალესი, ხელოვნებით ჩამოყალიბებულმა ფორმებმა, მათმა ექსტატიურმა ენამ სწრაფად ჩაუხშო პოეტს ეს ინტერესი.

დეკადენტურ-ფორმალისტური და საერთოდ რეალიზმისაგან შორს მდგარ მიმართულებათა გავლენის დაძლევაში ფიურნბერგს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მდიდარი ჩებური პოეზიის გაცნობამ, პოეზიისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა როგორც მკვებარე-ტრიბუნები, ისე მამაცი ხატირიკოსები და დაბვეწილი ლირიკოსები. ფიურნბერგის ლექსებში ფიურნბერგის მსუბუქმა და ძალდაუტანებელმა, სიცოცხლით სავსე ხლავურმა ინტონაციებმა, ჩები პოეტების — პ. ბერუჩის, ხ. კ. ნეიშანის, ი. ვოლკერის, ვ. ნეზვალის — შემოქმედებამ, — დაანახა ფიურნბერგს, რა დიდ ძალას წარმოადგენს ხელოვნება, თუკი ის, როგორც თვითონ ამბობდა მოგვიანებით, — „გამოხატავს მახების სურვილს, ოცნებებს, გრძნობებს, მწუხარებას, მიზნებს“. ლუი ფიურნბერგის ჩამოყალიბებაში არანაკლები ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ე. ვაინერტის, ბ. ბრეტის, კ. ტუნოლსკის, ე. ბუშის, მ. ეისლერის გერმანულ რევოლუციურ ხელოვნებასაც. 20-იანი წლების დასასრულს იწყება ფიურნბერგის შემოქმედების სრულიად ახალი პერიოდი. ამ წლებში ის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება და დაინახა და თავის ამოცანად მიიჩნია პოეზიაში პოეტ-ტრიბუნის იდეალის, პუბლიცისტური ლირიკის, მოქალაქეობრივ-მოწოდებითი სტილის დამკვიდრება. ფიურნბერგის ამ წლების ხამოქალაქო პოეზია ძალად ემოციურობით გამოირჩევა. ლექსთა სტრიქონების მიღმა დგას ცხოვრება და თვით ავტორის პირადი გამოცდილება.

პოეტის მშფოთვარე, ბრძოლებით აღსავსე ბედი მჭიდროდ გადაეხლართა ფაშისმის მიერ დამონებულ ხალხთა ბედ-იღბალს. როდესაც საერთო სახალხო მძვინვარების კოშმარული მაგალითი ჩებოსლოვაკიის სტუდენტთა რეგიონებშიც აიტაცეს და 1938 წელს ამ ქვეყნის ტრაგედიაც გათამაშდა, ახალგაზრდა პოეტმა საკუთარ თავზე გამოსცადა მშობლიურ მიწაზე დატრიალებული ყველა უბედურება: იატაკქვეშა მუშაობა, პატიმრობა, დევნა, ქვეყნიდან ქვეყანაში ხეტიალი. მაგრამ სწორედ ამ, წარმოუდგენლად რთულ, პირობებში შეიქმნა პოეტის საუკეთესო თხზულებები. ეს არის შემოქმედებითი მოწიფულობის პერიოდი, როცა ფიურნბერგი განსაკუთრებით ნაყოფიერად და ახლებურად იყენებს მსოფლიო პოეზიის უდიდეს ოსტატთა გამოცდილებას. მასზე, სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს გოეთეს სამყარო. დიდი გერმანელის პოეზიას ფიურნბერგი ხიჭაბუკის წლებშივე გაეცნო, მაგრამ მხოლოდ მოწიფულობის ასაკში ჩანს მისი შემოქმედების ძალას, სიცოცხლის სიყვარულით გამსჭვალული პუმანიზმის სიღრმეს, მისი გონივრული, ნაყოფიერი მოღვაწეობის არსს, სწრაფვას არა უმოძრაობის, არამედ გამუდმებულ ქმედებისაკენ, გოეთეს ხელოვნებაში ფიურნბერგს იზიდავდა მთლიანობა, სილიადე და ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების უოვლის-მომცველი, სიღრმისეული განახლების სურვილი, პოეტური აზროვნების კონკრეტულობა, მისწრაფება — აზიაროს მკითხველი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იდეათა სამყაროს. ფიურნბერგისათვის უდიდეს მაგალითს წარმოადგენდა გოეთეს დიალექტიკა — მხატვრის აზრისა და გრძნობის — ამ ურთიერთხაწინააღმდეგო, სინამდვილეში განუყოფელ საწყისთა ორგანული ერთიანობა.

1941-1948 წლებში ფიურნბერგი ემიგრაციაში იმყოფებოდა პალესტინაში. აქედან დაიწყო მისი შემოქმედების ახალი თავი. ამ პერიოდის ლექსთა მნიშვნელოვანი ნაწილი გესტაპოს ჭურღმულში დაიწერა. კრებულში „ჭოჭონეთი, სიძულვილი და სიყვარული“ (გამოიცა ლონდონში 1948 წ.) შესული ლექსები ჭეშმარიტი მოწიფულობის თვისების მატარებელია და გამოირჩევა სრულყოფილი მხატვრული ფორმებით. კრებულში ერთ მთლიანობადაა შერწყმული პოლიტიკური და ლირიკული მოტივები. 30-იანი წლების დასაწყისის ფიურნბერგის პოეზიისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობას ამ მოტივებს შორის ჩვენ ვერ ვხვდებით. ეპოქის ერთგვარად ლირიკული დოკუმენტი ასახავს პოეტის ხულიერ მდგომარეობას, მის მრავალსახოვან მიმართულებას სამყაროსთან, მომეტებულ ემოციურობას და ფხიზელ რეაქციას ცხოვრებისეული მოვლენებისადმი.

კრებულში მრავალი ადამიანური განცდაა ასახული: სინაზე და გმირული პათოსი, ღრმა სევდა, ქედუხრელი ბრძოლა, რისხვა, ირონია, გამარჯვება. თუმცა „სიძულვილი“, როგორც ლეიტმოტივი, უკვე სათაურშივე ეღერს, მაგრამ ავტორი არაჩვეულებრივად გულუხვია ხსნა გრძნობების გამოხატვისას, როგორცაა სიყვარული და თანაგრძნობა, ტკივილი და ნოსტალგია, შიში და იმედი. კრებულში ორგანულადაა შერწყმული სიყვარულის, სილამაზისა და თვით ბუნების მომაკვდინებელი მილიტარიზმისა და ომის არადამიანურობისადმი ფიურნ-

ბერგის სიძულვილი სამშობლოში დაბრუნების რწმენასა და სიკაბუჯისდროინდელ რევოლუციურ ოცნებათა აღსრულების იმედთან.

პოეტი მწვავედ რეაგირებს ყველა საშინელებაზე, რომელიც შედეგად მოქცეა ფაშიზმსა და მეორე მსოფლიო ომს. სწორედ ამიტომაც არის მის ლირიკაში ამდენი ტანჯვა და სულიერო ტკივილი. და მაინც მისი პოეზია ხუნთქავს ოპტიმიზმითა და ჩაუქრობელი რწმენით ადამიანობადმი. ამ რწმენას საფუძვლად უდევს არა მარტო ლირიკოსის თვლენები, არამედ მის მიერ სოციალურსა და პოლიტიკურ ბრძოლებში შემუშავებული ახალი შეხედულება ცხოვრებისეულ პერსპექტივაზე და ისტორიის განვითარების კანონზომიერებათა ღრმა გაგება.

ფიურნბერგის ლირიკა აღსავსეა ერთი შეხედვით სუბიექტური, უადრესად ინტიმური აზრებითა და გრძნობებით. მაგრამ კონკრეტული, ხშირად პირადი ფაქტის მიღმა აშკარად იგრძნობა შინაარსის არაჩვეულებრივი სისავსე. მის პოეზიაში პირადი საზოგადო მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო საზოგადოებრივი პირადულს წარმოადგენს. ფიურნბერგის თვალსაჩინო თავისებურებად გვევლინება გრძნობისა და გონების ერთიანობა თანამედროვეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მორალურ-ეთიკურ პრობლემათა, ხაკუთარ განწყობილებათა და შეგრძნებათა საფუძველზე ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების სისავსის სირთულეთა ვახსნის უნარი. მის ლირიკაში სუბიექტური ფენომენი საზოგადოებრივ-სოციალურ სიმაღლემდეა აყვანილი, პოეტი, რომელმაც ერთმანეთს შეუჯერა აზრი და გრძნობა, ფონტანეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზროვნებს გულით“ და „გრძნობს გონებით“. ლუი ფიურნბერგის ნაწარმოებთა უმრავლესობა გარე და შინა სამყაროს, როგორც ღრმად პირადული განცდების სამყაროს წვდომის წამს ასახავს ლირიკული „მეს“ საშუალებით. სამყაროს უშუალო აღქმისა, რომელიც მის ლექსებში ვლინდება დეტალების სიუხვით, ფერებით თუ ბგერებით, და ფაქტების მრავალხანობის მიღმა თანამედროვეობის ხანის განმსაზღვრელ თვისებათა შაძიებელი, ცნობის-მოყვარე, დაძაბული აზრის ორგანული ერთიანობა ქმნის ფიურნბერგის ლირიკის განსაკუთრებულ კოლორიტს. მაგრამ ამასთან, უნდა ითქვას, მის პოეზიაში ვერ შეხვდებით ცივი ფილოსოფიური რიტორიკისა და იდეალისტური განყენებულობის ნიშნებს.

პოეტი მხატვრულად გვიხატავს შორს დარჩენილ სამშობლოს, მის ბუნებას როგორც სიხარულის უმდიდრეს წყაროს. ფიურნბერგი თითქოს ერთად, ძაფზე ასხამს მშობლიური მხარის ცალკეულ მოგონებებსა და სურათებს.

ბოქმეია პოეტს დაეხმარა ცხოვრების სწორი ორიენტირის პოვნაში, შთაბერა მის პოეზიას სუნთქვა, ფერები და სახეები. მის შემოქმედებაში გამუდმებით ისმოდა ჩესური პოეზიის ლირიკული მელოდოები, თითქოს ამ ქვეყნის კონტურებიც ხელშესახები ხდებოდა. სამშობლოს სიყვარულის ლირიკულ აღსარებას ერთიან ნაკადად შეერწყა მშობლიური მხარის, მისი სიღამაზისა და ხალხის ბედის მოტივები და აისახა პოეტის პატრიოტული გრძნობის ყველა ნიუანსი: ურვა წარსულზე, მშობლიური ბოქმეიის უკეთესი მომავლის რწმენა. პოეტურად რომ განსჯიდა მშობლიურ ქვეყანას, სადაც მისმა ბავშვობამ, ყრმობამ და სიკაბუჯემ გაიარა, ფიურნბერგი თავის ლირიკაში თითქოსდა მკითხველის წინაშე აშიშვლებდა საკუთარი შემოქმედების მიწიერ ფესვებს და მიჰყავდა იგი ამ შემოქმედების პირველწყაროსთან.

ლუი ფიურნბერგის ლირიკულ სამყაროში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იტერს ბუნება. პოეტის მკვეთრად ემოციური პეიზაჟური ლირიკა გამსჭვალულია ღრმა აზრითა და თანამედროვეობის პრობლემატიკით. ბუნების სურათებისაგან გამოწვეული წამიერი შთაბეჭდილების ფიქსაციაზე დამყარებული ესთეტიკა უცხო იყო ფიურნბერგისათვის. პოეტი ისწრაფოდა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის სიღრმისეულ კანონთა წვდომისაკენ. არაჩვეულებრივ პოეტურ პეიზაჟთა შექმნისას, სადაც ლირიკული გმირი და ბუნება თითქოს ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება, ფიურნბერგი ნიჭიერად აგრძელებს გოეთე-ლირიკოსის პანთეიზმს. მისი პოეტური სახეები მონუმენტურად ლირიკულია. 40-იან წლებში პოეტის პეიზაჟური ლირიკა ერთგვარად განზოგადებისაკენ მიისწრაფის. მაგრამ მისი პეიზაჟები უსახურნი კი არ არიან, არამედ მშობლიური მიწის სურათებით არიან დატვირთულ. ფიურნბერგი გვიხატავს ლანდშაფტს, გვესაუბრება იმ ნათელ შთაბეჭდილებებზე, რომლებსაც მას ბოქმეიის ბუნება შთააგონებს. მაგრამ მის შემოქმედებაში მთავარი მაინც არა მზით გამთბარი სურათებია, არამედ ავტორის პოეზია, რომელიც მკითხველის ხულის სიღრმემდე აღწევს და ბრწყინვალეობას ანიჭებს ლექსს.

ფიურნბერგის პეიზაჟური ლირიკა ღრმად რეალისტურია. პოეტი ბუნებას ფაქიზად, სიყვარულით, ზუსტად ხატავს. მხატვრის ფანტაზია არ ჩრდილავს ლირიკოსის მახვილი და-



კვირების უნარს. ადამიანის ხულიერი განწყობილებების ყოველი წამი ბუნების წიაღში მშვენიერების გამაფრებული აღქმით გამოირჩევა.

ფიურნბერგის პოეზიისათვის დამახასიათებელია გულაბდილი, აღმსარებლური ტონი. ის მკითხველში მეგობარს, თანამოდმეს ხედავს, დაუფარავად ანდობს მას თავის იდეალურ აზრებს. ფიურნბერგის ლირიკა მდიდარია პოეტის განწყობათა და გრძნობათა უმცირესი ნიუანსებით. ამასთან ეს მონოლოგები თითქოს ცოცხალი, ძალდაუტანებელი სწავლარის მკითხველთან. პოეტს არ ეშინია მის წინაშე სულის გაშიშვლება. მიუხედავად ფიურნბერგის ლირიკის ოპტიმიზტურობისა, მასში ხანდახან მაინც გამოჟონავს უზარმაზარი მასშტაბის ბოროტებით მიყენებული ტკივილი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო.

პოეტურ აღსარებაში „მონცოს პარკში“ (1939) ალბათ უკველაზე უფრო მკაფიოდ აისახა თანამედროვე ადამიანის ცნობიერების მთელი ხირთულე და წინააღმდეგობრიობა. მაგრამ, ფიურნბერგის ლირიკული გმირის ღრმა სულიერ შფოთვის არაფერი აქვს საერთო ნანახითა და განცდილით შეძრწუნებული ადამიანის შეგნებისა და ფსიქიკის ცვალებადობასთან ადამიანის ბუნების ცოდნა ფიურნბერგს უადვილებდა, მკითხველამდე მიეტანა თავისი ლირიკული გმირის აზრთა სიღრმე, გრძნობები და სულიერი წყობა. პოეტი თავდაპირველად ტკივილებისა და განცდების შესახებ წერს, ხოლო შემდეგ კი გრძნობათა განვითარების ჩვენებას ცდილობს („ტრიბტიკი“, „მძიმე საათი“).

40-იანი წლებიდან ფიურნბერგი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს „წმინდა ხელოვნების“ დამცველებს. პოეტი თვლის, რომ შეუძლებელია გაყვარდეს სილამაზე, ლექსის მუსიკა და ამასთან გულგრილად უყურებდე ჩვენი ხაუკუნის გრანდიოზულ კატაკლიზმებს („მძღვანა“, „ლექსზე შეყვარებულებს“). ე. წ. „წმინდა პოეტებს“, რომლებიც ვერ ამჩნევენ „სიხსლით მოხვრილ თავიანთ უგულო მარმარილოს სახეებს“, ის ხარკახტულად უწოდებს „დღის სინათლეზე მოარულ მთვარეულებს“, „მკრთალ ფონზე ფერმწერებს“.

ფიურნბერგს კარგად ბქონდა შეგნებული, რომ ადამიანი გვერდს ვერ აუვლის ტკივილს, ძრწოლასა და სევდას. მას არაერთხელ დაუწერია იმ ნაიარევთა შესახებ, რომლებიც ხამულამოდ რჩებიან სულში მძიმე შინაგანი ბრძოლების გადატანის შემდეგ. დღიურში, რომელიც 1948 წლის 28 მარტით არის დათარიღებული, ვხვდებით ამგვარ ჩანაწერს: „ჩემი სული სასოწარკვეთილებას ესწრაფვის, მაგრამ გონება ეწინააღმდეგება. მე მხურვალედ ვუჭანულები სასოწარკვეთილების პოეზიას, რადგან იგი ანტიბუმანურად მიმაჩნია“.

მხატვრული ნაწარმოების ჩანაფიქრისა და შინაარსის საკითხი, ხელოვნების დანიშნულება, მისი ზნეობრივი მხარე, პოეტის როლი და ადგილი საზოგადოებაში ფიურნბერგს მთელი შემოქმედებითი გზის მანძილზე აინტერესებდა. ბურჟუაზიული ესთეტიზმის გამოაშკარავებასა და ხელოვანის ბედსა და გარემომცველ სამყაროსთან მის ურთიერთობაზე ფიქრი ფიურნბერგის პოეზიისა და პროზის გამჭოლი თემაა. ალტერნატივა — „ხელოვნება ან რეალობა“, ფიურნბერგისათვის არ არსებობდა. პოეტში ჭარბადაა სიცოცხლით თრობის ამოუწურავი უნარი, მშვენიერებისადმი აღტაცებული თავყანისცემა, მისი ღრმად ორგანული ოპტიმიზმი განუყოფელია ბუმანიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენისაგან, იმ პერსპექტივებისაგან, რომლებსაც ხოციალიზმი აყენებს კაცობრიობის წინაშე. ამან თავისი გამოხატულება ბოვია არა მარტო ფიურნბერგის ლექსებში, არამედ მის ფიქრებშიც პოეზიისა და პოეტის დანიშნულების შესახებ. ფიურნბერგის, როგორც მარქსისტის, გავებით ხელოვანის მიხია ის არის, რომ ემოციური წვდომისა და სამყაროს ყოველმხრივ გააზრების გზით დაეხმაროს ადამიანს შეიცნოს საკუთარი თავი, როგორც მარმონიული მთლიანობა. „აჩვენო ადამიანს, როგორია იგი; აჩვენო სამყარო თავისი ვნებებით, სიხარულით, შიშით, სევდით, ბედნიერების წამებითა და ოცნებებით; აჩვენო ადამიანებს, რომ მათ შეუძლიათ სამყაროს გარდაქმნა საერთო ნებისა და სურვილის თანახმად. ერთი ხიტყვით, გადააქციო ეს სამყარო წალკოტად — აი, რა არის მთავარი“ — ასე ჩამოაყალიბა ფიურნბერგმა თავისი პოეტური კრედიო რომანში „შეებულება“ (1942).

ლირიკულ პოემაში — „ესპანური კორწილი“ (1944), რომელიც ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტკივილისა და მრისხანებისაგან“ არის შექმნილი, ხელოვანი წარმოგვიდგება ისეთად, როგორადაც ის ფიურნბერგს ბყავდა გააზრებული. აქ მპორგანიზებულ საწყისად გვევლინება „ესპანელი ბუღბულის“ — გარსია ლორკას სახე, რომლის სხოვნესაც ეძღვნება ეს ნაწარმოები. ფიურნბერგის შინაგანი ხედვის წინაშე ლორკა იმ შემოქმედის ნათელ მაგალითად იდგა, რომლის ძალასა და მომხიბვლელობას ხალხთან ერთიანობა განაპირობებდა. ალბათ არავისთან ესპანელ პოეტთაგან ისე მკაფიოდ არ აუღერებულა თანამედროვეობა, როგორც მის თვითმყოფადსა და არაჩვეულებრივ პოეზიაში. ლორკას მთელ შემოქმედებას გახედვს მისი

დროის — რევოლუციურ განახლებათა დროის — ანარქული. მისი პოეზიის რიტმებში, ფერებ-  
სა და თვით უველაზე განყენებულ სახეებშიც კი ხაუკუნის სიკაბუკე ხუნთქვს. აქვე უნდა  
ვეძიოთ გარსია ლორკას უშიშარი, წმინდა და მშფოთვარე პოეზიის სათავეც ესპანელი პოე-  
ტის ნიჭის ქმედითობა და ამასთან, მეოცნებეობა, ფიურნბერგს თავისი ხალხის სამსახურის  
ნათელ მაგალითებს აღევდა.

პოემაში ფიურნბერგმა კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა შემოქმედისა და ხელოვნების დანიშ-  
ნულების პრინციპული გაგება. ისტორიულ სინამდვილეში ის მხოლოდ აღწერილობითი ლი-  
ტერატურული ახახვის ობიექტს როდი ხელავს. იგი მისთვის, როგორც პოეტისათვის, ბნე-  
ლეთისა და ბოროტების დასაძლევად მიმართული ქმედების ხტიმულს წარმოადგენს.

თავისი რთული შემოქმედებითი გზის, აგრეთვე ხელოვანის დანიშნულების შესახებ შე-  
მუშავებული მოსაზრებები ფიურნბერგმა გაგვიზიარა პოემა-აღსარებაში „უსახელო-ძმა“. ლი-  
რიკული ავტობიოგრაფია ფიურნბერგისათვის სულიერ ძიებათა თავისებურ შედეგად იქცა.  
დაადგა რა სრულიად ახალ გზას ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მან, როგორც ქეშმარიტმა  
მხატვარმა-ნოვატორმა, შეძლო გაეშუქებინა თავისი ეპოქის ძირეული სოციალურ-ეთიკური  
და კულტურულ-ესთეტიკური საკითხები. პოემა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს მებრძოლი  
მუშაინიშმის სიმალღემდე ასული დეკადენტი ლირიკოსის ევოლუციას, სოციალისტური რეა-  
ლიზმის საუკეთესო ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება.

ფიურნბერგს თავისი აღსარება ჩაფიქრებული ჰქონდა როგორც ლირიკულ-ფილოსოფი-  
ური პოემა, რომელშიც სინამდვილე გმირის განცდების პრიზმაშია დასახული. გმირის სუ-  
ლიერი ავადმყოფობა და გამოჯანმრთელება დიდად შორდება აბსტრაქტულ-ეთიკურ კატე-  
გორიათა ფარგლებს. ავტორი ცდილობდა, შეეხამებინა ეპოქის ფართო პანორამა ავტობიო-  
გრაფიის ელემენტებთან, ეჩვენებინა სიკაბუკის დროინდელ ესთეტიკურ იდეალებსა და კერ-  
პებთან გმირის მტკივნეული განშორება და მისი მიახლოება რევოლუციასთან, ხელოვნების  
პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების დამკვიდრებასთან. ეს თემები, იდეები და  
მოტივები ახანიათებს პოეტის ლირიკას მთლიანად.

ფიურნბერგის პოემა კონკრეტული და უაღრესად ლირიკულია, გამსჭვალულია ღრმა  
ფილოსოფიური აზრით. პოეტის ცხოვრების, მისი თვალის ახელის ისტორია მოთხრობილია  
ამაღელვებელი გულახდილობითა და ისეთი პოეტური დამაჭრებლობით, როგორც მხოლოდ  
ავტობიოგრაფიულ დოკუმენტშია შესაძლებელი. მან მოგვითხრო ცხოვრების ქეშმარიტი არ-  
ხის შეცნობის სიხარულზე, ხალხთან შემოქმედებითი ერთიანობის, მწერლის სირთულეებით  
აღხავსე გზებზე, რომელიც საკუთარ თავს ისევ და ისევ უსვამს მარადიულ კითხვას: რაში  
მდგომარეობს ცხოვრების არსი? რაში მდგომარეობს ხელოვანის, ხელოვნების მიზანი და  
დანიშნულება?

ფიურნბერგის ლექსთა უკანასკნელი კრებულებების — „განთიადის შესახვედრად მიმავალი  
მოგზაური“ (1951) და „საოცარი კანონი“ (1955) — შინაარსი მრავალპლანიაანია. ეს არის გა-  
ფურჩქვნის ხანაში მყოფი პოეზია — ფიქრიანი, ხალისიანი, წარსულის გამოცდილებითა და  
თანამედროვე შთაბეჭდილებებით გამდიდრებული, ფილოსოფიური განზოგადებით გერმანულ  
კლასიკასთან ახლოს მდგომი. ამავე დროს ეს ლექსები წარმოადგენენ ლირიკული თბრობის  
მაღალი ხელოვნებისა და მხატვრულ საშუალებათა მრავალფეროვნების მაგალითს. მათში  
გაერთიანებულია ეპოსი და ლირიკა, ხოლო კომპოზიციის ოსტატობას ნათელყოფს ენობრივი  
გამომსახველობის სიზუსტე. ეს ნიშნები განსაზღვრავენ კრებულთა მნიშვნელობას. ავტორი  
აღწევს უმაღლეს სისადავესა და უბრალოებას, რაც ჩვეულებრივ მრავალი დიდი შემოქმედის  
გვიანდელი ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი.

ფიურნბერგის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის ლირიკა ახალი გერმანიის პოეზიის  
იდეური, აზრობრივი და მხატვრული მრავალფეროვნების მაჩვენებელია. სხვადასხვა ფორმის  
ლექსებით გამოეხმაურა პოეტი მხოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს, რო-  
მელთა განხორციელებაში თვითონაც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას. მისი პოეზიის მკვეთ-  
რად გამოხატულ ნიშნად იქცა სოციალურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და სხვა ცხოვრებისეულ  
სფეროებში ღრმა წვდომა. გარკვეულად მიუახლოვდა ფიურნბერგი „უნივერსალური პოეზიის“  
იდეალს. მისი ოპტიმიზმი ამ პერიოდში უფრო ღრმავდება. მაგრამ ფიურნბერგის პოეზია  
ისევ ლირიკულ დღიურად რჩება, რომელშიც პოეტს თავისი განცდები და შთაბეჭდილებები  
შეაქვს.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ლექსი „შუალამის შემდეგ“ (კრებული „დიდე-  
ბული კანონი“), რომელიც პოეტის ცხოვრების ერთგვარ შეჭაშებას წარმოადგენს. კანონი,

რომელზეც მახშია ლაპარაკი, უპირველეს უოვლისა ადამიანთა მოღვაწის, ბუნების განუყოფელ ნაწილად დამტკიცების ხასიათს ატარებს. მოგონების ფაქიზი, მელოდიური ნოტიდან პოეტის ლირიკული ავტობიოგრაფია იბადება, რომელიც თანდათან განვლილი ცხოვრებითი გზის ამაღლებულ მიმნად და სიბერეზე ოპტიმისტურ განხილვად გადაიქცევა. პოეტმა ორ სტრიქონში ჩატია მშვენიერი კანონი — ის წონასწორობა, რომელიც ცხოვრების უანგარო სამსახურით მყარდება. აქ კვლავ გვახსენდება გოეთეს მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, რითაც უველა მისი დიდი ქმნილებაა გამსჭვალული: დაუოკებელი სწრაფვა — შილერის ისეთ სიმართლეს, რომლის მიღწევის უნარიც გააჩნია, შეეწიროს ადამიანებს და მისცეს მათ ის საუკეთესო, რაც კი შესაძლებლად მიაჩნია — აი, რა არის ცხოვრების აზრი. მისი დიდებული კანონი.

ლექსში „შემოდგომა“. თემით ანალოგიური ლექსებისაგან განსხვავებით, ბედნიერებისა და სიცოცხლის სინარულით აღსავსე ალქმის მოტივი დომინირებს. ეს ნაწარმოებები ერთ-ერთი საუკეთესოა კრებულში „განთიადის შესახვედრად მიმავალი მოგზაური“. ფიურნბერგის ლექსის მნიშვნელოვან თავისებურებად აქაც გამოხატვის თვალსაჩინოება გვევლინება. ის ბუნების პასიური დამკვირვებელი კი არ არის, არამედ თითქოს უერთდება მას და ფერებით თამაშს აძლულებს. შემოდგომა პოეტისათვის ტენობისა და განშორების დრო როდია, არამედ წელიწადის უმნიშვნელოვანესი დრო. გული სიმსუბუქეს გრძნობს, მზე დევნის სევდას, სული იმედითა და ოცნებებით არის აღსავსე. ფიურნბერგი არ ჩქმალავს „ნაოკებს“, „ცრემლების კვალს“, მაგრამ ნაოკები სწორდებაიან ლირიკული გმირისა და მის წინაშე გადაშლილი ბუნების ერთობის წყალობით.

„შემოდგომაში“ მოცემულია ფიურნბერგის მიერ რილკეს შემოქმედების გააზრების მეტად რთული პროცესის უკანასკნელი ფაზა. რილკესათვის ესოდენ მნიშვნელოვანი შეგრძნება მოვლენათა უწყვეტი ურთიერთკავშირისა უოფირების უველა სფეროში, ფიურნბერგის მოცემულ ლექსში საგნებისა და მოვლენების პოეტთან უჩვეულო შერწყმაში ვლინდება. ძნელია ვერ შეამჩნიო ფორმისა და მხატვრული გამომსახველობის ბერებების მსგავსება, რომელთაც ფიურნბერგი თავისებურ ვარიაციებს უკეთებს რილკეს ლექსის, „შემოდგომის დღის“ (კრებული „სურათების წიგნი“) თემას. აშკარა სემანტიკური თანხვედრები კარგად მიგვანიშნებენ იმ განსხვავებაზე, რომელიც ორი პოეტური ნაწარმოების საერთო ემოციურ განწყობაში არსებობს. რილკესთან შემოდგომის სურათი ღრმა სევდასა და ელეგიურ განწყობას გამოხატავს. შემოდგომა რილკესთან მარტოობისა და ტრაგიკულად უმიზნო ხეტიალის დროდ ითვლება. ფიურნბერგის ლირიკულ ნაწარმოებში არის ელეგიურობის ელემენტიც, მაგრამ მაინც შეიგრძნობა ბუნების სხვაგვარი ალქმა. ის, რაც რილკესათვის განშორებასა და განდგომას წარმოადგენს, ფიურნბერგისათვის მომავლისაკენ, სინათლისაკენ მიმართულ ოცნებად გვევლინება. იმარჯვებს გოეთეს პოეზიით შთაგონებული მსოფლშეგრძნება: სწრაფვა სინათლისაკენ, სინარულით აღსავსე სიცხადისაკენ, მჭვირვალეებისაკენ. ასეთივე განწყობილებითაა გამსჭვალული ფიურნბერგის მეორე ელეგიური ლექსი „ტყეები“ (1956).

რილკეს პოეზიის ხამყარომ ფიურნბერგში გაადვიდა სურვილი, გაეხადა ლირიკული ფრაზა, პოეტური სიტყვა უფრო ლაკონური, დახვეწილი და გამომხატველი. პოეტმა რილკესაგან შეითვისა ენის სინატიფე და მოქნილობა, ადამიანის სულის ხილრმისეულ მოძრაობათა მუხიკალური ელერადობის გამომსახველობის კონკრეტულობასთან შეხამების, ფორმის სრულყოფილად გადშოცემის უნარი. მაგრამ რილკეს მხატვრულ აღმოჩენათა კრიტიკულად ათვისება, მის საუკეთესო მიღწევათა შემოქმედებითად განვითარება (სიმბოლიკა, გაშლილი მეტაფორულობა, მდიდარი მეტრიკა. ლექსის მელოდიურობა) ფიურნბერგისათვის ლირიკის ახალი შინაარსით გამდიდრებას ნიშნავდა. ფიურნბერგის შავალითზე, მისი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებების მიხედვით ისეთ ფენომენტთა ხელოვნებისადმი, როგორც რაინერ მარია რილკეა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ. როგორ წყვეტდნენ კავშირს გამოჩენილი ტალანტები დეკადანსთან — ესთეტიკურ გამოვლინებათა რთულ ხისტემასთან, რომელმაც მნიშვნელოვანი პერიოდი მოიცვა ბურჟუაზიული ცივილიზაციის ისტორიაში.

ლუი ფიურნბერგის შემოქმედებაში მისი ლირიკისათვის ფაღრესად დამახასიათებელი ოცნების მოტივი და რეალობის გრძნობა ერთიან იდეურ-ესთეტიკურ მთლიანობად არიან წარმოდგენილი; ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული კონფლიქტის გადალახვა და ამ მომენტთა შეერთების უნარი ქმნის ოპტიმისტურ განწყობას, რომელიც საერთოდ ფიურნბერგის მრავალი ლექსისათვის არის დამახასიათებელი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ფიურნბერგი კიდევ უფრო დიდ ინტერესს იჩენდა კლასიკური გერმანული ლირიკის სპეციალურად ნაციონალური ფილოსოფიური ტრადიციის

მიმართ, ეს ტრადიცია მძაფრად შეიგრძნობა კიდევ მის გვიანდელ პოეზიაში. ხინაშდვილის უშუალო ფაქტები და მოვლენები მის ლექსებში ხშირად ფილოსოფიურად არიან განზოგადებული. პოეტი არ მიიღტვის დიდებული, უნივერსალური სახეებისაკენ, როგორცაა ადამიანი და სამყარო, დრო და მარადიულობა. განსჯა ფიურნბერგის ლექსებში რეფლექსიად არ წარმოგვიდგება. წმინდა ლირიკულ-ფილოსოფიური უანრი, რომელშიც მთავარ როლს ავტორისეული აზრი თამაშობს და ზოგჯერ არავითარი სიუჟეტი არ გააჩნია, ფიურნბერგთან თითქმის არ ვხვდებით.

პოეტის ლექსთა შემოქმედების ძალა არამარტო მის განსაკუთრებულ წერის მანერაში მდგომარეობს, არამედ, მიუხედავად ზოგიერთი ნაწარმოების კამერულობისა, ხედვის არაჩვეულებრივ მანშტაბურობაშია, რაც მისი ნიჭის დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ჩითვალოს. ხედვის მონუმენტურობა და განზოგადებულობა ადგილს უთმობს თანამედროვეობის საკითხების ღრმად პირადულ გაშუქებას. 50-იანი წლების ფიურნბერგის ლირიკა ზოგადმსოფლმხედველობრივი პრობლემათიკის სიმდიდრით გამოირჩევა.

ფილოსოფიურ-მორალური საკითხები, კერძოდ კი ადამიანური უოფიერების, სიცოცხლისა და სიკვდილის გააზრება. სულ უფრო და უფრო ხშირად წარმოადგენდნენ მისი ფიქრის საგანს. მსგავსად გოეთესა ფიურნბერგი თვლიდა, რომ სული, როგორც მატერიის უმაღლესი გამოვლინება, უკვდავია თავისი შემოქმედებითი აქტივობისა და უწყვეტი მუმანიხტური საქმიანობის წყალობით.

ნათელი ოპტიმიზმით არის გამსჭვალული ლექსი „ეპილოგი“ (1950), რომელსაც პოეტის ანდერძს უწოდებენ. არც ისე მრავლადაა პოეტური ნიმუშები, ხალაც არარაობად გადაქცივის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ისეთი დამაჭერებლობით იუოს გადმოცემული, როგორც „ეპილოგში“. ფიურნბერგის მიხედვით, შემოქმედი ადამიანური სულის ცხოვრება საბოლოოდ კვლავ უბრუნდება „თავის დღეთა სათავეებს“. სიკვდილი — მთელი თავისი კონკრეტულობით არსებობს. მაგრამ ასევე არსებობს ბუნების ცხოველმყოფელი ძალაც, რომელიც ადამიანის ქმედით სულს მარად ახალგაზრდა ცხოვრებად გარდაქმნის. ეს მშვენიერი და ამავე დროს რთული, ღრმა ლირიზმით აღსავსე ლექსი, რომელიც ცხოვრების არსის საკითხებს მოიცავს, წარმოადგენს თავისებურ პასუხს რილკეს ლექსზე „სიკვდილი დიალია“. ემოციური და ინტელექტუალური დამუხტულობის მაღალი დონე „ეპილოგში“ საოცრად უბრალო მხატვრული ხერხებით არის მიღწეული. აქ ვერ შეხვდებით გარეგნულ ეფექტებს, გართულებებს, გვარცებს ენის სილამაზე, სტილის დახვეწილობა, აზრის ხიდრმე. მაგრამ ფიურნბერგის პოეზიის ამ შედეგრის მიზიდულობის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის მარქსისტის შეხედულება გოეთეს ლექსზე „ვინც იცხოვრა, არარაობად არ გადაიქცევა“. ჩვენ ვიცით, რომ უკვდავების პრობლემა დიდი კლასიკოსისათვის დაკავშირებულია ქმედითობის გაგებასთან, რომელიც ადამიანის არსებობის საზომად გვევლინება. გოეთესათვის საქმიანი ადამიანი თითქმის გენიალური ადამიანის ტოლფასია. გენიალურობა, მისი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი აქტივობის აღმატებითი ხარისხია: „რა არის გენიოსი, თუ არა ნაყოფიერი ძალა, რომელიც ღმერთისა და ბუნების შესაფერ საქმეებს ხორცს ასხამს და სწორედ ამიტომაც ტოვებს ღრმა კვალს და წილნაყარია მარადიულობასთან“. გაშლილ მეტაფორაში განხორციელებული ეს იდეა ფიურნბერგთან ღრმად თავისთავადი განზოგადების მატარებელია. ფიურნბერგის ვერლიბრი განსაკუთრებულად ინდივიდუალური ხასიათისაა, როცა მას ვეცნობით, ვრწმუნდებით, რომ პოეტი ინარჩუნებს მაღალ პოეტურობას, პოულობს შეუცვლელ სიტყვებსა და ერთადერთ, ზუსტად მოძებნილ ინტონაციური გამომსახველობისა და ბგერითი სტრუქტურის სიტყვათშეთანხმებებს. ყოველივე ეს ხაზს უსვამს ლირიკული გმირის შინაგან დაძაბულობას, რეფლექსიას.

ადამიანის აქტიური სულის უკვდავების თემას ფიურნბერგთან კვლავ ვხვდებით „სიცოცხლის სიმღერაში“ (1957). პოეტი ამჭერად რელიგიურ სიმბოლიკას მიმართავს, თუმცა სიკვდილის სიმბოლო ამ ლექსში არ იძენს მეტაფიზიკურ-ტოტალურ მნიშვნელობას. ხოლო „ჩაუქრობელი შუქი“ სიცოცხლის ყოველისმძლე ძალას განასახიერებს. უნებურად გვახსენდება ფიურნბერგის ადრეული ლირიკა და კრებული „გალობა“ და ცხადი ხდება, თუ როგორ დაშორდა პოეტი უკვდავების რელიგიურ, მისტიურ რწმენას, ზოგჯერ კი სიკვდილის თემით აშკარადეკადენტურ ტკობას. მხოლოდ პირადულისა და საზოგადოებრივის ქეშმარიტმა სინთეზმა მისცა საშუალება მოწიფულ ხელოვანს, პასუხი გაეცა იმ კითხვებისათვის, რომლებიც მახ სიკვდავებაში აღელვებდა და გაეცა პასუხი ხოციალისტური მუმანიხმის სულისკვეთების პოზიციი-

დან. „სიცოცხლის სიმღერაში“ მიღწეულია ჰარმონიული წონასწორობა წარმავალ ცხოვრებაზე სევდის გრძნობასა და ნათელ, ხალისიან პათოსს შორის.

ჩვენ შეგვიძლია გარკვევით თვალი გავადევნოთ ფიურნბერგის დამოკიდებულებას სიკვდილის თემასთან შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში. დროთა განმავლობაში იგი უფრო მარტივად აღიქვამს ყოფიერებიდან არყოფნაში გადასვლის აზრს, ლექსებში უკვე უფრო ვხვდებით სულიერ დელევას და მას სიმშვიდის გრძნობა აქარბებს. სიცოცხლის მგზნებარე სიყვარული, სწრაფვა მიხი შინაგანი არსის წვდომისაკენ, ქრობის იდეის მოშორებისაკენ — მთელი ეს მსოფლმხედველობრივი კომპლექსი სიკვდილთან ბრძოლას გულისხმობს. ფიურნბერგის მსოფლშეგრძნებაზე, მის მიერ სიკვდილის გარღვევალობით დაღდასმული განწყობის დაძლევაზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მთელი რიგი შესანიშნავი ლექსების — „შემოდგომის მოახლოება“, „ეპილოგი“, „სიცოცხლის სიმღერა“, „შინდა, რომ ბებერ ხელ ვიქცე“ — და სხვათა მაგალითზე. ღრმა, ინტიმურად ქცეულმა კავშირმა ბუნებასთან პოეტს საკუთარი ცხოვრების ბუნების ცხოვრებასთან თანხმიანობის დადგენის საშუალება მისცა. ელეგიაში „შემოდგომის მოახლოება“ (კრებული „საოცარი კანონი“), ფიურნბერგი წერს ბუნების დიადი კანონის შესახებ, რითაც მკითხველის წარმოსახვას ადამიანთა ყოფიერების კანონთან ასოციაციას უყარნახებს. ბუნება პოეტს განუწყვეტელი გარდაქმნების მაგალითად წარმოუდგება. სწავლობს რა გოეთესაგან, რომელიც განვითარების პროცესის მატერიალისტურ გაგებას სტიქიურად მიუახლოვდა, ფიურნბერგმა ეს პროცესი სრულყოფის უმაღლეს საფეხურზე მუდმივ ასვლად გაიზარა: ბუნების უწყვეტი განახლების დიად კანონს ის დედამიწაზე ადამიანთა ყოფიერების კანონს მიაკუთვნებს.

განსაკუთრებულად მრავალმხრივია ფიურნბერგის ლირიკა უანრული თვალსაზრისით. ის თანაბრად ფლობს პოეზიის ნებისმიერ გვარს, სახეობასა და ფორმას. პოეტი ძალდაუტანებლად გადადის ლირიკიდან სატირაზე, სიმღერიდან ბალადაზე, ელეგიიდან ჰიმნზე, რბილი, ბუნებრივი სასაუბრო ინტონაციიდან გამოკვეთილ ორატორულ პათოსზე, მკაცრი მეტრიკიდან და დახვეწილი რითმიდან ვერლიბრზე. ხშირად ფიურნბერგის ერთი ლირიკული ნაწარმოები რამდენიმე, ერთი შეხედვით ძნელად შესარწყმელ უარებასაც კი ითავსებს. ბალადის, ჰიმნის, სიმღერის, ელეგიისა და ეპიგრამის ელემენტები ერთმანეთშია გადახლართული და ერთ მთლიან ორგანიზმს ქმნის. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი პოეტიკის თავისებურება. ფიურნბერგმა ალიტერაციისა და ასონანსის ბრწყინვალე ოსტატმა, თავის პოემებში უდიდეს გამომსახველობით ძლიერებას მიაღწია.

პოეტს ხელეწიფება სინამდვილის შეკუმშული, „შემჭიდროებული“ ლირიკული წვდომა. მაგრამ მის პოეზიაში დროის შეგრძნება მაშინაც კი შენარჩუნებულია, როდესაც თვით მოვლენებიც ნაწარმოების მიღმა რჩებიან, ვინაიდან ვერ თავსდებიან, მაგალითად, მცირე ლირიკული ლექსის ჩარჩოებში. პოეტი ხშირად რთული ასოციაციური რიგებისა და მეტაფორების გამოყენების გარეშეც აღწევს განსაკუთრებულ გამომსახველობას, ზოგჯერ კი რომელიმე აზრს ან სახეს ერთი სტრიქონითაც გადმოსცემს. ფიურნბერგის შესანიშნავი ლექსები შინაარსობრივი თვალსაზრისით კრისტალურად ნათელია, ხოლო ფორმით კი ხანდახან ხალხურ სიმღერებს მოგვაგონებენ, ხავსე არიან მუსიკალური ჰარმონიით. მხატვრული ხერხების ორიგინალობამ, სახეების სიმდიდრემ და ფერადოვნებამ, სურათების პლასტიკურობამ და სილულობამ ფიურნბერგის პოეზიას შესძინეს მაღალი ჰარმონიულობა, რომელიც განუყოფელია ხელოვნების ქეშმარიტი ქმნილებისაგან, პოეტის მუსიკალურმა ნიქმა მის ლირიკას განსაკუთრებული სინაზის უღერადობა შესძინა და აგრეთვე გავლენა იქონია ლექსების მწყობრ კომპოზიციაზე. ამაში მდგომარეობს მისი როგორც ეპიკოსი პოეტის ოსტატობა. ეპიკურად საგნობრივი სახეები პოეტს საკუთარი სულიერი სამყაროს და ადამიანის მოწოდების თავისებურ გახსნასა და გაგებაში ეხმარებიან.

ფიურნბერგი აქტიურად იყენებს ლექსის ბგერით, რიტმულ აღნაგობას, ინტონაციებს, პოეტური მეტყველების თავისუფალ ექსპრესიას. ფიურნბერგის მეტაფორა ერთი შეხედვით თითქოსდა სრულიად დაშორებული მოვლენების მთლიან პოეტურ სახედ შეერთების საშუალებას იძლევა. მეტაფორული სახე პოეტისათვის ხიტუვის გარკვეული შაბლონურობის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად იქცა. გარკვეული თვალსაზრისით ფიურნბერგმა ახალი პოეტური სტილი შექმნა, რომელიც უველაზე მკაფიოდ გამოხატავს მეტროპოლი მუმანიზმის პათოსს.

ფიურნბერგის მთელი ცხოვრებისეული გზა და ყველაფერი, რაც მან ამ გზაზე გადაიტანა, აიხაზა მის ჭეშმარიტად კლასიკური სიცხადისა და პოეტური ამალღებულობის ღირსეულ ლექსებში. მათში ვერ იპოვით ვერც ერთ უსარგებლო რიტმას ან ხიტყვათა თამაშს. მშობლიური ენის ყველა სიმდიდრის ათვისება პოეტს დაეხმარა ნაწარმოების იდეური და მხატვრული შინაარსით შევსებაში, რითაც მან მნიშვნელოვანი ესთეტიკური პრობლემა გადაჭრა ფიურნბერგმა შეძლო XX საუკუნის გამოჩენილი გერმანულენოვანი პოეტების უმეტესობისა და აქედან გამომდინარეობს მისი ლაკონური, მკაფიო, ზუსტი ენა, რომელშიც ყველაფერი გულდასმით არის მოფიქრებული და აწონილი, ხოლო მოქნილი ფრაზა უმცირეს იერსახესაც კი გადმოსცემს.

როდესაც თვალს ავლენ უოველივე იმას, რაც ლუი ფიურნბერგმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შექმნა, გაგოცებთ არა იმდენად მისი იშვიათი და მრავალმხრივი ნიჭი, რამდენადაც დავაუკაცებისა და ცვლილების პროცესში საკუთარი თავის, მოწოდებისა და აღრიდანვე შეგნებული ადამიანის დანიშნულების წინაშე ერთგულების უნარი. ლირიკოსის მდიდარი პოეტური სამყარო არ ამოწურულა და მხოლოდ წარსულის კუთვნილებად არ ქცეულა. მისი პოეზია ახლებურად გვიჩვენებს ჩვენი დღეების როგორც ლიტერატურულ, ისე ზნეობრივ მოვლენებს და ადამიანური ურთიერთგაგების ხილებს აგებს.





თარგმნა თაბაზ აბანოიკაშ

შეხვედრები

1980 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი „მოგონებები თხევად ჰელიუმზე“. მისი ავტორია თვალსაჩინო საბჭოთა ფიზიკოსი, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელფეთერ ანდრონიკაშვილი. იგი, როგორც მკვლევარი-ექსპერიმენტატორი, უშუალოდ მონაწილეობდა წიგნში აღწერილ ამბებში. ამ გარემოებისა და, რასაკვირველია, ხალასი ლიტერატურული ტალანტის წყალობით, ავტორმა ცოცხლად და მიმზიდველად გვიამბო მეცნიერთა (მათ შორის ლეგენდარული პეტრე კაპიცასა და ლევ ლანდაუს) შემოქმედებითი თუ ყოფითი ცხოვრებისა და ადამიანური ურთიერთობების შესახებ.

ამავე წიგნში ავტორი, ფართო ინტელექტისა და ინტერესების კაცი, გვახვედრებს ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთ გამოჩენილ მოღვაწესთან, ორიგინალურად მსჯელობს ცნობილ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებებზე.

მკითხველს ვთავაზობთ შესაბამის „არაფიზიკურ“ ფრაგმენტებს ე. ანდრონიკაშვილის „მოგონებებიდან“.

მთარგმნელი

1. ა. ტოლსტოი ინსტიტუტში

ერთხელ, არა „ღია კარების“ დღეს, ინსტიტუტში განკარგულება გაიცა — ყველანი ადგილებზე იყავითო. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა ლაბორატორიის კარს მიღმა ხმები გაისმა. ერთი ხმა კაპიცას ეკუთვნოდა, მეორე — ალექსეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოისას ჰგავდა.

დერეფანში გავედი და მართლაც დავინახე ტოლსტოი და ლიუდმილა, კაპიცაც თან ახლდათ.

— გგაუმარჯოსი — თქვა ტოლსტოიმ, თან მახვილი, ჩვეულების წინააღმდეგ, ერთ-ერთი ხმოვნის მაგიერ პირველ თანხმოვანზე დასვა. — შენ აქ რანაირად აღმოჩნდი, აქი თბილისში გნახე ახლახან?

— ელფეთერი ჩემთან მუშაობს აგერ უკვე რამდენიმე თვეა, — უპასუხა ჩემ ნაცვლად კაპიცამ.

დერეფანში შალნიკოვმა<sup>2</sup> ჩაიქროლა.  
— ალექსანდრ იოსების ძევ, სტუმრები უნდა გაგაცნოთ, — შეაჩერა იგი პეტრე ლეონიდეს ძემ და მოსულთ მიუბრუნდა, — დოქტორი შალნიკოვი!

— შალნიკოვი, — სწრაფად წამოიხროლა შორცხვმა ალექსანდრე იოსების ძემ, რაღაცნაირად შეხტა და დერეფნის გაუღლებით გავარდა.

— რა მკვირცხლი ყოფილა და! — თქვა ტოლსტოიმ, თან გაქცეულს გახედა. — ვინ არის, შეტა ასეთი?

— ალექსანდრე იოსების ძე შალნიკოვია, ძალიან ხელმარჯვე ექსპერიმენტატორი. შალნიკოვი დაიჭირეს და ჩვენს ჯგუფს შემოუერთეს.

— ხომ არ უჩვენებდით ალექსეი ნიკოლოზის ძეს რაიმე ცდებს ახლად ჰაერთან დაკავშირებით?

— რატომაც არა, შეიძლება...

ორიოდე წუთში უველაფერი მოეწყო. შალნიკოვი თხევადჰაერიან დიუარში ყინავდა რეზინს, მერმე აძრობდა და წვრილ-წვრილად ამტვრევდა. ვერცხლისწყალი ჩაქურჩის ფორმით გაუჩინეს და იმ ჩაქურჩით ლურსმანი ჩაარჭვეს. იატაკს ჰაერით რწყავდნენ და ღრუბელში კი ეხვეოდნენ. ლიუდმილას სამახსოვროდ უვავილი გაუყინეს. ბოლოს შალნიკოვმა პაპიროსს მოუყიდა, პირში ერთი წვეთი თხევადი ჰაერი ჩაიგუბა და პაპიროსს რომ შეუბერა, კაშკაშა ალით ააბრიალა. შემდეგ რიგრიგობით უყვებოდნენ ტოლსტოის, თუ როგორ მიეჩვია ერთი ხარკოველი თანამშრომელი თხევად ჰაერს ისე, რომ თავდავიწყებულმა გადაულაპა კიდევ: ჰაერი მუცელში აუორთქლდა და ისეთი წნევა წარმოქმნა, რომ საწყალმა გრძნობა დაკარგა.

— კინალამ მოკვდა, — ამბობდა ერთი.

— ძლივს გადაარჩინეს, — უმატებდა მეორე.

ტოლსტოი გაფაციცებით უხშენდა, ყოველ სიტყვას გონებაში იბეჭდავდა, ხან ერთს შეგვაველებდა მღუმარედ თვალს, ხან — მეორეს.

— ეს საოცრად საინტერესოა! — თქვა ბოლოს და აუჩქარებლად დაიწყო მოსმენილის გამეორება: — მაშ, შენ ამბობ, ისე მიეჩვია თხევად ჰაერს, რომ გადაწყვიტა ეყლუნწა? მერმე კი ეს სითხე მუცელში, როგორც ჩანს, აორთქლდა, ნაწლავებამდე ვერც მიაღწია, ხომ? როგორ გაებერებოდა ფაშვი, პა? — ასე გვიყვებოდა ტოლსტოი სულ ახლახან ჩვენგანვე ნაამბობ ისტორიას, გვიყვებოდა სხვადასხვა ხმით, ხან დაზარალებულის პირით, ხან ექიმის პირით, ხანაც... თხევადი ჰაერის პირით: თავის მონათხრობს მიმიკით, ჟესტით აფერადებდა, აქეთ-იქით იუურობოდა და გარშემო მყოფთ საუბარში გვითრევდა.

ეს მისი ერთ-ერთი გენიალური ჩვევა გახლდათ: ახლახან უინტერესოდ მოთხრობილი ამბის თავიდან მოყოლა ისე, რომ ნათქვამი სიუჟეტური, მხიარული, მსუბუქი, ეგებ თეატრალურიც კი გამოსულიყო. იგი მოთხრობას ღვთის მოიგებდა ხოლმე, ისეთი დეტალებით ამდიდრებდა, რომლებიც პირველ ნაამბობში არც კი იყო; ხშირად ეკამათებოდა საკუთარ თავს: „არა, ასე კი არა“ — და თავიდან ძერწავდა ფრაზას, სახეს, იდეას.

მოხდა ისე, რომ სულ პატარაობიდანვე ხშირად და დიდხნობით ვაკვირდებოდი ტოლსტოის. ის მრავალსახოვანი მსახიობი გახლდათ, თითქმის ყოველთვის თამაშობდა ამა თუ იმ როლს, ზოგჯერ საათობით, ზოგჯერ კვირების მანძილზეც. როდესაც კითხულობ მის „პეტრე პირველს“, მხოლოდ მაშინ ხვდები, თუ რამდენ ხანს იყო ავტორი პეტრე (ტკვიანი, ბრძენი, მკაცრი, მომთხონი, ახირებული), რამდენჯერ გადაქცეულა ეშმაკ ალექსა მენშიკოვად, ან სანკა ბროკინად. თავისი უველა ლიტერატურული ნაწარმოები ნათამაშევი მქონდა შინ, სტუმრად თუ საკუთარი კაბინეტის სიმუდრეოვეში. ტოლსტოის გმირები პლასტიკურნი და ნატოვანნი არიან სწორედ იმიტომ, რომ მათი შემქმნელი „მსახიობი“ იყო და ამ ტალანტის წყალობით იბადებოდა „პეტრეში“ ასეთი ფრაზები: „ბროკინმა თათმანები წამოიცვა, ჩალიდან მათრაბი დააძრო... მარხილზე გვერდულად გადაემხო და, კიშკარგაღმა გახრიალებული, ჩორთით გაექანა თოვლით დაპენტილი მალაღი ნაძვების გაუღლებით“. რუსი გლეხის მოძრაობათა ეს პლასტიკა ყოველგვარ დახატულებას მოიცავს: სოციალურს, ეროვნულსა თუ ისტორიულს, ესაა უმაღლესი მხატვრული სიმართლე.

ალექსეი ტოლსტოი მარტო მწერალი კი არა, ერთობ საინტერესო თეატრიც გახლდათ, რომლითაც საათობით შეიძლება დამტკბარიყავით.

დამთავრდა ტოლსტოის ვიზიტი უიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტში.

ჩვენ უვავილნარებს ჩავუარეთ და კაპიცას სახლში შევედით. აქ დაიწყო მათი მეგობრობა და ერთმანეთით გატაცება, რაც ამ შესანიშნავი მწერლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გრძელდებოდა.



2. ირაკლის სტუმრები

1945 წელია. ირაკლის ერთობიანი ბინა არბატზე სტუმრებით იყო გაქვდილი და გვირანი ხმაურიც ადგა. დიდი სამამულო ომის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პორფირე გიორგის ძე ჩანჩიბაძე მეუღლისა და ადიუტანტის თანხლებით, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სოლომონ მახვილის ძე მიხოელის მეუღლითურთ, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის ძე ხორავა და სხვა სტუმრები საკმლითა და ბოთლებით სავსე მაგიდას მსწრაფად მოდნენ. მასპინძლები: ვივა,<sup>4</sup> ირაკლი, მანანა და მე, ზოგი ფეხზე ვიდექით, ზოგიც სავარძლების სახელურებზე ვისხედით. უველას გვაინტერესებდა ირაკლის სამხედრო მოთხოვნების ერთერთი მთავარი პერსონაჟის გენერალ ჩანჩიბაძის გაცნობა, რომელიც ომის უკანასკნელ პერიოდში შემტევ არმიას სარდლობდა.

მოვითხოვდით, რომ ირაკლის აქვე, ჩანჩიბაძის თანდასწრებით, ეამბნა მასზე და ეჩვენებინა იგი საბრძოლო მოქმედებებში.

სუფთად გადაპარსულ თავზე ჩანჩიბაძემ უხერხულად გადაიხვა ხელი და არც ისე გულწრფელად შეუერთდა დამსწრეთა თხოვნას. გენერალს მკვეთრი ქართული აქცენტი ჰქონდა და მისი ლაპარაკი არწივის უიპყიპს წააგავდა.

— რაღას უცდით, ამხანაგო ირაკლი, მიდით, მიდით, ნუ მოგერიდებათ, — აგვყვა ჩანჩიბაძე, — მე თვითონაც მაინტერესებს მოვისმინო როგორი ვარ.

ხარკოვის ახლოს მიუსის მიმართულებით ბრძოლებზე რომ დაიწყო თხოვა, მყისვე ჩამოვარდა აბსოლუტური სიჩუმე. მოთხოვნის დასასრულს კი, შეფერხებული იერიშის შემდეგ, გენერალი რომ დარბის მიწაში სახეარგულ ჭარისკაცებს შორის, აბრუნებს მათ, თან უვირის: „ძმებო, ცოტა კიდევ დავიხოცოთ!“, მაგრამ არავინ ეხმიანება, იმიტომ რომ უველანი უკვე მკვდრები არიან, სახის კანი დაკიშვიათ და ღია თვალებით უკვე ველარაფერს ხედავენ — ოთახში მყოფნი გაქვადნენ, მხოლოდ ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლები არ ემორჩილებოდა საერთო უძრავობას.

— ირაკლი, ჩემო ძმაო! — წარმოთქვა რამდენიმე წუთის შემდეგ მიხოელსმა. — და შენ ამბობ, რომ მტერს მაინც წაართვეს მალეობი? ზო, ეს შესანიშნავი მოთხოვნაა და შესანიშნავი გმირობა. პორფირე გიორგის ძევ, იამაყეთ, რომ თქვენზე ასეთი მოთხოვნა არსებობს.

შემდეგ აკაკი ხორავა მიუბრუნდა გენერალს. გადაპარსული თავის სილაპლაპით ისინი ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს.

— ახლა სად მუშაობთ, ამხანაგო გენერალო?

— მოსკოვის მეზობელი სამხედრო ოლქის სარდალი გახლავარ, ამხანაგო სსრ კავშირის უმაღლესი /საბჭოს დეპუტატო.

კიდევ ბევრი ღვინო დასჭირდათ, სანამ „შენობით“ ლაპარაკზე გადავიდოდნენ...:

— აბა, წავედით, სახლებში მე დაგარიგებთ უველას ჩემი „ხორხით“, — შემოგვთავაზა ჩანჩიბაძემ, — საქალაქო ტრანსპორტი ახლა უკვე აღარ იქნება. შენ მოდიხარ თუ რჩები, ამხანაგო ფიზიკოსო?

სწრაფად ვტუცე ფეხები კალოშებში, მარჯვენა და მარცხენა წვერი რიგრიგობით მივარტყი კედელს და ისე წამოვიცვი. სხვებივით მეც ბანცალბანცალით ვეშვები კიბეებზე; სადარბაზოსთან მრავალადგილიანი „სამეფო ხორხი“ დგას.

— აი, მეც მოვედი! — ამ სიტყვებით ვემშვიდობები გენერალს და მის ქალაპობას და კაპიტანარისნ კიშკარში შევდივარ.

„ღმერთო ჩემო! რა ცუდად ვარ, ფეხები შეკეცება, ასე ხომ სადარბაზომდეც ვერ მივაღწევ“ — ვამბობ და ინსტიტუტის ეზოს მივუყვები.

უფრო და უფრო მიჭირს! როგორ ჩავიგდე ამ დღეში გული? ფეხები ისე შემშუპებია, კალოშებსაც ველარ ვიხდი ასეთი არაფერი მსმენია. — ამ ფიქრებით უველიანი ფეხსაცმელების ზონრებს ვიხსნი და წვალეებით კალოშებიანად ვიხდი.

თურმე ფეხები კი არ გამსიებია, ფეხსაცმელები გახიებულა, რადგან დილით ვერ ვახერხებ კალოშებიდან მათ ამოძრობას. და მხოლოდ ახლა ვამჩნევ, რომ კალოშებს საეჭვოდ დიდი ქუსლები აქვს.

— სწორედ ასეა!!! ქალის კალოშები რა ეშმაკმა ჩამაცვა? — ფეშიშველა ვეცი ტელეფონს.

— ვივა ხარ? უბედურება მჭირს! კალოშები შემცვლია... ვისია? ვილაც ქალისა... შემშლია! საგულდაგულოდ დაძებნე, ის ქალი ჩემი კალოშებით ხომ ვერ წავიდოდა... არ არის? დაურეკე უველას, ვინც თქვენთან იყო.

— ელეფთერი ხარ? ყველას დავურეკე, არავინ არ გამოტყდა... არა უშავს, ნუ ღელავ, როგორმე ახლებს ვიშოვით... კალოშები არ იშოვება? კარგად მოვჩხრიკე ყველა კუნჭულს... არ არის არსად, იცი... იმ საცოდავმა, ეტუობა, გზაში დაკარგა: წარმოგიდგენია? ქალი ქუსლებზე მამაკაცის კალოშებში!

ეროვნული  
ბიზნიროსება

8. მელთმანი მსჯელობს

ხვალ მოსკოვს მივემგზავრები, დღეს საღამოს კი კოვენტ-გარდენში სპექტაკლია — „ღიღი მაკბეტი“...

თეატრალური გემოვნებები შეტწილად შექსპირმა ჩამომიყალიბა. ბავშვობიდანვე გამიღინა ბედმა და „ოტელო“ რუსული სცენის ერთ-ერთი კორიფეს — სუმბათაშვილი-იუჟინის შესრულებით ვნახე. შემდეგ იყო ოტელო — ხორავა, რომელმაც მთელ საბჭოთა კავშირში გადაიქუხა, იყო რუსთაველის სახელობის თეატრის ერთობ საინტერესო დადგმა, განხორციელებული დიდი ქართველი ეროვნული თეატრისათვის ეხოდენ დამახასიათებელი რიტმული ხერხებით.

მახსოვს ამ შესანიშნავი სპექტაკლის ყველა დეტალი.

მახსოვს დიდი მოცეკვავის, ვახტანგ ჭაბუკიანის შესრულებით სპექტაკლ „ოტელოს“ ყველა დეტალი.

მახსოვს „ჰამლეტი“ მიაილ ჩეხოვის დადგმითა და მონაწილეობით; „ჰამლეტი“ იმ თეატრის დადგმით, რომელიც ვახტანგოვის — დაუვიწყარი სპექტაკლის „პრინცესა ტურანდოტის“ შემქმნელის — სახელს ატარებს; „ჰამლეტი“ მარჯანიშვილის თეატრში, იმ რეჟისორის თეატრში, რომელიც თვითონ გახლდათ უმაღლესი თეატრალობის განსახიერება; პოლ სკოლფილდის გახაოცარი ჰამლეტი და სმოკტუნოვსკის არანაკლებ გახაოცარი ჰამლეტი კინოში; დიდი გალინა ულანოვას „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის მემორიალური თეატრის „რომეო და ჯულიეტა“, ინგლისური თეატრის „რომეო და ჯულიეტა“; ინგლისური „მეფე ლირი“, მიხაელსის „მეფე ლირი... მე ახლა მხოლოდ ის სპექტაკლები ჩამოვთვალე, რომლებმაც მაიძულა ახლებურად შეცხოვრა, მეფიქრა და მეგრძნო.

ვიხსენებ კიდევ „მაკბეტს“ — ბერლინის სახელგანთქმულ რაინჰარდტის თეატრში. და, აი, ახლა კვლავ მაკბეტი ტიტო გობის მონაწილეობით, რომლის მოსმენა ყოველ ჩვენგანს ოცნებად ქცევია.

ვღელავდი, სპექტაკლისაგან ბევრს ველოდი; მაგრამ, რაც ვნახე, იმას თურმე ვერც წარმოვიდგენდი.

თეატრში ამაღლებული განწყობილება იგრძნობოდა და ეს მეც გადმომედო. საზოგადოება ძალზე მაღალი რანგისა გახლდათ; სპექტაკლს დედოფალი ელისაბედ II უნდა დასწრებოდა, მაგრამ გენერალ დე გოლის ლონდონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსვლამ შეუშალა ხელი თეატრში მოსულიყო.

პარტერის ხავარძლებში მოკალათებულ მანდილოსნებს ბეწვის პალტოები გაეძროთ და ზედვე ისხდნენ; თავისუფლად და ხმამაღლა მოლაპარაკე მამაკაცები პალტოებს აგორგოლავებდნენ და ცილინდრებთან ერთად ან ხავარძლებს ქვეშ ტენიდნენ, ან პირდაპირ იატაკზე აწყობდნენ გახასველების გასწვრივ.

როგორც იქნა, ფარდა აიხადა და მყურებელთა დარბაზიც მიწყნარდა. უწარმაწარი შერეული გუნდი მღერის ფორტისიმოს, ორკესტრი ჭექს ფორტისიმოს, სოლისტებიც — ისინი ბევრნი არიან — ჭექენ ფორტისიმოს. ჩემთვის ვამბობ:

„რასაკვირველია, ტიტო გობი აი ეს ახოვანი იქნება, მშვენიერი მაღლები რომ აქვს... არა, აღბათ, აი ეს, საშუალო ტანისა, ჩინებული ხავერდოვანი დაბლებით... არა, ეს არა, აი ეს...“

და უცბად კულისებიდან მოისმის რამდენიმე პიანოთი აღებული ბგერა. რომელიც სუფთა, დაბალი უღერადობით გუნდსაც ფარავს, ორკესტრსაც და სოლისტებსაც, და უკვე იცი: ეს გენიოსი მღერის.

არა არის რა იმაზე უკეთესი, წმინდა, უანგარო, ვიდრე პირველი შეხვედრა გენიოსთან, ვინც არ უნდა იყოს იგი: მომღერალი, მხატვარი, მწერალი თუ მეცნიერი.

ეს განუმეორებელი წამი ხშირად განსაზღვრავს შენი ცხოვრების შინაარსს მრავალი წლით. ახლაც ასე იყო.

მომდევნო წუთებში მისი სიმღერის მრავალფეროვნებაში დავიხირო: ორკესტრში სიმები-  
ანთა მოზღვავებაა და გობის ხმაც ვიოლონჩელოსავით უღერს. ის მომღერალი აღარაა, ის  
ორკესტრის სოლისტია ხემიანთა ჯგუფიდან. ორკესტრში სასულეები მძლავრობენ და გობის  
ხმაც სულ უფრო და უფრო ივსება პობოის ბგერებით. ხანაც მის ხმაში ლითონი აუღერდე-  
ბა... მთელი სხეულით ვუსმენდი მუსიკას.

ტიტო გობი ყოველგვარ პოზაში მღერის: მღერის გულაღმა მწოლარე, მღერის მაგიდის  
ქვეშ მოკუნტული. მისი პოზები არაჩვეულებრივად გამომსახველია. ის ყოველთვის უველა  
მიზანსცენის ცენტრია: ვოკალური ცენტრიც და პლასტიკურიც.

თეატრიდან გაოგნებული წამოვედი. და აქამდე უველაფერი, რაც მაშინ განვიცადე კო-  
ვენტ-გარდენის პარტერში მქდომმა, სადღაც ჩემში, ჩემი მეხსიერების — მუსიკალური, მხედ-  
ველობითი თუ ესთეტიკური მეხსიერების ხვდადასხვა ნაწილში ინახება. საჭირო მომენტში უვე-  
ლაფერი ერთმანეთს უერთდება და გობი-მაკბეტის სახე კვლავ თვალწინ მიდგება.

მეორე დღეს ერთი ინგლისელი მეკითხება:

— აბა, როგორ მოგეწონათ ტიტო გობი?

— ოო, ძალიან მომეწონა, ხმაზე რომ არაფერი ვთქვათ, ის ისეთი პლასტიკურია, უველა  
პოზა ისე დამუშავებული აქვს...

— არ წაგიკითხავთ განა? — გავცდა ჩემი მოსაუბრე, — ერთ-ერთ გაზეთში წერდნენ გო-  
ბის გასტროლებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომ ის მოქანდაკე უოფილა. მანამდე, სანამ  
დაიწყებდეს ვოკალური პარტიის შესწავლას, თავის თავსაც და ძირითად მიზანსცენებსაც თი-  
ხაში ძერწავს და მხოლოდ მერე იწყებს სიმღერის მოსინჯვას იმ პოზებში, რომლებიც გამო-  
ძერწა.

არ ვიცი, მართალია კი ეს? მაგრამ თუ სიცოცხლეში გობი ერთხელ მაინც გინახავს, შე-  
იძლება დაიჭერო, რომ ეს ნამდვილად ასეა.

4. ს ა შ ბ ბ რ ი ს ა ბ ბ მ მ ი ა ბ ა ლ ე ტ ზ ე

სადილზე, მასპინძლების ინიციატივით, საუბარი ჯერ რატომღაც ჩამოვარდა დიდი ქართ-  
ველი მეუღის თამარის ხანაზე, შემდეგ გადაწვდა გალინა ულანოვას. მთხოვენ, ვუამბო მის ხე-  
ლოვნებაზე, შურთ, რომ მე იგი მინახავს, რომ მე მას ვიცნობ.

— თუნდაც ახლოს არა, თუნდაც შორიდან, მაგრამ ხომ მაინც იცნობთ იცნობდნე ულა-  
ნოვას — ეს ხომ ბედნიერებაა, პროფესორო ანდრონიკაშვილო!

მთელი მოხსენება გამომივიდა. უვეები სპექტაკლ „რომეო და ჯულიეტაზე“, რომელშიც ის  
რამდენჯერმე მინახავს.

ჩემი სიჭაბუკიდანვე მარინა სემიონოვა და გალინა ულანოვა დიდ მსახიობებად მეჩვენე-  
ბოდნენ თვით მათი თაობას დიდ მოცეკვავეთა შორისაც კი: ოღონდ „რომეო და ჯულიეტაში“  
ულანოვა მარტო მსახიობი კი არ ვახლდათ, თუნდაც დიდა მსახიობის მან ახლებურად წაი-  
კითხა შექსპირი, ხელახლა აღმოაჩინა პროკოფიევი. მან შექმნა ჯულიეტას სახე და საბალეტო  
სპექტაკლს ისეთი გამომსახველობა შემატა, რომელმაც გადაფარა ჩემს მიერ ნანახი ხაუკეთე-  
სო სპექტაკლების გამომსახველობა; სპექტაკლებისა, რომლებშიც უველაზე სახელოვანი არ-  
ტისტები მონაწილეობდნენ, რომლებიც უველაზე სახელოვანი რეჟისორების მიერ იყო დადგ-  
მული.

უველა განსაკუთრებით შესანიშნავ, განსაკუთრებით გამოჩენილ მსახიობში მე ხელოვნების  
მოღვაწეს ვხედავ. ულანოვა ჩემთვის თვით ხელოვნების განსახიერებაა.

ამ სპექტაკლში მას გარს ეხვივნენ ჩვენი დროის უნიჭიერესი მოცეკვავენი — გაბოვიჩი —  
რომეო, იშვიათი პოზის ტემპერამენტის მფლობელი, ერმოლაევი — ტიბალდი და კორენი —  
მერკუციო, რომლებსაც თანდაყოლილი პქონდათ არაჩვეულებრივი მოძრაობის ტემპერა-  
მენტი. მიზანსცენები, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ, სამუდამოდ ჩამეჭვდა მეხსიერება-  
ში. შესაძლოა, არასოდეს არაფერი ისე ნათლად და ისე დაწვრილებით არ დამმახსოვრებოდა,  
როგორც ის სპექტაკლი. განსაკუთრებით კი ულანოვა და მუსიკის გარდახახვა მის მოძრაო-  
ბებში, შექსპირის ხასიათის ხორცშესხმა მის სახეში.

ფრანგებს ვუამბობ, თუ რა ხანგრძლივად ცოცხლობდა ჩემს სულში ულანოვა-ჯულიეტას  
სახე, სანამ ინგლისიდან მოსკოვში შექსპირის შემოართალური თეატრი არ ჩამოვიდა.

„რომეო და ჯულიეტა“ მიდიოდა. მომცრო ტანის ჩამკვრივებული, წითური, თმაგაწეწილი ქალიშვილი ფეხშიშველა მკვირცხლად დარბოდა სცენაზე და ფართოდ გაეშალა ხელები, რომლებიც მზად იყვნენ უოველ წუთს შემოქდობოდნენ უელზე რომეოს.

— ცხადია, — ვმსჯელობდი მე, — ინგლისური ჯულიეტა ისტორიულად უფრო გამართლებულია. რას წარმოადგენდნენ იმდროინდელი იტალიელი არისტოკრატები? კულტურის დონითა და გრძნობათა სიფაქიზით ეს არისტოკრატები უფრო მაღალ დონეზე იყვნენ, ვიდრე, ეთქვათ, ქართველი მთიელები — ხევსურები იმ, ჯერ კიდევ ჩემთვის დროსსახსრავარ დროს, როცა ისინი განაგრძობდნენ ჯვაროსანთა შუასაუკუნებრივი ტალავრის, ჯაჭვის პერანგების, ჩაუხუტებისა და ხმლების ტარებას.

— თქვენ გახსოვთ ეს?

ამ თვალსაზრისით უნდა გვერწმუნა ინგლისური ჯულიეტას სიმართლე. და მეც დროებით დავუჭერე ინგლისელ ქალიშვილს, თუმცა ეს იოლი როდი იყო: ორი თუ სამი წელი ჩემში გააფთრებით იბრძოდა ჯულიეტას ორი სახე. ბოლოს კი გამოირკვა, რომ ულანოვას მიერ შექმნილი სახის გარეშე არ შემოიძლია სიცოცხლე; რომ ეს სახე მტკიცედ შედის ჩემს მსოფლშეგრძნებაში და, რომ არ მენახა დიდ თეატრში „რომეო და ჯულიეტა“, სხვა ვიქნებოდი.

ახლა ჯორჯ ბალანჩინის ბალეტზე მეკითხებიან. მინახავს თუ არა „უძღები შვილი“ პროკოფიევის მუსიკის მიხედვით? დიახ! რა თქმა უნდა, მინახავს! და თუმცა ჩინებული მოცეკვავე ვილიოლა უძღები შვილის როლში, ან დიანა ადამსი მისი მაცდუნებლის როლში აქტიორული ოსტატობით ვერ შეედრებოდნენ დიდი თეატრის „რომეო და ჯულიეტას“ შემსრულებლებს, სამაგიეროდ, ემოციური გამსჭვალულობით, სახვითი საშუალებების სიძუნწითა და მეტყველებით „უძღები შვილი“ ხელოვნების უმაღლეს ქმნილებათა რიცხვს განეკუთვნება.

ეს სპექტაკლი აქტიორული კი არა, ქორეოგრაფის სპექტაკლია. ჯორჯ ბალანჩინმა შეძლო შეექმნა წარმოდგენა, რომელიც ერთობ მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო საბალეტო, არამედ დრამატული და სახვითი ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებთან. ამასთანავე, ეს იყო ნოვატორული, მთლიანად მერმისში მიმსწრაფი ბალეტა.

და მაინც, მე ვამჯობინებ დიდი თეატრის სპექტაკლს. შექსპირი, რომეო და ჯულიეტა, პროკოფიევი, ულანოვა...: ეს გენიალურია!

ნახადილევს მადმუაზელ შანტალი<sup>10</sup> და მე კვლავ ვსხდებით ექსპრეს „მიხტრალში“, რომელიც თითქმის შეუჩერებლივ მიგვაქროლებს უკან, პარიზში.

კუბეში რბილ დივანზე გადაწოლილი მადმუაზელ შანტალი რაღაცაზე ფიქრობს. დღეს ის სიტყვაძვირია. შემდეგ უცხად მეკითხება:

— ულანოვამ თუ იცის, რას ფიქრობთ მასზე? და პასუხს რომ დებულობს, წარმოთქვამს — რა ბედნიერი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე ასეთ შეფასებას მოისმენს; რასაკვირველია, თქვენ უნდა გეთქვათ მისთვის ეს! თქვენ არ გქონდათ ამის დამადვის უფლება!

1. ა. ტოლსტოის მეუღლე.
2. ა. ი. შალნიკოვი (დაბ. 1905 წ.) — საბჭოთა ფიზიკოსი — ექსპერიმენტატორი, აკადემიკოსი, სამგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
3. ი. ლ. ანდრონიკოვი (დაბ. 1908 წ.) — ე. ანდრონიკაშვილის უფროსი ძმა, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტის პროფესორი, სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.
4. ი. ანდრონიკოვის მეუღლე.
5. მანანა ირაკლის ასული ანდრონიკოვა (1936-1975 წწ.) — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.
6. ასე გადმოვიტანეთ ქართულად — „Капичник“ — პ. კაპიცას მიერ დაარსებული ინსტიტუტის „შინაურული“ სახელი.
7. იგულისხმება ლონდონიდან გამომგზავრება 1960 წელს.
8. გამოჩენილი იტალიელი მომღერალი ტიტო გობი (დაბ. 1913 წელს) მაშინ დიდების ზენიტში იყო.
9. ბანკეტი გრენობლში, დარბაზობებისათვის განკუთვნილ ვილაში.
10. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საბჭოთა სატუმარზე მიმავრებული თანამშრომელი.



თარგმნა აკთნადილ ჯონსაკიშ

მორალის რაობის საკითხისათვის

სემიონ ფრანკი (1877-1950) — რუსი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, ვლ. სოლოვიოვის მოწაფე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას, რისთვისაც გაასახლეს საზღვარგარეთ. იყო ნიცშეს თბზულებათა სრული კრებულის რუსული გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი...

გაბატონებული შეხედულების თანახმად მორალური ნორმა ყოფაქცევის ნორმაა. ის გვასწავლის, თუ როგორი მოქცევაა მოწონების ან დაწუნების ღირსი, რა სახის მოქმედებაა შერაცხული კარგ საქციელად ან საძრახისად. მორალური მსჯელობა უშუალოდ საქციელის შეფასებაზეა მიმართული. ისეთი მორალური ფორმულები, როგორიცაა: „არ გაუკეთო სხვას ის, რასაც შენს თავს არ უსურვებ“, ან მისი კანტიანური პერიფრაზი: „ისე მოიქეცი, რომ შეიძლებოდეს შენი საქციელი ყოფაქცევის საყოველთაო წესად აღიარონ“ ფრიად თვალშისაცემს ხდის მორალის ამ წმინდა გამოყენებით ხასიათს — იყოს ადამიანური ქცევის ხელმძღვანელი და საწყაო. ამასთანავე დაკავშირებული მორალის გაბატონებული კონსტრუქციის კიდევ ერთი, ყველას მიერ გუმანიტ ნაგრძნობი, ზოლო კანტის მიერ განსაკუთრებით ნათლად ჩამოყალიბებული ძირითადი ნიშანი, სახელდობრ, ზნეობრივი წესების საყოველთაობა და უნივერსალურობა, მორალური კანონის წინაშე ადამიანთა აბსოლუტური თანასწორობა. თუკი რაღაც საქციელი ანდა ადამიანებს შორის დამყარებული რაღაცნაირი ურთიერთობა კარგია, მაშინ ისინი კარგია ყველასათვის და ყოველთვის, ზოლო თუ ცუდია, მაშინ ასევე ყოველთვის და ყველასათვის ცუდია — ვინც არ უნდა ჩაიდინოს ეს მოცემული საქციელი ან ვისა და ვის შორისაც არ უნდა დამყარდეს ხსენებული ურთიერთობა. ეს, კაცმა რომ თქვას, ისედაც იგულისხმებოდა, როგორც იმ ვითარებიდან გამომდინარე შედეგი, რომელიც შეფასების საგნად თვითონ საქციელს, ცალკე, თავისთავად აღებულ საქციელს იყენებს. ეს თვალსაზრისი თავის ლოგიკურ დასასრულამდე გენიალური გაბედულებითა და თანმიმდევრულობით მიიყვანა ლევ ტოლსტოიმ. ასეთნაირად გაგებული ზნეობის ნიადაგზე ტოლსტოის მორალური მოძღვრება აბსოლუტურად შეუცდომელია. თავის ძირისძირში ის მარტივ და ლოგიკურად წუნდაუდებელ პრინციპზე დაიყვანება: არასოდეს, არაფრის გულისათვის და არანაირი მოტივით არ ჩაიდინო საქციელი, რომელსაც მორალი შეუწყნარებელ საქციელად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე განიმარტება ადამიანთა და ურთიერთობების ის უმოწყალო, მკაცრი შეფასება, რომლითაც გვაოგნებს ზოლო ტოლსტოი. მისთვის არ არსებობს მორალური ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი არავითარი გარემოება — მისი რაიმე ნიშანწყალი და ნატამალიც კი არ არსებობს, საერთოდ არაფერი არ არსებობს, რაც მორალის სფეროში ადამიანს მისი საქციელისაგან განახსვავებდა. კარგი მხოლოდ ის არის, ვინც ცუდი საქციელისაგან თავს იკავებს და ცუდი ის არის, ვინც ახეთ საქციელს ხჩადის. შეუძლებელია და ვერც მოვახდენთ ადამიანთა რაიმე სხვა შეფასებას მათ საქციელზე დამყარებული შეფა-

1. წინამდებარე ნარკვევი გახლავთ მარგარიტ ბემეს „მეძავი ქალის დღიურის“ რუსული თარგმანის წინასიტყვად დაწერილი სტატიის ნაწყვეტი.

ნების გარდა. ტოლსტოი უღაპარაკოდ უარყოფს ყველა არათანამიმდევრულობას და ყველა მორალურ მსჯელობას, რომელიც ზნეობრივი პრინციპის მკაცრ, ლოგიკურ გამოყენებაზე ხელს იღებს, ამის ჩადენა მისთვის სულმდაბლობას მოასწავებს. ის უშეღავათო სწორხაზოვნებით მოიხმარს ზნეობრივ კოდექსს, რომელიც სხვადასხვა საქციელს კარგ და ცუდ საქციელად ახარისხებს და ადამიანებს მათი საქმიანობისდა მიხედვით ამართლებს ან სასჯელს ადებს. ტოლსტოისთვის ბოროტება გარკვეულ, არსებითად წმინდა გარეგნულ ქმედებებში მდგომარეობს: ძალადობაში, სქესობრივ ცხოვრებაში, მცონარებაში, ხორცის ჭამასა და ღვინის სმაში და ა. შ. თუ ერთმანეთისაგან არ განვასხვავებთ უნებლიე და ნებაყოფლობით, განზრახ და გაუფრთხილებელ და ა. შ. მოქმედებებს, მაშინ ცხადია, საქციელის რამენაირი რეგულირება შეუძლებელი შეიქნება. მოტივი ხან სამართალდარღვევის საკუთრივ შინაარსს განსაზღვრავს, ხანაც ბრალის შემამსუბუქებელი ანდა დამამძიმებელი გარემოებაა. მაგრამ საქციელის ყოველი ახეთნაირი შინაგანი შეფასებისას იგულისხმება, რომ ქცევასა და მოტივს შორის ყველაზე მკიდრო და მარტივი, ყველა ადამიანისათვის ერთნაირი და ამიტომ ადვილგამოსაცნობი კავშირი არსებობს; იგულისხმება, რომ „ბოროტი“ საქმე, თუკი ის სულმთლად შემთხვევით არ მომხდარა, ყოველთვის „ბოროტი“ ნების მიერ კეთდება, თანაც განსხვავება შეიძლება მხოლოდ ხარისხობრივი იყოს: ცნობილი გარეგნული ნიშნების საფუძველზე ადვილია ერთ-ერთი მოცემულობიდან დავასკვნათ მეორის არსებობა. მხოლოდ საქციელსა და ნებას შორის ნავარაუდებ უბრალო და ნათელ კავშირს შეიძლება დაემყაროს განაჩენი, სულ ერთია სისხლის სამართლებრივი იქნება იგი თუ ზნეობრივი. მორალის, როგორც საქციელის შემფასებლის მთელი ეს ნაგებობა ერთგვარ პრიმიტიულ და გამარტივებულ ფსიქოლოგიას ეფუძვნება, რომელიც სულიერ ცხოვრებას გარედაკვირებისათვის ხელმისაწვდომად მიიჩნევს და ყველა ადამიანისათვის საერთო წესების მქონედ თვლის. პიროვნებათა ერთგვაროვნების ეს წინახწარ ნაგულისხმები ფაქტი იმავდროულად ზნეობრივ მოთხოვნადაც ცხადდება: ხაზს ყოველი კაცი ერთნაირად ცხოვრობდეს და მოქმედებდეს; ხიკეთიც და სიბოროტიც ყოველთვის ერთგვარია.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, თუ ვიტყვით, რომ ადამიანური პიროვნების მიმართ ასეთი უღმობელი, რაციონალისტური მორალი წარმოიშვა ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, განმტკიცდა XVIII საუკუნის ინდივიდუალისტური მოძრაობის შედეგად. მაგრამ ჩვენს შეცბუნებას მყის ბოლო მოეღება, როცა გავხსენებთ რომ XVIII საუკუნემ ინდივიდუალური ტენდენციის გარდა და მასზე გაცილებით ძლიერადაც გამთანაბრებელი ტენდენცია, თანახმორღებულობისადმი, სამართლისა და მორალის წინაშე ყველა ადამიანის თანახმობისადმი დაუოკებელი მისწრაფებაც გამოამჟღავნა. პოლიტიკურმა ფილოსოფოსებმა დიდი ხანია შენიშნეს, რომ თანახმობის იდეა ბრძოლაში ჩაება პიროვნების თავისუფლების იდეასთან და დაღუპა კიდევ ეს უკანასკნელი. ვრჩებით რა მორალური პრობლემების ფარგლებში, იმის აღნიშვნას დავჭერდებით, რომ გამთანაბრებლური, რაციონალისტური ტენდენცია არამცთუ არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალისტური მოძრაობის იშუაშინდელ გაგებას, არამედ ამ მოძრაობაში უშუალო საყრდენსაც კი პოულობს. საქმე ის განსაკუთრებით, რომ XVIII საუკუნის ინდივიდუალიზმი, რომლის ძირითადი იდეებიც თანამედროვე კაცობრიობამ შეისისხლხორცა, არსებითად ადამიანის აბსტრაქტული იდეის განდიდებაში მდგომარეობდა. ხოლო წმინდა იდეის ანუ აბსოლუტური ღირებულების მიხედვით განხილული პიროვნება ყველა ადამიანში ერთნაირია და ამიტომაც იმ თვალთახედვისათვის, რომელიც ამ იდეალით ხსოვს, ყველა კაცს ერთი ფასი აქვს, ე. ი. მორალური თვალსაზრისით ერთგვაროვანი და ტოლი ხიდიდებია. აქ საიმისო ადგილი არაა, რომ ამ იდეის მრავლისმეტყველ მორალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ჩამოვადლოთ სიტყვა დღესდღეობით ეს იდეა, მაგალითად, მთელი სოციალური მოძრაობის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმით ვახსენებთ ეს რაციონალისტური ინდივიდუალიზმი, რომ გვსურდა აღგვენიშნა მისი განსხვავება იმ ახალი ინდივიდუალისტური მიმდინარეობისაგან, რომელიც უახლოეს დროში იდგამს ფეხს და მორალური ღირებულებების საფუძველიან გადახალისებას განაპირობებს.

ჩვენი დროის მორალურმა აზროვნებამ წამოაყენა ახალი იდეა — პიროვნების კონკრეტული და თავისთავადი არსების იდეა.

ეს იდეა პირველად, მგონი, გერმანელი რომანტიკოსების ხანაში გამოითქვა. ჯ. ს. მილი თავის წიგნში „თავისუფლებისათვის“ აღფრთოვანებული დაპარაკობს მუშობლდტის წიგნში („სახელმწიფოს მოქმედების საზღვრების შესახებ“) ამ იდეის განვითარების გამო. ეს იდეა ედო სა-

ფუძვლად შლეიერმახერის მორალურ ფილოსოფიას, რომელიც მან ამის მიხედვით თვითმყოფადობის ფილოსოფიად („Eigentümlichkeitphilosophie“) მონათლა; ეს იდეა წამოწია ფიხტეს ეთიკურმა მოძღვრებამ კანტის რაციონალისტური უნივერსალიზმის წინააღმდეგ; დაბოლოს, ამ იდეის ხულისკვთებითაა გამსჭვალული გოეთეს მთელი ცხოვრების ფილოსოფია. მაგრამ რაკი იმხანად მოაზროვნეებზე ღრმა და ხანგრძლივად გავლენა ვერ იქონია, იგი კარგა ხნით მიივიწყეს კიდევ. ჩვენს დროში ეს იდეა, ვფიქრობთ, უფრო ძალუძლად და მეტი დამაჯერებლობით იქნა აღიარებული იმ სულიერი მოძღვრების მიერ, რომელიც ბევრწილად რომანტიზმის აღორძინებას მოასწავებს და რომლის სათავესთანაც დგას ფრიდრიხ ნიცშეს ტიტანური პიროვნება. ეს ახალი მსოფლგაგება თავის დასაყრდენს ჭერაც ბუნდოვან ახალგაღვიძებულ მორალურ განწყობილებაში პოულობს და მიიჩნევს, რომ უოველი პიროვნება თავის სხეულში, ერთადერთი არსებაა. პიროვნების ამ შეფასებას ორი მხარე გააჩნია: ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური. ის, ჭერ ერთი, მდიდარ, ნაირნაირ, ფაქიზ ფსიქოლოგიურ მონაცემებთან დაკავშირებულ და ფრთხილ დამოკიდებულებას გულისხმობს, ვინაიდან ამ მონაცემში თავისებური გადახლართვა პიროვნების სულიერ ცხოვრებას აუალიბებს. (ეს თვალსაზრისი გაბედულად უჩანუდება იმ მოუხეშავ ფსიქოლოგიას, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია მოცემული გარეგნული ნიშნების ხარჯზე შეუმცდარად და უოველი კაცისათვის ერთნაირად დაასკვნას შინაგანი მოტივების შესახებ). მეორეც, პიროვნების ეს ახლებური გაგება სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებასა და სირთულეს თავისთავად ღირებულებას ანიჭებს. ის მორალურ იდეალს აღამიანთა ერთიანობასა და თანასწორობაში კი არ ხედავს, არამედ თითოეული ინდივიდის თვითმყოფადი სულიერი ავლადიდების განვითარებაში. მრავალფეროვნებასა და ორიგინალობას ის სიკვდილს კი არა სიკეთედ მიიჩნევს და პიროვნებას მიზნადაც უვლასათვის საერთო კანონებისადმი მორჩილებას როდი უსახავს, არამედ იმ ინტიმური მოთხოვნილებების და მონაცემების განხორციელებას მოითხოვს, რომელიც უოველ პიროვნებაში სხვადასხვანაირია და უოველ მათგანში ერთნაირად უმთავრესია.

ასე და ამრიგად, ამ ახალი მსოფლმხედველობისათვის მორალური ინტერესი გარეგნულიდან უსათუოდ შინაგანზე, საქციელიდან და დამოკიდებულებიდან აუცილებლად განწყობილებასა და გრძნობიერებაზე გადაინაცვლებს. არ არსებობს ქცევის ისეთი უნივერსალური წესები, რომლებიც თავისთავად მოიპოვებდნენ ურყევ მორალურ ავტორიტეტს. მორალური ნორმები საქციელს კი არ უნდა ესადაგებოდეს, არამედ შინაგან ცხოვრებას და მათ კონკრეტულად უოველი პიროვნებისათვის სხვადასხვა შინაარსი უნდა გააჩნდეს. პიროვნების წინაშე დასმული ახალი მცნება მხოლოდ ასე შეიძლება ეღერდეს: „ის იყავ ვინცა ხარ“ (ფიხტეს ფორმულა) ანდა „ისე იცხოვრე, რომ სულის სიწმინდე და საკუთარი თავის პატივისცემა შეინარჩუნო.“ ამ წესების აზრი იმ მორალური ნიდაგის შენარჩუნება და განმტკიცებაა, რომელსაც უოველმა პიროვნებამ თავის თავში უნდა შეაქვლიოს და რომელიც უოველი კაცისათვის თავისებური განუმეორებელი, უსასრულო და თავის თავში ჩაკეტილი სულიერი სამუაროს მნიშვნელობისაა. როგორც ნიცშე მშობს, უოველ კაცს თავზე საკუთარი მფარველი და მაკურთხეველი ლაფვარდი ციხ გუმბათში ადგას.

ეს არ არის ამორალიზმი ანუ თავისუფლების სახელით თავაშვებულობისა და აღვირაზნელობის ქადაგება. უპირველეს უოველისა, ეს მორალი პიროვნებას თავის თავის და ცხოვრებისადმი თუ უფრო მკაცრს არა, არც ნაკლებად მკაცრ მოპურობას ახწავლის, ვიდრე სხვა მორალი, რის წყალობითაც ის უოველი ჩვენთაგანის წინაშე ჩვენ-ჩვენი შინაგანი მორალური შესაძლებლობების რეალიზაციის და განვითარების დიდ და ამაღლებულ ამოცანას აუენებს, რომლის გადაჭრაც, შესაძლოა, მეტ ვაჟკაცობას, თავგანწირვასა და ამტანობას მოითხოვს, ვიდრე ტრადიციული და უველასათვის სავალდებულო წესების მორჩილი აღსრულება. მეორეს მხრივ თვითონ ჩვეულებრივი მორალის ეს წესები, თავისთავად აღებული, კი არ უარიყოფიან, არამედ მხოლოდ სხვა სფეროში გადაიტანებიან და საკუთარი მნიშვნელობის სპეციფიკურ ხასიათს იცვლიან. მათ უნდა განსაზღვრონ ადამიანთა ის ურთიერთობები, რომლებსაც ზნეობრივი ცნობიერება ნორმალურ და მართებულ ურთიერთობებად მიიჩნევს. ჩვეულებრივი მორალის წესების საზრისი იმ ქცევათა შეზღუდვასა და აღკვეთაში მდგომარეობს, რომელთაც მორალურ-მართებულ ურთიერთობების დარღვევა შეუძლია. მაგრამ ქცევის აქტიდან გამომდინარე შეფასება არ შეიძლება უშუალოდ პიროვნებაზე გავავრცელოთ, ვინაიდან საქციელის შეფასება სულ სხვა სულიერ სიბრტყეს განეკუთვნება, მორალური შეფასება კი, მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით, სულ სხვას. ის, რაც ჩვეულებრივად ზნეობრივ წესად მიაჩნიათ ხოლმე, კაცმა რომ აქვას, მორალის ნორმა კი არა, მართლშეგნების ნორმაა. მართლშეგნება

ჩვენგან მოითხოვს ადამიანური ცხოვრების, სხვა პიროვნებისა და მისი ინტერესების პატივისცემას. ის გვიკრძალავს მოვკლათ, შეურაცხყოთ, ვიძალადოთ, მოვიტყუოთ და ა.შ. ეს ნორმალური ურთიერთობის დამარღვეველი მოქმედებები გაკიცხული და დაგმობილია, მაგრამ აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს, რომ დამნაშავე მორალურადაც უნდა გავახამართლოთ. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ქცევის საფუძველზე მორალური განაჩენის გამოტანის უფლება მოგვენიჭოს, ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი ფარული მიზნები და ინტელექტუალური მოტივები უნდა ვიცოდეთ: "საჭიროა ჩადენილი საქციელის შინაგანი მნიშვნელობა ამ მიზნებსა და მოტივებში გამოვიცნოთ და ისე შევაფასოთ. აქ საგანგებო, დღემდე უცნობი გულმოდგინებით უნდა მივდიოთ იმ ველ წესს *si duo faciunt idem, non est idem*!"; აქვე დიახაც რომ თავს შეგვახსენებს ქრეშარიტად ზნეობრივი მცნება: შაბათი კაცისათვისაა და არა კაცი შაბათისათვის. რაკი ქცევის განუცხადებელი წესი მართლშეგნების წესის გამოხატულებაა, მას არ ახასიათებს მორალური შეფასების ჩვეული უმცდარობა და აბსოლუტურობა. საბოლოო ანგარიშით, ცოცხალ პიროვნებას უოველგვარ სამართალზე მეტი ფასი აქვს და მორალური ტანჯვა-წამება და მსჯავრისდება გულისხმიერ და ჰუმანურ ზნეობრივ შეგნებას ვინძლო არანაკლებ უღმობელადაც მიაჩნდეს, ვიდრე მართლმსაჯულების განაჩენი და სასჯელი. ადამიანი შეიძლება თავის საქციელზე უკეთესიც და უარესიც იყოს. ვინც შეიგნო ადამიანური პიროვნების, როგორც ასეთის, სპეციფიკური და უმაღლესი ღირებულება, მისთვის სამართლებრივი მსჯელობის და მორალური შეფასების უნამსი, განუხჯელი ურთიერთადრევა უოვლად შეუწყუნარებელია და მართლშეგნების განუცხადებელი, საუოველთაოდ სავალდებულო მკაცრი მოთხოვნები, პიროვნებისადმი მორიდებულის, დამთმენი, დაკვირვებულის და მაინდივიდუალიზებული დამოკიდებულებითაა განულებული.

1. ორი კაცის ერთნაირი საქციელი, ერთნაირი საქციელი არ არის.



## ავთანდილ ვართაგავა

### ნიკოლაი რერიხი

(დაბადების 110 წლისთავის გამო)

**კ**აცი, საქმეს რომ აღასრულებს: ამა სოფლის უსასრულობას უნდა შეერტოს, -- წერდა ლაო-ძი თავის დროზე, ბრძენი ბრძენთა შორის, ვისაც ემოწაფებოდა, ვის დიდ რჩევასაც ყურად იღებდა და ვისგანაც სწავლობდა ჩვენი დროის უდიდესი მხატვარი, მწერალი, პოეტი, მკვლევარი-არქეოლოგი, ეთნოგრაფი და მსოფლიო მოგზაური ნიკოლაი კონსტანტინეს ძე რერიხი, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ განმარტებით -- რიორიხი.

და ეს ასეც მოხდა სინამდვილეში: შეერთო ამა სოფლის უსასრულობას ანუ ფერულად მიმოებნა კულუს ველსა თუ ჰიმალაის მთათა საუფლოს, სადაც აღესრულა იგი 1947 წლის 13 დეკემბერს და, თანახმად ინდური წესისა, კოცონზე დაიწვა „გვაში მონისა უფლისა“, ვისმა მარჯვენამაც, სხვა ფერწერულ ნამუშევრებზე რომ აღარაფერი ეთქვათ, მარტო კანჩენჯანღისა და ჰიმალაის სხვა მწვერვალებს ექვსასამდე ტილო მიუძღვნა...

რერიხი, მართალია, მთასელები არ ყოფილა, როდესაც ჰიმალაის მთების ჩრდილში იწეებდა ცხოვრებას, ლოცვად რომ დგებოდა მათ ფერხთა წინაშე, მაგრამ ის, როგორც „ყოველადბრძენი -- დაფარულს მიელტვოდა“. და მის საიდუმლოთა სიღრმეებში შესაღწევად ფუნჯი



და ფერი რომ აღარ შევლოდა, ჰიმალაის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს უყრიდა საფუძველს...

და მან შეიცნო ჰიმალაის მთათა საიდუმლო და ეს საიდუმლო ფერებად გააშთა თავის ტილოებზე.

იგი გრძნეულის თილისმით აღწევდა ყველგან, აღწევდა იქ, სადაც არცხუნოვან მთის სხეულის ფერფლი ებრაელთა ციურ მანანასავეთ არ გადაიფრქვა და სადაც მხოლოდ ჰიმალაის მთათა ცივი და გარინდებული მწვერვალები კი არა, „ჰიმალაის უდიდესი სული“, „მოძღვრის აჩრდილი“, სალამურზე დამკვრელი კრიშნა იხილა და სხვა შეუცნობ ძალებსაც ეზიარა...

მთა, როგორც ბუნების საოცარი ნიჭი, რერიხისათვის ყველაფერი იყო: სულიერა და უსულოც; მიუკარებელიცა და ახლობელიც; მზვანობარიცა და უბრალოც. მხატვარს ესმოდა მისი გულისცემის ხმა და აყურადებდა მის ჩურჩულს, რომელიც კრიშნას სალამურის ენით ექოვებოდ გადაეცემოდა მწვერვალებიდან მწვერვალებს, აქედან კი ცის უსაზღვროებას უერთდებოდა.

მთები სულს იდგამდნენ რერიხის ფუნჯის ძალით; მთები სუნთქავდნენ თავიანთი უზარმაზარი ფილტვებით...

ჯერ არასდროს, არც ერთი მხატვრის ხელში ასეთი რამ არ განუცდიათ მთებსა და კლდეებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აღმოსავლურ ზღაპრებს, სადაც სულწაღმგული კლდეები შორჩილად უსმენენ ციადმტკაველა აღიბაბას ბრძანებას. მაგრამ აქ, რერიხის უღურჯეს ფერთა სამყაროში, სადაც მარადიული თოვლისა და ყინულისაგან მთებიც კი ცახცახებენ, ყველაფერს სიმბოლური ძალა აქვს მინიჭებული...

მოკლედ, რერიხი მთების სახით გაადაშიანებულ სამყაროს ხატავს და ისე უდგამს სულს ყველაფერს, როგორც ბიბლიური ღმერთები მათ მიერ თიხისაგან გამოძერწილ პირველ ადამიანს.

თითქოს შიშაც კი გვეუფლება, ამ მკახე და ხაფი ხმით მოლაპარაკე კლდეებს რომ შეეყურებთ; თეთრ მიწვიმე და ლურჯად დაფერილი მთების ფონზე გუგა ჩობანის ქვის ცხენზე ამხედრებულ ქვისავე გარინდებულ სახეს რომ ვხედავთ ან კლდის წილიდან მოძღვრის აჩრდილის ამოტივტივება-ამობრძანებას თუ მისივე ფიქრად განფენის მოწმე რომ ვხდებით...

მაგრამ რერიხის ტილოებზე მთები ზოგჯერ უკან იხევენ ხოლმე, მთებს სიმორც აპატარავებთ, ჰაეროვანი პერსპექტივა აფერმკრთალებს მათ, მთები დაბლდებიან ლეგენდარული გმირის გესერ-ხანის ცხენის ტორებქვეშ, მთები იკარგებიან... ასეა ერთ-ერთ ნახატზე, მეორეზე, მესამეზე — „ტიბეტის საზღვარი, ნანიშანი“ რომ ჰქვია სახელად, მაგრამ სხვა დანარჩენ — მეასე, მეორასე, მეოთხასე თუ მეექვსასე ნახატზე — მათი უმაღლესობა — მთები ისევ ხელშეუვალ, ცათა საუფლოს ბინადრებად, მარადიულობა, სიმაღლის, მზვანობობისა და განდგომილების სიმბოლოებად გვევლინებიან.

რერიხი უკვე აღარ აპატარავებს მათ, აღარ უტოლებს სიმაღლით ზალახს, მიწასა და ქვეწარმავალთ, ცხენთა ნაფლოქვარებსა და აქლემთა ნაჩლიქარებს. მთებს მხოლოდ იქ აქონდრისკაცებს, სადაც ამას მხატვრული გამოსახვის აუცილებლობა მოითხოვს, სადაც მათ ფონზე ლეგენდარულ გმირთა განდიდება ესაჭიროება, სადაც სხვა გზა არ არის.

სხვაგან კი ეს ფეხადგმული მთები ზედ ნახატის ჩარჩოვებთან არიან მომდგარნი, თითქოს აქეთ გადმოსვლას ესწრაფვიან, თითქოს ტილოებსა და ჩარჩოებს იქით სული ეხუთებათ.

მოსულან იანი და თან მოუტანიან ღრუბლების სვედა, გარინდება და ყინულის სუსხი; თოვლი ზედ ჩვენ თვალწინ დაუფერთხიან, ზოგს ლურჯი კალოები აუკეცია და ჰაერში გასაფრენად გამზადებულა. ბევრი აფრენილა კიდეც და ამის გამო თავწაკვეთილები დგანან ჩარჩოებს მიღმა...

და რომ ნაკლებად ვგრძნობდეთ ამ მთების სიცივეს, კრიშნა რომ არ გრძნობდეს სალამურით ხელში, რერიხი ზოგიერთი ნახატის ყველაზე წინა მონაკვეთს ყვავილუნულებითა და ბილახებით აფერადებს და ამ სურნელოვან ტანტრევაზე ფეხმორთბული ინდური ღმერთკაცი სალამურის ხმებით აღავსებს ყინულოვანი მთების ნაპრალებს და ძერე თაყად უსმენს ნაპრალებიდან შორს გაფრენილ სვედის ექოებს.

ამ ფონზე გაფრენილა კრიშნას ორეულიც. აქედან იზრდება იგი კანჩენჯანგას უმაღლეს მწვერვალამდე ანუ აღწევს მოქშიას, მერე კი კოსმიურ ეკრანზე იწყებს ელვარებას.

მაგრამ როგორ ხატავდნენ კრიშნას მე-18 საუკუნის ინდური მინიატურების დიდოსტატები? რატომ არ ხედავდნენ რერიხისვით განდგომილ ღმერთკაცს ან რატომ უმორჩილებდნენ მის

ღვთაებრივ ძალას მშვენიერი ქალწულის—რადას ზეაღმართულ არგანს?..

1924 წელს, როდესაც რერიხმა „პიმალი. კანჩენჯანდა“ დახატა, მან მხოლოდ გონების სხივით შეხედა მისი უმაღლესობის უმაღლეს მწვერვალს ანუ კრძალვით მივიდა მოქშამდე, მაგრამ სამოციან წლებში შერპმა თენსინგ ნორგეიმ, ინგლისელ პოლკოვნიკთან ერთად რომ მიადწია ასბოლუტურს ანუ ეზიარა მოქშას, ხოლო შემდეგ იაპონელმა მთარგმნელმა ქალმა მარტოდმარტო იგემა მოქშას იგივე ზიარება, საუფლოს ბქე უკვე გადაიღობა ადამის ძეთა მიერ და საიდუმლოს ერთი ცხრაკლიტულიც გაიხსნა.

რერიხთან კანჩენჯანდას მწვერვალი დამორჩილებულიც არის და დაუმორჩილებელიც. ტყვიასავით მძიმე ღრუბლები მისი სითეთრისა და განდგომილების უმაღლესობა თავის მეუფებას კი არ ზეიმობს, თითქოს სიმარტოვეში თვლემს, სიმარტოვის სენი შეყრია, სენი მიუკარებლობისა და მზვამბრობისა. ფესვებით მიწას ჩაბლაუჭებული, თეთრი ფრთებით ღმერთების საუფლოში დასრიალებს. ისეთი ფრთები აქვს, როგორც „გმირობის მახვილში“ რერიხის მშვენიერ თეთრ ანგელოზს, ციდან საფხიზლედ დაშვებულს და ლეთარგიულ ძილთან საბრძოლველად გამზადებულს...

მაგრამ შორსაც ნუ წავაღო, თორემ რერიხის მთებზე საუბრისათვის ექვსასი მოთბრობა, ამდენივე ლექსი და ნოველა. და შესაძლოა რომანიც კი დაგვიჩრდეს, რამეთუ მისი ერთი ტილო ერთ სრულყოფილ ლექსსა თუ მოთბრობას წარმოადგენს, ერთ დიდ მუსიკასა და ფერთა ჰარმონიას. ამისათვის კი არც ძალა გვეყოფოდა და არც დრო, მხოლოდ შეუძლებელია არ ვახსენოთ მისი ერთი ნახატი — „სამყაროს დედაბოძი“ — ანუ ცისა და მთების ლურჯ ფონზე მარტოდ წარმოჩენილი ქალი, იგივე დედა, — მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების სიმბოლო. ღრმად ჩაფიქრებული და თითქოს წმინდა ნინოს სამოსელში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, მთებივით გარინდებული და მიწას ჩამტვრებული ანუ საკუთარ გულსა და სულში ჩაბუდებული, დედობის ჯვარზე გაკრული, ჯვრისა მტვირთველი, მტვირთველი სიცოცხლისა...

თითქოს საამისო საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ რერიხს აქაც მთების ცდუნებამ და თილისმამ სძლია, აქაც მათ მოუხმო აქაც ისინი მოიშველია და მათი ძლიერებისა და სილურჯის ფონზე 1937 წელს შექმნა სამყაროს დედის წმინდა ხატი.

ეს არის მთების სიმაღლისა და სილამაზის, განდგომილებისა და მზვამბრობის ამომთავრება-დაგვირგვინება. მაგრამ ამ ნამუშევარს წინ უძღოდა ჯერ კიდევ 1924 წელს შექმნილი ნახატი — „სამყაროს დედა“ — ორმაგ შარავანდედში მოქცეული ქალი და უსაზღვროების ტახტრევანზე დაბრძანებული დედა. ეს არის პოზა, კომპოზიციის — „ქრისტე დიდებაში“ რომ მოგვაგონებს. ნახატის დიდ სილურჯეში სამყარო მოწესრიგებულიც ჩანს და მოუწყვრიგებელიც.

სილურჯე და ისევ სილურჯე. სილურჯის უსასრულობა და სამეფო... პირობითად ცივ ფერს მიკუთვნებული ეს ფერი ბატონობს რერიხის ტილოებზე. იგი იღუმალეების ბურუსში ახვევს თითოეულ ნამუშევარს, მაგრამ ამასთანავე სიცივის სუსხით ადავსებს მათ. მხატვრის ზოგიერთ ტილოზე მათაა კალოები პირველყოფილი ანუ შეუზავებელი მუქი ლურჯის — ულტრამარინის ფერით არის მიღწეული.

აქ შეიძლება ვიგრძნოთ ვაჟა ფშაველასა და რერიხის შემოქმედების ერთგვარი სიახლოვე, მათი ნიჭისა და გონების ნათელმხილველობა. ერთიცა და მეორეც ისულდგმულებს უსულო საგნებს და აადამიანებს მათ, ორთავე მთას ეტრფის.

იქნებ ეს სიახლოვე იყო იმის საწინდარი, რომ ჯერ კიდევ სტუდენტმა მხატვარმა ბელი მოჰკიდა ვაჟას პოემის „ეთერის“ მხატვრულ ხორცშესხმას.

ამ საკითხს მიეძღვნა ჟურნალისტ რ. დავიდოვის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1984 წლის 27 დეკემბერს. აქ მოყვანილია ერთი მეტად საინტერესო ცნობა — მიკვლეული ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის 26 თებერვლას (№ 10) ნომერში, სადაც ვკითხულობთ: „სულ ბოლოს დადგმულ იქნენ ცოცხალი სურათები ჩვენი ნიჭიერი პოეტის ვაჟა ფშაველას პოემიდან „ეთერი“. სურათები დახატეს აკადემიკოსმა მ. მიკეშინმა და სტუდენტმა რერიხმა“. (წერილი: „ქართული საღამო პეტერბურგში“).

ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს სიტყვებში „სურათები დახატეს“, — პოემის ილუსტრაციები თუ მისი დეკორაციული გაფორმება. მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ნაწარმოებმა, რომელიც დიდმა ვაჟამ 1890 წელს შექმნა და რამდენიმე წლის შემდეგ უკვე პეტერბურგში პიესად იქნა წარმოდგენილი, იმთავითვე მიიპყრო ახალგაზრდა რერიხის ყურადღება, მიიპყრო თავისი ზღაპრული, ტრაგიკული სიუჟეტით, მაღალ, დიდ და

უკნობ სიყვარულს რომ ეფუძნება, ობოლი, პირმშვენიერი მწყემსი ქალიშვილის ეთერისა და მეფისწულ გოდერძის პირველი, მოულოდნელი შეხვედრა, გოდერძის „ბედითი ბნედად“ ქცეული სიყვარული და მათი მეუღლეობის საშუალო დასასრული და საერთოდ პოემის ზღაპრული ქარგა, ისეთივე მიმზიდველი გამხდარა რერიხისათვის, როგორც უძველეს სლავთა ზღაპრები და ლეგენდები; როგორც ა. პ. ბოროდინის ოპერა „თავადე იგორი“, რომსკი-კორსაკოვის ისტორიული კომპოზიციები და უამრავი სხვა, რომელთაც ასურათებდა იგი და ფერებით ხორცს ასხამდა.

თითქოს წარსულის სრულ იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე; თითქოს მხატვარი მთელი არსებით წარსულს ეკუთვნის, ცდილობს, უფრო ღრმად შეიჭრას წარსულის წიაღში, თვით დედიშობილად მოსიარულე ქვის ხანის ადამიანებამდე.

აქედან მოყოლებული, ღმერთების ჩათვლითაც კი, ხატავს იგი ათასწლეულთა სიძველისაგან დავიწყებულ ისტორიებს, ხატავს ეველაფერს, თავისი დროის გარდა.

ჩვენს ხელთ არის გამომცემლობა «Свободное искусство»-ს მიერ პეტროგრადში 1916 წელს გამოქვეყნებული დიდი ალბომი, სადაც წარმოდგენილია რერიხის მთელი სულიერი შემოქმედრობა: ნახატების ფერადი და შავ-თეთრი რეპროდუქციები, აგრეთვე ლეგენდები, ლექსები და პოემა. აქვეა ცნობილი მხატვრის ბ. მ. კუსტოდინევის ხელით შესრულებული რერიხის პორტრეტიც. ეს ის მხატვარი გახლავთ, ვისაც ეკუთვნის თ. შალიაპინის ერთ-ერთი საუკეთესო ფერწერული ტილო.

ამ ზღვა მასალასთან ერთად ალბომში წარმოდგენილია გამოჩენილი მხატვრის ა. ნ. ბენუას, აგრეთვე ი. კ. ბალტრუშაიტისის, ა. ი. გიდონის, ა. მ. რემიზოვასა და ს. პ. იარემიჩის წერილები. ეს ავტორები პირადად იცნობდნენ რერიხს და მოწმენი იყვნენ მისი მხატვრული ზრდისა და დაოსტატებისა, მოსწონდათ მხატვრის პალიტრა ან ედავებოდნენ კიდევ წარსულის იდეალიზაციის საკითხებში.

ამდენად, ინტერესმოკლებული არ იქნება, მოკლედ მოვიშველიოთ მათი აზრები რერიხის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ, რამეთუ მხატვარი თავად უნდა ყოფილიყო ხსენებული ავტორთა წერილების პირველი მკითხველი ჭერ კიდევ ხელნაწერშივე. როგორც ჩანს, რერიხი იზიარებდა, ყოველ შემთხვევაში, ხელი როდის შეუშლია მათი გამოქვეყნებისათვის.

ცნობილია ის მწვავე ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ნ. რერიხსა და ა. ბენუას შორის ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: 1899 წლიდან, თითქმის ექვსი წლის განმავლობაში, გამოდიოდა ეურნალი «Мир искусства», რომლის დაარსების ინიციატორები იყვნენ ა. ბენუა და ს. დიაგილევი. ისინი გაბედულად გამოდიოდნენ ხელოვნებაში აკადემიზმისა და პერედვიჟნიკების წინააღმდეგ, მოითხოვდნენ მხატვრობაში სიახლის ძიებას, დროის შესაფერ აზროვნებას, ფერებსა და ხაზებს. ბენუასა და დიაგილევს მხარს უჭერდნენ ლანსერე, სომოვი და სხვა მხატვრები. თავის მხრივ პერედვიჟნიკებიც არ უთმობდნენ მათ ბრძოლა დაუნდობელი იყო.

მებრძოლთა პირველ ბანაკს განეკუთვნებოდა რერიხიც. — ლ. ტოლსტოისა და აღმოსავლური ფილოსოფიის იდეებზე აღზრდილი მხატვარი, — ვისთვისაც მიუღებელი იყო ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა და ადამიანისათვის სიხარულისა და სილამაზის მინიჭებას ხელოვნების გზით ცდილობდა. მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ რერიხი ისეთ მხატვარს ვერსად ხედავდა, სიკეთესა და სილამაზეს რომ შეასხამდა ხორცს.

თუ იგი ადრე პერედვიჟნიკებს თანაუგრძნობდა, შემდეგში „Мир искусства“-ს დაჯგუფებას მიემხრო და მონაწილეობდა კიდევ მათ გამოუჩენებში. მაგრამ რერიხი უარყოფითად იყო განწყობილი ბენუასა და სომოვის შემოქმედების მიმართ მათი „დასავლურობის“ გამო. თავის მხრივ ეს „ვერსალის რაფსოდებიც“ არ იზიარებდნენ რერიხის ლტოლვას შორეული წარსულისა და „ველურ წინაპართა“ მიმართ. რთული ვითარება მაშინაც კი გაგრძელდა, როცა 1910 წელს რერიხი „Мир искусства“-ს თავმჯდომარედ იქნა არჩეული. ეურნალი ისევ განახლდა ხუთი წლის შესვენების შემდეგ...

ეს საკმაოდ ვრცელი ისტორია იმისათვის გავიხსენეთ, რათა უკეთ გავიგოთ გამოჩენილი მხატვრის ა. ბენუას წერილში — „რერიხის გზა“ — გამოთქმული აზრის სირთულე.

ა. ბენუა წერს: — რერიხი მთლად ახლო არ არის ჩემთან სხვადასხვა მიზეზთა გამო. ჩვენ ხომ ორ სხვადასხვა რასას ვეკუთვნი. მე თათქმის წმინდა ლათინი — სამხრეთელი ვარ, ის, თუ არ ვცდები, წმინდა ჩრდილოელი-სკანდინავიელია. მე კვიპაროსები და ზღვის ლურჯა ციმციმი მიზიდავს, მას — უსახლვრო სტეპები, ყინულის ბორცვები, მომთაბარის თურთი... მე ყველაფერი განსაზღვრული და შემოხაზული მიყვარს, მას — ქაოსი. მისი დახატული ქო-

ბეჭდის თითქოს თიხისგანაა ნაძერწი.

მოკლედ, ჩვენს შორის დიდი სხვაობა გახლავთ.

თავდაპირველად არ ვიცნობდით ერთმანეთს, ასე გასინჯეთ, გვეშინოდა კიდევ ერთმანეთისა, როგორც მოსისხლე და „რელიგიურ“ მტრებს. ახლა თითქმის ვვერდიგვერდ მივდრეკართ და შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ ერთმანეთს. თავმოშორე ხასიათის გამსჭრამსთან წაჭული ახლობლობა შეუძლებელია... მე არ ვიცი, რა აზრისაა ის ჩემზე, მაგრამ მისი უმსხვილესი ახლობელი ვახდა როგორც მხატვარი: ახლა უკვე მესმის მისი, ადრე კი მიჭირდა მისი შემოქმედების გაზიარება...

ახლა ის კუინჯისტი და კორმონისტი კი არა, აკადემიური მხატვარია; წერს „გემრიელ“ პეიზაჟებს წინაპართა ფიგურებით, რასაც მნიშვნელობა აქვს ოფიციალური პოპულარული მეცნიერებისა და „ისტორიულ მუზეუმთა“ კედლებისათვის. იგი დიდად შთაგონებული მხატვარია...

„კუინჯისტი“ და „კორმონისტი“ ა. ბენუას ორი მოსაზრებით აქვს ნახმარი: საქმე იმაშია, რომ 1895 წელს, სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა რერიხი მოეწყო ცნობილი დიდოსტატის ა. კუინჯის სახელოსნოში, სადაც უზიარა, ბუნების საიდუმლოებათა შეცნობის ხელოვნებას, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ჩავიდა პარიზს და ო. კორმონის სტუდიაში სრულყო თავისი ხელოვნება. ამასთან, როგორც ჩანს, განიცადა ამ ორი მხატვრის ერთგვარი გავლენაც.

როდესაც ვათვალიერებთ ჯერ კიდევ რერიხის ახალგაზრდობაში გამოცემულ ერთ-ერთ დიდსა და ძველ ალბომს, რომელშიაც ა. კუინჯის „უკრაინული ღამე“, ი. ლევიტანის „სამარადისო გინსასვენებელთან“, რერიხის „მაცნე“ და სხვა ოსტატთა ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებია გამოქვეყნებული, ამჟამად იგრძნობა, რომ რერიხი ჯერ კიდევ ძიების პროცესში იყო და ამ ძიებამ აპოვნინა კიდევ ის გზა, რომელსაც მისი შემოქმედება ეწოდება — განუმეორებელი და წარმართული, ზღაპრული და მითოლოგიური სამყარო.

აჲ, სწორედ ეს ჰქონდა ა. ბენუას მხედველობაში, როდესაც რერიხის შემოქმედებას ა. კუინჯისა და ო. კორმონის სახელებს უპირისპირებდა...

ახლა კი მოვუსმინოთ ი. კ. ბალტრუშაიტიშის, ვინაც თავად იყო ახალ გარდაქმნათა მოწმე გასული საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. ავტორის განმარტებით, რერიხის შემოქმედება იმ დროს დაემთხვა, როცა ადამიანის სული ღრმა მღვლვარებით იყო გაოცდებული და, როგორც ხალხთა სულის გამოცდილება, სრულ გარდაქმნას მოითხოვდა.

ეს დრტივინვა ძირითადად ხელოვნების ყველა სფეროს შეეხო და მან გამოსახვის სიახლე და სრულყოფილება მოითხოვა.

სწორედ ამ მდგომარეობამ შეუქმნა ერთგვარი სირთულეები ახალგაზრდა რერიხს და განა მართო მას... საბედნიეროდ, ბევრი მათგანი გამარჯვებული გამოვიდა ამ ორთაბრძოლიდან: ერთბედი, ბენუა, რერიხი და კიდევ მრავალი სხვა.

— რერიხის შემოქმედებაში ბუნება გასულდგმულებულია — ამბობს ზემოთხსენებულ წიგნში ს. იარემიჩი.

ა. რემინოვა რერიხის ცალკეული ნახატების მიხედვით: „ქალაქს აშენებენ“, „თვალბედითობა ანუ ავის მაუწყებლობა“, „განწირული ქალაქი“, „ადამიანური საქმე“, „ანგელოზთა განძი“, „წმ. პროკოფი“ და სხვა, ქმნის პატარ-პატარა მოთხრობებს, რაღაცით ლირიკულ ჩანახატებს რომ ემსგავსებიან. ამ ჩანახატებმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს სალომეა ნერისის ლექსები, რომლებიც მიძღვნილია დიდი კომპოზიტორისა და მხატვრის ჩურლიონისისადმი.

სიტყვამ მოიტანა და უადგილო არ იქნება, ვახსენოთ ის თავისებური განწყობა და შემოქმედებითი ლტოლვა წარსულისადმი, რერიხისა და ჩურლიონისის შემოქმედებას რომ ანათესავებს.

თუ რერიხმა ქვის ხანის პირველყოფილ ადამიანებამდე შეძლო მისვლა, ჩურლიონისმა სამყაროს ჩასახვიდან დაიწყო თავისი მხატვრობა და როგორც ბიბლიითა და კოსმოლოგიით შთაგონებულმა დემიურგმა ფერებით შექმნა ფილოსოფიური და მითოლოგიური წარმოდგენები.

თითქოს რერიხის მისამართით წერდა ცნობილი კუბელი, მაგრამ შემდეგში გაფრანგებული პოეტი ხოზე-მარია დე პერედეა თავისი 118 სონეტის ერთ-ერთ სტროფში (ნადავლი), რომელსაც „მხატვარი“ ჰქვია: „იგრძნო მხატვრმა ძველი ტომი და მისი დარდი... სადაც ვარდისფერ შორეთს ბურავს ნისლი ნიჟაგ...“

რერიხის მსგავსად, პერედეასაც, როგორც პოეტსა და ამასთანავე ისტორიკოსს, არც ერთი ლექსი არ მიუძღვნია თავისი დროისათვის, მხოლოდ შორეული წარსულით სუნთქავდა: „პერაკლე და კენტავრები“, „არტემიდა და ნიმფები“, „ანტონიო და კლეოპატრა“...

და ეს ყველაფერი, პერედეას მთარგმნელის, მიქელ პატარიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, უთანასწორო ბრძოლაში გამოსტაცა დავიწყებას...

„პერედეა წარსულის სივრცეს გადაჰყურებს ხარბი თვალით და სურს დაეწივებინა გამოსტაცოს გმირები, კულტურები, ისტორიული მოვლენები, ყველაფერი ის, რასაც მწველი ადამიანთა წარსული...“

თუ ზღვის სივრცით გატაცებული მისი წინაპრები ზომალდებით სერავდნენ ზღვას და ასე აღმოაჩინეს ამერიკა, „მეცხრამეტე საუკუნის დამლევეს მათი შთამომავალი იწყებს მოგზაურობას პოეზიის ზომალდით წარსულის სივრცეებზე, პოეტური ხილვისა და ოსტატობის საშუალებით ის აცოცხლებს წარსულის ამაღელვებელ სურათებს... პერედეა, ვით ზღაპრული პერსეი, ებრძვის ამ დავიწყების გორგონებს... და პატარა ლექსის საშუალებით კვლავ აცოცხლებს მათ“; შემოქმედების იშვიათ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. პირდაპირ რერიხზედაც ზედგამოჭრილი სიტყვებია.

ასეა თურმე: ყოვლადბრძენი ეძიებს დაფარულს, კვლავ გვასწავლის ბრძენი ლაო-ჭი.

ჩვენს უძველეს წარსულზე, — წერს რერიხის ძველ ალბომში მხატვრის თანამედროვე და მისი შემოქმედებითი გზის თვითმხილველი, ალ. გიღონი, — და იმ დროის სილამაზის შესახებ, როგორც ჩვენი დღევანდელი შთაგონების წყაროზე, არავინ ფიქრობდა. მაგრამ თუ ვინმე რაიმეს ამბობდა, მისი სიტყვა ყალბი იყო. ნახატებსა და ლექსებში ძველი დროის ნაცვლად, ბუტაფორია ჩანდა. ბატონობდა ერთგვარი შეხედულება, რომ უძველეს რუსეთს თავისი სილამაზე არ შეუქმნია; იყო რაღაც ჩანასახი და ისიც თათართა ბატონობამ მოსპო ადრევე, ხოლო შემდეგ ეს სილამაზე დასავლეთიდან მოვიდა, რომლის შესახებ ჩვენ ვისწავლეთ პეტრე I დროს და კვლავაც უნდა ვისწავლოთ იგი.

მხატვრები ძირითადად ნაბეჭდი მასალებიდან იღებდნენ სულიერ საკვებს და ამ საკვებით ავადდებოდნენ ისინი, უწოდებდნენ მათ მხატვრებს, მაგრამ ამასთანავე მათი ოსტატობის ძირითადი ამოცანა, რაიც ესოდენ გვახარებს ჩვენ — სურათი, სინათლე, ფერი, ხაზები, — დიდხანია დავიწყებული იყო.

ახლა ყველაფერი შეიცვალა: „მოცლილი და უსაქმური მოყვარულები წარსული დროისა“ კოდაკებით პროვინციებში იღებენ სურათებს და მერე რედაქციებში აგზავნიან წერილებს „ვანდალიზმის“ შესახებ.

წარსული დროის სილამაზე მთელი თავისი სიმართლით ცოცხლობს და განუყრელად ერწყმის ჩვენს თანამედროვეობას.

რერიხის სიყვარული ქვის საუკუნისადმი ყრმობის ასაკშივე ჩაისახა და ლტოლვა ხელოვნებისა და წარსული დროის სილამაზის მიმართ თანდათან გააღრმავა მან. ნიჩბით აღჭურვილი კითხულობდა რერიხი მიწის ისტორიას და მიწის ბელტებში უძველეს სილამაზეს — ფენიქსს ჰვრეტდა...

ასე მიდიოდა იგი ისტორიის სიღრმეებში არა სხვისი წიგნებით, არამედ საკუთარი გათხრებით, ცოდნითა და აღმოჩენებით...

საკმარისია თვალი შევავლოთ რერიხის ნამუშევრებს, რომ მაშინვე დავრწმუნდეთ იმაში, თუ როგორ სუნთქავენ მისი ფილტვები წარსულით და როგორ იღვიძებს დავიწყების ფერფლიდან ფენიქსი.

აი, ასე, გუდიაშვილის სერაფიტასავით საფლავებიდან, სარკოფაგებიდან, ყორღანებიდან თუ მდინარეთა შლამიდან ამოდიან შორეული წინაპრები. მათი სული ხორცს ისხამს და ახლა, მარადიული ძილის ნაცვლად, მარადიულ სიცოცხლეს იწყებენ რერიხის ათასობით ტილოებზე: ტემპერის, ზეთისა თუ სინთეტიკური ფერებით.

ამ ტილოებზე აღიბეჭდა მათი დიდი ცხოვრების ერთი, სამარადისოდ შეჩერებული და გაქვავებული წამი, როგორც ასიათასწლოვან ქვაში — ბენეტიტელა ქაფურის ხის ფოთლები და ნიჟარები.

ასე აცოცხლებდა რერიხი ვიკინგებსა თუ ილია მურომეცს, ხმელეთზე ნავების მთრეველ ზღვაოსნებს, წინასწარმეტყველებს, კერპთაყვანისმცემელს, უძველეს ციხე-ქალაქთა მშენებლებს; ხატავდა გესერ-ხანის საფლავის მახვილს და ათი წლის შემდეგ იმავე მახვილის ქარ-

ქაშიდან, როგორც ზღვის ქაფიდან ანდრომედა, ამოდითდა უკვე ხორცშენახული, ცხენზე ამხედრებული და მოისარი გესერ-ხანი მონღოლეთის მითოლოგიური გმირი

ჩინგიზ-ხანისადმი მიძღვნილ პოემაში „ბელადის“ სახელწოდებით რომ არის დასათარგმნებული რერიხის მიერ, ჩინგიზ-ხანის დედაც იხსენიება, მაგრამ ამ ქალწულსა და გაქვავებულ ბედაურზე მჭდომს, უკვე რერიხის ნახატზეც ვხედავთ.

მხატვრის ყველა ფიგურა ჩაძირულია საკუთარი სულის ფსკერზე, გამოხვეულია საკუთარი გულის ბუდეში: ტიბეტელი ლამა, სამყაროს დედა, ჰიმალაის უდიდესი სული, სამყაროს დედაბოძი; ტიბეტური სახლები, აღმოსავლური საფლავები და მთებიც კი თავიანთი სიმარტოვითა და უმოძრაობით გვაოცებენ. თითქოს ქვის ცხენზე ამხედრებული გუგა ჩოხანის ქვის თვლები აშუქებენ ამ საყოველთაო უმოძრაობას და ეს გამონაშუქი წვდება რერიხის მთელ სამყაროს.

აი, საფლავზე დასადგმელი ქვის ცხენი, რომელიც ძველმა სპარსელებმა შექმნეს ოდესღაც და მერე აქედან გავრცელდა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. სპარსული ნიჭის შორეული ანარეკლი რერიხს მონღოლეთშიც დახვდა და ამ ანარეკლს მან ახალი სხივი შემატა თავისი ერთ-ერთი აღიარებული ნახატის გუგა ჩოხანის სახით.

რერიხის სამყარო საუკუნეთა სიღრმიდან მოედინება და ეს სამყარო თითქოს ისევ უკან დაბრუნებას მოითხოვს, მაგრამ მხატვრის ნიჭი და ფერი აკავებს მათ სააქაო ცხოვრებისა და შშვენიერების ბჭესთან.

„მისტერიის დაბადებასა“ და „ცის ბრძანებაში“ რერიხის სული სულ სწავგვარად ბობოქრობს. ორანჯის ზუჭუჭა ღრუბლები გოგირდოვან ხანძარად მოდებია ზეციურ სამყაროს. თითქოს მილიონი ვულკანის ყელი ერთად აფრქვევს ცეცხლოვან ღრუბლებს; თითქოს ადამის დღიდან ანთებული ყველა ხანძარი ერთ მორგვად შეერთებულა.

და ასეთი სტიქია ზეციურ ბრძანებას უგზავნის დელამიწაზე მალღით ხელაპყრობილ ადამიანებს. რამდენი ყური უნდა გააჩნდეთ მათ, კოსმიური შიშითა და საიდუმლოებით მოცული ბრძანება რომ ისმინონ! რაოდენ ძლიერი ნებისყოფა უნდა გააჩნდეთ მათ, ამ ციურ ბრძანებასა და მისტიურ ხილვებს გაუძლონ!

„მისტერიის დაბადებაში“, სადაც თითქმის კლდეებიც კი ღრუბლებივით დიფრინავენ სამყაროს ორანჯისფერ ქაოსში, სადაც პირშშვენიერი ქალწულები საღამურის ხმითა და ქალური აღტაცებით ეგებებიან მისტერიის დაბადებას, სადაც უმოძრაობა ერთი წუთითაც კი წარმოუდგენელია, ჩვენ მაინც გაყინულ მოძრაობას შევიგრძნობთ.

თავისი ფიგურებისათვის დამახასიათებელი უმოძრაობა რერიხს გადატანილი აქვს ტალაშკინის სულიწმიდის ეკლესიის ფრესკებშიც, რომელთა შექმნაზე მხატვარი მუშაობდა 1914 წელს და მათ ფონზე სამახსოვრო სურათი აქვს გადაღებული თავის ორ პატარა ვაჟიშვილთან და სამ დამხმარე მამაკაცთან ერთად.

მაგრამ რერიხთან ეს უმოძრაობა სხვა თვისებითა და აუცილებლობით არის ნაკარნახევი: საუკუნეთა სიღრმიდან გამოხმობილი ფიგურები ფერთა უმოძრაობაში უკვდავეუყვია მხატვარს, რათა კვლავ არ წარიტაცოს ისინი უკან ისტორიის მიქცევა-მოქცევაში. მათ სულში ათასწლეულთა სევდა და ტკივილები დულს და გადმოდულს, როგორც ვულკანის კრატერიდან ლავა და ცეცხლის ნიაღვარი.

ამაშია რერიხის შემოქმედების სიდიადე, ამაშია მისი ფუნჯის უკვდავება...

დადაისტებს ეკუთვნით სიტყვები, რომ მისი სამყოფი, მათი სამშობლო — მსოფლიოა...

ეს სიტყვები თავისუფლად შეეძლო ეთქვა რერიხსაც, ვინაც ცხოვრების ორმოცდობრივი წელი რუსეთში გაატარა, ერთი — პარიზში, სამი — აშშ-ში და ოცი — ინდოეთში, რომ აღარაფერი ეთქვათ მის ხანმოკლე ცხოვრებაზე ევროპის ქვეყნებშიც. ამ მდგომარეობამ მისი შვიდი ათასამდე ნახატი მოაქცია მსოფლიოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში, მათ შორის: ლენინგრადში, მოსკოვში, რიგაში, გორკში, ნოვოსიბირსკში, ნიუ-იორკში, პარიზში, ლონდონში, ბრიუგში, სტოკჰოლმში, ჰელსინკში, ბუენოს-აირესში, ბენარესში, ალაჰაბადში, ბომბეისა და სხვა ქალაქებში.

ოცდაშვიდი წიგნის ავტორმა, რომელთაგან უმეტესობა უცხოეთშია გამოქვეყნებული იმთავითვე დაადასტურა თავისი ნიჭის მრავალმხრივობა — ნიჭი ისტორიკოსის, არქეოლოგის, ეთნოგრაფის, მწერლისა და პოეტისა.

მისი წერილების ერთი ნაწილი მიეძღვნა პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოის, შალიაპინის, მუსორგსკის, პავლოვის, პრეველსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიისა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიღე-

ბულმა ცოდნამ გაუფართოვა მას შემოქმედებითი პორიზონტები. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კითხულობს არქეოლოგიის კურსს და დამოუკიდებლად აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს, რის საიდუმლოებასაც ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში ეზიარა ცნობილი არქეოლოგის ლ. ივანოვსკის მიერ ყორღანების გათხრის დროს. მოპოვებულმა მასალებმა გაამდიდრეს არა მარტო რუსეთის ისტორია, არამედ თვით რერიხის სულიერი სამყაროც, რომელსაც არ ასვენებდა ფიქრი შორეული წარსულის საიდუმლოებებზე.

მაგრამ, როგორც რერიხის ერთ-ერთი ბიოგრაფი და მისი შემოქმედების შეფასებელი ვალენტინა კნიაზევა წერს, რერიხი მონურად როდი იხატავდა არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ ნივთებს: იგი პოეტურ ფანტაზიას უპირისპირებდა მათ და ამასთანავე ღრმად სწავლობდა წარსულს და ყველაფერ იმას, რასაც თავის ნახატებზე გამოსახავდა ხოლმე. მაგალითად ცნობილი ნახატი „მაცნე“ მან მხატვარ ვ. სტასოვისაგან რჩევა-დარიგების შემდეგ შექმნა. ეს ის სტასოვი გახლავთ, ვინაც ახალგაზრდა მხატვარს უძველესი კერპების ფიგურები უჩვენა და ერთი მათგანი საჩუქრადაც კი უბოძა. ამან სათავე დაუდო კერპებისადმი მიძღვნილ ნახატების სერიას, რომელიც ჯერ კიდევ ესკიზებშივე ახარებდა თავად რერიხს. იგი უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ხელოვნების სამყაროში და სურდა საფუძვლიანად შეესწავლა სკანდინავიური, ინდური, მონღოლური და ჩინური ხელოვნება, რათა ამით შემოქმედების ახალი გზა ეპოვა.

1903-1904 წლებში მან მოვლო მშობლიური ქვეყნის მთელი რიგი ქალაქები და ამ მოგზაურობას წიგნთან ერთად, ორმოცდაათი ნაწარმოებიც მიუძღვნა, რომელთაგან სამოცდათხუთმეტი ნამუშევარი — რეპინის, ვრუბელისა და ბორისოვ-მუსატოვის ნახატებთან ერთად — გაიგზავნა ამერიკაში სენ-ლუის გამოფენაზე. კომერსანტ ე. გრინბალდის გადაწყვეტილებას, სხვა ქალაქებშიაც გადაეტანა ეს გამოფენა, საუბედუროდ, სავალალო შედეგი მოჰყვა: დროის გაკიანურების გამო მორიგი გამოფენა ვერ მოხერხდა და მთელი ნამუშევრები აუქციონზე გაიყიდა...

1910 წელს არქეოლოგ ე. გოლუბევთან ერთად რერიხი აღგენს ინდოეთის ექსპედიციის გეგმას და ემზადება აღმოსავლური ფილოსოფიის პირველწყაროთა შესასწავლად, რაც მან ოც-ოცდაათიან წლებში წარმატებით განახორციელა. რერიხმა ცოლ-შვილთან ერთად ორჯერ გადაკვეთა ცენტრალური აზია ინდოეთიდან ციმბირამდე, განვლო ქაშმირი, ჰიმალაი, ყარაყუმი, მონღოლეთი, ტიბეტი და სხვა ადგილები. ინდოეთშივე იცხოვრა სიკვდილამდე; იქვე დაარსა ჰიმალაის კვლევითი ინსტიტუტი „ურუსვატი“ და იქვე აღესრულა კიდევც.

უფრო ადრე, ოციან წლებში, ჩიკაგოში შექმნა მხატვართა კავშირი „ანთებული გული“, ხოლო ნიუ-იორკში „გაერთიანებულ ხელოვნებათა ინსტიტუტი“ და „სამყაროს გვირგვინი“, როგორც საერთაშორისო სამხატვრო ცენტრი. 1923 წლის 17 ნოემბერს ნიუ-იორკში მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა თხოვნით შეიქმნა რერიხის მუზეუმი, სადაც მოთავსდა მხატვრის ნაჩუქარი სამას თხუთმეტი ნამუშევარი.

აუწონელია რერიხის ღვაწლი თეატრალური ხელოვნების დარგშიც. 1909 წელს პარიზში — შატლეს თეატრსა, ხოლო 1913 წელს ელისეის მინდვრების თეატრში გამართულმა „რუსულმა სეზონმა“, რომლის დროსაც წარმოდგენილ იქნა მუსორგსკის, გლინკას, რიმსკი-კორსაკოვის, ბოროდინის, ჩაიკოვსკისა და გლაზუნოვის ნაწარმოებები — ლ. ბაკტის, ა. ბენუას, კ. კოროვინისა და ნ. რერიხის მხატვრული გაფორმებით — ნამდვილი სენსაცია მოახდინა.

რერიხი შთაგონებით ქმნიდა ლოპე დე ვეგას, ვაგნერის, მეტერლინკის, იბსენისა და სხვათა ნაწარმოებთა მიხედვით, აგრეთვე ესკიზებს მთელი რიგი ეკლესიებისა და კერძო სასახლეების დრესკებისათვის. წერდა ლექსებს, ზღაპრებსა და იგავებს. 1916 წელს პეტროგრადში გამოქვეყნებულ რერიხის დიდ ალბომში დაბეჭდილია მხატვრის პოემა — „ბელადი“, ლექსები — „ჯადო სიტყვა“, „მცველი კარებთან“, უსათაურონი და სხვა, აგრეთვე ზღაპრები და ლექსები: „გმირობა“, „გაიატრის ნაკრძალი“, „სიზმარი“ და „წმინდა ნიშნები“. რერიხის ლიტერატურული ქმნილებანი ისევე სიმბოლურნი არიან, როგორც მისი ნახატები. სანიმუშოდ მოვიყვანო მის „წმინდა ნიშნებს“, რომლის მეორე ნახევარი ლექსად მოაგრდება, მაგრამ აქ მხოლოდ პროზაულ ნაწილს შემოგთავიზებთ:

### წმინდა ნიშნები

ჩვენ ეს არ ვიცით. მაგრამ მათ იციან.

ქვებმა იციან. ხეებმაც კი და ახსოვთ ყველაფერი.

ახსოვთ, ვინ დაარქვა მთები და მდინარენი.

ვინ ჩაუყარა ქვა საბალავრე უძველეს ქალაქთ. ან ვინ უწოდა სახელები უხსოვარ ქვეყნებს.

არს შეუცნობი სიტყვა ჩვენთვის. ყველა მათგანი სიბრძნით დაყურსულა, ყველა გმირობით არის აღვსილი. მათ წიაღში ხომ გმირებმა განვლეს.

„ცოდნა — სიტყვისა ტკბილისა“, „არდავიწყება“ ნაწინელ სიტყვის. ცოდნა და მახსოვრობა. დამახსოვრება და ცოდნა. ესე იგი — რწმენა.

ფრენდნენ საჰაერო ხომალდები. იისფრად კრთოდა მინავლული ცეცხლი. ბრწყინავდა სიცოცხლისა და სიკვდილის ნაპერწკალი.

ძალამ სულისამ აიტაცა ქვათა ლოდები.

იჭედებოდა ბასრი ფხა ხმლისა.

გაუფრთხილდი ბრძნული დამწერლობის საიდუმლოს, რამეთუ მარად ნათელია ყველაფერი. ყველაფერი არის ახალი, ზღაპარი — გადმოცემა სინამდვილედ იქცა ცხოვრების.

და კვლავ ვცხოვრობთ ჩვენ, და კვლავ ვიცვლებით. და კვლავ ვეხებით მიწას.

„დღევანდელი“ დღის დიდი შუქი ჩაქრება ხვალე. მაგრამ გამოასხივებს წმინდა ნიშნებს. მაშინ, ოდეს საჭირონი იქნებიან ისინი.

მათ ვერც კი შეამჩნევენ. მაგრამ ვინ იცის? და ისინი შექმნიან ცხოვრებას. სად არიან წმინდა ნიშნები?

დასასრულ ვაქვეყნებთ ნ. რერიხის ერთ-ერთ ლექსს „ჯადო სიტყვა“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ბათუ დანელიას.

### ჯადო სიტყვა

მამა ცეცხლია, ძე ცეცხლია, სული ცეცხლია,  
თანასწორია სამივე და განუყოფელი,  
სიმბურვალე და ალი ცეცხლის — გულია მათი,  
თვითონ ცეცხლი კი — თვალები მათი,  
და ქარცეცხლია ტუჩები მათი.  
ცეცხლი დაჰბუგავს ქვეყნად ავსულებს,  
დემონთა ისრებს დაღუნავს ალი.  
ო, ცეცხლის ალი დაწვავს ავსულებს,  
ო, გააძევებს ალი ავსულებს  
და განწმენდს მათგან აქაურობას.  
ავსულებს სისხლი მოწამვლოდეთ გველის შხამისგან!  
ყური დამიგდე, არგან, არიონ,  
და მბრძანებელო გველთა-ალგამიდ,  
ლომო და ვეფხო და არწივო უდაბურ ველთა,  
უფრთხილდით ავსულო!  
დაიწვი ცეცხლად, დაიხვიე უხსენებელად  
და გაქრი, გაქრი,  
სულო ბოროტო!  
მამა სათნოა, ძე სათნოა, სული სათნოა,



თანასწორია სამივე და განუყოფელი,  
 ზღვა ულურჯესი — გულია მათი,  
 ვარსკვლავები კი — თვალები მათი.  
 ღვთაებრიობის არსი — ზღვაა უკიდევანო, —  
 აქ ავსულებიც დათარეშობენ, —  
 ველარ ამჩნევენ მათ დემონთა ბასრი ისრები.  
 ფოცხვერო, მგელო და შევარდენო,  
 სიკვდილი იმათ!  
 ქვაო, იცოდე, — ქვა შეინახე!  
 ცეცხლო, ლადარში დაიმაღე და ისევე ცეცხლად აენთე, —  
 თამამ წითლად და  
 ბრძენ მწვანედ და სათნო ლურჯად აენთე, ცეცხლო!  
 იცოდე, ქვაო, — ქვა შეინახე!  
 და თქვენ, ფუ, ლო, ზო, ატარეთ ეს ქვა,  
 არგუნეთ იგი ძლევამოსილთა,  
 უბოძეთ იგი ერთგულს და კეთილს!  
 თქვენ კი, იენო, გუიო, დია, —  
 პირდაპირ წადით!



□

## მცირე ინფორმაციები

### ედუარდო — შექსპირის მთარგმნელი

არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილმა სახელმწიფოებრივმა დრამატურგმა, რეჟისორმა და მსახიობმა ედუარდო დე ფილიპომ ნეაპოლიტანურ დიალექტზე თარგმნა შექსპირის პიესა „ქარიშხალი“. ეს უნიკალური თარგმანი ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „ეინაუდიმ“. უფროსად „ესპრესოს“ ფურცლებზე დე ფილიპომ მოუთხრო მკითხველებს, როგორ დაებადა სურვილი შექსპირის დრამის თარგმნისა:

„მოლიერის და შექსპირის თარგმნა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ ყოველ წელს ახალი სპექტაკლი მქონდა გასაკეთებელი და საამისოდ ველარ მოვიცალე. ერთხელ ჩემთან მოვიდა ჩულო ეინაუდი და თავისი ახალი სერიის შესახებ მომიხსრო. ამ სერიას ერქვა „მწერლების მიერ თარგმნილი მწერლები“ და მკითხა, ხომ არ ვაპირებდი შექსპირის რომელიმე პიესის თარგმნას. მე ავირჩიე „ქარიშხალი“... ვცდილობდი დამეცვა მაქსიმალური სიახლოვე დედანთან. ვთარგმნიდი უშუალოდ ინგლისური ენიდან და ვეძებდი სხვადასხვა ინგლისურ ლექსიკონებში ზოგიერთი არქაული სიტყვის სამგვარ მნიშვნელობას“.

დე ფილიპო ამ პიესის თარგმნის უამს 84 წლის იყო და მუშაობას თვე-ნახევარი მოანდომა 1988 წელს პანანაქება სიცხის მიუხედავად ის დიდი გატაცებით მუშაობდა.

### ისტორიული ჟანრი 80-იანი წლების იტალიურ ლიტერატურაში

ახალი დროის იტალიურ მხატვრული ლიტერატურა ისტორიული რომანით დაიწყო. ეს ჟანრი დიდხანს დომინირებდა. დღესდღეობით იტალიაში ისტორიული ჟანრი წარმოდგენილია უმეტესწილად ხიოგრაფიებით. ამ ხიოგრაფებს წერენ ყველაფერი — მოყვარულები და პროფესიონალები; ქალები და მამაკაცები.

ფსიქოლოგები, პოეტები და პროზაიკოსები. შესაბამისად ფართოა გმირების დიაპაზონი: ისტორიული მოღვაწენი, ძველი დროის სკანდალური ქრონიკების პერსონაჟები, ლიტერატურული გმირების რეალური პროტოტიპები, კულტურის მოღვაწენი...

**რობერტ ლოუელის შემოქმედება ატლანტიკურ ზღვაში**



ქართული

რობერტ ლოუელი (1917-1977) დიდ ლიტერატურაში უცრად შემოქმედებული წიგნი 1944 წელს გამოიცა ორასორმოცდაათათასიანი ტირაჟით. ახალგაზრდა პოეტის მეორე კრებული პულიტცერის პრემია მიიღო. მას აქვთ ლოუელის უცვლელი ახალი წიგნი, საკუთარი იქნება ეს თუ თარგმნილი, კრიტიკის და მკითხველთა ფართო წრის ცხოველ ინტერესს იხვეჭს. თანამედროვე ამერიკელ პოეტთაგან ცოტაზე თუ დაწერილა მათ სიცოცხლეში ათზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევა, სტატიები და ესსეები.

**პეტერ ვაისის ატლანტიკური ზღვაში**

რომანი „წინააღმდეგობის ეპოქა“ პეტერ ვაისის თავისებურ მხატვრულ და პოლიტიკურ ანდერძად იქცა. მწერალი 1982 წლის მაისში გარდაიცვალა. ამ წიგნზე ის ცხრა წელიწადზე მეტხანს მუშაობდა. რომანი დაახლოებით ათასი გვერდისაგან შედგება. მისი პირველი ორი წიგნი გამოიცა 1975 და 1978 წლებში, უკანასკნელი, შესაბამის წიგნი კი — ავტორის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე.

ამ წიგნის ბევრი მომენტია დაკავშირებული თავად პ. ვაისის ბიოგრაფიასთან.

**ჩეხოსლოვაკიის თეატრში**

ჩეხოსლოვაკიის თეატრებში არაერთხელ გაცოცხლებულა დოსტოევსკის სამყარო. მაყურებელს ბქონდა ხაშუალება გახცნობოდა დიდი რუსი მწერლის ნაწარმოებების ინსცენირებებს. „დიოტი“ დაიდგა პრაღის ნაციონალურ თეატრში. პლზენისკის ი. კ. ტელას სახელობის თეატრში წარმოდგენილი იყო „დანაშაული და საჩქელი“. რასკოლნიკოვის როლს ასრულებდა პ. პავლოვსკი და როგორც აღნიშნავს იან დვორჟაკი (რეჟისორის ავტორი), ეს მსახიობის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. ბრნოში დადგეს „ძმები კარამაზოვები“.

დოსტოევსკის ნაწარმოებების ინსცენირება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის თეატრები ხშირად სასურველ შედეგს აღწევენ.

**პეტეფის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი 75 წლისაა**

გახული წლის შემოდგომაზე 75 წელი შეხრულდა პეტეფის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დაარსებიდან.

ამ მუზეუმის დაარსების ამბავი მოთხრობილია გაზეთ — „მადიარ ნემზეთ“-ის ფურცლებზე.

მუზეუმი შეიქმნა საუკუნის დასაწყისში. 1908 წელს პეტეფის საზოგადოებამ, რომელიც თავს უყრიდა ლიტერატორებს, თავისი სახსრებით დააარსა ეს სახლი. მისი პირველი დირექტორი იყო ცნობილი უნგრელი მწერალი მორ იოკაი. სწორედ მის დროს შექმნეს პეტეფის ხელნაწერების ფონდი და შეაგროვეს მისი კრებულები. ლიტერატორთა საზოგადოება სცემდა „პეტეფის აღმანახს“, რომელშიც იბეჭდებოდა პირველი სამეცნიერო ნაშრომები უნგრელი მწერლის შემოქმედებაზე.

**«САУНДЖЕ»**

**ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**

На грузинском языке

1985 № 4

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ქართული  
გრაფიკული

ნიკოლაი რეზინი. მოხაველის ღროვან



ნიკოლაი გერინი, პეპა რობანი

12/1

76132